



766

1983

№ 10

1985

№ 11

1985

№ 11

766
1983



ქართული რეპერტორი

27
X-H

X

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
ბ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი



ქართული რაკალთაუკი

ფილოლოგიურ-ისტორიული
ძიებანი

X

ექვნი

ილია აბულაძის

დაბადებიდან 80 წლისთავს



თბილისი
„მეცნიერება“
1983

წინამდებარე ტომში წარმოდგენილია უკანასკნელ ხანს კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნაწერი ფონდების შესწავლით მიღებული შედეგები: ფილოლოგიურ-კოდოლოგიური და ისტორიული ხასიათის ძეგლები და ნარკვევები ძველი ქართული ენის, ლიტერატურისა და კულტურის საკითხებზე. ქვეყნდება მცირე მოცულობის ქართული და არაბული ტექსტები. კრებულში შესული წყარომცოდნეობითი ხასიათის გამოკვლევები, რეცენზიები და ექსპედიცია-მივლინებების ანგარიშები.

კრებული განკუთვნილია ძველი ქართული ფილოლოგიისა და საქართველოს ისტორიის სპეციალისტებისათვის.

სარედაქციო კოლეგია: *ც. აბულაძე, მ. მამაცაშვილი, (მდივანი) ელ. მეტრეველი, (მთავარი რედაქტორი), ც. ქურციკიძე, მ. შანიძე, ე. ხოშიაძე*

ტომის რედაქტორი *ელ. მეტრეველი*



ილია აბულაძე*

(1901—1968)

1981 წლის 24 ნოემბერს გამოჩენილ ქართველ მეცნიერს, ქართული ფილოლოგიის დიდოსტატს, ქართველოლოგსა და არმენოლოგს, ხელნაწერთა ინსტიტუტის დამაარსებელსა და მის პირველ დირექტორს, მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს პროფ. ილია აბულაძეს 80 წელი შეუსრულდა.

ილია აბულაძე ძალიან ადრე გამოაქლდა ქართულ მეცნიერებას. მას მრავალი დაუშთავრებელი შრომა დარჩა, უფრო მეტი კი განუხორციელებელი გეგმა. მთელი თავისი შეგნებული ცხოვრების მანძილზე ილ. აბულაძე ქართული მეცნიერების განვითარებას წარმატებით ემსახურებოდა. დღეს, როდესაც უკვე დიდი დრო გავიდა ილ. აბულაძის გარდაცვალებიდან და დრომაც გამოსცადა მისი ნაღვაწი, შეიძლება თამამად ითქვას, რომ მისი შრომები ქართული ფილოლოგიური მეცნიერების იმ ოქროს ფონდს განეკუთვნება, რომელსაც დრო ვერაფერს აკლებს.

ილ. აბულაძე ქართველ მეცნიერთა იმ შესანიშნავი პლეადის წევრია, რომელმაც მხრებით აზიდა ეროვნული მეცნიერება, დაავაჟაყავა იგი და წინსვლის დიდი გზა დაულოცა.

დაიბადა ილია ვლადიმერის ძე აბულაძე 1901 წელს ზესტაფონის რაიონის სოფ. ზედა საქარაში. დაწყებითი განათლება მიიღო სოფლის ორკლასიან სასწავლებელში, 1921 წელს დაამთავრა ქუთაისის ვაჟთა I გიმნაზია. 1922 წელს შევიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც 1926 წელს დაამთავრა სიტყვიერების განყოფილება, ხოლო 1929 წელს ლინგვისტური განყოფილება. ამავე წელს დატოვებულ იქნა ასპირანტურაში სომხური ენისა და ლიტერატურის განხრით. 1932 წელს, ასპირანტურის დამთავრებისთანავე იგი დაინიშნა ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილების სწავლულ მდივანად. 1934 წლიდან დაიწყო ლექციების კითხვა ძველ ქართულსა და ძველ და ახალ სომხურ ენებში უნივერსიტეტში.

1934—1937 წლებში მუშაობდა უნივერსიტეტთან არსებულ ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების ინსტიტუტში უფროს მეცნიერ მუშაკად. 1938 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. 1937 წლიდან დაიწყო მუშაობა ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ისტორიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი მუშაკის თანამდებობაზე. ამ ინსტიტუტის შუამდგომლობით 1940 წლიდან დაენიშნა სახელმწიფო სტიპენდია სადოქტორო დისერტაციის დასაწერად. დისერტაციის დამთავრების შემდეგ.

* მოხსენება წაკითხულია ილია აბულაძის 80 წლისთავთან დაკავშირებულ სამეცნიერო სესი-აზე 1981 წლის 9 დეკემბერს.

კ. მარქაის სახ. საქ. სსრ
სახელმწიფო რესპუბლიკა
ბი ბერძენიძე



1942 წლიდან, განაახლა მუშაობა უნივერსიტეტში. ერთდროულად დაიწყო ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის მატერიალური კულტურის უწყვეტი განვითარების გამოცემა, სადაც მუშაობდა 1952 წლამდე. 1945 წელს ილ. აბულაძემ დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. 1945—1950 წლებში ის უნივერსიტეტის ფილოლოგიური ფაკულტეტის დეკანი და ძველი ქართული ენის კათედრის პროფესორი 1960 წლამდე.

1953 წელს ილია აბულაძე სათავეში ჩაუდგა სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებას. ხოლო 1958 წლიდან დაინიშნა ახლად ჩამოყალიბებულ ხელნაწერთა ინსტიტუტის დირექტორად, რომელსაც იგი გარდაცვალებამდე ხელმძღვანელობდა.

ილია აბულაძე 100-ზე მეტი შრომის ავტორია. ამთავან 15 მონოგრაფია და ტექსტების პუბლიკაციაა, 3 — სახელმძღვანელო. მის შრომათა სიაში ვერ ნახავთ შეტანილს ვერც საგაზეთო წერილებს, ვერც განმეორებულ გამოცემებს. მან იმისთვისაც ვერ გაიმეტა დრო, რომ მრავალრიცხოვან სამეცნიერო ჟურნალებში დაბეჭდილი წერილებისათვის თავი მოეყარა და ცალკე კრებულად გამოეცა. მას დრო არ ჰყოფნიდა მოზღვავებული ახალ-ახალი მასალებისა და საკითხების დამუშავებისათვისაც. მისი ყოველი ნაშრომი ხომ — დიდი თუ პატარა — ახალი სიტყვაა მეცნიერებაში.

ილ. აბულაძის შრომები არა მარტო მრავალრიცხოვანია, არამედ თავისი თემატიკით მრავალფეროვანიც, მიუხედავად ამისა, მაინც შეიძლება გამოიყოს ძირითადი საკვლევე პრობლემები, რომელთა ირგვლივაც ჯგუფდება მისი შრომების დიდი ნაწილი. ეს არის: ქართული ლექსიკოლოგია და გრამატიკა, ქართული ბიბლია, უძველესი ქართული მრავალთავი, ორიგინალური და ნათარგმნი აგიოგრაფია, ბალავარიანი, ქართული აპოთეგმური ლიტერატურა (ლიმონარი, პატერიკები), უძველესი ჰომილეტიკური კრებულები (მამათა სწავლანი), ძველი ქართული ლექსიკა, ვეფხისტყაოსნის ტექსტი და ლექსიკა, ქართულ-სომხური ლიტერატურული ურთიერთობანი, სომხური ლექსიკა ქართულთან მიმართებით.

ილ. აბულაძე შესანიშნავად ფლობდა ძველსა და ახალ სომხურ ენას. კარგად იცნობდა სომხურ მწერლობას, საისტორიო წყაროებს, მუშაობდა სომხური პალეოგრაფიისა და ეპიგრაფიკის საკითხებზე. თავის ამ ღრმა და მრავალმხრივ ცოდნას იყენებდა არა მარტო როგორც მკვლევარი, არამედ როგორც ჩინებული პედაგოგიც. დღეს მოღვაწე ქართველ არმენოლოგთა უმრავლესობა ილიას მოწაფეები არიან. არაერთი დისერტაცია დაიწერა ამ დარგში მისი ხელმძღვანელობით, არაერთი მნიშვნელოვანი პირველწყარო მომზადდა და გამოიქცა მისი ხელმძღვანელობითა და რედაქციით. არც თუ იშვიათად მიმართავდნენ მას დახმარებისათვის მისი სომეხი კოლეგებიც.

ეს დიდი მარაგი ცოდნისა მან შეიძინა ჯერ კიდევ ასპირანტურის წლებში, როდესაც ხანგრძლივად ცხოვრობდა ერევანსა და სტეფანავანში და თავულებლივ მუშაობდა ეჩმიაძინის წიგნთსაცავის ხელნაწერებზე. მის პირად არქივში დაცულია მისივე ხელით გადაწერილი იშვიათი ძველი სომხური ტექსტები, ეჩმიაძინისა და მატენაძარანის ფონდებში მის მიერ გამოვლენილი და შესწავლილი. ეჩმიაძინში მას ელოდა დიდი აღმოჩენაც. 1937 წელს იქ მუშაობისას მან მიაკვლია XV საუკუნის ხელნაწერში ანბანების კრებულს, სადაც, სხვა ანბანთა შორის, ალბანური ანბანიც იყო. ანბანი იმ ხალხისა, რომლის არსებობაზე მხოლოდ ისტორიული წყაროებიღა დადასტვდნენ, მათი ენა და დამწერლობა კი უკვალოდ დაკარგულად ითვლებოდა. ალბანური ანბანის



აღმოჩენით ახალი ეტაპი დაიწყო ალბანელი ხალხის ისტორიისა და კულტურის შესწავლაში. აღმოჩენას მრავალი მეცნიერი გამოეხმაურა ალბანეთში აკაკი შანიძემ მას სპეციალური გამოკვლევა უძღვნა. აღფრთოვანებული წერილი უძღვნა მას აკადემიკოსმა პრ. აჭარიანმა.

ილ. აბულაძეს მჭიდრო საქმიანი კონტაქტები ჰქონდა სომხეთის არმენოლოგებთან. ძველ სომხურში თავის მასწავლებლად მას მიაჩნდა აკადემიკოსი აჭარიანი, რომელსაც მოწაფური მოკრძალებით და უდიდესი პატივისცემით ეკიდებოდა, ამავე დროს მასთან ნაზი მეგობრობაც აკავშირებდა.

დიდი მეცნიერული წვლილი შეიტანა ილ. აბულაძემ როგორც ქართველოლოგიის, ასევე არმენოლოგიის განვითარებაში. იგი ბრწყინვალედ იცნობდა ქართულ და სომხურ ხელნაწერ ფონდებს, როგორც ადგილობრივს, ასევე საზღვარგარეთისას. ბუნებრივია, ასეთი მომზადების მეცნიერისათვის ქართულ-სომხური ლიტერატურული ურთიერთობის შესწავლის ფართო ასპარეზი გაიშალა: თავის საკანდიდატო დისერტაციასთან დაკავშირებით, რომელიც შუშანიკის მარტვილობას მიეძღვნა, ილია აბულაძემ შესწავლა ყველა ისტორიული წყარო სომხურ და ქართულ ენებზე და ფართო ისტორიულ ასპექტში განიხილა ამ ძეგლის შექმნის დრო, მიზეზები, ადგილი, ავტორი.

IX—X საუკუნეების ქართულ-სომხური ლიტერატურული ურთიერთობების შესწავლას მიეძღვნა ილ. აბულაძის სადოქტორო დისერტაცია. ეს შრომა აგებულია ტაოში შექმნილ ორენოვან ავთოგრაფიულ ძეგლებზე, ორიგინალურსა და თარგმნილზე (ძირითადად სომხურიდან). ამ შრომაში ავტორი ქართულ-სომხურ ლიტერატურულ ურთიერთობას 3 ეტაპად წარმოადგენს. თითოეული ეტაპის სპეციფიკას განიხილავს და აჩვენებს ქართველი და სომეხი ხალხების ურთიერთლიტერატურულ გავლენას. ამ შრომაში გადაწყვეტილია ქართულ-სომხური ლიტერატურული ურთიერთობის რიგი კარდინალური საკითხი.

არ შეიძლება აქვე არ ითქვას, რომ ეს 500-გვერდიანი ფუნდამენტური შრომა ილ. აბულაძემ სულ მოკლე დროში, ომიანობის უმძიმეს 1940—1942 წწ. დაწერა. და არა მარტო დაწერა, არამედ თვითონვე გადაწერა თავისი ნირ-შეუცვლელი კალიგრაფიული ხელით ლითოგრაფიული გამოცემისათვის. ეს რა თქმა უნდა, წამდვილი შრომითი გმირობა იყო.

ქართულ-სომხური ლიტერატურული ურთიერთობის პრობლემას ილ. აბულაძე შემდგომშიც არაერთხელ დაუბრუნდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი ნაშრომების ციკლი რუსთაველის ეპოქაში ქართულიდან სომხურად თარგმნილ ფილოსოფიურ თხზულებებზე.

ილ. აბულაძის ქართულ-სომხური ისტორიულ-ფილოლოგიური შტუდიებიდან საგანგებო აღნიშვნის ღირსია „ქართლის ცხოვრების“ ძველი სომხური თარგმანის მისეული პუბლიკაცია, რომელსაც ქართული ტექსტის დადგენისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს.

დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ილ. აბულაძე საქართველოს შესახებ სომხური ისტორიული წყაროების შესწავლას. არაერთი ნაშრომი მიუძღვნა მან ამ თემას: „იოანე დრასხანაკერტელი საქართველოს შესახებ“, „მათეოს განცაკელის ცნობები საქართველოს შესახებ“, „მხითარ გოშის ტრაქტატი „ქართველთათვის“ და მისი ლიტერატურული წყაროები“. აგათანგელოზის „რიფსიმეანთა მარტვილობასაც“, რომელიც მან გამოაქვეყნა, ილ. აბულაძე სწავლობდა, როგორც ლეონტი მროველის წყაროს.



მრავალი წლის განმავლობაში, მუშაობდა ილ. აბულაძე ქართული ენის განვითარების კუთხით. მისი „მრავალთავის“ სომხურ წყაროებზე. ასე შეიქმნა „მრავალთავის“ საკითხავებზე მთელი სერია გამოკვლევებისა, რომლებიც ერთი სათაურის ქვეშ გაერთიანდა: „სომხურ-ქართული ფილოლოგიური შტუდიები: მრავალთავის ზოგიერთი თავის წყარო“. ამ სერიაში გაერთიანდა 8 გამოკვლევა. ორი უკანასკნელი გამოქვეყნდა მისი გარდაცვალების შემდეგ. გამოკვლევებში პირველად იქნა შესწავლილი ქართული „მრავალთავის“ რაობა, შედგენილობა, რედაქციები. ილ. აბულაძის ამოსავალი დებულებები საფუძვლად დაედო ბელგიელი მეცნიერის ვან ესბროკის მონოგრაფიას უძველეს ქართულ მრავალთავზე, რომელმაც საერთაშორისო სამეცნიერო წრეებში დიდი ინტერესი გამოიწვია.

სომხურ-ქართული ტექსტების პარალელურმა შესწავლამ ილ. აბულაძეს დიდი მასალა მისცა ქართულ-სომხური ლექსიკის შესწავლისთვისაც, რომელსაც ასევე რამდენიმე სტატია უძღვნა მკვლევარმა.

ილ. აბულაძემ არმენოლოგიის მრავალი დარგი ქართული ფილოლოგიისა და ისტორიოგრაფიის სამსახურში ჩააყენა, ამავე დროს ბევრი გააკეთა საკუთრივ არმენოლოგიისათვისაც, მისი სომხურ-ქართული შტუდიები ერთნაირად მნიშვნელოვანია როგორც ქართული, ასევე სომხური მეცნიერებისათვის. ცნობილი სომეხი მეცნიერებისაგან გამიგია, რომ მისი ცოდნა ძველი სომხური ენისა, ხელნაწერებისა და სომხური ისტორიული წყაროებისა ბევრ არმენოლოგს შემუშრდებოა.

დიდი დრო და ენერგია დახარჯა ილ. აბულაძემ ს. ს. ორბელიანის ნარედაქციევი ბიბლიისა და ლექსიკონის შესწავლაზე. აქაც ილია აბულაძეს დიდად გამოადგა ძველი სომხური ენისა და სომხური წყაროების ჩინებული ცოდნა.

იმის შემდეგ, რაც პროფ. ა. ბარამიძემ გამოავლინა ს. ს. ორბელიანის ავტოგრაფული ნუსხა, დღის წესრიგში დადგა ს. ს. ორბელიანის ლექსიკონის ავტოგრაფების გამოკვლევა, დადგენა და ამის საფუძველზე საბას სამეცნიერო ლაბორატორიის შესწავლა.

ვინაიდან საბას ლექსიკონის ძირითადი ქართული წყარო იყო ქართული ბიბლია, ამიტომ ილ. აბულაძე ერთდროულად შეუდგა ლექსიკონისა და საბას ნარედაქციევი ბიბლიის ე. წ. „მცხეთური ბიბლიის“ შესწავლას შედგენილობის, აგებულებისა და წყაროების თვალსაზრისით.

ს. ს. ორბელიანის ლექსიკონისა და ბიბლიის სომხური წყაროების ძიება მოსამზადებელი საფეხური იყო იმისათვის, რომ ი. აბულაძეს ხელი მოეკიდა ს. ს. ორბელიანის ლექსიკონის ახალი გამოცემისათვის, რომელიც დაეყრდნობოდა ყველა ავტოგრაფულ ნუსხას მათი რედაქციული თანმიმდევრობის დაცვით. ამჟამინავე გამოცემის გეგმა ითვალისწინებდა ლექსიკონს ერთეულებთან მოტანილი ციტატების წყაროების დადგენას, და უცხოენოვანი შესატყვისების ცალკე გამოყოფას.

სამუშაო ძალიან დიდი იყო, ამიტომ იგი ილ. აბულაძემ უკვე ინსტიტუტის შექმნის შემდეგ თანამშრომელთა მოზრდილ კოლექტივზე გაანაწილა. რამდენიმე წლის ინტენსიურმა მუშაობამ თავისი შედეგი გამოიღო, 1965—1966 წლებში აკაკი შანიძისა და ილია აბულაძის რედაქციით გამოვიდა საბას ლექსიკონი, დამყარებული 9 ავტოგრაფულ ნუსხაზე, რომლებშიც ასახულია საბას ლექსიკონზე მუშაობის ყველა ეტაპი, მიკვლეულია საბას წყაროების დიდი ნაწილი.

ლექსიკური ძიებანი ილია აბულაძის ერთ-ერთი გამორჩეული საკვლევო თემა იყო მთელი მისი მოღვაწეობის მანძილზე. სწავლობდა რა ძველ ქართულ და ძველ სომხურ ტექსტებს, ორიგინალურსა თუ თარგმნილს, ნაბეჭდსა თუ ხელნაწერებს, ის უყურადღებოდ არ ტოვებდა არც ერთ საინტერესო ლექსიკურ ერთეულს, თუ იშვიათ გრამატიკულ ფორმას. ასე გამოიკვეთა გამოკვლევების რამდენიმე სერია: 1. ძველი ქართული ლექსიკიდან (7 გამოკვლევა), 2. „ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკიდან (10 სტატია), 3. „ქართულისა და სომხურის საერთო ხმარების სიტყვები“, 4. ქართულიდან სესხებული სომხური სიტყვები, 5. ორი გეოგრაფიული სახელის მნიშვნელობისათვის. 6. ქართული ზმნის იშვიათი ფორმები VIII—X საუკუნეების ძეგლებში. ამავე დროს ტექსტების შესწავლის პროცესში მოპოვებული ლექსიკური მასალა თავს იყრიდა ძველ ქართულ-ძველ სომხურ ლექსიკონის ქარტოთეკაში, რომელზედაც ილ. აბულაძე სიცოცხლის ბოლომდე მუშაობდა, რათა შეედგინა და გამოეცა ძველ ქართული-ძველ სომხური პარალელური ლექსიკონი. ამ სახით შეადგინა მან ლექსიკონის პირველი ვარიანტი კარტოთეკებში. მაგრამ შემდეგ იმის გამო, რომ ძალიან დიდი მოთხოვნილება იყო ძველი ქართული ენის ლექსიკონზე, გადაწყვიტა ეს ლექსიკონი ცალკე მოემზადებინა გამოსაცემად. ილ. აბულაძემ ეს სამუშაო თითქმის ბოლომდე მიიყვანა. მის მაგიდაზე დარჩა მისივე კალიგრაფიული ხელით დავთრებში გადაწერილი მთელი ლექსიკონი I 500 გვ. მოცულობით. ტექსტის ნაწილს ტექნიკური რედაქციაც კი ჰქონდა გაკეთებული.

ძველი ქართული ენის ლექსიკონი, რომელიც გამოსცა ხელნაწერთა ინსტიტუტმა მისი გარდაცვალების შემდეგ, შეიცავს 150 წყაროდან ამოკრეფილ 12.000 სიტყვას.

ლექსიკონი სამაგიდო წიგნია სამეცნიერო წრეებისათვის და დიდად გამოსაყენებელი ფართო საზოგადოებისათვისაც.

ქართულ-სომხური პარალელური ლექსიკონი კი, რომელიც ერთნაირად მნიშვნელოვანი იქნება როგორც ქართველოლოგებისათვის, ასევე არმენოლოგებისათვისაც, მიუხედავად ხელნაწერთა ინსტიტუტის დიდი სურვილისა, დღემდე ვერ დამუშავდა ისე, რომ შეიძლებოდეს ფიქრი მის გამოცემაზე. ძნელი აღმოჩნდა ილ. აბულაძის დონეზე ამ საქმის ბოლომდე მიყვანა.

ილია აბულაძეს ფართო მომზადებისა და დიდი გამოცდილების ფილოლოგს, ძალიან კარგად ჰქონდა წარმოდგენილი, თუ რა კარდინალური საკითხები უნდა გადაწყვიტა ახლო მომავალში ქართულ ფილოლოგიას სხვა ჰუმანიტარულ დარგებთან ერთად და რა მიმართულებით უნდა განვითარებულიყო ქართული ფილოლოგია და კოდოლოგია. ილ. აბულაძემ ისიც კარგად იცოდა, რომ უმდიდრესი ქართული ხელნაწერებისა და ისტორიული პირველწყაროების შესწავლა და გამოქვეყნება პირველი და აუცილებელი პირობა იყო ქართული ჰუმანიტარული დარგების შემდგომი წინსვლისათვის. ამიტომ 1953 წლიდან, როდესაც ის სათავეში ჩაუდგა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებას, მას უკვე ნათლად ჰქონდა დამუშავებული პროგრამა როგორც განყოფილების სამეცნიერო კადრების მომზადებისა, ასევე ხელნაწერი ფონდების მოვლა-მოწესრიგებისა. ყველაფერი კეთდებოდა იმ ვარაუდით, რომ ქართული უმდიდრესი სულიერი საგანძურის ბაზაზე შექმნილიყო სამეცნიერო ინსტიტუტი, რომელიც გაუძღვებოდა მრავალენოვანი ფონდების მეცნიერულ შესწავლას და პუბლიკაციას.



ხელნაწერთა განყოფილებაში ილია დიდი ენთუზიაზმით შეუღობდას. ის თავის საყვარელ სტიქიაში აღმოჩნდა. მას მიეცა საშუალება თავისი ფართო სამეცნიერო გეგმების განხორციელებისა. მან განყოფილებაში მუშაობის პირველი დღიდან გამოიჩინა შესანიშნავი ორგანიზატორისა და მეცნიერი ხელმძღვანელის უნარი. სულ მოკლე ხანში განყოფილებას ახალი სიცოცხლე ჩაბერა, საესე ახალი სურვილებითა და გეგმებით. განყოფილების მუშაობას წარმართავდა საქმისადმი თავდავიწყებული ერთგულებით და დაუშრეტელი შემოქმედებითი ენერგიით, რომელიც წვდებოდა ყველასა და ყველაფერს.

ილია აბულაძეს კარგად ესმოდა, რომ ქართული სულიერი საგანძურის დაცვა, აღრიცხვა და შემდგომი გამდიდრება სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის დიდი საქმე იყო. ამიტომ პირველი დღიდანვე მან ამ მიმართულებით მთელი რიგი ღონისძიებები ჩაატარა. ის თვალყურს ადევნებდა ხელნაწერების დაცვის მდგომარეობას არა მარტო სახელმწიფო მუზეუმის მასშტაბით, არამედ სხვა უწყებებშიც, განსაკუთრებით კი რესპუბლიკის რაიონულ მუზეუმებში. მისი ხელმძღვანელობით მოეწყო ექსპედიციები, აღირიცხა და აიწერა ხელნაწერები ახალციხეში, ბათუმში, მახარაძეში, ზუგდიდში, გეგეშკორში, წულუკიძეში. ამავე დროს იზრავნებოდა ექსპედიციები მოსკოვ-ლენინგრადში, ერევანში, კიევი, ოდესაში, გორკში — ყველგან, სადაც მას ქართული ხელნაწერები და საარქივო მასალები ეგულებოდა.

ლენინგრადისა და მოსკოვის არქივებში მოპოვებული მასალებით შეიქმნა ხელნაწერთა განყოფილების არა ერთი არქივი: ივ. ჯავახიშვილის, ნ. მარის, ე. თაყაიშვილის, კ. კეკელიძის, ალ. ცაგარელის და სხვათა. მეორე მხრივ, დიდი ყურადღება მიექცა სახ. მუზეუმის ქართული ხელნაწერების აღწერის მეცნიერული ღონის ამალგებს.

მწვავედ დადგა განყოფილებისათვის კადრების მომზადების საკითხიც ამაზე იყო დამოკიდებული ის, თუ რას და როგორ გააკეთებდა განყოფილება კადრების მომზადება უშუალოდ დაუკავშირდა იმ სამეცნიერო გეგმებს, რომელსაც უსახავდა ილ. აბულაძე განყოფილებას.

ილია აბულაძე კარგად ხედავდა უპირატესობას ფილოლოგიური კვლევის იმ მეთოდებისა, რომლითაც სარგებლობდნენ ნ. მარი, ა. შანიძე, კ. კეკელიძე, პ. პეტერსი, რ. ბლეიკი და განსაკუთრებით ბელგის ახალი ორიენტალისტიური სკოლა ჟ. გარტიის მეთაურობით, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ ქართული მწერლობა და კულტურა განიხილებოდა მრავალეროვანი ქრისტიანული აღმოსავლეთის მწერლობასა და კულტურასთან მჭიდრო კავშირში. ამიტომ პირველ რიგში საჭირო იყო განყოფილებისათვის მომზადება როგორც აღმოსავლეთმცოდნეებისა, ასევე კლასიკური ენის სპეციალისტებისა. ხელნაწერთა განყოფილებასთან გაიხსნა ასპირანტურა არმენოლოგიასა და არაბისტიკაში (ქრისტიანული არაბულის პროფილით). მიღებულ იქნენ თურქოლოგი და ირანისტი, კლასიკური ენების სპეციალისტი. მეორე მხრივ ფონდების უკეთ მოვლა-პატრონობის მიზნით ასპირანტურის ხაზით მომზადდა მიკოლოგი და ჭიმეკოსი.

დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა ილ. აბულაძე ასპირანტებთან და ახალგაზრდა მეცნიერ თანამშრომლებთან მუშაობას. მიუხედავად იმისა, რომ მას ყოველთვის ჰქონდა დიდი და საინტერესო საკვლევი სამუშაო, რომელიც ჩვეულებრივ, მთელ მის არსებას იპყრობდა ხოლმე, ის მისთვის ჩვეული გულუხვობით არ ზოგავდა დროსა და ენერგიას ახალგაზრდების წრთვნაზე, რა-



მაც თავისი შედეგი გამოიღო: განყოფილების ინსტიტუტის გადაქვეყნებას კოლექტივი მომხადებელი შეხვდა.

ხელნაწერთა განყოფილების ბაზაზე ინსტიტუტის ჩამოყალიბებისათვის ილ. აბულაძე იღვწოდა თანმიმდევრულად და შეუპოვრად განყოფილებაში მოსვლის დღიდანვე. პირველი მოწოდება ხელნაწერთა ინსტიტუტის ჩამოყალიბებისა და მისთვის სპეციალური შენობის აგების შესახებ გაისმა უმაღლესი საბჭოს სესიის მაღალი ტრიბუნიდან. ეს საკითხი დააყენა აკადემიკოსმა ნიკო კეცხოველმა. ამ დროისათვის უკვე მომზადებული იყო ნიადაგი სათანადო ინსტანციებში: ცენტრალურ კომიტეტში ამისათვის ენერგიულად იღვწოდა ცენტრალური კომიტეტის მდივანი ისიდორე დოლიძე, აკადემიის პრეზიდიუმში ნიკოლოზ მუსხელიშვილი და რაფიელ დვალი, რის შედეგად 1958 წელს გამოვიდა პრეზიდიუმის დადგენილება ინსტიტუტის ჩამოყალიბებისა და მისთვის საგანგებო შენობის აგების შესახებ.

აღბათ, არასდროს არ ყოფილა ილია აბულაძე ისეთი ბედნიერი, როგორც იმ დღეს, როდესაც მიიღო აკადემიის პრეზიდიუმის დადგენილება.

ილია აბულაძე როგორც ხელნაწერთა ინსტიტუტის დირექტორი — ცალკე დიდი თემაა.

გახსნის დღიდან ინსტიტუტი, რომელსაც მუზეუმის ნახევრად სარდაფის სართულზე რამდენიმე ოთახი ეკავა, ილ. აბულაძისათვის მეორე სახლად გადაიქცა. ის ყველაზე ადრე მოდიოდა ინსტიტუტში და უკანასკნელი მიდიოდა. სამეცნიერო მუშაობასაც თავის კაბინეტში ეწეოდა. იმდროინდელ თანამშრომლებს კარგად ახსოვთ დირექტივის ოთახში დიდ მაგიდასთან მომუშავე ილია, მასთან უბრალოდ შესვლა ყველას ერიდებოდა, რომ საქმისათვის არ მოეწყვიტათ. მაგრამ როდესაც ის რომელიმე საკითხის კვლევას დაამთავრებდა და სასურველ შედეგსაც მიიღებდა, ბავშვით გახარებული ყველას ამ საკითხზე ესაუბრებოდა.

ილია აბულაძის ინსტიტუტში მუდმივ ყოფნასა და მუშაობას დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა ჰქონდა თანამშრომლებისათვის. მართლაც, ამ წლებში მიღებული შრომისმოყვარეობისა, და ორგანიზებულობის ჩვევები ინსტიტუტის იმ თაობის თანამშრომლებს დღემდე შერჩათ.

ილია აბულაძეს როგორც მეცნიერს, ადამიანს და საზოგადო მოღვაწეს მხოლოდ ის იცნობს, ვისაც მასთან ერთად უმუშავია, მისი ენთუზიაზმი გადასდები, მისი მეცნიერული ვატაცებების მოწმე ყოფილა და ვინც ხედავდა, თუ როგორ იყო ის შებყრობილი უკუბრუნებელი სენით, რომელსაც ქართული სიტყვისა და მისი მატერიალური განსახიერების — ხელნაწერის სიყვარული ეწოდება. ამის მოწმე კი იყო ყველა, ვინაიდან ილიამ ინსტიტუტში დანერგა დიდი თემებისა თუ პრობლემების კოლექტიური დამუშავება, რომელსაც თვითონვე წარმართავდა.

ილია აბულაძე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა დიდი თემების კოლექტიურ დამუშავებას იმიტომაც, რომ ამაში ის ახალგაზრდა თანამშრომლების ფილოლოგიური გაწრთვნის ყველაზე სანდო გზას ხედავდა.

ასე მომზადდა ინსტიტუტში თანამშრომელთა მონაწილეობით „ქართული ორიგინალური აგიოგრაფიის“ 4 ტომი, ს. ს. ორბელიანის ლექსიკონი ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით, ასევე მიმდინარეობდა დიდი და სერიოზული მუშაობა ქართული ბიბლიისა და „ვეფხისტყაოსნის“ კრიტიკული ტექსტების დადგენაზე.



ილ. აბულაძე არც იმას ერიდებოდა, რომ ინდივიდუალური დამუშავებისათვის მიეცა ახალგაზრდა მეცნიერისათვის დიდი და რთული თემა, მაგრამ მუშაობაში მას ღვთის ანაბარად არასოდეს ტოვებდა. მუდამ მის გვერდით იყო და ყოველდღიურ ზედამხედველობას უწევდა. ეს ილ. აბულაძის მხრივ დახმარება იყო და მკაცრი კონტროლიც, რომელიც აყალიბებდა ახალგაზრდა თანამშრომლის პიროვნებას, უმუშავებდა მას მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობას მინდობილ საქმეში.

ინსტიტუტის თანამშრომელთა სამეცნიერო თემატიკას ჩვეულებრივ ის თვითონ ადგენდა. ხშირად ახალგაზრდა თანამშრომლებს სადისერტაციო თემას თავისივე სამუშაო თემატიკიდან ურჩევდა, რათა უკეთ წარმოედგინა მისაღები შედეგები და უკეთ გაეწია ხელმძღვანელობა.

ახლად ჩამოყალიბებულ ინსტიტუტს ძალიან აკლდა წიგნები, განსაკუთრებით უცხოელი ორიენტალისტებისა და ქართველოლოგების შრომები. საჭირო წიგნებისა და მიკროფილმების მისაღებად ის ფართოდ იყენებდა თავის უცხოელ კოლეგებს.

ერთი სიტყვით, ნელნელა, მაგრამ მეთოდურად ილ. აბულაძე ძერწავდა სამეცნიერო ინსტიტუტს იმ სამეცნიერო მიზნების შესაბამისად, რომლებიც მანვე დაუსახა მას.

ხელნაწერთა განყოფილებასა და ხელნაწერთა ინსტიტუტში მოღვაწეობის წლები თვითონ ილ. აბულაძისათვისაც დიდად პროდუქტიული იყო. სწორედ ამ წლებში გამოაქვეყნა მან თავისი მონოგრაფიების უმრავლესობა.

ამ პერიოდში გამოიკვეთა ილ. აბულაძის სამეცნიერო თემატიკაში ერთი ახალი პრობლემა: IX—X სს. უძველესი ქართული თარგმანები, შესრულებული პალესტინის ქართულ სამწიგნობრო კერებში, არაბულ გარემოცვაში. ესენია: „ბალავარიანის“ ვრცელი რედაქცია, „მამათა სწავლანი“, „ლიმონარი“, უძველესი რედაქციები ბასილი კეისარიელის „ექუსთა დღეთათს“ და გრიგოლ წოსელის „კაცისა აგებულებისათვის“. ყველა ეს თარგმანი მან მონოგრაფიულად შეისწავლა და გამოაქვეყნა 1955—1964 წლებში, ძირითადად ძველი ქართული ენის ძეგლების სერიაში და ძველი ქართული ენის კათედრის შრომებში აკ. შანიძის რედაქტორობით.

ერთ-ერთი პირველი ტექსტი, რომელიც ილ. აბულაძემ ამ თვალსაზრისით შეისწავლა — იყო ქართული „ბალავარიანი“. ინტერესი „ბალავარიანის“ მიმართ ილ. აბულაძეს მთელი სიცოცხლის მანძილზე გაჰყვა. 1937 წ. მან გამოაქვეყნა ამ რომანის მოკლე რედაქციის ტექსტი. ამ გამოცემის წინასიტყვაობა დაწერეს პროფესორებმა შ. ნუცუბიძემ და ს. ყაუხჩიშვილმა, სადაც ძველი VII საუკუნის ორიგინალურ ნაწარმოებად იყო გამოცხადებული. იხილავდა რა გამოცემისათვის გამოყენებულ ნუსხებს, ილ. აბულაძე თავის წინასიტყვაობაში შენიშნავდა, რომ რ. ბლეიკის ცნობით იერუსალიმის ქართულ ხელნაწერთა შორის დაცულია ორი ერთმანეთისაგან რედაქციულად და მოცულობით განსხვავებული ნუსხა ბალავარიანისა. ცხადია, ამ ნუსხებისადმი მისი ინტერესი მეტად დიდი იყო, და 1956 წელს, როდესაც აკადემიის ფუნდამენტალურმა ბიბლიოთეკამ მიიღო იერუსალიმური და სინური ქართული ხელნაწერების მიკროფირები, ილ. აბულაძე, სანამ მოახერხებდა მათი ფოტოანაბეჭდების მიღებას, ლუბით ხელში შეუდგა ბალავარიანის ხელნაწერის მიკროფირის გაცნობას. ეს იყო ბარბაროსული შრომა, მაგრამ ტექსტის პირველადმა გაცნობამ უკვე დაარწმუნა ილ. აბულაძე, რომ იერუსალიმური ხელ-



ნაწერი მეტად მნიშვნელოვან ახალ ტექსტს შეიცავდა. მეცნიერი შეუდგა მის შესწავლას და ერთ წელიწადში — 1957 წ. გამოვიდა „ბალავარიანის კვლევები“ ლი რედაქციები“. წინასიტყვაობაში ავტორმა გადაწყვიტა ბალავარიანის ქართული რედაქციების ურთიერთმიმართების, მათი წარმომავლობისა და თარგმნის დროის საკითხები. საკითხები, რომლებზედაც არა ერთი ერთმანეთის გამომრიცხველი ვარაუდები იყო გამოთქმული. „ბალავარიანის“ ეს ახალი გამოცემა სანიმუშო ფილოლოგიური ნაშრომია როგორც ტექსტის გამოცემის, ასევე მისი შესწავლა-გამოკვლევის თვალსაზრისით. განსაკუთრებით საინტერესოა ავტორის თვალსაზრისი ვრცელი ბალავარიანის თარგმნის დროზე. ამ რედაქციის დასათარიღებლად ილ. აბულაძემ გამოიყენა ტექსტში გამოვლენილი სპარსულ-არაბული ლექსიკა. ტექსტის დათარიღების ამ მეთოდმა, რომელსაც ხშირად მიმართავდნენ ნ. მარი და ევროპის ორიენტალისტები, ილ. აბულაძემ მიიყვანა ვარაუდამდე, რომ ვრცელი „ბალავარიანი“ არაბულიდან უნდა ყოფილიყო თარგმნილი, მაგრამ ილ. აბულაძემ, ამ საკითხის კვლევაში, მისთვის ჩვეული სიფრთხილით, გაჩერდა იმ მიჯნასთან, რომლის იქით თავისი საბოლოო სიტყვა უნდა არაბისტს ეთქვა. ამრიგად, „ბალავარიანის“ II გამოცემამ შემოაბრუნა მისი შესწავლის გეზი და მოხსნა ადრე გამოთქმული კონცეფციები. უფრო მტკიცედ და ვრცლად ჩამოაყალიბა ილ. აბულაძემ ვრცელი ბალავარიანის მომდინარეობის საკითხი 1962 წელს, მისი რედაქციით გამოქვეყნებულ ბიძინა აბულაძისეულ „ბალავარიანის“ რუსული თარგმანის წინასიტყვაობაში. ეს წინასიტყვაობა შემდეგ წაემძღვარა იუნესკოს მიერ გამოცემულ „ბალავარიანის“ ინგლისურ თარგმანს, რომელიც დავით ლანგმა შეასრულა.

ქართულ ენაში შემოჭრილი უცხოენოვანი ლექსიკური მასალით თარგმნილი ტექსტების დათარიღების მეთოდი ილია აბულაძემ სხვა ძეგლების მიმართაც გამოიყენა.

„ბალავარიანზე“ 2 წლით ადრე, 1955 წელს ილ. აბულაძემ გამოაქვეყნა „მამათა სწავლანი“ სამი X საუკუნის ხელნაწერის მიხედვით. ერთ-ერთი ამათგანი იყო მის მიერვე მიკვლეული 943 წლის ხელნაწერი. ეს თარგმანიც ლექსიკური და ენობრივი მონაცემებით მკვლევარმა IX საუკუნით დაათარიღა. ძეგლში დადასტურებული არაბულ-სპარსული ლექსიკის თვალსაზრისით აქაც იგივე სურათი იყო, რაც „ბალავარიანში“, ამიტომ მისი არაბულიდან მომდინარეობა აქაც თამამად შეეძლო ევარაუდა მკვლევარს.

„მამათა სწავლანის“ კვლევა არაბული მოდელის თვალსაზრისით განაგრძო ფრანგმა მეცნიერმა ბერნარ უტიემ. „მამათა სწავლანის“ რამდენიმე სტატიის არაბულ მოდელს მან მიაკვლია სტრასბურგის IX საუკუნის არაბულ ხელნაწერში.

დიდი წვლილი შეიტანა ილ. აბულაძემ 60-იან წლებში მეტად გახმაურებული „ლიმონარის“ როგორც ბერძნული, ასევე ქართული რედაქციების კვლევაში. ქართულ სამეცნიერო წრეებში „ლიმონარისადმი“ დიდი ინტერესი იმითაც იყო გამოწვეული, რომ პროფ. შ. ნუცუბიძის ვარაუდით ქართული „ბალავარიანიცა“ და „ლიმონარიც“ დაწერილი იყო ერთდროულად ბერძნულ და ქართულ ენებზე VII საუკუნის ქართველი მწერლის იოანე მოსხის ანუ მესხის მიერ.

ილ. აბულაძის გამოცემულ „ლიმონარს“ გამოეხმაურა ჟერარ გარიტი სპეციალურ წერილში. მან ამ შრომას „შესანიშნავი“ უწოდა და, თავის მხრივ,

დამატებითი მასალების მოხმობით სრულიად უეჭვოდ მიიჩნია ილ. აბულაძის ვარაუდი ქართული „ლიმონარის“ არაბულიდან მომდინარეობის შესახებ. მანვე დროს მანვე გამოუგზავნა ილ. აბულაძეს „ლიმონარის“ არაბული „ალ ბუსთანის“ ყველაზე ადრეული ხელნაწერის მიკროფირი, რომელიც შეისწავლა ინსტიტუტის არაბისტმა რუსულდან გვარამიამ. მან, თავის მხრივ, დამატებითი საბუთები მოიპოვა ქართული „ლიმონარის“ არაბულზე დამოკიდებულების შესახებ. ასე შეიკრა მეცნიერთა წრე და საბოლოოდ გადაწყდა ქართულ „ლიმონართან“ დაკავშირებული საკამათო საკითხები.

ქრისტიანული არაბულიდან მომდინარე ქართულ თარგმანთა რიცხვი თანდათან იზრდებოდა. ეს პრობლემა დამკვიდრდა ხელნაწერთა ინსტიტუტის თემატიკაშიც. მომზადდა სპეციალისტი. ილ. აბულაძე ყველა ღონეს ხმარობდა, რომ ამ მიმართულებით მუშაობა გაგრძელებულიყო და ზრუნავდა საჭირო ლიტერატურის მოპოვებაზე.

1964 წელს მან გამოაქვეყნა თავისი უკანასკნელი წიგნი: „უძველესი რედაქციები ბასილი კესარიელის ექუსთა დღეთაჲსა და გრიგოლ ნოსელის კაცისა აგებულებისათჳს“. ბასილის „ექუსთა დღეთაჲ“ მანამდე ცნობილი იყო მხოლოდ ერთი გიორგისეული თარგმანით, თუმცა გამოთქმული იყო ვარაუდი, რომ უფრო ადრეული თარგმანიც უნდა არსებებოდა, სწორედ ამ უძველეს თარგმანს მიაკვლია ილ. აბულაძემ იერუსალიმის ხელნაწერებში. ენობრივი თავისებურებების მიხედვით მან განსაზღვრა თარგმანის დრო IX—X საუკუნეებით და გაარკვია გიორგისა და ამ თარგმანს შორის მიმართება.

სწავლობდა რა უმდიდრეს ქართულ თარგმნილ ლიტერატურას, ილ. აბულაძე ამავე დროს ცდილობდა გაერკვია, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა ამ ძეგლებს ორიგინალური მწერლობის განვითარებისათვის. რამდენად იყო გამოყენებული ეს მასალა ძველი ქართველი ავტორების მიერ.

6. მარი გრიგოლ ხანძთელის მისეული გამოცემის წინასიტყვაობაში გრიგოლ მერჩულეს ლიტერატურული წყაროების შესახებ წერდა: «Грузинская духовная литература настолько плохо изучена.—пока нет даже хотя бы не критических изданий громадного большинства памятников,— так что о перечне источников и пособий Георгия Мерчула и его продолжателя, о точном определении их ссылок не может быть и речи (Н. Я. Марр, Житие Григория Хандзейского, СПб, с. 20).

ეს ვითარება დღესაც დიდად არ შეცვლილა. უდიდესი უმრავლესობა უძველესი ქართული თარგმანებისა, რომლებიც ქმნიდნენ განათლების გარკვეულ ღონეს საქართველოში და ამდენად ქართული მწერლობის განვითარების საფუძველს, გამოცემული დღესაც არ არის. ამიტომ ქართული ორიგინალური მწერლობის წყაროების ძიება მკვლევრებს დღესაც უშუალოდ ხელნაწერებში უხდებათ, ეს რა თქმა უნდა, ადვილი როდია. ეს შეეძლოთ ქართული თარგმნითი ლიტერატურის ისეთ ჩინებულ მკოდნეებს, როგორებიც იყვნენ კ. კეკელიძე და ილ. აბულაძე.

ილ. აბულაძის სამეცნიერო პრობლემატიკაში ორიგინალური ავთოგრაფიული ძეგლების ლიტერატურული წყაროების ძიებას დიდი ადგილი ეკავა. მან მიაკვლია გიორგი მერჩულეს ერთ-ერთ წყაროს — იოანე ოქროპირის ცხოვრების უძველეს გამოუქვეყნებელ რედაქციაში, აბოს წამების ერთ-ერთი წყარო აღმოჩნდა ეპიფანე კვიპრელის საკითხავი, რომელიც მხოლოდ ერთადერთ ხელნაწერს, უდაბნოს მრავალთავს დაუცავს.

ასევე მიაკვლია ილია აბულაძემ „კოლაელთა მარტვილობის“ წყაროს „ლიმონარის“ დამატების ერთ-ერთ თხრობაში.

ხელი არ დაუკვლია ილ. აბულაძეს არც ორიგინალური აგვიოგრაფიული ძეგლების გამოცემისათვის, საკმარისია დავასახელოთ „მარტვილობა მუშანიისი“, — გამოცემა, რომელიც დიდხანს იქნება ტექსტის ფილოლოგიური და ისტორიულ-ლიტერატურული კვლევის მალალი ნიმუში.

მეტად მნიშვნელოვანია მეორე პუბლიკაცია: „ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები“. ამ გამოცემაში გამოქვეყნდა პირველად „ანასეული ქართლის ცხოვრების“ დანართის სახით მოღწეული იოანე ზედაზნელის ცხოვრება. გამოკვლევაში ავტორმა ასურელ მამათა ცხოვრებასთან დაკავშირებული მრავალი საკამათო საკითხი გაარკვია.

აქაც და ზემოდასახელებულ პუბლიკაციებში კრიტიკულად დადგენილი ტექსტების საიმედო წინადაგზე დამყარებული კვლევა-ძიება ილია აბულაძეს ყოველთვის სანდო და უყოყმანო დასკვნების გამოტანის საშუალებას აძლევდა. ორიგინალური აგვიოგრაფიული ძეგლების კვლევამ უფრო ფართო მასშტაბი მიიღო ხელნაწერთა ინსტიტუტის შექმნის შემდეგ.

ჯერ კიდევ იქამდე, სანამ ილ. აბულაძე დაინიშნებოდა სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილების გამგედ (1953 წ.), ის ყველაზე ერთგული მუშაკი იყო ამ განყოფილებისა. ყოველ თავისუფალ დროს იქ ატარებდა. 1939 წელს ივ. ჯავახიშვილის თაოსნობით და უშუალოდ მისი მონაწილეობით შედგა ქართულ ხელნაწერთა აღწერის ინსტრუქცია. ამ დროიდან ხელნაწერთა განყოფილების თანამშრომლები შეუდგნენ მუშაობას ხელნაწერთა აღწერილობაზე. II კოლექციის ხელნაწერთა აღწერილობის I ტომის გამოსაცემად მომზადების მძიმე ტვირთი და პატივიც ილ. აბულაძეს ერგო. ეს ტომი გამოქვეყნდა 1946 წელს. ამის შემდეგ მან კიდევ რამდენიმე ტომს გაუწია რედაქცია.

ხელნაწერთა განყოფილებაში მუშაობის დაწყებიდან ილ. აბულაძემ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია მუზეუმის მრავალეროვანი ფონდების ხელნაწერთა მეცნიერულ აღწერილობებს. დაიხვეწა არსებული ინსტრუქციები ქართულ ხელნაწერთა აღწერისა. შემუშავდა ახალი ინსტრუქციები აღმოსავლურ ხელნაწერთა აღწერისათვის. გამახვილდა ყურადღება ფონდებში დაცულ ქართველ საზოგადო მოღვაწეთა არქივების დამუშავებაზე.

იმ მასშტაბის ფილოლოგი და კოდიკოლოგი, როგორც ილ. აბულაძე იყო, არ შეიძლება აგრეთვე არ ყოფილიყო დაუფლებული მომიჯნავე დისციპლინებს — პალეოგრაფიასა და ეპიგრაფიკას. პალეოგრაფიის კურსს ის ხანგრძლივად კითხულობდა უნივერსიტეტში, ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტში კი ხელმძღვანელობდა ეპიგრაფიკის განყოფილებას.

უკანასკნელი მისი ნაშრომიც პალეოგრაფიული ხასიათისა იყო: «Замечание по поводу статьи П. М. Мурадяна «Армянская надпись храма Джвари»». ამ ნაშრომმა მრავალი ბუნდოვანი და საპოლემიო საკითხი გაარკვია.

ქართული ხელნაწერი ფონდების ჩინებულმა ცოდნამ და ხელნაწერებზე მუშაობის დროს დაგროვილმა პალეოგრაფიულმა და კოდიკოლოგიურმა დაკვირვებებმა საშუალება მისცეს ილ. აბულაძეს „ქართული დამწერლობის ნიმუშების“ მშვენიერი კრებული შეედგინა, რომელიც 1949 წელს უნივერსიტეტის გამომცემლობამ გამოსცა სტუდენტების სახელმძღვანელოდ. წიგნი, რა

ტქმა უნდა, თავისი ხასიათითა და მნიშვნელობით შორს სცილდება სახელმძღვანელოს და ფართო სამეცნიერო წრეებს წარმატებით ემსახურება. ამავე წელს მან გამოაქვეყნა ივ. ჯავახიშვილის „ქართული პალეოგრაფიის“ მეორე შევსებული გამოცემა. ორივე ეს წიგნი ილ. აბულაძემ გამოიყენა ინსტიტუტის თანამშრომლების გაწვრთნისათვის პალეოგრაფიასა და კოდოლოგიაში, რის შემდეგ ინსტიტუტის სამეცნიერო გეგმებში სისტემატურად შექმნა ხელნაწერთა კოდოლოგიური და პალეოგრაფიული შესწავლა. ქართული პალეოგრაფიის საკითხებზე ინსტიტუტში ორი დისერტაცია კი მომზადდა.

ილია აბულაძე მუდამ ახალი მასალის ძიებასა და კვლევაში იყო. მის განკარგულებაში კი ყოველთვის იყო ჯერ შეუსწავლელი ხელნაწერები და ახალი სამეცნიერო პრობლემები. ძიებისა და კვლევის პროცესი მას უდიდეს სიხარულს ჰგვრიდა, რომელსაც არაფერში გაცვლიდა.

ილ. აბულაძე ადვილ საქმეებს არასდროს არ ჰკიდებდა ხელს. რაც უფრო რთული და საკამათო იყო ესა თუ ის საკვლევი პრობლემა, მით უფრო შეუპოვრად შეებმებოდა ხოლმე.

აბულაძის შრომებში ძნელი შეცდომების ან მოუმიწიფებელი ვარაუდების პოვნა. მასთან ყოველი სიტყვა აწონილი და არგუმენტირებულია და მასალის ბრწყინვალე ცოდნაზეა დამყარებული.

ილია აბულაძის მრავალი პატივისმცემელი, ხოლო მის შრომებს მრავალი დამფასებელი ჰყავს როგორც საქართველოში, ასევე უცხოეთში. უცხოეთში მას ბევრი მეგობარიც ეგულებოდა, რომელთაც ილია აბულაძის უდროო წასვლამ დიდად დასწყვიტა გული. აქ პირველ რიგში უნდა მოვიხსენიოთ პროფ. ჰანს ფოხტი, რომელთანაც ილია აბულაძეს ხანგრძლივი სამეცნიერო და მეგობრული ურთიერთობა აკავშირებდა. საქართველოში გრძელვადიანი სამეცნიერო მივლინებით ჩამოსულ ჰანს ფოხტს ილ. აბულაძე ასწავლიდა ქართულ ენას. მაღლიერმა მოწაფემ მის ხსოვნას უძღვნა თავისი ფუნდამენტური ნაშრომი „ქართული ენის გრამატიკა“. სახელოვანი ორიენტალისტი ე. ვარიტი კი მისდამი მიძღვნილ წერილში ასე აფასებდა ილია აბულაძის სამეცნიერო მოღვაწეობას: „ილია აბულაძემ, მესვეურმა ხელნაწერთა ინსტიტუტისა (სადაც დაცულია იმ ქართულ ხელნაწერთა უმრავლესობა, რომლებიც დღეს არსებობენ) ხელნაწერთა შესწავლას მისცა ისეთი იმპულსი, რომელმაც შექმნა ახალი ეტაპი ქართული კოდოლოგიის ისტორიაში...“

ილია აბულაძის შრომები ხასიათდება უმაღლესი მეცნიერული ღირსებებით. ეს ყველაფერში ჩანს: მის დაუღალავ და შეუპოვარ შრომაში, მის მკაცრ ობიექტურობაში, მის ფილოლოგიურ და პალეოგრაფიულ აკრიბიაში, ლინგვისტურ დაკვირვებებში, მის უნაკლო ერუდიციაში და კრიტიკული გონების სიღრმეში. მისმა პუბლიკაციებმა ძალიან მაღალი შეფასება მიიღეს ყველა სპეციალისტისა არა მარტო მის ქვეყანაში, არამედ უცხოეთში.

ხელნაწერთა ინსტიტუტის დირექტორმა, — ვანაგროძის ე. ვარიტი, — ქართული ფილოლოგია გაამდიდრა სოლიდური და მყარი შენაძენით. მან თან წარიტანა მაღლიერების გრძნობა მრავალი მკვლევარისა, ვინაიდან მისმა გამოცემებმა გააცნეს, გზა გაუხსნეს და ხელმისაწვდომი გახადეს მრავალი შესანიშნავი ძეგლი ძველი ქართული მწერლობისა. ბევრ ჩვენგანს დიდხანს ესხომება ის კეთილშობილი თავაზიანობა, რომლითაც ის გვიმსუბუქებდა, გვამხნევებდა და გვეხმარებოდა ჩვენს შრომაში. მუდამ გვეხსომება მისი ღიმილიანი სტუ-

მართოყვარება, რომლითაც ის ღებულობდა მომსვლელებს თავის შესწავლაში
ნავ ინსტიტუტში.

ჩვენ თავს ვხრით დიდი გრძნობით, პატივისცემითა და თაყვანისცემით დი-
დი და თავმდაბალი მეცნიერის წინაშე, რომელიც ძალიან ადრე გამოაყლდა მეც-
ნიერებას, სამშობლოს, კოლეგებსა და მეგობრებს“.

დღეს, როდესაც 15 წელი გავიდა ილია აბულაძის გარდაცვალებიდან და
შეიძლება მთელ მის მოღვაწეობას და მის პიროვნებას გარკვეული მანძილიდან
შევხედოთ, უფრო მკვეთრად გამოიკვეთა მისი, როგორც მეცნიერის, პიროვნუ-
ლი თვისებები და მისი მოღვაწეობაა მნიშვნელოვანი. თავმდაბალი, უპრეტენ-
ზიო, ჩუმი და უხმაურად მომუშავე მეცნიერი დიდ ეროვნულ საქმეს ემსახუ-
რებოდა მაღალი სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი პოზიციებიდან.

მლ. მებრძველი.

მანია რაფაბა

„რაზი მუშაობთ, რას აკვირებთ?..“

(ილ. აბულაძის მიმოწერიდან საბჭოთა და უცხოელ მეცნიერებთან)

პიროვნების სახის წარმოჩენის უპირველეს საზომს მისი მოქალაქეობრივი რაობა წარმოადგენს. ყველაზე დიდი მეცნიერი თუ ყველაზე დიდი ხელოვანი თავისი პირადული მსოფლგაგებისა და მეობის ამარა დარჩება, თუ მის შემოქმედებაში საზოგადოების, სხვა ადამიანის ინტერესები და ტკივილი არ აისახა, თუ მას ერის ისტორიულმა ამოცანებმა არ უბიძგა. ამ მხრივ ბატონი ილიას ცხოვრება სანიმუშო იყო.

მისი სამეცნიერო მოღვაწეობის შესახებ ბევრის თქმა შეიძლება, მაგრამ ასევე დასაფასებელია ბატონი ილიას საზოგადოებრივი, მოქალაქეობრივი, ღვაწლი თავისი ერის, ქართული კულტურის წინაშე, ქართული სიტყვის წინაშე. იგი ისეთი გატაცებით, განუყოფელი სიყვარულით უკაფავდა გზას ქართულ სიტყვას, ისეთი რუღუნებით უვლიდა ჩვენი მწერლობის თითოეულ კვალს, რომ ეპყვარეშეა, ბ-ნი ილიას ყოველი დღე, ალბათ, ამ ფიქრით დამდებოდა: „დღეს მე ვის რა ვარგეო“? არგო, ნამდვილად ბევრს არგო!

ილია აბულაძის უდიდესი დამსახურება ქართული კულტურის წინაშე მხოლოდ მისი მეცნიერული თუ პედაგოგიური მოღვაწეობით როდი განისაზღვრება. ბ-ნმა ილიამ თავისი ადამიანური ენერჯის, თავისი ნიჭის ყოველი გამოწვევა იმ საქმეს მოახმარა, რომ ქართული მწერლობის, ჩვენი ტექსტების მადლს არაქართველი მკითხველიც აზიარა.

ხელნაწერთა ინსტიტუტში ყოფნისას, თუ უფრო ადრე, ილია აბულაძეს მჭიდრო კონტაქტები ჰქონდა რუსეთისა და საზღვარგარეთის მეცნიერებთან, რომელნიც დაინტერესებულნი იყვნენ ქართველოლოგიისა და არმენოლოგიის საკითხებით.

ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულია ილია აბულაძის პირადი არქივი, რომლის ერთ დიდ ნაწილს წარმოადგენს მისი პირადი მიმოწერა გამოჩენილ ქართველ, რუს თუ უცხოელ მეცნიერებთან. ამ წერილებიდან ჩანს, თუ რა ფართო იყო ი. აბულაძის ინტერესების და ძიებათა პორიზონტი, როგორი მრავალმხრივი იყო საკითხები, რომლებზეც წლების მანძილზე იღვწოდა ბ-ნი ილია. მისი მეცნიერული ინტერესები თანაბრად წვდებოდა ძვ. ქართულ მწერლობას, ენათმეცნიერებას, პალეოგრაფიას, ეპიგრაფიკას და სხვ. მისი უზომოდ შრომატევადი საქმიანობა მეცნიერული ნაღვაწის: გამოკვლევების, წიგნების, ცალკეული სტატიების, რეცენზიებისა თუ მოხსენებების გარდა შესანიშნავად აისახა სწორედ მის პირად წერილებში.

თვალს გადაავლებთ ამ წერილებს და აშკარად იგრძნობთ იმ დიდ ზრუნ-

ვას, რომელსაც იჩენდა მეცნიერი თითოეული ძველი ტექსტის მიმართ. სხვა
ბისადმი ვაგზავნილ წერილებში იგი ცდილობს გაიგოს რამე ახალი, მიიღოს
რამე დამატებითი ცნობა მისთვის საინტერესო საკითხებზე. ყოველ წერილში
(ასეთი წერილი კი უამრავია) მას ეკითხებიან, მეცნიერულ კონსულტაციას
იღებენ, თხოვენ, განუმარტოს გაუგებარი რაიმე საკითხი, მიაკვლიენოს ესა
თუ ის წყარო.

როგორც დაუზარელი ფუტკარი, ისე იღვწოდა ბ-ნი ილია, რომ ყოველი
მხრიდან სხვადასხვა მეცნიერის საშუალებით ახლად დაარსებული ხელნაწერთა
ინსტიტუტისათვის შემოეკრიბა ძველი ქართული თუ სომხური მწერლობის
კვლევისათვის აუცილებელი ლიტერატურა, მიეღო მიკროფილმები, ფოტო-
ები, ყველგან და ყველაფერს წვდებოდა მისი ფხიზელი თვალი.

ამ წერილებიდან ჩანს, როგორ იღვწოდა ბ-ნი ილია უცხოეთიდან სამეც-
ნიერო ლიტერატურის მიღებაზე. იგი მიმართავს ფრანგ, ინგლისელ, ბელგიელ,
გერმანელ, პოლონელ, ამერიკელ მეცნიერებს.

1962 წ. ბ-ნი ილია წერდა ფრანგ ქართველოლოგს, ჟერარ გარიტს:

„რაზე მუშაობთ, რას აქვეყნებთ ან ამზადებთ გამოსაცემად? ძლიერ საინ-
ტერესოა. მე ცალკე წიგნად ვამზადებ გამოსაქვეყნებლად ბასილი კესარიელის
„ექუსთა დღეთათჳს“ და გრიგოლ ნოსელის „კაცისა შესაქმისათჳს“ უძველეს
რედაქციებს უძველესი ნუსხების მიხედვით (№ 389)“.

დაახლოებით ასეთი ინტერესით სუნთქავს ყოველი წერილი: „რაზე მუშა-
ობთ, რას აქვეყნებთ?“. უცხოელ მეცნიერებთან მჭიდრო კონტაქტი საშუალე-
ბას აძლევდა ბ-ნი ილიას, ასევე მის თანამშრომლებს, მის მოწაფეებს მუდამ აქ-
ტიურად ედევნებინათ თვალი მეცნიერების განვითარებისათვის.

უცხოელ მეცნიერთა წერილებიც გამთბარია დიდი მადლობითა და პატი-
ვისცემით ილ. აბულაძისადმი, რომ იგი მუდამ დაუზარებლად აწვდის მათ ქარ-
თველ მეცნიერთა გამოცემებს, მათთვის საჭირო ტექსტების თუ ფრაგმენტე-
ბის მიკროფილმებს.

ერთ-ერთ წერილში ვატიკანის პაპის ბიბლიოთეკის პრეფექტი ანსელმო
ალბარედა დიდ კმაყოფილებას გამოთქვამს იმის გამო, რომ ხელნაწერთა ინს-
ტიტუტსა და პაპის ბიბლიოთეკას შორის იწყება პუბლიკაციათა გაცვლა (№
145). გერმანელი მეცნიერი იულიუს ასფალგი, რომელსაც ხშირი მიმოწერა
ჰქონდა ილია აბულაძესთან, თავის აღრინდელ წერილში გამოთქვამს სურვილს,
რომ დასავლეთ გერმანიის მეცნიერებს გააცნოს თბილისის ხელნაწერთა ინს-
ტიტუტის გამოცემები. ი. ასფალგი მადლობას უხდის ბ-ნი ილიას ბიუნხენის
სახელმწიფო ბიბლიოთეკასთან წიგნების გაცვლისათვის: „ვიმედოვნებ, რომ ეს
ბიბლიოთეკა დროთა განმავლობაში გახდება ცენტრი ქართული ლიტერატურ-
ის განვითარებისა გერმანიაში“ (N 425—26).

იგივე იულიუს ასფალგი ატყობინებს ბ-ნი ილიას, რომ ხელნაწერთა ინს-
ტიტუტისათვის საჭირო წიგნები მას შეუკვეთია ვენეციაში, ხოლო გერმანულ
ჟურნალებში აგზავნის ბიბლიოგრაფიულ ცნობებს თბილისში გამოცემულ მნი-
შვნელოვან შრომებზე (№ 423, 428).

ასეთი სურვილი მარტო იულიუს ასფალგს როდი აქვს გამოთქმული.

აი, რამდენიმე ის ადრესატი, რომელთანაც ილია აბულაძეს ჰქონდა მიმო-
წერა წიგნებისა თუ მიკროფილმების გაცვლის თაობაზე:

1 რიცხვები მიუთითებენ ილ. აბულაძის პირადი არქივის ნომრებს (არქივი დაცულია ხელნა-
წერთა ინსტიტუტში).

ქ. მარჯაოს სახ. საქ. სსრ
სახელმწიფო არქივი
თბილისი

ბრიტანეთის მუზეუმის აღმოსავლური წიგნებისა და ხელნაწერების განყოფილების ხელმძღვანელი კ. გარდნერი; გეტინგენის უნივერსიტეტის პროფესორი, თეოლოგიის კანდიდატი ქრ. ბურხარდი; პარიზის ტექსტების კვლევისა და ისტორიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე ე. ბრაიერი; გერმანიის მეცნ. აკადემიის ბიბლიოთეკის განყ. გამგე შუმანი; გერმანიის აღმოსავლურ ხელნაწ. კატალოგიზაციის დირექტორი ფოგტი; ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი რ. ბლეიკი; ოქსფორდის ბოდლეს ბიბლიოთეკის თანამშრომელი გ. გეი; პარიზის კათოლიკური ინსტიტუტის ძველი აღმოსავლური სკოლის პრეზიდენტი შ. მერსიე; ინგლისელი მეცნიერი, ქართველოლოგი დ. ლანგი; ვარშავის ბიბლიოთეკის დირექტორი სერაფინ მიხალევსკი; ნორვეგიის კულტურათა შედარებითი შესწავლის ინსტიტუტის თანამშრომელი სოლვეიგ ოტო; ლონდონის უნივერსიტეტის თანამშრომელი რ. სტევენსი; კათოლიკური ინსტიტუტის პრეზიდენტი შ. ჰერსილი; ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი სირაპი ნერსესიანი; გამოჩენილი სომეხი მეცნიერები ჰრ. აჭარიანი და ლ. ხაჩიკიანი.

მთავარი მიანიც ის არის, რომ ეს მიმოწერა ნათელს ხდის იმ დიდ ავტორიტეტს, რითაც სარგებლობდა ბატონი ილია საბჭოთა თუ უცხოელ მეცნიერთა წინაშე. იგი წარმოდგება როგორც მეტრი, რომელსაც მიმართავენ რჩევისათვის და იგიც დაუზარებლად აძლევს მეცნიერულ კონსულტაციას ქართველოლოგიურ, თუ არმენოლოგიურ პრობლემებზე.

1961 წ. იგი აცნობებს იულიუს ასფალგს, რომ რამდენიმე ქართული ფრაგმენტი, რომელიც მისთვის გამოუგზავნია ასფალგს, ყოფილა ალექსანდრე კვიპრელის ნაწარმოები: „საკითხავი პოენისათვის პათისნისა და ცხოველსყოფლისა ჭუარისა“. უსახელებს სხვა ხელნაწერებსაც, სადაც ეს ფრაგმენტები დაცული და ურკვევს მათ წყაროებსაც (№ 388).

ინგლისელ მეცნიერს დ. ლანგს პირდება, რომ კონსულტაციას გაუწევს „ბალავარიანის“ ინგლისურად თარგმნისას, ხოლო იუნესკოს კულტურული განყოფილების დირექტორს — რუდოლფ სალატის აცნობებს თავის აზრს „ბალავარიანის“ წინასიტყვაობის თაობაზე, რომლის დაწერაც ბ-ნ ილიას შესთავაზეს.

განსაკუთრებით ხშირი ურთიერთკონსულტაცია ჰქონდა ბ-ნ ილიას უცხოელ ქართველოლოგებთან: იულიუს ასფალგთან, ყერარ გარიტთან და ნორვეგიელ მეცნიერ ჰანს ფოგტთან. ი. ასფალგი კონსულტაციებს იღებდა გერმანულ ბიბლიოთეკებში დაცული ქართული, სომხური და სირიული ხელნაწერების კატალოგის შედგენისას: სხვადასხვა ფრაგმენტის რაობისა და წყაროების დადგენაზე. იულიუს ასფალგი ატყობინებს ასევე სხვა უცხოელი ქართველოლოგების საქმიანობაზეც, ხოლო ჰანს ფოგტთან ბ-ნ ილიას აკავშირებდა კავკასიური ლინგვისტიკის საკითხები.

მრავალმხრივი იყო ინტერესთა ის სფერო, რომლითაც უცხოელი მეცნიერები მიმართავდნენ ილია აბულაძეს. მაგ.: გეტინგენის უნივერსიტეტის ლექტორი ბურხარდი სთხოვს ბ-ნ ილიას შეატყობინოს, თუ სად არის დაცული ხელნაწერი, რომელიც შეიცავს ძველ ებრაულ აპოკრიფულ შრომას (№ 466).

სომეხი ენათმეცნიერი ჰრ. აჭარიანი სთხოვს მისი წიგნის „სომხური ენის ისტორიის“ რეცენზირებას (№ 456).

უტას უნივერსიტეტის სახვითი ხელოვნების კოლეჯის დირექტორი პროფ. ალვინ გიტინსი (1962 წ.) თხოულობს ცნობებს ქართველთა სამონასტრო მოღვაწეობაზე ანტიოქიასა და პალესტინაში (№ 489).



ბარის უნივერსიტეტის პალეოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორი დ. ფელიქსი
 ტორი გულიელმო კავალო სთხოვს ცნობებს გრ. წერეთლის კოლექციის
 ცული ბერძნული ფრაგმენტების შესახებ (№ 497).

ბ-ნ ილიას სთხოვენ გამოკვლევებს სხვადასხვა საზღვარგარეთული გამო-
 ცემებისათვის. თუ რამდენად აღიარებული ავტორიტეტი იყო ილია აბულაძე
 უცხოელი მეცნიერებისათვის, ჩანს შემდეგი ფაქტიდანაც:

სომხეთის მატენადარანის დირექტორი ლ. ხაჩიკიანი აცნობებს ბ-ნ ილიას,
 რომ გერმანიიდან იულიუს ასფალგს მათთვის უთხოვია გრიგოლ ნოსელის შრო-
 მის „კაცისა შესაქმნისათვის“ სომხური ხელნაწერი. მატენადარანის დირექცია მი-
 მართავს ბ-ნ ილიას რჩევისათვის: რომელი სომხური ხელნაწერი გაუზზავნონ
 ასფალგს, როგორც საუკეთესო. თვით იულიუს ასფალგს უთხოვია მატენადარ-
 ანის დირექტორისათვის, ილ. აბულაძეს მიმართეთ რჩევისათვის (№ 623).

ამ მიმოწერიდან ცალკეული წერილების ამოღება შორს წაგვიყვანდა. და-
 ვასახელებთ მხოლოდ ერთს, როგორც ნიმუშს ბ-ნი ილიას მოქალაქეობრივ-
 მამულშვილური სულისკვეთებისა. ამ წერილიდან (№ 562) ირკვევა, რომ ილია
 აბულაძეს მიუმართავს პარიზის ბუნებისმეტყველების ნაციონალური მუზეუ-
 მის კრიბტოგამიის ლაბორატორიისათვის დაავადებული ხელნაწერების მკურ-
 ნალობის თაობაზე, საიდანაც 1964 წ. მოუვიდა ამ ლაბორატორიის თანამშრომ-
 ლის ფრანსუაზა ფლიდერის პასუხი, რომ მოხატული ხელნაწერების რესტავ-
 რაციის შესახებ მათ ჯერ-ჯერობით არ შეუძლიათ რაიმე რეალური რჩევის მი-
 ცემა. ცნობილია, რამდენად აინტერესებდა ქართული ხელნაწერების ფიზიკუ-
 რი მდგომარეობა მათ მუდმივ მოამაგესა და მათთვის თავდადებულ ილ. აბუ-
 ლაძეს.

ხელნაწერები, მათი დაცვა და მათი ბედი იყო მისი ყოველდღიური ზრუნ-
 ვისა და ფხიზლობის საგანი. ხელნაწერები იყო მისი საუკეთესო მეგობარი, ხელ-
 ნაწერებმა დააახლოვა იგი უცხოელ ქართველოლოგებს.

ზოგ მათგანთან მეცნიერულ საკითხებზე ურთიერთობამ შემდგომში გული-
 თადი მეგობრული ხასიათი მიიღო. ჯერ კიდევ 30-იან წლებში დაუმეგობრდა
 იგი ცნობილ ნორვეგიელ მეცნიერს ჰანს ფოგტს, რომელიც საქართველოში
 ჩამოვიდა ქართული ენის შესასწავლად.

„რატომ არ ჩამოხვედი თბილისში, — წერს იგი ჰ. ფოგტს 1960 წ., — გე-
 ლოდი; მე შეძლებისდაგვარად ვმუშაობ. ქართული ტექსტები ულევია და მი-
 თი ვირთობ თავს. ამასთან ამ დროში სხვასაც ვამუშავებ“ (№ 403).

ხოლო ოსლოდან ჰ. ფოგტი თავის აღტაცებას უზიარებს შესანიშნავი დღე-
 იბის გამო. „არაჩვეულებრივი გაზაფხული გვაქვს ოსლოში. არყის ხეები მწვანე
 ფოთლებით მაისამდე — ეს ოც წელიწადში ერთხელ ხდება“ (№ 595).

„ჩემო ილიკო, ჩემო ოხჩუმო, გულითადო მეგობარო“, — ასე მიმართავს
 იგი თავის წერილებში ბ-ნ ილიას.

1966 წ. საქართველოდან გამგზავრებული ჰ. ფოგტი უზომო მადლობას უხ-
 დის ბ-ნ ილიას თბილისში გატარებული დღეებისათვის: „ყველაფრისათვის,
 ძვირფასო მეგობარო, გმადლობთ. ვინ იცის, კიდევ ვნახავთ ერთმანეთს?“
 (№ 592). ველარც ნახეს.

მეგობრისადმი გულწრფელმა გრძნობამ უკარნახა, ალბათ, რომ ჰ. ფოგტმა
 თავისი „ქართული ენის გრამატიკა“, ოსლოში ფრანგულ ენაზე გამოცემული
 1971 წ., მიუძღვნა ბატონ ილიას წარწერით: „ჩემი მასწავლებლისა და ერთ-
 ვული მეგობრის ილია აბულაძის ხსოვნას“.



ი. აბულაძემ თავისი ბოლო ამოსუნთქვა ხელნაწერებს შეაღია. „ამჟამად ვამუშავებო“, — ამბობდა იგი და, მართლაც, მან თავის გარშემო (როგორც ჩვენში, ისე უცხოეთში) მრავალი სპეციალისტი შემოიკრიბა, რომელთაც დროისა და ენერჯიის დაუზოგავად აზიარებდა ქართული ხელნაწერების სიყვარულსა და ერთგულებას. ამ ხელნაწერებს დიდხანს შერჩებათ ი. აბულაძის ძიების, შრომისმოყვარეობისა და ყოველწუთიერი ფუსფუსის კვალი, ვინაიდან, როგორც ი. გრიშაშვილი ერთ-ერთ წერილში წერდა ბ-ნ ილიაზე, მან ყველაფერს „თავისი მადლიანი ნიჭის ანარეკლი მიაშუქა“.

ალექსანდრე ბარამიძე

სამუშვილდის წარწერის დარეჯანი

რუსთველის ვეფხისტყაოსანი ჩვენი ხალხის შემოქმედებითი გენიის ნაყოფია, რომელმაც უზარმაზარი ზემოქმედება მოახდინა ქართველობის სულიერი ცხოვრების ფორმირებაზე. ვეფხისტყაოსნის, ისე როგორც ქართული საერო-მხატვრული მწერლობის სხვა მნიშვნელოვანი ძეგლების, პერსონაჟთა სახელების წრემ გადალახა საეკლესიო კალენდარული ჯებირი და მტკიცე ადგილი დაიკავა ეროვნულ ონომასტიკონში.

თინათინის სახელი დამოწმებული უნდა გვექონდეს თამარინის ბიბლიოგრაფიულ მინაწერში:

მოხევეს ძეთა, ჩახრუხას-ძეთა ექო თამარი, მეფე წყლიანი,
მათი სიმეტე, ბრძენთა სირეტე თინათინ ვაქო, ბალი წყლიანი,
ა ეს თინათინ, ნუ ეს თინათინ, არაბეთს იყო სულად იანი.

ამ სტროფში თინათინი (მზის თინათინი), თუ თინათინობა (მზის თინათინობა) განეკუთვნება თამარს. აი, ეს თინათინი (ე. ი. თამარი) და არა ის თინათინი, რომელიც არაბეთს იყო (ე. ი. ვეფხისტყაოსნის პერსონაჟი, როსტევეან მეფის ასული). სამწუხაროდ, მოყვანილი ტექსტის ზუსტი დათარიღება არ ხერხდება, მისი ადრინდელი წარმოშობილობა კი ჩვენთვის უდავოა. იქნებ, სწორიც იყოს პ. ინგოროყვას ვარაუდი, მინაწერის ავტორი თამარს ცოცხალ პირად ჰგულობსო: „ა ეს თინათინ, ნუ ის თინათინ“¹.

ვეფხისტყაოსნის ცენტრალური ვაჟი პერსონაჟის — ტარიელის სახელი ნიკო მარის მოწმობის თანახმად მოიპოვება 1225 წლის ერთ სამონასტრო სომხურ წარწერაში. ტარიელი მოიხსენიება ვინმე დავითის მამის სახელადო².

სახელი ნესტან-დარეჯანი გავრცელებული ყოფილა შუა აზიის არაბული მოსახლეობის ფოლკლორში³ ამ სახელს იცნობს ნიზამი განჯელი⁴. ამ გარემოებაზე მითითებული აქვს ე. ბერტელსს⁵.

ნესტან-დარეჯანი და ვეფხისტყაოსნის პერსონაჟთა სხვა სახელები ფართოდ გავრცელდა პოემის წყალობით. ჩვენამდე მოღწეული და გამოვლენილი წყაროების კვალობაზე⁶, ნესტან-დარეჯანი პირველად იხსენიება 1397 წლის სი-

¹ პ. ინგოროყვა, ჩახრუხას-ძე: პოეტი-მოგზაური, „კავკასიონი“, 1924, № 1—2, გვ. 276).

² Н. Я. Марр, Грузинская поэма «Витязь в барсовой шкуре» Шоты из Рустава и новая культурно-историческая проблема, ИАН, 1917, с. 503.

³ გ. წერეთელი, ნესტან-დარეჯანი შუა აზიის არაბულ ფოლკლორში. „ენიმის მოამბე“, 1938, III, გვ. 1—2.

⁴ შარაფ-ნამე, სპარსულ ენაზე, ბაქო, 1947, გვ. 388, 396, 473.

⁵ Шараф-Наме, Перевод и редакция Е. Э. Бертельса. Баку, 1940, с. 308, прим. 2.

⁶ სათანადო მასალები მომწოდა ვალერი სილოგავამ, რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებ.



გელში, როგორც მეფეთ-მეფე ალექსანდრეს მეუღლეს⁷. XV ს-დან ცნობილია დედოფალი ნესტან-დარეჯანი, თანამეცხედრე გიორგი IX-ისა და დედა კახეთის მეფის ალექსანდრესი⁸. XVI ს. (1520 წლიდან) იხსენიება ათაბაგ ყუთარყუარეს მეუღლე, ნინო-ყოფილი ნესტან-დარეჯანი⁹. შემდეგ ხანებში ნესტან-დარეჯანის სახელი ხშირი ხდება. ნესტან-დარეჯანი კომპოზიტური აგებულების სახელია და ორი ნაწილისაგან შედგება: ნესტანი და დარეჯანი. შემდგომ დროებში ეს რთული შედგენილობის სახელი დანაწევრდა და ცალ-ცალკე გავრცელდა. პირველად 1682 წლის საბუთით არის ცნობილი სახელი დარეჯანი, ასული ვახტანგ მდივანბეგისა და თამარისა, მამიდაშვილი ფანასკერტელ-ციციშვილის ციცისა¹⁰. სახელის ეს სახეობა შემდგომ ხშირდება. სახელი ნესტანი — დამოუკიდებელი ფორმით — ძველ წყაროებში არ ჩანს. ამგვარად, სახელი დარეჯანი თითქო მხოლოდ XVII ს-ში ჩნდება. მაგრამ როგორც ირკვევა, ასე არ არის. საძიებელ საკითხთან დაკავშირებით ჩემი ყურადღება მიიპყრო ექვთიმე თაყაიშვილის მიერ 1904 წელს გამოქვეყნებულმა სამშვილდის წარწერამ¹¹. ამ წარწერის თაობაზე ე. თაყაიშვილს საჯარო მოხსენება წაუკითხავს 1901 წლის 27 ოქტომბერს. სამშვილდის წარწერა დიდია და ძალზე დაზიანებულია. ჩემს საგანგებო ინტერესს იწვევს ვრცელი წარწერის შემდეგი ნაწყვეტი (ტექსტი მოგვყავს სტრიქონ-სტრიქონ ე. თაყაიშვილის პუბლიკაციის მიხედვით):

1. . . . ნმე. ლთით ეე მნ ვჩმნ კა: თილ. . . . კრი ესე
2. . . . დე. . . ცი. . . ყმთ [სამშ]ვლდესა: გენბა: შენება ციხესა:¹² შინა
3. . . . გგრ გლ: დნი. . . გგაშშნა. . . ჯე: ლ. . . ეს.
4. . . . ხთი: თა. . . ციხე: ჯ. . . ო. . . ლის დარეჯანმან.
5. . . . ლ: ცხ. თ. რეასსა ბლი. . . ციხე და ესე ლა: და დიდი
6. . . . თახ:ლისაჲ წა: ი. . . . ა დიჯრთ. . . ლნ: მცლისაჲ
7. . . . რთ:ხ. . . ჲ მხსა ეკლესაჲ წისა თესი: სმ.
8. . . . სალცელდ ჯა. თა ვეისათა: დავ.

ტექსტი ე. თაყაიშვილს დაბეჭდილი აქვს ასომთავრულად, ქარაგმები არ გაუხსნია და არც დაზიანებული ადგილები აღუდგენია ერთადერთი შემთხვევის გარდა: აღდგენილია და შესაფერისი ასოები კვადრატულ ფრჩხილებშია ჩამოშლილი სიტყვა „[სამშ]ვლდესა“, თუმცა იგი დაუტოვებია ასონაკლულად (სამშვლდესა: სამშვილდესა). წარწერა იმდენად დაზიანებულია, რომ იქიდან რაიმე გარკვეული იზრის გამოტანა ჭირს. თარგმანით კი მკვლევარს მწყობრად გაუაზრებია ნაწყვეტის შინაარსი: «Из приведенных отрывков этой надписи можно вывести заключение, что некий эристав эриставов Ваче (?)¹³ и супруга его Дареджан в Самшвилдской крепости построили церковь во имя святого Феодора»¹⁴. ე. თაყაიშვილის ინტერპრეტაციის თანახმად, ვილაც ერისთავთ-ერისთავ ვაჩეს (?) და მის მეუღლე დარეჯანს სამშვილდეში აუგიათ წმ. თევდორეს სახელობის ტაძარი. ე. თაყაიშვილს არ უტყდია წარწერაში მოხსენიებულ

⁷ თ. ქორდანია, ქრონიკები, II, გვ. 202.
⁸ ქრონიკები, II, გვ. 277, 280; საისტორიო მოამბე, 1924, II, გვ. 40—43.
⁹ ქრონიკები, II, გვ. 347.
¹⁰ ხელნაწერთა ინსტიტუტის Ad-641.
¹¹ Известия КОМАО. в. I, Тифл., 1904, с. 42—46.
¹² ე. თაყაიშვილს აქვს: ციხესა.
¹³ კითხვითი ნიშანი თაყაიშვილისაა.
¹⁴ Известия КОМАО, . . . с. 44.



პირთა ვინაობის გარკვევა, მაგრამ მას გამოქვეყნებული აქვს აგრეთვე წარწერა მარჯვენა მხარის შედარებით ნაკლებ დაზიანებული ნაწყვეტის ტექსტიც, რომლის შინაარსი რუსულად ასე უღერს: «Из этой надписи можно заключить, что Эристав эриставов и ипертимос (кажется Аваг Хурцидзе) в царствование царя абхазов, картвелов, ранцев и кахетинцев Давида и сына его... пожертвовал церкви купленное им поместье. В конце следует проклятие тому, кто изменит определение жертвователя»¹⁵.

დასასრულ ე. თაყაიშვილი ამბობს, რომ კარიბჭის ზევით, დასავლეთის მხარეს, ყოფილა ახლა გადასული წარწერა, რომლისგან მხოლოდ შემდეგის ამოკითხვა შეეძელიო: «სახელითა ღთისათა ბრძანებითა ღთ (მეფისა)... Речь идет, вероятно, о Давиде Возобновителе (1089—1125)»¹⁶.

სამშვილდის წარწერა ე. თაყაიშვილის ვარაუდით („вероятно“) დავით აღმაშენებლის დროისაა, და, მამასადამე, არა უგვიანესი XII საუკუნის პირველი მეოთხედისა. ე. თაყაიშვილი შენიშნავს, რომ საანალიზო წარწერა პირველად ზდება ცნობილი¹⁷. ე. თაყაიშვილის შემდეგ გარკვეული მიზანდასახულობის გამო ეს წარწერა საგანგებოდ შეისწავლა და განიხილა შოთა მესხიამ თავის დიდად საყურადღებო ნაშრომში „საშინაო პოლიტიკური ვითარება და სამოხელეო წყობა XII ს. საქართველოში“ (თბილისი, 1979), რომელიც ავტორის გარდაცვალების შემდეგ დაიბეჭდა. შ. მესხიას წარწერა თვითონ არ შეუმოწმებია, ის ემყარება მხოლოდ ე. თაყაიშვილის პუბლიკაციას. შ. მესხია უყოყმანოდ და გადაჭრით იმ აზრს ადგას, რომ წარწერა სააღმშენებლო ხასიათისაა, აღმშენებელია ერისთავთ-ერისთავი ვაჩე (კითხვითი ნიშნის გარეშე). ამ ვაჩე ერისთავთ-ერისთავს და მის მეუღლე დარეჯანს ენებათ „ციხესა შინა შენება“, მაგრამ კონკრეტულად თუ რა ააშენეს, წარწერის დაზიანების გამო, სამწუხაროდ, არ ჩანს¹⁸. შ. მესხიას გამოკვლევის თანახმად, თურქთაგან განთავისუფლების, ე. ი. 1110 წლის, შემდეგ სამშვილდე მეფეს ორბელებისათვის უბოძებია. შ. მესხიას აზრით, ორბელები სამშვილდის მფლობელნი შეიძლება ყოფილიყვნენ დემნას აჯანყებამდის. ამის კვალობაზე, ასკენის შ. მესხია, „ერისთავთ-ერისთავი ვაჩე“ ამ მხარის ერისთავად მხოლოდ გიორგი III-ის მეფობის ბოლო წლებში, ორბელთა დამხობის შემდეგ და თამარის დროს შეიძლებოდა ყოფილიყო¹⁹. შ. მესხიასათვის ცხადია, რომ სამშვილდის წარწერა უეჭველად XII საუკუნისაა. იგი უფრო იქითკენ იხრება, რომ წარწერა ამ საუკუნის 80-იან წლებს უნდა ეკუთვნოდესო. კი, მაგრამ მაშინ რა ვუყოთ დავით აღმაშენებლის მოხსენიებას, რომლის დროსაც მოღვაწეობდა ვაჩედ მიჩნეული უცნობი ერისთავთ-ერისთავი? უფრო თანმიმდევრულია ე. თაყაიშვილის ვარაუდი, რომ სააღმშენებლო წარწერა XII ს. პირველი მეოთხედისააო.

სამშვილდის წარწერას ჩვენ დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ. ამიტომაც გადაწყვიტეთ მოგვეწყო პატარა ექსპედიცია და ადგილზე შეგვემოწმებინა, კერძოდ, წარწერის ზემოთ მოყვანილი ნაწყვეტი. რალა თქმა უნდა, პირველად მივმართეთ ვახუშტის:

¹⁵ იქვე, გვ. 45.

¹⁶ იქვე, გვ. 45—46.

¹⁷ იქვე, გვ. 44.

¹⁸ შ. მესხიას დასახ. ნაშრმ., გვ. 61.

¹⁹ იქვე, გვ. 61—62.



„ციხე ორბეთი, აწ წოდებული სამშვილდე... არს ფრიად მაგარი. საქმისათვის უდის ქცია, ჩილიოთ უდის ჭივჭივა; საშორისსა ზედა არს გარდავლებული ზღაპრით ხრამამდე ზღუდე განიერი და მალალი. კუალად გარე მის ქალაქისა ზღუდე გარდავლებული, ეგრეთვე დიდროვანითა ლოდითა. ციხესა შინა აღაშენა ეკლესია გუმბათიანი ლბ მეფემან მირდატ (434—446). შემუსრა ლანგ თემურ, მერმე ოსმალთა. ზაფხულ არს ცხელი, ზამთარ ცივი, არამედ მშუენი და კეთილ-ჰაოვანი... ქციის ხრამი აქა არს სიმაღლით ს (200) მხარი და მეტიცა. და განით ფა (560) მხარი. და ჭივჭივის ხრამი ს (200) მხარი... ჭივჭივის-წყალი სდის ბენდერის მთასა და მოდის სამხრით; არს ვენახოვანი, ხილიანი, არამედ მთისაკენ არა. ამის სადინს არს ნადარბაზევი, თამარ მეფის ნასასახლევი“²⁰.

სხვა არა იყოს რა, სამშვილდე იყო თამარის აღმზრდელი დაქვრივებული მამიდის რუსუდანის სადგომი. იქ იზრდებოდა დავით სოსლანი. სამშვილდეში, ალბათ, ბევრჯერ ყოფილა შოთა რუსთველი.

ჩვენს პატარა ექსპედიციაში მონაწილეობის მისაღებად მოვიწვიე წარწერების კითხვაში დახელოვნებული ისტორიკოსები გივი გაფრინდაშვილი და ვალერი სილოგავა. სამუშაოდ ყოველმხრივ აღჭურვილი გვემგზავრეთ თეთრი წყაროს გზით 1980 წლის 1 ივნისს. რაიონული ცენტრიდან სოფელ სამშვილდე-მდე მანძილი ათიოდე კილომეტრია. სოფლიდან ნაქალაქარამდის 1,5—2 კილომეტრი მანძილი ფეხითაა სასიარულო. ამინდი საუცხოო დაგვესწრო და გზაც (ეტყობა ძველი, ყოველ შემთხვევაში თამარის დროინდელი) არ იყო დამღლე-ლი. გზის ორივე მხარეს ხარობს ჩრდილის გამომცემი ხშირი მცენარეულობა. მათ შორის გამოირჩევა ხანდაზმული დიდრონი კაკლის ხეები.

აგერ სამშვილდეც! დიდებული სანახაობაა, ოღონდ სევდის მომგვრელია. ოდესღაც სიცოცხლით სავსე, აყვავებული და ნატიფი ხუროთმოძღვრული ძეგლებით დამშვენებული სამეფო ციხე-ქალაქი ჟამთა სიავის გამო ახლა ნაციხარ-ნაქალაქარ ნანგრევებს-ლა წარმოადგენს (მომავონდა: „აჰა, პალატთა დიდებულთა ნგრეული ნაშთი“). ამაყად და შედარებით კარგად შემონახულად გამოიყურება მხოლოდ მისასვლელი გარე ციხის მალალი ზღუდე. გული მოგვიკლა იმან, რომ გაუვალი ბარდ-ეკლით, ბალახ-ბულახითა და საამშენებლო ქვებით დაფარულ ციხის შიგა ეზოში თავი ამოუყვია, სიცოცხლის ნიშანი გამოუღია (და ყვავილობაც კი დაუწყია) გაველურებული ვაზის ლერწებს (ვინაჲრე ჯარისკაცის მამა მახარაშვილი). განსაკუთრებით შეეცოდა უპატრონო ობოლი ვაზი ჩემს შვილიშვილ ლევანს, რომელიც თან მახლდა სამშვილდეში. დიდხანს ვტკბებოდით ქციისა და ჭივჭივის ულამაზეს ხეობათა ცქერით. შორს, თვალსაწიერზე გაშლილი იყო ქართლის მწვანედ აბიზინებული მინდორ-ველები, „ვენახოვანი, ხილიანი“ სანახები.

ნანახით მოხიბლული გონს გვიან მოვეგეთ, დავუბრუნდით რეალობას, ცოტა წავინემსეთ, წარწერას მივაშურეთ და ამოკითხვას შევუდექით (წარწერა კაცის სიმაღლეზეა და მისადგომად ადვილია). გვიმ და ვალერიმ ბევრი უკირკიტეს გამჟვარტლული, დიდად დაზიანებული და მნიშვნელოვან წილად გადასული ძვირფასი ტექსტის ნაშთებს. მათ მრავალი მხრიდან გადაიდგეს ფოტოპირებიც. ექვთიმე თაყაიშვილის შემდეგ (კაი ოთხმოცი წლის მანძილზე) წარწერას ახალი დაზიანების მხრით რაიმე არსებითი ცვლილება არ განუცდია.

²⁰ ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, IV, თბ., 1973, გვ. 322—323.



1. ქ მე [...] ე(რისთავთ)—ე(რისთავ)მ(ა)ნ ჩემსა ორისა [... ..] ე: [...]
2. [... ..] [სამშვილდისა ქონება[სა] ციხე ავ[აგე]
3. [... ..] აო: წონე: ხაშ[.] ოიხე: ლო [... ..] ეს [.]
4. [... ..]: თ [.: ცი [.:] ჯ [მეულ]ლის დარეჯ[ანის]...²¹ [.]
5. [.:ს]; ც(ი)ხ[ე] შ(ა)რვანს: [.] გლ[.] ციხე: და ბეულ[.] დ:დღ
6. [... ..] [ეკლ(ე)სიაჲ წ(მიდი)სა დ(ე)დისა ნ(ა)თლ(ი)ს მც(ემ)ლის(ა)ჲ [.:]
7. [... ..] [ჲ: [... ..] ეკლეს[ია]ჲ წ(მიდი)სა თ(ეველორ)ესი ს[.]
8. [... ..] [სა]კელითა ლ(მრ)თის(ა)ათა: დ[ა]

წარწერის თაყაიშვილისეულსა და სილოგავა-გაფრინდაშვილისეულ წაკითხვათა შორის მნიშვნელოვანი სხვაობაა. არსებითი ხასიათის ზოგ რამეს ორივე მხარე ერთნაირად კითხულობს. თაყაიშვილიცა და ჩვენი ეპიგრაფიკოსებიც თვლიან, რომ წარწერა სააღმშენებლო ხასიათისაა, შეეხება სამშვილდის ციხეში ეკლესიის აგებას. მშენებლები ყოფილან სახელმწიფოს დიდი მოხელე ერისთავთ-ერისთავი და მისი მეუღლე. ე. თაყაიშვილი ამ ერისთავთ-ერისთავს კითხვითი ნიშნით უწოდებს ვაჩეს. სახელის ვაჩე-ობას უცილობელად აღიარებს შ. მესხია. ნაცვლად თაყაიშვილისეულ-მესხიასეული წაკითხვისა „ვაჩე-მან“ თანამედროვე ეპიგრაფიკოსები გეთავაზობენ სიტყვას „ჩემსა“. ერთი რამ ცხადია, წარწერაში „ვაჩე“ გარკვევით არ ჩანს. გარკვეულია მხოლოდ, რომ ეს პირი მშენებელია. ერისთავთ-ერისთავია და მისი მეუღლეა დარეჯანი. ჩემთვის ესაა მთავარი. აგრეთვე მთავარია ის, რომ გაფრინდაშვილ-სილოგავას დაკვირვებითაც წარწერა პალეოგრაფიულად და ისტორიული რეალიებით უეჭველად XII საუკუნისაა, უკეთ, XII საუკუნის პირველი მეოთხედისა, დავით აღმაშენებლის დროისა (1110—1125 წლებს შუა). მაშინ სამშვილდის ციხის ქონებისას ვინმე ერისთავთ-ერისთავს და მის მეუღლეს დარეჯანს აუგიათ ტაძარი.

როგორც ვიცით, დარეჯანი ვეფხისტყაოსნის უმთავრესი გმირი ქალის კომპოზიტური აგებულების მქონე სახელის ნაწილია (მთავარი ნაწილი). ეს სახელი რომ XII საუკუნეში ცნობილი უნდა ყოფილიყო, ამას ამტკიცებს „ამირან-დარეჯანის“ არსებობა და ამ საგმირო-საფალავნო თხზულების უმთავრესი პერსონაჟის სახელწოდება — ამირან დარეჯანის-ძე. მართალია, აქ დარეჯანი მამაკაცის სახელია. არა გვგონია, ამირანის დარეჯანის-ძეობა ისეთი სოციალურ-ენობრივი მოვლენის გამომხატველი იყოს, როგორც არის, მაგალითად, გიორგი-ლამას ძეობა (თამარის ძე). მაინცდამაინც, დარეჯანი, როგორც ქალის სახელი, დადასტურებულია სამშვილდის სააღმშენებლო წარწერით, ე. ი. XII ს. პირველი მეოთხედის ეპიგრაფიკული ძეგლით. ამრიგად, რუსთაველის ეპოქის საქართველოში გავრცელებული ყოფილა ვეფხისტყაოსნის პერსონაჟთა ისეთი სახელები, როგორცაა თინათინი, ტარიელი, დარეჯანი (ჯერჯერობით ვერაფერს ვიტყვით ავთანდილის შესახებ). ყოველი საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ თავისი საყვარელი პერსონაჟების სახელებს რუსთაველი პოულობდა თავისი მშობლიური ქვეყნის სინამდვილეში, ქართულ ონომასტიკონში. ამ მხრივაც ეროვნული ნიადაგი უნდა ყოფილიყო მისი შემოქმედების წყარო. რა თქმა უნდა, ვეფხისტყაოსნის შექმნის შემდეგ პოემა თვითონ გახდა საერო ონომას-

²¹ ეტყობა, ე. თაყაიშვილის დროს ეს სახელი უკეთ იკითხებოდა.

ტიკონის საბადო. აი ეს აზრები აღმიძრა სამშვილდის შესანიშნავმა წარწერამ. ასე მეჩვენება, რომ სამშვილდე საჭიროებს ჩვენი საზოგადოების ადრინდელი ხელისუფლების სათანადო ორგანოების მეტ ყურადღებას. უნდა გაიწმინდოს, გაითხაროს და აღდგეს წარსულის ამ ბრწყინვალე ძეგლის მთელი დიდებულება.

22.VI.80.

А. Г. БАРАМИДЗЕ

ДАРЕДЖАН ИЗ САМШВИЛДСКОЙ НАДПИСИ

Резюме

Автор статьи считает, что имя главной героини поэмы Руставели «Витязь в барсовой шкуре» бытовало в Грузии по крайней мере в XII веке. Доказательство тому Дареджан из Самшвилдской надписи.

კ. კეკელიძე და ქართული ლექციონარის საკითხები*

უცხოელი ვერ შეასხამს ხოტბას კორნელი კეკელიძის მოღვაწეობას.

არ ეგების, რომ უცხოელმა მიუთითოს ქართველებს, თუ რა სამუშაო აქვთ ჩასატარებელი თავიანთი უძველესი ტრადიციის მქონე საუნჯის სინათლეზე გამოსატანად. აზრი ამის შესახებ თვითონ კ. კეკელიძემ გამოთქვა 25 წლის წინ: „ჩვენი მდიდარი კულტურის შესწავლა, ჰარნაკის აზრით, მხოლოდ გერმანელი მეცნიერებისაგან იყო მოსალოდნელი. მე კი ვფიქრობდი ჯერ კიდევ მაშინ (ე. ი. 1903 წელს), რომ ეს საქმე პირველ ყოვლისა უნდა თვით ქართველებმა იკისრონ, რომ თუ ვისმე შეუძლია ეს, პირველ რიგში, ქართველ მეცნიერებს. ამისთვის საჭირო არაა, როგორც თეიმურაზ ბატონიშვილი სწერდა ერთხელ აკად. მ. ბროსეს, ევროპელებს ველოდოთ“.

ამ სიტყვების შემდეგ ისლა დამრჩენია, რომ მე დავდუმდე, თუმცა მე მაინც ვალდებული ვარ თქვენი დიდი მეცნიერის ასი წლისთავის ზეიმზე გამოვიდე ევროპელთა სახელით. ჩემთვის ეს დიდი პატივია, თან დიდი სიხარულიც არის, ვინაიდან მე ვმუშაობ იმ ქართულ ლექციონარზე, რომელიც კ. კეკელიძის ერთ-ერთი პირველი გამოცემათაგანია, იგი, კ. სალიას გამოთქმით, „მეცნიერულ სამყაროში ყუმბარის გასროლას წარმოადგენდა“.

მაგრამ ეს პატივი და სიხარული ამავე დროს მძიმე ტვირთიცაა მისთვის, ვინც ნაკლებად ფლობს თქვენს ენას. ამიტომ მე სიამოვნებით ვისესხებდი იოანე-ზოსიმეს ერთ-ერთ ფორმულას, რომელსაც იგი ხშირად ურთავდა მის მიერ შედგენილ ხელნაწერებს: „ყოველი დაკლებულეზაა ჩემი შემინდვეთ ღმრთისათვის, და თქვენცა ქრისტემან შეგინდვენ, და შეგიწყალებს ყოველნი, ამენ“.

თავისი მოღვაწეობის დასაწყისშივე, მოღვაწეობისა, რომელსაც უნდა მოეცვა მთელი ძველი ქართული ლიტერატურა, კ. კეკელიძემ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ლიტურგიკულ ხელნაწერებს.

მისი ზოგადი კვლევის პირველი შედეგი იყო 1908 წელს გამოცემული წიგნი: „ქართული ლიტურგიკული ძეგლები...“ და 1912 წელს გამოქვეყნებული „იერუსალიმის კანონი“.

ჩემი მოკლე მოხსენება ეძღვნება ამ ცნობილ ტექსტსა და იმ პრობლემებს, რომლებსაც დღესაც აყენებს იგი. უპირველეს ყოვლისა უნდა ვთქვათ, თუ რატომ მიგვაჩნია ამ ტექსტის ახალი გამოცემა თანამედროვე ქართველოლოგიის ერთ-ერთ გადაუდებელ ამოცანად.

ეს რომ გასაგები გახდეს, საჭიროა გავიხსენოთ თუ რა პირობებში გამოსცა კ. კეკელიძემ ეს კანონი. 1910 წელს, თედო ჟორდანიამ ყურადღება მიაქცია ლატალის ხელნაწერს. ორი წლის შემდეგ, კ. კეკელიძე აქვეყნებს დიდ-

* წაითხულება აკად. კ. კეკელიძის დაბადების ასი წლისთავისადმი მიძღვნილ ზეიმზე 1979 წლის 20 ოქტომბერს.

ტიანიან წიგნს, რომელიც შეიცავს ლექციონარის ქართული ტექსტის რუსულ თარგმანს, ბიბლიურ საკითხავთა რამდენიმე ნიმუშს ქართულ ენაზე, გამოკვლევას, დაწვრილებით შენიშვნებს და ლიტურგიკული ტერმინების ლექსიკონს. სვანეთში მოგზაურობისას კ. კეკელიძემ აღმოაჩინა მეორე ხელნაწერი (კალის), რომელიც მას დაეხმარა ლატალის ხელნაწერის ზოგიერთი ნაკლული ადგილის შესვებაში. ზედმეტია იმ ინტერესზე ლაპარაკი, რომელიც გამოიწვია ახალგაზრდა მეცნიერის ამ ნაშრომმა. ქართული კანონის გამოცემიდან ოთხი წლის შემდეგ, უკვე არსებობდა მისი თარგმანი ბერძნულად და გერმანულად. ეს ფაქტი მეტყველებს ამ დიდ ინტერესზე.

ლექციონარი, ან კანონი, თავისი სრული ფორმით, წარმოადგენს ლიტურგიკული დღესასწაულებისათვის განკუთვნილ საკითხავთა ინტეგრალურ კრებულს მთელი წლის მანძილზე. უნდა აღინიშნოს, რომ აქ საგალობელი მოცემულია შემოკლებით, რასაც არ ვხვდებით ამ კანონის შესატყვის სირიულ და ლათინურ ხელნაწერებში. ამ მითითების პრაქტიკული საჭიროება ნათელია. ქართველები სხვებზე ადრე მიხვდნენ ამას.

კანონის განსაკუთრებული მნიშვნელობა ისაა, რომ ამ კრებულის ბერძნულმა მოდელმა გავლენა იქონია მთელ ლიტურგიკაზე, როგორც აღმოსავლურზე, ისე დასავლურზე. მართლაც, მეოთხე საუკუნეში, როდესაც იგი პირველად შეიქმნა, ყველა ქრისტიანის თვალი მიპყრობილი იყო იერუსალიმისა და იმ ადგილებისაკენ, სადაც შემორჩენილი იყო ისტორიული ხსოვნა ქრისტეს ცხოვრებაზე და სადაც უკვდავყოფდნენ ამ ხსოვნას ლიტურგიაში. ქართული ტექსტის მიმართ ინტერესს განსაკუთრებით აძლიერებს ის გარემოება, რომ ბერძნული მოდელი დაკარგულია. ეს აიხსნება ლიტურგიკული ხელნაწერების პრაქტიკული ხასიათით, რადგან მათ ცვლიდნენ, როდესაც ისინი ხმარებიდან გამოდიოდნენ, და, აგრეთვე იმით, რომ ლიტურგიკული შემოქმედების ცენტრმა გადაინაცვლა იერუსალიმიდან კონსტანტინეპოლში, როდესაც პალესტინა მთლიანად დაიპყრეს არაბებმა.

მაშასადამე, პირველი ფენა კანონისა მომდინარეობს მეოთხე საუკუნიდან. ქართული ხელნაწერები კი იქმნებოდა მეშვიდე საუკუნიდან მეათის ბოლომდე, ან მეთერთმეტის დასაწყისამდე. მაგრამ ვინაიდან არა უგვიანეს მეთერთმეტე საუკუნის დასაწყისისა ბიზანტიური ლიტურგიის ახალი თარგმანი სავალდებულოდ იქცა საქართველოში, ძველ კანონებს ხშირად იყენებდნენ ხელნაწერების საცავ ფურცლებად, უფრო ხშირად კი, ძველი კანონის ფურცლები, გადარეცხილ-გადაფხეკილი, ხელმეორედ იქნა გამოყენებული საწერ მასალად. ამიტომაც არის, რომ გვაქვს შედარებით დიდი რაოდენობა პალიმფსესტური კანონისა.

კ. კეკელიძემ აღმოაჩინა ქართული კანონის ისტორიისათვის ორი ყველაზე მნიშვნელოვანი ხელნაწერი. სამწუხაროდ, ორივე ეს ხელნაწერი ნაკლულია. კალის ხელნაწერი შეიცავს წელიწადის მხოლოდ მეოთხედს. ლატალის ხელნაწერშიც ბევრი ნაკლული ადგილია. კ. კეკელიძემ ვერ გამოიყენა უცხოეთში დაცული ხელნაწერები. ჰემეტი კანონი ჯერ კიდევ არ იყო გამოიფრული. ასე რომ ახალი გამოცემა ძალიან საჭირო იყო, და ეს გააკეთა კიდევ მ. თარხნიშვილმა და გამოიცა 1959—1960 წლებში. ეს ახალი გამოცემა შეიცავს ქართულ ტექსტსა და ლათინურ თარგმანს. ლიტურგიკული მითითებები და მითითებები, განკუთვნილი საგალობლებისათვის, მთლიანად თარგმნილია. საკითხავები წარმოდგენილია მხოლოდ დასაწყისითა და დაბოლოებით. ამჯერად

გამომცემელს ხელთ ჰქონია უცხოეთში დაცულ ხელნაწერთა ფოტოპირები: იოანე-ზოსიმეს მიერ 982 წელს გადაწერილი ხელნაწერისა (სინის მღვის № 37), პარიზის კანონის, ხანმეტი ლექციონარის, ა. შანიძის მიერ გამოცემული ჰემეტი კანონისა, და თითქმის სრული ფოტოპირი ლატალისა და კალის ხელნაწერებისა. მ. თარხნიშვილისათვის ცნობილი იყო აგრეთვე მნიშვნელოვანი ფრაგმენტის არსებობა, რომელიც დაცულია ხელნაწერთა ინსტიტუტის H ფონდში (№ 1831), მაგრამ მან ვერ მოიპოვა მისი ფოტოპირები. უნდა მოგახსენოთ, რომ შევეცადე ვამეგო, რა გზით მიიღო მ. თარხნიშვილმა კალისა და ლატალის ხელნაწერთა ფოტოპირები, მაგრამ მისმა რედაქტორმა ვერ მიპასუხა ამ კითხვაზე.

ამგვარად, მ. თარხნიშვილის გამოცემა წარმოადგენდა წინგადადგმულ ნაბიჯს. ქართული ტექსტი დაიბეჭდა, ხელნაწერთა რაოდენობა გაიზარდა. სამწუხაროდ, თარხნიშვილის გამოცემაში ყოველთვის აშკარად არ ჩანს, თუ რას შეიცავს თითოეული ხელნაწერი, ამავე დროს უნდა ითქვას, რომ მ. თარხნიშვილმა თავის გამოცემას საფუძვლად დაუდო ყველაზე გვიანდელი ხელნაწერი, პარიზის კანონი, რომელიც არ ასახავს კანონის ადრინდელ შედგენილობას.

ამჟამად მუშაობა გვიხდება ბევრად უფრო ხელსაყრელ პირობებში, ვინაიდან ბარიერი, რომელიც ხელს უშლიდა აქაურ და უცხოელ მეცნიერთა თანამშრომლობას, აღარ არსებობს.

წლების მანძილზე მე შეეძელი გამომევილია კანონის ოცამდე ახალი ფრაგმენტი, და გამეშიფრა კანონის რამდენიმე პალიმფსესტური ტექსტი, გარდა უკვე დასახელებული H ფონდის ხელნაწერისა, რომელსაც, სხვათა შორის, უნდა დამატოს კიდევ თერთმეტი ფურცელი, რომლებიც ხელნაწერთა ინსტიტუტის სხვადასხვა ხელნაწერებში აღმოჩნდა.

როგორც ჩანს, საჭირო იქნება მივმართოთ კანონის ყველა ძეგლის ტიპოლოგიურ ანალიზს, რაც უკეთესად დაგვანახებებს თითოეული ხელნაწერის ან ფრაგმენტის მნიშვნელობას.

ხელნაწერები შეიძლება ასე დავაჯგუფოთ: პირველ რიგში „სრული ხელნაწერები“ — ყოველ შემთხვევაში, ისინი, რომლებიც სრული იყო გადამწერის სახელოსნოდან გამოსვლისას. ესენია, დიდი მოცულობის, დიდფორმატიანი ძეგლები, განკუთვნილი მრავალრიცხოვანი და ადგილობრივი სამწყსოსათვის. ამ ტიპს მიეკუთვნება კეკელიძის მიერ გამოყენებული ორი ხელნაწერი, ლატალისა და კალის, ანუ ლავურკის კანონი. ეს ორი ხელნაწერი არის მეათე საუკუნისა, ასომთავრული ანბანით შესრულებული.

პარიზის ხელნაწერი არის ნუსხური, ისიც დიდფორმატიანია, აგრეთვე აკლია სულ ცოტა სამოცდაცხრა ფურცელი. იგი ასახავს ძველი ქართული კანონის ისტორიის უკანასკნელ ეტაპს, მასში საკითხავები მეტი რაოდენობითაა, ვიდრე ლატალისა და კალის კანონებში. ამ ხელნაწერის ისტორია ძალიან საინტერესოა. იგი ხელთ ჰქონია დიდ ქართველ მეცნიერს, სულხან-საბა ორბელიანს. მას თავისი ხელით შეუტანია ტექსტში ზოგი შენიშვნა და ზოგან ტექსტი დაუმუხლავს. ამას ყურადღება მიაქცია პროფესორმა ელ. მეტრეველმა. ეს ხელნაწერი გამოიყენა საბამ მცხეთის ბიბლიისათვის.

ამ დიდი ფორმატის ხელნაწერებს ემატება შემდეგი პალიმფსესტები:

პარიზის ქართული ხელნაწერი № 5-ის 40 ფ., ასომთავრული, მეათე საუკუნისა, 37 X 27,5 სანტიმეტრზე, რომლის უმეტესი ნაწილი უნდა შეიცავდეს მარხვისათვის განკუთვნილ საკითხავებს.

ხანმეტი ფრაგმენტი (H 999). H 2065, IX—X ს-ისა, ასომთავრული; A—136, X ს-ის, ასომთავრული (373 ფ-მდე); H 1836a, X ს-ისა, ასომთავრული; H 1338, X ს-ისა, ასომთავრული; ხელნაწერთა ინსტიტუტის სვანური პალიმფსესტი N 2, X ს-ისა, ასომთავრული, ორი სხვადასხვა ხელნაწერის ფრაგმენტი; A 1695, ფ. 30-დან, IX-X-ს-ისა, ასომთავრული; მესტია 14 ა, ერთი ფურცელი, X ს-ისა, ასომთავრული; მატენადარანის 1071 ხელნაწერის საცავი ფურცელი, შეიცავს მარხვის მესამე ოთხშაბათის მასალას, აქვს ორი საკითხავი, ისე როგორც ლატალისას და კალისას, პარიზისას კი აქვს სამი.

არაპალიმფსესტური ფრაგმენტები:

X ს-ის ასომთავრული ერთი ხელნაწერის ფრაგმენტთა ჯგუფი (ხელნაწერის ზომაა სულ ცოტა 40 X 30 სმ): მატენადარანი № 1335 და ქართული ფრაგმენტი № 48, ბზომარი № 561 და მუხუშუმის ფრაგმენტი, იერუსალიმის სომხური საპატრიარქოს ფრაგმენტი. ეს ხელნაწერი შეიცავს მთელი მარხვისათვის საკითხავთა სერიას, რომელიც ყველაზე უფრო მდიდარია ცნობილ ძეგლებს შორის.

ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნაწერი S 2955, ორი რვეულისაგან შემდგარი ფრაგმენტი X ს-ის ხელნაწერისა, ასომთავრული, მეექვსე პარასკევიდან მარხვის დიდ სამშაბათამდე, და კიდევ ერთი ფურცელი, რომელიც არ გვხვდება არცერთ სხვა კანონში. აქ ზოგიერთი საკითხავი გაძოტოვებულია, ისევე, როგორც ზოგჯერ ლატალის, კალისა და სინის მთის კანონში.

მატენადარანის № 1625 ხელნაწერის საცავი ფურცლები, X ს-ისა, ასომთავრული; მატენადარანის № 2178 საცავი ფურცლები; მატენადარანის № 2607 საცავი ფურცლები. H 1888, მარტილიის შემდეგ კვირათა მასალა მხოლოდ აქაა დაცული.

ეს სია შეიძლება კიდევ გავზარდოთ. მე მივუთითებ ამ ტიპის კიდევ ერთ ხელნაწერს, რომელიც ძვირფას ცნობებს გვაწვდის, ვინაიდან ამ პერიოდისათვის გვაქვს მხოლოდ ერთი სრული ხელნაწერი (ლატალის). ეს არის A 257 დ, მეათე საუკუნისა, დიდი ფრაგმენტი, ასომთავრული, ზატიკის მეექვსე სამშაბათიდან ამოღებამდე.

ფრაგმენტების შესწავლა ყოველთვის საინტერესოა, მაგრამ ზოგჯერ ისინი აყენებენ ძნელად გადასაჭრელ პრობლემებს: მაგალითად, არ ვიცი, როგორ ავხსნათ ფრაგმენტი Q 208 ბ, რომელიც შეიცავს ორ საკითხავს, მაშინ როცა ლატალის ხელნაწერში ამ ორ საკითხავს შორის არის ექვსი სხვა საკითხავი, პარიზისაში კი — რვა. ალბათ, იგი ეკუთვნის ბზომარში და ერევანში დაცული ფრაგმენტების ტიპს, რომელთაც მარხვის საკითხავების სხვანაირი დანაწილება აქვთ: კათაკუმეველთა საკითხავებად და ჟამის-წირვის საკითხავებად.

ამრიგად, სრული ტიპის ეს კანონები გვაძლევენ ყველაზე მეტ ცნობებს უძველესი ლიტურგიის შესახებ.

შემდეგ გვხვდება გამოკრებილი კანონი, რომელიც შეიცავს საკითხავებს მხოლოდ ზოგიერთი დღესასწაულისათვის: ასეთია ძირითადად უფრო პატარა

ფორმატის ხელნაწერები: ფორმატი მცირდება დღესასწაულების რიცხვთან დაკავშირებით. ამ ტიპისაა სინის მთის კანონი, გადაწერილი იოვანე-ზოსიმეს მიერ 982 წელს, რომელიც მომდინარეობს, სრული კანონიდან. ეს ხელნაწერი შეიცავს მხოლოდ ტექსტებს შობისათვის, გამოცხადებისათვის, დიდი კვირისათვის და აღდგომისათვის.

ხელნაწერთა მეორე ჯგუფი არასრულია, მათში გამოტოვებულია არა წელიწადის რამდენიმე ნაწილი, არამედ საკითხავთა რამდენიმე სახეობა. ამგვარია ჰაემეტი კანონი, პალიმფსესტი, რომელიც არა უგვიანეს მეცხრე საუკუნისაა და რომლის უკვე გაშიფრული ფურცლები შეიცავს წელიწადის მეორე ნაწილს, განსაკუთრებით მარტვილის შემდეგ კვირათა მასალას, რომელიც არ გვხვდება თითქმის არც ერთ ხელნაწერში. მაგრამ ჰაემეტი კანონი შეიცავს საკითხავებს მხოლოდ ოთხთავიდან.

ამასთანავე გვხვდება კიდევ ამ ორი ძველი ტიპის გაერთიანების შემთხვევა: ხანმეტ კანონში, რომელიც შეიცავს საკითხავებს უმთავრესად მხოლოდ ოთხთავიდან, შესულია მხოლოდ აღდგომა, მისი შემდგომი რვა დღე და შეიდი მაისის ჯვრის დღესასწაული.

შემდეგ მოდის შემოკლებული ხელნაწერები, როგორც ჩანს, ხელახლად შედგენილი უფრო მცირე საკრებულოებისათვის. ასეთია ხელნაწერი H 1831 და მის ნაწყვეტები (H 1893 გ და H 1895). ტექსტი ამოღებულია სრული კანონიდან, ისე, რომ ხან გამოტოვებულია დღესასწაულები, ხან კი ზოგიერთი საკითხავი. ამას მოწმობს დიდი შაბათი, სადაც გამოტოვებულია სინის მთისა და პარიზის კანონთა მეორე საკითხავი, მაგრამ მესამე საკითხავს აქვს ნომერი დ, რაც იმით აიხსნება, რომ ეს საკითხავი მეოთხე იყო თავის მოდელში. ხელნაწერი ჩამოტანილია სვანეთიდან, სადაც, ალბათ, შეიქმნა*.

ცხადია, ამ ტიპის ხელნაწერთა ნაკლებად ადგილებს ვერ მივიჩნევთ არაქაულ მოვლენად.

კანონის ნაწყვეტები გვხვდება აგრეთვე სხვადასხვა ტიპის ლიტურგიკულ კრებულში. მაგალითად, მარტვილის შემდგომი ზოგიერთი კვირის საკითხავები შეტანილია სინის მთის № 53 ხელნაწერში, აგრეთვე სინის მთის № 54 და 66 ხელნაწერებში.

ამით ვამთავრებთ კანონზე ლაპარაკს, მაგრამ სხვა ხელნაწერებიც გვაწვდიან ცნობებს კანონის შესახებ: ასეთია, განსაკუთრებით, ბიბლიურ საკითხავთა საძიებლები.

ქ-ნმა ლილი ხევსურთანმა ლენინგრადის სინურ ფრაგმენტებში იპოვა მთელი ბიბლიის საკითხავ მონაკვეთებად დაყოფის ნუსხა, რომელიც იოვანე-ზოსიმეს ეკუთვნის. იგი შეესაბამება „სრული კანონის“ ხელნაწერების საკითხავებს.

გვაქვს კიდევ სახარების საძიებლები: სინის მთის № 38, ერევნის ქართული ფრაგმენტები № 35 და 36, რომლებიც შეესაბამებიან კანონის სახარების საკითხავებს. და ბოლოს, გვაქვს საძიებლები წელიწადის ზოგიერთი ნაწილისათვის, მაგალითად, სინის მთის № 39 ხელნაწერი, რომელიც შეიცავს ზატიკის საკითხავთა საძიებელს.

კალენდრის ისტორია შეიძლება გაშუქებულ იქნას ისეთი პარალელური კრებულით, როგორიცაა იადგარი, რომელიც შეიცავს საგალობლებს, მრავალთავი, რომელშიც მოცემულია არაბიბლიური საკითხავები.

* ხელნაწერს ახასიათებს სვანური ხელნაწერებისათვის დამახასიათებელი ორთოგრაფია.



დაბოლოს, არ უნდა უგულვებელყოთ ის კანონები, რომლებშიც ერთსა და იმავე დროს შესულია ახალბიზანტიური ლიტურგია და შენარჩუნებულია უძველესი პალესტინური ლიტურგიის დღესასწაულები ან საკითხავები, ასეთია, მაგალითად, სინის მთის ნაკლული ხელნაწერი № 63.

კანონის ხელნაწერების მოკლე აღწერის შემდეგ, სანამ საუბარს დავამთავრებდეთ, მინდა შევეხო რამდენიმე საკითხს, რომელთაც ქართული კანონის შესწავლა სვამს.

სხვადასხვა ავტორი ქართულ კანონს სხვადასხვანაირად ათარიღებს. კ. კეკელიძე ფიქრობდა, რომ ბერძნული მოდელი ქართული კანონისა შექმნილია 634 და 644 წლებში, ქართული თარგმანი კი, არა უგვიანეს 750 წლისა. მ. თარხნიშვილის აზრით, ქართული კანონის პირველი ფენა მეხუთე საუკუნეს ეკუთვნის. ჭეშმარიტი ნათქვამია. მართლაც, ამ ლიტურგიკულ წიგნში მრავალი ფენაა. ყველას ერთი თარიღი არ მიუდგება, საჭიროა თითოეული დღესასწაულის ცალ-ცალკე განხილვა. ამას გვიჩვენებენ ხელნაწერები, რადგან ვხედავთ, რომ ტექსტი უცვლელი არ რჩებოდა.

დათარიღების კრიტერიუმები შემდეგია: პირველი — შედარება იერუსალიმის ლიტურგიის ორ უძველეს წყაროსთან — ეთერიას მიმოსვლა, დაახლოებით 430 წლისა და სომხური კანონი. მეორე კრიტერიუმია კანონის კალენდრის მიმართება უძველესი მრავალთავებისა და იადგარების კალენდართან.

საჭიროა აგრეთვე კანონის ხელნაწერების ერთმანეთთან შედარება, რის შემდეგაც ჩვენთვის ნათელი გახდება თითოეული ხელნაწერის თავისებურება და ტენდენცია.

დაბოლოს, ამ საქმეს ნათელს ჰფენს საკითხავებად გამოყენებული ბიბლიური ტექსტი. საზოგადოდ, რაც უფრო ძველია და მნიშვნელოვანი დღესასწაული, მით უფრო ძველი რედაქციაა შემორჩენილი ბიბლიური ტექსტისა. ასე, მაგალითად, ისეთ კანონში, როგორიცაა სინის მთის № 63, რომელიც კონსტანტინოპოლური ლიტურგიის მიხედვითაა შექმნილი, შობის დღესასწაულის სახარებისათვის ადიშის რედაქციის ტექსტი გამოიყენა. ეს საშუალებას ვვაძლევს ვუჩვენოთ, თუ რამდენად საინტერესოა კანონის ბიბლიური ტექსტი. და ეს ასეა, ვინაიდან მასში ზოგჯერ შემონახულია უძველესი რედაქციები, არა მხოლოდ სახარებისა, რომელიც შეგვიძლია შევადაროთ ადიშის სახარებას, არამედ სხვა წიგნებსაც. ერთ-ერთ ამგვარ მაგალითს წარმოადგენს პრომაელთა მიმართ ეპისტოლის შემდეგი მუხლი:

„რომელნი სულითა ღმრთისაათა ვლენან, იგინი არიან შვილნი ღმრთისანი“ (თავი 8, მუხლი 14).

H 1831 კანონში ასეა მოცემული:

„რომელნი სულითა ღმრთისაათა არა იქცევიან, არა არიან ნაშობნი ღმრთისანი“.

უნდა აღინიშნოს, რომ ეს ხელნაწერები ძალიან საინტერესოა ენობრივი თვალსაზრისით. მათში გვხვდება ბევრი სიტყვა და გამოთქმა, რომლებიც ამდიდრებენ ჩვენს ცოდნას ძველი ქართული ენის შესახებ. მაგალითად, დასტურდება ყანოანი, ნაცვლად ყანობირი-სა, წილის-თხევა, ნაცვლად წილის-გდებისა და ასე შემდეგ.

კანონის ტექსტის სრული გამოცემა აუცილებელია, როგორც ძველი ქართული ენის ლექსიკის, ასევე ქართული ბიბლიის თარგმანების ისტორიისათვის.



დასასრულ, მინდა ვთქვა, რომ თუმცა კ. კეკელიძის გამოცემის შემდგომდროინდელი პუბლიკაციები, გამოკვლევები და ახლად მოპოვებული მასალები უკეთეს შესაძლებლობას ქმნიან ახალი გამოცემის განხორციელებისა და კანონის უკეთ გაგებისა და შეფასებისათვის, კ. კეკელიძე იყო წინასწარმეტყველი, რომელმაც მიუთითა ქართული კანონის მნიშვნელობაზე, არა მარტო ლიტურგიისა და ქრისტიანული პალესტინის ისტორიისათვის, არამედ ქართული ლიტერატურის უძველესი ძეგლის — ქართული ბიბლიის თარგმანების ისტორიისათვის.

დიდი ადამიანები სწორედ იმით გამოირჩევიან, რომ წინასწარ ჰვრეტენ იმას, რასაც სხვები მხოლოდ ამ დიდ ადამიანთა მხრებზე შემდგარნი ამჩნევენ.



JEAN-PIERRE-MAHÉ

SUR LE MYTHE DE LA CHUTE DANS LA **VIE** APOCRYPHE D'ADAM

(Version Géorgienne)*

Dans l'ancienne littérature ecclésiastique géorgienne, la **Vie** apocryphe d'Adam ou **Livre de la sortie d'Adam et Eve du Paradis**, éditée naguère par C'. K'urc'ikidze', représente une des traditions les plus complètes² [sur cet écrit très important pour éclairer l'histoire du judaïsme hellénistique et du christianisme primitif.

ᄁ Réunissant, sous une forme vraisemblablement très primitive, des données dispersées ensuite dans les modèles de la **Vie** grecque et de la **Vie** latine d'Adam et Eve³, l'apocryphe géorgien coïncide également, pour plusieurs détails significatifs, avec des traditions très divergentes, comme la **Vie** slave⁴. On peut y voir l'indice de l'ancienneté et de l'authenticité du modèle] dont il dérive. Toutefois, comme l'a supposé K. Kekelidzé⁵, le texte géorgien n'a probablement pas été traduit directement du grec, mais plutôt d'une ancienne version arménienne⁶, d'ailleurs différente de celles qui nous sont parvenues⁷. On nous permettra donc de dédier à la mémoire d'Ilia Abuladzé, grand spécialiste des relations littéraires ibéro-arméniennes, ces quelques réflexions sur le mythe de la chute dans la **Vie** apocryphe d'Adam.

Tel qu'il nous est transmis par la traduction géorgienne, le texte peut être divisé en cinq parties:

1°-pénitence et seconde tentation d'Adam et Eve (K p. 109-112 = **Vie** latine 1—18)

2°-Caïn et Abel (K p. 113—115 = **Vie** latine 19—23; **Vie** grecque 1—3).

3°-Seth et la maladie d'Adam (K p 115—119 = **Vie** latine 24—43; **Vie** grecque 4—13)

4°-Récit d'Eve sur la chute et sur l'exil (K p 120—128 = **Vie** latine 44; **Vie** grecque 14—30)

5°-Mort et funérailles d'Adam, puis d'Eve (K p 129—133 = **Vie** grecque 31—43; **Vie** latine 48)

La plus longue et la plus significative de ces parties est manifestement la quatrième, c'est-à-dire le récit de la chute, qui est cause de tout le reste: l'exil d'Adam et d'Eve, le meurtre d'Abel par Caïn, la maladie d'Adam, sa mort et celle de son épouse. Aussi bien n'est-ce pas un hasard si le récit est présenté comme une confession d'Eve elle-même, protagoniste et responsable présumée de la catastrophe. Le texte biblique en témoigne: le serpent

séduisit d'abord la femme, qui mangea du fruit défendu et en donna ensuite à son mari.

Cette explication de la chute, proposée par le livre de la **Genèse** ne répond manifestement pas à toutes les questions que se pose l'auteur de notre apocryphe. Comment faut-il comprendre qu'Adam ait été perdu par la femme que Dieu lui avait donnée? Ce mot de femme doit-il être vraiment entendu au sens propre? Et, s'il en est ainsi, comment se fait-il que la femme ait été laissée seule aux attaques du serpent?

Il est clair que plusieurs détails du récit de la chute, telle qu'elle est relatée par Eve, visent à expliquer dans quelles circonstances la première femme se trouva privée de la protection d'Adam et de ses anges gardiens. Quant à ces derniers, l'explication est simple: le démon se glissa dans le corps du serpent «et tous deux vinrent ensemble et ils laissèrent pendre leur tête sur le mur du paradis, à l'heure où les anges étaient remontés pour adorer Dieu»⁸. Apparemment, les anges, qui veillent continuellement pour protéger les créatures du paradis, doivent interrompre leur garde à intervalles réguliers pour aller se prosterner devant le Créateur. Ce thème constituait sans doute la matière d'un autre apocryphe⁹.

La séparation de l'homme et de la femme est justifiée comme il suit: le paradis a été partagé en deux secteurs, nord-est et sud-ouest, réservés respectivement à chacun des deux sexes. «Il advint donc, dit Eve, que votre père gardait son secteur de paradis du côté de l'orient et du nord, tandis que moi, je gardais mon propre secteur, du côté de l'occident et du sud... Et il avait là des bêtes, car le Seigneur avait aussi partagé les bêtes entre nous. Tout ce qui était mâle, il l'avait donné à Adam, et tout ce qui était femelle, il me l'avait donné à moi. Et, chacun pour nous, nous les nourrissions¹⁰».

Cette étrange répartition des points cardinaux entre l'homme et la femme l'un et l'autre accompagnés des animaux qui leur sont confiés, ne saurait se comprendre sans quelque interprétation symbolique. Il semble, en fait, que le symbole s'explique par une tradition du judaïsme hellénistique, conservée, entre autres, dans l'un des grimoires alchimiques de Zosime. «C'est ainsi, écrit cet auteur, que le premier homme, celui qui chez nous est Thoyt, (les Hébreux l'ont nommé Adam, d'un nom emprunté à la langue des anges. Et non seulement cela mais ils l'ont nommé symboliquement, l'ayant désigné par quatre lettres (σοιγεία = éléments) tirées de l'ensemble de la sphère, selon le corps. Car la lettre **A** de ce nom exprime l'orient (ἀνατολή) et l'air (ἀήρ); la lettre **D** exprime l'occident (δύσις) et la terre qui s'incline vers le bas à cause de son poids; la seconde lettre **A** exprime le nord (ἀρκτός) et l'eau; la lettre **M** exprime le sud (μεσημβρία) et le feu mûrissant¹¹». Des spéculations analogues se rencontrent également dans l'**Henoch** slave et dans les **Oracles Sibyllins**¹.

Si l'on admet que l'auteur de la **Vie** apocryphe d'Adam y fait lui aussi allusion dans le récit précédemment cité, il est clair que l'opposition des sexes a pour lui une signification symbolique. Adam et Eve du livre de la **Genèse** ne sont pas homme et femme au sens matériel de ces mots; ils constituent deux aspects complémentaires (nord et est, c'est-à-dire **A** et **A**;



ouest et sud, c'est -à-dire **D** et **M**) indissociables du même Anthropos primordial nommé **ADAM**. Du même coup, on ne saurait dire que cet Adam (c'est-à-dire non seulement le mari du premier couple, mais l'être humain en général) ait été chassé du paradis à cause d'une femme qui constituerait un être distinct et entièrement extérieur à lui. Bien plutôt, l'image des quatre points cardinaux vise à montrer que, d'une certaine façon, Eve est intérieure à Adam et que c'est leur séparation qui est à l'origine de la chute.

L'affirmation de l'unité du premier homme et de la première femme invite ainsi y remonter vers un mythe d'androgynie primordiale qui s'appuie volontiers sur le récit biblique (**Genèse 2, 22**), où Dieu a tiré Eve de la côte d' Adam.

Certains écrits hermétiques, comme le **Poimandrès** présentent, à l'image de la **Vie** apocryphe d'Adam, la séparation des sexes, ordonnée par Dieu, comme l'origine de la mort: «Tous les animaux qui, jusque là, étaient à la fois mâles et femelles, furent séparés en deux en même temps que l'homme et ils devinrent les uns mâles, d'une part, les autres femelles, de l'autre. Aussitôt Dieu dit d'une parole sainte: Croissez en accroissement et multipliez en multitude (**Genèse 1, 22**), vous tous qui avez été créés et faits. Et que celui qui a l'intellect se reconnaisse soi-même comme immortel et qu'il sache que la cause de la mort est l'amour¹³».

D'autres apocryphes, développant le même mythe dans un contexte plus biblique, affirment encore plus nettement que la séparation des sexes est à l'origine de la chute comme de la mort et ils en tirent la conséquence logique que le salut consistera dans la reconstitution de l'androgynie primitive. Citons, par exemple, l'apocryphe copte intitulé **Évangile de Philippe**: «Quand Eve était dans Adam, il n'y avait pas de mort. Mais après qu'elle se fut séparée de lui, la mort survint. Si à nouveau elle entre en lui, il n'y aura plus de mort... Si la femme ne s'était pas séparée de l'homme, elle ne serait pas morte avec l'homme. Sa séparation a été à l'origine de la mort. C'est pourquoi le Christ est venu corriger à nouveau la séparation qui existait depuis le début, les réunir tous les deux et vivifier ceux qui étaient morts dans la séparation et les unir¹⁴».

Un écho des mêmes traditions se rencontre aussi dans la **Vie** apocryphe d'Adam quand, après le salut promis par Dieu au premier homme qui vient de mourir, Eve formule à son tour une prière: «Seigneur, ne me laisse pas étrangère au lieu d'Adam, mais ordonne-moi, à moi aussi, d'être avec lui, comme nous étions tous deux dans le paradis, inséparables l'un de l'autre¹⁵».

Le mythe d'androgynie et l'imputation de la chute à la femme recouvrent aussi, généralement, un symbolisme psychologique. Proposant, dans son **De Trinitate**, une interprétation allégorique du récit biblique de la chute Augustin explique: «Avant nous, d'illustres défenseurs de la foi catholique et commentateurs de la Sainte Ecriture ont voulu trouvé cette duallité dans l'homme individuel: considérant l'âme innocente (**animam bonam**) dans son ensemble comme une sorte de paradis, ils dirent que l'homme était l'esprit (**mens**), la femme le sens corporel (**corporis sensus**)¹⁶». Sans souscrire



tout à cette explication, l'évêque d'Hippone en propose une assez semblable :
«Il y a, dans l'âme (**mens**) de chaque homme, une sorte de mariage entre la raison contemplative et la raison active (**quoddam rationale coniugium contemplationis et actionis**)¹⁷».

Dans ce mariage allégorique, c'est l'homme qui tient le rôle de la raison contemplative et la femme celui de la raison active. Le péché ne peut être consommé qu'avec le concours de ces deux facultés. La raison active, c'est à dire la femme, qui est en contact avec les réalités extérieures, aperçoit d'abord la possibilité de s'approprier égoïstement un plaisir matériel; mais il lui faut ensuite le consentement de la raison contemplative, c'est-à-dire de l'homme qui a pouvoir de jugement et de décision, pour que le corps se mette en mouvement et que le péché soit complet. «Si le consentement (au péché) se limite à une simple complaisance de pensée et que l'autorité d'une décision qui vient de plus haut retienne les membres pour les empêcher de se livrer au péché... alors, c'est comme si la femme était seule à manger du fruit défendu. Lorsqu'au contraire, en consentant à mal user des choses perçues par les sens corporels, on se résout à commettre n'importe quel péché... il faut alors comprendre que cette femme a donné à son mari à manger avec elle d'une nourriture interdite¹⁸».

L'exégèse allégorique du récit biblique de la chute, dont Augustin propose ici son interprétation personnelle est, comme il a pris soin de l'indiquer lui-même, extrêmement ancienne. Elle n'est pas propre au christianisme, mais remonte vraisemblablement à des exégèses rabbiniques. Il nous paraît qu'elle n'est pas inconnue à la **Vie** apocryphe d'Adam.

Nous avons vu, en effet, que les animaux ont été partagés, suivant leur sexe, entre l'homme et la femme, chargés de les nourrir¹⁹. En conséquence, tous les matins, chacun d'eux vient se prosterner devant Eve ou Adam et reçoit ainsi la pâture qui lui revient²⁰. Cet usage a été institué par Dieu dès la création même de l'homme, quand Michel ordonna que toutes les créatures, y compris les anges du ciel, vissent se prosterner devant l'homme, «le semblable et l'image de la divinité²¹».

L'apocryphe s'appuie ici sur le texte canonique de la Bible (**Genèse 2, 19**) «Alors Dieu façonna, de la terre, toutes les bêtes des champs et tous les oiseaux du ciel et il les conduisit à Adam, pour voir comment il les appellerait et pour que tous ceux qu'Adam appellerait âme vivante, cela soit leur nom». Certains apocryphes ont prêté un sens allégorique à ce passage. En attribuant le nom qui lui convient à toute âme vivante, Adam se montre en fait capable de comprendre la nature profonde des êtres, autrement dit de distinguer entre le bien et le mal.

Tel est, par exemple, l'avis de **L'Écrit sans titre** dans le codex II de Nag Hammadi, d'après qui Adam n'est créature du Dieu supérieur, mais des Archontes du monde inférieur: «Quand (Adam) les vit, il donna un nom aux créatures (des Archontes). Ceux-ci furent troublés du fait qu'Adam se fût éveillé de toute torpeur. Ils se réunirent, tinrent conseil et dirent: Voici qu'Adam est devenu comme l'une de nous, à tel point qu'il sait la diffé-



rence de la lumière et des ténèbres²²). Si donc la connaissance des animaux est synonyme de discernement ou de jugement moral, il est clair que les animaux eux-mêmes symbolisent les vices et les vertus, les bonnes ou les mauvaises dispositions de l'âme²³.

Or, chaque vice et chaque vertu, étant par lui-même androgyne, peut être nommé tour à tour d'un nom de mâle ou d'un nom de femelle. L'Écrit sans titre du codex II mentionne successivement les deux noms des sept vices et des sept vertus premières, en se référant à un apocryphe juif intitulé *Livre de Salomon*²⁴. Ainsi, les noms masculins des sept vices sont: «la jalousie, le courroux, les pleurs, les soupirs, le deuil, le cri de douleur les larmes de gémissement. Mais voici les noms des femelles: la colère, la tristesse, la luxure, la lamentation, la malédiction, l'amertume, la miséricorde²⁵». Quant aux sept facultés bonnes, également androgynes, «les noms des mâles, les voici: le non-jaloux, le bienheureux, le joyeux, le veridique, le non-malveillant, le désirable, le digne de foi. Quant aux femelles, voici leurs noms: la paix, la joie, l'allégresse, la béatitude, la vérité, l'amour, la foi²⁶».

Ces rapprochements suffisent à éclaircir le sens du passage de la Vie apocryphe d'Adam que nous entendons commenter ici. Le premier homme, quatre points cardinaux ou les quatre éléments, incarne la nature humaine en général, à la fois mâle et femelle, comme dans les anciens mythes d'androgynie. En conséquence, l'âme humaine qui, comme l'explique Augustin, est symbolisée par le paradis, est partagée en tendances morales bonnes ou mauvaises et, elles aussi, mâles ou femelles, qui sont représentées par les animaux dont l'homme et la femme reçoivent respectivement la garde, après leur avoir attribué un nom.

La réunion de l'homme et de la femme symbolise donc l'équilibre de l'âme; au contraire, leur séparation introduit un déséquilibre qui est à l'origine de la chute. Cependant, comme nous l'indique Augustin, si la femme, au sens symbolique, est seule à goûter du fruit défendu, l'âme n'a pas péché tout entière; il faut encore que la femme en fasse manger à son mari pour que la faute soit consommée, par la plein consentement de l'âme humaine. C'est pourquoi, dans notre apocryphe, le tentateur exige qu'Eve s'engage par serment à donner à Adam du fruit dont elle aura mangé²⁷: si elle ne le faisait point, la faute ne serait pas complète.

Ainsi, malgré l'impression qu'on pourrait éprouver en première lecture la Vie apocryphe d'Adam n'est pas une paraphrase naïve du récit de la Genèse. Pas un instant l'auteur n'a l'intention de comprendre ingénument, au sens propre, le récit de la tentation et les rôles qui sont assignés à l'homme et à la femme. D'après lui, tous ces termes ont une signification symbolique, dont l'ensemble constitue une sorte d'allégorie de l'âme ou de la nature humaine, qui possède en elle-même la puissance des deux sexes, comme dans les mythes d'androgynie primordiale. Simplement, à la différence des autres apocryphes ou des exégètes que nous avons cités, l'auteur de l'apocryphe d'Adam s'interdit toute espèce de commentaire: il se contente de développer avec raffinement les détails de son allégorie, en laissant à la perspicacité du lecteur le soin de les interpréter.

Ce style obscur, entièrement figuré, confère à tout le récit une étrange beauté. C'est sans doute sa valeur esthétique qui explique l'intérêt et le prestige dont il bénéficia dans la chrétienté des premiers siècles. Jadis inclus dans les sermons et lu dans les églises au même titre que l'enseignement des Pères²⁸, l'apocryphe d'Adam, devenu suspect sans doute après le XI^e siècle, finit par être tout à fait interdit, comme le mentionne une note du texte géorgien²⁹. Auparavant, il avait déjà eu le temps d'être largement commenté et de fournir un grand nombre d'axiomes ou de représentations mythiques sous-jacentes aux commentaires exégétiques ou homilétiques des premiers chapitres de la Genèse, même chez les auteurs les plus orthodoxes.

NOTES

* La Vie géorgienne d'Adam est citée ci-dessous d'après les pages et les lignes de K.

K. ც. ქურციკიძე, ადამის აპოკრიფული ცხოვრების ქართული ვერსია, ფილოლოგიური ძიებანი, თბილისი (1964) p. 98—136 (texte critique avec introduction et lexique). La Vie grecque (Vg) est citée d'après les paragraphes de C. Tischendorf, „Apocalypsis Mosis“ dans *Apocalypsis Apocryphae*, p. 1—19.

La Vie latine (VI) est citée d'après les paragraphes de J. H. Mozley, „The Vita Adae“, *JThS* 30 (1929), p. 121—149.

1. კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტფილისი, 1923, t. 1, p. 472 s.; cf aussi l'adaptation allemande de cette oeuvre par M. Tarchinshvili—J. Assfalg, *Geschichte der kirchlichen georgischen Literatur*, Rome 1955, p. 329. 335 s.

Le texte fut partiellement traduit et paraphrasé en russe par М Джанашвили «Изгнание Адама из рая, Нимрод и сем послетопных народов. Книга Нимрода» in *Сборник материалов... Кавказа*, tome 29, Tiflis 1909, fascicule I, r. 19—44.

Le russe fut traduit à son tour en allemand par W. LÜDTKE, „Georgische Adambücher“ *ZATW* 38 (1919—1920) p. 158—160. Malgré les indications de R. P. BLAKE, „Georgian Theological Literature“, *JThS* 26 (1925), p. 50—64, le texte tomba tout à fait dans l'oubli. Il est ignoré d'A. M. DENIS, *Introduction aux pseudépigrapbes grecs de l'A. T.*, Leyde 1970, p. 3—14; rien non plus dans l'opuscule de L. ROST, *Einleitung in die alttestamentlichen Apokryphen und Pseudépigrapben einschliesslich der grossen Qumran Handschriften*, Hidelberg 1971, p. 114—116. Nous proposons une traduction française de ce texte dans le recueil jubilaire offert à G. Quispel, Leyde 1981.

2. Cf l'appréciation de M. NAGEL, *La Vie grecque d'Adam et Eve (Apocalypse de Moïse)* 3 volumes. Oberbronn 1972 (volume 1): Histoire du texte; volume 2: Notes sur l'histoire du texte; volume 3: Edition du texte avec synopses de toutes les variantes). Reproduction, Lille, 1974.

3. M. Ngel, *opus cit.*, volume 1, p. 120—121.

4. Cf la traduction anglaise de L. S. A. Wells, „The Books of Adam and Eve“, in R. H. Charles, *The Apocrypha and Pseudépigrapba of the O. T.*, 4^eème édition, Oxford 1966, p. 134—136. Comparer les deux détails suivants:

— K p. 110, lignes 10—11

სამოსელი დაიფარე ვიდრე ყელამდე.

Wells p. 135: „clothe thyself with water as with a cloak“ — K p. 110, ligne 27

ვარე მოადგეს მას ვითარცა ზღუდენი.

Wells p. 136: „they surrounded Adam like a wall“

5. კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია tome 1, Tbilissi 1951, p. 409, croit pouvoir expliquer une faute de la traduction géorgienne par la paléographie arménienne. D'après lui, la première personne qui survient inopinément dans le texte édité par ქურციკიძე (p. 130, ligne 7—8): „Je vis, moi, Eve...“, proviendrait d'un texte arménien à la 3^eème personne (მხანსէր ხ: „elle voyait aussi“). lu par erreur მხანსէხ ნա (la confusion entre *რ* et *խ*



étant assez facile en écriture arménienne բարձրիր). En fait, le grec correspondant a bien une première personne (cf Vg, § 33 Tischendorf p. 18 ligne 18, ἴδον δε ἐγώ, et § 34, p. 19 ligne

1. ἴδον ἐγώ E5α). L'argument de ԳԳԼԵՕԵ nous semble donc peu convaincant. Toutefois d'autres indices peuvent laisser supposer que le géorgien a bien été traduit de l'arménien:

K p. 109. ligne 22 Զղեցե եստեսեցը est le calque exact de անդրէն ի դրախտս.
 սձ ըլրճա (passim) = ահա ասիկ «voici»:

սճա տշ (K p. 115, ligne 2) = մի թե «est-ce que»:

տան մարտ (K p. 133, ligne 33) = հանդերձ հարբ,

6. Cette version serait antérieure au X^{ème} siècle, d'après K. p 103—104; à vrai dire il serait logique de supposer qu'elle a été effectuée avant la rupture entre Arméniens et Géorgiens, au début du VII^{ème} siècle.

7. Cf Քանգարան հին և նոր հայտնաց—Ա—Անկանոն զիրք հին կապարանաց (ed. Ս. Յովսէփեանց). Venise 1896, p. 1—47; J. Issaverdens. *The Uncanonical Writings of the O. T. found in the Armenian Miss of the Library of St Lazarus*. Venise 1901 (2^{ème} édition 1934). Bibliographie dans A. M. Denis (cité n. 1). p. 5—6. A quoi l'on peut ajouter Հ. Ս. Անսայան, Հայկական Մատենագիտություն tome I, Erévan 1959, colonnes 236—250 (tradition manuscrite): M. Stone „Report on Seth Traditions in the Armenian Books“ (cf M. Tardieu, „Le Congrès de Yale sur le Gnosticisme, 28—31 mars 1978“, REAug 24, 1978, p. 188—209, spécialement p. 195). M. Nagel, *opus cit.*, tome 1, p. XXXVI, rattache cette Vie arménienne au type III des Vies grecques, tandis que la Vie géorgienne se rattache au type II.

8. Cf K. p. 121, lignes 13—16; cf Vg 16.

9. Cette tradition constituait le thème d'autres apocryphes „Sur les douze heures du jour“ et „Sur les douze heures de la nuit“, conservés en traduction géorgienne dans le manuscrit եռձո n°6, de l'an 1813.

10. Cf K. p. 120, lignes 9—19; cf Vg 15.

11. Cf Zosime, Sur les appareils et les fourneaux. Commentaires authentiques sur la lettre Ω § 11. Traduction française par A. J. Festugière, La Révélation d'Hermès Trismégiste, tome 1, Paris 1950, p. 269, d'après le texte grec de M. Berthelot-E. Ruelle, les Alchimistes grecs, tome 2, p. 231.

12. Cf R. H. Charles, *opus cit.* (n. 4), tome 2, p 449—**The Book of the Secrets of enoch** 30, 13—14: „And I appointed him a name from the four component parts from east, from west, from south, from north, and I appointed for him four special stars and I called his name Adam, and I showed him the two ways, the light and the darkness“. Les quatre étoiles dont il est question cidessus sont, vraisemblablement, les quatre lumineuses (ΦωτΗΡ) guidant les quatre âges de l'humanité, dans les apocryphes „séthiens“ de la bibliothèque copte de Nag Hammadi: cf H. M. Schenke, „Das Sethianische System nach Nag Hammadi Handschriften“ in P. Nagel, éd. *Studia Copiica*, Berlin (DDR), 1974, p. 165—173. Le nom d'Adam est également interprété dans les *Oracles Sibyllins* III, 24—26:

Αὐτὸς δὲ θεὸς ἐστὶ ὁ πλάσας τετραγράμματος Ἀδάμ, Τὸν πρῶτον πλασθέντα καὶ οὐνομα πληρώσαντα Ἀντολίην τε ὕβριν τε μεσημβρίην τε καὶ ἄρκτον.

13. *Corpus Hermeticum* 1, 18, édition A. D. Nock — A. J. Festugière, 3^{ème} éd., Paris, 1972, tome 1, p. 13.

14. *Évangile de Philippe*, sentences n° 71 et 78 (=Nag Hammadi, codex II, p. 68, lignes 22—26 et p. 70, lignes 9—17), édition J. E. Ménard, Paris 1967, p. 81—85. Tous les textes de Nag Hammadi sont accessibles:

— en copte, dans l'édition photographique: *The Facsimile Edition of the Nag Hammadi Codices* (Unesco-Arab Republic of Egypt), Leyde 1972 ss.

— en traduction: J. M. Robinson (Editor), *The Nag Hammadi Library in English*, New-York, London 1977.

15. K. p. 133, lignes 20—22; cf Vg 42.

16. Augustin, *La Trinité* II, 13, 20 (*Oeuvres de saint Augustin*, tome 16, Paris 1955, p. 248, traduit par P. Agaësse).

17. ID. 11, 12, 19 (*ibid.* p. 247).
 18. ID. 11, 12, 17 (*ibid.* p. 245).
 19. Texte cité *supra* n. 10.
 20. K. p. 120, lignes 28—35; cf Vg 16.
 21. K. p. 112, lignes 7—8; cf VI 14. Cf *Psaume* 97, 7: les anges se prosternent devant Dieu, donc aussi devant son image.
 22. *Écrit sans titre* (= Nag Hammadi, codex II, p. 97, ligne 24 à la p. 127, ligne 17, ici particulièrement p. 120, lignes 26—29). Traduction française avec commentaire dans M. Tardieu, *Trois mythes gnostiques*, Paris 1974, p. 326. Distinguer la lumière et les ténèbres, c'est évidemment reconnaître le bien du mal (cf *Cenèse* 3,5 et l'apocryphe d'Enoch, cité *supra* n. 12).
 23. Cf B. Barc, *L'hypostase des Archontes* (= Nag Hammadi, codex II, p. 86 ligne 20 à la p. 97, ligne 23), Québec-Louvain 1980, p. 84—86; commentaire d'un récit analogue dans Nag Hammadi, Codex II, p. 88, lignes 19—24.
 24. *Écrit sans titre*, Nag Hammadi, codex II, p. 107, ligne 3: traduction M. Tardieu (cité n. 22) p. 308.
 25. *ibid.* p. 106, lignes 30—34 (Tardieu, p. 307).
 26. *ibid.* p. 107, lignes 6—12 (Tardieu, p. 308—309).
 27. K. p. 123, lignes 32—39; cf Vg 19.
 28. D'après les indications contenues dans le ms *Ambrosianus Graecus C 237 inf*, il semblerait qu'au 11^{ème} s. on lisait encore dans les églises de Constantinople, en guise d'homélie pour le dimanche *της ενοραφάου* le sermon du pseudo-Chrysostome „Sur l'expulsion d'Adam du paradis et sur les femmes de mauvaise vie“, ainsi que des extraits de la *Vita Adae* (cité par M. Nagel [op. cit. n. 2] tome, 1, p. 1). Par la suite le livre devint suspect et fut exclu des lectures liturgiques.
 29. Cf. K. Kekelidze, opus cit. (n. 1), tome 1, p. 464. L'apocryphe figure aussi dans la liste arménienne des livres interdits publiée par H. S. Anasyan, op. cit. (n. 7), p. XXXIX et dans toutes les autres listes publiées par ce même auteur.

ЖАН ПОЛЬ МАЭ

МИФ О ПРОГРЕШНОСТИ В АПОКРИФИЧЕСКОМ ЖИТИИ АДАМА

Резюме

Исследование касается грузинской версии апокрифического мифа об Адаме, изданной Ц. Курцикидзе в 1964 году (филологические разыскания, т. I).

Автор разделяет мнение, высказанное в грузинской научной литературе об армянском происхождении данного апокрифа, переведенного не позднее X века, предлагая вместе с тем новые аргументы как для уточнения даты перевода апокрифа, так и для выявления взаимоотношения грузинского и армянского текстов.

В исследовании рассмотрена символика сочинения. По мнению автора, содержание апокрифа основано на библейском сюжете; в апокрифе взаимоотношения мужчины (в лице Адама) и женщины (в лице Евы) следует рассматривать как аллегорическое изображение взаимоотношений духовного и материального начал.

В работе показано, что данный апокриф не является наивным пересказом библейского сюжета. Его автор, хотя и воздерживается от собственных комментариев, но с особым вниманием относится к разработке отдельных деталей аллегории.

თაშილა გაბლოგლიშვილი

მრავალთავის ერთი საკითხავის წყარო

სევერიანე გაბლოგნელი IV ს. ცნობილი სასულიერო ავტორია. მისი ნაწერებიდან ბერძნულ ენაზე დღემდე შემონახულია ჰეგზამერონით შესრულებული ექვსი ჰომილია, რამდენიმე ქადაგება ბიბლიურ თემებზე და სხვადასხვა თხზულებათა ფრაგმენტები. მისივე ნაწარმოებები ბერძნულსა და სხვაენოვან უძველეს ხელნაწარებში გაბნეულია იოანე ოქროპირის სახელითაც, სომხურ ენაზე დაცულია ამ ავტორის ცხრა ჰომილია, რომელთა ბერძნული წყარო დაკარგულია.

სევერიანე გაბლოგნელის სამი საკითხავია სინურ, უდაბნოსა და კლარჯულ მრავალთავებში (S 23¹, U 45 d²/K43³, K32), ხოლო მისი ორი საკითხავი კი იოანე ოქროპირის სახელით დაუცავს ათონისა და უდაბნოს მრავალთავებს (A 28⁴ U27, U29).

წინამდებარე ნაშრომში ჩვენ შევეხებით ამ ავტორის ერთ-ერთ საკითხავს „მოციქულთა საკსენებელი“ — რომელიც მხოლოდ სომხურ და ქართულ ენებზეა შემონახული.

მოციქულთა საკითხავის სომხური ვერსია, რომელიც ბერძნულიდან არის თარგმნილი, გვიანდელი სომხური ხელნაწერების მიხედვით 1827 წელს გამოაქვეყნა ფ. ბ. აუშერმა ამ ავტორის სხვა ჰომილიებთან ერთად⁵.

ხოლო ამ თხზულების ქართული ვერსია კლარჯული მრავალთავის მიხედვით 1963 წელს გამოსცა ილ. აბულაძემ პარალელურ სომხურ ტექსტთან ერთად⁶.

კლარჯული მრავალთავის საკითხავების შესწავლისას, გამომჟღავნდა, რომ ზემოთ ხსენებული ჰომილიის ფრაგმენტები შემონახულია ასევე უდაბნოს მრავალთავშიაც: ტექსტი თავნაკლულია, აკლია შუა ნაწილი⁷.

¹ S — სინური მრავალთავი 864 წლისა, ავ. შანიძის რედაქციით, თბილისი, 1959.

² U — უდაბნოს მრავალთავი, ხელნაწერთა ინსტიტუტი, A-1109.

³ K — კლარჯული მრავალთავი, ხელნ. ინსტ. A-144.

⁴ A — ათონის მრავალთავი, ხელნ. ინსტ. Rt. XI — 91-2.

⁵ J. B. Aucher, Severiani sive Seberiani Gabalorum episcopi Emesensis homiliae nunc primum editae ex antiqua versione armena in latinum sermonem translatae, Venise, 1827, გვ. 156—177.

⁶ ილ. აბულაძე, ქართულ-სომხური ფილოლოგიური შტუდიები, მრავალთავის ზოგიერთი თავის წყარო. V. სევერიანე გაბლოგნელი. მოციქულთა სახსენებელი, საქ. სსრ მეცნ. აკად. ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, V, თბ., 1963, გვ. 85—102.

⁷ სევერიანე გაბლოგნელის საკითხავის უდაბნოს მრავალთავში დაცული ერთი ფრაგმენტი, 1979 წელს გამოაქვეყნა მ. ვან ესბროკმა, L'Homélie „sur les Apôtres“ de Sévérien de Gabala versien géorgienne, Bedi Kartlisa, vol. 37, 1979, გვ. 86—101.

კლარჯულ და უდაბნოს მრავალთავეებში დაცული სევერიანე გაბალოვნე-
ლის ამ საკითხავის ტექსტების შედარებისას აღმოჩნდა, რომ მათ შორე
ლოდ ვარიანტული სხვაობანი არსებობს, გარდა უდაბნოს მრავალთავის შემ-
დეგი გვერდებისა — 171 რვ და 172 რ-ს პირველი სვეტი, სადაც კლარჯული
მრავალთავისაგან განსხვავებული რედაქციაა წარმოდგენილი.

სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებული იყო აზრი, რომ უძველეს ქარ-
თულ მრავალთავეებში (იგულისხმება: სინური, ათონის, უდაბნოს კლარჯული,
სენური და პარხლის მრავალთავეები) დაცული ტექსტები ერთი რედაქციისაა.⁸
ამ კრებულების საკითხავთა შესწავლით თანდათან მკლავნდება, რომ მრავალ-
თავეების ტექსტები ერთმანეთისაგან სხვაობენ რედაქციულად, ზოგჯერ მთელი
საკითხავის ფარგლებში, ზოგჯერ კი — ტექსტის გარკვეულ ნაწილში.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სევერიანე გაბალოვნელის თხზულებები ბერძ-
ნულ ენაზე ძალზე მცირე რაოდენობით არის შემორჩენილი. ჩვენთვის საინტე-
რესო საკითხავის ბერძნული დედანიც დაკარგულია. რალა თქმა უნდა, ბუნებ-
რივია, ის დიდი მნიშვნელობა, რაც ამ ავტორის თხზულებათა ყოველ უძველეს
თარგმანს ენიჭება, ამ შემთხვევაში სომხურ თარგმანსა და ორ ქართულ რედაქ-
ციას.

ილ. აბულაძემ გამოსცა რა სევერიანე გაბალოვნელის ზემოთ ხსენებული
საკითხავის ქართულ-სომხური ვერსია, შეისწავლა ქართული თარგმანი, მისი
ლექსიკა, ფრაზეოლოგია და დაასკვნა, რომ თარგმანი ძველია, შესრულებულია
სომხური ვერსიიდან V—VIII სს-ში.

აქ ჩვენ უთუოდ უნდა შევნიშნოთ, რომ ამ ორი ქართულ-სომხური
ვერსიების შედგენილობა სრულიად განსხვავებულია. ქართულ რედაქციას პა-
რალელი ეძებნება ამავე ავტორის ჰომილიათა სომხური გამოცემის III და IV
ჰომილიებში. ქართული თარგმანი შინაარსობრივად შეესატყვისება სომხური
ვერსიის ხან IV და ხან III ჰომილიების ნაწყვეტებს, მაგრამ მთლიანად ქართუ-
ლი ტექსტი ვერ ფარავს პარალელურ სომხურ ტექსტს — სომხური თარგმანი
გაცილებით ვრცელია.

ილ. აბულაძის აზრით, მრავალთავის ეს ქართული საკითხავი გამოკრები-
ლი ყოფილა გაბალოვნელის ორი სიტყვიდან. ვის მიერ არის დამუშავებული
ქართული საკითხავის სახე, ძნელია თქმა. შესაძლებელია, ქართველმა მთარ-
გმნელმა თვითონ კი არ მისცა ის ფორმა, რაც მას მრავალთავეში აქვს, არამედ
საკითხავის სახით შემუშავებული ტექსტი მას თავიდანვე ჰქონდა.⁹

ანალოგიურ შემთხვევას აქვს ადგილი კირილე იერუსალიმელის ერთ საკი-
თხავეში — „საკითხავი სულისა წმიდისა“, რომელიც ასევე კლარჯულ მრავალ-
თავეშია დაცული. ეს საკითხავი თარგმნილია ბერძნულიდან, მხოლოდ იგი წარ-
მოადგენს კირილე იერუსალიმელის XVI და XVII კატეხიზისების გაერთიანებას.

ჰომილიათა ტექსტების დაყოფა ან გაერთიანება, საერთოდ, მრავალთავე-
ბისათვის უცხო არ არის (მსგავსი სამი შემთხვევა მართა კლარჯულ მრავალთა-
ვეში გვაქვს), ანალოგიური რამ ჩვენ ვერც ქართულ საკითხავთა შესაბამის ბე-
რძნულ გამოცემებსა და ვერც იმ ხელნაწერებში ვერ აღმოვაჩინეთ, რომელთა
გამოყენების საშუალებაც გვქონდა.

ილ. აბულაძე, მრავალთავი, ენიშის მოამბე, XIV, თბ., 1944, გვ. 242.

⁹ ილ. აბულაძე, სევერიანე გაბალოვნელი... გვ. 87.

მელიტონ სარდელის ერთ-ერთი საკითხავის შესწავლისას ათონის მრავალ-
თავში ანალოგიური მოვლენა გამოავლინა მ. ვან ესბროკმა¹⁰. ბელგიელმა
ნიერი იზიარებს მკვლევართა ვარაუდს, რომლებიც საკითხავთა ამგვარი დაყოფის
საფუძველს ბერძნულ პაპირუსებში ეძებენ¹¹.

რა თქმა უნდა, საკმაოდ საინტერესო მოსაზრებაა და უთუოდ გასათვალის-
წინებელიც. მაგრამ მიუხედავად ამისა, ჩვენი აზრით, არ შეიძლება მთლიანად
გამოირიცხოს ანევე იმის შესაძლებლობა, რომ მსგავსი დაყოფა თვით ქართულ
რედაქციაშიც მომხდარიყო და ეს ფაქტი, თავისთავად, მრავალთავებისათვის
ყოფილიყო დამახასიათებელი.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მრავალთავების ტექსტების ყოველგვარი და-
ნაწილება ან გაერთიანება ხდება ძალზე თანმიმდევრულად და არა ისე გამოკ-
რებით, როგორც ამას სევერიანე გაბალოვნელის „მოციქულთა საკანონების“
შემთხვევაში აქვს ადგილი. ფაქტიურად, ამ ავტორის ორი სომხური ჰომილიდან
გამოკრებილი ადგილების გაერთიანებით ილ. აბულაძე ქმნის ქართულის შესა-
ბამის სომხურ ვერსიას, რაც არ უნდა იყოს გამართლებული. და თანაც თვით ეს
გამოკრებილი სომხური ტექსტი მაინც სხვაობს შესაბამისი ქართული ვერსიი-
საგან.

შეისწავლა რა სევერიანე გაბალოვნელის ქართული და სომხური ვერსი-
ები, მ. ვან ესბროკმა მათ შორის კითხვა-სხვაობათა საინტერესო მასალა მოიპო-
ვა¹².

ამ კითხვა-სხვაობებს შორის პირველ რიგში უნდა დავასახელოთ შემდეგი
ფრაზა:

ქართ. „რამეთუ ივინი თივისა მისგან ნაყოფსა ჰგონებენ“

К გვ. 100

სომხ. *քանզի նոքա գկաւին կնաստիւիւնն յարդիւ իմն սամիքն* (რამეთუ
ივინი თივისა მის უძღურებასა ბზით განამტკიცებენ¹³).

ილ. აბულაძის აზრით, ქართულ და სომხურ ტექსტებს შორის არსებული
ეს სხვაობა მხოლოდ ქართველი მთარგმნელის დაუკვირვებლობით შეიძლებოდა
ახსნილიყო. მ. ვან ესბროკი ამ შემთხვევაში გამოირიცხავს მთარგმნელის შეც-
დომას და თვლის, რომ ეს სხვაობა მხოლოდ ბერძნულ წყაროზე მიგვითითებს,
სადაც უნდა ყოფილიყო:

τὸ δὲ ἐκ τῆς πηλῆς ἀναίον ἄβραμ τὸν ἐχάραττον¹⁴.

(ეს ფრაზა პატრისტიკულ ტექსტებში საკმაოდ გავრცელებულია).

აღმოჩენილი ფრაზეოლოგიური განსხვავება მ. ვან ესბროკის აზრით დიდ
სიფრთხილეს მოითხოვს. მაგრამ ქართულ და სომხურ ვერსიებში ილ. აბულა-
ძის მიერ დაძებნილი საერთო ხმარების სიტყვების საფუძველზე ბელგიელი
მეცნიერი მაინც ვარაუდობს, რომ ქართული თარგმანის წყარო სომხურია, თუმ-
ცა იგი მთარგმნელის მიერ ბერძნული ორიგინალის გამოყენებასაც ვერ უარ-
ყოფს¹⁵.

¹⁰ M. van Esbroeck, Le traité sur la Pâque de Méliton de Sardes en géorgien, Le Muséon, 84, 1971, გვ. 373—395.

¹¹ იქვე, გვ. 374—375.

¹² იხ. M. van Esbroeck, L'Homélie... sur les Apôtres... გვ. 89—100.

¹³ ილ. აბულაძე, სევერიანე გაბალოვნელი... გვ. 88.

¹⁴ M. van Esbroeck, L'Homélie... sur les Apôtres... s. 100.

¹⁵ იქვე.



ჩვენ პირველ რიგში შევეხებით ქართული და სომხური ვერსიების სწავრობას ხმარების სიტყვებს, რომლებიც ქართული თარგმანის სომხურიდან მომდინარეობის ერთ-ერთი ძირითადი საბუთია. ეს სიტყვებია:

- ალიზი **აღისა**
- ახონად **ასიქსან**
- ბუნება **ბნოქსან**
- ბუნებითი **ბნასკალირ**
- გუნდი **გონჟ**
- იონებრ **კონარენ**
- პოლოტიკი **ყოიქასთიქ**
- უამი **ქამანასკ**
- ურაკპარაკი **ჩრასყარასკ**
- ფილოსოფოსი **ქიქიქსიქასკოქსან**
- ქეშმარიტი **აქმარქო**
- ქეშმარიტება **აქმაროოქსან**
- გამოქეშმარიტება **აქგროსქ¹⁶**

ამ მაგალითების საფუძველზე შეუძლებელია დაუშვათ, რომ სევერიანე გაბალოვნელის თხზულება სომხურიდან არის თარგმნილი, ვინაიდან ეს სიტყვები უცხო წარმოშობისაა და ქართულ ენაში აღრიდანვე არის დამკვიდრებული¹⁷. ნათარგმნ ძეგლებში უცხო სიტყვების ხმარებასთან დაკავშირებით საინტერესოა ე. გარიტის მოსაზრება: „ზოგიერთი უცხო სიტყვის ხმარება ტექსტში, სრულიადაც არ არის თარგმანის წყაროს მიმანიშნებელი, რადგანაც თუ ეს სიტყვა ხშირად იხმარება ენაში, იგი ამ ენის საკუთრებაც არის“¹⁸.

ამ სიტყვებიდან ჩვენ მხოლოდ ერთ-ერთ მათგანს შევეხებით, ესაა „პოლოტიკი“, რომელიც ძველი და იშვიათი ხმარების სიტყვაა.

მისი სომხური პარალელია **ყოიქასთიქ**. საინტერესოა, რომ ეს სიტყვა კლარჯულ მრავალთავში ორჯერ იხმარება: ერთი—სევერიანე გაბალოვნელის ჩვენთვის საინტერესო საკითხავში — „იყო შორის ერსა მას პურიათასა ჳრმალი იგი პოლოტიკი... R გვ. 167 v მეორედ — კი ათანასე ალექსანდრიელის ჰომილიაში „საკითხავი... დღისა მისთვის მეერვასისა და მოსლვისათჳს სულისა წმიდისა“ — „ყვნა ენანი მოციქულთანი პოლოტიკ“. K 137 r. ათანასე ალექსანდრიელის ეს საკითხავი ბერძნულიდან არის თარგმნილი, მისი სომხური ვერსია საერთოდ ცნობილი არ არის, თუმცა, სამწუხაროდ, ჩვენ ხელთ არა გვაქვს ქართული თარგმანის ზუსტად შესაბამისი ბერძნული მოდელი, და ამდენად ჩვენთვის საინტერესოა ეს წინადადებაც საერთოდ არ არის იმ ბერძნულ რედაქციაში, რომელიც ქართულს შეუდარდა.

სიტყვა „პოლოტიკი“ დადასტურებულია არა მარტო თარგმნილ, არამედ ამ პერიოდის ქართულ ორიგინალურ ძეგლშიაც: „ცხოვრება იოანე ზედაზნელისაჲ“ — „და მცნებაჲ იგი აღურ-ეჳმნა მათ პოლოტიკ, და კბილნი მათნი მოაღბნა და ჰვიან ვიდრე დღენდელად დღედმდე მათსა მას და არავის აგნებენ“. ძეგლ. 1, გვ. 215,25.

¹⁶ ილ. აბულაძე, სევერიანე გაბალოვნელი..., გვ. 88.

¹⁷ ამ სიტყვათა მომდინარეობის შესახებ იხ. მზია ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, თბილისი, 1966.

¹⁸ G. Garitte, Traduttore traditore di se stesso, Bulletin de la classe des lettres et des sciences morales et politiques 5^e Série—tome LVII, 1—3, 1971, Bruxelles, s. 60.

აქ ჩვენ სხვა დანარჩენი ლექსიკური ერთეულებისათვის აღარ მოვიყვანთ ნიმუშებს, მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ თითოეული მათგანი იმ დროისათვის ქართულ ენაში დამკვიდრებულია და მათი ხმარება რომელიმე ლიტერატურულ ნაწარმოებში სხვა უცხოენოვან წყაროდან მომდინარეობაზე ვერ მიგვითითებს.

ილ. აბულაძის ვარაუდით „ქართველი მთარგმნელის ცთუნების მიმანიშნებელია“ სომხ. „ს ა რ წ მ უ ნ ო ე ბ ი ს“ ქართულში „ს ა მ წ ყ ს ო ლ“ გადმოღებაც. სომხური ტექსტის *հասա* ქართულ თარგმანში უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი სიტყვით „ს ა რ წ მ უ ნ ო ე ბ ა“ მაგრამ მის ნაცვლად „ს ა მ წ ყ ს ო“ გვაქვს, რაც, მეცნიერის აზრით, კვლავ მთარგმნელის დაუკვირებლობის ნაყოფი ჩანს (*հասա*-ის ნაცვლად *հას* არის წაკითხული)¹⁹.

აი ეს მაგალითებიც:

1. ... და მოსრვიდა და სდევნიდა სამწყსოსა მას ქრისტჳსსა... K 167 v.
2. და ზღუდედ მოადგა ს ა მ წ ყ ს ო ს ა თუსსა, რათა კრძალულ იყვნენ. K 168 r.
3. ... რამეთუ კაცობრივ არიან ზრახვანი იგი, შეერივნეს ს ა მ წ ყ ს ო ს ა მას ღმრთისასა... K 168 v.

სამივე შემთხვევაში პარალელურ სომხურ ტექსტში „ს ა მ წ ყ ს ო ს“ შესატყვისად გვაქვს „*հասա*“-სარწმუნოება, მაგრამ ქართული თარგმანის „ს ა მ წ ყ ს ო“ ძალზე ბუნებრივად არის კონტექსტში და არ იწვევს არავითარ გაუგებრობას. ჩვენ სავსებით ვეთანხმებით მ. ვან ესბროკს, რომ ეს მაგალითი მთარგმნელის შეცდომის მიმანიშნებელი არ უნდა იყოს²⁰. ჩვენის მხრივ კი დავუმატებთ, რომ ქართულის შესაბამის სომხურ ვერსიაში „*հასა*“ — „ს ა რ წ მ უ ნ ო ე ბ ა“ ცხრაჯერ გვხვდება, აქედან, სამჯერ ეს სიტყვა ქართულ ვერსიაში თარგმნილია როგორც „ს ა მ წ ყ ს ო“, ექვსჯერ კი — როგორც „ს ა რ წ მ უ ნ ო ე ბ ა“. მაგრამ ამ ექვსივე შემთხვევაში ქართული ვერსიის კონტექსტის მიხედვით სრულიად წარმოუდგენელია სომხ. „*հასა*“-ის „ს ა მ წ ყ ს ო ლ“ გადმოღება, ზემოთ მოტანილი სამი შემთხვევის საპირისპიროდ, სადაც სომხ. „*հასა*“-ის ს ა რ წ მ უ ნ ო ე ბ ი ს“ ქართულში „ს ა მ წ ყ ს ო ლ“ შეცვლა არ არღვევს წინადადების სემანტიკას.

აი ეს ნ მაგალითიც:

1. და სარწმუნოებისა მორჩილებასა არავინ ინება შედგომად... გვ. 94.
2. ყოველივე ქებაჲ სარწმუნოებისაჲ კლდესა მას ზედა დამტკიცებული დგას... გვ. 95.
3. ...და სადა სარწმუნოებაჲ არს, მუნ ძლიერებაჲ არს, და სადა ურწმუნოებაჲ, მუნ — დაკსნილებაჲ... გვ. 100.
4. რამისა დამედგრებულ ხართ და არა არს თქუენ თანა სარწმუნოებაჲ?
5. ...სტეფანე სავსე სარწმუნოებითა და ძლიერებითა იქმოდა სასწაულსა დიდ დიდსა შორის ერსა მას. გვ. 100.
6. ჰხედავა, რამეთუ სადა სარწმუნოებაჲ, მუნ სიმკნე? გვ. 100.

მაშასადამე, ქართულ ტექსტში დადასტურებული „ს ა მ წ ყ ს ო“ სომხური „*հასა*“-ის სანაცვლოდ მთარგმნელის შეცდომა ვერ იქნება, ეს შემთხვევაც, ჩვენის აზრით, მიგვანიშნებს, რომ ქართული ვერსიის წყარო სომხური არ უნდა იყოს.

¹⁹ ილ. აბულაძე, სვეტიცხოველი... გვ. 88.

²⁰ M. van Esbroeck, L'Homélie... sur les Apôtres..., s. 91.



ქართველი მთარგმნელის შეცდომად თვლის ასევე ილ. აბულაძე „გან-
ცვბრებულ“ ფორმის დადასტურებას ქართულ ვერსიაში²¹. იგივე
ლითი დამოწმებული აქვს მ. ვან ესბროკსაც²².

„დაუმტკიცებელ არიან სიტყუანი მათნი, განცვბრებულ არიან
თქუმულნი, ტყუვილ არიან განწესებულეზანი მათნი...“.

როგორც ვხედავთ „განცვბრებულ“ თავისი სემანტიკური მნიშ-
ვნელობით სავსებით ბუნებრივად შეერწყმის კონტექსტს და არც აქ უნდა
იყოს გადამწერისა თუ მთარგმნელის შეცდომა, რის მიხედვითაც სომხ.
ის (ცივი) შესაბამისად ქართულში „განცივებულ“ უნდა გვქონდეს
„განცვბრებულის“ სანაცვლოდ, მით უმეტეს, რომ ეს ფორმა ასევეა
დამოწმებული უდაბნოს მრავალთავშიაც.

ამ კონტექსტში „განცვბრებულის“ შეცვლა სომხურის მიხედვით
„განცივებულით“, ვფიქრობთ, არ უნდა იყოს სწორი, და თანაც ისეთ
შემთხვევაში, როდესაც ქართული და სომხური ვერსიები ამ ფრაგმენტის
ფარგლებში საერთოდ სხვაობენ ერთმანეთისაგან.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი მაგალითებისა, საჭიროა ასევე გავითვალის-
წინოთ ქართულ თარგმანში არსებული ზოგიერთი საკუთარი სახელი, კომპო-
ზიტი, ტერმინი, რომელთა ქართულ ვერსიაში დადასტურებული ფორმები
სომხური ვერსიის შესაბამისი ფორმებისაგან სხვაობენ და ამდენად, ბუნებ-
რივია, ქართული თარგმანის სხვა წყაროზე მიგვიითებენ. ასე მაგ.:

ბართლომე *Բարդուղիմეოს*
აპოლოს *Սպաղոս*
სელმონ *Սաղմոն*

კომპოზიტების გადმოღების დროსაც ქართულ ტექსტში სიჭრელე შეიმ-
ჩნევა.

სომხ. *բանիբուն* ქართულში თარგმნილია ხან როგორც სიტყვა-მეცნი-
ერი, ხან კი სიტყვა-ველოვანი.

სომხ. *հինაირական* და *ჯասაყიქ* ქართულში ყველგან თარგმ-
ნილია, როგორც სიტყვა-მეცნიერი და ასე შემდეგ.

სომხურისაგან განსხვავებული ფორმით გვხვდება იშვიათად ხმარებული
და ძველი ტერმინიც — „მერთისა მპყრობელ“, უდაბნოს მრავ-
ალთავშია — „მერთისა მპყრობელ“ სომხურში გვაქვს *ամհ-
նակալ*, რაც „ყოველისა მპყრობელს“ ნიშნავს. ქართულის წყარო
ბერძნული *ὁ Θεὸς τῶν ἄλλων* უნდა იყოს, რაც პატრისტიკულ ძეგლებში დას-
ტურდება.

გარდა ჩვენ მიერ ზემოთ ჩამოთვლილი მაგალითებისა, ქართულ-სომხურ
ვერსიების საერთო ნაწილებშიაც შეიმჩნევა სხვაობა:

ქართ. „იყავნ ჩუენ ყოველთაჲ მასვე სათრომელსა შინა მართლმადიდებელთა
მათ თანა შედგომად. K. გვ. 170rr.

სომხ. *այն իսկ է. գրի լաւիսնից կհասն գրաւիցես* (იგი არას ის, რო-
მელიც მასთან იქნება უ. უნისამდე).

ქართულსა და სომხურ ვერსიებს შორის არსებული ეს სხვაობა მხოლოდ
იდეოლოგიური თვალსაზრისით შეიძლება აიხსნას. სომხური თარგმანი ბერ-

²¹ ილ. აბულაძე, სევერიანე გაბალოვნილი... გვ. 95.
²² M. van Esbroeck, L'Homélie... sur les Apôtres..., s. 92.



ძნელი ორიგინალიდან არის შესრულებული. მართლმადიდებელი მოხსენიება, ბუნებრივია, მონოფიზიტი სომეხი მთარგმნელისათვის მიუღებელი იყო, და ამის გამო მან ჩვენთვის საინტერესო ეს ფრაზა სრულიად გადააკეთა. მართლმადიდებელი მამების ხსენება ქართულ თარგმანში სომხური ვერსიის გავლენით, რა თქმა უნდა, ვერ აღმოჩნდებოდა, რადგანაც, როგორც დავინახეთ, სომხურ ტექსტში ეს ფრაზა სრულიად შეცვლილია. მაშასადამე, ქართული ვერსიისათვის სხვა წყარო არის საძებნელი. ეს სავარაუდო წყარო კი, ჩვენი აზრით, მხოლოდ ბერძნული ორიგინალი უნდა ყოფილიყო, რომელიც დღეისათვის დაკარგულია.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ამავე საკითხავის უდაბნოს მრავალთავში არსებული განსხვავებული რედაქციის ფრაგმენტიც შინაარსობრივად პარალელს პოულობს სევერიანე გაბალოვნელის სომხურ თარგმანში.

ამ საკითხავის უდაბნოს მრავალთავისეული რედაქცია ოდნავ უფრო ვრცელია, ვიდრე კლარჯულისა. ეს ფრაგმენტი ფაქტიურად გავრცობილია სამებაში სული წმიდის ღვთაებრიობის დასამტკიცებლად, რომ სული წმიდა ერთარსია მამისა და ძისა. სომხურ ვერსიაში კი წარმოდგენილია ორივე ქართულ რედაქციასთან შედარებით უფრო ვრცელი ვარიანტი, აქაც გავრცობა შეეხება სული წმიდასთან დაკავშირებულ პასაჟებს.

ამ სამი რედაქციის (ორი ქართული და ერთი სომხური) შედგენილობის გათვალისწინების საფუძველზე, ჩვენი აზრით, შესანიშნავად ჩანს თვით ბერძნულში სევერიანე გაბალოვნელის საკითხავის გადამუშავების სამი სტადია: ა) კლარჯული მრავალთავი, რომელიც V—VI სს. უძველესი კრებულებიდან უნდა იყოს უშუალოდ გადმოწერილი, წარმოგვიდგენს სევერიანე გაბალოვნელის „მოციქულთა საკსენებლის“ უძველეს ქართულ თარგმანს. თარგმანის სიძველის დამადასტურებელია არა მარტო ჰომილიის შედგენილობა, არამედ ისეთი ლექსიკური არქაიზმები, ძველი და იშვიათი ხმარების სიტყვები, როგორებიცაა: „სათრომელი“, „მეერთისა მჰყობელი“, „ფატარი“, „ფართობა“, „შეტყუეება“, „მიმოდადება“, „პოლოტიკი“.

ბ) უდაბნოს მრავალთავის დღემდე შემორჩენილი ფრაგმენტი, რომელიც ერთ ნაწილში კლარჯულ მრავალთავს მიჰყვება, შემდეგ განსხვავებულ უფრო ვრცელ რედაქციას გვაძლევს, ბოლოს კი ისევ კლარჯულის ვარიანტულია მთლიანად, შინაარსობრივად კი პარალელს პოულობს სომხურ ვერსიასთან, ჩვენი აზრით, ეს რედაქცია უფრო გვიანდელი ბერძნული რედაქციის თარგმანი უნდა იყოს.

გ) სომხური ვერსია კი წარმოგვიდგენს ამ საკითხავის ბერძნულ ენაზე გადამუშავების ყველაზე ვრცელ, შედარებით გვიანდელ ვარიანტს.

მაშასადამე, სევერიანე გაბალოვნელის კლარჯულ მრავალთავში შემონახული „მოციქულთა საკსენებელი“ წარმოადგენს ამ თხზულების ერთ-ერთ უძველეს ქართულ თარგმანს, რომელიც ჩვენი ვარაუდით შესრულებული უნდა იყოს ბერძნული ორიგინალიდან.

ОБ ИСТОЧНИКЕ ОДНОЙ ГОМИЛИИ МНОГОГЛАВА

Резюме

Гомилия Северяна из Габалы — Память об апостолах — сохранена только в древнегрузинском и армянском переводах. Греческий оригинал этого чтения утерян.

В грузинском переводе текст имеется в двух редакциях, а в армянском только в одной.

Изучение древнегрузинских и армянских переводов дало нам возможность выявить предполагаемый источник грузинских редакций — для них источником является греческий оригинал, армянская редакция также переведена с греческого, но с более поздней редакции.

უჩა ცინდელიანი

ერთი რედაქციული თავისებურების გამო „მეფეთა“ წიგნებში

(მოკლე რედაქცია)

„მეფეთა“ წიგნების ტექსტს, ბიბლიის სხვა წიგნების მსგავსად, რთული და წინააღმდეგობებით სავსე გზა გაუვლია. განვითარების სხვადასხვა საფეხურზე მას განუცდია მრავალი მცირე თუ ფართო მასშტაბის ცვლილება.

სანამ ჩვენთვის საინტერესო საკითხს უშუალოდ შევეხებოდეთ, მოკლედ განვიხილავთ იმ საეტაპო ცვლილებებს, რომლებმაც განაპირობეს „მეფეთა“ წიგნების ტექსტის რედაქციული თავისებურებანი. ამ კუთხით ტექსტის შესწავლამ კი აჩვენა, რომ რედაქციულად „მეფეთა“ წიგნების ტექსტს სამი საეტაპო ხასიათის ცვლილება განუცდია.

ქვედა ქრონოლოგიურ საზღვარზე არქეტიპიდან მომდინარე თარგმანში პირველი სერიოზული ცვლილება VIII—IX სს. მიჯნაზე უნდა მომხდარიყო, სომეხ-ქართველთა საბოლოო განხეთქილების შემდეგ (726 წ. მანაზკერტის კრება), ძველი ვერსიის ბერძნულ წყაროსთან, კერძოდ ლუკიანეს რეცენზიასთან, საგულდაგულო შეჯერების ნიადაგზე. ამ ეტაპზე მომხდარი ცვლილებები უმთავრესად ტექსტოლოგიურ სფეროს შეხებია (კლება, მატება, ინტერპოლაციების ჩართვა-ამოღება და სხვ.), რასაც თავის მხრივ შედეგად მოჰყოლია მთელი რიგი გრამატიკული თუ სტილისტური ხასიათის ცვლილებებიც. ეს ეტაპი კარგადაა გამოკვეთილი 978 წლის ოშკურ ვერსიაში.

ზედა ქრონოლოგიური საზღვარი, როცა მეფეთა წიგნებში მომხდარა საბოლოო ანუ მესამე საეტაპო ცვლილება, XVIII ს-ზე მოდის. ეს ის პერიოდია, როცა სწავლულთა კომისიამ საქართველოსა და რუსეთში მიზნად დაისახა ბიბლიის სრული ტექსტის გამოცემა. როგორც ცნობილია, პრინციპები ბიბლიურ წიგნთა დამუშავებისა, ამ დროს ჩვენთანაც და რუსეთშიც ერთნაირი ჰქონდათ, მაგრამ შედეგები საკმაოდ განსხვავებული მივიღეთ, რაც საკონტროლოდ აღებულმა სხვადასხვა ტრადიციის წყაროებმა — სომხურმა საქართველოში, სლავურმა მოსკოვში, — ვანაპირობეს. ამას დაერთო ისიც, რომ მოსკოვური ბიბლიის უამომცემლებს, როგორც ჩანს, ძველი თარგმანები მეფეთა წიგნებისა ხელთ არ ჰქონიათ, მაშინ როდესაც მცხეთური ვერსიის საყრდენ ტექსტს ე. წ. ჯანაშვილისეულ A—646 ნუსხაში დაცული უძველესი ვერსია წარმოადგენდა.

ჩვენი უშუალო განხილვის საგანი იქნება „მეფეთა“ წიგნების ტექსტში დამოწმებული მეორე საეტაპო ცვლილება, რომელსაც ქრონოლოგიურად შუალედური ადგილი უჭირავს. იერუსალიმური ნუსხა J—113, რომელშიც ეს ცვლილება ყველაზე მკაფიოდ აისახა, XIII—XIV საუკუნეებს განეკუთვნე-

ბა. თვითონ ფაქტიც, ჩანს, ამ ეპოქას დიდად არ უნდა უსწრებდეს წინ დასაქმებული ქართველოს ძლიერების ხანაზე, XII საუკუნეზე უნდა მოდიოდეს.

„მეფეთა“ წიგნების ტექსტში დადასტურებული შუალედური ცვლილება ქვედა და ზედა ქრონოლოგიურ საზღვრებზე გამოვლენილ ცვლილებებთან შედარებით ერთი არსებითი ხასიათის თავისებურებას ამჟღავნებს: იგი არ იძლევა საშუალებას დავადგინოთ ის წყარო, რომელსაც ეს ცვლილება ემყარება. ეს მაშინ, როდესაც I ეტაპზე მომხდარი ვადამუშავება, როგორც ითქვა, უდავოდ ლუკიანეს რეცენზიის ბერძნულ წყაროს გულისხმობს, ხოლო III ეტაპზე დადასტურებული ცვლილებები (თავებად და მუხლებად დაყოფა, ტექსტოლოგიური ხასიათის პროცედურები) საკონტროლოდ სომხურ და სლავურ წყაროებს იყენებს.

მაინც რა ხასიათს ატარებს ის ცვლილებები, რომლებიც მეორე ეტაპზე განიცადა „მეფეთა“ წიგნების ტექსტში?

პირველი, რაც იმთავითვე თვალში გვეცემა, არის მოცულობითი სხვაობა ტექსტებისა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, I—III ეტაპებისაგან განსხვავებით, II ეტაპზე ჩატარებულმა მუშაობამ მოგვცა მნიშვნელოვანწილად შემოკლებული ტექსტი „მეფეთა“ წიგნებისა.

აქვე შევნიშნავთ, რომ ტექსტის შემოკლება არ ყოფილა იზოლირებული მოვლენა. როგორც ირკვევა, მას სხვაგან და სხვა დროსაც მიმართავდნენ, ადგენდნენ შემოკლებული ტექსტის ასლებს და სხვ. ასე რომ იერუსალიმური ნუსხა ამ თვალსაზრისით განცალკევებით არ დგას. ამ მხრივ განსაკუთრებული ყურადღების ღირსია სამეცნიერო ლიტერატურაში კარგად ცნობილი ხელნაწერი A — 570, რომელიც შეიცავს აგრეთვე საგრძნობლად შემოკლებულ ბიბლიურ წიგნებს. ამ უკანასკნელის ასლს წარმოადგენს ერთ გვიანდელ ნუსხაში (H—885) დაცული ბიბლიური ტექსტებიც, თუმცა „მეფეთა“ წიგნების ტექსტი ამ ნუსხას არ დაუცავს.

სულ სხვა სურათი გამოავლინა J—113-ისა და A—570-ის ურთიერთშედარებამ. აღმოჩნდა, რომ ამ ნუსხებს შორის თვალსაჩინო სხვაობაა ტექსტის შემოკლების ინტენსიურობაში, და რაც ძალზე არსებითია, შემოკლებული მონაკვეთების დიდი ნაწილი, 90% მაინც ამ ნუსხებში ერთმანეთს არ ხვდება. დაკმაყოფილებით რამდენიმე ტიპური მაგალითის დამოწმებით:

- 1. J—113 მოკლეა, A—570 და დანარჩენები—გრცელი (ზ 9, 25, 26)¹

გრცელი (FIOS)

მოკლე (J)

შთაბედ ეგე ნაწილსა მას აგარაკისა მის ნაბუთესსა ივზრატელისასა, (+რამეთუ FS) მოვიტყენე მე, ოდეს-იგი ამჯედრებულ ვიყვენით ჩვენ ორნი და ვსდევდით (+ჩუენ -I) აქაბს, მამასა მაგისსა, და უჭვალმან დადვა მაგას ზედა შესამთხუეველი,

შთაბედ ეგე ნაწილსა ნაბუთე ივზრატელისასა, ვითარცა თქუა უჭვალმან,

¹ ც. ქ უ რ ც ი კ ი ძ ე, ძველი აღთქმის აპოკრიფული წიგნების ქართული ვერსიები, II, თბ. 1973, გვ. 71—77. გ. კ ი კ ნ ა ძ ე, ნეშტთა I წიგნის ქართული რედაქციები, „მრავალთავი“, I, თბ., 1971? გვ. 68—70. მისივე, „ივლითის“ წიგნის ქართული რედაქციები, „მრავალთავი“, I, გვ. 110—121.

ვითარმედ, ვიძიო სისხლი იგი ნაბუთესი და სისხლი ძეთა მისთაჲ, რომელი ვიხილე გუშინ, ვითარცა თქუა უფალმან. და მივაგო მავას ნაწილსა მას ნაბუთესსა (+და აწ აღილე და შთაგდე FIS) მსგავსად სიტყვსა მის უფლისა.

ვითარმედ, ვიძიო სისხლი იგი ნაბუთესი და ძეთა მისთაჲსა
სიხსნი

მსგავსა სურათთა: ზ 12, 5. 6. 12, 21, 24. 25. 22, 9. 10 და სხვ.
2. A—570 მოკლეა, J 113 და დანარჩენები—გრცელი (ზ 9,13)

გრცელი (FJOPSS₁)

და წარდგეს მონათა მისთაგანნი და ეტყოდეს მას: მამაო. დიდი თუმკა სიტყუაჲ რა გრქუა შენ წინაწარმეტყუელმან მან, არამემცა წესი იყოა ყოფად? აცადე, რამეთუ გრქუა: „დაიბანე, ნუუკუე განსწმიდნე“.

ანალოგიურა სურათთა: γ 14, 10. 16. 4. ზ 1, 2. 4, 26. 10, 36. 23, 2 და სხვა მრავალი.

მიუხედავად ასეთი მკვეთრი სხვაობისა, რომელიც, როგორც ითქვა, ტექსტის უდიდეს ნაწილს მოიცავს, არის ზოგი პასაჟი, სადაც მოკლე ნუსხების ტექსტი შემოკლებულ ნაწილშიც ერთმანეთს ემთხვევა ან მინიმალურად სხვაობს ერთმანეთისაგან:

გრცელი (FOS)

ოდეს მოგკულე, დამმარხეთ მე საფლავსა ამას, სადა დაეფლა კაცი ესე ღმრთისაჲ. ძულთა მავისთა თანა დამღვეით მე (γ 13, 31 FOS) და რომელსა იგი მოჰყვანდა იუ (+ძე ამასასი S) მიიწია (+ ხოლო O) რამეთუ მრისხანედ მიიწია (მოჰყვანდა იგი O) ზ 9, 20

ანალოგიური ვითარება: γ 13, 22. 16, 33. 17, 6. 18, 21. 20 (21), 4. ზ 1, 9. 10. 11. 3, 25. 4, 3. 5. 8, 5 და სხვანი.

ამგვარად, ჩვენ წინაშეა ბიბლიური ტექსტისადმი უადრესად თავისუფალი დამოკიდებულებების ფაქტი, რაც, ცხადია, უბრალო გადამნუსხავს ვერ მიეწერება. ეს არის საგანგებო, წინასწარ განზრახული, დიდი გულმოდგინებით აწონ-დაწონილი მუშაობის ნაყოფი, რომელიც შეიძლება გასწიოს ღრმად განსწავლულმა, ბიბლიური ტექსტების საფუძვლიანად მცოდნე პიროვნებამ.

მოკლე ვერსიის რედაქტორის მიერ ჩატარებული სამუშაოს კომპლექსურმა შესწავლამ იმ დასკვნამდე მიგვიყვანა, რომ მასში თავი უჩენია იმ რედაქტორული საქმიანობის საწინააღმდეგო ტენდენციას, რომელიც ჩვენში საკმაო ინტენსივობით ხორციელდება VIII—IX სს-ში, შემდგომ კი სულ უფრო ფართო ხასიათს იღებს და თავის განვითარების უმაღლეს წერტილს აღწევს გიორგი ათონელის, ეფრემ მცირისა და იოანე პეტრიწის მოღვაწეობაში. როგორც ცნობილია, ეს პერიოდი ქართული ბიბლიის ბერძნულ ორიგინალთან დაახლოების ნიშნით ხასიათდება.



რა დაუპირისპირა მას მოკლე ვერსიის რედაქტორმა? უნდა ითქვას, მეტად გაბედული და ორიგინალური იდეა საკუთრივ ქართული ვერსიების მოყალიბებისა, რომელიც არც ერთ უცხო წყაროს უშუალო გავლენას არ დაქვემდებარებოდა. ჩვენი აზრით, პირველი ბიძგი ამ იდეის განხორციელებას მისცა ბიბლიურ ტექსტთან თავისუფალი დამოკიდებულების სასაწყობად, რაც კონკრეტულად მისი შემოკლების შესაძლებლობაში ვლინდებოდა, ხოლო ამისი პრეცედენტი ქართველ რედაქტორს უკვე ჰქონდა ბერძნულ cdx ნუსხების მაგალითზე². უნდა ითქვას, რომ ამ ხელნაწერების ჩვენებას ქართველი რედაქტორი მონურად არ გაჰყოლია. მან უბრალოდ აიტაცა შემოკლების იდეა, და დაინახა რა მასში ორიგინალური ვერსიის ჩამოყალიბების ამოუწუთავი შესაძლებლობანი, თავის საქმიანობაში მას მეტად ფართო გასაქანისცა.

ჩვენ შორსა ვართ იმ აზრისაგან, რომ მოკლე ვერსიის შექმნა მხოლოდ ძალკეული პიროვნების ინიციატივას მიეწერათ. ამგვარი ვერსიის შექმნას რ შეიძლება გარკვეული ობიექტური მიზეზები არ დასდებოდა საფუძვლად, აგრამ ამას ამჟერად გადაწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს. არსებითია ის, თუ მოკლე რედაქციაში 1) რა რით შეიცვალა? 2) რა მოცულობისაა ეს ცვლილებები? და 3) როგორია მათი თვისობრივი მახასიათებლები?

ამ კითხვებზე პასუხი რომ გავცეთ, აუცილებელია გულდასმით განვიხილოთ ის ხერხები, რასაც რედაქტორი იყენებს ტექსტის შესამოკლებლად. ტექსტის შემოკლებისას რედაქტორი მიმართავს: ა. ტექსტის მექანიკურ შემოკლებას, ბ. ტექსტის შემოკლებას მისი თვისობრივად შეცვლის გზით.

თანაფარდობა ამ ორ პუნქტს შორის არაა პროპორციული. მოკლე ტექსტის უდიდესი ნაწილი, 95 % მაინც მიღებულია ტექსტის თვისობრივად შეცვლის გზით. თვით მექანიკური შემოკლების შემთხვევაშიც, თუ გულდასმით ჩაუყვირდებით, აუცილებლად აღმოვაჩენთ თვისობრივ ელემენტებსაც. ასე მაგალითად: სახელი დედისა მისისაა სარუა, დედაკაცი ქურივი, და იყო იგი დედაკაცისა მის ქურივისა ძმ მონაა სოლომონისი და აღილო კელი თვისი სოლომონის ზედა; და ესრე სახც იყო, რომლითა-იგი აღილო კელი თვისი სოლომონის ზედა (FSO). ვრცელი ვერსიების დამოწმებული ტექსტი რედაქტორს ასე შეუმოკლებია: სახელი დედისა მისისა სარუა, დედაკაცი ქურივი, და იყო იგი მონაა სოლომონისი და აღილო კელი თვისი სოლომონის ზედა ესრე სახედ J. აშკარაა, რომ თუ ტექსტის პირველი ნაწილში მექანიკურადაა ამოღებული ერთი ფრაზა „დედაკაცისა მის ქურივისა ძმ“, იმავეს ვერ ვიტყვივით მეორე ნაწილზეც, სადაც ვრცელი ვერსიების 12 სიტყვა მოკლე ვერსიაში ორითაა შეცვლილი, თანაც ისე ოსტატურად, რომ აზრის სიცხადე არაა დარღვეული.

² სებატიანის cdx ნუსხების შესახებ იხ. B. Johnson, Die Hexaplarische Rezension des I Samuelbuches der Septuaginta, Lund, 1963, ss. 19—20; 89—107. ამ ნუსხებთან ქართული მოკლე ვერსიის მიმართების შესახებ იხ. ჩვენი: „მეფთა პირველი ორი წიგნის ძე. ქართული რედაქციების მიმართებისათვის ბერძნულთან“, „მაცნე“, № 2, 1967, გვ. 228.

³ უნდა ვიფიქროთ, მოკლე ვერსიის შექმნა გარკვეული სოციალური წრის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას ისახავდა მიზნად. ალბათ, არაა შემთხვევითი ის ფაქტი, რომ ამ რედაქციის სახით საქმე გვაქვს ერთგვარად გამარტყვეულ ტექსტთან როგორც ტექსტოლოგიური, ისე ენობრივი თვალსაზრისითაც. ხომ არ ისახავდა მისი ავტორი მიზნად პოპულარული, ფართო მასებისათვის ხელმისაწვდომი ვერსიის შექმნას? მოკლე ვერსიის ერთგვარად ეგზეტიკური ხასიითი და თხრობის თარგუმისებური მანერა ამის ერთ-ერთი უტყუარი ნიშანი ჩანს.

ამის გამოა, რომ ჩვენს სტატიაში სწორედ ტექსტის თვისობრივ ცვლილებებზეა გამახვილებული მთავარი ყურადღება.

რა ხერხებსა და საშუალებებს მიმართავს ამ დროს რედაქტორი? როგორია არსენალი საამისოდ გამოყენებული ილეთებისა? აი, არასრული სია იმ ხერხებისა, რომელთა გამოყენებითაც მოკლე ვერსიაში მიღწეულია ტექსტის სიმოკლე, მისი ლაკონიურობა:

1. პარონომაზიის მოშლა.
2. ტმესის მოშლა.
3. ნაწევარის მოკვეცა.
4. სინონიმური წყვილის გამარტივება.
5. აღწერითის ნაცვლად ორგანული ფორმების გამოყენება.
6. ფრაზის მაქსიმალურად დახვეწა პლეონასტური და ტავტოლოგიური გამოთქმებისაგან.
7. თანწყობისა და ქვეწყობის მოშლა თანწყობილი და ქვეწყობილი წინადადებების მარტივად გადაკეთების გზით.
8. თანწყობილი წინადადების გადაკეთება ქვეწყობილად

და სხვ
 წარმოდგენილი სიის ერთი თვალის გადავლევაც სრულიად ნათელს ხდის იმ ფაქტს, რომ აქ საქმე გვაქვს, როგორც ეს ზემოთაც ვთქვით, ბიბლიური ტექსტის შეგნებულ, წინასწარ მოფიქრებულ გადამუშავებასთან, თანაც ისეთ გადამუშავებასთან, რომელსაც შედეგად მოჰყვა მეტად სერიოზული ტექსტობრივი, სტილისტური თუ გრამატიკული ხასიათის ცვლილებები. ამიტომაც, რომ მოკლე ტექსტის რედაქტორის მუშაობა, საბოლოო ჯამში შეიძლება შეფასდეს როგორც თავისუფალი, ზოგჯერ ზომამზე მეტადაც კი შეუბოჰავი დამოკიდებულება ბიბლიური ტექსტისადმი. სწორედ ამგვარმა დამოკიდებულებამ განაპირობა ქართულ სინამდვილეში ისეთი რედაქციის წარმოშობა, რომლის ანალოგიაც ჯერჯერობით არც ერთმა ბიბლიურმა წყარომ არ იცის.

ახლა კი მივმართოთ ფაქტობრივ მასალას:

I. ამოღებულია პარონომაზიული წყვილის პირველი წევრი. ბერძნულ-სომხურ წყაროებში, როგორც წესი, პარონომაზიის დარღვევას ადგილი არა აქვს. მოკლე რედაქციის ნუსხები აქაც ხან ერთად დგანან, ხანაც ცალ-ცალკე: γ 2,42 მუხლში ერთმანეთზე მიყოლებით ორი პარონომაზიული წყვილია წარმოდგენილი, რაც ზუსტად აისახა ვრცელ ქართულ რედაქციებშიც (ოშკური, მცხეთური, ჯანაშვილისეული), მაგრამ გამარტივებულია მოკლე ვერსიაში: *γ: ἡσάχαα ἡσάσθ δε: ἡσάσθ ἡσάσθ: **გისხსცაქ გისთაიჯიქ გი მანაი მხრანსიქი*** უწყებთ უწყოდე, რამეთუ საკუღალათ მოჰკუღე FOS] მოჰკუღე J. შდრ. იგივე ფრაზა γ 2, 37 მუხლადან: უწყებთ უწყოდე (უწყებულ იყავნ უწყებთ O), რამეთუ მოჰკუღე FOS] უწყოდე, რამეთუ მოჰკუღე J⁴.

- γ 3, 26 საკუღალით ნუ მოაკუღანებთ FOS] ღდენ ნუ მოაკუღინებთ J.
 11,11 განხეთქით განვხეთქო FOS] განვხეთქო J.
 11,22 განტუვებთ განმატუვე FOS] განმატუვე J.
 11,34 ჳდომით მჳდომ ვექმნე FOS] მჳდომ ვექმნე J.
 21,39 განრანებით განგერეს FIS] განგერეს JO.
 22,6 მოცემით მოსკეა FOS] მოსკეს J, მოგცეს I.

⁴ A-570-ის ტექსტი III მეფ. მე-13 თავის შუამდე მთლიანად დეფექტურია.

- ბ 3, 23 ჯლომით... ჯდებოდეს ურთიერთას FOS] ჯდებოდეს ურთიერთას ჯდებოდეს ერთიერთას J.
- 6, 21 მოსრვით მოვსრნე FOS] მოვსრნე IJ.
- 8,10 ცხორებით ჰსცხონდე FIOS] სცხოვნდე J.
- 18,30 ჯსნით გჯჯსნეს FOS] გჯჯსნეს J და სხვ.

II. მოკლე ვერსიაში მოშლილია ტმესი, თუმცაღა ამგვარი რამ კანტიკუნ-ტად ვრცელ რედაქციებშიც შეინიშნება:

- ჯ 1, 22 მო-ხოლო-იწია O. მო-ხოლო-ვიღა FS] მოიწია J.
- 3, 13 მო-ვე-გცე O. მი-ვე-გცე FS] მიგცე J.
- 11, 29 გან-რე-იყვნა იგი გზისა მისგან FOS] განიყვნა ველად J.
- 19, 5 შე-ენმე-ახო მას (+ქელი O) FIOS] ვინმე ახო მას J.
- 21, 12 იგი შე-ოდენ-ღჯნებულ იყო FIS] შეღჯნებულ იყენეს J, შდრ. სუმიღა O.
- ბ 4,22 მო-ვინ-ნუ-ავლინე O, მო-ნუ-ვინ-ავლინე FIS] მოავლინე J.
- 5, 3 მი-თუმცა-ვიღა FIS] უკეთუმცა მივიღა J, შდრ. თუმცა მივიღა O.
- 6,33 მო-ხოლო-იწია მათა FIS] მოიწია მათღა J, შდრ. მიიწია მათა O.

ცალკე უნდა გამოიყოს შემთხვევები, საღაც სხვა ვერსიების ტმესს მოკ-ლე ვერსიისა სიტყვიღან ნაწილაკის ამოღებით კი არ ამარტივებს, არამედ ტმესიან ფორმასთან შინაარსობრივად ახლოს მდგომი ახალი ლექსიკური და გრამატიკული ერთეულების შემოტანით:

- ჯ 21, 31 გინა-ხოლოთუ-აცხოვნეს (გან-ხოლოთუ-არინნეს FIS) თავნი ჩუენნი FIOS] ვინ უწყის, არა მოჯუსრნეს J.
- ბ 7,26 აჰა ესერა მო-სამე-ინაღნა (მო-სამე-იმიზღნა S) ჩუენ ზეღა მეფემან ისრა-ელისამან FOS] უეკვეღად დღეუსხა მეფემან ისრაელისამან J და სხვ.

III. მოკლე ვერსიაში გამრავლებულია ვრცელი ვერსიების სინონიმური წყვილი, რომელიც უმრავლეს შემთხვევაში უცხო წყაროების ანალოგიური მოვლენის ანარეკლია:

- ჯ 1, 25 *ἐπισημασται καὶ πῖνονσι τὸς βοῦς;* *ოსონს* *ა* *ღმყსნ:* იშუებენ და იხარებენ FOS] იხარებენ J.
- 3, 4 *ἀντὶ τῆς ἡσυχίας καὶ μετῴλης:* *ნა* *აოაისქ* *გარბრაიიჯნ* *ა* *მხბჯრ:* უმაღლეს არს და უდიღდეს O, უმაღლეს და უდიღდებულეს არს FS] უმაღლეს არს J.
- 21, 16 *πῖνον καὶ μεθῶνα:* *ღნე* *ყჩნქ* *მოსხაქ* *ჯრ* *ა* *არყხაქ:* შე-ოდენ-ღჯნებულ იყო და დამთვრალ FIS, სუმიღა და სთროღა O] დამთვრალ იყო J. ანალოგიურად:

- ჯ 1, 15 მოხუცებულ და გარდასრულ იყო ჟამთა O] მოხუცებული J. შრდ. მო-ხუცებული იყო S.
- 13, 16 ვერ მივიქცე და ვერცა მივეღე შენთანა FS] არა მივიქცე J. შდრ. ვერ ჯელ-მეწიფების მისღვად შეწთანა O.

- ბ 3, 6 ანდერზობა (ანდერჲ FS)-ყო და აღიხიღა FOS] და აღიხიღა J.
- ჯ 6, 12 ჯმა მურჯისა და რქინისა FS] ჯმა რქინისა J და სხვა მრავაღა.

IV. სხვა ვერსიების აღწერითი ფორმები მოკლე ვერსიაში შეცვლილია, ორგანულით. ასეთი რამ აჰა-იქ ვრცელ ვერსიებშიც შეგვხვდებღა, მაგრამ მოკ-ლე ვერსია გულმოდგინედ, თითო-ოროღა შემთხვევის გამოკლებით, სისტე-მატურად ცდიღობს მათ გამარტივებას:

- ჯ 1, 20 განცხადებულ იყავნ FOS] განაცხადე J.
- 11, 22 რაე ნაკლულევეანებღაე არს შენღა FOS] რაე გაკლს J.



- 11, 29 მოსილ იყო სამოსლითა ახლითა FOS] ემოსა სამოსელი ახალი J
- 18, 18 არა მე ვარ მარლუე (მარლუ I) ისრაელისა FI] მე არა ისრაელისა
ლუევ ისრაელსა J. შდრ. არა გარდავაქცევ მე ისრაელსა O.
- 21, 15 ანდერძ-ყო FI, ახილვა-ყო O] აღიხილნა J. შდრ. აღრიცხვა S.
- 21, 18 შთასრულ არს FOS] შთავიდა J.
- ბ 10, 4 ვერ დამდგომ იქმნნეს წინაშე მისა FOS] ვერ დაუდგეს წინაშე
მისა J. შდრ. ვერ წინააღმდეგეს I.
- 17, 17 გარე-შეგანდეს FOS] შეგანდეს J.

ზოგჯერ ვრცელი ვერსიების აღწერითი ფორმები მოკლესაც შეუნარჩუნებია, თუმცა თავისებურად გადაუმუშავებია და ამით რედაქტორის ხელი მაინც დასტუობია: ბ 12.9(10) კ უ რ ე ლ - ს დ ვ ა „მას ზეშთა FO] შე ე უ ქ მ ნ ა კ უ რ ე ლ ი ზ ე და კ ე რ ძ ი J შდრ. უ ქ მ ნ ა კ უ რ ე ლ ი პ ი რ ს ა ზ ე და მ ი ს ს ა S.

V. მოკლე რედაქცია ვრცელ ვერსიებში ნახმარ სიტყვებს ხშირად ცვლის სხვა, სინონიმური მნიშვნელობის სიტყვებით, რომლებიც უმეტესწილად ლექსიკურ ნეოლოგიზმებად მოჩანს. რითი ხელმძღვანელობს ამ დროს მოკლე რედაქციის რედაქტორი? კონტექსტის უფრო დაკონკრეტება-დაზუსტების პრინციპით, ანდა ამა თუ იმ არქაული გამოთქმის უფრო გასაგებად წარმოდგენის სურვილით:

ა. ყ 2,28—29 მუხლების მიხედვით სასიკვდილოდ განწირული იოაბი ტაძრის საკურთხეველს შეაფარებს თავს. სოლომონ მეფემ მას სხვისი პირით შეუთვალა: „რამ გექმნის, რამეთუ შეივლტოდე შენ საკურთხეველსა მაგას“. როგორც ჩანს, ამ ფრაზაში სიტყვა „შეივლტოდე“, რედაქტორის თვალსაზრისით, ვერ გადმოსცემს კონტექსტში ასახულ ნიუანსს მთლად ზუსტად, ამიტომ მას იგი შეუცვლია ისეთი სინონიმით, რომელიც კონტექსტსაც უფრო ნათლად გადმოსცემს და თანამედროვეთათვისაც უკეთაა გასაგები: „რამ გექმნა შენ, რამეთუ შე ე ხ უ ე წ ე საკურთხეველსა მაგას“. შე ხ უ ე წ ა აქ ნახმარია „შეხიზნის“, „თავის შეფარვის“ მნიშვნელობით, რაც აშკარა ნეოლოგიზმია.

ბ. ასევე ნეოლოგიზმად მოჩანს სიტყვა „უმჯობესი“ სხვა ვერსიების „უსახნიერესი“ ნაცვლად ყ2,32-ში: მოაქცია ღმერთმან სისხლი იგი უსამართლოთა თავსა ზედა მისსა, ვითარცა შეამთხვა ორთა მათ კაცთა მართალთა და უ ს ა ხ ნ ი ე რ ე ს თ ა მისთა FOS] ვითარცა მან დასთხია (სისხლი) ორთა მისგან უ მ ჯ ო ბ ე ს თ ა კაცთა J. როგორც ვხედავთ, ტექსტმა აქ რედაქტორის ხელში სხვა არსებითი ხასიათის ცვლილებაც განიცადა (შემოკლება, გადაადგილება), ამასთანავე „უსახნიერესთა მისთას“ ნაცვლად ნახმარი „მისგან უმჯობესთა“ კონტექსტთან ისე ორგანულადაა შერწყმული, რომ იგი მხოლოდ რედაქტორის ნახელავი შეიძლება იყოს.

გ. ყ 4,10—19 მუხლებში ლაბარაცია სოლომონის მიერ თორმეტი ოლქის მმართველის დანიშვნის თაობაზე, რასაც მოსდევს თვითოეული მათგანისადმი მიკუთვნებული ოლქის დასახელება და მისი საზღვრების დახასიათება. თხრობა, რომელიც ვრცელი ვერსიების თანახმად ათ მუხლს მოიცავს, რედაქტორმა ერთ ფრაზაში მოაქცია: და ათორმეტთავე ესრეთ თ ე მ ი და თ ე მ ი მ ი უ ჩ ი ნ ა J, თანაც ორი ნეოლოგიზმი წარმოგვიდგინა: 1. თ ე მ ი „ქვეყნის ერთი ნაწილის“, „ოლქის“ მნიშვნელობით, 2. მ ი უ ჩ ი ნ ა, რომელიც მთლად თანამედროვე შინაარსითაა დატვირთული — „მიაკუთვნა“, „მიიბარა“.



ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს მოკლე რედაქციის ავტორი ბერძნული ტექსტების რთულ, ხშირად სპეციალისტისათვისაც ძნელად გასაგებ ენას საგანგებოდ ამარტივებსო ხალხური სასაუბრო ენის კვალობაზე. ვფიქრობ, ამ შთაბეჭდილებას კიდევ უფრო გაგვიძლიერებს ქვემოთ წარმოდგენილი სხვა ნიმუშებიც:

დ. მ 7,7 ივლტოდეს განრინებად თავთა თვსთა (ხ ო ლ ო — S) FOS] თავთა თვსთა განრინებისათვს ც ა ლ ი ე რ ნ ი ის წ რ ა ფ დ ე ს ლ ტ ო ლ ვ ა დ J.

ამ ფრაზის რედაქტირებას საფუძვლად უდევს ღრმა ანალიზი კონტექსტისა, სადაც საუბარია ასურთა გაქცევაზე საკუთარი ბანაკიდან, ისე, რომ თან არაფერი წაუღიათ, ყოველივე ხელუხლებლად დატოვეს: კარგები, საბრძოლოდ გამზადებული ეტლები, სასმელ-საჭმელი, ოქრო-ვერცხლი. ჩანს, რედაქტორს საგანგებოდ სურს ხაზი გაუსვას იმ ფაქტს, რომ ასურელები ბანაკიდან გაიქცნენ სრულიად ხელცარიელნი საკუთარი თავის გადარჩენის მიზნით; ამან განაპირობა ფრაზის სინტაქსური (სიტყვათა გადაადგილება) და სემანტიკური (ივლტოდეს... ხოლო FOS] ცალიერნი ისწრაფდეს ლტოლვად) ცვლილებანი.

ანალოგიური მაგალითები:

ე. ყ 1,42 მ ო - ხ ო ლ ო - ვ ი დ ა იონათან FS, მ უ ნ თ ქ უ ე ს ვ ე მ ო ი წ ი ა იონათან O I მ ყ ი ს მ ო ვ ი დ ა იონათან J. ტექსტის განვითარების კარგი ნიმუშია: უძველესი „მო-ხოლო-ვიდა“ ოშკური ვერსიის რედაქტორსაც არ მოსწონებია და შეუცვლია „მუნთქუესვე მოიწია“ სინტაგმით. მოკლე ვერსია კიდევ უფრო შორს მიდის. იგი უარყოფს ორივე ვარიანტს და წარმოგვიდგენს მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ იკითხვის — „მყის მოვიდა“.

ვ. ყ 21 (20), 31 განვიდეთ მეფისა ისრაელისა, გ ა ნ - ხ ო ლ ო თ უ - ა რ ი ნ - ე ს თაენი ჩუენნი FIS, განვიდეთ მეფისა ისრაელისა, ვ ი ნ ა - ხ ო ლ ო თ უ - ა ც ხ ო ვ ნ ე ს სულნი ჩუენნი O] განვიდეთ მეფისა ისრაელისა, ვ ი ნ უ წ ყ ი ს, ა რ ა მ ო გ უ ს რ ნ ე ს J. ორი არსებითი ხასიათის ცვლილება შეიტანა რედაქტორმა; მოშალა ვრცელი ვერსიების ტმესი და დაეჭვების გამოხატველი⁶ არქაული ნაწილაკი „ხოლო თუ“ შეცვალა რედაქტორის თანამედროვეთათვის გასაგები სინტაგმით „ვინ უწყის“. ზუსტად ასევე იქცევა რედაქტორი შემდეგ მაგალითშიც: ვპოვოთ თ უ ხ ო ლ ო მწუანგილი O, ჰე-ლაჰე-თუ (ჰე-თუმცა S) ვპოვოთ საძოვარი FS] ი ყ ო ს თ უ ს ა დ ა რ ა ე, საძოვარი J, ყ 18,5.

ზ. მ 7,6 მ ო - ს ა მ ე - ი ნ ა დ ნ ა (მ ო - ს ა მ ე - ი მ ი ზ დ ნ ა) S ჩუენ ზედა მეფემან ისრაელისამან (+ ო რ ნ ი ი ვ ი მ ე ფ ე ნ ი O) მეფე ივი ქეტელთაჲ და მეფე ივი ეგვბელთაჲ FOS I უ ე ქ ვ ე ლ ა დ დ ა დ გ ა უ! ა ს ხ ა მეფემან ისრაელისამან მეფე ქეტელთაჲ და მეფე ეგვბელთაჲ J. არქაული „მოინადნა“ არც სულხან-საბას მოსწონებია და იგი სხვა სინონიმით, კერძოდ „მოიმიზნა“—თი შეუცვლია, თუმცა ტმესიანი ფორმა საბას ხელუხლებლად დაუტოვებია. მოკლე ვერსიის რედაქტორი ახალ სინონიმსაც გვაწვდის და ტმესიან ფორმასაც ამარტივებს. საგულისხმოა ისიც, რომ ს ა მ ე ნაწილაკის სინონიმად მოკლე ვერსია უ ე ქ ვ ე ლ ა დ ზმნიზედან წარმოგვიდგენს, რაც ს ა მ ე ნაწილაკის დღემდე უცნობ მნიშვნე-

⁶ უ. ც ი ნ დ ე ლ ი ა ნ ი, დაქვების (შესაძლებლობის) ნაწილაკები ძველ აღთქმაში, „მრავალთაჲ“, IX, 1981, გვ. 29—32.



ლობას გამოავლენს. მოკლე ვერსიის რედაქტორი რომ აქ არ ცდება, ამას ვბრა-
 ული ორიგინალის რუსული თარგმანიც ცხადყოფს: Верно нанят ~~на~~
 тив нас царь Израильский... МТ.

თ. უთუოდ კონტექსტობრივ ნიუანსებს უწევს ანგარიშს მოკლე რედაქ-
 ციის ავტორი, როცა ვრცელი რედაქციების ს ი ტ ყ ვ ა 'ს ცვლის ს ა ქ მ ე სი-
 ნონიმით: ყ 12, 28-29 მუხლებში საუბარია იორობოამის მიერ იერუსალიმში ახა-
 ლი კერპების აღმართვის თაობაზე, რაც მომდევნო 30-ე მუხლში ასეა შეფა-
 სებული: და ექმნა ს ი ტ ყ უ ა ე სე ცოდვად იერუსალემსა FOS. ვრცელი ვერ-
 სიების ს ი ტ ყ უ ა ე რედაქტორს ს ა ქ მ ე სინონიმით შეუცვლია. მსგავსი
 სურათია ყ 12, 24. 34. 15,5. 26, 11. 5,18 მუხლებშიც. ასეთი რამ იშვიათად
 ვრცელი ვერსიების იმ ტექსტსაც ახასიათებს, რომელსაც უშუალოდ ეყრდნობა
 მოკლე რედაქციის ავტორი: ეტყოდა იგი ყოველთა მათ ს ი ტ ყ უ ა თ ა, რომელ
 ქმნა იოსია OI იტყოდა ს ა ქ მ ე თ ა მათ, რომელ ქმნა იოსია FIJS 23, 18.
 შესაბამის ადგილებს სომხური თარგმანი ყოველთვის *ჰაან* ფუძით გადმოსცემს,
 ბერძნულში ხან ბ ლყი; გვაქვს, ხან ზ ბ რჰაჲ. ამ უკანასკნელის ერთ-ერთი მნიშ-
 ვნელობაა ს ა გ ა ნ ი, ს ა ქ მ ე, გ ა რ ე მ თ ე ბ ა. ასე რომ მოკლე რედაქ-
 ცია ამ შემთხვევაში კონტექსტის გარდა გარკვეულ ტრადიციასაც ემყარება,
 ალბათ.

ი. ბერძნული ბ რჰაჲჲჲჲ, რომელსაც სომხური უგამონაკლისოდ *საყ-
 სასაყენ*-ად თარგმნის, ვრცელ რედაქციებს სხვადასხვაგვარად გადმოუ-
 ტანიათ: ა. მ ო ც ი ქ უ ლ ი 2, 7, 2. 17. 19. ბ. ჭ უ რ ვ ი ლ ი 2, 10, 25 გ. მ ე-
 ს ა მ ე 2, 9, 25. 15, 25. ამათგან „მოციქული“ და „ჭურვალი“ მოკლე რედაქ-
 ციას უცვლელად დაუტოვებია, ხოლო „მესამე“ უფრო მოხერხებული ტერმი-
 ნით „შ ე მ დ გ ო მ“-ით შეუცვლია. „მესამე“ საბას ნარედაქციევ ტექსტშიც
 შეუცვლიათ, ოღონდ სომხურის კვალობაზე, ს პ ა რ ა ზ ე ნ ი თ: ჰრქუა იუ დე-
 ბეს, მესამესა (სპარაზენსა S, შემდგომსა J) მას თვისსა FJO, 2, 9 25.

ქვემოთ უკომენტარებოდ მოგვყავს სხვა მაგალითები:

ვრცელი	მოკლე
ვბრძოთ მათ წინაშე მართლ O, ვე- წყვენთმართლ ადგილსა FS ყ 20 (21), 23	ვეწყვენთ ვაკესა
ქვის მტდელნი ყ 5, 15 [29]	ქვის მთლელი და მტრე- ლი
ქვის მტდელნი ყ 2, 35 d	ქვის მკოდელი
ზოგბ-ზოგი ყ 3, 25	ნახევარ-ნახევარი
მიყუარი F, მოყუარჲ ყ 4, 5	საყუარელი
ქერობინნი ძელისა უთხუელისაგან ყ 6, 22 (23)	ქ. ურთხუელისაგან ხი- სა
შესამთხუველი ყ 8, 37	განსადელი
ვითარ რაჲ ცნან კაცად-კაცადმან სალ- მობაჲ გულისა თვისისაჲ FOSP ყ 8, 38	ვითარ რაჲ ვის სჭირდეს
ვაჭართაჲ მათ, რომელნი აქციევდეს ყ 10, 15	ვაჭართაჲ, რომელნი ვაჭრობდეს
დაპო (სამოსელი) ყ 11, 30	განხია
აზნაურთა OS. ჳრმლოსანთა FI ყ 20 (21), 8	მწედართა
უფის ბ 4, 14	უზის



მოტევება ყავნ ზ 5, 18
 ვინ მოსცემს მე მეფესა O, ვინ მიმხი-
 ლა მეფისა მის თანა FS, რომელმან უმცნო I
 ზ 6, 11
 ნაჯდომი (ნაედომი FS) მტრედისა
 ზ 6, 25
 მოკრაულეზა O, მოკრაულები FS,
 ზ 9, 12
 აქაჲმადმღე ზ 8, 6
 შეუღგეს ზ 3, 24
 გამოიპყრა ზ 17, 6

შენდობა ყავნ
 ვინ გამამქელავნე მე
 ტრედისა სკინტლი
 სივერაგე
 აქამომღე
 მისდევდეს
 გამოილო და სხვ.

ერთი რიგი სინონიმური ცვლილებებისა ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, თითქოს რედაქტორი საგანგებოდ გაურბის იმ უცხო სიტყვებს, რომლებიც ვრცელი რედაქციების ტექსტშია ნახმარი. ასეთი ლექსიკური ერთეულები ნარედაქციევ ტექსტში ან საერთოდ გამოტოვებულია, ან შეცვლილია მისი ბადალი ქართული სიტყვით: ა. ჯმაღ მურჭისა და რკინისა ყოვლადვე არა ისმა შენებასა მის ტაძრისასა FS, ყ6,12. ბ. და ათორმეტი ლომი დგა ზედა აღსავალთა მათ მე ნაკთა FOS, ყ10,20. ხაზგასმული სიტყვები, რომელთა უცხოური წარმომავლობა უდავოა, რედაქტორს უყოყმანოდ ამოუგდია ტექსტიდან.

უცხო სიტყვა შეცვლილია ქართულით

ვრცელი

მოკლე

ვერმაკი ყ 4, 22
 როჭიკი ყ 4, 22
 ბაკოთ-ბაკოდ ყ 7, 10 (23)
 ხორშად-ხორშად ყ 7, 15 (28)
 მენაკი ყ 10, 19
 კალი F ყ 10, 21
 ზოპრანი F, ზორვილნი OS, ზ 16, 15
 ზუარაკი FIS ზ 18, 33

წმიდაა
 წარსაგებელი
 ყურიოთ-ყურ
 ხენოვანად
 ხარისხი
 ჭურჭელი (S)
 მსხუერპლი
 ზროხა

აქ მოხმობილი მაგალითების ფონზე ერთგვარად მოულოდნელია ისეთი ნიმუშები, სადაც ვრცელი ვერსიების ქართული სიტყვა მოკლეში შეცვლილია უცხოურით: ა. ყ5, 16(30)-ში ბერძნ. ჯაჲც (ζῆτος Ζηც₂e₂) ჯეჯ₂რ₂რ₂აუ, სომხ. **ქიი** **ჟიქსაანი** FS ნუსხებს (ოშკური ტექსტი დეფექტურია) გადმოუტანიათ როგორც „უ ხ უ-ც ე ს ნ ი მ ბ რ ძ ა ნ ე ბ ე ლ ნ ი“, მოკლე ვერსიაში კი მის ნაცვლად „ნ ა ხ ბ ე ტ ნ ი და მ ბ რ ძ ა ნ ე ბ ე ლ ნ ი“ გვაქვს. ამ სინტაგმის პირველ ნაწილს ბერძნულში ჯაჲც შეეფარდება, ხოლო სომხურში **ქიი**. მათი ძირითადი მნიშვნელობაა „გარდა“, „გამოკლებით“, რაც კარგად ეგუება კონტექსტს: სოლომონს ჰყავდა 70 ათასი მტვირთავი და ქვის მთლელი, გარდა მაგისა... სპიითას ხუთასი (ოლქის) მმართველიც. შდრ. ებრ. **кроме... начальников МТ**.

რა მოხდა? საიდან მოდის ვრცელი ვერსიების „უხუტესნი მბრძანებელნი“, ან მოკლე ვერსიის კიდევ უფრო უცნაური „ნახპეტნი და მბრძანებელნი“, სადაც ამ მრჩობლი იკითხვისის ერთ-ერთი წევრიც სრულიად საკმარისი იქნებოდა პარალელური უცხო ტექსტის გადმოსაცემად.

ხება ლექსიკისთვის მიუმართავს და შესატყვისად ხ ა რ კ ი მოუშველეთ
მისცა მ ა ნ ნ ა || მ ა ნ ა ნ ა ა (ხ ა რ კ ი J) მეფესა FJOS, № 17, 3. უძღნებნ
მას მ ა ნ ნ ა ნ ა ს ა (მ ა ნ ა ნ ა ს ა O)] მისცემდა ხ ა რ კ ს ა J, № 17,4.

დ. ზოგაერ რედაქტორი ძველ სატყვასაც ტოვებს და მის გვერდით ახალიც
შემოაქვს და ამ გზათ ე. წ. მრჩობლ იკითხვისებს ქმნის. ასეთი იკითხვისები სა-
ინტერესო ცნობებს შეუცავს ტექსტის ისტორიის შესახებ. ისინი ხშირად ჩნდება
ძველი და ახალი იკითხვისის კომპლადციით, ანდა ძირითადი ტექსტის იკითხვისთან
მარგინალურა შენიშვნას შეერთებთ. ორივე შემთხვევაში მრჩობლი იკითხვისის
ერთ-ერთ წევრს საფუქვლად სხვა ტრადიციის წყარო უღევს*. აწ მოილე კუ რ თ-
ხე უ ლ ი ი გ ი მონისა შენისაჲ (შენისაგან S) FIS, № 5, 15.

ძველი რედაქციების „კუ რ თ ხ ე უ ლ ი“, ეტყობა, არც ოშკური ვერსიის რე-
დაქტორს მოსწონებთა და თავისი შეხედულება სამებრ გადაუკეთებთა იგი: აწ მიილე
კუ რ თ ხ ე ვ ა მ მონისა შენისაგან. მაგრამ, როცა მოკლე ვერსიამ ძველი „კუ რ თ-
ხ ე უ ლ ი ს“ გვერდით „ე ვ ლ ო გ ი ა ც“ მოგაწოდა, ამით საცნაურა გახდა, ერთი
მხრივ, „კუ რ თ ხ ე უ ლ ი ს“ შინაარსობრივი გაბუნდოვნება, მეორე მხრივ, „ე ვ ლ ო გ ი ა ს“
მოქალაქობრივი უფლებები ქართულში: აწ მიილეკ ე ვ ლ ო გ ი ა მ უ რ თ ხ ე უ ლ ი
მონისა შენისაგან. საგულისხმოა, რომ აქ ბერძნულ წყაროშიც „ე ვ ლ ო გ ი ა“
გვაქვს: *νῦν λατρεται ἡ ἐκείνη*. შდრ. *არცა იარსობიქს*.

ამგვარად, მოკლე ვერსია უცხო წარმომავლობის ლექსიკას, ჩვეულებ-
რივ, ცვლის ქართულით, მაგრამ თუ ამისი საჭიროება გაჩნდება, უცხო სიტყვე-
ბი მცირე დოზით თვითონვე შემოაქვს.

VI. მოკლე ვერსიის ავტორის სტილის ერთ-ერთი მკაფიოდ ჩამოყალიბე-
ბული ნიშანია *ლ ა კ ო ნ ი ზ მ ი*. იგი თანამიმდევრულად, შეიძლება ითქვას, უკო-
მპრომისოდ იღვწის ისეთი ტექსტის შესაქმნელად, რომელიც ერთი და იმავე
სიტყვისა თუ ფრაზის ორჯერ გამეორებისაგან თავისუფალი იქნება. ვრცელი
ვერსიების ტექსტი ასეთ შემთხვევაში თითქმის ზედმიწევნით მისდევს შესა-
ბამისი ბერძნული და სომხური წყაროების ჩვენებას, რომელიც თავის მხრივ
დავალებულია ებრაული ორიგინალისაგან.

ა. წინადადება განტვირთულია მეორედ გამეორებული ფრაზისაგან: *ყ მ, 18*
ამისთვს რ ა მ ე თ უ მ ო ჰ ჯ დ ა გ უ ლ ს ა შე ნ ს ა შე ნ ე ბ ა დ ტ ა ძ ა რ ი სა-
ხ ე ლ ის ა ჩ ე მ ის ა მ, კ ე თ ი ლ ა რ ს, რ ა მ ე თ უ მ ო ჰ ჯ დ ა გ უ ლ ს ა შე ნ ს ა
FOPS] ამისთვს, რ ა მ ე თ უ მ ო გ ი ჯ დ ა გ უ ლ ს ა შე ნ ს ა ტ ა ძ ა რ ი შე ნ ე ბ ა დ სა-
ხ ე ლ ის ა ჩ ე მ ის ა მ, კ ე თ ი ლ ა რ ს J.

როგორც ვხედავთ, ვრცელ ვერსიებში ფრაზა „რამეთუ მოჰჯდა გულსა შენ-
სა“ ორჯერ მეორდება. მოკლე ვერსიის რედაქტორისათვის ეს სტილისტური ხერ-
ხი აშკარად მიუღებელია, ამიტომ გვერდს უვლის მას და წინადადებას მისთვის
ჩვეული ოსტატობით ხვეწს. ამასთანავე შეაქვს ერთი არსებითი ხასიათის ცვლი-
ლება: ცნობილია, ქცევა ქართული ენის სპეციფიკას წარმოადგენს და ისეთი

* უფრო დაწვრილებით ამაზე იხ.: უ. ც ი ნ დ ე ლ ი ა ნ ი, ძველი აღთქმის ქართული თარგ-
მანის მიმართებისათვის აკვილასა და სემიზოსის ვარიანტებთან მეფეთა IV წიგნის მიხედვით (ძი-
რობად ტექსტში შესული წაკითხვები), „მატე“, № 2, 1973, გვ. 79—86.

** არაა ინტერესს მოკლებული, რომ ძველი ვერსიების „კუ რ თ ხ ე უ ლ ი“ პავლეს ეპის-
ტოლების გიორგისეულ რედაქციაში სწორედ „ე ვ ლ ო გ ი ა თ“ იცვლება: კ. დ ა ნ ე ლ ი ა,
პავლეს ეპისტოლეთა ქართული რედაქციები (გიორგისა, ეფრემისა), ძველი ქართული ენის კათედ-
რის შრ., 19, 1976, გვ. 123.

ენებისათვის, როგორცაა ბერძნული და მით უმეტეს სომხური, იგი მკაფიოდ გარჩეული არაა⁹⁰. ამიტომ ვრცელი ვერსიების მიმართ, რომლებიც შექმნილია სომხურის ἤ. μ. ε. ν. (ἐπι τῆς κερძαν τῆς): სქნ (h sikhon gn) ზმნას საარვისო ქცევით ვადმოსცემენ (მ.ო. 3 კ. და გულსა შენსა), საყვედური არც გვეთქმის. მაგრამ როცა მოკლე ვერსია მას სასხვისო ქცევით წარმოგვიდგენს (მ.ო. გ. ი. კ. და გულსა შენსა), ამით იგი ქართული ენის ბუნებაში უფრო ღრმად წვდომის უნარს ამჟღავნებს.

γ 21, 18 მშვლობით თუ გამოვლენ, შეიპყრენით იგინი ცოცხალნი, და თუ ბრძოლად გამოვლენ, შეიპყრენით იგინი ცოცხალნი FS.

ეს წინადადება მოკლედაა წარმოდგენილი ოშკურ ვრცელსა და A-570 მოკლე ვერსიებშიც, მაგრამ აქ შემოკლება მექანიკურად, მსგავსი კიდურწერილობის ნიადაგზე მომხდარა: მშვლობით თუ გამოვლენ (მოვლენ I), შეიპყრენით (+ იგინი I) ცოცხალნი OI. კლების მიზეზია „ცოცხალნი“ 1⁰-დან „ცოცხალნი“ 2⁰-ზე თვალის გადაცდენა გადაწერის პროცესში. სულ სხვა სურათია J-113-ის მოკლე ტექსტში: მშვიდობით გამოვლენ და თუ ბრძოლად, შეიპყრენით იგინი ცოცხალნი. „შეიპყრენით იგინი ცოცხალნი“ ფრაზას რედაქტორმა მიაყოლა კიდევ ორი სიტყვაც, „თუ“ და „გამოვლენ“, რომლებიც აგრეთვე ორჯერ მეორდება წინადადებაში.

ბ 3,25 და ყოველი ნაწილი კაცად-კაცად მან ქვეითა აღმოავსო და ყოველი თავი წყართაჲ აღმოავსეს ქვეითა FOS I და ნაწილი მათი და ყოველი თავი წყართაჲ ქვეითა აღმოავსეს J. ამ წინადადებას A-570-ც ამოკლებს, მაგრამ იგი ამჯერადაც მექანიკური ხასიათისაა: მოკვეცილია ფრაზის დასაწყისი: (და 1⁰... და 2⁰) ყოველი თავი წყართაჲ აღმოავსეს ქვეითა.

γ 17, 16 ჭურჭელსა (სარქუანსა A, H) მას საფქვილესა არა მოაკლდა და რქასა მას საზეთესა არა და აკლდა OA, H: არა მოაკლდა საფქვილესა ფქვილი და საზეთესა მას არა მოაკლდა ზეთი FS] ლაგუნსა მას საფქვილსა და რქასა მას საზეთესა არა მოაკლდა J.

საგულისხმოა, რომ ეს ადგილი A-570-შიც შეუთმოკლებიათ, მაგრამ სულ სხვაგვარად: არღარა მოაკლდა არცა ფქვალი და არცა ზეთი.

მსგავსი სურათია ბ 12, 12. γ 11, 3.4, აგრეთვე γ 11, 26, 27; 13, 8. 9. 10 და სხვ.

γ 17,6 და ყორანნი მოართუმიდეს მას პურსა და ჯორცსა განთიად (+ განთიად F), პურსა და ჯორცსა მწუხრად (+ მწუხრად F) FS] და ყორანნი მოართუმიდეს პურსა და ჯორცსა განთიად და მწუხრად (-რი I) J.

ერთი იმ ნიმუშთაგანია, სადაც მოკლე რედაქციის ნუსხები ზუსტად ერთნაირად ამოკლებს ტექსტს, რაც არც თუ ისე ხშირია. ოშკური რედაქციის ტექსტი აქ სხვა ტრადიციის წყაროს ეყრდნობა: და ყორანნი მოართუმიდეს მას პურსა განთიად და ჯორცსა მწუხრად.

ბ. წინადადება განტვირთულია ტავტოლოგიური და პლეონასტური გამოთქმებისაგან:

γ 8, 54 (სოლომონ)... აღდგა წინაშე საკურთხეველსა მას უფლისასა სადა-იგი, მუკლ-დადგმით დგა ზედა მუკლთა თვსთა FOPS. ვრცელი ვერსიების პლეონასტური ფრაზა „მუკლ-დადგმით დგა ზედა მუკლთა

⁹⁰ ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, მორფოლოგია, თბ., 1953, გვ. 362.



თქსთა“ ზედმიწევნით იმეორებს ბერძნული და სომხური წყაროების ჩვენებას: *βλαχας; επι τα γονατα; ατσην: იარ ლაქი 'ი ფონა 'ი ქსრაც* ზედაყე ზეწოე. მოკლე ვერსია კი ამჯერადაც ნაცად ხერხს მიმართავს: განტვირთავს წინადადებას ზედმეტი ფრაზისაგან (ზედა მუკლთა თქსთა), ამასთანავე შეაქვს, ერთი შეხედვით უმნიშვნელო, მაგრამ აშკარად გამიზნული კორექტივი: „დგა“ ზმნას ადგილი შეუტვალა, რითაც მიაღწია მეტ კონტექსტობრივ სიცხადესა და სტილისტურ ჰარმონიას: (სოლომონ) აღდგა წინაშე საკუროთხვევლსა მას უფლისასა, სადა-იგი დგა მუკლ-დადგამით J.

γ 20 (21),15 არა არს ნაბუთე ცოცხალ, არამედ მოკულა [FIOS] ნაბუთუ მოკულა J.

ბ 6, 12 სენაკთა შინა სასუენებელთა შენთასა O, სენაკთა ანუ სასუენებელთა შენთა FS (I)] სასუენებელსა ზედა J.

ბ 7, 5 აღდგეს რიქურაქუს ოდენ ვანთიად FOSI] აღდგეს ვანთიად J.

ბ 8, 21 და იყო მსთუად ვანთიადსა მას FOS (-I)] და ვანთიად J.

ბ 13, 21 აღმართა (აღდგა O) ზედა ფერკთა თქსთა FOS] ზე აღმართა J.

ბ 14, 6 ვითარცა სახედ FOS (-I)] ვითარცა J.

ბ 14, 8 შევიმთხენეთ ურთიერთას პირისპირ FOS (-I)] შევიმთხენეთ პირისპირ J და სხვ.

გ. წინადადებებიდან ამოღებულია მეორედ ნახმარი სიტყვა:

γ 1, 4 და იყო იგი (+ყრმაჲ O) ქმნულკეთილ ფრიად და იყო იგი მეფისა თანამწოლ FO] და იყო იგი ქ. ფ. და თანამწოლ მეფისა J.

γ 6, 25 ვინაჲ გივსნა შენ, კალოასაგან ანუ საწნეხლისაგან O] ვინაჲ გივსნე შენ, კალოასაგან ანუ საწნეხლისა JS. აკლია FI-ს.

γ 12, 29 დადგა ერთი იგი ბეთელს და ერთი იგი დადგა დანს FOS] იგი დადგა—J.

γ 21, 7 ძეთა (შვილთა O) ჩემთათჳს და ასულთა ჩემთათჳს FOS ჩემთათჳს 1°—J.

γ 21, 12 მოადგთ პატნეზი და მოადგეს პატნეზი გარემო ქალაქსა მას FIS. პატნეზი 2°—J. ოწყური ტექსტი აქ სხვა წყაროს ემყარება, თუმცა მანერით მოკლე ვერსიას გვაგონებს: აშენეთ ლაშქარი და მოადგეს გარეშე ქალაქსა.

ბ 8, 3 ლაღადებდა წინაშე მეფისა სახლისა თქსისათჳს და ქუეყანისა თქსისათჳს FOS თქსისათჳს 1°—J. შდრ. სახლისა თქსისათჳს და ქუეყანისა I.

ბ 9, 26 ვიძო სისხლი იგი ნაბუთესი და სისხლი ძეთა მისთა FIOS სისხლი 2°—J.

VII. ლაკონიზმის გამოვლენის განსაკუთრებულ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, როცა მოკლე ვერსიის ავტორი ვრცელი ვერსიების ტექსტს საგანგებოდ ამოკლებს წინადადების სტრუქტურული მოდელის შეცვლით. სხვაგვარად რომ ვთქვათ, რედაქტორი ტექსტის სინტაქსურ გადაშუაებას ეწევა, რითაც თვისობრივად ახალ, სხვა დონისა და სხვა ღირებულების ფენომენს ქმნის. მხედველობაში მაქვს შემთხვევები, სადაც ვრცელი ვერსიების ქვეწყობილი წინადადება გადაკეთებულია მარტივად, ანდა ვრცელი თანწყობილი წინადადება შეკუმშული ქვეწყობილის საშუალებით გადმოიცემა:



γ 5, ნ არ ა არს აქ ა კ ა ც (-ცი S), რ ო მ ე ლ მ ა ნ ც ა ი ც ო დ ე ლ ის ა FS] ა რ ა ვ ი ნ არს აქ ა მ ე ც ნ ი ე რ კ ა ფ ა ს ა ძ ე ლ ის ა ს ა J.

სინტაქსის სახელმძღვანელოში შესატანი მაგალითია: დამოკიდებული წინადადების ზმნა-შემასმენელი გარდამავალია, ხოლო წევრ-კავშირი დამოკიდებული წინადადების ქვემდებარეს წარმოადგენს. რედაქტორმა ამოაგლო წევრ-კავშირი, ზმნა-შემასმენელი მოქმედებითი გვარის მიმღობად გადააკეთა, რამაც მასთან შეწყობილ სახელთა სხვაგვარი ბრუნვაც მოითხოვა. მაგრამ რედაქტორი მთავარი წინადადების შეკუმშვასაც ცდილობს და ახერხებს კიდევაც: იღებს მთავარი წინადადების ქვემდებარეს, კ ა ც; მის საკომპენსაციოდ კი უარყოფითი ნაწილაკი ა რ ა შეცვალა ა რ ა ვ ი ნ ნაცვალსახელით, რითაც მასში მოქმედის, სულიერის, ადამიანის სემანტიკა შეიტანა და კ ა ც სიტყვის ამოგდებით გამოწვეული შეუსაბამობაც თავიდან აიცილა. საბოლოოდ, რაოდენობრივი თვალსაზრისით ვრცელსა და მოკლე რედაქციებს შორის მცირე სხვაობა მათ შორის პრინციპული ხასიათის თვისობრივ სხვაობაში გადაიზარდა.

γ 13,4 და განჯმა კელი იგი, რ ო მ ე ლ გ ა ნ ი რ თ ხ ა მ ის ზ ე და, და ვ ე რ ე ძ ლ ო კ უ ა ლ ა დ შე ყ ო ფ ა დ მ ის ა O, და განჯმა კელი იგი, რ ო მ ე ლ მ ი ყ ო მ ის ა, და ვ ე რ უ კ უ ნ ი დ რ ი კ ა თ ვ ს ს ა ვ ე FS] და განუჯმა, კ ე ლ ი გ ი გ ა ნ ბ ყ რ ო ბ ი თ J.

როგორც ვხედავთ, დამოკიდებული წინადადება ჩართულია მთავარში, რომელიც, თავის მხრივ, რთული თანწყობილია. რედაქტორმა, შეცვალა დამოკიდებული წინადადება და თანწყობილი წინადადების მეორე ნაწილი მთლიანად ერთი სიტყვით — განბყრობით —, რითაც მოშალა როგორც თანწყობა, ისე ქვეწყობა და საბოლოოდ მარტივი წინადადება მოგვცა. ამასთანავე წინადადების ზმნა-შემასმენელში შეიტანა სასხვისო ქცევის გაგება (გ ა ნ უ კ მ ა). კომენტარი ზედმეტია! რედაქტორმა ვრცელი ვერსიების ათი სიტყვა შეცვალა ერთით, მაგრამ ისე ოსტატურად, რომ ბუნდოვანებისა და ორაზროვანების ნიშან-წყალი არ დაგვიტოვა.

γ 10,3 და განუმარტნა სოლომონ ყოველნი სიტყუანი მისნი, და ა რ ა ი ყ ო ს ი ტ ყ უ ა მ და მ ა ლ უ ლ ი მ ე ფ ის ა გ ა ნ, რ ო მ ე ლ ა რ ა გ ა ნ უ მ ა რ ტ ა მ ა ს FOS] და განუმარტნა სოლომონ ყოველნი სიტყუანი მისნი ზ ე და მ ი წ ე ვ ნ ი თ J.

აქაც ვრცელი ვერსიების ათი სიტყვა შეცვლილია ერთით, მაგრამ ეს ერთი სიტყვა ისე კარგადაა მიგნებული, რომ ფრაზის დედააზრს სწორად ასახავს. შედეგი: სულ სხვა სტილი, სხვა რიტმი, სხვა კონსტრუქცია!

γ 11,3.4 და განდრიკეს ცოლთა მისთა გული მისი (4) და ი ყ ო ყ ა მ ს ა ს ი ბ ე რ ის ა ს ო ლ ო მ ო ნ ის ს ა და ც ო ლ თ ა მ ის თ ა გ ა ნ დ რ ი კ ე ს გ უ ლ ი მ ის ი კ უ ა ლ ს ა ლ მ ე რ თ თ ა უ ც ბ ო თ ა ს ა FOS] და განდრიკეს გული მისი ცოლთა მისთა ყამსა სიბერისასა კუალთა (!) ლმერთთა უცხოთასა J.

წინადადება განიტვირთა ფრაზეოლოგიური გამეორებისაგან, შეიცვალა სინტაქსურადაც (სიტყვათა რიგი), უკუგდებულ იქნა ვრცელი ვერსიებისათვის ძალზე სპეციფიკური სტილი, „და იყო“-თი წინადადების დაწყება (დაწვრილებით ამაზე ქვემოთ). შედეგი: რთული თანწყობილის ნაცვლად მარტივი გავრცობილი წინადადება. შდრ. γ 11,26—27.



და აღიღო კელი თვისი სოლომონის ზედა (27) და ესრე სახეც იყოს რომლითაიგი აღიღო კელი თვისი სოლომონ მეფისა ზედა FOSI და აღიღო კელი თვისი სოლომონის ზედა ესრე სახედ J.

22, 17 ვიხილე ყოველი ისრაელი განბნეული მათა ზედა, ვითარცა ცხოვარნი. რომელთა არა უვინ მწყემსო, ვიხილე ყოველი ისრაელი განბნეული მათა, ვითარცა სამწყსოა, რომლისა არა არნ მწყემს FIS] ვიხილე... მათა, ვითარცა სამწყსოა უმწყემსოა J.

ზედავთ? მოკლე რედაქციის A-570 ნუსხა ვრცელს ამოუდგა გვერდით, J-113-მა კი ვრცელ ვერსიებში აღწერითად გამოთქმული უარყოფითი აზრი „რომელთა არა უვინ მწყემს“ II „რომლისა არა არნ მწყემს“ უქონლობის უ-ო აფიქსების გამოყენებით (უ-მწყემს-ო-ე) ორგანული ფორმით მოგვაწოდა: წინადადება შეიკრა და შეიკუმშა, სათქმელი სადად და ნათლად გამოიკვეთა, თვისობრივად სულ სხვა შედეგი მივიღეთ.

ქვემოთ კომენტარების გარეშე მოგვყავს მაგალითები, სადაც ვრცელი ვერსიების თანწყობილი ან ქვეწყობილი წინადადება გამარტივებულია ზმნის პირიანი ფორმების მიმღებობად და საწყისებად შეცვლის გზით:

ვრცელი

მოკლე

γ 1, 49 ყოველნი რომელნი პურის-ართულ იყვენეს ორნიას O, ყოველნი რომელნი პურად სხდნეს ორნიას თანა FS.

ყოველნი ორნიას თანამსხდომნი

γ 13, 28 და წარვიდა და პოვა გუამი მისი მღებარე გზასა ზედა, და ვირი იგი და ლომი დგეს მძორსა მას თანა, და არა შეკამა ლომმან მან მძორი და არცა ვირი იგი შემუსრა O, და წარვიდა და პოვნა გორცი მისნი დაგდებულ გზასა მას, და ვირი იგი და ლომი დგეს გორცთა მისთა თანა. და არა შეახო ლომმან მან გორცთა მათ კაცისა მის ღმრთისათა და არცა განხეთქა ვირი იგი FIS.

და წარვიდეს და პოვეს კაცი იგი ღმრთისა მკუდარი, შეწუხებული ლომისა მიერ და ვირი უვნებელი

γ 15,22 და წარმოიღეს ლოდები იგი რამასა და ძელები იგი მისი, რომელ ეშენა ბაასს O, რათა წამოიხუნენ ქვანი იგი რამასანი და ძელი მისი. რომელ აშენა ბაას FIS.

და რაოდენი იყო ნაშენები პრამას, — ქვა და ძელი, —ყოველი წარმოიღო

γ 21 (20), 16 და იყო ვითარცა ესმა აქებს, ვითარმედ მოკულდა ნაბუთე

ხოლო ესმა რაე აქებს სიკუდილი ნაბუთესი

მ 5, 6 და წარიღო წიგნი მეფისა ისრაელისა, რომელსა წერილ იყო ესრეთ

და... ისრაელისა ესრე წერილი

მ 6, 15 და აღმსთო განთიად მსახურმან ელისესმან და ერი ძლიერი მოხუეულ იყო გარემო ქალაქს მას.

და განთიად იხილა მსახურმან ელისესმან ქალაქი მოცუული

მ 9, 16 მეფე იორამ ისრაელისა იკურნებ[ო]და იეზრაელს შინა წყლულებათა მათგან, რომელ წყლეს იგი პრამოთ გალაადს ღუაწლსა მას აზაელის მი-

და ოქოზია, მეფე იუდასიცი, მუნ იყო იეზრაელს, რამეთუ მისრულ იყო ხილვად იორამ დაწყლულისა

მართ, მეფისა მის ასურთაჲსა, რამეთუ იყო კაცი იგი მკნწ და ძლიერ და ოქოზია. მცფე იუდაისი, შთასრულ იყო ხილვად ოორამისა O (FISS).

ბ 9, 29 და მეფობდა ოქოზია იუდასა ზედა და ერთ წელ მეფობდა ზედა იერუსალემსა (ისრაელსა ზედა OS) FIOS

γ 1, 28 მიუგო დავით და პრქუა; შემოუწოდეთ (+აქა O) ბერსაბეს

γ 12, 24 არა აღხვდეთ, არცა კბრძოდით O, ნუ განხუალთ და ნუცა სცემთ წყობასა FS.

γ 13, 22 ნუ ჰქამ პურსა და ნუცა ჰსუამ წყალსა O, არა შქამო პური და არცა ჰსუა წყალო FS.

ბ 4, 19 უბრძანა... და პრქუა: მიიღე ყრმაჲ დედისა თვისისა O, უბრძანა და მიიყვანა ყრმაჲ იგი დედისა თვისისა FS.

ბ 4, 6 პრქუა... მომიპყართ სხუაჲ ჭურჭერი. და პრქუეს: არა არს სხუაჲ (-ცა FIS)

მოკლე ვერსიის ერთ-ერთ სტილისტურ დროის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებაში რაჲ კავშირის გამოყენება. ვრცელ ვერსიებში ამ დროს ან სხვა კავშირია ნახმარი (ვიდრე, რამეთუ, ვითარცა), ანდა იგი საერთოდ არ გვაქვს. ამ შემთხვევაშიც რედაქტორის ხელში ტექსტი მეტად სერიოზულ ცვლილებებს განიცდის:

γ 5,1 და მიუვლინ[ნ]სა ქირამ მონანი თვისნი სოლომონს, რამეთუ ესმა, ვითარმედ, სცხეს სოლომონს მეფედ დავითის წილ FS (IO დფქ.) ხოლო ესმა რაჲ ქირამს, ვითარმედ დავითის წილ სცხეს მეფედ სოლომონს, მოავლინა მოციქულნი J. ორი პრინციპული ხასიათის ცვლილება შეიტანა რედაქტორმა: ა. ვრცელში მთავარ წინადადებას მოსდევს დამოკიდებული, მოკლეში, პირიქით, ჯერ დამოკიდებულია, შემდეგ მთავარი. ბ. ვრცელი ვერსიების მიზეზის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება „რამეთუ ესმა“... მოკლეში შეცვლილია დროის დამოკიდებულებით „ესმა რაჲ...“

γ 11, 18 და შეემთხვა ადერ ფარაოს და სცა მას ფარაო სახლი FOS] იხილა რაჲ ადერ ფარაო, მისცა სახლი J. ვრცელი ვერსიების თანწყობილი წინადადება, ზუსტი ასლი უცხო წყაროების შესაბამისი ადგილისა, მოკლემ ქვეწყობილით შეცვალა, ამასთანავე მეორედ ნახმარი საკუთარი სახელი ფარაო-ც ამოავლო. ანალოგიური სურათია შემდეგ მაგალითებშიც: γ 2, 28 და მიესმა იოაბს.... და შეივლტოდა იოაბ კარავსა მას უფლისასა FOS] ხოლო ესმა რაჲ იოაბს,.... შერბიოდა კარვად J.

γ 13, 26 და ესმა მას, რომელმან-იგი მიაქცია გზისა მისგან, და თქუა O, და ვითარცა ესმა. რომელმან მიაქცია იგი გზისა მისგან, თქუა FIS] და ესმა რაჲ მას, თქუა J.

რაჲ კავშირის გამოყენების ტენდენცია მოკლე ვერსიაში რომ ძლიერია, ამაზე შემდეგიც მიგვანიშნებს: როგორც ზემოთ ვაჩვენეთ, ვრცელი ტექსტის ტმესიან ფორმებს მოკლე რედაქცია ამარტივებს. მაგრამ გვაქვს საპირისპირო

ერთ წელ მეფე ქმნილი იერუსალემსა ზედა.

და ბრძანა დავით შეყვანებაჲ ბერსაბესი

ნუ განხუალთ წყობად

არცა ჰამად, არცა სუ-მად

უბრძანა... მიყვანებაჲ ყრმაჲ იგი დედისა თვისისა

და არლარა პოეეს სხუაჲ მოცალე ჭურჭელი და სხე.



შემთხვევებიც და ასეთი მაგალითების უმრავლესობა სწორედ რ ა მ კავშირის/პრევერბსა და ზმნის ფუძეს შორის ჩართვის ნიადაგზეა მიღებული: შ ე ს ლ ვ ა ს ა (+ მ ა ს F I S) მ ი ს ს ა სახლსა მას (3)რემანისსა...თავყუანის-ესცე უფალსა ღმერთსა FIOS] აწ შე-რამ-ვიდე სახლსა რემანისსა... თავყუანის-ესცე უფალსა ღმერთსა J.

ბ 16, 11 ვიდრე მ ო ს ლ ვ ა დ მ დ ე აქაზ მეფისა დამასკედ, იხილა სა-კურთხეველი იგი FS(IO დფ.) მ ო -რ ა მ -ვიდა მეფე აქაზ, იხილა საკურთხეველი იგი J.

γ 21 (20) 39 და ი ყ ო ვ ი თ ა რ ც ა წ ა რ ვ ი დ ო და მეფე და მან ლაღად-ყო მეფისა მიმართ FIS I და წ ა რ -რ ა მ -პ ვ ლ ი და მეფე, ლაღად-ყო წინაშე მისა J, შდრ. მეფემ წ ა რ -ო დ ე ნ -ვ ი დ ო და და იგი ლაღადებდა... ო და სხვ.

დამატებით კიდევ მოვიყვანთ რამდენიმე ნიმუშს, რომლებშიც განსაკუთრებით რელიეფურად დაჩნდება მოკლე რედაქციის ავტორის მუშაობის სტილი, მისი მისწრაფება შექმნას ლაკონიური და სადა, ხალხურ სასაუბრო ენასთან დაახლოებული ტექსტი, რომელიც ბიბლიის ტრადიციული ქართული თარგმანებისაგან პრინციპულ, ზოგ შემთხვევაში კი დიამეტრალურ სხვაობასაც ავლენს:

ვ რ ც ე ლ ი

მ ო კ ლ ე

γ 3, 23 და პრქუა მეფემან: შენ იტყვ, ვითარმედ შეილი ჩემი ცოცხალი ესე არს და შეილი მაგისი მომკუდარი იგი არს და იგი იტყვს: არა, არამედ შეილი შენი მომკუდარი იგი არს და ჩემი შეილი ცოცხალი ესე არს.

და თქუა მეფემან: იშვით ორნივე ცოცხალსა და მკუდარსა ორნივე განაგდებთ.

γ 20 (21), 6 ვეტყოდე... და ვარქუ: მომეც ვენაჯი შენი სასყიდლით ვეცხლად, უკუეთუ არა გწებავს, მიგცე ვენაჯი სხუაჲ მისი წილ ო (FIS)

ვეტყოდე... ვენაჯისა მისისათვის, ნაცვალი აღუთქვ და ფასი

β 14, 21 ვეგრა ნება გიყავ შენ სიტყუაჲ ესე, რომელ მარქუ მე ო, ნება გიყავ სიტყუასა-ებრ შენისა FS.

მ ო მ ი მ დ ა ბ ლ ე ბ ი ე ს შენდა

18, 13 განვიდეთ ველად წყაროსა წყალთასა და ჯვენებსა, ვპოვოთ თუნოლო მწუნავილი და გამოვზარდნეთ ცხენნი და ჯორნი ო, ვიქცეოდით ყოველსა მას ქუეყანასა წყაროჲს თავთა წყალთასა და ნალუარევთა და პე-ლა-მე თუ (პე-თუმცა S) ვპოვოთ საძოვარი და გამოვზარდნეთ ჯორნი და ცხენნი FIS.

მოვიზილნეთ წყლის გამოსადინელნი და ნალუარენნი, იყოს თუ სადა რაჲ საძოვარი ცხენთა და ჯორთათჳს

γ 13, 33 აღავსის ჯელი მეფისაჲ ო, აღავსნის ჯელნი მისნი FS

მისციის ქრთამი

20, 15 მოგცა შენ ვეცხლად

მოგყიდა

14, 19 შეუღღვს კუალსა მისსა

მიეწინეს

21 (20) 33 კაცთა მათ იზმნეს და ისწრაფეს და გამოარჩინეს სიტყუანი პირისა მისისაგან ო, კაცთა მათ დაიზმნეს და გულისგმაყვეს და მოისმინეს სიტყუაჲ პირისაგან მისისა

კაცთა მათ გაიგონეს და გულისგმაყვეს



γ 13, 13 დამისხენით მე კარაულსა ო, მომგუარეთ ღირი დასხენით ვირსა FS.

VIII. სრული წარმოდგენა რომ გვექონდეს, უნდა შევეხოთ შემოკლების კიდევ ერთ ხერხს, რომელსაც საკმაოდ ხშირად იყენებს მოკლე რედაქციის ავტორი. ეს არის პირდაპირი ნათქვამის ირიბად გადაკეთება, რასაც მაშინ მიმართავს რედაქტორი, როცა მომიჯნავე მუხლებში ერთნაირი შინაარსის ვრცელი პასაჟები მეორდება:

ბ 1, 6 და პრქუეს მას: კაცი ერთი მოგუეგებვოდა ჩუენ და გურქუა ჩუენ: «მივედიოთ და მიიქეციოთ მეფისა მის, რომელ წარმოგავლინნა თქუენ და არქუთ მას: ესრე იტყვს უფალი: ამისოთჳს, ვითარმედ არა არსა, ღმერთი შორის ისრაელსა და მიხუალთ კითხუად ბაალისსა, მწერსა მას ღმერთსა აკკარონისასა? არა ვერე, არამედ ცხედარსა მავას, რომელსა აღვედ (+მაგიერ S) არა გარდამოვდე, არამედ მანდავე ზედა სიკუდილიოთ მოჰკუდე».

და პრქუეს მას: კაცი ერთი მოგუეგებვოდა ჩუენ და ესე და ესე გუერქუა ჩუენ

ეს სხვათა სიტყვა (პირდაპირი ნათქვამი) გვხვდება აგრეთვე წინა მე-3 და მე-4 მუხლებში. რედაქტორმა მისი თავიდან გამეორება ზედმეტად ჩათვალა და შეცვალა თავისი სიტყვებით „ესე და ესე“. საგულისხმოა, რომ ამ მუხლს ამოკლებს A—570 ნუსხაც, ოღონდ რამდენადმე სხვაგვარად: პრქუეს: კაცი ერთი მოგუეგებვოდა და გურქუა: ესე და ესე უთხაროთ ოქოზიას. მაშასადამე, J—113-ის რედაქტორი სხვა ნიუანსზე ამახვილებს ყურადღებას (ესე და ესე გურქუა ჩუენ), A—570-ისა—სხვაზე (ესე და ესე უთხაროთ ოქოზიას). ამ გვარად, პრინციპი შემოკლებისა ერთია, მაგრამ ფაქტობრივ განსხვავებული. სხვაგვარად: რედაქტორი სხვადასხვა, მუშაობის მეთოდი და სტილი ერთი. შდრ. აგრეთვე: ბ 1,12, 7,10. 9,19 და სხვ., სადაც შემოკლების ეგვევ მანერაა დაცული, ოღონდ მოკლე რედაქციის ნუსხები კვლავ სხვაობს ერთმანეთისაგან. აქედან ერთი საგულისხმო დასკვნაც გამოდის: შემოკლების ტრადიცია ქართულ სინამდვილეში არ ყოფილა იზოლირებული მოვლენა (მას აქა-იქ ვრცელი ვერსიებიც კი მიმართავენ), ე. ი. სხვადასხვა რედაქტორ-შემოკლებლის არსებობა უცილობელი ფაქტი ჩანს. ეს კი, თავის მხრივ, ხაზს უსვამს ამ მოვლენის საკმაოდ ფართოდ გავრცელებულობას ქართულ სინამდვილეში.

ისმის კითხვა: ხომ არ იქცა რედაქტორის ხელში თვითმიზნად ტექსტის შემოკლება? ამ თვალსაზრისით ძალზე საინტერესოა ისეთი მაგალითები, სადაც რედაქტორი ვრცელი ვერსიების ტექსტს კი არ ამოკლებს, პირიქით, თავისებურედ ავრცობს კიდევ მას. მსგავსი მაგალითები იშვიათია, მაგრამ სადაც არის, ჩანს, ბუნდოვანების თავიდან აცილებას ისახავს მიზნად. ორიოდე ნიმუში: ა. γ 8,23 მუხლის დასაწყისში „და თქუა“ ფრაზას მოკლე ვერსია უმატებს „ლოცვაე ესე“. ეს უკანასკნელი არ ჩანს არც ერთ უცხოურ თუ ქართულ წყაროში. მაშ საიდან მოვიდა? ხსენებული მუხლით იწყება სოლომონის ვრცელი ლოცვა (8,23—53a). აი, სწორედ ამის გამო შეუუტანია რედაქტორს აქ ეს ორი სიტყვა. გვაფრთხილებს: მომდევნო მონაკვეთი ლოცვაა და არა უბრალო თხრობა.



ბ. თვითნებურად გადამდგარ მოაბელთა დასათრგუნავად ისრაელის მიმართ იუდასა და ედომის მეფეებიც დაიხმარა (დ 3,5—25). მოაბისავე მძევალთ, გზად უდაბნოს გავლა მოუხდათ. მოწყურებულმა მოლაშქრეებმა ელისე წინასწარმეტყველის რჩევით „აღმოქმნეს ნალუარევესა გუბები“, სადაც სასწაულებრივ იმდენი წყალი დაგუბდა, რომ ნაპირები გადმოხეთქა და „ადივსო ქუეყანაჲ იგი წყლითა“. მოაბელებმაც გაიგეს მათზე სამი მეფის ლაშქრობის ამბავი. მტრის დასახვედრად გამზადებული მოაბელთა ლაშქარი მზის ამოსვლისას ხედავს: მათ წინ მთელი სივრცე სისხლისფრად ელვარებს, რაც მოწინააღმდეგის ბანაკში უეცრად ჩამოვარდნილი უთანხმოების ნიშნად მიიჩნის, გაბედულად ეკვეთნენ მტერს, მაგრამ დამარცხდნენ. მზის ამოსვლის მომენტი ვრცელ ტექსტში: და მოეფინა მზე წყალთა მათ ზედა და იხილა მოაბმან პირის-პირ წყალი იგი, რამეთუ ჩნდა მეწამულ ვითარცა სისხლი OS. ჯანაშვილისეულ ნუსხებს აქ ერთგვარი კორექტივი შეაქვთ, რამაც ტექსტს გაბუნდოვანების მეტი არაფერი შესძინა: და იხილა მოაბმან სისხლი იგი პირის-პირ წყალი იგი..

ეტყობა, მოკლე რედაქციის ავტორმა ეს კონტექსტი მოაბელთა საბედისწერო შეცდომის ასახსნელად არ მიიჩნია დამაჯერებლად და მუხლის მხოლოდ მისთვის ცნობილი რედაქცია შემოგვთავაზა: და მოეფინა მზე წყალთა მათ ზედა და იხილა მოაბმან წყალი იგი სისხლად, რამეთუ მოეფინა რაჲ წყალთა მათ ზედა მზე, ჩნდეს იგი მეწამულ ვითარცა სისხლი. მეორედ ნახმარი „მოეფინა რაჲ... მზე“ არცერთმა წყარომ არ იცის. ვაიხსენოთ, სხვა შემთხვევაში ამ მოვლენას თვითონ ებრძვის რედაქტორი (იხ. ზემოთ).

გ. 7 21(20),43. აქაბ მეფემ მოწინააღმდეგე ასურასტანის მეფე მალულად შეიწყალა, მაგრამ წინასწარმეტყველმა ამხილა აქაბი და უთხრა: რამეთუ განუტევე შენ კაცი წარსაწყმედელი გელთაგან შენთა, იყავნ თავი შენი თავისა მისისა წილ და ერი შენი ერისა მისისა წილ FIOS. ამ ამბავმა მეფე მძიმე განცდებში ჩააგდო, რასაც ვრცელი რედაქციები ასე გადმოგვცემენ: წარვიდა მეფე... სახიდ თჳსა მწუხარე და დაკსნილი FIS, წარვიდა... შეურვებული, დაკსნილი ტირილითა O. მოკლე ვერსიის რედაქტორი კიდევ უფრო ამძაფრებს ამ კონტექსტს: წარვიდა სახიდ თჳსა... ფერმიწყუდილი და მგლოარე, მწუხარე და დაკსნილი J. სინონიმური წყვილი „ფერმიწყუდილი და მგლოარე“ ლექსიკური ნოვაციით „ფერმიწყუდილი“ მხოლოდ J—113-მა იცის.

ვერაფერს იტყვი! მოკლე ვერსიის რედაქტორი ამოკლებს ტექსტს, გარდაქმნის ფრაზის კონსტრუქციას, სტილს, მაგრამ თუ საჭიროდ ჩათვალა, ეგზეკეტიკოსის მანერითაც მუშაობს: აკონკრეტებს, განმარტავს, ავრცობს კიდევ.

IX. ვრცელი ვერსიების ზოგიერთი სტილისტური თავისებურების უარყოფა მოკლე რედაქციაში.

IX,1. ბიბლიურ წიგნებში ჩვეულებრივია მუხლის დაწყება „და იყო“-თი, რომელიც ქართულში უფუნქციოა, მაგრამ ბუნებრივია იმ ენისათვის, საიდანაც იგი გადმოიღეს. ეს სტილისტური თავისებურება დამახასიათებელია აგრეთვე ბერძნული, სომხური, სირიული და სხვა თარგმანებისათვისაც. მართე-

ბულადაა შენიშნული, რომ მისი წყაროა ებრაული ორიგინალი, სტრუქტურული ლიტერატურული გზით იგი ქართულშიც შემოვიდა¹⁰.

მასალის შესწავლამ აჩვენა, რომ ეს სტილისტური თავისებურება ყველგან, გარდა მოკლე რედაქციისა, გატარებულია სისტემებზე, მოკლე რედაქცია კი მას საგანგებოდ გაურბის. გამოიხატება ეს შემდეგში: უფუნქციო „და იყო“, დადასტურებული სხვადასხვა მწკრივის ფორმით (და არ ნ, და ი ყ ო ს, და ი ყ ო).

ა. გამარტივებულია „იყო“ კომპონენტის ამოღებით: და ა რ ნ რაჟამს შევალნ მეფე FIS | და რაჟამს შევიდოდის მ. J. ყ. 14,28

ბ. შეცვლილია სხვა სიტყვით, უმთავრესად „ხოლო“ ნაწილაკით: და ი ყ ო ვითარცა დამტყიცნა FOS | ხ ო ლ ო ვითარცა დამტყიცნა J. ყ 2,37 და ი ყ ო ვითარცა ესმა FIOS | ხ ო ლ ო ესმარაჟე J, ყ 20(21) 16 და ი ყ ო ს დღესა მას გამოსლვისა შენისასა FOS | ხ ო ლ ო უკუეთუ განხვდეს J ყ 11, 15. და ი ყ ო რაჟამს მოსრვიდა დავით FOS | რ ა მ ე თ უ რაჟამს მ. დავით J. ყ 20 (21),1 და სხვ.

ბ. გამოტოვებულია მთლიანად: და ი ყ ო მას ქამსა შინა FOS | დღესა ერთსა J, ყ 11, 29 და სხვ.

ზოგჯერ „და იყო“ იცვლება მაშინაც, როცა ამისი საჭიროება არ ჩანს: და ი ყ ო გრივი ერთი სამინდოესაჲ სასწორის ერთის FIOS, ბ 7. 16 ამ კონტექსტში „იყო“ ერთადერთი ზმნაა წინადადებაში და ამდენად აუცილებელიც, მაგრამ რედაქტორმა მაინც შეცვალა იგი „შეიქმნა“ სიტყვით, როგორც ჩანს, ერთხელ აღებული ინერციით. ზემოხსენებული ოპერაციების ჩატარების შემდეგ მოკლე ტექსტში დროდადრო თავს იყრის რამდენიმე კავშირი: ხ ო ლ ო ვითარცა, ხ ო ლ ო უკუეთუ, რ ა მ ე თ უ რ ა ჟ ა მ ს, რაც სპეციალურ ლიტერატურაში კვალიფიცირებულია როგორც ბერძნული ორიგინალის გავლენა¹¹, ჩვენი ნიმუშების მიმართ ამას ვერ ვიტყვოდით.

ანალოგიური მაგალითები სამივე პუნქტისათვის იხ. ყ 1, 21. 3,18. 4,1. 6,1. 8,10. 9,1. 12, 20. 13, 20. 14,6. 15,21. 17,7. 19,13 და სხვ.

IX, 2. ამავე ტენდენციის გამოძახილი ჩანს „და“ მაჯგუფებელი კავშირის შეცვლა უმთავრესად „ხოლო“ მაპირისპირებელით, უფრო იშვიათად კი სხვა კავშირებითაც: და (ხ ო ლ ო J) მოვიდეს დღენი სიკუდილსა დავითისნი FS (OH) ყ 2,1 და (ხ ო ლ ო J) სოლომონ შესწირავნ FIOS, ყ 2,35 გ. და მიესმა იოაბს... FOS | ხ ო ლ ო მიესმა რ ა ჟ იოაბს J. ყ 2, 28.

და ა ჰ ა მთაჲ იგი სავე იყო ჰუნებითა FIS | რ ა მ ე თ უ მთაჲ იგი... J, ბ 6, 17 და (რ ა მ ე თ უ J) არა უნდა უფალსა განრყუნად იუდაჲსა FIJOS, ბ 8, 19 და სხვ.

ეს, ერთი შეხედვით უმნიშვნელო ცვლილება, ორგანული ნაწილია იმ რთული და ყოვლისმომცველი რედაქციულ-სტილისტური სამუშაოსი, რომელსაც მოკლე ვერსიის რედაქტორი აწარმოებს და რომლის შედეგადაც ჩვენ მივიღეთ „მეფეთა“ წიგნების სპეციფიკური ვერსია.

¹⁰ ც. ქ უ რ ც ი კ ი ძ ე, ერთი სტილისტური თავისებურებისათვის ძველ ქართულში, საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, XXXVI: 1, 1964, გვ. 249—255.

¹¹ კ. დ ა ნ ე ლ ი ა, პავლეს ეპისტოლეთა ქართული რედაქციები (გიორგისა, ეფრემისა), ძველი ქართული ენის კათედრის შრ. ტ. 19, 1976, გვ. 121—123.



IX, 3. ლიტერატურული გზით შემოსულა კიდევ ერთი თავისებულება, რომელსაც განსაკუთრებით მტკიცედ მოუყიდა ფეხი „მეფეთა“ წიგნების ტექსტში, თუმცა იგი არც სხვა წიგნებისთვის არის უცხო (ნეშტა, ნეემია, ეზეკიელი, ეზრა I, ფსალმუნი). საქმე ეხება ებრაულ სინტაგმას *dābār biad*-ს, რაც სიტყვა-სიტყვით ნიშნავს „(ვ ი ღ ა ც ი ს) მ ე შ ე ე ო ბ ი თ თ ქ მ ა ს“. *iad* „ხელი“ ხ თავსართით ებრაულში მრავალი მნიშვნელობით გამოიყენება, რომელთაგანაც ერთ-ერთი ძალზე გავრცელებულია: „შემწეობით, წყალობით. გამო, მიზეზით“¹². ამავე მნიშვნელობით გადასულა იგი სირიულშიც *bjiad* = *durch*¹³, თავი უჩენია მას ბერძნულსა და სომხურშიც, სადაც შესაბამისად გვაქვს *ξυ* *χαιρι* || *δ:δ* *χαιρῶς* = *ⲁ* *ⲁⲗⲏⲛ* გამოთქმა. სათანადო ადგილებში ქართული თარგმანებიც აჩვენებს „*კ ე ლ ი თ ა*“ იკითხვის, რაც სირიაციზმ-არამენიზმად¹⁴ ან არმენიზმად¹⁵ არის კვალიფიცირებული სამეცნიერო ლიტერატურაში.

გამოთქმა განსაკუთრებით მტკიცედ დამკვიდრდა სტერეოტიპში, სადაც „იტყოდა // თქუა // ამცნო // აყუედრა“ ზნები ღებულობს მონაწილეობას: *იტყოდა უფალი კ ე ლ ი თ ა* მოსესითა. რიცხ. 16,4. *ამცნო უფალმან კ ე ლ ი თ ა* მოსესითა, რიცხ. 36,13 და სხვ.

როგორც ჩანს, მთარგმნელთა და რედაქტორთა ერთ ნაწილს ესამუშებოდა ქართულისათვის უხერხული გამოთქმა „იტყოდა // ამცნო // აყუედრა + კელითა“, რასაც უნდა მოჰყოლოდა ამ სტერეოტიპის უფრო ბუნებრივი ქართულით გადმოცემის ცდა. ამის ანარეკლი ყველაზე უკეთ „მეფეთა“ წიგნებში აისახა, სადაც „იტყოდა // თქუა // ამცნო + კ ე ლ ი თ ა“ შეიცვალა უფრო ბუნებრივი „იტყოდა // თქუა // ამცნო + პ ი რ ი თ ა“ სინტაგმით. თითო-ოროლა ფაქტი ამისი ვრცელ რედაქციებშიც დასტურდება, (γ 22, 38. ზ 9, 36. 10, 10), მაგრამ მოკლე რედაქციას ამ მოვლენისათვის ფართო გასაქანი მიუცია (γ 12, 15. 14, 18. 15, 29. 16, 12. 34 და სხვ.).

სამიოდ შემთხვევაში ებრ. *biad*, ბერძნ. *ξυ* *χαιρι* || *δ:δ* *χαιρῶς*, სომხ. *ⲁ* *ⲁⲗⲏⲛ* ვრცელ რედაქციებს მართებული შესატყვისით, „*მ ი ე რ*“ თანდებულთა გადმოუტანიათ. ასეთ მაგალითებს მოკლე რედაქციაც ხელუხლებლად ტოვებს: არა ისმინა ჩემი უფალმან, ვიკითხელა თუ ჩუენებათა *მ ი ე რ* და წინაწარმეტყუელთა FOS I არა ისმინა ჩემი, ვიკითხელა წინაწარმეტყუელთა *მ ი ე რ* J, I მეფ. 28, 15. ასევე 28, 17.

ზ 19, 23 მოციქულთა შენთა *მ ი ე რ* აყუედრე უფალსა FIJOS. არაა შემთხვევითი, რომ ბაქარის ტექსტი სამსავე მაგალითში „*მ ი ე რ*“ თანდებულის ნაცვლად „*კ ე ლ ი თ ა*“ იკითხვის გვაწვდის.

IX,4. მეფეთა წიგნების ტექსტში გვხვდება ზოგიერთი პასაჟის გარკვევით ჩამოყალიბებული სტრუქტურული მოდელი. ერთ-ერთი ასეთია ე. წ. *ს ა მ ე ფ ო ფ ო რ მ უ ლ ა*, რომელიც კომპოზიციურად ამა თუ იმ მეფის მეფობის წლების სინქრონიზმის პრინციპს ემყარება¹⁶. ფორმულის კომპო-

¹² Fr. Zorrell, *Lexicon hebraicum et aramaicum VT*, Roma, 1960, გვ. 292—293.
¹³ C. Brockelmann, *Syrische Grammatik*, Leipzig, 1962, გვ. 172.
¹⁴ ა. შ ა ნ ი ძ ე, ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბ. 1976, გვ. 169. მზ. შ ა ნ ი ძ ე, ფსალმუნის წიგნის ძველი ქართული თარგმანები, თბ., 1979, გვ. 131.
¹⁵ ც. ქ უ რ ც ი კ ი ძ ე, ძვ. აღთქმის აპოკრიფული წიგნების ქართული ვერსიები, II, თბ., 1973, გვ. 60—61.

¹⁶ სამეფო ფორმულის სტრუქტურა სპეციალურად არის გაანალიზებული J. D. Shenkel-ის მონოგრაფიაში *Chronology and Recensional Development in the Greek Text of Kings*, Cambridge, 1968.



ზიციაში მთავარი ელემენტებია მისი შესავალი და დასკვნითი ნაწილები, სწორედ აქ შეაქვს მოკლე რედაქციას ზოგი ისეთი ცვლილება, რომლითაც ყველა ვრცელ ვერსიას ემიჯნება.

ა. ფორმულის შესავალი ნაწილი ვრცელში იწყება სტერეოტიპით: ძე ოცისა წლისა იყო (იოსაფატ) დადგომასა მისსა მეფედ, რომელიც სქემატურად ასეთ სახეს მიიღებს: ძე+მეფის წლოვანება+მეფის სახელი+მეფობის დასაწყისის აღნიშვნა. სტერეოტიპის პირველი სიტყვა „ძე“ უცხო წყაროს გავლენა და ქართულისათვის სრულიად ზედმეტია. იგი ბერძნულ-სირიულ-სომხურ წყაროებში მომდინარეობს ებრაულიდან, სადაც ben, ასაკის აღმნიშვნელ შესიტყვებაში გამოიყენება ამ აზრით: კაცო, აღამიანი. ვთქვათ, ოცი წლის კაცო იყო იოსაფატ მეფობის დასაწყისში. ამ სტერეოტიპს საბოლოო ჩამოყალიბებამდე რთული გზა გაუვლია, რაზეც მეფეთა წიგნებში მისი ინტენსიური ვარირებაც უნდა მეტყველებდეს: ებრ. ben, ბერძნ. *σὺν*, სომხ. *սոյն* ქართულად თარგმნილია:

1. როგორც „კაცო“: კაცო ოთხმეოცის წლის ვარ მე O II მეფ. 19,35. ბერზელი კაცო მოხუცებულ იყო დღითა ვითარ ოთხმეოცის წლის FOSI. II მეფ. 19,32.

2. როგორც „შვილი“: შვილი იყო საულ წელიწდისა ერთისაჲ, ვინათგან დაჯდა მეფედ O, I მეფ. 13, 1. ეს ბუნდოვანი ფრაზა რუსულში სწორადაა თარგმნილი: Прошел год по воцарений Саула. შვილი სიკუდილისაჲ არს იგი FOS, I მეფ. 20, 31.

3. როგორც „ძე“: ძე შვილი იყო იოსა FIOS, ბ 12, 1.

4. ებრ. ben, ბერძნ. *σὺν*, სომხ. *սոյն* ქართულ თარგმანში საერთოდ არ გადმოსულა: ოცდაათი წლის იყო დავით, რაჟამს-იგი სცხეს მეფედ FOS, II მეფ. 5,4. ასეთი შემთხვევები ვრცელ ვერსიებში იშვიათია, შდრ. აგრეთვე ყ 22, 42. 8, 17. 26. მაგრამ მოკლე ვერსიის რედაქტორს, იგი მასიურად გაუტარებია თავის რედაქციაში: ძე ათორმეტისა წლისა იყო მანასე FOS| მანასე იყო ათორმეტისა წლისა J, ბ 21, 1. ძე რვა წლისა იყო იოსია დადგომასა მას მისსა მეფედ FIOS| ბ 22, 1| იოსია იყო რვა წლისა, ოდეს დადგა მეფედ J იხ. აგრეთვე: ბ 14, 2. 15, 2. 18, 2. 18, 23, 36. 24, 8 და სხვ. სულ III-IV მეფეთა წიგნებში „ძე“ ამ კონტექსტში ნახმარია 19-ჯერ, ამათგან მოკლე ვერსიას, ორი შემთხვევის გარდა, (ყ 21, 19. 23, 31) იგი საერთოდ ამოუღია.

ბ. რედაქტორს მნიშვნელოვნად გადაუშეშავებია სამეფო ფორმულის დასკვნითი ნაწილიც. სანიმუშოდ ერთ მაგალითს მოვიყვანთ:

ვრცელ მოკლე

და ნეშტნი იგი სიტყუანი აქაბისთანი და და ნეშტნი სიტყუანი აქაბი-
ყოველნი რაოდენი ქნა და ტაძარი იგი სთჳს და ყოველი რაჲცა ქნა,
პილოჲს ძუალედი, რომელ აღაშენა, წერილ არიან წიგნთა მეფეთა
და ყოველი ქალაქები, რომელ ქნა, ისრაელისათა
ანუ არა აჰა ესერა წერილ არიან წიგნსა
მას სიტყუათასა, დღეთა მეფეთა ისრა-
ელისათა FIOS, ყ 22, 29

რედაქტორი აღებულ კურსს არ ღალატობს — მუხლს ამოკლებს, განტვირთავს მას მეფის მოღვაწეობასთან დაკავშირებულ ამბებისაგან, მაგრამ უფრო არსებითია ცვლილება, რომელიც ფორმულის დასკვნითი ნაწილის



ზიციაში მთავარი ელემენტებია მისი შესავალი და დასკვნითი ნაწილები. სწორედ აქ შეაქვს მოკლე რედაქციას ზოგი ისეთი ცვლილება, რომლითაც იგი ყველა ვრცელ ვერსიას ემიჯნება.

ა. ფორმულის შესავალი ნაწილი ვრცელში იწყება სტერეოტიპით: ძე ოცისა წლისა იყო (იოსაფატ) და დღეომასა მისსა მეფედ, რომელიც სქემატურად ასეთ სახეს მიიღებს: ძე+მეფის წლოვანება+მეფის სახელი+მეფობის დასაწყისის აღნიშვნა. სტერეოტიპის პირველი სიტყვა „ძე“ უცხო წყაროს გავლენაა და ქართულისათვის სრულიად ზედმეტია. იგი ბერძნულ-სირიულ-სომხურ წყაროებში მომდინარეობს ებრაულიდან, სადაც bēn, ასაკის აღმნიშვნელ შესიტყვებაში გამოიყენება ამ აზრით: კაცი, აღამიანი. ვთქვათ, ოცი წლის კაცი იყო იოსაფატ მეფობის დასაწყისში. ამ სტერეოტიპის საბოლოო ჩამოყალიბებამდე რთული გზა გაუვლია, რაზეც მეფეთა წიგნებში მისი ინტენსიური ვარირებაც უნდა მეტყველებდეს: ებრ. ben, ბერძნ. *βίος*, სომხ. *բոց* ქართულად თარგმნილია:

1. როგორც „კაცი“: კაცი ოთხმეოცის წლის ვარ მე O II მეფ. 19,35. ბერძელი კაცი მოხუცებულ იყო დღითა ვითარ ოთხმეოცის წლის FOSI. II მეფ. 19,32.

2. როგორც „შვილი“: შვილი იყო საულ წელიწდისა ერთისაჲ, ვინა-ათჳან დაჳდა მეფედ O, I მეფ. 13, 1. ეს ბუნდოვანი ფრაზა რუსულში სწორადაა თარგმნილი: Прошел год по воцарений Саула. შვილი სიკუდილისაჲ არს იგი FOS, I მეფ. 20, 31.

3. როგორც „ძე“: ძე შვიდი წლისა იყო იოსა FIOS, ბ 12, 1.

4. ებრ. ben, ბერძნ. *βίος*, სომხ. *բոց* ქართულ თარგმანში საერთოდ არ გადმოსულა: ოცდაათი წლის იყო დავით, რაჟამს-იგი სცხეს მეფედ FOS, II მეფ. 5,4. ასეთი შემთხვევები ვრცელ ვერსიებში იშვიათია, შდრ. აგრეთვე γ 22, 42. 8, 17. 26. მაგრამ მოკლე ვერსიის რედაქტორს, იგი მასიურად გაუტარებია თავის რედაქციაში: ძე ათორმეტისა წლისა იყო მანასე FOS] მანასე იყო ათორმეტისა წლისა J, ბ 21,1. ძე რვა წლისა იყო იოსია დადგომასა მას მისსა მეფედ FIOS] ბ 22,1] იოსია იყო რვა წლისა, ოდეს დადგა მეფედ J იხ. აგრეთვე: ბ 14, 2. 15, 2. 18, 2. 18, 23, 36. 24,8 და სხვ. სულ III-IV მეფეთა წიგნებში „ძე“ ამ კონტექსტში ნახმარია 19-ჯერ, ამათჳან მოკლე ვერსიას, ორი შემთხვევის გარდა, (γ 21, 19, 23, 31) იგი საერთოდ ამოუღია.

ბ. რედაქტორს მნიშვნელოვნად გადაუმუშავებია სამეფო ფორმულის დასკვნითი ნაწილიც. სანიშნოდ ერთ მაგალითს მოვიყვანთ:

ვრცელი

და ნეშტნი იგი სიტყუანი აქაბისთანნი და ყოველნი რაოდენნი ქმნა და ტაძარი იგი პილოჲს ძუალედი, რომელ აღაშენა და ყოველი ქალაქები, რომელ ქმნა, ანუ არა ავა ესერა წერილ არაიან წიგნსა მას სიტყუათასა, დღეთა მეფეთა ისრაელისათა FIOS, γ 22, 29

მოკლე

და ნეშტნი სიტყუანი აქაბი-სთჳს და ყოველი რაჲცა ქმნა, წერილ არიან წიგნთა მეფეთა ისრაელისათა

რედაქტორი აღებულ კურსს არ ლალატობს — მუხლს ამოკლებს, განტვირთავს მას მეფის მოღვაწეობასთან დაკავშირებულ ამბებისაგან, მაგრამ უფრო არსებითია ცვლილება, რომელიც ფორმულის დასკვნითი ნაწილის

სტერეოტიპშია შეტანილი. სტერეოტიპი „და ნეშტნი იგი სიტყუანი აქაბისთანი... ანუ არა აჰა ესერა წერილ არიან წიგნსა მას სიტყუათასა დღეთა მთელთა თა ისრაელისათა“ სიტყვა-სიტყვით იმეორებს ბერძნულ-სომხურ წყაროებს და „მეფეთა“ წიგნებში ძალზე ხშირად გამოიყენება. პირველ ფრაზაში ამ სტერეოტიპიდან, ერთი შეხედვით, უმნიშვნელო ცვლილებაა: ვრცელი ვერსიების „და ნეშტნი იგი სიტყუანი აქაბისთანი“ (ვარიაციით ...სიტყუანი აქაბისნი, ...სიტყუათა აქაბისნი) მოკლეში შეცვლილია ასე: „და ნეშტნი სიტყუანი აქაბისთს“, უფრო იშვიათად „და სხუაჲ სიტყუაჲ აქაბისთს“. თვს თანდებულის შემოტანით, რომელიც აქ „შესახებ“ თანდებულის მნიშვნელობითაა ნახმარი (შდრ. ბუნებისათვის კაცისა), რედაქტორმა ეს ფრაზა გასაგებად და ბუნებრივი ქართულით წარმოგვიდგინა, იგი ხომ ვრცელშიც ამას ნიშნავს: დანარჩენი ამბები აქაბის შესახებ წერია ამა და ამ წიგნებშიო.

მეორე ფრაზას „...ანუ არა აჰა ესერა წერილ არიან წიგნსა მას სიტყუათა დღეთა მეფეთა ისრაელისათა“ რედაქტორი განტვირთავს ხაზგასმული სიტყვების ხარჯზე, რომლებიც ძალზე სპეციფიკურია ამ ნაწილში და როგორც წესი, ყველგან მეორდება. შდრ. γ 11,41. 14,29. 15,7. 16,5. 22,46. ზ 1,18. 8,23. 10,34. 13,8 და სხვ.

ამგვარად, მოკლე ვერსიის რედაქტორის მუშაობაში კიდევ ერთი მეტად საყურადღებო შტრიხი გამოიკვეთა: ტექსტის რედაქციული გადაამუშავება მოიცავს მის სტილისტურ რევიზიასაც, რომელიც საგანგებოდაა მიმართული ისეთი სტერეოტიპების წინააღმდეგ, ქართულ თარგმანებში უცხო წყაროების გავლენას რომ ექვემდებარება და ამდენად ქართული ენისათვის არაბუნებრივიცაა. ამგვარი რამ რედაქტორის მუშაობას ლექსიკის სფეროშიც ახასიათებს, როცა უცხო სიტყვას ქართული სინონიმით ცვლის, ანდა სინონიმური წყვილიდან, სადაც ერთ-ერთი სიტყვა უცხოა, სწორედ ამ უკანასკნელს ამოაგდებს ხოლმე.

შეიძლება დავასკვნათ:

1. მოკლე რედაქციის შექმნა „მეფეთა“ წიგნების ქართული ტექსტის განვითარების ისტორიაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპია. იგი ქრონოლოგიურად მოსდევს უძველესი ქართული თარგმანის პირველ საეტაპო გადამუშავებას, რომელიც VIII—IX სს. მიჯნაზე უნდა ჩატარებულიყო, და უსწრებს მესამე საეტაპო ცვლილებას, რომელიც XVIII ს-ში განხორციელდა.
2. პირველი და მესამე საეტაპო გადამუშავებისაგან განსხვავებით, რომლებიც გარკვეული ტრადიციის წყაროებს ეყრდნობა, მეორე საეტაპო ცვლილებას დღესდღეობით უშუალო წყარო არ ეძებნება, თუმცა შემოკლების პრეცედენტები ქართველ რედაქტორს შეიძლება შეხვედროდა როგორც საკუთრივ ქართულ, ისე უცხოურ (ბერძნულ) წყაროებშიც.
3. მოკლე რედაქცია ტექსტობრივ ძირითადად ე. წ. ჯანაშვილისეულ A-646 ნუსხაში დაცულ ვრცელ ვერსიას ემყარება და მნიშვნელოვნად სცილდება როგორც 978 წლის ოშკურ ვრცელ, ისე A 570-ში დაცულ აგრეთვე მოკლე რედაქციას.
4. ორი ერთმანეთისაგან განსხვავებული ქართული მოკლე რედაქციის არსებობა იმის მათწყებელია, რომ შემოკლების ტენდენციას ქართულ სინამდვილეში საკმაოდ ხელსაყრელი პირობები შეხვედრია.



5. მოკლე რედაქციის შექმნას, როგორც ჩანს, მიზნად ჰქონდა ^{არაქვეყნული} ტექსტი, რომელიც საგრძნობლად გათავისუფლდებოდა ტრადიციული ბიბლიური ქართული თარგმანების სტილიზებული მანერისაგან და ფართო მასებისათვის გასაგებ ხალხურ სასაუბრო ენას დაუახლოვდებოდა.

6. მოკლე რედაქციის ტექსტების კომპლექსურმა ანალიზმა გამოავლინა ქართველი რედაქტორების მიერ ტრადიციული ბიბლიური ქართული თარგმანების ენერგიული გადამუშავების უცილობელი ფაქტები. გადაჭრული იმდენად საფუძვლიანი და ფართო მოცულობისაა, რომ არ იქნება გადაჭარბებული თუ ვიტყვით: მოკლე რედაქციის სახით ჩვენ წინაშეა „მეფეთა წიგნების“ ქართული ორიგინალური ვერსია.

У. Е. ЦИНДЕЛИАНИ

ПО ПОВОДУ ОДНОЙ РЕДАКЦИОННОЙ ОСОБЕННОСТИ КНИГ ЦАРСТВ

(Сокращенная редакция)

Резюме

Изучение текста Книг Царств позволяет выделить изменения трехэтапного характера.

Одним из них является создание сокращенной редакции, занимающей хронологически промежуточное место в истории развития текста Книг Царств.

Сокращенная редакция в некоторой степени свободна от стилизованной манеры древнегрузинских переводов Книг Царств. Автор её постарался сблизить язык редакции с народным разговорным языком.

В отличие от первой и третьей переработки в Книгах Царств, установить источник изменений второго этапа, т. е. сокращения текста, не удалось.

Масштабность и глубина работы, проведенной редактором сокращенного текста, позволяет думать, что в лице его мы имеем дело с оригинальной грузинской версией.

ზურაბ სარჯველიძე

მენაში დაცული „ქებაჲ ქებათაჲს“ ტექსტისათვის

„ქებაჲ ქებათაჲს“ სრული სახით შემონახულია ოშკის ბიბლიაში (978 წ.), სადაც იგი მოთავსებულია 265r—271v-ზე; მცხეთურ, ანუ საბას ბიბლიაში (427r—428r); ბაქარისეულ ბიბლიაში (1743 წ.). ამას გარდა ცნობილია „ქებაჲ ქებათაჲს“ თარგმანებები: ნეტარისა იპოლიტშს თქუმული თარგმანებაჲ „ქებაჲ ქებათაჲს“ (შატბერდის კრებული, X ს. 162r—176r) ტექსტი გამოცემულია ნ. მარის [1], აგრეთვე ბ. გიგინეიშვილისა და ე. გიუნაშვილის მიერ [2]. იგი წყდება მესამე თავის მე-8 მუხლზე. A-55 ხელნაწერში (XII ს.) დაცულია „წმიდისა და ღმერთშემოსილისა მამისა ჩუენისა გრიგოლ ნოსელ მთავარეპისკოპოსისა თარგმანებაჲ „ქებათა ქებათაჲსაჲ“ (73r—165v). ამ თხზულებიდან ამოკრებილი „ქებაჲ ქებათაჲს“ კიმენური ტექსტი გამოცემა გ. კიკნაძემ [3]. ტექსტი ნაკლულია, წყდება VI თავის მე-8 მუხლზე. A-65 ხელნაწერი წარმოგვიდგენს 1188 წელს მხედრულად გადაწერილ ანონიმი ავტორის თარგმანებას. იგი 1924 წელს ლითოგრაფიული წესით დაბეჭდა აკაკი შანიძემ [4]. ტექსტს აკლია მე-8 თავის მე-7 მუხლიდან. საინტერესოა, რომ ამავე ხელნაწერში წარმოდგენილია თარგმანებიდან გამოკრებილი კიმენური ტექსტი ნუსხურად (გვ. 412—419).

„ქებაჲ ქებათაჲს“ სრული ტექსტი არის დაცული ავსტრიაში, ვენის ნაციონალური ბიბლიოთეკის № 4 ქართულ ხელნაწერში. ეს საინტერესო ხელნაწერი აღწერა გრ. ფერაძემ [5]. ამ შემთხვევაში უსათუოდ იმსახურებს ყურადღებას ის ფაქტი, რომ „ქებაჲ ქებათაჲს“ შეტანილია არაბიბლიურ კრებულში. როგორც კარგადაა ცნობილი, „ქებაჲ ქებათაჲს“ არ გვხვდება ლექციონარებშიც კი, სადაც თითქმის ყველა სხვა ბიბლიური წიგნებიდან არის დადასტურებული ნაწყვეტები, ხოლო ცალკეული წიგნები (რუთისა, იონას წინასწარმეტყველება და სხვა) მთლიანადაა წარმოდგენილი.

ირკვევა, რომ ავსტრიულ ხელნაწერში დადასტურებული ტექსტი არ მისდევს „ქებაჲ ქებათაჲს“ სხვა რომელიმე ქართულ რედაქციას¹. იგი განკერძოებით დგას და დამოუკიდებელ თარგმანს წარმოადგენს. ამასთან ზოგიერთ შემთხვევაში ქართული ტექსტი საკმაოდ სხვაობს თვით ბერძნული ტექსტისაგან².

¹ ავსტრიული „ქებაჲ ქებათაჲს“ ტექსტი ქვემოთ აღნიშნულია A ლიტერით, ოშკის ბიბლია — O ლიტერით, საბას ბიბლია — S ლიტერით, ბაქარის მიერ დაბეჭდილი ტექსტი — B ლიტერით.

² ბერძნულსათვის გამოყენებულია A. Rahlf-ის გამოცემა: Septuaginta, Id est Vetus Testamentum graece iuxta LXX interpretes, editio nona, t. II, Stuttgart, გვ. 260—270.

განვიხილოთ ზოგიერთი ტიპური მაგალითი.

მე-2 თავის მე-5 მუხლი.

დამამტკიცეთ ნელსაცხებელთა მიერ, ვაშლი მომასხთ მე წყლულსა სიყუარულითა A, შდრ.:

დამამტკიცეთ მე სულნელებითა საცხებელთაჲთა, გარემომასხთ მე ვაშლი, რამეთუ დაწყლულ ვარ მე სიყუარულითა O;

დამამტკიცეთ მე ნელსაცხებელთა მიერ, გარემომასხთ მე ვაშლი, რამეთუ დაწყლულ ვარ მე სიყუარულითა S;

დამამტკიცეთ მე ნელსაცხებელთა შინა, დამდევით მე ვაშლთა შინა. რამეთუ მოწყლულ ვარ მე სიყვარულითა B;

ბერძნ. *σχηματῆς με ἐν ἀμύριαι, στυβῶστας με ἐν κηλίαι, ἢ το τετραμῆνυ ἀγῆπυς ἔγῳ.*

2,7; სიმტკიცეთა და ძალთა და აგარაკსა ლოცვით გაფუცებ, იერუსალიმისა ასულნო, აღ-თუ-სდგეთ თქუენ, და განაღვძეთ ტრფიალი ჩემი, ვიდრემდისცა ინებოს A; შდრ.:

გაფუცებ თქუენ, ასულნო იერუსალჴმისანო, ძალთა და სიმტკიცეთა აგარაკისათა, რაჲამს აღსდგეთ, განაღვძეთ სიყუარული, რაჲამსცა უნდეს O;

გაფუცებ თქუენ, ასულნო იერუსალჴმისანო, ძალთა და სიმტკიცეთა აგარაკისათა, უკუეთუ აღსდგეთ, და განაღვძოთ სიყუარული, ვიდრემდისცა ინებოს S;

გაფუცებ თქუენ, ასულნო იერუსალჴმისანო, ძალთა შინა და ძლიერებათა აგარაკისათა, უკუეთუ აღსდგეთ, და განაღვძოთ სიყვარული, ვიდრემდისცა ინებოს B.

ბერძნ. *ἄραστα ἡμῶς, θρηγῶτες ἱερουσαλημ, ἐν ταῖς θυσῆμασι καὶ ἐν ταῖς ἰσχυσῆσι τοῦ ἀγροῦ, ἔξ ἐχέρητε καὶ ἐξ εὐίρητε τῆς ἀγάπης, ἕως ἢο θελήσῃ.*

2,14; თუთ თავით შენით მოხუცდი, ტრედო ჩემო, კლდისა საგრილსა, მახლობელად ზღუდისა, მიჩუენე პირი და მასმინე ვჲაჲ შენი, რამეთუ ტკბილ არს ვჲაჲ და შეუენიერ პირი A; შდრ.:

მოვედ შენ, ტრედო ჩემო, საგრილსა მას ქუეშე კლდისასა მახლობელად ზღუდესა მას, მიჩუენე პირი შენი და მასმინე ვჲაჲ შენი, რამეთუ ტკბილ არს ვჲაჲ შენი სმენად და პირი შენი შეუენიერ ხილვად O;

მოვედ შენით, ტრედო ჩემო, საგრილსა ქუეშე კლდისასა, მახლობელად ზღუდისა. მიჩუენე მე პირი შენი და მასმინე მე ვჲაჲ შენი, რამეთუ ტკბილ არს ვჲაჲ შენი და პირი შენი შეუენიერ S;

და მოვედ შენ, ტრედო ჩემო, საფარულსა შინა კლდისასა, მახლობელად ზღუდისათა. მიჩუენე მე პირი შენი და მასმინე მე ვჲაჲ შენი, რამეთუ ტკბილ არს ვჲაჲ შენი და პირი შენი შეუენიერ B;

ბერძნ. *καὶ ἔπις σὺ, περιστερᾶ μου ἐν σκέπη τῆς πέτρας, ἐχόμενα τοῦ προτεχίσματος, ἡεῖδῶ μοι τῆς ἑσῆς σὺ καὶ ἀκοῖτασόν με τῆς φωνῆς σου, ἢ το ἢ φωνῆς σου ἡδέστα, καὶ ἢ ἑσῆς σὺ ἄραστα.*

7,10; სასაა — ვითარცა ღვწოჲ სულნელკეთილი, მო-რაჲ-ვიდოდა ჩემდა დისწული ჩემი, ბაგე-კბილებსა კჲა-ეყო სიწრფოებჲა A; შდრ.:

და სასაა შენი, ვითარცა ღვწოჲ სულნელი. მიხუალ კუალსა ძმისწულისა ჩემისასა სიწრფოებით, მყოფ არს ბაგეთა ჩემთა და კბილთა O;

სასა შენი, ვითარცა ღვწო კეთილი, მომვლელი ძმისწულისა მიერ ჩემისა სიწრფოებად, კმასყოფელად ბაგეთა ჩემთა და კბილთა S;

და სსა შენი, ვითარცა ღვწო კეთილ, სღვაჲ კჳსა მიმართ ჩემისა, სღწა
ფოებით, კმა არს ზაგეთა ჩემთა და კბილთა B; შდრ.:

ბერძნ. και λάρυξι σου ως οἶνος ὁ ἀγαθὸς περισσέμενος τῷ ἀμέλειδῳ μου εἰς
ἐμπέτητα ἰκανοῦμενος χεῖλεσίν μου και ὄδοντα.

მ,ნ დადევ ვითარცა ბეჭედი გულსა შენსა და ვითარცა-რამ დასაბეჭდა-
ვი მკლავისა. მტკიცე არს, ვითარ სიკუდილი, სიყუარული; ფიცხელ ვითარცა
ჯოჯობითი, არს შური. გარემოსა მისსა დგას კლდე მტკიცე, გარემომას მისსა
კლდე ალთა ცეცხლისათაჲ A; შდრ.:

რამეთუ მძლავრ არს, ვითარცა სიკუდილი, სიყუარული; ფიცხელ არს,
ვითარცა ჯოჯობითი შური. ფრთენი მისნი — ფრთენი ცეცხლისანი, აღისა მი-
სისანი O;

დამდევს მე, ვითარცა საბეჭდავი, მკლავსა ზედა შენსა, რამეთუ მტკიცე
არს, ვითარცა სიკუდილი, სიყუარული, ფიცხელ არს, ვითარცა ჯოჯობითი, შუ-
რი. გარემომას მისსა — კლდე, გარემომას მისსა — კლდე ცეცხლისაჲ, ცეცხლი-
სა ალთა მისთაჲ S;

დამდევს მე, ვითარცა ბეჭედი, გულსა ზედა შენსა, ვითარცა ბეჭედი,
მკლავსა ზედა შენსა. რამეთუ ძლიერ არს, ვითარცა სიკუდილი, სიყუარული;
ფიცხელ, ვითარცა ჯოჯობითი, შური. ფრთე მისი — ფრთე ცეცხლისა; ნაკ-
ვერცხალი ცეცხლისა — ალი მისი B;

ბერძნ. θές με ως σφραγίδα ἐπὶ τῆν καρδίαν σου, ως σφραγίδα ἐπὶ τὸν βρα-
χίονά σου. ὣτι κραταιά ως θάνατος ἀγάπη, σκληρὸς ως ἄνθος ἰηλός. περίπτερα
αὐτῆς περίπτερα πύργος, φλέγεις αὐτῆς.

ავსტრიული ხელნაწერის „ქებაჲ ქებათასა“ ტექსტი ლექსიკითაც უპირის-
პირდება სხვა ქართულ თარგმანებს. დავასახელებთ ზოგიერთ ნიმუშს:

- 1,6: ებგურად A; შდრ.: მცველად OSB.
- 1,9: მახლობელქმნულო A; შდრ.: მახლობლო OSB.
- 2,2: ტრფიალი A; შდრ.: მახლობლო O; მახლობელი S; მოყუასი B; ბერძნ. ἡ
πλησίον.
- 2, 3: პირსა A; შდრ.: ხასასა OSB; ბერძნ. ἐν λάρυγι.
- 2, 7: ტრფიალი A; შდრ.: სიყუარული OSB.
- 2, 9: შთამოიჭურობს A; შდრ.: იხედავს OS; განმსტრობელი B.
- 2, 10: განშუენებულო A; შდრ.: შუენიერო OS; კეთილო B; ბერძნ. καλή.
- 2,12: იმსთო A; შდრ.: გამოჩნდა OS; გამოჩნდეს B; სოფელსა A, შდრ.: ქუეყა-
ნასა OSB.
- 2, 13: ყუავილოვან A; შდრ.: ყუავიან OSB; თანაწიფობენ B, ბერძნ. καπρὶζοσισ.
- 3, 3: მჭუმილთა A; შდრ.: მცველთა OSB; სატრფიალოჲ სულისაჲ A; შდრ.:
რომელი უყუარს სულსა ჩემსა, O; რომელია შეიყუარა სულმან ჩემმან SB;
ბერძნ. ὃν ἠγάπησεν ἡ ψυχὴ μου.
- 3, 5: სთნდეს A; შდრ.: უნდეს O; ინებოს S; ბერძნ. φεληση.
- 3, 6: აღმომავალი A; შდრ.: მომავალი O; აღმოვალს S; ბერძნ. ἡ ἀναβαίνουσα.
- 3, 8: შიშნეულეებისათა A; შდრ.: შიშისათჳს OS; ქირსა B.
- 3, 10; ქანდაკნა A; შდრ.: შექმნა OSB; აღსავალი A; შდრ.: საჯლომელი O;
აღსავალით SB; ბერძნ. ἐπιβασας.
- პორფირისფერი A; შდრ.: ძოწეულისაჲ O; პორფირი S; მეწამული B; ბერძნ.
πορφυρεῖ.
- სურვილი A; შდრ.: სიყუარულისაგან O; სიყუარული SB; ბერძნ. ἀγάπη.

- 4, 2: მარჩბიფთმშობელნი A; შდრ.: ორთმსხმელნი O; ორთმსხმელი კორცნი B.
- 4, 5; მარჩბიფთმშობელნი A; შდრ.: მარჩბიფთნი OSB.
- 4, 11: გოლეულნი A.: შდრ.: თაფლი OS; გოლი B; შესამოსელთა A; შდრ.: სამოსლისა O; სამოსელთა SB.
- 4, 13: მოვლინებულნი A; შდრ.: მოციქულებაჲ O; მოციქულებანი S; ბერძნ. ἀποστολαί.
- 4, 16: თემანო A, შდრ.: ბლუარო OSB.
- 5, 5: კლიტეთა A; შდრ.: საჯველითა O; საჯველისათა SB.
- 5, 6: წარირბინა A; შდრ.: წარვიდა OSB; ბერძნ. παρῆμιον.
- 5, 15: სხვლბარკალნი A; შდრ.: წვენი OS; ბერძნ. χυμαί.
- 5, 16: გულისსათქუმელ A; შდრ.: ყოვლად საწადელ OSB.
- 6, 6: კოლტები A; შდრ.: არვე OSB.
- 6, 7: უბნობაჲ A; შდრ.: სიტყუაჲ OS; ზრახვაჲ B.
- 7, 14: ფშუშ A; შდრ.: გამოხცეს OSB და მრავალი სხვა.

აღსანიშნავია ავსტრიული „ქებაჲ ქებათაჲს“ ერთი სტილისტური თავი-სებურებაჲ: საკმაოდ ხშირად სიტყვათა წყობა სხვაობს არა მარტო სხვა ქართულ თარგმანთაგან, არამედ თვით ბერძნული დედნის სიტყვათგანლაგებისაგან.

- 1, 2: შენნი ძუძუნი ღვინისა მკობ არიან A; შდრ.: უმჯობეს არიან ძუძუნი შენნი ღვინისა OSB (უფროს ღვინისა B); ბერძნ. ἀγαθὸν μακροῦ σου ἢ πρ ὄντων.
- 1, 10: დაცუმულსა მიივსა ემსგავსა ყელი შენი A; შდრ.: ყელი შენი ვითარცა მიივი დაცუმული OS; ყელი შენი ვითარცა ფარული B; ბერძნ. ῥαβῆχλός σου ὡς ἐκρυμμένον.
- 2, 9: ძმისწული ჩემი ჰგავს ქურციკსა A; შდრ.: მსგავს არს ძმისწული ჩემი ქურციკსა OSB; ბერძნ. ἄσινος ἕταρος ἀμειψιότης μου ὡς βορᾶν; და მრავალი სხვა.

განსაკუთრებით უნდა გამოიყოს ისეთი შემთხვევები, როცა მსაზღვრულ-საზღვრული გათიშულია და ძველი ქართულისათვის არაბუნებრივი კონსტრუქცია იქნება:

- 1, 4: ძუძუნი უფროას ღვინისა შევიყუარნეთ შენნი A; შდრ.: შევიყუარენ ძუძუნი შენნი უფროას ღვინისა O; შევიყუარნეთ ძუძუნი შენნი უფროას ღვინისა SB; ბერძნ. ἀγαπήσμεν μακροῦ σου ἢ πρ ὄντων.
- 2, 12: გურიტიხაჲ ისმა ვმაჲ ქუეყანასა ჩუენსა A; შდრ.: ვმაჲ გურიტიხაჲ ისმა ქუეყანასა ჩუენსა OSB; ბერძნ. φωνή τῆς φωνῆς τῆς ἡσυχίας ἐν τῇ γῆ ἡμῶν.
- 4, 10: ვითარ განშუენდეს შენნი ღვინისა მიერ ძუძუნი A; შდრ.: რადენ შეუნიერ არიან ძუძუნი შენნი ღვინისაგან O; რადენ განშუენდეს ძუძუნი შენნი უფროას ღვინისაგან B; ბერძნ. τί ἀγαλλισθήσων μακροῦ σου ἢ πρ ὄντων.

რა თქმა უნდა, ჩვენი ძველი ბერძნულიდანაა თარგმნილი. ამის დასტურად შეიძლება მივიჩნიოთ: 1) ბერძნული სიტყვა τὸ μακροῦ (5, 7) უთარგმნელადაა დატოვებული, 2) ბერძნული ὄντως „ესე“ ნაცვალსახელი გაგებულია ზმნიზედად ὄნτως და თარგმნილია „ესრე“ (5, 16), 3) ბერძნული ἡσυχίαςად გადმოცემულია

ძირგანბმული სიტყვით: ცხადია, აქ მთარგმნელს შეცდომა მოუვიდა. სათარგმნი/სიტყვის I ნაწილი აერია რქა „ძირ“ ლექსემასთან.

- ტიქსტში გვხვდება ზოგი საინტერესო ლექსიკური ერთეული:
 - ნათლისფერი მე ნათლისფერი ყუავილი ველისაჲ 2, 1.
 - ოქრომნათობი მე ... ოქრომნათობი შროშანი ღელოვანთაჲ 2, 1.
 - მარჩიბივთმშობელი მარჩიბივთმშობელნი ყოველნი 4, 2.
 - უბერწოჲ (არა ბერწი) მარჩივთმშობელნი ყოველნი, უბერწონი 4,2
 - თემან-ი (ჩრდილოეთი) მოგულაჲ, თემანო 4,10.
 - ნიჟ-ი (ცვარი) თავი ჩემი აღავსეს ცუართა, ხოლო თავისა თმანი ღამისა ნიჟთა 5, 2.
 - თერისტრა (სამოსელი) მიმიღეს თერისტრაჲ ჩემი 5,7.
 - მარჩიბივთა (ტყუპის შობა) რომელნი ერთგზის იმარჩიბივნა ქურციკმან 7, 4.

დამოწმებული ლიტერატურა

1. Ипполит, Толкование Песни песней: TP., III, С.-Пб., 1901.
2. შატბერდის კრებული, თბ., 1979.
3. ძველი ქართული მწერლობის ოთხი ძეგლი, თბ., 1965.
4. თარგმანები ქების ქებათასი, ტფილისი, 1924.
5. Das Hohelied, ein jambisches Gedicht, ein Lobgesang auf die hl. Gottesmutter von dem weisen König Salomon: Gr. Peradze, Über die georgischen Handschriften in Österreich: Wiener Zeitschrift für die Kunde des Morgenlandes, 1940, Bd. 47, Hft. 3—4, S. 299.

I

- 255r 1. ქებაჲ ქებათაჲ, შესხმაჲ წმიდისა ღმრთისმშობელისაჲ, ბრძნისა სოლომონისგან, მეუფეო, გუაკურთხენ.
2. ამბორის-ყოფაჲ პირისაჲ მომეცინ მე, რამეთუ შენნი ძუძუნი ღვნისასა მგობ არიან,
3. და სულნელებაჲ მიპრონთა შენთაჲ უმეტეს ყოველთა სულნელთა სულნელთაჲსა, ნელსაცხებელ არს წარმოცალიერებულ სახელი შენი, ამისთვისცა ქალწულთა შეგიყუარეს შენ.
4. და მიგიზიდეს თვსად. შემდგომად შენსა ესდევდეთ სულნელთა შენთა. შემიყვანა მე მეფემან საუნჯედ. ვიხარებდეთ და ვიშუჭბდეთ შენდა მიმართ. ძუძუნი უფროჲს (V) ღვნისა შეგიყუარნეთ შენნი, რომელი უყუარ სიწრფოებასა.
5. შავ და შუენიერ, იერუსალიმისა ასულნო, ვარ მე კედრისა საყოფელგბრ და სოლომონისა კარგებრ.
6. და ნუ მომხედავთ შავქმნილსა მზისა უგულუბელს-ყოფითა. ძენი დღისა ჩემისანი მლაღვიდე[ს] სავენაჯისა ებგურად დამადგინეს. და სავენაჯე ჩემი არა დავიცევ.

7. მითხარ, რომელი გითვსა სულმან ჩემმან, სადა ჰმწყსი, სადა წვინნი შუადლე. ნუსადა ვიქმნე, ვითარ გარემომცველი კოლტსა სხვსა და ვინაა
8. არა თუ იცან თავი შენი, კეთილო სხუათა დედათა შორის, სამწყსოთა შენთა კუალსა განისწრაფი შენ და საყოფელსა მწყემსთასა ჰმწყსიდ თიქ[ა]-ნთა.
9. ჰუნესა ჩემსა ფარაოის ეტლთა შორის მიგამსგავსე შენ, მახლ-(256r) ობელქმნულო ჩემო.
10. რაბამ განშუშნდეს ლაწუნი შენნი გურიტულად, დაცუმულსა მძივსა ემსგავსა ყელი შენი.
11. მიგამსგავსოთ შენ ოქროისა ქმნულებასა და ელვარესა წურილად დაცუმულსა ვეცხლსა.
12. ვიდრემდის ჯელნი მოასხნეს მას მეფემან, გამოსცა თვისი მიპრონი ნარდმან ჩემმან.
13. შეკრული შტახსი ძმისწული ჩემი ჩემდა, ძუძუთა შენთა შორის განისუენა მან.
14. ძმისწული ჩემი ჩემდა, გამობუტკოის ტევანი შორის ვენაჯთა გადისათა.
15. აჰა, შუენიერ ხარ, მახლობელო ჩემო. აჰა, შუენიერ ხარ, თუაღნი ტრედ არიან.
16. აჰა, კეთილ და შუენიერ ხარ, ძმისწულო. საგრილი მტკიცე ცხედარსა ჩუენსა ზედა.
17. მოსელნი სახლთა ჩუენთანი ნაძესანი, ხოლო მენაკნი — სურნელნი საროისანი.

2

1. მე ნათლისფერი ყუავილი ველისაჲ და (V) ოქრომნათობი შროშანი ლელუვანთაჲ.
2. და ვითარ შორის ეკალთაჲსა შროშანი, ეგრეთ ქალწულთა შორის ტრფიალი ჩემი.
3. ვითარცა ხეთა მადნართა შორის ვაშლი, ეგრეთ არს ჩემი ძმისწული ძეთა შორის. საგრილსა მისსა გულმან მითქუა და დავჯედ, და ტკბილ არს მისი ნაყოფი პირსა ჩემსა.
4. შემიყვანეთ მე სახლსა მას ღუნისასა, და განაწესეთ ჩემ ზედა სიყუარული,
5. და და[მა]მტკიცეთ ნელსა ცხებელთა მიერ, ვაშლი მომასხთ მე, წყლულსა სიყუარულთა.
6. მარცხენე მისი ზედა კერძო თავისა, და მარჯუენემან მისმან შემიყვნაროს მე.
7. სიმტკიცეთა და ძალთა და აგარაკსა ლოცვით გაფუცებ, იერუსალიმისა ასულნო, აღ-თუ-სდგეთ თქუენ, და განაღძქეთ ტრფიალი ჩემი, ვიდრემდისცა ინებოს.
8. (257r) ვჰამა ძმისწულისა ჩემისაჲ: აჰა, მოვალს მხლდომარე მათათა და მსრბოლი ბორცუთა ზედა.

12 შუასხნეს ხ. 14. გამობუტკოის ხ. 17. მუსელნი ხ. 1. ლელუვანთა ხ. 8 . მხლდომარე ხ

9. ძმისწული ჩემი ჰგავს ქურციკსა და ნუკრსა მას ირმისასა ბეთილისა მათა ზედა, აჰა, ესე დგას ფარვით ზღუდესა ჩუენსა და საკუმლით ვამღწევეს შთამოიჭურობს იგი და არდაგთამთ გარდამოიხედავს ჩუენდა.

10. ძმისწული ჩემი მომიგებს და მეტყვს მე: აღდეგ და მოვედ აწ, მახლობელი ჩემო, განშუენებულო ჩემო და ტრედო ჩემო.

11. რამეთუ აჰა, ზამთარი ჩუენგან წარკდა, წუჰამ დასცხრა და წარვიდა გზასა თუსსა.

12. ყუავილმან იმსთო სოფელსა შინა ჩუენსა და სხლვისა უამი, ესერა, მოიწია, გურიტისაჲ ისმა კჰამა ქუეყანასა ჩუენსა.

13. გამოუტევა ლელუმან ყუავილი თუსი, მოსცეს ვენაჯთა ყუავილთა სულნელებად, აღდეგ და მოვედ აწ, მახლობელი ჩემო, (V) განშუენებულო ჩემო და ტრედო ჩემო.

14. თუთ თავით შენით მოხუცდი, ტრედო ჩემო, კლდისა საგრილსა, მახლობელად ზღუდისა, მიჩუენე პირი და მასმინე კჰამა შენი, რამეთუ ტკბილ არს კჰამა და შუენიერ პირი.

15. მიპყრნით მეღნი მცირენი რყუნილებისა მოკმეღნი შორის ვენაჯთასა, რამეთუ ვენაჯნი ჩუენნი ყუავილოვან არიან.

16. ძმისწული ჩემი ჩემდა და მე მისდამი, რომელი შროშანთა ჰმწყისი.

17. ვიდრემდის წარვიდეს დღე და მოიწივნენ აჩრდილნი, მოიქეც უკუჲ ჩემდა მომართ, ძმისწულო. ქურციკსა ანუ შუელთა მსპოლველსა ნუკრსა ირმის[ა]სა მათა ზედა ლელოვანთასა.

მე თუთ მივიდე მთასა მას მურისასა და დავემკვდრო ბურცუსა გუნდრუტის[ა]სა შერიუტრებად (248r) დღისა და აღძრვად აჩრდილთა. ყოვლად შუენიერ ხარ, მახლობელი ჩემო, და ბიწი არცა ერთი რაჲ არს შენ თანა.

3

1. მე სარეცელთა ჩემთა ზედა ვეძიებდ ღამე, რომელი უყუარდა სულსა ჩემსა, ვეძიებდი მას და არა ვპოვე იგი, ვხადოდე მას და არასადა კჰამ-მცა მე.

2. აღვდეგე და მოვლო ყოველი ქალაქები, სავაჭრონი და უბანნი და ვიძიო, რომლისა-იგი ტრფიალ არს სული ჩემი. ვეძიებდი მას და არა ვპოვე იგი, ვხადოდე მას და არასადა კჰამ-მცა მე.

3. მპოვეს მე მკუმილთა, რომელ სცივიდეს ქალაქსა: ნუ იხილეთა სატრფიალოჲ სულისაჲ?

4. ვითარ კინ ოდენ წარვლე მათგან, ვიდრემდის ვპოვე, რომელი უყუარდა სულსა ჩემსა. შევიპყარ იგი და არა განუტევე, ვიდრემდის სახიდ დედისა შევიყვანე (V) და საუწჯეთა მშობლისა ჩემისათა.

5. გაფუცებ თქუენ აწ, იჭრუსალიმისა ასულნო, ძალთა მიმართ და სიმტკიცეთა აგარაკათასა, უკუეთუ აღადგინოთ და განაღძოთ სურვილი, ვითარ სთნდეს.

6. ვინ არს უდაბნოთ რტოებრ აღმომავალი და საკუმეველთა კუამლი, გუნდრუკთა მური ზოგად მტუერთაგან მენელსაცხებელთაჲსა?

14 მუხუცდი ხ. 15 ყუავილოვას ხ. 3. მკმილთა ხ.

7. აპა ესერა, სოლომონის ცხედარი, გარემოდას მისსა სამეოცნი ძლიერ-
ნი ძლიერთა მათგან ისრაჲლისათა

8. და წუდილნი მახვლნი უპყრიან ყოველთავე, წურთილნი ბრძოლასა,
კაცი და კრმალი მისი შებმულად წელთა შიშნეულებისათა და განკროთომისა
შიშით ღამესა შინა.

9. იქმნა მეფემან სოლომონ გავალაკნი დაუღპოლველთა ლიბანისა ძელ-
თაგან.

10. სუეტნი ქანდაკნა ვეცხლისა წმიდისანი (259r) და კამარები მი-
სი ოქრო დრეკლ ყო, პორფირისფერი შეუქმნა აღსავალი, და იატაკი მისი
ქვამოფენილ ყო, სურვილი ასულთაგან სიონისათა.

11. გამოვედით აწ, იერუსალიმისა ასულნო, რაათა იხილ[ო]თ თქუენ
სალომონ მეფე შემკული გვრგვინთა, რომლითა გვრგვინოსან-ყო იგი დედამან
მისმან დღესა სიძობისასა მისისა, სიხარულისა გულისა მისისასა.

4

1. აპა, შუენიერ ხარ, მახლობელო ჩემო, აპა, შუენიერ ხარ, თუაღნი
ტრედისანი გარეშე დუმილისა მაგის შენისა. თხათა არვესა ებაძენეს თმანი
შენნი, რომელნი-იგი გამოჩნდეს გალაადით.

2. და კბილნი შენნი მორისულთა არვესა, რომელნი წიაღამოკდეს სა-
ბანელით, მარჩბივთმშობელნი (V) ყოველნი, უბერწონი.

3. ხოლო ბაგენი საბელსა ძოწეულსა, სიტყუაჲ შუენიერ მროწეულისა
ნაქურცენებრ და სიკეთენი გარეშე დუმილისა.

4. დავითის გოდლებრ ამალდა ქედი შენი, რომელი-იგი შენ არს თალ-
პიონს შინა. ათასი ფარი დამოკვიდავს მას ზედა და ყოველნივე ისარნი
ძლიერთანი.

5. ორნი ძუძუნი შენნი, ვითარცა ორნი მრჩობლად შობილნი თიკანნი
ქურციკისანი, რომელნი შორის შროშანთასა იმოთხვენ.

6. შერიყურებამდე დღისა და აღძრვად აჩრდილთა მე თვთ მივიდე მთასა
მას მურისასა და მივიწიო ბორცუსა გუნდრუკისასა,

7. ყოვლად შუენიერ ხარ, მახლობელო ჩემო, და ბიწი არცა ერთი რაჲ
არს შენ თანა.

8. მოვედით ლიბანით, სძალო, და წარმოგუალე. და თავით განვლე შენ
სარწმუნოებისა (260r) სანარისაცა და ერმონისა თხემით, საყოფლით ლომ-
თაჲთ, მთებისაგან ვეფხთაჲსა.

9. გულად მიხუენ ჩუენ, შ, დაო ჩუენო, სძალო, გულად მიხუენ ჩუენ
თუალთა შენთა ერთითა, და ერთითავე მიძივთა ყელისაჲთა.

10. ვითარ განშუენდეს ძუძუნი, დაო ჩემო, სძალო და ვითარ განშუენ-
დეს შენნი ღვნისა მიერ ძუძუნი და შენთა მათ შესამოსელთა სულნელებაჲ
უმეტეს სულნელებისა ყოველთა სულნელთაჲსა.

11. და გოლეულნი გარდმოსწოთუებიან ბაგეთა შენთა, სძალო, და თაფლი
და სძე ენასა შენსა ქუეშე და სული შესამოსელთა შენთაჲ, ვითარცა მიპ-
რონი ლიბანისაჲ.

7. სოლომონის ხ. 8. წორთილნი ხ. 9. სოლომონ ხ. 11. დღესა+მისსა ხ. 1. შუენიერ ხ.
11. შესამოსელთა ხ.



12. მტილი დავშული და წყარო დაბეჭდული.

13. მოვლინებულნი შენნი წყარო სამოთხის ნაყოფსა თანა ხეთა ვალისასა, (V) ყუავილი ნარდისა თანა,

14. ნარდი, ზაფრანი, კინამო და ლელწამი ყოველთავე მწუერვალსა თანა ლიბანისა ხეთასა, ზმირნი და ალოა ზოგად ყოველთა თანა ნელსაცხებელთა უპირატესობისა.

15. წყაროა ედემთა და ჯურღმული მწყურნებთა ცხოველთა ხოლო ძირგანბმული ლიბანით.

16. აღდეგ, ჩრდილო, და მოგუალე, თემანო, მოჰბერეთ მტილსა ჩემსა, წთოდედ სულნელნი ჩემნი, შთავედინ დისწული ჩემი მტილსა ჩემსა და ჭამენ ნაყოფი ხის მწუერვალთაათ.

5

1. შთავიდა მტილსა ჩემსა დაა ჩემი, სძალი. მოვწილე ზმურნი მიპრონთა თანა ჩემთა და პური ჩემი თაფლით ჩემითურთ ვჭამე. ვსუ ღვინო ჩემი სძისა თანა ჩემისა. ჭამეთ, მოყუასნო, და სუთ ჩემ თანა და დაითრვენით, ძმა-(261r) ნო ჩემნო.

2. რამეთუ მე მძინარე ვარ და ჰლძავს გულსა ჩემსა, ვმაა დისწულისა ჩემისაა კართა ზედა ჰრეკს: განმილე მე, მახლობელო და დაო და ტრედო ჩემო, ყოვლითურთ სრულო ჩემო, რამეთუ თავი ჩემი აღავსეს ცუართა, ხოლო თავისა თმანი ღამისა ნიეთა.

3. განვიძუარცე მე შესამოსელი ჩემი, ვითარმედ კულად გარემოვორტყა იგი? და მოვიბანენ ფერკნი, ვითარ შევებლანე?

4. დისწულმან ჩემმან შთამოყო კელი სარკუმლით და განჰკრთა ჩემი მუცელი ამას ზედა.

5. აღვდეგ განლებად დისწულისა ჩემისა და ამით კელთა ჩემთა ზმირნი დასწოდა, აღსავსე იყვენს თითნი ჩემნი ზმურნითა, ვინათგან კელი მისი მიყო კლიტეთა.

6. ესრეთ განუღე კარი დისწულსა ჩემსა. დისწულმან ჩემმან წა-(261r) რირბინა ამიერ და სულმან ჩემმან სიტყუასა თანა მისსა. ვეძიებდი მას და არა მეპოვა იგი, უწოდდი მას და არა ისმინა ჩემი.

7. მპოვეს მე მცველთა, ქალაქისა მომცველთა, მგუემეს და მომწყლეს და მიმიღეს თერისტრაი ჩემი, რომელნი მოიცვიდეს ზღუდესა.

8. გაფუცებ კულად, სიონისა ასულნო, სიმტიციეთა და ძალთა აგარაკთაა, უკუეთუ სადა ჰპოოთ დისწული ჩემი, უთხარო, ვითარმედ, წყლულ ვარ ტრფიალებითა.

9. რამე არს შენი დისწული დისწულთაგან, მ შეენიერო დედათა შორის ფრიად? რამე არს შენი დისწული დისწულთაგან, რამეთუ ესრეთ შემაფუცებ ჩუენ მისთს?

10. დისწული ჩემი რაბამ მწყაზარ და მწითურ და გამორჩეულ ბევრის ბევრეულთაგან.

11. თავი მისი არს ოქროა (262r)სა მოფაზისაა, წარბნი განქედელ ფერითა მელნისაათა მსგავსად ყორნისა,

15. მწყურნებთა ხ. 16. წოდეთ ხ. 7. მოცველთა ხ. 9. რამენ ხ.

12. და თუაღნი მისნი ტრედისანი ურიცხუთა წყალთა აღსავსებასა ზედა განბანილ სძითა, დასხმულ მწყურნებთა ზედა,
13. დაწუნი, ვითარცა ფიალნი მიპრონთანნი, ფშან მრავალთა ნელსაცხებელთა სულსა, ბაგენი შროშან, დამოსწოვს ზემირნი სავსე,
14. და კელნი მისნი — ოქრო წახნაგულ და ყოვლად აღსავსე თარშისა სიკეთითა, მუცელი მისი — ფიცარი პილომსქელისაჲ საპფიროვანსა ქვასა ზედა მდგომარე,
15. და სხვლბარკალნი მარმარილომსა სუეტებრ დაფუძნებულნი ხარისხთა ოქრომსათა, ვითარ ლიბანი რჩეული — სახე მისი, და ვითარ ნაძუ მთისა მწუერვალთა მისთაჲ.
16. კორკნი მისი — ტბილ, ყოვლითურთ გულისსათქუმელ. (V) ესრეთ არს ჩემი დისწული დისწულთათჳს და ესრეთ ჩემი მახლობელი, ასულწო სიონისანო, და ესოდენ შუენიერ.

6

1. სადა წარვიდა დისწული შენი, დაო და შუენიერო დედათა მწყობრსა შორის? სადა წარვიდა დისწული შენი შენგან? მითხართ ჩუენ, რაჲთა მოვიძიოთ შენ თანა,
2. შთავიდა ჩემი დისწული მტილსა თჳსსა ფიალთა მიმართ მენელსაცხებლეთაჲსა მწყსად მტილთა შორის და შეკრებად შროშანთა.
3. დისწული ჩემი ჩემდა და მე მისდამი, რომელი-იგი მწყსის შროშანთა მტილსა შორის,
4. შუენიერ ჩემი მახლობელი, ვითარცა სათნოებაჲ, და შუენიერ, ვითარცა-რაჲ მთაჲ სიონისაჲ, და საკვრველ, ვითარცა განწესებული, ფრიადსკუღლკეთილობით,
5. აქციენ თუაღნი შენნი მტერთა ჩემთაგან, რაჲთა მათ შემომზადნეს მე ფრთენი, თმანი თავისა შენისანი — კოლტ თხათა, რომელნი-იგი აღმოვდეს გალადით.
6. კბილნი — ვითარცა კოლტები მორისულთაჲ, რომელნი აწ აღმოვლენ საბანელით, მარჩბივთმსხმელ ზოგად არიან ყოველივე და უშვილოსა ვერვინ ჰპოვებს მათ თანა,
7. ბაგენი შენნი — საბელ ძოწეულისა, ხოლო უბნობაჲ შენი — შუენიერ რაბამ, მროწეულისა ნაქურცენსა მიმსგავსებულ შუანი შენნი გარეშე დუმილისა,
8. ექუსგზის სამეოც არიან დედუფალნი, ოთხმეოც—ხარჭნი, ქალწულნი — ურიცხუველ,
9. ერთ არს ტრედი და შუენიერი ჩემი, ერთ არს იგი მშობელისა მისისაჲ, გამორჩეული არს დედისა თჳსისაჲ, იხილეს იგი ასულთა და ჰნატრიან, (253r) და დედუფალთა და ხარჭთა აქეს იგი.
10. ვინ არს, რომელი აღმოიჭვრობს ცისკრებად და შუენიერ არს, ვითარცა-რაჲ მთოვარე, ხოლო ელვარე, ვითარცა მზე, რჩეული, საკვრველ, ვითარ განწესებულეზანი?

10. მთევაჲ ხ.



11. შთავედ შენ მტილსა შინა ნიგზოვანთასა, რამთა იხილო მუნ ნაშობი ლურისაჲ, ხილვად, უკუეთუ ყვავილოს ვენაჲ, და აღყუავილნეს მკრძანებულნი ბროწეულნი. მუნ მოგცნე ჩემნი ძუძუნი წადიერად.

12. არამედ სულმან ჩემმან ვერ აგრძნა ესე. ამინადაბის ეტლად და-მაწესა მე.

7

1. მოაქციე, მოაქციე, სოილამიტი, მოაქციე, მოაქციე და ვიხილოთ მავალი შენდა ბანაკისა მწყობრთაებრ.

2. რაჲსა განშუენდეს კუალნი შენნი სანდლითა, ამინადაბის ასულნო, და სიკეთე (264) წყვილთა მათ შენთაჲ ემსგავსა მეღვეანდთა, რომელნი-იგი გამოქმნეს კელოვანთა.

3. და უბე შენი ტაკუკ წახნახებულ არს, უნაკლულ არს იგი ზავებულთაგან, ხოლო მუცელი შენი—ხუავი იფქლისაჲ, გარემოცული შროშანთა ფერებითა.

4. ორნი ძუძუნი შენნი — ორნი თიკანნი, რომელნი ერთგზის იმარჩბინა ქურციკმან.

5. კისერი შენი — გოდოლ პილომსქუალისაჲ და თუალნი შენნი — ესებონისა ტბანი, ცხვრნი — ვითარცა ტაკუკნი სულნელთანი, გოდოლი ლიბანის პირისპირ დამასკისა.

6. და თავი შენი — ვითარცა-რაჲ კარმელი, ხოლო ნათხვენნი ჰგვანან პორფირისფერსა, მეფე შემკული თანწამვლელთა შორის,

7. რაბამ განჰშუენდი და რაბამ რაჲმე დასტკებენ, სატრფიალოჲ არს შუებათა შინა შენთა?

8. (V) სიმაღლე შენი მიემსგავსა ფინიქსა, ხოლო ძუძუნი შენნი — ტევანთა მისთა,

9. ვთქუ: აღვცდე მისსა, დაუპყრნე ტევანნი მისნი, ძუძუნი შენნი იყენეს ვენაჲს ტევნებრ და ცხვრთა შენთა სულნელნი მტუერ მიჰრონთა,

10. სასაჲ — ვითარცა ღვინოჲ სულნელკეთილი, მო-რაჲ-ვიდოდა ჩემდა დისწული ჩემი, ბაგე-კბილებსა კმა-ეყო სიწრფოებაჲ,

11. მიქცევაჲ ჩემი — დისწულისა ჩემისა და კუალად მისი მოქცევაჲ ჩემდა მომართ,

12. მოვედ, დისწულო ჩემო, და განვიდეთ ჩუენ აგარაკებად, ვიქციო-ლით დაბნებთა.

13. ვიმსოთ ვენაჲთა შორის ყუავილისმზრდელთა და მოვიხილოთ, უკუეთუ ყუავის იგი, აღყუავილნა თუ ბუტკოვანებაჲ მისი, უკუეთუ წითლად ყუავიან ბროწეულნი. მუნ მიგანიჭნე ტკბილად ძუძუნი ჩემნი.

14. (265r) მანდრაგორებთა * შენთა ფშუშს სულნელებაჲ და კართა ზედა ზეთა მწუერვალნი, ახალნი ძუელთა თანა დაგიმარხნე შენ, დისწულო ჩემო.

1. მუაქციე ხ. 2. კელუვანთა ხ. 13. ბუტკუევან ხ. 14. მანდრაგორებთა ხ
* ამაზე: მანდრაგორი ვაშლია, ძმანო.

1. ვინმე მოგცეს შენ წონენ[ად] ძუძუნი ტკბილნი დედისა ჩემისანი? გარე გპოვე და სურვილით ამბორს-გიყავ, არა უდებ-მყო, არცა შეურაცხ-მყო მე.

2. მოგეხვე შენ და შეგიყვანე სახედ მუცლად მიღებისა ჩუენისა და საუნჯედ დედისად. გასუ შენ სულნელთა ღვინისაგან და სინოტიე მწყურნე-ბოანთა ჩემთაჲ,

3. მარცხენე მისი ზეშთა კერძო თავისა, ხოლო მარჯუნე გარემომეხვა მე.

4. აწცა გაფუცებ, სიონისა სულნო, ძლიერებისა მიმართ აგარაკთაჲსა, აღ-თუ-სდგეთ თქუენ და აღადგინოთ ტრფიალი, ვითარცა სთნდეს მას და სათნო იყოს მისსა*.

5. (V) ვინმე არს ესე, რომელი აღიმაღლებს აღმომავალი ელვარე სპეტა-კებით, დავამტკიცოთ ჩუენ ესე დისწულსა ზედა? საგრილსა ქუეშე ვაშლ-თასა განგალუძე, მუნ ელმო შენთვს მუცლად მიღებისა შენისა, მუნ ელმო შობაჲ შენი დედასა შენსა.

6. დადევ ვითარცა ბეჭედი გულსა შენსა, და ვითარცა-რაჲ დასაბეჭდავი მკლავისა. მტკიცე არს, ვითარ სიკუდილი, სიყუარული, ფიცხელ, ვითარცა ჯოჯოხეთი. არს შური. გარემოს მისსა, გარემოს დგას კლდე მტკიცე, გარე-მოჲს მისსა კლდე ალთა ცეცხლისათაჲ.

7. წყალი მრავალი ვერ დაჰშრეტს სიყუარულსა და ვერცა წარპრღუნიან მდინარისა ღელვანი. უკუეთუ მისცეს კაცმან ცხოვრებაჲ თვისი ტრფიალება-სა, უგულუბელს-ყონ იგი,

8. მცირე არს დაჲ და არა ასხენ ძუძუნი. რაჲ უყოთ დასა მას დღესა შინა, (266r) რომელსა-იგი ითქუას რაჲ მისსა მიმართ?

9. ზღუდისზღუდენი ვეცხლით ქანდაკებულნი. და თუ კარი არს, და-ვამსჭუალნეთ მას ზედა ყოვლად სულნელნი ფიცარნი ნაძესანი,

10. მე — ზღუდე, ხოლო ძუძუნი ჩემნი — გოდოლ, მე ვარ წინაშე თუ-ალთა მისთა, ვითარცა-იგი ვერვინ მოიძიოს მშუდობაჲ,

1. ვენაჯი აქუნდა სალმონს ვეველაშონს.

12. ვენაჯი ჩემი ჩემდა წინაშე ჩემსა. ათასია ვეცხლის არს კაცი ჟამსა მისსა, ათასეულნი სოლომონს და ორასნი მცველთა, რომელნი ჰკრძაღვენ ნაყოფთა მისთა,

13. რომელი-იგი ზის მტილთა ზედა მისთა, მოყუასნი მისნი მოელიან სურვილით, მასმინე, გლოცავ, საწადელი კმაჲ შენი.

14. დისწულო ჩემო, ელოდებოდე და ემსგავსე ქურციკსა, ანუ ნაშობსა ირმისასა მწუერვალსა ზედა ღელოვანთა მათასა**.

2. მწყურნებუანთა ხ. აღ-ს-თუ-დგეთ ხ. 6 ალთაჲ ხ. 10. გოდულ ხ. 13. მუყუასნი ხ. 14. ღელ-ლუვანთა ხ.

* აშიაზე: ღმერთო, შეიწყალე ბატონიშვილი თინათინ, ყოფილი ნინო. ღმერთო, შეიწყალე* ფებრონია მონაზონი, გურული, ბიძა მისი გრიგოლ ზეგარიძე, 265r.

** მინაწერი: დიდებაჲ ღმერთსა, სრულ-მყოფელსა ყოველთასა, ამენ.

З. А. САРДЖВЕЛАДЗЕ

ВЕНСКИЙ ВАРИАНТ ГРУЗИНСКОГО ТЕКСТА
«ПЕСНИ ПЕСНЕЙ»

Резюме

Грузинская рукопись 1160 года Венской национальной библиотеки (№ 4) содержит полный текст «Песни песней». В результате сравнения Венского текста с другими вариантами этой книги автор приходит к выводу, что Венский текст самостоятельный перевод с греческого языка. Время перевода — приблизительно XI в. Интересен язык Венского текста. Он содержит лексические единицы, которые не учтены в словарях древнегрузинского языка.

К статье прилагается Венский текст «Песни песней».

ბაპარ ბიბლიოფილი

ერთი სამანტიკური უნივერსალის შესახებ

ძვ. ქართ. თუალი, მზისთუალი

თანამედროვე ქართულში სიტყვა თვალი რამდენიმე მნიშვნელობით იხმარება: 1. მხედველობის ორგანო, 2. ბორბალი, 3. ძვირფასი ქვა, 4. გამორჩეული, მშვენება, 5. რაიმე ნაგებობების ცალკეული განყოფილება, სათავსი (სამი თვალი სახლი), 6. ყულფი, რგოლი, უჯრედი ნაქსოვისა (წინდის თვალი, თვალის ამოყვანა) ¹.

ძველ ქართულში აქ დასახელებულთაგან კარგად ცნობილია პირველი სამი მნიშვნელობა, რომელთაც შეიძლება დაუშვით კიდევ სამი: „სათავე“, „წილი“ და „ბირთვი“ ანუ „ბურთი“. პირველ მნიშვნელობას საგანგებო ილუსტრაცია მაგალითებით, ვფიქრობ, არ სჭირდება, რადგან იგი საყოველთაოდ ცნობილია. დავიმოწმებთ რამდენიმე მაგალითს სხვა მნიშვნელობათა საჩვენებლად.

თუალი = ბორბალი

სიმაღლმ ურმის თუალითა მათ—წყრთა და კერძო

III მეფ. 7, 32 (0)

ვითარცა ურმის თუალი არს ნაწლევი ცოფისაჲ და ვითარცა ურმის ღერძი იქცევის ზრახვად იგი მისი

ზირ. 36,5 (0)

გყავ შენ, ვითარცა თუალი ურმისაჲ, მღეწველი დიდი, ხერხის-სახმ ეს. 41, 15 (0)

ეტლისთუალნი ეტლებისა მათისანი — ვითარცა ნიავქარნი ეს. 5, 28J

ძრვისაგან ეტლთაჲსა და ვმითა ურმისთუალითა მისთაჲთა არა მოიქცეს მამანი შვილთა ზედა

იერ. 47, 3J

როგორც ვხედავთ, ამ მნიშვნელობით თუალი, ჩვეულებრივ, იმ საგნის აღმნიშვნელ სიტყვასთან ერთად იხმარება, რომლის ნაწილსაც წარმოადგენს.

¹ სხვა მნიშვნელობანი, რომლებიც, ჩვენი აზრით, ნაკლებ დამახასიათებელია, იხ. ქველ-ში, ტ. IV, გვ. 392.

თული = ძვირფასი ქვა

... მითხოვა პატიოსნებამან მაგან შენმან, ვითარცა წერილ არს წიგნსა ამას სიტყურისა მის ფიცრისა სარჩელისამა, რომელი-იგი შემკულ იყო თ უ ა ლ ე ბ ი თ ა შემდგომითი შემდგომად.

შატბ. კრ. 128, 5

... და მან მიიღო თ უ ა ლ ი იგი ტბაზიონი და განადგა გვრგვსა თუსსა საშუვალ შუბლსა ოდენ.

შატბ. კრ. 129, 38

ამეთვსტონი თ უ ა ლ ი ყოვლადვე გარემო ვითარცა ცეცხლი აღგზებული აღატყდებინ, რომელსა შინა არს გამობრწყინებამ სპეტაკის ფერ. და არს ფერიცა მის თანა ღუნისა და საშუვალ თულსა მას უმეტეს მბრწყინვალე-ბასა გამოსცემნ.

შატბ. კრ. 136, 2—5

თული = სათავე, წიაღი²

ვერ შესაძლებელ არს ერთისა თ უ ა ლ ი ს ა წყაროვსაგან გამოდინებად ტკბილი და მწარე

Ath — 11,233 V

... უწყალობამ ეგე და უკეთურებამ შენი არა უცნაურ არს, რამეთუ რაჟამს მრავალფერითა მაგით ღონითა საფასშ იგი ვერ განპლიე, ქუეყანასა შინა დაჰმალე, ეჰა სიცოფშ ბოროტი, ვიდრემდის ქუეყანისა თ უ ა ლ თ ა შინა იყო ოქრომ, სთხრიდი და ეძიებდი, და რაჟამს გამოცხადნა და გამოვი-და მიერ, კუალად დაჰფლავ და უჩინო-ჰყოფ

(Ath. — 32,146v)

... მოწესებდეს მათათა სამე შინა ჩრდილოვსათა, ვინამ-იგი თ უ ა ლ -ი ნი მდინარისა ეფერატისანი გამოდიან

მარტ. ოს. 10, 10

წყაროვს თ უ ა ლ ი სიბრძნისა აღმოეცენა

ავ. ძ. II, 123, 13

ზოგ შემთხვევაში მსაზღვრელ-საზღვრული ისეთ მკვიდრ გამონათქვამად შერწყმულა, რომ მათი გამოცალკეება ჰირს და ატრიბუტული კომპლექსი კომპოზიტად აღიქმება. ასეთებია წყაროვსთული უკანასკნელი მაგალითისა, სადაც ეს გამონათქვამი მთლიანად წყაროს ნიშნავს, და ურმისთული, რომელიც მთლიანად ბორბლის მნიშვნელობით იხმარება.

მსაზღვრელ-საზღვრულის ამგვარ ერთცნებიან კომპოზიტად ქცევის ძალ-ზე საინტერესო შემთხვევა გვაქვს მზისთული-ს სახით. რომელიც დასტურ-დება არა მარტო ძველ წერილობით ძეგლებში, არამედ შემორჩენილია ქართლ-კახური ჩვეულებების სასიმღერო ტექსტში. ი. ჯავახიშვილის აზრით, ეს ჩვეულებანი ღრუბელთა ბატონის ღვთაების თაყვანისცემისა და მსა-ხურების ნაშთს უნდა წარმოადგენდნენ³. ამ სიმღერის ტექსტი ასე ბოლოვ-დება:

² საინტერესოა, რომ თურქული სიტყვის dz („თვალი“) ერთ-ერთი მნიშვნელობაა აგრეთვე „წყლის მიწიდან ამოსვლის ადგილი“ (იხ. Mustafa Nihat Ozön. Resimli türk dili sözlüğü. Ankara-Istanbul. 1967, გვ. 411.

³ ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი, ტ. I, თბილისი, 1979. გვ. 117.

„ღმერთო, მოგვე ცის ნამი,
აღარ გვინდა მზის თვალი,
ღმერთო, მოგვე ტალახი,
აღარ გვინდა გორახი“.

ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში **მზისთული** საკმაოდ ხშირად გვხვდება. მას ძირითადად მზის ან მზის ბირთვის (სფეროს) მნიშვნელობა აქვს. მაგალითები:

... რაჟამს დამდედნის და მოაკლდის ორთავე თულთა მისთა და დაბრ-
მის და ვერ იხილის ნათელი მზისთუალისაჲ, რაჟამე ზაკუევად იძმაცუს,
რაჟთამცა შუენიერ-იქმნა თავი თვისი: მივიდის ძიებად ზღუდისა, რომელი
აღმოსავალსა ჰმართებნ და შევდის ნაპრალსა მის ზღუდისასა, რომელი მზის
აღმოსავალსა ჰხედავენ. და გამობრწყინებასა მზისასა აღეზუნიან თულნი მის-
ნი და განჰაპუენის.

შატბ. კრ. 175,13 (მკვეცთათვის სახისა სიტყუად)

სომხ. *ასიგასწ*

... არა დაიყენა ბნელსა ამის ქუეყანისასა, არამედ ნათლად გამოჩინე-
ბულ აღვიდოდა ზეცად. და მერმეცა — აღფრინებულ, ვითარცა ვარსკულავი
დიდი გამობრწყინებულ და მზისთუალ სიმართლისა დიდებულ.

შატბ. კრ. 263,4 (თარგმანებაჲ ქებაჲ ქებათაჲ)

... და გამოჩნდეს ნიში ძისა კაცისაჲ, პატიოსანი ჭუარი განმაცხოველე-
ბელი, ზეცით და განანათლოს ყოველი ქუეყანაჲ უფროჲს მზისთუალისა
მ. სწ. 212, 13

... დიდ არს ქუეყანაჲ, მაღალ არიან ცანი, მალედ რბის მზისთუალი,
რამეთუ აქუს მას სრბაჲ კამარის მსგავსსა მას კარავსა ცისასა ...

ეზრა ზორ. 4, 34 J

ზოგჯერ **მზისთული** ნახმარია „მზის სხივის“ მნიშვნელობით. ასეთი
ფაქტები დადასტურებულია „სოლომონის სიბრძნის“ უძველეს ქართულ
თარგმანში:

რომელ-იგი ცეცხლითა ვერ განჯურდებოდა, მცირითა მზისთული-
თა დადნებოდა

სიბრძნე, 16, 27 C

წარვდეს ცხოვრებაჲ ჩუენი, ვითარცა კული ღრუბლისაჲ და ვითარცა
ნისლი განქარდეს, და წარ-რაჲ-იდევის გამოტევებითა მზისთუალისა-
ჲთა და სიცხისაგან მისისა დამძიმდის.

სიბრძნე, 2, 4

ამ მაგალითებში წარმოდგენილი **მზისთულის** ნაცვლად უფრო გვიანდელ
თარგმანში (ბაქარის ბიბლიაში) ვადასტურებთ გამონათქვამს **მზისა შარავან-
დი**, რაც ნიშნავს „მზის სხივთა გვირგვინს“. ამ ძეგლის გამომცემლის, ც. ქურ-
ციკიძის მიერ მოცემული განმარტება **მზისთულისა** მზის სხივად⁴ ხსენებულ
კონტექსტში სავსებით მართებული ჩანს. მას მხარს უჭერს ბერძნული თარ-
გმანის ჩვენება ἀκτῖναις ἡλίου („მზის სხივი“), აგრეთვე რუსული თარგმანის
СОЛНЕ-
ЧНЫЙ луч.

⁴ ძველი აღთქმის აპოკრიფების ქართული ვერსიები. ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, წინა-
სიტყვაობა და ლექსიკონი დაურთო ც. ქურციკიძემ. I, თბ., 1970, გვ. 144.

ვეიქრობთ, ინტერესს მოკლებული არ იქნება მოვიშველიოთ მზისთულის ის გაგება, რომელიც მოცემულია „სახმ ალთქუმისა“-ს ძველ თარგმანში:

ყოველთა წინაშე ჩას, რამეთუ მზისთული ცათა შინა არს და ნათელი მისი ქუეყანასა ზედა მიფენილ არს და მისგან შევალნ კართა მრავალთა სახლისათა და მრავალთა ტაძრისა სარკუმელთა შედგების. და სადაცა მივალნ, მბრწყინვალეობაჲ მისი მზე ითქუმის. დაღათუ კაცისა ნებისა ოდენ არნ და რომელთავე ნაპრალოთა შესრულ არნ, მზე დვე იწოდებინ. და მზისთული ცათა შინა არნ და არა მოაკლდის. და მრავალ მზისთულ არა ითქუმის. და წყალნი ზღუსანი მრავალ არიან და ჭამაჲი ერთილა თუ აღმოილო ზღუსაგან, წყალივე იწოდების, და თუ ათასნი ჭურჭელნი აღავსნე, იგივე იწოდების და ზღუსაგან არაჲ მოაკლდებინ. ეგრევე-სახედ ცეცხლისაგან სანთელი აღანთო და ცეცხლსა მას არაჲვე მოაკლდის. და თუ საგზებელად ილო მისგანი, იგი ეგრევე ჰვიეს. და თუ მიწაჲ ქუეყანისაგან აღილო, სახელი ვერ შეუცვალო... უკუეთუ მზისთულსა არა მოაკლდის, რაჲმს მიეფინის ქუეყანასა ზედა, უკუეთუ ესე ესრჱთ არს, უფროჲს ძლიერ არს ძალი ღმრთისაჲ.

შატბ. კრ. 313, 23—38

ამ ფრაგმენტში ერთმანეთს უპირისპირდება მზისთული და მზე. მზისთული მხოლოდ ცაზე შეიძლება იყოს და არ შეიძლება ავრიოთ მზე-სთან, რომელიც შეიძლება მიფენილ იქნეს დედამიწაზე. მზისთული არის საკუთრივ მზის ბირთვი, ხოლო მზე—მისი შუქი, მისი ნათელი, რომელიც ადამიანის ხელის გულის ოდენაც კი შეიძლება იყოს. მზე ანუ მზის ნათელი მრავალი შეიძლება იყოს, მზისთული კი მხოლოდ ერთია. ანალოგიები მოტანილია ზღვასა და წყალთან, ქუეყანასა და მიწასთან.

ამ საინტერესო მსჯელობიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ ავტორს, და განსაკუთრებით მთარგმნელს, საჭიროდ მიაჩნიათ, ბუნების მოვლენებიდან გამომდინარე, ენაში შემოიტანონ დიქტომია მზისთული — მზე, რომელთაგან პირველი ნახმარი იქნება მხოლოდ ციური მნათობის, მზის ბურთის, მზის დისკოს მნიშვნელობით, მისი ადგილ-სამყოფელი უცვლელია. ამ განმარტებიდან და ზემოთ მოტანილი მაგალითებიდან გამომდინარე თუალის ერთ-ერთ ძირითად მნიშვნელობად გვევლინება „ბურთი|ბირთვი“, „დისკო“, „მრგვალი“. ის შემთხვევა, როცა მზისთული დამოწმებულია „მზის სხივის“ მნიშვნელობით (სოლომონის სიბრძნის წიგნში) არ გამორიცხავს თუალის ამ გაგებას და დამატებით „სხივოსანი გვირგვინის“ მნიშვნელობას გვაწვდის, სხვა მნიშვნელობანი კი კარგად უთავსდებიან ერთმანეთს: 1. თული (ადამიანისა), 2. ბორბალი, 3. ძვირფასი ქვა (მოელვარე, ბრწყინვალე), 4. სათავე, საწყისი.

თუალისა და მზის ეტიმოლოგიური კავშირის დამატებით საბუთად შეიძლება გამოდგეს ირლანდიური súil „თული“, რომელიც წარმოშობით იგივეა, რაც სანსკრ. súvar „მზე“, ავესტ. hvara „მზე“, ბერძნ. (კრეტ.) *αFελιος (პესიქიოსი: ἀφέλιος), ბერძნ. (დორ.) ἀέλιος, ბერძნ. (ჰომერ.) ἥλιος „მზე“, ლათ. sol, გუთ. sauil, სლავ. slъnce⁵. ყველა აქ მოტანილ სიტყვას „მზის“ მნიშვნე-

⁵ Э. Бенвенист, Индоевропейское именное словообразование. Москва, 1955, с. 35.



ლობა აქვს, გარდა ირლანდიურისა, რომლის ფონემურად შესატყვისად „თვალს“ ნიშნავს.

თუალისა და მზის სემანტიკა შესაძლოა ერთმანეთს დაკავშირებოდა, ერთის მხრივ, „მრგვალი“-ს, „მომრგვალებული“-ს, „ბურთი“-ს, მეორე მხრივ, კი „ბრწყინვალის“, „მნათობის“ შუალობით. სწორედ ამის დადასტურება არის რუსული глас („თვალი“) სიტყვის ეტიმოლოგიური კავშირი ისეთ ინდოევროპულ სიტყვა-ფორმებთან, რომელთა ამოსავალ მნიშვნელობად მიჩნეულია „ბურთი“, „მომრგვალებული“, „გორება“ (სანსკრ. gula-ჰ „სფერო“, ლათ. galla „თხილის სახეობა“, ალბ. gogële „სფერო“, „ბურთი“ და სხვა)⁶.

ასევეა დაკავშირებული ერთმანეთთან უნგრულ szem სიტყვა-ფორმაში „თვალისა“ და „მარცვლის“ (ეტიმ. „მრგვალი“?) მნიშვნელობანი. თურქული kurs („დისკო“) სიტყვის ერთ-ერთი მნიშვნელობაა „მზე“⁷. ყურადღებას იქცევს აგრეთვე გამონათქვამი güneş kursu „მზის დისკო“⁸, რომელიც აგებულებით ქართული მზისთუალის ტიპისაა.

მეორე მხრივ, ლათინური oculus სიტყვის ძირითად მნიშვნელობათა შორის წარმოდგენილია როგორც „თვალი“, ისე — „მნათობი“⁹. (იხ. ქვემოთ).

ამგვარივე გზით ჩანს წარმოქმნილი ქართული მზისთუალი, რომელშიაც მზის სიმრგვალე, სფეროსებრი ხასიათი თუალის-ს საშუალებით არის მინიშნებული, თუმცა მზისთუალი მთლიანად უკვე მზის სინონიმია, როგორც პლანეტისა.

ქართული მზისთუალი-ს შესახებ გამოთქმულია მოსაზრება, რომლის მიხედვით იგი წარმოადგენს ძველი სომხური სიტყვის არსყასნ სიტყვასიტყვით, და ამის გამო, მცდარ თარგმანს. ნ. მარი ამის შესახებ წერს:

„თუალი-ს გამოვლენა ამ ჩვეულებრივ გამონათქვამში (იგულისხმება მზისთუალი—ბ. გ.) ახსნას პოვებს ქართული ტექსტის სომხურზე დამოკიდებულებაში. სომხურად სიტყვა მზე-ს აქვს ორი ფორმა: პირველი—areg (ან arev), მეორე—aregakn; უკანასკნელ ფორმაში akn სუფიქსია, მაგრამ სომხურშივე გვაქვს სიტყვა akn, რომელიც „თვალს“ აღნიშნავს, და ქართველმა მთარგმნელმა სიტყვა aregakn, როგორც ჩანს, მიიჩნია კომპოზიტად, შედგენილად areg-ისა („მზე“) და akn-ისაგან („თვალი“) და აქედან წარმოიქმნა თავისებური იკითხვისი „მზისთუალი სიმართლისაჲ“ ქართულ ტექსტში“¹⁰. ასეთივე აზრია გამოთქმული ნ. მარის მიერ „სახისმეტყველის“ გამოცემაში „ქება ქებათაჲს თარგმანებაზე“ მითითებით¹¹.

პრ. აჭარიანი სომხურ არსყასნ-ს განმარტავს როგორც „მზე“-ს, მოაქვს ამ სიტყვის ბრუნების პარადიგმა, შემდეგ კი წერს აგებულებისთვის შეადარე სპარსულ časmai-āfitab და არაბულ 'aynuš-šamsi სიტყვებსო (რომელთა ზუსტი თარგმანია „თვალი მზისა“). ქართული მზისთუალი მასაც სომხურიდან

⁶ J. Pokorný. Indogermanisches etymologisches Wörterbuch. I B., Bern und München, 1959, S. 357—358.

⁷ Mustafa Nihat Özön. Resimli türkdili sözlüğü Ankara-/Istanbul, 1967.

⁸ Э. М.-Э. Мустафаев и В. Т. Щербакни, Русско-турецкий словарь, Москва, 1972.

⁹ И. Х. Дворецкий, Латинско-русский словарь, Москва, 1976, с. 698.

¹⁰ Н. Марр, Ипполит, Толкование песни песней, ТРАФ, III, С.-Пб., 1901, с XVI.

¹¹ Н. Марр, Физиолог, ТРАФ, VI, С.-Пб., 1904, с. 51, 70.

თარგმნილად აქვს მიჩნეული მ. აბელიანზე და ნ. მარზე მითითებით¹². ვაჭრეველი რჩება, როგორ აიხსნება ამგვარი დასკვნის შემდეგ სპარსულ და არაბულ ფორმათა ქართულისებრი აგებულება და ისიც, თუ რატომ არ შეიძლება სპარსული ფორმა არაბულიდან ან სპარსულიდან იყოს სიტყვასიტყვით თარგმნილი და არა სომხურიდან, რომელშიაც ბოლოკიდური *սկն* თვალის სახელს კი არა, არამედ სუფიქსს წარმოადგენს.

ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ მზისთვალის მსგავსი აგებულების სიტყვა, როგორც საკუთარი სახელი, დასტურდება ფალაურში *xwarčāšm*-ის სახით. მისი მნიშვნელობაა „მზისთვალეა“, „მზისთვალა“¹³, მაგრამ თავდაპირველად, შესაძლოა ვიფიქროთ, ეს იყო დამოუკიდებელი კომპოზიტი „მზისთვალა“, რომელიც შემდეგ ადამიანს მიეწერა.

ლათინურ ენაში გამონათქვამები *stellarum oculus* (=ვარსკვლავთა, მზეთა თვალი) და *mundi oculus* (=სამყაროს თვალი) პლინიუს ცეცილიუს მეორე უფროსისა და ოვიდიუსის მიერ ნახმარია მზის მნიშვნელობით. ყურადღებას იქცევს აგრეთვე მიმართვის ფორმა *ocule mi!* „ჩემო თვალის სინათლე“ (სიტყვასიტყვით: თვალო ჩემო!)¹⁴.

ა. მეიე და ე. ვანდრიესი მითითებენ, რომ მზე და მთვარე ინდოევროპელთათვის ღვთაებებს წარმოადგენდნენ და რომ „მზე არის არსება, რომელიც ხედავს (ხაზი ჩვენია.—ბ. გ.) და ესმის, ხოლო მთვარე—თვალი ღამისა“¹⁵ (ხაზი ჩვენია — ბ. გ.). აქვე გვინდა საგანგებოდ შევჩერდეთ ჰრ. აჰარიანის მიერ მოტანილ არაბულ ფორმაზე *'aynuš-šamsi*, რომლის მნიშვნელობაა „მზის დისკო“, „მზის წრე“, „მზის ბურთი“¹⁶, ხოლო სიტყვასიტყვითი თარგმანი — „თვალი „მზისა“. აქაც, ისევე როგორც ზემოთ აღნიშნულ ირლანდიურ სიტყვა-ფორმაში, თვალი ნახმარია „მზის“, „მზის ბურთის“ მნიშვნელობით. მაგრამ თვალი-ს მეორე მნიშვნელობა სხვადასხვა ენაში, მათ შორის ძველ ქართულშიც, იყო „ბრწყინვალე, „მოელვარე“, რამაც განაპირობა ამ სიტყვის ხმარება „ძვირფასი ქვის“, „პატიოსანი თვალის“ მნიშვნელობით. ამგვარად, თვალი იყო არა მარტო ბურთისებური, მრგვალი რამ, არამედ ამასთანავე ბრწყინვალეც, მოელვარეც. ეს საშუალებას გვაძლევს თვალი-ს ეტიმოლოგიური მნიშვნელობა განვსაზღვროთ, როგორც ბრწყინვალე დისკო, მოელვარე სფერო. ამგვარი მნიშვნელობის აღდგენა ბუნებრივს ხდის თვალი-ს წარმოდგენას კომპოზიტიში *მზისთვალი* და ანალოგიური აგებულების მქონე არაბულ *'aynuš-šamsi*, ფალ. *xwarčāšm*, ახ. სპარს. *češme-aftab*, ლათ. *stellarum oculus* და სომხ. *արსიყს* გამონათქვამებში. საფიქრებელია, რომ სომხურ ფორმაშიც *սկն* ადრე თვალს აღნიშნავდა, ხოლო მოგვიანებით სუფიქსად იქნა გადააზრებული და არა პირიქით. ანალოგიური აგებულებისა ეგვიპტ. *'irt-R^c* „მზე“/თვალი რასი/¹⁷.

სხვადასხვა წარმომავლობის (ინდოევროპულ, სემიტურ და ქართულ) ენებში განსახილველი სიტყვის ერთგვარი აგებულება ფაქტიურად ანეიტრა-

¹² ჯ. მ. ს. ა. კ. ა. ნ., ლაქიხნი ირანთაჰან რაოჰანი, I, სქსანი, 1970, 310.

¹³ H. S. Nyberg, A manual of pahlavi, P. II, Glossary. Wiesbaden, 1974, p. 220.

¹⁴ И. Х. Дворецкий, Латинско-русский словарь, М., 1976. с. 698.

¹⁵ *Traité de grammaire comparée des langues classiques* par A. Meillet et J. Vendryes, 4. edition, Paris, 1968, p. 540.

¹⁶ H. Wehr, Arabisches Wörterbuch für die Schriftsprache der Gegenwart, Leipzig, 1958, S. 594.

¹⁷ ცნობა მოგვიწოდა ზურაბ კიკნაძემ, რისთვისაც მას მადლობას ვუძღვნი.



ლებს ჰიპოთეზას, თითქოს ქართული ფორმა სომხურის კალკირების შედეგად იყოს მიღებული. ცნობილია, რომ ჭანურში გვაქვს წყარ-თოლი-ლიც სიტყვასიტყვით იმეორებს წყარო¹⁸სთუალ-ს, მაგრამ მისგან დამოუკიდებლად ჩანს შექმნილი, რადგან პირველ ნაწილში დარღვეულია ბგერათმეცნიერებისა. ამასთან ერთად, არსებობს ადიღეური ფორმა ფსგნან, რომლის შინაგანი ფორმა იგივეა, რაც წყართოლისა, და ხეთური šakuni „წყარო“ (შდრ. šakuwa „თვალეები“). ამასთან დაკავშირებით ცნობილი საბჭოთა ინდოევროპეისტი ვ. ივანოვი წერს:

„ასეთი სემანტიკური დაკავშირებები, რომლებიც ტიპოლოგიური ხასიათისაა, ნაკლებ ნიშანდობლივია ენათა შორის ისტორიული კავშირების გამოვლენის მხრივ ... მაგრამ — ძალზე არსებითი იმ ტიპოლოგიური ფონის გამოსარკვევად, რომელზედაც ეს კავშირები მყარდება. ასე მაგ., იმისთვის რომ დავასკვნათ, რამდენად არის მნიშვნელოვანი ჭანური წყართოლი-სა („წყარო“ + „წყალი“ + „თვალი“) და ადიღეური ფსგნან-ს შინაგან ფორმათა შესატყვისობა ჭანურ-აფხაზურ-ადიღეური კავშირების დასადგენად, მხედველობაში უნდა ვიჭონიოთ მათი მსგავსი ისეთი აღნიშვნებიც, როგორიცაა ხეთური šakunj („წყარო“) მასთან šakuwa-ს („თვალეები“) თანაარსებობისა და ენათა მნიშვნელოვან რაოდენობაში (ინდოევროპულ, სემიტურ და სხვა) პარალელების მქონეობის პირობებში. რაც უფრო ახლოა ასეთი შესატყვისობა სემანტიკურ უნივერსალისთან, მით უფრო ნაკლებ ღირებულია ის ენათა შორის კავშირების გარკვევისათვის“¹⁸ (ხაზი ჩვენია — ბ. გ.) როგორც ავტორის სავსებით მართებული დასკვნიდან ცხადი ხდება, რთული სიტყვის (resp. კომპოზიტის) ერთგვარი აგებულება ორ ან მეტ ენაში აუცილებლად არ მოასწავებს იმას, რომ სათანადო სიტყვა ერთი ენიდან მეორეში იყოს შესული სიტყვასიტყვითი თარგმნის შედეგად.

სემანტიკური უნივერსალის კიდევ ერთი ნიმუშია ვ. ივანოვის მიერ მოტანილი სახელწოდება წაეისა, რომელიც შაოფლიოს სხვადასხვა ენებში (ბასკურში, სომხურში, კელტურში, ლათინურში, ჩინურსა და მანჯურულში) ერთნაირად არის წარმოდგენილი, როგორც „წყლის ძალი“¹⁹. ანალოგიურ განმარტებას აძლევენ წავს ჭანები, როგორც ამაზე ნ. მარმა მიუთითა (ღალიშჯოღორი „ღელის, წყლის ძალი“)²⁰. ცხადია, ჭანური გამოთქმა ღალიშჯოღორი სომხური ანალოგიური აგებულების მქონე გამონათქვამის სიტყვასიტყვითს თარგმანს არ წარმოადგენს.

მზისთუალთან დაკავშირებით ინტერესს მოკლებული არაა თვალი-ს ხმარება ისეთ გამონათქვამში, როგორიცაა ცხრათვალა მზე. ცხრათვალა ქართულ ზეპირმეტყველებასა და ლიტერატურაში არის ეპითეტი მზისა, როგორც წესი, მუდამ მასთან დაკავშირებული. ეს ცხადია, მეტაფორაა, მაგრამ ამგვარ კონტექსტში ცხრათვალა-ს ხმარებას გარკვეული საფუძველი უნდა ჰქონდეს, და ალბათ, იგივე, რაც თვალი-ს გამოვლენას მზისთუალ-ში. უაღ-

¹⁸ В. В. Иванов. О некоторых переднеазиатских параллелях к картвельским лексемам, *საენათმეცნიერო კრებული*, საქ. სსრ მეცნ. აკადემია, თბ., 1979, გვ. 128—129.
¹⁹ იქვე გვ. 127.
²⁰ Н. Я. Марр, *Грамматика чанского (лазского) языка с хрестоматией и словарем*, С.-Пб., 1910, с. 218.



რესად მნიშვნელოვანია, ჩვენი აზრით, ცხრათვალა|ცხრათვალი-ს მეგრული შესატყვისის ჩხორთოლი-ს არსებობა. ჩხორთოლი არის სოფლის სახეობა, რომელიც გალის რაიონში²¹. ქართ. ცხრათვალა: მეგრ. ჩხორთოლი ფარდობა ამ კომპოზიციის დიდ ქრონოლოგიურ სიღრმეზე უნდა მიუთითებდეს.

დაბოლოს, მზისა და თვალის კავშირის თვალსაზრისით და ქართული მზისთვალის ნასესხობის ჰიპოთეზის წინააღმდეგ ძლიერ არგუმენტს წარმოადგენს ვ. ბარდაველიძის მიერ ჩატარებული საგანგებო კვლევის შედეგები. ვ. ბარდაველიძის მიერ დადგენილია, რომ „ქართულ ეთნოგრაფიულ წყაროებში და ყოფაში მზის თვალთან შედარება-დამსგავსების მაგალითები მრავალია. ჩვენ მოგვეპოვება ტერმინი „მზის-თვალი“, რომელიც მცხუნვარე, პაპანაქება მზის მნიშვნელობითაც იხმარება და მზის ეპითეტსაც წარმოადგენს ... განსაკუთრებით საყურადღებოა მზის მნიშვნელობით გაგებული და ხმარებული სიტყვა თვალი სვანური დაფიციების ფორმულებში. ნაცვლად ქართული დაფიციებისა „შენმა მზემ“, „ჩემმა მზემ“ სვანი ხმარობს, სიტყვა-სიტყვით რომ ვთარგმნოთ: „შენმა თვალემა“, „ჩემმა თვალემა“ და სხვა, მაგრამ სვანური თერა, თერარ „თვალემა“ სვანს ამ შემთხვევაში მხოლოდ და მხოლოდ მზის, დღის მნიშვნელობით ესმის“²². მოაქვს რა თვით სვანური დაფიციების ფორმულები: მიშგუა გეზლირიშ თერალო „ჩემი შვილების მზემ (=თვალემა)“ ისგუა ლაჯმილაშ თერაჯონ „შენი ძმების მზეს“ და სხვა, მკვლევარი დასკვნის: „ეს მაგალითები არა მხოლოდ მზის თვალთან შედარება-შენაცვლების ფაქტის არსებობას ამტკიცებს, არამედ იმასაც, თუ ეს უკანასკნელი მოვლენა რამდენად ძლიერად ყოფილა ჩვენში განვითარებული. სვანური დაფიციების ფორმულებში თითქმის წაშლილა სიტყვის თერა, თერარ ძირითადი მნიშვნელობა („თვალემა“) და იგი გაგებულია როგორც მნათობი მზის (|| დღის) აღმნიშვნელი სიტყვა“²³. ყოველივე ეს, მისი აზრით, მზის დიდი კულტის არსებობას ამტკიცებს ქართველურ ტომებში.

ჩვენთვის ამჟამად უფრო მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ სვანურსა და ქართულში ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად არსებული სემანტიკური კავშირი თვალი და მზე სიტყვებს შორის კიდევ უფრო დამაჯერებელს ხდის მზისთვალის-ს ტიპის კომპოზიციის ადგილობრივი წარმომავლობის შესაძლებლობას.

დასკვნა

1. ქართული მზისთვალი გვხვდება არა მარტო წერილობით ძეგლებში, არამედ ავღრიაანობის საწინააღმდეგო ქართლ-კახურ „ლაზარობის“ საგალობელში (ივ. ჯავახიშვილი). თუ გავითვალისწინებთ ამ რიტუალის სიძველეს, მზისთვალის სომხურიდან კალკირების ჰიპოთეზას მნიშვნელოვანი დაბრკოლება ექმნება.

2. მზისთვალის მსგავსად ნაწარმოებია ქართულში სიტყვა წყაროთვალთვალი (ჭან. წყართოლი), რომლის წყაროდ რომელიმე სხვა ენის ფორმაც ვერ

²¹ ალ. ლლონტი, ტოპონიმიკური ძიებანი, 1, თბილისი, 1971, გვ. 97.
²² ვ. ბარდაველიძე, ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან (ლეთაბა ბარბარ-ბაბარ), თბილისი, 1941, გვ. 55—56.
²³ იქვე, გვ. 56—57.

შიიჩნევა, რაც იმას მოწმობს, რომ ქართულში დამოუკიდებლად შეიქმნა თხზულ სიტყვათა რიგი, რომლის მეორე კომპონენტს თუალი წარმოადგენს (შდრ. თან. ქართ. ჯოგის თვალთ).

3. ქართული მზისთვალის ანალოგიური გამონათქვამები დადასტურებულია არა მარტო სომხურში, არამედ ფალაურში, ახალ სპარსულში, არაბულსა და ლათინურშიც. ამასთანავე თვალის, მზის, ბირთვის მნიშვნელობათა ეტიმოლოგიური კავშირი სხვადასხვა ჯგუფის ენებში (ინდოევროპულში, სემიტურში, უგრო-ფინურში, თურქულსა და ქართველურში) გვაფიქრებინებს, რომ ეს, შესაძლოა, ყოფილიყო სემანტიკური რიგის უნივერსალია, რომელიც ქმნიდა საფუძველს მზისთვალის ტიპის კომპოზიტთა წარმოქმნისათვის. ეს გარემოება ავტომატურად გამორიცხავს ამ უკანასკნელის კალკირებულიობის ჰიპოთეზას.

4. მზისა და თვალის ბუნებრივ სემანტიკურ კავშირზე მიუთითებს სვანური დაფიციების ფორმლებში მზის მნიშვნელობით თვალის ხმარება (ვ. ბარდაველიძე), აგრეთვე ქართულ ზეპირსიტყვიერებაში მზის ეპითეტად ხშირად გამოყენებული ტერმინი ცხრათვალა, რომლის შესატყვისი დაცულია მეგრულში ტობონიმ ჩხორთოლი-ს სახით. ეს გარემოება აღნიშნული ფაქტის დიდ დროითს სიღრმეს მოასწავებს.

Б. К. ГИГИНЕИШВИЛИ

ОБ ОДНОЙ СЕМАНТИЧЕСКОЙ УНИВЕРСАЛИИ

Резюме

В древнегрузинском языке в значении солнца (как светила) нередко употребляется сложное слово *mzistwali* (букв.: глаз солнца). В научной литературе (Н. Я. Марр, А. Абебян, Р. Ачарян) это слово считалось калькой армянского *agegakn* «солнце», которое якобы проникло в грузинский литературным путем вследствие ошибки переводчика, усмотревшего в суффиксе *-akn* самостоятельное слово *akn* «глаз».

Это положение представляется несостоятельным ввиду следующих обстоятельств:

1. В грузинском языке представлен целый ряд сложных слов, вторым компонентом которых является *twali* «глаз»: *mzistwali* (букв.: глаз солнца), *čqarojstwali* «источник» (букв.: глаз источника), *kweqanistwali* «недра» (букв.: глаз земли), *žogistwali* «предводитель стада туров» (букв.: глаз стада). Следовательно, *mzistwali* не является в грузинском изолированным фактом, оно представляет собой определенную модель словосложения.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ეს წერილი უკვე გადაცემული იყო კრებულ „მრავალთავში“ გამოსაქვეყნებლად. როცა დაიბეჭდა გ. კლიმოვის სტატია „ძველი ქართული მზისთვალისათვის“ (Georgica. Iena-Tbilissi, 1920, s. 60—61), რომლის გაცნობა ამის გამო თავის დროზე არ მოვიხებრბოდა.



2. Слово *mzistwali* засвидетельствовано не только в древнеписьменных памятниках, но и в старинной обрядовой песне языческой эпохи, дошедшей до нас в устном виде.

3. Композит типа *mzistwali* имеется не только в армянском, но также и в пехлевийском (*xwaga-sašm*), персидском (*češme-aftab*), в арабском (*'aynuš-šamsi*), латинском (*stellarum oculus*), египетском (*'irt—Rc* «солнце» (букв.: глаз Ра). Помимо этого, этимологическая связь между значениями «глаз», «солнце», «шар», «светило» в языках разных семей (индоевропейских, семитских, угро-финских, тюркских, картвельских) дает основание предполагать, что она представляла собой явление приближающееся к семантической универсалии, создавая основу для образования композитов типа *mzistwali*. При подобном допущении вопрос о калькировании рассматриваемого слова автоматически исключается.

4. Исконная семантическая связь между «глазом» и «солнцем» в картвельских языках подтверждается, с одной стороны, сванскими формулами заклинаний (в которых в значении «солнца» употреблено слово *tegal* «глаза»), с другой же — грузинским народным эпитетом солнца — *sxgāt'wala* «девятиглазый», который имеет закономерно соответствующую мегрельскую форму — *čxor'toli* (название села, букв.: девять глаз). Это несомненно указывает на большую временную глубину рассматриваемого явления.



ძვნად სიტყვის მნიშვნელოვნისათვის

ძველ ქართულ ძეგლებში გვხვდება ძირი ძვნ. ილია აბულაძე ძვნ-ს ასე განმარტავს: ძვნ-ი შანთი, გახურებული რკინის ნაჭერი. და აქედან წარმოებულ სიტყვებს: ძვნება — მრისხანება; მძვნვარე — სასტიკი, ბობოქარი; მძვნვარება — სისასტიკე, აბობოქრება; განძვნება — განრისხება, გაწყრომა, ბრდინვა; გაფიცხება, გამწვავება; განძვნება — გაფიცხება, გამწვავება, გაჯავრება; განძვნებული — გაფიცხებული, ველური, გაცეცხლებული¹.

საბასთან ამ ძირიდან ნაწარმოები შემდეგი სიტყვებია განმარტებული: — ძვინად — მისთვის სარისხველად (7,13 ოსე); ძვინვა — ძლიერი ჯავრი; განძვინება — მვეცური გარისხება (50,34 იერ). განძვინებული — მვეცურ განრისხებული; მძვინვარე — მვეცნი მრისხანენი; მძვინვარება — მვეცური დაუპყრობელი რისხვა; მიწვინება — მვეცთავან მიტევება². ქართლის ცხოვრებაშიც არის ეს ძირი დადასტურებული და ს. ყაუხჩიშვილის მიერ ამგვარად განმარტებული: — ეძვნებათ და — აბრაზებდა და კიდევ ძვნვა: ეძვნებოდა („უმძიმდა“, შეძრწუნებული იყო)³.

მცხეთური ბიბლიის წინასწარმეტყველთა წიგნებში ჩვენც შეგვხვდა ამ ძირიდან ნაწარმოები სიტყვები. მოვიტანთ მათ კონტექსტში:

1. S ნუ ჰმეფობ, რამეთუ შენ განძვნდი აქაზისებრ, მამისა შენისა.

ძქქქ ქაყაირხეხა⁴ ჟი ვაჯრავარ ჰ მარაკხრთა ზირ ჟიქ⁴

μη βασιλεύσει, ουτι ου παροΰνη εν Αχελ ρη πατην σου⁵

думаешь ли ты быть царем, потому, что заключил себя в кедр?

იერ. 22¹⁵

2. S. განძვნდა გულისწყრომაჲ ჩემი მათ ზელა

I. განრისხნა გულისწყრომაჲ ჩემი მათ ზელა

გარკავაჲ სრთმოქჩინ ჰმ ჰ ძხრავ ზირა

ოსე 8⁵

¹ ილ. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973.

² სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, თბ. 1928.

³ ს. ყაუხჩიშვილი, ქართლის ცხოვრება, 1, თბ., 1955, გვ. 458.

⁴ სომხური ციტირებულია: — *სითიდაშაინე მათხან ჩინ ს ნარ კოაკარანოვ, ქ-ნხოქი*, 1805. S-ით აღენიშნავთ მცხეთურ ხელნაწერს, I-თი—იერუსალიმურს B-თი ბაქარის ბიბლიას, O-თი ოშკასას.

⁵ ბერძნული ციტირებულია: — *Septuaginta id est Vetus Testamentum graece iusta LXX interpretes*, edidit Alfred Rahlfs, vol. II, Stuttgart, 1952.

3. S... და განაძუნა მკსინვარებთა რისხვა მისისადათა.

...և ვაქრავიცი ხ მინჯელ რარქოქჩინ ხლიოქ

...И в негодовании гнева своего отверг царя и священника

ვოლ. იერ. 2₆

4. S და განაძუნეს ერი ჩემი არ ყოფად მერმე ნათესავად წინაშე მათსა.

...և ძიოიქორქ ხმ ვაქრავოცანხნ ჯქინსქ მქსანყამ ქაფქ ათაქჩ ნიყა:

они презирают народ мой, как будто бы он уже не был народом пред ними.

იერ. 33₂₄.

5. S. სადა განეთესენ იგინი მუნ გულის წყრომითა ჩემითა და რისხვთა ჩემითა და განაძუნებოთა დიდითა. და მოვქციენე იგინი ადგილსა ამას.

ორ ყროხეცე ყნიოა ანყრ რარქოქჩსამქ და სრომთოქჩსამქ ხმოქ და ყაამამქ მხბოა, და ვარბოცეცე ყნიოა ხ თხეჩს ქაქა:

куда я прогнал их в гневе моем, в ярости моей и великом негодовании, и возвращу их на место сне.

იერ. 32₃₇.

6. S. რამეთუ განაძუნეთ შემოქმედი

ჟანყჩ ვაქრავოცეჟ ვარარქჯ ბხრ

ибо раздражили сотворившего вас

ბარუქ. 4₇.

7. S. განაძუნდა გულის წყრომაჲ ჩემი მათ ზედა

I. განარისხნა გულისწყრომაჲ ჩემი მათ ზედა

რარქაყაა სრომთოქჩინ ხმ ხ ქსრაქ ნორა

ოსე 8₅.

ამ მოყვანილ მასალაში განძუნება-ს შეეფერება ის განმარტება, რომელიც აქეთ ილ. აბულაძეს და სულხან საბას, აგრეთვე ნაწილობრივ ს. ყაუხჩიშვილს. სომხურში ყველგან შესატყვისად არის *ვაქრანოა*, რაც გაბრაზებას, განრისხებას ნიშნავს.

ეს სიტყვა ქართლის ცხოვრებაშიც არის ნახმარი: — 8. და ტყუებად და სიკუდილად მისცნიან, და ესრეთ ისრვოდა ქუეყანა მრავალყამ, რომელი — ესე ფრიად ეძუნებოდა სულსა დავითისსა

ქართ. ცხ. 1, 349₁₈.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ს. ყაუხჩიშვილი ამ სიტყვას განმარტავს — აბრაზებდა.

9. ხოლო მეფე ლუარსაბ იყო კაცი სახიერი და ფრიად ზრუნვიდა საქართველოსათვის, და ეძუნებოდა უსჯულოთა ზედა — მოსლვისათვის და დაკნინებდა საქრისტიანოსა.

ქართ. ცხ. II, 499₂.

⁶ რუსული ციტირებულო: — Библия. Книги священного писания ветхого и нового завета, Москва, 1979.



9. S, B. ხილვა, რომელი იხილა ესაია ძემან ამოსისმან, რომელმაც
 ძვნად იუდეასა, და ძვნად იერუსალიმისა

...**ვირ ხახა ჰ ქერაჲ ჴრქათანჲ ლ ჰ ქერაჲ ბროსაღმჲ**
 ...ήν εἶδεν κατὰ τῆς Ἰουδαίας καὶ κατὰ Ἱερουσαλῆμ.

Видение Исани, сына Амосова, которое он видел о Иудее и Иерусалиме

ეს. 1₁.

10. S, B. მოვაწინებ ქუეყანასა მას ზედა ყოველნი სიტყუანი ჩემნი, რომელთა ვიტყოდე ძვნად მისსა

ხა აბიე ჰ ქერაჲ ამანაჲნ ხრქრქნ ანჲორქჲ ჳამხნაჲნ რანა ჲამ:
 იერ. 25₁₃.

11. S. ხილვა, რომელი იხილა ისაია ძემან ამოსისმან, ძვნად ბაბილონისა

ἔρασις, ἣν εἶδεν Ἠσαίας υἱὸς Ἀμας κατὰ Βαβυλῶνος
 Пророчество о Вавилоне, которое изрек Исаия

ეს. 13₁.

12. S. რაოდენი თქუენეს ძვნად შენდა იგავისა მიერ მეტყუელთა.

ἄνα, εἶπαν κατὰ σοῦ ἐν παραβόλῃ λέγοντες
აჲ ამანაჲნ ჳ ვირ მრმნჯქნ ვქქნ ათაიფ
 вот всякий, кто говорит притчами

ეზეკ. 16₄₄.

თ. ცქიტიშვილი ამ მაგალითში „ძვნად“-ს ასე განმარტავს — „რისხვით, მრისხანედ“⁷.

13. S. რამეთუ ტყუილსა იტყვ შენ ძვნად ისმაილისა.

ვი თათ ჲთხეგარ ვო ვჲამაქიქ
 ибо ты неправду говоришь об Исмаиле.

იერ. 40₁₈.

14. შენგან გამოვიდეს გულის სიტყვა ძვნად უფლისა ბოროტი

ჰ ქნ სიქ ჲორიორჲ ვთხაიანქ, ჳარიჲ ჲორიქ ჲაკაოაკოქხამარ:
 ἐκ σοῦ ἐξέλθεται λόγιμαὶς κατὰ σοῦ κηρῖου ποτηρῶ.

Из тебя произошел умысливший злое против Господа
 ნაუმ. 1₁₁.

15. S. მეფემან დაადგინა იგი ყოველსა ზედა მეფობასა მისსა, და მეწესენიცა სატრაპესნი ეძიებდეს პოვნად მიზეზსა ძვნად დანიელისსა მეფობისაგან და ყოველი მიზეზი და ცთომა ვერ პოვეს ძვნად მისსა რამეთუ სარწმუნო იყო.

J. ეძიებდეს მიზეზსა პოვნად დანიელისთვის და ყოველი მიზეზი და შეცოდება და შეურაცხება არა პოვეს მისთვის რამეთუ სარწმუნო იყო.

**ხა ჲაფაღორნ ჲაგიფე ვნა ჰ ქერაჲ ამანაჲნ არჲაკოქხან ჲარიქ-
 ჲარამათარქნ ჲ ნაქარარარქ ნაქანბქქნ ჲ სნყრქქნ აათონა-**

⁷ თ. ცქიტიშვილი, ეზეკიელის წიგნის ძველი ქართული ვერსიები, თბილისი, 1976, გვ. 385.

აღმდეგ, წინააღმდეგ მოქმედება... რუსულში: о, на, против, вопреки
თინურში: contra.

ამრიგად, თარგმანთა მიხედვით აქ გვაქვს მნიშვნელობა „შესახებ, მიმართ
ირველივე, ზე, წინააღმდეგ. კონტექსტი ჩვეულებრივ ასეთია: თქვა რაღაცის მი-
მართ, შესახებ. მაგრამ თუ ფართო კონტექსტს გავითვალისწინებთ, თქმული,
ან მოქმედება ყოველთვის საწინააღმდეგოა, უარყოფითი რაიმეს ან ვინმეს მი-
მართ. „შესახებ“ თქმული ჩვეულებრივ შეჩვენებს, წყველას, დაცემის წინა-
სწარმეტყველებას გამოხატავს. ამ მნიშვნელობას ბერძნულში, სომხურში, რუ-
სულში ჩვეულებრივ ფართო კონტექსტი გამოხატავს, წინდებული ჩვეულებრივ
ნეიტრალურია. მხოლოდ ხანდახან გვხვდება რუსულში სიტყვები «против»,
«вопреки» ლათინურში contra, რომლებიც ქართულ ძვნად-თან ყველაზე ახ-
ლოს უნდა იყოს მნიშვნელობით. ამრიგად, ვფიქრობთ, რომ ქართული ძვნად
ნიშნავს „საწინააღმდეგოდ, против. ამ აზრის სასარგებლოდ მეტყველებს ის,
რომ არსად ეს სიტყვა არ არის ნახმარი ნეიტრალური, არა უარყოფითი მიმარ-
თების გამოსახატავად. ყველა კონტექსტი, სადაც მისი ხმარება დავადასტურეთ,
იბეჭეტისადმი უარყოფით დამოკიდებულებას შეიცავს.

დგება კითხვა, როგორ უნდა გავიაზროთ ძვნ — ძირიდან ნაწარმოებ სიტ-
ყვათა მნიშვნელობების მიმართება? ძვნ-ი „შანთი, გავარდარებული რკინის
ნაჭერი“; ძვნ-ად „საწინააღმდეგოდ“; ძვნვა „ძლიერი ჯავრი, მრისხანება“
მძვნვარე „მრისხანე“.

ამ სიტყვათა ურთიერთმიმართების გარკვევაში გვეხმარება სპარსული ენის
მონაცემები, საიდანაც ჩანს ეს ძირი¹ნასესხები. მ. ანდრონიკაშვილის ცნობით,
ავესტაში გვაქვს შემდეგი სიტყვები: zaēna იარალი (დანა, შანთი და ა. შ.) zaē-
nu — აბჯარასხმული, შემართული, ავი; zaēnya — ფიცხელი, სასტიკი, ავი,
მძვნვარე, ძალი, მხეცი და სხვა. zaēnavant — წინააღმდეგობის გამწევი.

როგორც ვხედავთ, ქართულ სიტყვათა მნიშვნელობების წყება თანხვედ-
ბა სპარსულ zaēna-დან ნაწარმოებ სიტყვათა მნიშვნელობებს. აქ საქმე გვაქვს
არც თუ ისე ხშირ შემთხვევასთან, როდესაც ნასესხები სიტყვა ისეთივე პროდუქ-
ტიული აღმოჩნდება სიტყვაწარმოების თვალსაზრისით, როგორც იგი არის სა-
სესხებელ ენაში და ამ წარმოებისას მნიშვნელობათა იმავე წრის განვითარება
ხდება. როგორც ჩანს, როგორც სპარსული, ისე ქართული სიტყვებისათვის
ამოსავალია იარალის, შანთის და ა. შ. მნიშვნელობა.

Е. И. ДОЧАНШВИЛИ

К ОПР. ДЕЛЕНИЮ ЗНАЧЕНИЯ СЛОВА *zwinad*

Резюме

На основе изучения случаев употребления слова *zwinad* в книгах про-
роков Мцхетской Библии, делается заключение, что это слово имело зна-
чение «против». Хотя параллельные армянские и греческие тексты содер-
жат предлоги нейтрального значения «о, относительно, на», однако кон-
текст всегда выявляет отрицательное, противительное отношение к объ-
екту, к которому это слово относится.

მანა რაფავა

ძველი ქართული წერილობითი ცნობები ერთი სასვენი ნიშნის შესახებ

სასვენი ნიშნები, როგორც წინადადებაში გარკვეული ინტერვალის აღმნიშვნელი, ქართულ ხელნაწერებში აღრევე, V ს-დან არის დადასტურებული¹.

ხანმეტ პალიმფესტებში (V—VI სს.) სასვენ ნიშნად გამოყენებული იყო ერთი წერტილი, რომელიც მცირე შესვენებას აღნიშნავდა და ორი წერტილი, რომელიც დიდი შესვენების დასასრულს დაისმოდა. მოგვიანო ხანაში, IX ს-ში ჩნდება სამი და ოთხი წერტილი დიდი შესვენებისა და თხრობის დასასრულის აღსანიშნავად. XI ს-ში ეფრემ მცირე მათ პარალელურად „ექუსწერტილსაც“ იყენებს. ამავე დროს ხმარებაში შემოდის მძიმე და წერტილმძიმე.

სამეცნიერო ლიტერატურაში ფიქსირებულია ის წერილობითი წყაროები, რომელთაც გარკვეული ცნობები შემოუნახავთ სასვენი ნიშნების შესახებ².

ამჟამად ჩვენ ყურადღებას შევაჩერებთ ორ წერილობით წყაროზე, რომელთაც შემოუნახავთ ცნობები სასვენ ნიშნებზე. ეს წყაროები კარგად არის ცნობილი მკვლევართათვის. მათ მიერ აღნიშნულია იქ დადასტურებული სასვენი ნიშნები, მაგრამ არავის მიერ ფიქსირებული არ ყოფილა, რომ სხვა ნიშნების გვერდით იქ დასახელებულია კიდევ ერთი სასვენი ნიშანი: მოცემულია ერთწერტილის აღმნიშვნელი ტერმინები — „მცირე წერტილი“ და „ქუეშე წენტილი“. ეს წყაროებია: არსენ იყალთოელის „დოგმატიკონი“ და იოანე პეტრიწის „განმარტებანი“ პროკლეს შრომისა.

თავიდანვე უნდა შევნიშნოთ, რომ წერტილს ქართულ ხანმეტ ტექსტებში ორი ადგილმდებარეობა ჰქონდა: სტრიქონს ზემოთ და სტრიქონზე. რასაკვირველია, პოზიციური სხვადასხვაობით გაპირობებული იყო მისი სხვადასხვა ფუნქცია, მაგრამ ორწერტილთან შედარებით მას ორსავე პოზიციაში მცირე შესვენების ნიშნა ევალებოდა.

ტერმინი „ერთწერტილი“ პირველად გამოყენებულია ეფრემ მცირის მიერ. იოანე დამასკელის „წყაროჲ ცოდნისაჲს“ ეფრემისეულ თარგმანს დართული აქვს ეფრემის ორიგინალური წინასიტყვაობა, რომელშიც ავტორი მსჯელობს მის მიერ შემოღებულ პუნქტუაციურ სისტემაზე. ეფრემი სხვათა

¹ ლ. ქაჯაია, პუნქტუაცია V—XII საუკუნეების ქართულ ხელნაწერებში. საკანდიდატო დისერტაცია (ხელნაწერი), თბ., 1969.

² იქვე, გვ. 2—14.

გვერდით ასახელებს „ერთწერტილს“: „ერთწერტილი უკუე მცირედ ხსნა/ნაღ“³. ეს ის ერთწერტილია, რომელიც ადრევე გამოიყენებოდა ხელნაწერებში მცირე შესვენების აღსანიშნავად.

სწორედ ამ ერთწერტილის შესახებ შემოუნახავთ ცნობები არსენ იყალთოელს და იოანე პეტრიწს. ოღონდ ამ სასვენი ნიშნის აღსანიშნავად მათ განსხვავებული ტერმინები აქვთ გამოყენებულნი.

არსენ იყალთოელის ცნობილი კრებულის „დოგმატიკონის“ პირველი შრომა ანასტასი სინელის „წინამძღვარი“. მასზედ დართულ ანდერძში, რომელიც მთარგმნელს, არსენ იყალთოელს, ეკუთვნის, ვკითხულობთ: „ამას თანავე ვევედრებით გარდაწერის მნებებელთა მოწერად სხოლითთა და მოსწრაფებით შესწავებად ტონთა და წერტილთა და მცირე წერტილთა და ნაკლუსიტყუათა“ (S—1463, 1r).

ეს ანდერძი მითითებულია ლ. ქაჯაიას შრომაში. მის მიერ აღნიშნულია, რომ ამ ძეგლში ტერმინი „ტონი“ ნახმარია პროსოდის გაგებით, ხოლო ტერმინი „მცირე წერტილი“ გამოყენებულია სასვენი ნიშნის აღმნიშვნელად⁴, მაგრამ ახსნა, თუ, კერძოდ, რა სასვენი ნიშანს აღნიშნავდა იგი, ავტორს არ მოუცია.

სანამ უშუალოდ პუნქტუაციის ამ ნიშანს შევეხებოდეთ, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, არსენის ანდერძში დადასტურებული სხვა ტერმინიც არ დავტოვოთ ყურადღების გარეშე. ეს არის „ნაკლუსიტყუა“.

„ნაკლუსიტყუა“, როგორც ჩანს, ქარაგმას მიუთითებს. ქარაგმის აღმნიშვნელ ტერმინად ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში დადასტურებულია: „ქარაგმა“, „მაკრა“, „პატივი“. ამჟამად არ გამოვეუდგებით იმის განხილვას, რომ „მაკრასა“ და „პატივის“ ქარაგმის მნიშვნელობით გააზრება ეჭვის ქვეშ არის დაყენებული⁵. მხოლოდ იმის თქმა გვინდა, რომ ქარაგმის მნიშვნელობით ამ ძეგლში გამოყენებულია ახალი ტერმინი „ნაკლუსიტყუა“. „ნაკლუსიტყუა“ სახელწოდებაშივე შეიცავს აზრს ქარაგმისა: ხაზგასმულია ნაკლებობა სიტყვაში. შევადართო ამას შემდგომი პერიოდის გრამატიკოსთა განმარტება ქარაგმისა. საბა ორბელიანი, მაგალითად, ქარაგმას განმარტავს, როგორც „ასონაკლების ნიშანს“⁶. ანტონ ბაგრატიონის მიხედვით კი, ქარაგმა არის „შესამოკლებლად წერილისა“⁷.

რაც შეეხება არსენის ანდერძში მითითებულ „მცირე წერტილს“, იგი დაპირისპირებულია „წერტილთან“. ეს უკანასკნელი დიდი პაუზის, აზრის დამთავრების აღმნიშვნელი ნიშანი ჩანს და არა ზოგადად პუნქტუაციის აღმნიშვნელი.

როგორ არის გააზრებული „მცირე წერტილი“? როგორც სახელწოდება მიგვანიშნებს, ეს პუნქტუაციური ნიშანი უფრო მცირე შესვენებას მიუთითებს, ვიდრე „წერტილი“.

³ იოანე დამასკელი, დილექტიკა, თბ., 1976, გვ. 69.
⁴ ლ. ქაჯაია, დასახ. ნაშრომი, გვ. 189.
⁵ თ. ხაჭოშია, ტერმინი პატივის გამო ქართულ პალეოგრაფიაში, მიმოხილველი, III, თბ., 1953, გვ. 221—227.
⁶ ც. ქანკიევი, დაქარაგმების წესები ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში, საკანდ. დისერტაცია, (ხელნაწერი), თბ., 1966, გვ. 1—17.
⁷ სულხან-საბა ორბელიანი, თხზ., ტ. IV, თბ., 1966.
⁸ ელ. ბაბუნაშვილი, ანტონ პირველი და ქართული გრამატიკის საკითხები, თბ., 1970, გვ. 64.



ჩვენი აზრით „მცირე წერტილი“ იმავე შინაარსს ატარებს, რაც მცირე მცირის „ერთწერტილს“ ჰქონდა. ეს ის ნიშანია, რომელიც გამოიყენებოდა ხანმოკლე ტექსტებში ორი პოზიციით: სტრიქონზე და სტრიქონს ზემოთ. მას მცირე პაუზის გამოხატვა ევალეზობდა და უპირისპირდებოდა „ორწერტილს“. არსენის ანდერძში მოხსენებული „მცირე წერტილი“ მცირე პაუზას აღნიშნავს, ტერმინში ხაზგასმულია სწორედ შინაარსობრივი მხარე ნიშნისა, მისი ფუნქცია მცირე პაუზის აღნიშვნისა.

ერთწერტილის სხვადასხვა ადგილას დასმა, როგორც ჩანს, გარკვეულ არეულობას ქმნიდა მცირე პაუზის აღნიშვნაში. ალბათ, ამ არეულობის მოწესრიგების მიზნით XI ს. ქართულ ხელნაწერებში ჩნდება სამი, ოთხი და ექვსი წერტილი სხვადასხვა ინტერვალის ერთმანეთისაგან გასარჩევად. მცირე პაუზის აღნიშვნა ისევ ერთწერტილის ანუ არსენის „მცირე წერტილის“ ფუნქცია იყო.

მეორე წერილობითი წყარო, დაახლოებით იმავე პერიოდისა, რომელშიც იმავე ერთწერტილზე მითითება ჩანს, არის იოანე პეტრიწის „განმარტებანი“ პროკლეს შრომისა. ამ ძეგლში დადასტურებულია ახალი ტერმინი, რომელშიც, ჩვენი აზრით, აღნიშნული სასვენი ნიშნის ფუნქციონალური მხარე დაჩრდილულია და პოზიციური თავისებურება არის წინ წამოწეული.

ცნობილია, რომ „განმარტებათა“ ბოლოსიტყვაობაში იოანე პეტრიწის მიერ ჩამოთვლილია პროსოდის ნიშნები⁸. პეტრიწისეული ნიშნები პროსოდისა საგანგებოდ არის განხილული სამეცნიერო ლიტერატურაში⁹.

მკვლევარნი მიუთითებენ „ბოლოსიტყვაობაში“ დასახელებულ შემდეგ ნიშნებზე: 1) ოქსია, 2) ვარია, 3) პერისპომენი, 4) დასია, 5) ფსილი, 6) ტროფოს, 7) უფენ, 8) ვპოდიასტოლი.

იმ ხელნაწერებს, რომლებშიც პეტრიწის შრომა გვხვდება, ტექსტში ჩამოთვლილი ნიშნების პარალელურად აშიაზე მითითებული აქვთ პროსოდის 10 ნიშანი: ოქსია, ვარია, პერისპომენი, მაკრა, ვრაქია, დანია, ფსილი, აპოსტროფოს, უფენ, ვპოდიასტოლი¹⁰. აშიაზე, განსხვავებით ძირითადი ტექსტისაგან, დამატებულია 2 ნიშანი: მაკრა და ვრაქია.

თუ „ბოლოსიტყვაობის“ აღნიშნულ ადგილს მივმართავთ, ვნახავთ, რომ ჩამოთვლილ ნიშანთა გვერდით პეტრიწის მიერ დასახელებულია კიდევ 2 ნიშანი: „წენტილი“ და „ქუეშე წენტილი“, რომლებიც რატომღაც მკვლევართა ყურადღების მიღმა დარჩენილა. მოგვყავს კონტექსტი:

„მძღუარნი განიყოფვიან ანუ მ ა ხ ზ ლ ა დ, რომელ არს ოქსია; ანუ და მ ძ ი მ ე დ, რომელ არს ვარია; ანუ და გ ა რ ე მ ო მ რ თ ხ მ ე ლ ი, რომელ არს პერისპომენი; ანუ და დასია, რომელ არს წყნარად წარსავლე-ლი ს ი ტ ყ უ ს ა ე; ანუ და ფსილი, რომელი არს წული; ანუ უ კ ლ ს ა ქ ც ე ვ ე ლ ი, რომელ არს ტროფოს; ანუ თუ შ ე მ კ რ ვ ე ლ ი, რომელ არს უფენ; ანუ თუ ვპოდიასტოლი, რომელ არს ქუეშე გამომყოფი, ანუ თუ

⁸ სხვათა შორის, პროსოდის ნიშნებზე პეტრიწი თავისი შრომის წინასიტყვაობაშიც მსჯელობს, მაგრამ სამეცნიერო ლიტერატურაში ეს ფაქტი რატომღაც არ არის აღნიშნული.

⁹ ლ. ქაჯაია, დასახ. ნაშრომი, გვ. 189—190. ც. ჭანკიევი, დასახ. ნაშრომი, გვ. 4—5; ვ. გვახარია, ქართულ მუსიკალურ სისტემათა განვითარება, თბ., 1962, გვ. 54—58. ა. ურუშაძე, ერთი გასწორება, კრებული „ორიონი“, თბ., 1967, გვ. 287.

¹⁰ იოანე პეტრიწი, შრომები, ტ. II, ტფ., 1973, გვ. 221.

წენტილი, ვით ეს ხოლო ქუეშე წენტილი. აჰა, რომელი უმცირეს-
რე მიიღება ჟამსა ქუეშე წენტილი წენტილისასა¹¹.

როგორც ვხედავთ, პეტრიწის მიერ პროსოდიის ნიშნების ბოლოს და-
სახელებულია „წენტილი“ და „ქუეშე წენტილი“. „წენტილი“ პეტრიწის მი-
ხედვით უნდა ნიშნავდეს სტრიქონზე დასმულ ერთწერტილს, ხოლო „ქუ-
ეშე წენტილი“, როგორც სახელწოდება მიგვანიშნებს, სტრიქონს ქვემოთ და-
წერილ ერთწერტილს ნიშნავს. მათ შორის ის განსხვავებაა, რომ „უმცირეს-
რე მიიღებს ჟამსა ქუეშე წენტილი წენტილისასა“, ე. ი. პეტრიწის შეხედუ-
ლებით, ქუეშე წენტილი უფრო მცირე პაუზის აღნიშვნელია, ვიდრე წერტი-
ლი. ვფიქრობთ, პეტრიწმა ამ განსხვავებული ტერმინით გამოხატა ის შინა-
არსი, რაც არსენ იყალთოელის „მცირე წერტილს“ ჰქონდა.

„ქუეშე წენტილის“ მითითება, როგორც „ენის მძლუარისა“ საყურად-
ღებოა, რადგან ადგილმდებარეობის მიხედვით ერთწერტილის აღნიშვნას
პირველად აქ, პეტრიწის შრომაში, ვხვდებით. ტერმინი შედგენილია პოზი-
ციური თავისებურების გათვალისწინებით.

მოგვიანებით ამ ნიშნის პოზიციური თავისებურებით სახელდება ანტონ-
ნის გრამატიკაში ვხვდებით. ანტონი სასვენ ნიშანთა შორის ასახელებს „ქუე-
წერტილს“. ელ. ბაბუნაშვილის აზრით, ეს ტერმინი სომხურის კალკია. ანტონ-
ნი მხითარ სებასტიელის სომხური გრამატიკიდან იღებსო მას¹².

ასეთ ვითარებაში, ცხადია, საინტერესოა ამ ტერმინზე მითითება და
მისი გააზრება იოანე პეტრიწის მიერ. პეტრიწის ტერმინის „ქუეშე წენტი-
ლის“, ისევე როგორც არსენ იყალთოელის „მცირე წერტილის“ ფუნქციას
შეადგენს მცირე პაუზის აღნიშვნა.

XVIII ს. ქართულ გრამატიკებში (ანტონისა, გაიოზ რექტორისა) პუნქ-
ტუაციური ნიშნად „ქუეწერტილის“ დასახელება, მართლაც, უშუალოდ მხი-
თარ სებასტიელის გრამატიკის გავლენით ჩანს განპირობებული. მაგრამ რო-
გორც ირკვევა, ამ ნიშანს ადრევე, მხითარის გრამატიკამდე ბევრად ადრე,
იცნობდნენ და იყენებდნენ ქართველი მოღვაწენი. (ჭერჭერობით გაურკვევე-
ლია, ქართულ ხელნაწერებში რა მნიშვნელობა ჰქონდა ერთწერტილს სტრი-
ქონზე, სტრიქონს ზემოთ და სტრიქონს ქვემოთ, მაგრამ სრულიად აშკარაა,
რომ სამსავე პოზიციასი მცირე პაუზას აღნიშნავდა.

სავარაუდებელია, არსენის „მცირე წერტილის“, პეტრიწის „ქუეშე წენ-
ტილის“ არსებობა ქართულ ხელნაწერებში ბერძნულის გავლენა იყოს, ვინა-
იდან ცნობილია, რომ ბერძნულ უნციალურ ხელნაწერებში ერთი წერტილი
იხმარებოდა სხვადასხვა პოზიციასი: სტრიქონზე, სტრიქონს ზემოთ,
სტრიქონს ქვემოთ, და ადგილმდებარეობის მიხედვით სამი მნიშვნელობა
ჰქონდა¹³.

ამრიგად, ქართულ ხელნაწერებში სასვენ ნიშნად დადასტურებული
ერთწერტილი, რომელსაც სხვადასხვა პოზიციასი ჰქონდა, თეორიულ დადას-
ტურებას პოულობს ქართულ წერილობით ძეგლებში. არსენ იყალთოელის
„მცირე წერტილი“ და იოანე პეტრიწის „ქუეშე წენტილი“ აღნიშნავს იმ ერთ-
წერტილს, რომელიც ადრეული პერიოდებიდანვე დასტურდება ქართულ წე-
რილობით ძეგლებში.

¹¹ იქვე.

¹² ელ. ბაბუნაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 72.

¹³ ლ. ქაჯაია, დასახ. ნაშრომი, გვ. 227.

ДРЕВНЕГРУЗИНСКИЕ ПИСЬМЕННЫЕ СВЕДЕНИЯ ОБ ОДНОМ
ЗНАКЕ ПРЕПИНАНИЯ

Резюме

В древних грузинских памятниках содержатся сведения, интересные для истории грузинской пунктуации. В известном «Догматиконе» Арсения Икалтоели упоминается термин მცირე წერტილი (mcire certyli), буквально «малая точка», а в «Комментариях» Иоанна Петрици к «Богоа словским Элементом» Прокла подобный ему знак обозначается другим термином: ქუეშე-წენტლი (kueshe certyli), буквально «нижняя точка». Об эти термина обозначают точку, которая практически употреблялась в грузинских рукописях уже с V века и являлась малым разделительным знаком.

მანია მამაცაშვილი

რამდენიმე ტერმინის დადგენისათვის „ბრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ ტექსტში

გიორგი მერჩულეს გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების ტექსტში, იქ სადაც საუბარია გრიგოლის სასწაულთმოქმედებაზე, იკითხება შემდეგი: „ხოლო ბასილი მამაჲ, იყო რაჲ ჭაბუკი, კარაულსა მამისა გრიგოლისსა ხედვიდა. და ბოროტი მჯდომი ქედსა მისსა გამოაჯდა, რომელსა „კურთხეულ“ უწოდიან, ხოლო ძუელად ჰრქვან „სატალი“ და ბასილი მწართა მით სენითა ქუემდებარე იგუემებოდა ვითარ ოთხ დღე ოდენ. მაშინ იკითხა ნეტარმან გრიგოლ, ვითარმედ: „სადა არს ყრმაჲ ბასილი?“ და აუწყეს ძმათა სენი მისი, და მან ბრძანა წოდებაჲ. ხოლო მათ ჰრქუეს: „ვერ ძალუც მოსლვაჲ“. მაშინ არქუა მათ: „ჩემ მიერ არქუთ, ვითარმედ გიწესს შენ მამაჲ გრიგოლ“.

და ვითარცა ესმა სიტყუა წოდებისაჲ ბასილის, განძლიერდა ბრძანებითა თვისისა მოძღუარისაჲთა და მივიდა წინაშე მისსა, ხოლო მან ჰკითხა: „რაჲ გვენების?“ და მან კელითა თუსითა უჩუენა მჯდომი იგი, რამეთუ დაეპყრა ადგილი დიდი. მაშინ ნეტარმან გრიგოლ ძლიერად სცა კელითა თუსითა ადგილსა მას, სადაცა იყო მჯდომი იგი, და ჰრქუა ბასილის: „ცუდად მოგიმედგრებიეს თავი, რამეთუ არა არს ვნებაჲ შენ შორის ყოვლადგე“ და მან კელი მოიხუა ადგილსა მას და კუალიცა უჩინო იქმნა მჯდომისა ბოროტი ისაჲ“¹.

ამ ვრცელ ამონაწერში ჩვენს ყურადღებას იქცევს სამი ტერმინი: მჯდომი (კერძოდ, ბოროტი მჯდომი), კურთხეული და სატალი.

ძველი ქართული ავთოგრაფიული ლიტერატურის ძეგლების სერით დაბეჭდილ ამ წიგნში შემავალ ტექსტებს ლექსიკონი არ ახლავს, ამიტომ ვერ ხერხდება იმის დადგენა, თუ როგორ ესმით გამომცემელთ დასახელებულ ტერმინთა მნიშვნელობა.

სოლომონ ყუბანეიშვილის მიერ შედგენილ „ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათიის“ I ტომში ეს ტექსტი ასევეა დაბეჭდილი, ოღონდ სიტყვა „კურთხეული“ ქარაგმის გაუხსნელადაა მოცემული კხლ ფორმით: „ბოროტი მჯდომი ქედსა გამოაჯდა, რომელსა კხლ უწოდიან“.

¹ ძველი ქართული ავთოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი I (V—X სს.), დასაბეჭდად მოამზადეს ილ. აბულაძემ, ნ. ათანელიშვილმა, ნ. გოგუაძემ, ლ. ქაჩაიამ, ც. ქურციკიძემ, ც. ჭანკიევამ და ც. ჭლამაიამ ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბილისი, 1963, გვ. 302.



ქრესტომათიისათვის შედგენილ ლექსიკონში, რომელიც ეკუთვნის კაბაშვილს, ქარავმა კითხვის ნიშნის ქვეშ არის გახსნილი როგორც „კურთხეული“, ხოლო ზემოჩამოთვლილი ტერმინები ასეა განმარტებული: კ'ხლ — „კურთხეული“? (შდრ. „ბედნიერი“), „მუწუკი“.

მჯდომი — დიდი მუწუკი.

სატალი — დიდი ჩირქოვანი მუწუკი².

როგორც ვხედავთ, დასახელებული ტერმინები ლექსიკონში განმარტებულია კონტექსტის მიხედვით. მართალია, ტექსტი არსებითად სწორად არის გაგებული, მაგრამ თვით ტერმინთა მნიშვნელობა დაუდგენელია. არაა დასაბუთებული რატომღაც საექვო „კურთხეული“ განმარტებული უბრალო მუწუკად, მჯდომი დიდ მუწუკად, ხოლო სატალი „დიდ ჩირქოვან მუწუკად“.

„კურთხეულისა“ და „სატალის“ მნიშვნელობათა დასადგენად პირველ რიგში უნდა გაირკვეს „მჯდომის“ მნიშვნელობა.

ძველი ქართული ენის ლექსიკონში მჯდომი განმარტებულია როგორც კიბო, „კირჩხიბი“: „დედაკაცსა მას ძუძუსა აჯდა მჯდომი“ (ლიმონარი. 138,6), „ძუძუსა ჩემსა მჯდომი მაზის, რომელსა ჰრქუიან კირჩხიბი“ (ლონგ. 219)³.

ილია აბულაძის მიერ მოხმობილ კონტექსტებში მჯდომი ორივეგან გაგებულია, როგორც ავთვისებიანი სიმსივნე. მაგრამ მჯდომი უბრალო სიმსივნეების აღსანიშნავადაც იხმარება (მუწუკი, ხორცმეტი და მისთ). როგორც ერთის ისე მეორის მაგალითები უხვად მოიპოვება ძველ ქართულ სამედიცინო ხასიათის წიგნებსა და კარაბადინებში (უსწორო კარაბადინი, იადიგარ დაუდი, წიგნი საექიმოჲ, სამკურნალო წიგნი და სხვ.) როგორც ამ ძეგლებში დამოწმებული ტექსტებიდან ჩანს, მჯდომი უნდა აღნიშნავდეს ყოველნაირი სიმსივნის საზოგადო სახელს. ის არამარტო ნიშნავს ყოველგვარ სიმსივნეს, არამედ მიზეზიცაა ყოველი სიმსივნისა, როგორც ეს ნათქვამია „იადიგარ დაუდში:“ „და ესე იცოდეთ, რაცა სიმსივნე არის, ყველა მჯდომთაგან არის“⁴.

„მჯდომნი“, „მჯდომნი ავნი წურილნი“, „მრავალი მჯდომი“, მეტწილად ავთვისებიან სიმსივნეებზე მიუთითებს „უსწორო კარაბადინის“ მიხედვითაც⁵.

ვფიქრობთ, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში დამოწმებული „ბოროტი მჯდომი“ ავთვისებიანი სიმსივნე უნდა იყოს. ამიტომაც, რომ მერჩულე მას „მწარე სენად“, სახელსდებს: „ბასილი მწართათა მით სენითა ქუემღებარე იგუემგოდა“. ტექსტით „ბოროტი მჯდომი“ იწოდება „კურთხეულად“, რომელსაც ძველად ერქვა „სატალი“.

„კურთხეული“ წერილობითი ძეგლებიდან სიმსივნის აღმნიშვნელ სიტყვად, ე. წ. სამედიცინო ტერმინად მხოლოდ ზაზა ფანასკერტელის „სამკურნალო წიგნშია“ ხმარებული:

² ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, წ. I, შედგენილი სოლ. ყუბანეიშვილის მიერ, თბ., 1946, გვ. 440, 451, 456.

³ ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973, გვ. 316.

⁴ იადიგარ დაუდი, ლ. კოტეტიშვილი, მედიცინა ძველ საქართველოში, თბ., 1938, გვ. 168.

⁵ ქანანელი, უსწორო კარაბადინი, ტექსტი დამუშავა და წინასიტყვაობა დაურთო ექ. ლ. კოტეტიშვილმა, თბ., 1940, გვ. 504.

„მჯდომისათვისე კურთხეულისა — მოიღე ირმისა კუდისა ნავლელსა
გაკემო იგი ფიცარსა ზედა...“

„კურთხეულისათვის—ბერძნული ზეთი და თეთრი საკმელი და მცირე-
დენი პილილინი და ცვილი ადუღე, და გუგულისა წიგნი, იგი ატოქა, დანაყე
და თან ჩაურიე, დასდებდი, ეროგოს“ და კიდევ:

„კურთხეულისათვის—ბერძნული თივა და იგივე ევლოგია თეთრი და წი-
თელი, და პილილი ორი მარცხალი დანაყოს და კაცისა სძითა შეზილოს“...⁶

„სამკურნალო წიგნზე“ დართულ დაავადებათა საძიებელში სიტყვა
კურთხეული გატანილი არის, მაგრამ ლექსიკონში აღარ ჩანს და ბუნე-
ბრივია, არც განმარტებულია. მოხმობილ მასალაში რომ „კურთხეული“ სი-
მსივნეს აღნიშნავს, ეს სიტყვა „მჯდომისათვისე“-თიც დასტურდება. კონ-
ტექსტში აღრე ნახსენები იყო სიტყვა მჯდომი — სიმსივნე და ავტორი
ანუ ზაზა ფანასკერტელი კურთხეულის დასახელებისას მას „მჯდომის“ ბუ-
დეში ათავსებს. ამგვარად, უკვე ფორმა „მჯდომისათვისე“ თავისთავად გა-
ნმარტავს კურთხეულს, როგორც სიმსივნეს. ცხადია, რომ ზაზა ეხება იმ
სიმსივნეს, რომელსაც „კურთხეული“ ეწოდება და იქვე გვთავაზობს მის სა-
მკურნალო რეცეპტს.

გასარკვევე დაგვრჩა თუ რას უნდა ნიშნავდეს გრიგოლ ხანძთელის
ცხოვრების ტექსტში დამოწმებული სიტყვა „სატალი“. ტრადიციულად
სატალი, სატლე, სატლობა ყველა არსებულ ლექსიკონში განმარ-
ტებულია, როგორც „მუცლის ყვანა“, „მუცლის სენი“, „მუცელა“, დიზენტ-
ტერია თუ ქოლერა (იქნება ეს საბა ორბელიანის, დავით და ნიკო ჩუბინა-
შვილების, ილ. აბულაძის ძველი ქართული ენის ლექსიკონი თუ ძველ ქარ-
თულ სამწერლობო ძეგლებზე დართული ლექსიკონები).

ამ მნიშვნელობით დასტურდება სატალი და სატლობა „ქართლის
ცხოვრების“ ტექსტებშიც, ჯუანშერთან და სუმბათ დავითის ძის ისტორიაში:
„გათენებამდე მოავლინა უფალმან სარკინოზთა ზედა... ხორშაკი ბლუარისა
და გუემნა იგინი სატლითა სისხლისათა... და მოსწყუნდა სატლითა
სარკინოზთაგან ოცდათხუთმეტი ათასი, ხოლო მახვლითა სამი ათასი“⁷.

სუმბათ დავითის ძის ისტორიაში ვკითხულობთ: „ხოლო კევი შავშეთისა
უშენებელი იყო მამინ გარეშე მცირედთა სოფელთასა: რამეთუ ყამთა სპარ-
სთა უფლებისასა აოჯრდა, ოდეს იგი ყრუმან ბაღდადეგმან შემუსრნა ყო-
ველნი ციხენი და მოვლო შავშეთიცა და ლადონი და კუალად შემდგომად
მისსა სრვამან სატლობისამან მოაოჯრა შავშეთი, კლარჯეთი და მცირე-
დილა დაშთეს კაცნი ადგილ-ადგილ“⁸.

როგორც ვხედავთ, ორივეგან საუბარია ქოლერის, დიზენტერიის ეპიდე-
მიაზე „ქართლის ცხოვრების“ ტექსტებზე დართულ ლექსიკონში სატალი
და სატლობა განმარტებულია, როგორც „მუცლის სენი“, დიზენტერია.
ძველი ქართული სამედიცინო წიგნები („წიგნი საექიმო“, „უსწორო კა-
რაბადინი“ და „იადიგარ დაუდი“) არ იცნობენ ამ სიტყვას. იგი დამოწმებუ-

⁶ ზაზა ფანასკერტელი-ოციციშვილი, სამკურნალო წიგნი, კარაბადინი, ტექს-
ტი მოამზადა, გამოკვლევები, შენიშვნები, საძიებლები და ლექსიკონი დაურთო პროფ. მიხეილ შენ-
გელიამ, თბ., 1978, გვ. 782, 182, 38.

⁷ ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხ-
ჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1954, გვ. 237, 11—18.

⁸ ქართლის ცხოვრება..., ტ. I, გვ. 376, 22.

ლია მხოლოდ ზაზა ფანასკერტელის „სამკურნალო წიგნში“. ამ ძეგლზე დართულ დაავადებათა საძიებელში მითითებულია სატალის დამოწმების მარტოდენ სამი შემთხვევა: 1. „სატალი, ბუგრი და თავუის კბილი და ვნტრაფასისა ყურძენი და მღიერი, რომელ ფრჩხილთა წაყრის და სასასა ჩამოხდომა...“⁹ 2. „ანასდათ სიკუდილი სატლისა/ა/გა/ნ არს, სატალი აერთა შეშლილობისაგან არს, აერთი შეშლილი სისხლისაგან არს“¹⁰.

თუ პირველ შემთხვევაში გამოკვეთილი არაა სატალი სიტყვის ტრადიციული გაგება, მეორე მაგალითიდან აშკარად ჩანს, რომ „ანასდათ სიკუდილი სატლისაგან არს“ გულისხმობს სწორედ დიზენტერიას, მუცლის სენს. ასეც არის იგი განმარტებული ზაზას „სამკურნალო წიგნის“, როგორც პირველ¹¹, ასევე მეორე, სრულ გამოცემაზე²¹ დართულ ლექსიკონებში.

მაგრამ საქმე ისაა, რომ ზაზა ფანასკერტელის „სამკურნალო წიგნის“ 761-ე გვერდზე სატალი სხვა მნიშვნელობითაცაა დამოწმებული. აქ ლაპარაკია სატალის სამკურნალო საშუალებებზე და იკითხება შემდეგი: „ერბო ყოველი ... ერგების მჯდომთა ... ერგოს და დააღბოს სიმამრე ქედისა (ხაზგასმა ჩვენია — მ. მ.), როდეს იცხო მით და როდეს შეპრიო ზეთსა თანა ერბო ზროხათა ძუელი ერგების წყლულთა და თუ ადუღო და დაასხა სატალსა (ხაზგასმა ჩვენია — მ. მ.), ერგების მისგან რგომა საჩინო“¹³.

სატალის დამოწმების ეს შემთხვევა რატომღაც არაა მითითებული ზაზას „სამკურნალო წიგნის“ დაავადებათა საძიებლის სათანადო ადგილას და ცხადია, არც ლექსიკონში მისი განმარტებისას არის გათვალისწინებული. აშკარაა, რომ ეს კონტექსტი გამორიცხავს სიტყვა სატალის ტრადიციულ გაგებას (მუცლის სენს, მუცლით ყვანას, დიზენტერიასა და ქოლერას). ძნელია იმის წარმოდგენა, თუ როგორ უნდა „არგოს“ დიზენტერიით დაავადებულს ადუღებული ერბოს დასხმა!// ესეც რომ არ იყოს, დასხმაცნება გულისხმობს სხეულის ზედაპირზე გამოსულ დაავადებაზე (მუწუკი, ხორცმეტი, სიმსივნე და მისთ.) ჩასატარებელ ოპერაციას. ცხადია, სატალი ამ კონტექსტში მხოლოდ და მხოლოდ მჯდომს, სიმსივნეს გულისხმობს, მით უფრო, რომ მოტანილ პასაჟში მჯდომებისა და სიმსივნებისათვის სარგო სამკურნალო საშუალებებზეა საუბარი. აქედან კი გამოდის, რომ ზაზა ფანასკერტელის თხზულება იცნობს ორ სატალს. ერთია საყოველთაოდ გავრცელებული ტრადიციული მნიშვნელობა: მუცელა, მუცლის სენი, დიზენტერია და მეორე: მჯდომის, სიმსივნის აღმნიშვნელი სამედიცინო ტერმინი. სატალი უნდა უკავშირდებოდეს ჩვენთვის კარგად ცნობილ არაბულ სიტყვას: სარტანს, კიბო, კირჩხიბი, ავთისებიანი სიმსივნე. (ამ მნიშვნელობით გვხვდება იგი „წიგნში საექიმოსა“¹⁴ და „უსწორო კარაბადინში“)¹⁵. სატალის

⁹ ზაზა ფანასკერტელის დასახ. ნაშრომი, გვ. 80 2-3.

¹⁰ იქვე, გვ. 80 17-19.

¹¹ ზაზა ფანასკერტელი, სამკურნალო წიგნი (კარაბადინი) მიხილ საეკავილის რედაქციით, საქმედგამი, თბილისი, 1950.

¹² ზაზა ფანასკერტელი, „სამკურნალო წიგნი“, ... მიხ. შენგელის რედაქციით, თბილისი, 1978.

¹³ ზაზა ფანასკერტელი, სამკურნალო წიგნი, თბ., 1978, გვ. 761

¹⁴ წიგნი საექიმო, გვ. 15, 7. III, 23, III, 27.

¹⁵ უსწორო კარაბადინი, გვ. 131, 26, 382, § 5.

ხმარების ხშირი შემთხვევებია დამოწმებული ზაზას „სამკურნალო უწყვეტი“¹⁶. აქ ჩამოთვლილი სიმსივნეების ნაირსახეობათა შორის (ღუბელა, ბაშრანი, მჯდომი, ღორთელი, კურთხეული და მისთ.) დასახელებულია აგრეთვე სარტან და სარტალ ფორმები (ვფიქრობთ, აქედან ადვილად მივიღებდით სატალ ფორმას) და მხოლოდ ერთხელაა დადასტურებული სატალის ფორმით.

რაკი „ბოროტი მჯდომი“ ავთვისებიანი სიმსივნეა, ხოლო „სატალი“ როგორც თავისი წარმოშობით, ისე მნიშვნელობითაც არაბულ სარტანს (سرطان) უკავშირდება, ბუნებრივია დავასკვნათ, რომ „კურთხეულიც“ ავთვისებიან მჯდომს ნიშნავს და არა უბრალო მუწუქს, ან ხორცმეტს. ამით ერთგვარად ხაზი ესმება გრიგოლის სააწაულთმოქმედ ძალასაც (ცხადია, ავთვისებიან სიმსივნის გაქრობას უფრო დიდი ეფექტი ექნებოდა დამსწრეთა თვალში, ვიდრე უბრალო მუწუქისაგან განკურნებას).

ამრიგად, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების ტექსტში დამოწმებული სამივე ტერმინი: ბოროტი მჯდომი, კურთხეული და სატალი ქართული ენის განვითარების სხვადასხვა საფეხურზე ერთი და იმავე მნიშვნელობის მატარებელი სიტყვებია, რაც პირდაპირაა მითითებული ცხოვრების ტექსტში: „ბოროტი მჯდომი ქედსა მისსა გამოაჯდა, რომელსა „კურთხეულ“ უწოდებან, ხოლო ძუელად ჰრქუიან „სატალი“.

М. Г. МАМАЦАШВИЛИ

О ЗНАЧЕНИИ НЕКОТОРЫХ ТЕРМИНОВ В ТЕКСТЕ «ЖИТИЯ ГРИГОРИЯ ХАНДЗТЕЛИ»

Резюме

В статье рассмотрены некоторые термины, засвидетельствованные в тексте «Жития Григория Хандзтели», и установлены их значения. На основании анализа привлеченного в работе материала автор заключает, что термины: *boroti mjdomi*, *kurtxeuli* и *satali* (ბოროტი მჯდომი, კურთხეული, სატალი) на различных этапах развития грузинского языка имели одно и то же значение, а именно обозначали: злокачественную опухоль, рак; из них первые два термина (*mjdomi* и *kurtxeuli*) грузинского происхождения, тогда как третий (*satali*) является производным из арабского слова *سرطان* (*sarṭan*)-рак.

¹⁶ ზ ა ზ ა ფ ა ნ ა ს კ ე რ ტ ე ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 659^ა, 741^ა, 761^ა.

ლალი ჯღამაია

მეორე ბალოზის საკითხი X საუკუნის ქართულ ჰიმნოგრაფიულ კანონში*

უკანასკნელი დროის გამოკვლევებმა¹ ქართული ჰიმნოგრაფიის ისტორიის საკითხების შესახებ აშკარა გახადეს, რომ ბიზანტიური ჰიმნოგრაფიისა და მუსიკის ისტორიის სრულად წარმოდგენა შეუძლებელია ქართული ჰიმნოგრაფიული მასალის გათვალისწინების გარეშე.

ქართულმა ნათარგმნმა ჰიმნოგრაფიამ, რომელიც უძველესი IX—X საუკუნეების ხელნაწერებითაა წარმოდგენილი, შემოგვინახა ბიზანტიური ლიტურგიკულ-ჰიმნოგრაფიული ძეგლების ადრეული თარგმანები. სწორედ ამიტომ ქართული თარგმანები გვეხმარებიან ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის მთელი რიგი ბუნდოვანი საკითხების შესწავლაში.² ერთი ასეთი საკითხია ჰიმნოგრაფიული კანონის კომპოზიციიდან მეორე ბალოზის „მოიხილესას“ ამოღება თუ ამოვარდნა.

ამ პოლემიკურ საკითხთან დაკავშირებული ყოველი ახალი ფაქტი, რომელიც ქართულ ჰიმნოგრაფიულ თარგმანებში ვლინდება, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, რადგან ამგვარი ფაქტების თავმოყრა საშუალებას მისცემს მკვლევარს ზოგადი, შესაძლებელია, გადამჭრელი დასკვნის გამოტა-

* წაითხულება მოხსენებად საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის X VII სამეცნიერო სესიაზე 1975 წლის მაისში.

¹ ძლისპირნი, გამოსცა და გამოკვლევა დაურთო ელ. მეტრეველმა, 1971.

² ბერძნული ჰიმნოგრაფიული კანონის II ბალოზის შესახებ იხ.: I. B. Pitra, Hymnographie de l'église grecque, Rome, 1867; W. Christ et M. Paranikas, Anthologia graeca carminum christianorum, Lipsiae, 1871; Богослужбные каноны, пер. Е. Ловягина, СПб., 1875; И. Вознесенский, О церковном пении православной греко-российской церкви, Рига, 1890; W. Weyh, Die Akrostichis in der byzantinischen Kanonesdichtung, Byzantinische Zeitschrift, Leipzig, 1908; А. П.-К р а м е ш в, Δεσφεται ὀδοὶ ἀσματικῶν κανόνων ΒΒ, СПб. 1906 (XII); H.-G. Beck, Kirche und theologische Literatur im byzantinische Reich, München, 1959; E. Wellesz, History of Byzantine Music and Hymnography, Oxford, 1961; L. Bernhard, Der Ausfall der 2 Ode im Byzantinische Neunodenkanon, Heuresis. Testchrift für Andreas Rohrer, Salzburg, 1969.

1975 წლის ივნისში, თბილისში, საკავშირო კონფერენციაზე „ანტიკური, ბიზანტიური და ადგილობრივი ტრადიციები აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ქვეყნებში“ ლ. კვიციანიშვილმა წაითხა მოხსენება «Вопрос о второй песни гимнографического канона», რომელიც გამოქვეყნდა — იხ. მაცე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1975, № 1. წერილში მოცემულია ბერძნული ჰიმნოგრაფიული კანონიდან II ოდის ამოღების საკითხის შესახებ მკვლევართა განსხვავებული თვალსაზრისები. აქვე ავტორი IX—X საუკუნის ქართულ ჰიმნოგრაფიულ კრებულებში მეორე ბალოზისთან დაკავშირებულ ზოგად სურათს იძლევა.

ხისაჲ. ვფიქრობთ, მეორე გალობის ამოღებისა თუ აღდგენის საკითხის კვლე-
ვა, უპირველესად, ტექსტოლოგიურ საფუძველს უნდა ემყარებოდეს. <sup>არქივში
განხილულია</sup>
წინამდებარე ნაშრომში განხილულია მიქაელ მოდრეკილის იადგარში
წარმოდგენილი იოვანე მტბევიარის ჰიმნოგრაფიულ კანონებში მეორე გალო-
ბის არსებობის ფაქტი.

მიქაელ მოდრეკილის X ს. საგალობელთა კრებულში, იადგარში (ხელნა-
წერ. ინსტ. S 425) თავმოყრილია ნათარგმნი თუ ორიგინალური საგალობლე-
ბი, რომლებიც, როგორც კრებულის შემდგენელი მიქაელ მოდრეკილი გად-
მოგვცემს იადგარს დართულ ანდერძებში, ქართულ ენაზე შემონახულა მის
დრომდე. მიქაელმა თავის კრებულში წარმოადგინა ორიგინალური ავტორიან-
ნი საგალობლებიც, რითაც ქართულ მწერლობას შემოუნახა ისტორიულ-ლი-
ტერატურული ხასიათის ფასდაუღებელი ცნობები ქართველ ჰიმნოგრაფთა
შესახებ. იოვანე მინჩხი, იოვანე მტბევიარი, კურდანაჲ, ეზრა, სტეფანე სანა-
ნოასძე ჰყონდიდელი, იოვანე ქონქოზისძე, თვით მიქაელი — ეს არის პლე-
ადა ქართველი ჰიმნოგრაფებისა, რომელთა თარგმნილი თუ ორიგინალური
შემოქმედება ერთი მძლავრი ნაკადია მეთაე საუკუნის ქართული ჰიმნოგრა-
ფიისა და რომელიც აისახა მიქაელ მოდრეკილის კრებულში.

ამ ავტორთაგან კრებულში ყველაზე უხვად იოვანე მტბევიარია წარმო-
დგენილი. მას ეკუთვნის 13 ჰიმნოგრაფიული კანონი და ერთი სტიქარონი.

მიქაელის კრებულში თავმოყრილ ყველა ავტორიან საგალობელთა მი-
მართ დგება საკითხი: ამ საგალობელთაგან რომელია ორიგინალური და რო-
მელი თარგმნილი. ეს ეხება, რა თქმა უნდა, იოვანე მტბევიარსაც.

ამ საკითხის შესწავლა კი მოითხოვს შემდეგის გარკვევას: მიქაელის
კრებულში შეტანილი ქართველი ჰიმნოგრაფებისა და, კერძოდ, იოვანე მტბე-
ვიარის საგალობლები დასტურდება თუ არა მიქაელის წინამორბედ საბა-
წმიდურ-სინურ იადგარებში (Sin. 1, 14, 18, 34, 64, 65), ერთი მხრივ, და,
მეორე მხრივ, რა სახითაა ეს მასალა წარმოდგენილი მიქაელის შემდეგდრო-
ინდელ გიორგი მთაწმიდელის „თუნში“.

ამ თვალსაზრისით იოვანე მტბევიარის ჰიმნოგრაფიული მასალის შეჭე-
რებამ X ს. საბაწმიდურ-სინური წარმომავლობის იადგარებში შესულ
ჰიმნოგრაფიულ მასალასთან საინტერესო სურათი აჩვენა³ და, რაც მთავარია,
სხვაგვარად წარმოაჩინა ჰიმნოგრაფიული კანონის მეორე გალობის „მოი-
ხილესას“ საკითხი მიქაელ მოდრეკილის იადგარის დონეზე.

ჰიმნოგრაფიული კანონი, დიდი ფორმის საგალობელი, ცხრა ნაწილისა-
გან შედგება. თითოეული ნაწილის, გალობის (ბერძნ. ოდა), სახელწოდებად
ქართულში ბიბლიური ჰიმნების დასაწყისებია გამოყენებული. ბერძნულ-
სლავურ ჰიმნოგრაფიულ კანონში კი გალობები ნუმერაციითაა აღნიშნული.

უძველეს ქართულ იადგარში (ხელნაწ. ინსტ. H 2123), რომელიც პალეს-
ტინაში X საუკუნემდე იყო გავრცელებული, ჰიმნოგრაფიული კანონი სრუ-
ლი სახითაა წარმოდგენილი. ეს იადგარი, რომლის თავდაპირველი პლასტი
თარგმნილია არა უგვიანეს VI—VII საუკუნეებისა, ასახავს ბერძნულ-ქართუ-
ლი ლიტურგიკული პრაქტიკის ადრეულ ეტაპს⁴.

³ საგულისხმოა პაპადოპულო-კერამევის აზრი იმის შესახებ, რომ ყოველი მეორე გალობის
დოჩენა „ეს არის მნიშვნელოვანი მოვლენა ფილოლოგიური თვალსაზრისით“ (პაპადოპულო
ერამევი, დასახ. შრ., გვ. 484).

⁴ ლ. ჯღამაია, იოვანე მტბევიარის საგალობლები, 1968 (ხელნაწერი).

⁵ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, სინური კოლექცია, I, 1978, გვ. 10; უძველესი
იადგარი, 1980, გვ. 688.

VIII ს. გამოჩენილი ბიზანტიელი ჰიმნოგრაფების იოვანე დამასკელისა და კოზმა იერუსალიმელის IX—X სს. ქართულ თარგმანებში კი მეორე ვალოზა უკვე აღარ ჩანს. X—XI სს. ქართული ხელნაწერების მიხედვით⁶ ცემულ „ძლისპირნი“ იოვანესა და კოზმასეულ ძლისპირთა აკოლუთიება მეორე ვალოზა „მოიხილესა“ არა აქვთ.

X საუკუნის ქართული ჰიმნოგრაფიული კრებულების ე. წ. დიდი იადგარების ჰიმნოგრაფიული კანონი (ზოგიერთი გამონაკლისის გარდა) რვა ვალოზისაგან შედგება. ეს იმას ნიშნავს, რომ საგალობლის კომპოზიციაში არ შედის მეორე ვალოზა „მოიხილესა“. „მოიხილესა“ არ ჩანს ამ დროის არც ბერძნულ საგალობელში⁷.

X ს. ქართული იადგარები (Sin. 1,14, 34, 59, 64, 65) ბერძნულის სურათს ასახავენ. სხვაგვარად არც არის მოსალოდნელი. მაგრამ უკვე მეთაე საუკუნის ბოლოს მიქაელ მოდრეკილის ცნობილ იადგარში ჰიმნოგრაფიულ კანონთა დიდი ნაწილი მეორე ვალოზითაა წარმოდგენილი. მიქაელი იადგარს და რთულ ანდერძებში პირდაპირ აცხადებს, რომ მან მოიძია და თავის კრებულში თავი მოუყარა ქართულ ენაზე არსებულ ყველა საგალობელს. „... მე, ... მიქაელ მოდრეკილმან, ვილუაწე და უზეშთაეს უძლურისა ძალისა ჩემისა შრომაჲ ვაჩუენე და შეეკრიბენ საგალობელნი ესე წმიდისა აღდგომისანი, რომელნი ვპონენ ენითა ქართველთაჲთა მეხურნი ბერძულნი და ქართულნი, სრულნი ყოვლითა განგებითა წესისაებრ საეკლესიოჲსა: უფალო ღალადყავითა, ოხითა, მოიხილითა და აქებდითითა, ძლიერად და სიწმიდით და სიმართლით, სისწორითა კილოჲსაჲთა და უცთომელობითა ნიშნისაჲთა“ (ხელნაწ. ინსტ. S 425, 262v).

მეორე ანდერძში მიქაელი წერს: „შეეკრიბენ ძლისპირნი ესე ყოვლით კერძოვე... სრულნი ყოვლითა განგებითა და დაეწერენ წმიდასა ამას წიგნსა, ყოვლითა განმარტებითა და ქეშმარტებითა ...“ (S 425, 24r).

მაშასადამე, მიქაელ მოდრეკილის ცნობა, რომ მან თავის კრებულში თავი მოუყარა „ყოვლითა განგებითა წესისაებრ საეკლესიოჲთა“ სრულყოფილ საგალობლებს, ვრცელდება არა მარტო კრებულში შემავალ აღდგომის ციკლის საგალობლებზე, არამედ იადგარში შესულ ყველა ჰიმნოგრაფიულ კანონზე. მართალია, მიქაელის იადგარმა ჩვენამდე ნაკლებად მოაღწია, მაგრამ ზემოთქმულის დასტური სწორედ ისაა, რომ მიქაელის იადგარს წინ დართულ „ძლისპირნისა და ღმრთისმშობლისანის“ ციკლში შესულია მეორე ვალოზის „მოიხილესას“ ძლისპირები.

მაშასადამე, მიქაელის კრებული იმ მხრივ, რომ მასში შემავალი ჰიმნოგრაფიული კანონის (კანონთა დიდი ნაწილის) კომპოზიციაში შედის მეორე ვალოზა, უპირისპირდება მის წინადროინდელ დიდ იადგარებს, სადაც „მოიხილესა“ (ზოგიერთი გამონაკლისის გარდა) არ ჩანს.

⁶ ძლისპირნი, ორი ძველი რედაქცია X—XI ს. ხელნაწერების მიხედვით, გამოსცა ე. მეტრეველმა, 1971.

⁷ E. Wellez, დასახ. შრ., გვ. 198. ჩვენამდე არ არის მოღწეული ადრეული IX—X საუკუნეების ბერძნული ჰიმნოგრაფიული ხელნაწერები და ამდენად, შემოწმების შესაძლებლობა არა გვაქვს. ერთი ცხადია, XI საუკუნით დათარიღებული ბერძნული თვენს თავბოლონაკულ ნუსხაში, რომელიც შეიცავს მარტისა და აპრილის მასალას, მეორე ვალოზა არ დასტურდება და ჰიმნოგრაფიულ კანონში ვალოზების თანმიმდევრობა ასეთია: ოდა I, ოდა III, ოდა IV და ა. შ. (ხელნაწ. ინსტ. Ph. 536).

აქედან გამომდინარე, ერთ მხარეზე დგას მიქაელის კრებული, მეორეზე კი მიქაელის წინადროინდელი იადგარები და ამავე დროის ბერძნულ საგალობელთა ვითარება.

მიქაელ მოდრეკილის იადგარში 21 დეკემბერს ქრისტეშობის წინა დღესასწაულისა და მამათმთავართა საგალობელია. მეათე საუკუნის იადგარებთან და გიორგი მთაწმიდელის რედაქციის „თუნენებთან“ შეჯერებამ წარმოაჩინა ამ საგალობლის სამი თარგმანი: ერთი იოვანე მტბევეარისა⁸, რომელიც მიქაელ მოდრეკილის იადგარშია შესული, მეორე—მიქაელის წინადროინდელ სინურ კრებულებში (ხელნაწერ. ინსტ. Sin. 1, 13v; Sin. 64, 2v) დადასტურებული და მესამე — გიორგი მთაწმიდელის დეკემბრის „თუნენში“ (ხელნაწ. ინსტ. S 4999, გვ. 270) შესული.

სწორედ გიორგი მთაწმიდელის „თუნენა“ წარმოაჩინა საგალობლის ბერძენი ავტორი — იოსებ.

ამ თარგმანებიდან სინური ყველაზე ახლო დგას ბერძნულთან: სინური წარმოადგენს აკროსტიქულ თარგმნას, რაც სწორედ ბერძნული დედნიდან მომდინარეობს⁹. აკროსტიქზე ავით ხელნაწერშია მითითებული. „უგალობდითსასთან“ ქართული ტრანსკრიპციით იკითხება: „ფერონ აკროსტიხონ“ (აკროსტიქს მოაქვს) ე. ი. აკროსტიქი ქმნის წინადადებას: „მამადმთავარნი წადიერნი ზილვად დღესა ამას“. აკროსტიქული წინადადების თითოეული ასო კანონის გალობათა ცალკეული სტროფის დასაწყისია. ამდენად, სინურ თარგმანში გვაქვს ბერძნულიდან მომდინარე და მთელს მეათე საუკუნის ქართულ ჰიმნოგრაფიაში საკმაოდ გავრცელებული ფორმა — ე. წ. სტროფული აკროსტიქის ნიმუში.

სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთგზისაა აღნიშნული, რომ აკროსტიქის თარგმნა დიდ სიმწელებთან იყო დაკავშირებული. ჯერ ერთი, თარგმნისას არ უნდა დარღვეულიყო საგალობლის მეტრი. პირველად უნდა თარგმნილიყო აკროსტიქული ფრაზა, შემდეგ კი აკროსტიქული ფრაზის თითოეული ასოს მიხედვით უნდა აგებულიყო გალობის თითოეული ტაეპი¹⁰.

ასეთ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, იჩრდილებოდა შინაარსი. სწორედ ამიტომ გიორგი მთაწმიდელს ზედმეტად მიაჩნდა ამგვარი წმინდა ფორმალური სამკაულებით გატაცება და ცდილობდა, სადაც შესაძლებელი იყო, აკროსტიქისათვის თავი აერიდებინა¹¹. ამ შემთხვევაში ზემოხსენებული საგალობელი, რომელიც ბერძნულის მსგავსად სინურ იადგარში აკროსტიქითაა გადმოღებული, გიორგი მთაწმიდელმა აკროსტიქის გარეშე თარგმნა.

იოვანე მტბევეარის თარგმანიც, სინური იადგარისა და, ამდენად, ბერძნული დედნისაგან განსხვავებით, აკროსტიქის გარეშეა შესრულებული. სამივე თარგმანის ტექსტობრივმა შედარებამ აჩვენა, რომ გიორგისეული თარგმანი სი-

⁸ მტბევეარის საგალობელი გამოცემულია. იხ. პ. ინგოროყვა, ძველქართული სასულიერო პოეზია, წიგნი I, ტექსტები VIII—X სს. 1913, გვ. 48.

⁹ ბერძნული დედანი ვერ მოიძებნა, მაგრამ სწორედ სინური აკროსტიქული თარგმანის მიხედვით შეიძლება ბერძნულის შესახებ მსჯელობა.

¹⁰ W. W e y h, დასახ. შრომა, გვ. 25.

¹¹ ე. მეტრეველი, ქართული ორიგინალური ჰიმნოგრაფიის ისტორიისათვის XI საუკუნეში, პუშკინის სახ. თბილისის სახელმწიფო პედინსტიტუტის შრომები, IX, 1952; ლ. ჯღაძია, იოანე დამასკელის შობის აკროსტიქული საგალობლის გიორგი მთაწმიდლისეული თარგმანი, შოთა რუსთაველი, ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი (საიუბილეო კრებული), 1966.

ნურ იადგართან დგას. იოვანე მტბევარის თარგმანი კი უფრო გადამუშავებული, თავისუფალი თარგმანის შთაბეჭდილებას ტოვებს. მაგრამ განსაკუთრებით იპყრობს ყურადღებას ის გარემოება, რომ იოვანე მტბევარის თარგმანი, განსხვავებით სინურისა და გიორგი მთაწმიდელისეული თარგმანებისაგან, შეიცავს მეორე ვალობას — „მოიხილესა“.

ანალოგიური სურათია მიქაელ მოდრეკილის კრებულში შესული იოვანე მტბევარის სახელით წარწერილი 23 დეკემბრის ქრისტეშობის წინა დღესასწაულის საგალობელთანაც.

აქაც საგალობლის შეჯერებამ მიქაელის წინადროინდელ საბაწმიდურ-სინური წარმომავლობის იადგარებთან (ხელნაწ. ინსტ. Sin. I, 14, 34, 59, 64, 65) და გიორგი მთაწმიდელის რედაქციის „თუნეთან“ წარმოაჩინა ქრისტეშობის წინა დღესასწაულის კანონის სამი თარგმანი: ერთი სინური (Sin, I, 19r), მეორე — მიქაელ მოდრეკილის კრებულში შესული იოვანე მტბევარისეული თარგმანი (39r) და მესამე—XI საუკუნისა, გიორგი მთაწმიდელის თარგმანი (ხელნაწ. ინსტ. S 4999, გვ. 389).

სამივე თარგმანი ბერძნულიდან მომდინარე ერთი და იმავე ძლისპირებითაა გამართული. როგორც გაირკვა, ეს ძლისპირები იოვანე დამასკელს ეკუთვნის და შესულია ქართულ ძლისპირთა უძველეს ფენაში¹². ძლისპირები ერთნაირია, მაგრამ განსხვავებულია თარგმანები.

საილუსტრაციოდ მოგვაქვს ქრისტეშობის წინა დღესასწაულის ჰიმნოგრაფიული კანონის 1 ვალობის „უგალობდითსა“ სამივე თარგმანი.

სინური (Sin 1)	მიქაელ მოდრეკილი (S 425)	გიორგი მთაწმიდელი (S 4999)
<p>უგალობდითსა ბ გ ი. უკუ- ლევალად. სულმცირისა ღრუბლისაგან ნათელი ჩუენ მზმ გამოგვბრწყინდების, რომლისა ბრწყინვალეობა განანათლებს დაბნელებულთა და მიზიარებს დღეს ღმრთე- ბისა დიდებასა.</p>	<p>უგალობდითსა ბ გ ი. უკუ- ლევალად. ღრუბლისაგან სულმცირისა ვიხილეთ ჩუენ ნათელი მსხდომარეთა სიყდი- ლისა აჩრდილთა, მზედ იგი სიმართლისაჲ ქრისტმ, მიმყვანებელი ნათელსა უკუდა- ვებისასა.</p>	<p>უგალობდითსა ბ გ ი. უკუ- ლევალად. ღრუბლისაგან ქალწულებრივისა დიდი მზე აღმოგვბრწყინდა ჩუენ, მყოფთა წყუდიადისათა იესუ განმანათლებელი, ამას უგალობდეთ მის მიერ გა- ნათლებულნი.</p>
<p>აღესრულნეს დღეს კმანი იგი საღმრთონი, რომელნი საშინელსა ქრისტეს მოსლვასა იტყოდეს დღეს: ესერა მოახლებულ არს განკორციელებად ჩუენთვის ქალ- წულისაგან.</p>	<p>აღესრულნეს წინასწარმეტ- ყუელთა კმანი, რომელთა ქადაგებდეს შობისა შენისათვის; ენმანუელ რაჟამს, ქალწულმან გმვა შენ პირველსაუყუნეთა ღმერთი კორ- ცითა.</p>	<p>საღმრთონი იგი წინასწარმეტყუელთა კმანი აღესრულებთან დღეს. რომელ ნიაუწყებდეს საშინელსა ქრისტეს მოსლვასა, რამეთუ მოახლებულ არს შო- ბად ქალწულისაგან.</p>
<p>მოწოდებაჲ წარმართთაჲ, მთა- ვარი იგი მშვილობისა მოიწვეის, მომსრველი მტერთა ჩუენთაჲ, მივეგებოდით მას სურვილითა ბეთლემს შობილსა ცხორებად სულთა ჩუენითაჲს.</p>	<p>მოწოდებაჲ წარმართთაჲ მო- იწია დღეს და ცუარი მშვდობისა ღრუბელ- მან სულმცირემან სოფელსა ასხურა ქალწულმან და ძლევისა ვალობითა ღმერთსა გვაგალობდა.</p>	<p>წარმართთაჲ მთავარი იგი მშვდობსაჲ, მომსრველად ბრძოლისა მოიწვეის, ვისწრაფთ მიგებებად მისა, რომელი იშვების ბეთლემს შინა ცხორებად ჩუენდა.</p>

¹² ძლისპირნი, გვ. 14 6.

<p>უმანკოსა სამეუფოსა ტრედ-სა შენ, უბიწოსა ქალწულსა, შორის დიდებულთა ღირსსა, ვითარცა მშობელსა ღირსსა სარწმუნოებით გნატრით, ღმრთივეამორჩეულო.</p>	<p>უმანკოსა სამეუფოსა მას ტრედსა, უბიწოსა ქალწულსა ცათა უზეშთაესა, შორის დელათა კურთხეულსა ვითარცა მშობელსა ღმრთი- სასა ყოველნი ვჰნატრიდეთ.</p>	<p>უბიწოსა ტრედსა მეუფისასა, წმიდასა უმანკოსა და შეუენიერსა შორის დელათა გნატრით, სანატრე- ლო, ვითარცა მშობელსა ყოველ- თა მაცხოვრისასა.</p>
--	---	---

ტექსტობრივმა შეჯერებამ გვიჩვენა, რომ, ზემოგანხილული საგალობლის მსგავსად, ამ შემთხვევაშიც ერთისა და იმავე ბერძნული დედნის სამი მეტრ-ნაკლებად განსხვავებული თარგმანი გვაქვს¹³. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ იოვანე მტბევარის თარგმანში, სინურისა და გიორგი მთაწმიდელის თარგმნებისაგან განსხვავებით, კანონი შეიცავს მეორე გალობას.

ამრიგად, მიქაელ მოდრეკილის საგალობელთა კრებულში შესული იოვანე მტბევარის სახელით წარწერილი ორი საგალობლის სამ-სამი თარგმანი დაიძებნა: ერთი თვით მტბევარისა, მეორე — სინური და მესამე — „თუენში“ შესული. სავარაუდოა, თვით გიორგი მთაწმიდელის თარგმნილი. უკვე ეს ფაქტი აშკარად მიუთითებს იმაზე, რომ მიქაელის კრებულში შესული ეს ორი საგალობელი თარგმნილია ბერძნულიდან იოვანე მტბევარის მიერ. აღნიშნული საგალობლები რომ თარგმნილია, ამაზე უფრო აშკარად მეტყველებს ის გარემოებაც, რომ სინური თარგმანი აკროსტიქულია, რაც ბერძნულიდან მომდინარეობს, ხოლო გიორგი მთაწმიდელის „თუენში“ ერთ მათგანთან (21 დეკემბრის მამამთავართა კანონთან) საგალობლის ბერძენი ავტორი, იოსებია მითითებული.

ბუნებრივია, ისმის კითხვა: საიდან გაჩნდა იოვანე მტბევარის თარგმანში, სინურისა და გიორგი მთაწმიდელის თარგმანებისაგან განსხვავებით, მეორე გალობა „მოიხილესა“?

იოვანე მტბევარის თარგმანში „მოიხილესა“ რომ ბერძნული დედნიდან მომდინარეობდეს, მაშინ ეს გალობა სინურ თარგმანს აუცილებლად ექნებოდა. მაგრამ სინური თარგმანის აკროსტიქულ წინადადებაში „მოიხილესა“ ვერ ჩაჯდება: სინურში სტროფული აკროსტიქი მთელს გამართულ წინადადებას ქმნის. მეორე მხრივ, ექვს გარეშეა, „მოიხილესა“ არც იმ ბერძნულ დედანს ჰქონია, რომლითაც გიორგი მთაწმიდელი სარგებლობდა და რომლის მიხედვით მთაწმიდელმა ავტორი, იოსებ, წარმოაჩინა. წინააღმდეგ შემთხვევაში გიორგი მთაწმიდელი, რომელიც დიდ ანგარიშს უწევდა ბერძნულ დედანს და რომელმაც დედანთან სიახლოვის მიზნით თვით ექვთიმე მთაწმიდელის მიერ „სამ-სამამ“ დასდებული თარგმნილ საგალობლებს (თითოეულ გალობას) ბერძნულისავე მიხედვით მეოთხე სტროფი დაუმატა¹⁴, ამ

¹³ მიქაელ მოდრეკილის კრებულში იოვანე მტბევარის თარგმანს ასეთი წარწერა აქვს: „იოვანე მტბევარ ეპისკოპოსისა მოკაზმულნი“. ტერმინ „მოკაზმულის“ შესახებ იხ. პ. ინგოროვი, თხზ., კრ., ტ. III, 1965, გვ. 137; ლ. ჯღამაია, ჰიმნოგრაფიული ტერმინის „მოკაზმულის“ გაგებისათვის, ხელნაწ. ინსტ-ის XIV სამეცნიერო სესიის თეზისები, 1972.

¹⁴ იხ. ლ. ჯღამაია, გიორგი მთაწმიდელის „თუენის“ უცნობი ანდერძი, ხელნაწ. ინსტ. V სამეცნიერო სესიის თეზისები, 1963; მისივე, XI ს. ქართული ჰიმნოგრაფიის ისტორიიდან (გიორგი მთაწმიდელის „თუენი“), საკანდ. დისერტ. (ხელნაწერი), 1967.

შემთხვევაშიც ბერძნულიდან მომდინარე ჰიმნოგრაფიულ კანონს მეორე გა-
ლობას „მოიხილესას“ არ დააკლბდა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე ლოგიკურია ვივარაუდოთ: იოვანე მტბე-
ვარმა მის მიერ ბერძნულიდან თარგმნილ საგალობლებს თვით ხომ არ დაუ-
მატა, შეუქმნა მეორე გალობა „მოიხილესა“? ამდენად, მიქაელ მოდრეკილის
იადგარის დონეზე მეორე გალობასთან დაკავშირებით დგება რიგი საინტერე-
სო საკითხებისა, რომელთა გადაწყვეტა კვლევის დღევანდელ ეტაპზე შეუძ-
ლებელია.

მიქაელ მოდრეკილმა, განსხვავებით მეათე საუკუნის საბაწმიდურ-სი-
ნური იადგარებისაგან, კრებულში შემავალ საგალობელთა დიდი ნაწილი
(იადგარს დართული მისსავე ანდერძების მიხედვით) მეორე გალობით წარ-
მოადგინა. როგორც თვით გადმოგვცემს, მან მოიძია ქართულ ენაზე არსებუ-
ლი ყველა საგალობელი, ბერძნული და ქართული, სრული „მოიხილეთი“,
„უფალო ღაღატყავით...“ და ასე შეიტანა თავის კრებულში.

მაგრამ მიქაელის კრებულში შეტანილი ყველა „მოიხილესა“ ორიგინა-
ლურია თუ არა? მიქაელმა ხომ მოიძია და შეკრიბა ქართულ ენაზე არსებუ-
ლი ყველა საგალობელი? მიქაელისათვის ბერძნული დედნის არსებობა თით-
ქოს გამორიცხებულია იმიტომ, რომ ჯერ ერთი, მიქაელი, როგორც საგალო-
ბელთა მთარგმნელი, არ არის ცნობილი, მეორეც, მიქაელს არ შეეძლო ხელთ
ჰქონოდა „მოიხილეთათი“ შევსებული ბერძნული „დედა“, ვინაიდან X ს-ში
ასეთი ბერძნული დედნის არსებობა საეჭვოა¹⁵.

ზემოთ რამდენჯერმე აღინიშნა, რომ X ს. სინურ იადგარებში კანტი-კუნტად
შემონახულია „მოიხილესა“. ასეთია X ს. იადგარი Sin. 65, სადაც „მოიხილე-
სას“ ხმარების ხუთი შემთხვევაა დადასტურებული. მიქაელისთვის შეიძლება
თუ არა ყოფილიყო ერთ-ერთი წყარო ეს იადგარი? საესებით შესაძლებელია,
ვინაიდან მან მოიძია ქართულ ენაზე შემონახული ყველა საგალობელი და, ბუ-
ნებრივია, მისთვის საჭირო მასალა მს პირველ რიგში მის წინაღობინდელ ან
თანამედროვე ლიტურგიკულ-ჰიმნოგრაფულ ძეგლებში უნდა დაეძებნა. მაგრამ
ამ იადგარისა (Sin. 65) და მიქაელის კრებულის მასალის შეჯერებამ სხვა სურა-
თი გამოავლინა. მიქაელის იადგარი ნაკლებია და ამდენად, სინური იადგარის
ხუთი ნიმუშიდან ოთხი „მოიხილესას“ საკითხი ნაკლებობის გამო გაურკვე-
ველია. სინურის (Sin. 65) მეხუთე კანონი კი, რომელიც 10 ოქტომბერს გრიგოლ
პართეველს ეძღვნება, მიქაელთანაც დადასტურდა, მაგრამ დადასტურდა „მოი-
ხილესას“ გარეშე. გრიგოლ პართეველის საგალობელთან ორი თარგმანის
(სინურისა და მიქაელის კრებულისა) არსებობა გამორიცხებულია, რადგან ორივე
კრებულის ტექსტი აბსოლუტური სიზუსტით ემთხვევა ერთმანეთს, გარდა იმი-
სა, რომ სინურის მეორე გალობა მიქაელთან არ არის. ეს ფაქტი უცნაურად გამო-
იყურება იმ ფონზე, რომ მიქაელმა მოიძია და იადგარში თავი მოუყარა საგალობ-
ლებს, „...სრულს ყოვლითა განგებითა, წესისაებრ საეკლესიოთა“; მაგრამ

¹⁵ მიქაელის კრებულს სამი პირის მიერაა გადაწერილი: ანონიმის, მიქაელის და ექვთიმეს მიერ
ანგარიშგასაწევეია ის გარემოება, რომ მტბევარის ორივე საგალობელი მიქაელის გადაწერილ ნაწილ
შია (მიქაელმა კრებულის უდიდესი ნაწილი გადაწერა).

ხომ არ მოწმობს იმას, რომ Sin 65-ს ჰქონია ბერძნული დედანი მეორე გალობით/ და ამდენად, Sin 65-მა ამ ხუთი ნიმუშით შემოგვინახა ჩვენამდე მოუღწევად დანაშაუ- რძნული ჰიმნოგრაფიული ხელნაწერების ვითარება?¹⁶... აქედან გამომდინარე, ხომ არ შეიძლება მიქაელ მოდრეკილის იადგარში შესული იოვანე მტბევარის ზემოვანხილული საგალობლებისათვისაც სინურისაგან (Sin. 1) განსხვავებუ- ლი ბერძნული დედანი ვივარაუდოთ?...

Л. К. ДЖГАМАИА

ВОПРОС ВТОРОЙ ОДЫ В ГРУЗИНСКОМ ГИМНОГРАФИЧЕСКОМ КАНОНЕ X ВЕКА

В статье рассмотрены переводы двух песнопений известного грузинского гимнографа X века Иованэ Мтбевари. На основании изучения гимнографических сборников X—XI веков, нам удалось выявить еще два перевода этих же песнопений: в синайской рукописи — Sin. I и перевод Георгия Святогорца, в канонах которых отсутствует вторая ода. Помимо этого синайский перевод имеет еще и завершённый акростих, восходящий непосредственно к греческому подлиннику. Переводы Иованэ Мтбевари ценны тем, что в отличие от указанных двух переводов (синайского и святогорского) они имеют вторую оду. В связи с этим возникает вопрос об источнике второй оды в переводах Иованэ Мтбевари.

¹⁶ Sin. 65-სთვის წყაროდ უძველესი იადგარი გამოიციხულია იმიტაც, რომ უძველეს იადგარში გრიგოლ პართეველის ხსენება არ არის.

ლელა ხაჩიძე

იოანე მინჩხის უცნობი საგალობელი

სინური კოლექციის უძველესი ქართული მარხვანები — Sin. 5 და Sin. 75 კრებულები საინტერესო მასალას იძლევა X ს. ცნობილი ქართველი პოეტის — იოანე მინჩხის შემოქმედების შესასწავლად. Sin. 5 და Sin. 75 კრებულები ერთი რედაქციისაა. ისინი გადაწერილია XI ს-ში და ასახავენ ერთგვარ გარდამავალ საფეხურს მარხვანის ფორმირებაში, სადაც ერთმანეთის გვერდით თანაარსებობს უძველესი-პალესტინური და კონსტანტინოპოლური ტრადიცია¹. Sin. 5 და Sin. 75 კრებულები ამჯერად ჩვენთვის საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ მათ ერთ-ერთ ძირითად ფენას წარმოადგენს იოანე მინჩხის საგალობლები.

Sin. 5-ის ერთ-ერთი „კონსტანტინოპოლური ელემენტია“ მოსამზადებელი კვირიაკეების მასალა² (Sin. 75-ს ეს ნაწილი აკლია), რომელსაც Sin. 5-ში ერთვის ერთგვარი „შესავალი“ მთელი მომდევნო პოეტური მასალისა, რომლის ავტორებად დასახელებული არიან ელია პატრიარქი, სტეფანე საბაწმიდელი, თეოდორე სტუდიელი და იოანე მინჩხა:

„დასდებელნი წმიდათა მარხვათანი კვირიაკეთა თქუმულნი არიან ელია პატრიარქისა იმ-შელისანი, სხუანი თქუმულნი წმიდისა სტეფანე მონაზონისა საბაწმიდელისა, იოვანე დამასკელისა დისწულისანი, სხუანი თქუმულნი წმიდისა მამისა ჩუენისა თეოდორე ასტუდელისანი, სხუად თ-ო-ლ-ტყვე-აქ-ბღთა თქუმულნია ნეტარისა მინჩხისა ქართველისანი“³.

როგორც Sin. 5-ის ბერძნულ-სლავურ მარხვანებთან შეპირისპირებამ ცხადყო, აქ ჩამოთვლილ ავტორთა სია არ არის სრული — Sin. 5 შეიცავს გაცილებით მეტ ბიზანტიელ ჰიმნოგრაფთა თხზულებებს⁴.

ამ პირობებში, იოანე მინჩხის მოხსენიება საყოველთაოდ ცნობილ ავტორთა გვერდით, რა თქმა უნდა, არაა შემთხვევითი. იოანე მინჩხი აქ მოიხსენიება, როგორც მცირე ფორმის საგალობელთა — უფალო ღალატყავისა და აქებდით-სას ავტორი. მართლაც, Sin. 5 და Sin. 75 კრებულებში მინჩხი, ძირითადად, სწორედ ასეთი სახის პოეტური მასალითაა წარმოდგენილი. ამ კრებულებში მინჩხი ავტორია 13 უფ. ღალატყავის, 7 აქებდითსას, 6 სტიქარონის და 5 აღვივ-

¹ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა; სინური კოლექცია, II, თბ., 1979, გვ. 5—6.

² როგორც ცნობილია, მოსამზადებელი კვირიაკეები კონსტანტინოპოლურ ნიადავზე იქნა აღმოცენებული და იერუსალიმური პრაქტიკა მათ არ იცნობს: იხ. Карабинов И., Постная триодь, С.-Петербург, 1910, с. 22—25.

³ Sin. 5, 28v (ვსარგებლობთ ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული ფოტოპირით).

⁴ შედარებისათვის გამოვიყენეთ: Триодион каганыхихон, Rom, 1879; Триодь постная, М., 1975.

სენითის—სულ 31 მცირე ფორმის საგალობლისა. მათი უმრავლესობა იდენტურ/რია Sin 5-სა და Sin 75-ში. ამ საგალობელთა ნაწილი გამოქვეყნებულია ივერაძის⁵ ჯავახიშვილის მიერ⁶. ეს არ არის მინჩხის კრიტიკული გამოცემა და ასეთად არც იყო გამიზნული. აქ გამოქვეყნებული ტექსტები მითითვს შემდგომ დადგენას, საგალობელთა რიტმული სახის ჩვენებას, მინჩხის ტექსტის გამოყოფას „სხუანებისაგან“ და ა. შ. გარდა ამისა, სინური კოლექციის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობის II ნაკვეთში მითითებულია მთელი რიგი მინჩხის გამოქვეყნებული ჰიმნებისა. ორიოდგე გამოჩაკლისის გარდა, აქ მითითებულია Sin. 5-სა და Sin. 75-ში შესული მინჩხის თითქმის ყველა საგალობელი⁷. მინჩხის თხზულებების ნაწილი გამოქვეყნებული აქვს პ. ინგოროყვასა⁷.

პ. ინგოროყვა სინური კოლექციის ქართული მარხვანებიდან ასახელებს და მინჩხისეულად მიიჩნევს 18 საგალობელს⁸, აქედან 15 Sin 5-სა და Sin 75-ში მართლაც მინჩხის სახელითაა წარწერილი, 3 კი (თ, ივ)⁹ და ძლისპ. „ჟამნი ჩემნი“¹⁰ მინჩხს არ ეკუთვნის. „თხზულებათა“ III ტომში (აგრეთვე „გიორგი მერჩულე-ში“) პ. ინგოროყვა სინური კოლექციის ქართული მარხვანებიდან ნაწილობრივ აქვეყნებს მინჩხის რამდენიმე საგალობელს¹¹. აქვე მას გამოქმული აქვს ზოგიერთი ვარაუდი იოანე მინჩხისა და მისი შემოქმედების შესახებ. იოანე მინჩხის ჰიმნოგრაფიული მემკვიდრეობის მეცნიერულ-კრიტიკული გამოცემა ჯერჯერობით არ მოგვეპოვება. და მაინც, არსებული მასალების მიხედვით, იგი წარმოგვიდგება, როგორც თვალსაჩინო ქართველი ჰიმნოგრაფი, რომლის ადგილი X ს-ის ქართულ ლიტურგიკულ პოეზიაში შემდგომ კვლევასა და დაზუსტებას მოითხოვს.

მინჩხის საგალობლებზე ჩვენი მუშაობისას აღმოჩნდა მისი ერთი აქამდე უცნობი საგალობელი, რომელიც არაა მითითებული არც პ. ინგოროყვასა და ივ. ჯავახიშვილის მიერ და არც სინურ ხელნაწერთა აღწერილობის II ნაკვეთში.

საგალობელი დადებულია დიდმარხვის პირველ ხუთშაბათს, მწუხარზე. მისი რაობის გათვალისწინება შეუძლებელია ამ დღის პოეტური მასალის სტრუქტურული ანალიზის გარეშე.

დიდმარხვის პირველი ხუთშაბათის მასალა სინას მთაზე დაცული ქართული იადგარებიდან¹² ასახულია მხოლოდ Sin. 59 და Sin 64 კრებულებში¹³. ამ კრებულების დასდებელთა უმრავლესობა იდენტურია¹⁴. მათში წარმოდგენილ დიდმარხვის პირველი ხუთშაბათის საერთო მასალასთან თანხედრას ამჟღავ-

⁵ სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, თბ., 1947, გვ. 145—165.

⁶ იქვე, ნაკვ. II, 8—27, 45—58.

⁷ ძველ ქართული სასულიერო პოეზია, წიგნი I, ტექსტები, VIII—X სს. ტფ., 1913, გვ. 11—38, 361.

თხზულებათა კრებული, ტ. III, თბ., 1965, გვ. 148—153, 392—393, იხ. აგრ. გიორგი მერჩულე, თბ., 1954, გვ. 686—691, 083—084.

⁸ თხზულებათა კრებული, ტ. III, გვ. 148—153. აგრ. გიორგი მერჩულე, გვ. 686—691.

⁹ იქვე, გვ. 153, აგრ. გიორგი მერჩულე, გვ. 691.

¹⁰ იქვე, გვ. 152, აგრ. გიორგი მერჩულე, გვ. 690.

¹¹ იქვე, გვ. 148—153. აგრ. გიორგი მერჩულე, გვ. 686—691.

¹² ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, სინური კოლექცია, I, თბ., 1978.

¹³ Sin. 59, 79v. Sin. 64, 94v (ვსარგებლობთ ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული ფოტოკოპიებით).

¹⁴ სინურ ხელნაწერთა აღწერილობა, I, გვ. 207.

ნებს Sin. 5 და Sin 75 კრებულების ერთი ფენი. Sin. 5 და Sin. 75 კრებულებში წარმოდგენილი დიდმარხვის პირველი ხუთშაბათის II ფენს წარმოადგენს ბერძნულ-სლავურ მარხვანებში იოსებ მგალობლის სახელით წარწერილი სამფსალმუნია¹⁵ (ო^ო მესმასა, აკურთხედითსა, აღიდებდითსა). ეს უკანასკნელი Sin. 5 და Sin. 75 კრებულებში I ადგილზეა წარმოდგენილი, ხოლო იადგარის თანხვედრი სამსავალობელი კი მას მოსდევს „სხუანი“-ს სახით. უნდა აღინიშნოს, რომ როგორც იადგარების, ისე იოსების ტექსტი სრული სახითაა შესული Sin 5 და Sin 75 კრებულებში. იადგარებთან შედარებით, განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ იადგარის აქებდითსა Sin 5 და Sin. 75-ში აღვივსენითადაა შესული და დამატებული აქვს ძლისპირი „რეამს მოწყალე“, რაც Sin. 59 და Sin. 64 კრებულებში არ ჩანს. აღსანიშნავია, რომ იადგარის შესაბამის მასალაში აღვივსენითი საერთოდ არ გვხვდება. ამას გარდა, Sin. 5-ის და Sin 75-ის რედაქტორს იადგარიდან უცვლელად გადმოუტანია ო^ო მესმასა და ბოლოში ღმრთისმშობლისა დაუმატებია. სამფსალმუნის შემდეგ, ამავე რედაქტორს დაურთავს აქებდითსა, რომლის წარმომავლობა ჯერჯერობით გაურკვეველია.

Sin. 5-სა და Sin 75-ში იადგარებისა და ბერძნული მარხვანის ფენთან ერთად, დიდმარხვის პირველი ხუთშაბათის პოეტური მასალის მესამე მნიშვნელოვან ელემენტს ქმნის იოანე მინჩხის საგალობლები. პირველი ხუთშაბათის მწუხრი Sin. 5-სა და Sin. 75-ში წარმოდგენილია უფ. ლალატყავითა და სტიქარონით. ამ უკანასკნელს Sin. 5-ში ავტორი სათაურშივე აქვს მითითებული: „სტიქარონი ჳ^ა ა გ^ი. მინჩხნი.—ვისხნეთ ჩუენ ცათა შინა“¹⁶. რაც შეეხება უფ. ლალატყავას, აქ უფრო საინტერესო ვითარებაა. საგალობელი შედგება 5 ტროპარისაგან და Sin. 5-ში III ტროპარის გასწვრივ აშიაზე მიწერილია „მინჩხნი“, IV-ს გასწვრივ კი „მოვედით. ვადიდებდეთ სამოთხესა“. Sin. 59 და Sin 64 კრებულებთან¹⁷ მისმა შედარებამ გამოავლინა, რომ საგალობლის პირველი 2 სტროფი ძლისპირითურთ „მოგიცემიეს ღმერთო“, წარმოადგენს იადგარიდან გადმოსულ მასალას, კერძოდ, დიდმარხვის პირველი ხუთშაბათის უფ. ლალატყავას მთლიანად. 2 სტროფის შემდეგ კი, Sin. 5-ის და Sin 75-ის რედაქტორს დაურთავს ახალი საგალობელი, რომელსაც Sin 5-ში აშიაზე მიწერილი აქვს „მინჩხნი“. საგალობელი რიტმულად სავსებით შეესაბამება იადგარის! ძლისპირს „მოგიცემიეს ღმერთო“ და ბოლოს დართული უნდა ჰქონოდა იადგარისავე ღმრთისმშობლისა — „მოვედით, ვადიდებდეთ სამოთხესა“, რომელიც ადგილის უქონლობის გამო, Sin. 5-ის გადამწერს აშიაზე მიუწერია. მისი ტექსტი დაიძებნა Sin. 5-ზე დართულ სტიქარონების ძლისპირთა კრებულში¹⁸. ამ კრებულის სპეციფიკას წარმოადგენს ის, რომ ძლისპირები უმრავლეს შემთხვევაში წარმოდგენილია მხოლოდ დასაწყისებით, ხოლო ღმრთისმშობლისანი — სრული ტექსტებით. იგივე ძლისპირი და ღმრთისმშობლისანი სრული სახით დაცულია სხვაგანაც, მაგ. A—85-ში¹⁹.

¹⁵ Трипѣдионъ каѳарихизѣн, გვ. 181—183. Триодъ постная, с. 117—118. Sin. 5 და Sin. 75 ხელნაწერებში ეს ფენი სახელწაუწერელია.

¹⁶ Sin. 5, 69r. აგრეთვე სინურ ხელნაწ. აღწ. II, გვ. 11.

¹⁷ როგორც აღვნიშნეთ, სინას მთაზე დაცული ქართული იადგარებიდან დიდმარხვის I ხუთშაბათის პოეტური მასალა მხოლოდ მათშია ასახული.

¹⁸ Sin. 5, 3v.

¹⁹ A-85-ის ფოტოპირი, გვ. 82.



ამრიგად, Sin. 5 და Sin 75 კრებულების პირველი ხუთშაბათის პუბლიკაციის მასალის გათვალისწინებით, მათი რედაქტორის მიერ შესრულებული მასალები საკმაოდ საინტერესო და შრომატევადი ჩანს. იგი იყენებს როგორც წინააღმდეგობის პალესტინური იადგარების, ისე მისი თანამედროვე ბერძნული მარხანების ჩვენებას; გარკვეული წესრიგი შეაქვს იადგარისეულ მასალაში (იხ. ზემოთ); მწუხრის საგალობლებში კი იყენებს მინჩხის სტიქარონს და უფ. ლალატყავის იადგარისეულ ფენს ავსებს იადგარისეული ძლისპირის საზომითვე დაწერილი ახალი მასალით, იყენებს იადგარისეულ ღმრთისმშობლისანს, უთითებს დანართი 3 სტროფის ავტორს (მინჩხს)²⁰. ეს მიზანდასახული მთლიანობა და სიზუსტე (ავტორის მოუხსენებლობა გაცილებით ხშირია Sin. 5 და Sin. 75 კრებულებში და სხვათა შორის, უფრო მნიშვნელოვან კომპონენტებში — კანონებსა და სამფსალმუნებშიც), რომელიც ძალზე ახლო ნაცნობობას ამჟღავნებს იოანე მინჩხის შემოქმედებასთან, ვფიქრობთ, მხარს უჭერს Sin. 5 და Sin. 75 კრებულების პროტოტიპში მინჩხის შესაძლო მონაწილეობას.

შინაარსობრივად, მინჩხის საგალობელში დომინირებს მოსეს მოტივი. მარხვის პერიოდში მოსეს, ისევე როგორც ელიასა და ქრისტეს ხშირი ხსენება, რა თქმა უნდა, მოულოდნელი არ არის. მაგრამ თუ 843 წ. საეკლესიო კრების შედეგებს გავითვალისწინებთ, რომელმაც დიდმარხვის I კურიაკეს წინასწარმეტყველთა ხსენება დააკანონა და უპირველეს ყოვლისა მოსეს, აარონის და სამოელის ხსენება გახადა საგალობელო²¹, შესაძლებელია, მინჩხის ჩამატება ამითაც იყოს მოტივირებული. საყურადღებოა ის გარემოება, რომ ზემოთ აღწერილის ანალოგიური შემთხვევები Sin. 5-ში სხვაგანაც დასტურდება; კერძოდ — დიდმარხვის მეხუთე სამშაბათის უფ. ლალატყავისაში და მეხუთე ოთხშაბათის აქედითისაში. აქაც, ორივე შემთხვევაში, საგალობლების იადგარისეული ფენი შევსებულია იადგარისეული ძლისპირის საზომითვე დაწერილი მინჩხის სტროფებით და გამოყენებულია იადგარისეული ღმრთისმშობლისა; Sin. 75-ში კი დასახელებული საგალობლები მხოლოდ იადგარისეული მასალითაა მოცემული.

წარმოვადგენთ დიდმარხვის პირველი ხუთშაბათის ოთხ ლალატყავისას Sin. 5 (A), Sin. 75 (B), Sin. 59 (C) და Sin. 64 (D) კრებულების მიხედვით; აგრეთვე შესაბამის ძლისპირსა და ღმრთისმშობლისას სრული სახით:

პირველსა ხუთშაბათსა მწუხრი Sin. 5, 68v

უფალო ლალატყავსა კჳაა დ

(ძლისპ.) მოგიცემიეს, ღმერთო,

[სასწაულად მოშიშთა შენთა

ჭუარი შენი უძლეველი,

რომლითა

განაქარვე მთავრობაჲ ბნელისა მის და კელმწიფებაჲ

და აღმომიყვანენ ჩუენ, სახიერ,

პირველსავე მას ნეტარებასა,

5

10

²⁰ Sin. 75-ში ეს მითითება არა გვაქვს.

²¹ Patmos Codex 266. იხ. Wellesz E., A History of Byzantine Music and Hymnography, Oxford, 1961, p. 134.

1 პირველსა] ყველიერის CD. 2. კჳაა—CD. 3. მოგიცემიეს ღმერთო—B.

ამისთვის
შენისა ღმრთეებისა განგებულებასა ვადიდებთ,
იესუ, ყოვლად ძლიერო
და მკსნელო სულთა ჩუენთაო.]*

- 5 გამოგვბრწყინდა ჩუენ დღეს
მკურნალად სულთა ჩუენთა მარხვამ,
მცხინვარე ელვარებითა,
ესერა
მოწევნულ არს ჟამი სინანულისა და ცხორებისა,
10 განვაგდოთ ჩუენ ყოველი ბოროტი
და სიმდაბლით სინანული აღვიღოთ,
რამთა
სივრცე მარხვისამ განვლოთ უცოდველად და უგალობდეთ
იესუს, ყოვლად ძლიერსა და
15 მკსნელსა სულთა ჩუენთასა.

- მოვედით, მორწმუნენო,
მეძიებელნო ზეცისა მათ
საუკუნეთა კეთილთა,
მოვიქცეთ
20 ჩუენ ბოროტთაგან საქმეთა და შევცვალნეთ კეთილად
და სათნოებითა ღირსად
მწინკული ცოდვისამ განვიშოროთ ჩუენ,
მოვიგოთ
მარხვამ უბიწოამ და უღალადებდეთ
25 იესუს, ყოვლად ძლიერსა
და მკსნელსა სულთა ჩუენთასა.

მინჩხნი

- რაჟამს აღვიდა მოსე
მთასა ზედა სინასა პირველად
წარდგომად წინაშე ღმრთისა,
30 ილოცვიდა
და იმარხვიდა ორმეოც დღე და ორმეოც ღამე
და მეყსეულად იხილა
უხილავი იგი დიდება ღმრთისამ
და განბრწყინდა
35 პირი მისი ჭეშმარიტად მსგავსად ანგელოსისა,

9. სინანულისა და ცხორებისამ სინანულისამ. ესე არს დღე ცხორებისამ CD. 10. ჩუენ-
გან A. განვაგდოთ... ბოროტი განვაგდოთ უკეთურებამ CD. 11. სინანული აღვიღოთ შევი-
მოსოთ-სინანული CD. 13. სივრცემ B, სივრცემ D. და+ მარადის CD. [14. იესუს ... ჩუენთა-
სა] იესუს მხოლოდ შობილსა. რომელსა აქუს დიდი წყალობამ CD. 17. ზეცისა მათ ზეცისა-
თა CD. 20. ჩუენ — CD. შევიცვალნეთ CD. 21. სათნოებამთა B. ღირსად — CD. [22. მწი-
კული B. ჩუენ — CD. 24. და+ გალობით CD. 25. ყოვლად ძლიერსა] ძესა ღმრთისასა CD.
29. ~ ღმრთისა წინაშე B. 31. დღემ A. 35. ანგელოსისა B.

* ძლისპირის ტექსტი მოტანილია A-85-ის მიხედვით.



Резюме

В статье рассматривается и публикуется неизвестное донные песнопение Иоанна Минчхи. В рукописях Sin. 5 и Sin. 75 оно прилагается к песнопению, которое встречается в Синайских списках «Иадгари» (Sin. 59 и Sin. 64). На основании анализа структуры поэтического материала песнопения, автор приходит к заключению, что основой создания песнопения Минчхи являлось усиление мотива Моисея.

ბუნარა ნინუა

ფსევდონიპატარის თხზულებათა ქართული თარგმანების კრიზისის
შედეგინილოვა

მაკარი მკეგვიპტელის სახელით ცნობილი თხზულებები, ქართულ ხელნაწერებში კრებულის სახით გაერთიანებული, XI ს-დან გვაქვს. სრული კრებულის შედგენილობა ასეთია: დაახლოებით IX ს. თარგმნილი ორი ეპისტოლე და 26 თავისაგან შემდგარი „სწავლანი“, თარგმნილი ექვთიმე მთაწმიდლის მიერ. ყველა ეს თხზულება ერთად დაცულია სამ ხელნაწერში Ath 21 (1030), Jer 73 (XI—XII სს.) და ქუთ. 181 (XI ს.). ზემოთ ჩამოთვლილ თხზულებათა ტექსტები გამოქვეყნებულია¹.

სამსავე ნუსხაში ფსევდონიპატარის სწავლათა 26 თავს მოსდევს ერთი თხზულება, რომლის რაობის გარკვევას ისახავს მიზნად წინამდებარე გამოკვლევა. ეს თხზულება Ath 21-ში რიგით 29-ეა, ვინაიდან ამ ხელნაწერში მაკარის თხზულებებს საერთო სათვალავი აქვს (არ არის ცალკე გამოყოფილი ორი ეპისტოლე), Jer 73-ში და ქუთ. 181—27-ეა, რადგან პირველი ნუსხა ეპისტოლეებს ცალკე ნომრავს, ხოლო სწავლათა აღრიცხვას ხელახლა იწყებს, ხოლო მეორეში—ორი ეპისტოლე ხელნაწერის ბოლოშია და მითვლილია 27-ე თავის შემდეგ 28-ე, 29-ე თავებად. სამსავე ნუსხაში 27-ე (29-ე) თავის სათაური ისევეა აგებული, როგორც ამ ავტორის მის წინ მოთავსებულ „სწავლათა“ სათაურები: Ath 21—„თქუმული მისივე (იგულისხმება „მაკარისივე“), თავი კ¹ (210v-215r); Jer 73—„თქუმული მისივე, მამისა ჩუენისა წმიდისა მაკარისი, თავი კ²“ (185r-188v); ქუთ. 181—„სწავლანი წმიდისა მამისა მაკარისნი, თავი კ³“ (249r-256r).

თხზულება თავისი აგებულებით განსხვავდება როგორც 26 სწავლისაგან, ასევე ეპისტოლეებისაგანაც. მას აქვს პატერიკული თხრობის ტიპური დასაწყისი: „გუთხრობდა ჩუენ მამამ ესაია ვითარმედ: „ვკვდ ოდესმე მამისა მაკარის თანა და მოვიდეს შუდნი ძმანი აღექსანდრიამთ და ეტყოდეს; „გუთხარ ჩუენ, მამათ, ვითარ ვცხონდეთ?“ ხოლო მე აღვიხუენ ფიცარნი, დავკვდ თუსაგან და ვწერდი, რომელნი გამოვიდოდეს წმიდათაგან მისთა ბაგეთა. ხოლო ბერმან სულთითქუნა და აღადო სავსმ მადლითა პირი თუ¹ი და თქუა:“... და შემდეგ მოდის მაკარის ნათქვამის მამა ესაიასეული ჩანაწერი. თხრობა მარტივია და არ არის გადატვირთული საღმრთო წერილის ციტატებით.

¹ ფსევდონიპატარის თხზულებათა ქართული ვერსია, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო გ. ნინუამ, თბ., 1982.

ადრეული ხანის ეგვიპტელ მონაზონთა შორის ჩანს რამდენიმე ეგვიპტელი: მოწამე ესაია, რომელიც 12 მამასთან ერთად აწამეს პალესტინაში, 312 წელს². მისი ხსენების დღეა 16 თებერვალი (ჩვენს თხრობაში ხსენებული ესაია უფრო მოგვიანო ხანის მოღვაწე უნდა იყოს, რადგან იგი მაკარი მეგვიპტელის თანამედროვეა). პალადი ჰელენოპოლის „ლაესაიკონში“ შედის თხრობა ესაიასა და მისი ძმის შესახებ (იხ. A 143, გვ. 191—194).

მეოთხე საუკუნის მისტიკოსთა შორის თეოდორე სტუდიელი ასახელებს მარკოსსა და ესაიას³. მეოთხე საუკუნის მოღვაწეს ესაიას ეკუთვნის ასკეტიკური თხზულებები, რომელთა ერთი ბერძნული ნუსხა დაცულია მოსკოვის ისტორიულ მუზეუმში (N 177 $\frac{320}{\text{CCCVII}}$). ამ ხელნაწერის შედგენილობა ასეთია: 1r-186v-

ზე არის მაკარის სახელით ცნობილი 50 ჰომილია (II ტიპის კრებული), 186v-209 v-ზე მარიოტის მიერ 1918 წელს გამოქვეყნებული მაკარისვე შეიდი სიტყვა და 210r-353v-ზე—ესაია მონაზვნის თხზულებები. ხელნაწერი ათონური წარმოშობისაა და დათარიღებულია XII საუკუნით.

ესაიას ბერძნული ასკეტიკური თხზულებები გამოქვეყნებულია⁴. ამ თხზულებათაგან XIX სიტყვა⁵ ემთხვევა ფსევდომაკარის თხზულებათა III ტიპის კრებულის 28-ე თავის პირველ ნაწილს⁶. ეს ტექსტი და ქართული კრებულის 27-ე (29-ე) თავი ორი ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული თხზულებაა. ასევე არ უდგება ქართული 28-ე (29-ე) თავი PG მე-40 ტომში გამოქვეყნებულ ესაიას სხვა თხზულებებს.

მამა ესაიას თხზულებათა სირიული ვერსიის პუბლიკაცია ეკუთვნის რ. დრაგეს⁷. სირიულ ენაზე დაცულ ესაიას თხზულებათაგან პირველსა და მესამეს აქვს პარალელი მაკარის II ტიპის ბერძნული კრებულის მე-3 და მე-19 ჰომილიებთან⁸. მე-19 ჰომილიას კი შეესატყვისება „მაკარის წიგნის“ ექვთიმესეული თარგმანის რიგით 21-ე თხზულება. აქედან გამომდინარე ესაიას სირიული კრებულის მხოლოდ ერთ თავს აქვს შესატყვისი ქართულ ენაზე შემონახულ მაკარის სახელით ცნობილ სწავლათა შორის: ეს არის 21-ე თავი⁹.

როგორც აღვნიშნეთ, 27-ე (29-ე) თავი, რომელსაც პირობითად შეგვიძლია ვუწოდოთ „მამა ესაიას თხრობა“, განსხვავდება ფსევდომაკარის სხვა თხზულებათაგან უანრობრივად.

აღვნიშნეთ ისიც, რომ სამსავე ზემოთ ხსენებულ ხელნაწერში „მამა ესაიას თხრობა“ მოსდევს ექვთიმე მთაწმინდლის მიერ თარგმნილ 26 სწავლისაგან შემდგარ კრებულს. „მამა ესაიას თხრობა“ ექვთიმე მთაწმინდელს არ უთარგმნია. ამაზე მიუთითებს Ath 21-ის ერთ-ერთი მინაწერი: „ესე ოცდაშვიდი თავი თარგმნილ არს ღმერთშემოსილისა მამისა ეფთჳმესი თჳნიერ ორთა ებისტოლეთა თავისათა და ერთისა ამის, რომელ წინამდებარე არს“⁹. შემდეგ მი-

² Geschichte der byzantinischen Literatur von K. Krumbacher, I, S. 160.

³ P. G. ტ. 40.

⁴ იქვე, გვ. 1155—1158.

⁵ Neue Homilien des Makarius/Symeon, I aus Typus III, Herausgegeben von E. Klostermann und H. Berthold, Berlin, 1961, S. 160—170.

⁶ Les cinq recensions de l'ascéticon syriaque d'abba Isaïe, R. Draguet, I, II, Louvain, 1968.

⁷ იქვე, I, გვ. 11.

⁸ იხ. ფსევდომაკარის თხზულებათა ქართული ვერსია..., გვ. 378—382.

⁹ ფსევდომაკარის თხზულებათა თავების რაოდენობის შესახებ იხ. ქვემოთ.



ნაწერის ავტორი გადამწერთაგან მოითხოვს, რომ ექვთიმესეულ თარგმანში სიტყვა არ გამოცვალონ, ხოლო პირველი ორი (ე. ი. ეპისტოლეების, რომლებიც თარგმნილია დაახლ. IX ს.) და ბოლო თავების თავისუფალი გადაკეთების ნებას იძლევა: „ზემოთა კულა თავისათა ორთა და ერთსა დასასრულსასა ჰკაზმევდინ, ნებაჲ აქუს“-ო — ამბობს იგი (Ath 21, 216r).

მასმასადამე, ჩვენ მიერ „მამა ესაიას თხრობად“ წოდებული ფსევდომაკარის სწავლათა ექვთიმესეული თარგმანის ნუსხებში 27-ე (29-ე) თავად მითვლილი თხზულება ცალკე დგას და მიუხედავად იმისა, რომ სამსავე ქართულ ნუსხაში მისი სათაური დაჟინებით მიგვანიშნებს მაკარის ავტორობაზე, მას მაინც ვერ ჩავთვლით ისეთივე ავტორიან თხზულებად, როგორც მაკარის სახელით ცნობილ მასთან ერთად კრებულში შესულ სხვა ტექსტებს.

მართლაც, ამ ტექსტის („მამა ესაიას თხრობის“) შესატყვისი თხრობა შედის ანონიმურ-აპოფთეგმატურ კრებულში, რომელსაც ჩვენ ფრანგული თარგმანის მიხედვით ვიცნობთ¹⁰. ფრანგული ტექსტი თარგმნილია Sin 448 ბერძნული ხელნაწერიდან. ბერძნული ტექსტი, რამდენადაც ჩვენ ვიცით, გამოქვეყნებული არ არის.

Ath 21-ში „მამა ესაიას თხრობა“, როგორც აღვნიშნეთ, 29-ე თავია. 29-ე თავს ზემოხსენებული ანდერძის შემდეგ 216r-ზე მოსდევს — „გამოცხადებაჲ წმიდისა მამისა მაკარისი, თხრობაჲ საკურველი და ბრწყინვალე“. ეს თხზულება აგებულების მიხედვით ჰგავს „მამა ესაიას თხრობას“. იწყება ასე: „ვთხრობდა მოწაფე მამისა მაკარისი ალესანდრიელისაჲ: „მივიღოდეთ ოდესმე ერთად უდაბნოსა და იყო იგი წინაშე ჩემსა და მე უკუანა მისსა“... ოღონდ 29-ე თავი სათაურის მიხედვით მაკარი მეგვპტელს შეეხება, ხოლო „გამოცხადება“, როგორც თხზულების დასაწყისიდან ჩანს, გადმოგვცემს მაკარი ალექსანდრიელის ამბავს. თხზულება მოკლეა და ხელნაწერის 218v-ზე მთავრდება. „გამოცხადების“ ბოლოს და ახალი თხზულების დასაწყისს შორის მოთავსებულია Ath 21-ის გადამწერის ისაკის ანდერძი. ანდერძის ავტორი „მაკარი [ალექსანდრიელის] გამოცხადებას“ 30-ე თავად მიათვლის მაკარი მეგვიპტელის სახელთან დაკავშირებულ ამ ნუსხაში მოთავსებულ 29 თხზულებას. მოვიყვანთ ანდერძის ტექსტს: „დიდებაჲ ღმერთსა. დაიწერნეს ეპისტოლენი ესე წმიდისა მაკარის თქუმულნი თავი ლ^ე კელითა უღირსითა ფრიად ცოდვილისა და საწუნელისა ისაკისითა. კლარჩად ჩხრეკისათჳს შემინდვეთ და შრომისათჳს ნუ მწყევთ“. როგორც ჩანს, Ath 21-ში 29-ე თავის ბოლოს დართული ანდერძი, რომელშიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სწორადაა მინიშნებული, რომ ამ ხელნაწერში მაკარის თხზულებათაგან ექვთიმემ თარგმნა ყველა, გარდა ორი ეპისტოლისა და ანდერძის წინამდებარე თავისა, არ ეკუთვნის Ath 21-ის გადამწერს ისაკს. იგი გადმოსული უნდა იყოს 1030 წელს გადაწერილი ამ ნუსხის დედნიდან. თუ ეს ვარაუდი სწორია, გამოდის, რომ მაკარის სწავლათა ექვთიმესეულ ავტორაფსა და ექვთიმეს გარდაცვალებიდან ორი წლის შემდეგ შექმნილ ათონურ ნუსხას შორის არსებობდა ერთი პირი მაინც, რომლის გადამწერს მაკარი მეგვიპტელის სახელით ცნობილი ყველა თხზულება: ექვთიმეს მიერ თარგმნილი 26 თავისაგან შემდგარი კრებულიც, ადრე თარგმნილი ორი

¹⁰ Les sentences des pères du désert, par Dom Lucien Regnaut, troisième recueil, Solesmes, 1976, 58—63. გამოცემაზე მიგვითითა ბატონმა ბ. უტიემ, რისთვისაც დიდ მადლობას მოვასყენებთ.

ეპისტოლეც და რაღაც მოსაზრებით ერთი პეტერიკული თხრობაც მაკარის შესახებ გაუერთიანებია ერთ კრებულად და თავის ანდერძში მკვეთრად განმარტავს ექვთიმე მთაწმინდლის „უბიწო“ თარგმანი ადრე თარგმნილი ეპისტოლეცებისაგანაც და პეტერიკული თხრობისგანაც. Ath 21-ის გადამწერს ისაკს თავის ნუსხაში გადმოუტანია ამ ხელნაწერის დედნის გადამწერის ანდერძი (ასეთი რამ არ არის უცნაური და მოულოდნელი, გადამწერები ხშირად ცდილობენ დედნის ყველა შტრიხის გადმოტანას ასლში). აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ დედნიდან გადმოტანილი ანდერძის პირველ ფრაზაში არის, ალბათ, მექანიკური შეცდომა: „ესე ოცდაშვიდი თავი თარგმნილ არს ღმერთშემოსილისა მამისა ეფთუმესი“, აქ ოცდაშვიდის ნაცვლად უნდა იყოს ოცდაექვსი, რადგან იქვე ანდერძში ნათქვამია „თვნიერ ორთა ეპისტოლეთა თავისათა და ერთისა ამის, რომელ წინამდებარე არს“. სულ კრებულში მაკარის 29 თხზულებაა, თუ აქედან ორი ეპისტოლე და ანდერძის წინამდებარე თავი არ უთარგმნია ექვთიმეს, გამოდის, რომ მის მიერ თარგმნილია 26 (29—3) და არა 27 თავი.

Ath 21-ის გადამწერს ისაკს თავისი ანდერძი მიუწერია იქ, სადაც, მისი აზრით, მაკარის თხზულებები დამთავრდა, სინამდვილეში კი მაკარი მეგვიბტელის თხზულებებთან ერთად მოუქცევია ანონიმი ავტორის თხრობა მაკარი ალექსანდრიელის გამოცხადების შესახებ და საბოლოო ჯამში ამიტომ გამოუვიდა 30 თავისაგან შემდგარი „მაკარის წიგნი“. გადამწერი ისაკის მიერ ამ ანდერძში დაშვებულმა შეცდომამ მისცა საფუძველი კ. კეკელიძეს ეთქვა — ექვთიმე ათონელმა თარგმნა მაკარის თხზულებები „სულ 30 თავი“-ო¹¹.

Ath 21-ში მაკარი ალექსანდრიელის „გამოცხადებას“ მოსდევს აგიოგრაფიული მასალა. რომ ეს ნუსხა მთლიანად ისაკის გადაწერილია, ამაზე მიუთითებს ხელნაწერის ბოლოს დართული ანდერძი: „დაიწერა გლახაკისა ისაკის კელითა“ (330r).

მაშასადამე, მაკარის სახელით ცნობილ თხზულებებთან ერთად სამსავე სრულ ნუსხაში (Ath 21, Jer 73, ქუთ. 181) 27-ე ან 29-ე თავად შესული „მამა ესაიას თხრობა“ ექვთიმე ათონელს არ უთარგმნია. მისი უცხოენოვანი შესატყვისი ბერძნულ ანონიმურ-აპოფთეგმატურ კრებულში შედის. ამ თხრობას არაფერი აქვს საერთო არც ექვთიმეს მიერ თარგმნილ ფსევდომაკარის კრებულთან და არც ადრე თარგმნილ მაკარის ორ ეპისტოლესთან.

მაშასადამე, მაკარის სახელით ცნობილ თხზულებთა კრებულის ქართულ ვერსიას სრულ ხელნაწერებში ასეთი სახე აქვს: ორი ეპისტოლე + 26 თავი + „მამა ესაიას თხრობა“ (Ath 21, Jer 73); ან: 26 თავი + „მამა ესაიას თხრობა“ + ორი ეპისტოლე (ქუთ. 181)

„მამა ესაიას თხრობის“ ტექსტისათვის ძირითად ნუსხად აღებული გვაქვს Ath 21 (გადამწერილი 1030 წ., გადამწერი ისაკი). ნუსხას ავლნიშნავთ A ლიტერი. ტექსტის დასადგენად გამოყენებული გვაქვს Jer 73 (XI—XII სს) — B ლიტერი და ქუთ. 181 (XI ს) — D ლიტერი.

„მამა ესაიას თხრობა“ სათაურით — „თქუმული მისივე, წმიდისა მამისა ჩუენისა მაკარისი, თავი მ¹ე“ შედის Q 423 (1857 წ.) ხელნაწერში, ასკეტიკური ხასიათის კრებულში, რომელშიაც, გარდა ხსენებული თხრობისა, სხვა ავტორთა თხზულებებთან ერთად შედის მაკარის სახელით ცნობილი ორი „სწავლაც“. ტექსტის დადგენისას, მისი გვიანდლობის გამო, ეს ნუსხა არ გამოგვიყენებია.

¹¹ კ. კეკელიძე, ქართ. ლიტ. ისტორია, ტ. I, 1960, გვ. 204, 245; მისივე „ეტიუდები“, ტ. V, გვ. 83—95.

სიძვისადათა და საურავითა ამის სოფლისადათა. საყუარელნო, ნუ დაივიწყებთ
სიტყუასა მას უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესსა, რომელსა იტყვ, ~~მეფიწმინდა~~
„რომელმან მიხედნეს გულისთქუმით დედაკაცსა, მუნთქუესვე იმროშა იგი
გულსა შინა თვისსა“. და უკუეთუ ვინმე მცირედ ჰგონებდეს ამას, კულად მო-
5 ვიკენოთ მისივე უფლისა, ვითარმედ: „ცანი და ქუეყანაა წარკდენ, ხოლო
სიტყუანი ჩემნი არასადა წარკდენ“. და კელი რაჟამს შეყვის შეკრებად ოქ-
როსა და ვერცხლისა, მიერითგან შთააგდიან იგი ეშმაკთა ძირსა ვეცხილმო-
ყუარებისასა.

და უკუეთუ მოართვს ვინმე მას მცირედი, სულიერობნ და არა მიიღს
10 იგი და ჰრქუეს, ვითარმედ: „არა მივმს მე საკმარი კაცთაგან“. ხოლო უკუეთუ
მოართვს ვინმე მას ოქრო, ანუ¹ ვეცხლი, ანუ² რამე, რომელი სათნო-ეყვის
მას, მეყსე/ულად შეიწყნარის იგი სიხარულით და დადგის მან ტაბლად
ბრწყინვალე და იწყის მის თანა ჭამად. და³ გლახაკი, და რად სახელ-ვსდებ
გლახაკად, არამედ თუთ თავადი ქრისტე დგან კართა ზედა და ჰრეკნ და არავინ
15 მათგანმან განუღის და არაცა გულისკმა-ყვის, ვითარმედ არა გლახაკი არს, არა-
მედ ქრისტე არს, რომელმან დამბადა და ჩემოვს ჯუარს-ეცუა.

ამისთვს თქუა უფალმან ჩუენმან იესუ ქრისტე, ვითარმედ: „უადვილეს
არს აქლემისა საბელი განსლვად ჯურელსა ნემსისასა, ვიდრელა მდიდრისა
შეზღვად, სასუფეველსა ცათასა“. აწ ვიტყვთ ესრეთ, ვითარმედ: „არა ვარ
20 მდიდარ“. და კულად ვიტყვთ, ვითარმედ: „დალაცათუ მდიდარ ვარ, არა
მევენების, რამეთუ ჩემითა კელითსაქმრითა მომიგია და სხუად... რომელი
ღმერთმან მომცა“.

ხოლო აწ მითხართლა მე, ძმანო, თუ ანგელოზნი ცათა შინა ოქროსა შეჰკრე-
ბენა? ნუ იყოფინ! არამედ დაუცხრომელად აღიდებენ ღმერთსა. და აწ ჩუენ,
25 ძმანო, რად მოვიღეთ სახე ესე ანგელოზთა, რაითამცა საკმართა შევჰკრებდით
ანუ ღმერთსა ვადიდებდით და ვჰმონებდით სიგლახაკითა და იწროებითა და
ვიქმნენითმცა სწორ ანგელოზთა, რამეთუ ხატი მათი შეგვმოსია? რამეთუ გან-
წესებულნი იგი ანგელოზნი, რომელ გარდამოითხინეს ზეცით, რიცხუ და ად-
ვილი მათი მონაზონთაგან აღესრულების. ხოლო აწ, ძმანო, რად აღვიღეთ
30 სახე ესე და განვეყენენით სოფლისაგან? და ოდეს განვეყენენით, რად კულად
შევიქციეთ ეშმაკისა მიერ გზისა მისგან იწროსა, რომელი მიმიყვანებს
სასუფეველსა ცათასა?

/ანუ არა იცითა, საყუარელნო, რამეთუ ღწონი და დედანი და ოქრო და
ვორციელი განსუენება და ქცევაა შორის ერისკაცთა ესე ყოველი უკუეთუ
35 გყუარდეს, შორს ვართ ჩუენ ღმრთისაგან, რამეთუ ძირი ყოველისა ბორო-
ტისა არს ვეცხილმოყუარება?

3—4 მათე, 5,28. 5—5 მათე 24, 35. 17—19 მათე 10,25.

1. ნო B. დავიწყებთ B. 2 ქრისტესა D. 3 მონთქუესვე B. იმროშა B. 4 თვისა D.
უკუეთო B. 6. არადასა B. 9. უკუეთო B. მოართუას B. მცირედი+რამე D. აღიღის D.
10 და] არამედ D. უკუეთო B. 11. მოართუას B. ვინ D. ანო¹⁻² B. ანუ რამე—D. 12. მეყ-
სეოლად B. სიხარულით B ~ და სიხარულით D. 13 ბრწყინვალე B. და³]ხოლო D. 15. გა-
ნოლის B, განუღის + კარი D. არცა — B. 16 ქრისტე BD. არს D. 17 ქრისტემან D. ოადვი-
ლეს B. 18 აქლემისა] მანქანისა B. საბელი — A განსლვად A. ~ ქურელსა ნემსისასა განს-
ლვად B. 19 შესლვად BD. 20 მდიდარი D. ვითარმედ — B. დალაცათო B. მდიდარი D.
23 მითხართ D. ძმანო] მამანო B. თო B. 25 სახე BD. 26 ანო B. ვადიდებდით A. 27. ვიქ-
მნენით D. 28 გარდამოითხინეს] გარდამოცვენეს D. 30 სახე BD. და] ხოლო D. 31 შევიქციეთ]
ვიქცევით D. გზისაგან B. მისგან — B. მიყვანებს B, მიყვანებს D. 33 ანო B. 34 უკუეთო B
35 ჩუენ — B. ყოველთა BD. ბოროტთა BD.



რაოდენ შორავს ცაჲ ქუეყანისაგან, ეგრეთვე ვეცხლისმოყუარე მონა-
 ზონი — დიდებისაგან ღმრთისა, რამეთუ არა ესწორების სხუად სიბრძნისა
 სიბოროტესა ვეცხლისმოყუარისა მონაზონისასა, რომელი ზრახვიდეს ზრახ-
 ვასა ერისკაცთასა. ესევეთარი შესამენს ხატსა თჳსსა ღმერთსა. ანუ არა გუე-
 სმისა ნეტარისა იოვანე მახარებელისაჲ, რომელსა იტყჳს: „ნუ გიყუარნ სო-
 ფელი და რაჲ არს მას შინა?“ რამეთუ რომელსა უყუარდეს სოფელი, არა
 არს სიყუარული ღმრთისაჲ მის თანა. ხოლო იაკობ ძმად უფლისაჲ ეგრეთვე
 მსგავსად იტყჳს, ვითარმედ: „სიყუარული ამის სოფლისაჲ მტერობაჲ არს
 ღმრთისაჲ“.

აწ საყუარელნო, ვივლტოდით სოფლისაგან, ვითარცა ვივლტით გუელი-
 საგან, რამეთუ ნაცემი გუელისაჲ ძნად განიკურნების. ხოლო აწ მითხართ მე,
 მამანო და ძმანო: მამათა ჩუენთა სადა მოიგნეს სათნოებანი, სოფელსა შინა,
 ანუ უღაბნოსა? და აწ ჩუენ ვითარ გუენებაჲს სოფელსა შინა ქცევითა სათნოე-
 ბათა მოგებაჲ? უკუეთუ არა გუშიოდის და გუწყუროდინ და შიშუელ ვიყ-
 ვნეთ და ნკეტათა თანა დავემკვდრნეთ, და უკუეთუ არა გორცნი მოვაკუდინნეთ,
 ვითარ ვეცხონდეთ სულითა, ანუ ვითარ გუენებაჲს დამკვდრებად სასუფეველი
 ცათაჲ შორის ერისკაცთა ყოფითა? ნუმცა დაგუარწმუნებს, საყუარელნო,
 ჩუენ ეშმაკი ამას გულისსიტყუასა, რაჲამს გუეტყოდის ჩუენ, ვითარმედ / შეკ-
 რიბე საკმარი, რაჲათა იქმოდო მოწყალეებასა, რაჲათა ჰზრდიდე ჭირ-
 ვეულთა. ხოლო აწ ესრეთ გულისკმა-ყავთ, შვილნო, რომელი ერთი-
 თა კოტრითა მოწყალეებასა ვერ იქმს, ვერცა ათასითა დრაჰკნითა შე-
 უძლია მას. ნუ, ძმანო! ეგვე ერისკაცთაჲ არს. არა ჰნებაჲს ღმერთსა ოქროთა
 და ვეცხლითა სიმდიდრე მონაზონთაჲ, რამეთუ მონაზონი, რომელი მოიგებ-
 დეს ოქროსა და ვეცხლსა და სიმდიდრეთა, ეგვეითარსა არა ჰრწამს, ვითარმედ
 ღმერთი შემძლებელ არს ზრდად მისა აწ, შვილნო, უკუეთუ ღმერთსა პურისა
 და სამოსლისა ჩუენისა მოცემად ვერ შეუძლია, ვითარ უკუე მოგუტემს სასუ-
 ფეველსა ცათასა? ნუ იგონებთ მაგას, რამეთუ მტერისაჲ არს ესე. უწყითმცა,
 რამეთუ რომელსა მონაზონსა ჰქონდის საკმარი, რომელ გაერებოდის და მთარ-
 თუას ვინმე მეტი, ესე არა არს ღმრთისაგან. ხოლო რომელსა არა ჰქონდის და
 იჭირვოდის ერთგვისს, გინა ორგვისს, მაშინ უწყის ღმერთმან, ვითარმედ ეკმარე-
 ბინ და მოსცილს მას, ვითარცა დანიელს ჯურღმულსა შინა ლომთასა. ხოლო
 უკუეთუ ჰქონდის მონაზონსა ოქროჲ გინა ვეცხლი და არა იკმარებდეს მას,
 არამედ სხუასა მოელოდის, ესევეთარი თანაზიარ არს იუდას ისკარიოტელსა,
 რამეთუ მან დაუტევა მადლი იგი, რომელი მოცემულ იყო მისდა, და მიზრიდა

5—6 იოვ. 2, 15. 8—9 იაკობ 4, 4.

1 რადენ D. ვეცხლისმოყუარე BD. 2 არაჲ D. სიბოროტე D. 3 ზრახვიდეს] უბნობდეს D.
 ზრახვისა] საუბარსა D. 4 ერისკაცთათა D. ანო B. გვესმის B. 5 იოვანე B. გიყუარნ B.
 6 და+ყოველი D. 7 იაკობ B. 8 სიყუარული] სურვილი D. მტერობა D. 10 ვევლტოდით~B.
 გულისაგან B. 11 გულისაჲ B. ძნელად B. 12 ~ ძმანო და მამანო B. სადამე D. მოგენეს B, მოე-
 გნეს D. 13 ანო B. 14 გუწყუროდის BD. 15 უკუეთო B. მოვაკოდინეთ B. 16 ანო B. ~სასუ-
 ფეველი ცათაჲ დამკვდრებად BD. 17 ნუმცა B. ~ ჩუენ საყუარელნო BD. 19 საკმარი —D.
 რაჲათა] და BD. ზრდიდე D. 20 ხოლო — D. შვილნო+ვითარმედ D. 21 შეუძლია B. მას—B.
 22 ნო B. 23 სიმდიდრე B. მოგებეს B. 25 ზრდად მისა] ჩემდა ზრდად D. აწ+უკუე D. 26 ჩუ-
 ენისაჲ B. შეუძლია+მამა D. უკუე—BD. 27 მოიგონებთ D. არს+ხოლო D. 28 რომელი B.
 მთართუას B. 29 რომელსა] უკუეთუ BD. ჰქუნდის D. და+იგი D. იჭირვოდის] იურვო-
 დის D. უწყის B. ვითარმედ] რამეთუ BD. ეკმარების D. 32 უკუეთო B. უქრუდა B. ეკმარე-
 ბოდის B. 33 იოდას B. ისკარიოტელსა B. 34 რამეთუ] რომელმან B. დაოტევა B. მოცე-
 მოლ B.

პურიათა მიმართ გულისთქუმითა ვეცხლისმოყუარებისადა. ამისთვისცა დიდ-
 მან მან მოციქულმან პავლე არა ყოველთა ბოროტთა ძირად ოდენ უწოდა
 მას, არამედ კერპთმსახურებადცა სახელ-სდვა. ვეკრძალ/ნეთ აწ სესხუქმელისა
 ამისგან ბოროტისა, რამეთუ სენი ესე უკეთური მიჰზიდავს მონაზონსა, ვიდ-
 5 რე შთაავადოს იგი კერპთსახურებასა და განეყენოს იგი სიყუარულსა
 ღმრთისასა. მ, ვეცხლისმოყუარებთა, რომელმან განაშორი მონაზონი დიდე-
 ბისაგან ღმრთისა. მ, ვეცხლისმოყუარებთა მწარეთ და ძლიერო, რომელმან გა-
 ნაშორი მონაზონი განწყობილთაგან ანგელოზთადასა. მ, ვეცხლისმოყუარებთა
 ძირო ყოველთა ბოროტთათ, რომელმან ჰყვი მონაზონი მოურნე ყოვლისა, ვიდ-
 10 რემდის დატევებად სცი მას მთავრობაჲ იგი ზეცისაჲ და ჰყვი იგი მონა ამის
 ქუეყანისა. მ, ვეცხლისმოყუარებთა ყოვილისა ბოროტისა დამტევნელო, რო-
 მელმან აღჰლესი ენაჲ მონაზონისაჲ გინებად და შეურაცხებად ძმისა თვისისა,
 ვიდრემდის ჰყვი იგი მოსაჯულად ერისკაცთა.

ვაჲ არს მის მონაზონისა, რომელმან მისცეს კანდიერებაჲ ეშმაკსა ვე-
 15 ცხლისმოყუარებისასა. ვაჲ არს მონაზონისა ვეცხლისმოყუარისა, რამეთუ
 დაუტევა მან მცნებაჲ მაცხოვარისა, ვითარცა იტყვს, ვითარმედ: „ნუ მოი-
 გებთ ოქროსა გინა ვეცხლსა და ყოველსა სიმდიდრესა“. ხოლო ნაყროვანსა მო-
 ნაზონსა აქმნევს ეშმაკი ზედასზედა ტაბლათა და ხადილთა და იყვის იგი
 მღუპარე მზადებასა ტაბლათასა და იტყვს, ვითარმედ: „არა დაუტეობ ლოც-
 20 ვასა, არამედ ვილოცავ ჟამთა წესისაებრ ჩემისა“. და არა იცინ ესე უზადრუქ-
 მან მან, ვითარმედ: „არა ყოველმან, რომელმან თქუას, უფალო, უფალო, და
 შევიდეს იგი სასუფეველსა ცათასა, არამედ რომელმან ყოს ნებაჲ ღმრთისაჲ“.
 /მ, ძმანო ჩემო საყუარელნო, ვითარ ჩუენ, მონაზონთა გუაქუს ოქროჲ და
 ვეცხლი და სიმდიდრენი და მარადის არა დავსცხრებით მოგებისაგან მისისა
 25 და გლახაკი და უფროასლა ქრისტე სნეულ არს და შიან და სწყურიან და ში-
 შუელ არს და არა ვიდუწით? რაჲ მიუგოთ, ძმანო ქრისტესა მეუფესა მას ჩუენ-
 სსა, რამეთუ, რომელნი-ესე განყენებულ ვიყვენით სოფლისაგან, მუნვე შინა
 ვიქცევით. ანუ რაჲ მიუგოთ ხატისა ამისთვის, რამეთუ ანგელოზთაჲ იყო და
 ჩუენ ვყავთ იგი თანამზრუნველ და თანამოხარულ სოფლისა ამის წარმწყემ-
 30 დელისა ჩუენისა, ანუ ოქროსა მისთვის, რომელი გუაქუნდა და არა მივსცემდით
 და რომელსა მას მივსცემდით, ამისთვის მივსცემდით, რაჲთაჲცა გუაქუნდეს
 ჩუენ კაცთა? ნუ, ძმანო ჩემო საყუარელნო, ნუ გიყუარს სოფელი და სიმ-
 დიდრე, რამეთუ უფალი იტყვს: „რომელმან არა მოიძულოს სოფელი და ყო-

16—17 მათე 10,9. 21—22, მათე 7,21

1 გულისთქუმით D. 2 მან — B. პავლე D. ოდენ — B. ოწოდა B. 3 მას — B. სახელ
 სდვა] ოწოდა B + მათ B. 4 მისგან BD. უკეთორი B. ვიდრემდის D. 5 განაყენოს B, გა-
 ნეყენის D. სიყუარულისაგან D. 6 ღმრთისა D. მონაზონი — D. 7 ძრიელო B. 9 — ყოველისა მო-
 ურნე D. ყოვლისა — B. 10 დატეობად D. ჰყვის B. მის D. 13 მსაჯულად D. 15 მონაძენისა B.
 16 მაცხოვარისაჲ BD. ვითარცა] რამეთუ D. ვითარმედ — D. ნო B. მოაგებთ B. 17 გინა] და
 ნუცა D. 18 ეშმაკი — B. ტაბლათა და — B. — ხადილთა და ტაბლათა D. ხადილსა B. იყვის]
 იქმნის D. 19 მღუპარე B, მღუპარე] მღერარე D. დაოტეობ B, დაუტეობ] დავადებ D.
 20 და] არამედ B. 22 იგი — D. 23 გვაქუს B. 25 და გლახაკი — D. შიან BD. შიშულ B.
 26 ვილოწით B. მიოგოთ B. 27 ვიყვენით] ვართ B. მოწვე B. 28 ანო B. მისთვის D. 30 ჩუ-
 ენისა + იხილეთღა, მონაზონნო, და ეკრძალე თავსა შენსა D. ანო B. ანუ] ნუ D. გქუნდა
 (!) D. 31 რაჲთა B. გუაქუნდენ B, გაქუნდეს] ვიქენით D. 32 ჩუენ — D. კაცთაგან D. ნო B.
 სოფლისა B. და — B. სიმდიდრე B. 33 რამეთუ] და D. იტყვს + ვითარმედ D. არა — B. მოაძუ-
 ლოს B.



ველი რაჲ არს შინა და უფროჲსდა თავი თვისი და რომელმან არა აღილოს წუთ-
 რი თვისი და შემომიდგეს მე, იგი არა არს ჩემდა ღირს“. „ცხოველ ვარ მეგობრებო
 იტყვს უფალი. გამოვედით შორის მისსა და განეყენებით მისგან. იხილეთ,
 ძმანო ჩემნო საყუარელნო, რავდენ საენებელ არს ჩუენდა ზრახვამ ერისკაც-
 თა თანა, რამეთუ ზრახვამ მათი ცოლთათუს არს და შეილთათუს და ამის სოფ-
 ლისა ზრუნვათათუს და მათ თან ზრახვამ და აღრევამ შიშსა ღმრთისასა გულ-
 თაგან ჩუენთა განაშორებს. და/ ჭამამ და სუმამ ჩუენდა ფრიად საენებელ
 არს. ხოლო არა ესრეთ ვიტყვ, თუ არაწმიდა არიანო, ნუ იყოფინ. ხოლო
 იგინი ჭამენ დღესა შინა ორგზის და სამგზისცა ჰამოთა და გულისსათქუმელ-
 თა საჭმელთა. ხოლო ჩუენდა ჯერ-არს განყენებამ გულისსათქუმელთა და ჰა-
 მოთაგან საჭმელთა და ჭამამ დღესა შინა ერთგზის. ხოლო უკუეთუ ვჭამდეთ
 მათ თანა და გვხილნენ ჩუენ, ვითარმედ ვჭამთ, ვითარცა არს ბუნებამ ჯორ-
 ცთამ, მეყსეულად განგვკითხვენ ჩუენ და იტყვან: „აჰა ესერა, მონაზონნიცა
 განძღებიან“. და არა მოიგონებენ უბადრკნი, ვითარმედ ჩუენცა ეგრეთვე
 ჯორცნი გუასხენ, ვითარცა-იგი მათ. და უკუეთუ კულად გვხილნენ მარხვა-
 სა შინა წესისაებრ ჩუენისა, კულად განგვკითხვენ და, იტყვან: „აჰა, კაცთმო-
 თინენი“, და წარსწმედენ სულთა მათა ჩუენ ძლით.

ხოლო კულად უკუეთუ გვხილნენ ჩუენ ჭამად უბანელითა კელითა და
 სამოსლითა შეურაცხითა, მეყსეულად იტყვან: „აჰა, მონაზონნი ცოფნი და ბაყ-
 ლიანნი“. და უკუეთუ კულად გვხილნენ კელითა ბანილითა და სამოსლითა
 სადაგითა, იტყვან: „აჰა, მონაზონნი ფუდულნი და მეწმიდურნი“. და ორსავე
 პირსა ზედა, თუ ესრეთ გვხილნენ და თუ ეგრეთ, განგვკითხვენ და წარსწმე-
 დენ სულთა მათთა ჩუენ ძლით.

ვივლტოდით, ძმანო, ტრაეხთაგან, მათთა და ვეძიებდეთ მათგან უფ-
 როჲსდა შეურაცხებასა და არა ქებასა. რამეთუ ქებამ მათი სატანჯველთა მო-
 მატყუებელ / არს ჩუენდა, ხოლო შეურაცხებამ მათი გვრგვინსა მომატყუებელ
 არს ჩუენდა მას საუკუნესა.

მ, ძმანო ჩემნო საყუარელნო, რაჲ სარგებელ მეყოს ჩუენ, უკუეთუ
 კაცთა სათნო-ვეყვნეთ და დამბადებელი ჩუენი განეარისხოთ. და სიტყუასა
 ამის მოწამე არს წმიდაჲ მოციქული პავლე და იტყვს: „უკუეთუმცა კაცთა
 სათნო-ვეყოფოდე, ქრისტეს მონაძმცა არა ვიყავ“. აწ ვისწრაფდეთ, ძმანო,
 რაჲთა განვეშორნეთ ქებისაგან მათისა, რამეთუ ქებასა მათსა ვერარაჲ სარ-
 გებელი შეუძლია ჩუენთუს დღესა მას საშინელსა განკითხვისასა. გულისგმა-

1—2 შდრ. I ოვ. 2,15. მათე 10,38. ოვ. 14,19. 18—23 მათე 15,20. მარკ 7, 2—7. 30—31
 გალატ. 1,10.

1 უფროჲს B. 2 იგი არა არს... ვარ მე — B. 3 მისა B. 4 რაოდენ D. ზრახვამ
 უბნობამ D. 5 ზრახვამ] უბნობამ D. 6 ზრახვამ] უბნობამ D. გულთა ჩუენთაგან BD. 7 განა-
 შორებს] განაყენებს D. და+მათ თანა BD. 8 ესრეთ B. ვიტყვ B. თო B. თუქვითარ D.
 არიან B. ნო B. ხოლო] არამედ BD. 9 გულისსათქუმელთა A. 10— გულისსათქუმელთაგან
 და ჰამოთა B. 11 უკუეთო B. 12 ჩუენ — B, ჩუენ] მათ D. 14 მოგონებენ B. 15 გვსხენ B.
 ვითარცა D. უკუეთო B. ~ გვხილნენ კულად B. გვხილნენ+ვითარმედ D. ვიმაზხავთ D.
 16 შინა — D. კაცთამოთენი D. 17 ძლით] გზით D. 18 უკუეთო B. 20 და] ხოლო D. 21 ფო-
 დოლონი B. მეწმიდორნი B. 22 და] გინა D. თუ — D. წარსწმედენ D. 25 და არა ქე-
 ბასა — D. 26 ჩუენთუს B. ხოლო] და D. 27 ჩუენთუს D. 28 უკუეთუ B. 29 სიტყუასა D.
 30 ამას BD. პავლე D. და] ვითარცა D. იტყვს+ვითარმედ D. უკუეთომცა B, უკუეთუ D.
 31 -ვეყვნეთ D. ქრისტესმცა მონაჲ B, ქრისტეს] ღმრთისა D. მონანი D. ვიყავ] ვარ D. ვისწრა-
 ფოთ B. 32 მათისა+და შეურაცხებასა ვეძიებდეთ D. 33 ჩუენდა D. გულისგმა-ვეყოთ D.

ყავთ, ძმანო საყუარელნო და კურთხელნო, რამეთუ სიტყუსათჳსა სიტყუად გუნა მიცემად დღესა მას განკითხვისასა, ოდეს წარვდგეთ წინაშე უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესა, რომელისაჲ არს დიდებაჲ უკუნითი უკუნისამდე. ამენ.

Г. А. НИНУА

СОСТАВ СБОРНИКА ГРУЗИНСКИХ ПЕРЕВОДОВ ПРОИЗВЕДЕНИЙ ПСЕВДО-МАКАРИЯ

Резюме

Грузинские переводы произведений, приписываемых Макарию Египетскому, собраны вместе в рукописях XI—XII веков.

Состав полного сборника таков: два «Послания» (перевод сделан не позже IX века) и «Поучения» 26 глав (перевод Евфимия Афонского).

Целью настоящей работы является определение происхождения одной апофтегмы, которая в грузинских списках, содержащих сборник произведений Псевдо-Макария, следует за «Поучениями» и причислена к ним как 27-я (или 29-ая) глава.

Апофтегма, перевод которой сделан с греческого до Евфимия Афонского анонимным переводчиком, в оригинале входит в состав алфавитно-анонимного патерика, и следовательно, не является органической частью сборника произведений Псевдо-Макария.

Публикуется также текст названной апофтегмы по трем грузинским спискам XI—XII веков.

1 ცოდისა B. 2 გუნა]თანაგუად B, გუნებს D. 3 ~ იესუ ქრისტესა უფლისა ჩუენისა BD. რომლისაჲ არს] რომელსა შუენის D. დიდებაჲ+აჲ და მარადის და D.

ენო ჰაჯაია

ბასილი კაპადოკიელის მეორე ეპისტოლის ქართული თარგმანები

ბასილი კაპადოკიელის მეორე წერილი, მიმართული გრიგოლ ღმრთისმეტყველისადმი, საუკეთესოა მის ეპისტოლურ მემკვიდრეობაში. იგი არ ეკუთვნის ეპისკოპოსის კალამს, არამედ დაწერილია ბევრად ადრე, ათენიდან მისი ჩამოსვლის შემდეგ, როდესაც უკვე მონათლული პონტოში განმარტოვდა და იქ ასკეტური ცხოვრება დაიწყო. ამ განმარტობას წინ უძღოდა შთაბეჭდილებებით აღსავსე მოგზაურობა სირიაში, პალესტინაში, ეგვიპტესა და მესოპოტამიაში, რომელიც სწორედ სამონასტრო ცხოვრების გასაცნობად იყო გამიზნული.

ეს წერილი წარმოადგენს მანიფესტს, სადაც ასკეტად მოქცეული ბასილი თავის გადაწყვეტილებას ამცნობს იმ ცბიერ სამყაროს, რომელსაც ის სტოვებს. ეს აპოლოგეტური სურვილები და ახალგაზრდა მჭერმეტყველის ახლად მიღებული ცოდნა მისატყვევებს ხდის იმ გადაჭარბებულ მაღალფარდოვნებასა და ფილოსოფიურ ზრახვებს, რომელიც აღარ გვხვდება მისი სიმონიფის დროს დაწერილ ასკეტურ ნაწარმოებებში¹.

ამ წერილში მოკლედ არის ჩამოყალიბებული ბასილის ძირითადი ასკეტური შეხედულებანი და ასკეტური ცხოვრების წესი. აქ ავტორს ყველაფერი აქვს გათვალისწინებული სამონასტრო ცხოვრების უმცირეს დეტალბამდე, საკვები იქნება ეს თუ ტანსაცმელი, ძილი თუ ვარცხნილობა. ცხადია, თვით ბასილიც სწორედ ამ ეთიკური ნორმების მატარებელი ასკეტი უნდა ყოფილიყო და მისი მსგავსი მრავალი მოღვაწეობდა იმ პერიოდში ეგვიპტის, სირიის და პალესტინის უდაბნოებში.

ამ წერილის სამონასტრო სამყაროში პოპულარობას მოწმობს მისი სირიული თარგმანი, შესრულებული VII-VIII სს-ში². X ს. II ნახევარში კი სვიმეონ მეტაფრასტმა მისი მოზრდილი ფრაგმენტი თხუთმეტ ნაწილად დაჰყო და შეიტანა ბასილის თხზულებებიდან ამოკრეფილ 24 სიტყვაში შერჩევით³. (*Sermones de moribus*-PG 32, col. 1116—1381).

¹ J. Gribomont, *Études suédoises et reclassement de la tradition manuscrite de saint Basile*, Le Muséon, LXVII, 1—2, 1954, p. 65.

² J. Gribomont, *Histoire du texte des Ascétiques de s. Basile*, Louvain, 1953, p. 308 sq.

³ Stig. Y. Rudberg, *Études sur la tradition manuscrite de saint Basile*, Lund, 1953, p. 182.

1927 წელს კ. კეკელიძემ თავის ცნობილ ნაშრომში „უცხო ავტორები ძველ ქართულ მწერლობაში“ ბასილის ჰომილიათა ქართული თარგმანების რიცხვში მეთორმეტე ნომრად შეიტანა მისივე მეორე ეპისტოლე გრიგოლ ნაზიანზელისადმი, ქართულად თარგმნილი ექვთიმე ათონელის მიერ (ჰომილიათა თანამიმდევრობა მკვლევარს მოცემული აქვს „ითიკის“ გვიანდელი და სრული ნუსხების A 100, A 181 და S 376-ის მიხედვით)⁴. ამგვარად გაიცნო ეს საკითხი ევროპულმა მეცნიერებამ გ. ფერაძის მიერ შესრულებულ ამავე შრომის გერმანულ თარგმანში⁵.

თავის ერთ-ერთ ნაშრომში ე. ხინთიბიძე დეტალურად გადმოგვცემს მეორე ეპისტოლის შინაარსს და განიხილავს მას, როგორც ბასილი დიდის ასკეტური თხზულებების „გრეელი წესების“ და „მოკლე წესების“ საფუძველს⁶, აგრეთვე აღნიშნავს, რომ „მრავალ ქართულ ხელნაწერშია შესული ბასილის ეპისტოლე გრიგოლის მიმართ (წერილი 2). ასეთებია: A 404, 820, 1101; H 622, 2853; S 54, ქუთაისის 431, ათონ 58 (ცაგ.) და სხვ. ბასილის ეს ეპისტოლე ექვთიმე მთაწმიდელს თავის თარგმნილ „ითიკაშიც“ შეუტანია (თავი 12). ამდენად, იგი მოიპოვება „ითიკის“ შემცველ ხელნაწერებშიც: A 100, 181, 394, S 376, იერ. 14 ათონის 49“⁷.

1978 წელს ივ. ლოლაშვილმა გამოსცა ამ ეპისტოლის ფრაგმენტები⁸, როგორც თვითონ მიუთითებს, ორი ხელნაწერის, A 181-ისა და A 292-ის მიხედვით⁹.

მეორე ეპისტოლის ქართულ თარგმანთან დაკავშირებით ჩატარებულ იკვლევას შედეგები საბოლოოდ ასე წარმოგვიდგება:

- ა) მეორე ეპისტოლის ქართული თარგმანი ეკუთვნის ექვთიმე ათონელს;
- ბ) იგი ჰომილეტიკური კრებულების კუთვნილებას წარმოადგენს. ეს ტექსტი თვითონ ექვთიმე ათონელს შეუტანია თავის მიერ თარგმნილ „ითიკაში“, თუმცა იგი გვხვდება სხვა ხასიათის ქართულ ხელნაწერებში.

ეს ეპისტოლე არ წარმოადგენს ჩვეულებრივ პირად წერილს. მას მტკიცედ გამიზნული, განსაზღვრული პრაქტიკული დანიშნულება აქვს და ხშირად გვხვდება არამართო წერილების შემცველ, არამედ ასკეტურ და ჰომილეტიკურ კრებულებში — როგორც ბიზანტიურ, ისე ქართულ ლიტერატურაში. მოცულობით შედარებით მცირეს, მაგრამ ასკეტთათვის განუზომელი მნიშვნელობის მქონე ნაწარმოებს ოდითგანვე უნდა მიეპყრო ქართველი მწიგნობარი ბერების ყურადღება. ჩვენ მიერ დამატებით გამოვლენილი მასალა ამის შესანიშნავ დადასტურებას წარმოადგენს.

სამეცნიერო ლიტერატურაში დღემდე მითითებული ამ წერილის შემცველი ხელნაწერები ჩვენ კიდევ რვა კრებულით შევავსეთ. მეორე ეპისტოლის ქართული თარგმანის სხვადასხვა რედაქციათა გამოვლენისა და შესწავლის შედეგად მისი შემცველი 22 ხელნაწერი სამად დაჯგუფდა.

⁴ კ. კეკელიძე, უცხო ავტორები ძველ ქართულ მწერლობაში, ტფილისის უნივერსიტეტის შრომებ, III, თბ., 1927, გვ. 110.

⁵ G. Peradze, Die alt-christliche Literatur in der georgischen Überlieferung, Oriens Christianus, III, 3—4 (1928—1929), S. 283.

⁶ ე. ხინთიბიძე, ბასილი კაპადოკიელის „სამოღვაწეო წიგნის“ ქართული რედაქციები, თბ., 1968, გვ. 28—30.

⁷ იქვე, გვ. 69—70.

⁸ ივ. ლოლაშვილი, ქართული წიგნისა და მწერლობის საწყისებთან, თბ., 1978, გვ. 40, 42.

⁹ იქვე, იხ. გამოყენებული ლიტერატურის მაჩვენებელი, გვ. 108.

I—H 622;

II—Jer 14; Ath 77; A 22, 100, 181, 232, 394, 404, 548, 927, 1101; S 54, 120, 376, 3661, 4806; H 906, 2350, 2853; ქუთ. 431.

III—A 292.

მეორე წერილის უძველეს ქართულ თარგმანს შეიცავს ასკეტური კრებული — H 622¹⁰ (X ს.). იგი აღწერილია არასრული სახით. მოგვიანებით მას შეუერთდა დანარჩენი ფრაგმენტები სხვა ხელნაწერებიდან. დღეს იგი აღწერილობასთან შედარებით ორჯერ უფრო სრულია. თუმცა, ამ ხელნაწერის არც აღწერილი ნაწილი არ იძლევა მისი შედგენილობის სრულ და ნათელ სურათს. ამაში დავრწმუნდით ჩვენთვის საინტერესო ტექსტთან დაკავშირებით: 70r-ზე (ვეყრდნობით აღწერილობისაგან განსხვავებულ, ახალ პავინაციას), რომლებზეც მთავრდება მეორე ეპისტოლის ტექსტი, ყოველგვარი გამოყოფის გარეშე, აღაარაფერს ვამბობთ სინგურზე, იწყება ჩვენთვის უცნობი, რომელიც თხზულება (თუ ფრაგმენტი) — „აღძრავა სიკბაუქისაჲ, ყრმანი იგი ბაბილოვნელთაჲ არიან, ესე იგი არს მონებაჲ ჯორცთაჲ...“ ეს ვითარება არ აისახა ხელნაწერის აღწერილობაში.

კრებული ძალზე დაზიანებულია. ამდენად, მისი გადაწერის ადგილისა და ზუსტი თარიღის დადგენა დიდ სიძნელეს წარმოადგენს. ფრანგი ქართველოლოგის B. Outtier-ს აზრით, აღნიშნული კრებული პალესტინური წარმოშობისაა, ხოლო ბასილის II ეპისტოლის ქართული ტექსტი არაბულიდან უნდა იყოს თარგმნილი.

შემდგომმა კვლევამ დაადასტურა ეს მოსაზრება. გამორიცხული არ არის, რომ არა მარტო ბასილის მეორე წერილი, არამედ მისი შემცველი მთელი ხელნაწერი არაბული დედნიდან იყოს თარგმნილი.

დღეს თითქმის შეუძლებელია დავადგინოთ, პალესტინის რომელ მონასტერში გადაიწერა ეს ნაკლები კრებული. მართალია, VIII—X სს-ში საბას ლავრაში „შეიძლება ითქვას, დუღდა ქართველების ნამდვილი ინტენსიური ლიტერატურული შემოქმედება“¹¹, მაგრამ ამავე პერიოდში არაერთი მნიშვნელოვანი ძეგლი დაიწერა მეორე მონასტერში — ზალავრაშიც.

მეორე წერილის უძველეს არაბულ ტექსტს შეიცავს სამეცნიერო წრეებში ფართოდ ცნობილი ხელნაწერი — *Strasbourg arabe 151*¹², გადაწერილი საბაწმიდაში 885 წელს. მაგრამ აღნიშნული წერილის ბოლონაკლები ტექსტი არ უნდა წარმოადგენდეს სრული ქართული თარგმანის დედანს¹³.

¹⁰ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (H) კოლექცია, შედგენილია და დასაბუქდად მომზადებული ლილი ქუთათელაძის მიერ, ტ. I, თბ., 1951, გვ. 96—97.

¹¹ კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბ., 1960, გვ. 91.

¹² ხელნაწერი აღწერილია: J. Oestrop, Über zwei arabische Codices sinaitici der Strassbourger Universitäts und Landesbibliothek, Zeitschrift der Deutschen Morgenländischen Gesellschaft, 51 (1897), S. 453—473; ამ კრებულთან დაკავშირებით იხ.: G. Garitte, Homélie „Sur la mort et le diable“ Version géorgienne et version arabe, Le Muséon, 1969, LXXXII, 1—2, p. 123—163; B. Outtier, Les Enseignements des Pères, un recueil géorgien traduit de l'arabe, Bedi Kartlisa, Revue de Kartvélogie, vol. XXXI, Paris, 1973, p. 36—47.

¹³ არაბულ ტექსტს მთლიანად აკლია ე. წ. ბოლოსიტყვაობა და რამდენიმე სტრიქონი ტექსტს. ამ ნაწილის შემდეგში დაკარგვა გამორიცხულია, რადგან ნაკლებ ტექსტს უშუალოდ მისდევს მომდევნო თხზულება.



ამ იშვიათი ქართული კრებულის საფუძვლიანი აღწერა, შესწავლა და მოცემა პალესტინაში მოღვაწე ქართველ მთარგმნელთა და მწიგნობართა ლიტერატურული მოღვაწეობის კიდევ ერთ მნიშვნელოვან ფურცელს გადაშლის.

მეორე წერილის პრაქტიკულმა დანიშნულებამ და ქართული თარგმანის არაბულმა წარმომავლობამ განაპირობა მისი მეორე ოსტატურად შესრულებული თარგმანი. ოსტატის ხელი არ აკლია არც პირველს, მაგრამ ეპოქა მოითხოვდა და ბუნებრივია, „ბერძნებისა შვილის შვილსა, ნუჟუყუე და არა უეჭუელსა, თუ უეჭვი და საკუთარი შვილი“ არჩიეს. ეს თარგმანი შესრულებულია ბერძნული ენიდან X—XI სს. მიჯნაზე ექვთიმე ათონელის მიერ. ჩვენამდე მოღწეულ ხელნაწერთა უდიდესი ნაწილი (II ჯგუფი) სწორედ ექვთიმე ათონელის თარგმანს შეიცავს.

ამ ტექსტის შემცველი უძველესი ქართული ხელნაწერიც (A 1101) ასკეტური კრებულია¹⁴, რომელიც ათონის მთაზე, ღმრთისმშობლის მონასტერშია გადაწერილი არსენ გოგოფას მიერ. მოგვიანებით აღნიშნული ეპისტოლე დამკვიდრდა, როგორც პომილეტიკურ, კერძოდ, „ითიკისა“ და „სუფევის“ ხელნაწერებში, ასევე კანონიკურ და აგიოგრაფიულ კრებულებში.

როგორც ხელნაწერებიც მოწმობს, ექვთიმე ათონელის ნაღვაწმა განდევნა ამ ეპისტოლის უძველესი ქართული თარგმანი. ექვთიმეს მიერ ამ წერილის თარგმნის ფაქტი არასოდეს ყოფილა ეჭვქვეშ, ამიტომ უჩვეულოდ გვეჩვენა, როდესაც მეორე ეპისტოლის ქართულ თარგმანს ექვთიმესეული დასაწყისით წავაწყდით ეფრემ მცირის მიერ თარგმნილ თხზულებათა კრებულში — A 292 (XVIII ს.)¹⁵.

ერთი თვალის გადავლებითაც კი აშკარაა, რომ ეს ტექსტი წარმოადგენს ექვთიმე ათონელის თარგმანს, შევსებულს და შესწორებულს ეფრემ მცირის მიერ. ამ რედაქციის ეფრემისადმი მიკუთვნება შემდეგმა ფაქტორებმა განსაზღვრა: ა) აღნიშნულ ტექსტს შეიცავს მის მიერ თარგმნილი კრებული; ბ) ეფრემი არაერთხელ იქნა „შემჩნეული“ ამგვარ საქმიანობაში ექვთიმეს თხზულებათა მიმართ; გ) ეფრემს, რომელმაც თარგმნა ბასილი დიდის „ასკეტიკონი“ (A 689, 132), საფუძველი ჰქონდა დაინტერესებულიყო ამ ასკეტური წერილითაც.

მეორე წერილის ორი უკანასკნელი რედაქციის შედარება ამ დიდი მოღვაწეების არაერთხელ დახასიათებული მთარგმნელობითი მეთოდის ნათელ სურათს იძლევა. ჩვენ აქ საქმე გვაქვს იშვიათ და ამავე დროს ისეთ ბედნიერ შემთხვევასთან, როდესაც ერთსა და იმავე ტექსტში ნათლად გამოიკვეთა მათი სხვადასხვა პოზიცია და მიდგომა სათარგმნი მასალისადმი. დღეს არავისთვის არ არის საიდუმლო, თუ როგორ რეაქციას იწვევდა ეფრემის ამგვარი საქმიანობა მის თანამედროვეებში. იგი „შიშით და ძრწოლით“ იმართლებდა თავს და „მეორედ თარგმნის კანდიერებისათვის“ შენდობას სთხოვდა მკითხველს და უფალს.

¹⁴ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერები (A კოლექცია), ტ. IV, შეადგინა ქრისტინე შარაშიძემ, თბ., 1954, გვ. 66—76.

¹⁵ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექციისა, ტ. I, შეადგინეს და დასაბუქად მოამზადეს თ. ბრეგვაძემ, მ. ქავთარიამ, ლ. ქუთათელაძემ. თბ., 1980, გვ. 183—191.

ცდილობდა რა სხვადასხვა გზებით თანამედროვეთა რისხვის აცილებას, ეფრემი მეთოდურად განაგრძობდა საქმეს, რასაც მეცნიერის კეთილშინაობა ეწევა და დიდი ფილოლოგიური ცოდნა კარნახობდა. ამიტომ მის მიერ თარგმნილ თხზულებათა ანდერძ-მინაწერებში იგი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ კადნიერებისაგან შორს არის და თავის გამოჩენა კი არ სურს (ჩანს ეს იყო ერთ-ერთი ბრალდება), არამედ სიმართლეს ემსახურება¹⁶. ეფრემს შემწეობისათვის და საკუთარი ნაზრების გასამართლებლად ანტიოქიის პატრიარქისათვისაც კი მიუმართავს, რომ არაფერი ვთქვათ სხვა განსწავლულ ბერძენ და ქართველ მამებზე, და ისე აღდგომა წინ ექვთიმეს უდრეკ ავტორიტეტს¹⁷.

ეფრემი მეცნიერია. მას შესანიშნავად აქვს გააზრებული როგორც თარგმნილი ლიტერატურის ნაკლოვანი მხარეები, ისე მათი გამომწვევი მიზეზები, ამდენად, მის წინამორბედთა ნაღვაწის მისეული შეფასება უტყუარი და ექვთიმუტანელია. საგანგებოდ აღნიშნავს ეფრემი იმ შემთხვევებს, როდესაც წმიდა მამა ექვთიმე ქართველებს „სძითა ზრდიდა და მხლითა“ და „სიტყუა სიმოკლე... განავრცის ლიტონისა ერისათს“¹⁸.

კონკრეტულ შემთხვევაში ექვთიმეს თარგმანის სახით ჩვენ საქმე გვაქვს სწორედ ტექსტის შემოკლებასთან, რის გამოც თარგმანს სრულიად სამართლიანად მიუქცევია ეფრემის ყურადღება.

ბასილის მეორე ეპისტოლის ექვთიმესეული თარგმანისა და ეფრემის რედაქციის შედარება მოწმობს, რომ თარგმანის პრინციპების თვალსაზრისით ეფრემის მიერ გამოჩენილი ინიციატივა მეცნიერულად ყოველმხრივ გამართლებულია. ამ შემთხვევაში ეფრემ მცირე წარმოგვიდგება ისეთივე მოწინავე მეცნიერული შეხედულებების მატარებლად, რომლებმაც თავის დროზე ქართველი მწიგნობრები აიძულეს ავტორიტეტებზე მალა მშობლიური მწერლობის ინტერესები დაეყენებინათ და უშუალოდ მისულიყვნენ ბერძნულ ორიგინალებთან, სწორედ შეეფასებინათ დიდი წინაპრებისაგან მიღებული ლიტერატურული მემკვიდრეობა.

საინტერესოა ის გარემოებაც, რომ ბასილის მეორე წერილის ექვთიმესეული თარგმანის ზოგიერთი ფრაგმენტი ლექსიკური მასალის მსგავსების თვალსაზრისით ძალიან გვაგონებს არაბულიდან მომდინარე ქართული თარგმანის შესაბამის ადგილებს. ხოლო ერთ შემთხვევაში ექვთიმე პირდაპირ სცილდება ბერძნულ ორიგინალს და მიჰყვება ძველ ქართულ თარგმანს¹⁹.

ძვ. თარგმანი

ექვთიმეს თარგმანი

„და კუალად საკმელიცა ვგრევე, რაჲზომ კმა-გეყოფოდის, პური და წყალი, რაჲზომ ეყოფოდის გუამსა მრთელსა და ყოველივე, რაჲცა იყოს მხალთაგანი, გინა ცერცუთაგანი, საზომითმცა არს საგმარი ოდენ ჰორცთაჲ...“ (H 622, 69r).

„ეგრეთვე საზრდელად პური ოდენმცა აღასრულებს საგმარსა ჩუენსა და წყალიმცა არს სასულმად ჩუენდა და უფრომად მრთელთა გუამითა, ანუ თუ მხალთაგან ოდენ და ცერცუთაგან ნუგეშინის-ვიცემდეთ ოდესვე“ (A 1101, 247r).

¹⁶ რობერტ ბლეიკი, ეფრემ მცირის ლიტერატურული მოღვაწეობიდან, მიომბილ-ველი, ტ. I, თბ., 1926, გვ. 168.

¹⁷ იქვე, გვ. 169.

¹⁸ იქვე, გვ. 169.

¹⁹ ამ შემთხვევაში ექვთიმეს თარგმანზე ჩვენ არც განსხვავებული ბერძნული დედნის გავლენას გამოვრიცხავთ.



ბერთათვის საკვებად ცერცვთან ერთად მწვანილეულის, ანუ ფხალეულის გამოყენებაზე მიუთითებს არაბული ტექსტი და მისგან მომდინარე ქართულთა თარგმანი, მაშინ როდესაც ამის შესახებ სრულიად არაფერია ნათქვამი ბერძნულ დედანში.

აქვე დავძენთ, რომ მეორე წერილის ეფრემისეული რედაქციის ერთი ფრაგმენტი ასევე ძალიან გვაგონებს შესაბამის ადგილს ძველი ქართული თარგმანიდან:

ძ.გ. თარგმანი

ეფრემის თარგმანი

„...ნუ პრცხუნის სწავლად და ასწავებდეს უშურველად...“ (H 622, 67 v).

„...ურცხვენელად ისწავებდეს, და უშურველად ასწავებდეს...“ (A 299, 336).

საფუძველმოკლებული არ უნდა იყოს ჩვენი ვარაუდი იმის შესახებ, რომ წინათონურ პერიოდში პალესტინაში არაბული ენიდან პროფესიული ოსტატობით შესრულებულ მეორე ეპისტოლის ქართულ თარგმანს იცნობდნენ როგორც სირიაში, ისე ათონზე და მთარგმნელობითი მუშაობის პროცესში მას იყენებდნენ ისეთი დიდი მოღვაწეები, როგორებიც იყვნენ ექვთიმე ათონელი და ეფრემ მცირე.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ დავასკვნით: ქართულ ენაზე არსებობს მეორე ეპისტოლის არა მხოლოდ ერთი თარგმანი, შესრულებული ექვთიმე ათონელის მიერ, არამედ მისი ორი დამოუკიდებელი თარგმანი და ერთიც რედაქცია²⁰.

1. პირველი თარგმანი შესრულებულია პალესტინაში, არაბული ენიდან, VIII—X სს-ში ანონიმის მიერ.

2. მეორე, თარგმნილია ბერძნულიდან ექვთიმე ათონელის მიერ X საუკუნის ბოლოს.

3. მესამე რედაქცია წარმოადგენს ეფრემ მცირის მიერ ექვთიმე ათონელის თარგმანის შევსებულ-შესწორებულ ტექსტს. იგი უფრო სრულია და აზლოს დგას დედანთან. ეს რედაქცია უნდა ჩამოყალიბებულიყო XI საუკუნეში შავ მთაზე, სადაც უხდებოდა მოღვაწეობა დიდ მთარგმნელსა და ფილოლოგს.

მეორე წერილის სამი თარგმანი, შესრულებული სხვადასხვა დროს და სხვადასხვა სამწერლობო ცენტრებში, მისით ქართველ მწიგნობართა დიდ დაინტერესებაზე მიუთითებს. ექვთიმეც და ეფრემიც უნდა იცნობდნენ არაბულიდან მომდინარე ძველ ქართულ თარგმანს, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია მათთვის, ამავე ეპისტოლის დამოუკიდებელი თარგმანი თუ რედაქცია შეექმნათ.

²⁰ ინტერესი ბასილის მეორე წერილისადმი XIX ს-შიც არ შენელებულა. ამას მოწმობს მისი ფრაგმენტის ქართული თარგმანი, რომელიც რუსული ენიდან უნდა იყოს შესრულებული (იხ.: A 820, გვ. 3—5). ეს გვიანდელი ტექსტი ჩვენი კვლევის საგანი არ გამხდარა.



ГРУЗИНСКИЕ ПЕРЕВОДЫ ВТОРОГО ПОСЛАНИЯ ВАСИЛИЯ КАППАДОКИЙСКОГО

Резюме

Во втором Послании Василия Каппадокийского, адресованном Григорию Богослову, вкратце изложены его основные аскетические воззрения. На грузинском языке существуют три редакции этого послания, из которых две являются самостоятельными переводами.

Первый перевод, дошедший до нас в единственном аскетическом сборнике X века, палестинского происхождения, исполнен с арабского языка анонимным переводчиком.

Второй перевод сделан с греческого языка Евфимием Атонели в конце X века. Древнейший список, содержащий его (A-1101), представляет собой также аскетический сборник.

Третья редакция является переводом Евфимия Атонели, дополненным и исправленным Ефремом Мцире. Он более полный и ближе к греческому оригиналу.

რუსულან გვარამია

ბასილი კაკაბოკიელის მეორე ეპისტოლის არაბული ვერსია და მისი მიმართება აღრეულ ქართულ რედაქციასთან

ბასილი კაკაბოკიელის მეორე ეპისტოლე, მიწერილი გრიგოლ ნაზიანზელისადმი, შემოგვინახა მრავალმა ქართულმა ხელნაწერმა. მათ შორის, როგორც ეს ნ. ქაჯაიას ზემოგამოქვეყნებულ წერილშია აღნიშნული, გამოიყოფა სხვადასხვა რედაქციები, რომელთაგან უძველესი და სრულიად განსხვავებულია ხელნაწერში H 622 (X ს.) დაცული ტექსტი. ეს რედაქცია მნიშვნელოვნად სხვაობს ბერძნულისაგან და მისგან მომდინარე სხვა ქართული თარგმანებისაგან. მსგავს დაცილებათა შემთხვევაში კი, ყ. გარიტის სიტყვები რომ გავიმეოროთ, ქართული ტექსტის წყაროდ სხვა შუალედური თარგმანი ხდება სავარაუდო¹. ასეთ შუალედურ თარგმანად ბ. უტიემ კერძო წერილში ივარაუდა არაბული და მოგვაწოდა კიდევ ბასილის მეორე ეპისტოლის არაბული ტექსტის ფოტოპირები, დაცული სტრასბურგის ხელნაწერში Stras. ar. 4226. ჩვენ სასიამოვნო მოვალეობად მიგვაჩნია დიდი მადლობა გადავუხადოთ პატივცემულ მკვლევარს და ფაქტიური მასალის განხილვისა და მოწოდების საფუძველზე დავადასტუროთ მისი ვარაუდის სისწორე.

სტრასბურგის ხელნაწერი Stras. ar. 4226 (მისი მეორე ნომერია 151) მეცნიერებაში ცნობილია ი. ოესტროპის ვრცელი აღწერილობით². მაგრამ ეს ხელნაწერი არ არის სრული. იგი აღმოჩნდა ნაწილი ვრცელი შერეული სახის კრებულისა, რომლის ერთი ნაწილი დაცულია ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკაში—Ap. H. C. 263³, მეორე ნაწილი კი ბირმინგემში—Mingana christ. ar 99⁴. აღნიშნული კრებული ძალზე ფასეულია. იგი შეიცავს ქრისტიანული არაბული მწერლობის მრავალ საყურადღებო ძეგლს და წარმოადგენს უძველეს თარიღიან ქრისტიანულ არაბულ ხელნაწერს. იგი გადაწერილია საბას ლავრაში 885-886

¹ G. Garitte, La version géorgienne de la vie de s. Cyrillique par Cyrille de Scytopolis, Le Muséon, LXXV, 3-4, 1962, p. 402.

² J. Oestrop, Über zwei arabische Codices sinaitici der Strassburger Universitäts- und Landesbibliothek, ZDMG, 51, 1897, S. 453—473.

³ ხელნაწერი შეიცავს ნიკოდიმოსის სახარების ტექსტს და გამოცემულია ე. კრაჩკოვსკის მიერ ი. ბ. И. Крачковский, Новозаветный апокриф в арабской рукописи 885—886 года по Р. Хр., Византийский временник, XIV, В. 2—3, 1908, с. 246—275.

⁴ კრებულის რეკონსტრუქციისა და მისი სხვა შემადგენელი ნაწილების შესახებ იხ. G. Garitte, Homilie „Sur la mort et le diable“, version géorgienne et version arabe, Le Muséon, LXXXII, 1—2, 1969, p. 123—137. J. M. Sauge, Le dossier Ephrémien du manuscrit arabe Strasbourg 4226 et de ses membra disiecta, Orientalia Christiana Periodica, XLII, fasc. II, 1976, p. 426—458.



წლებში ამ სკრიპტორიუმიდან გამოსული ნუსხებისათვის დამახასიათებელი ხელით⁵. ხელნაწერი ფასეული ჩანს ქართული კულტურის ისტორიისათვის. ბ. უტიე, როდესაც ადგენდა ქართული პატრისტიკული კრებულის ე. წ. „მამათა სწავლანის“ არაბულ წარმომავლობას, შესადარებელ მასალად სხვა არაბულ ნუსხათა გვერდით იყენებდა სტრასბურგის ხელნაწერსაც⁶. ამჟერადაც ეს ხელნაწერი ბასილი კაპადოკიელის მეორე ეპისტოლის ადრეული ქართული რედაქციის წარმომავლობის რკვევის საშუალებას იძლევა.

სტრასბურგის ხელნაწერში ბასილის მეორე ეპისტოლეს უჭირავს გვერდები 23r—27r. არაბული ტექსტი ბერძნულის ზუსტი მიდევნებით არ ხსიათდება. როგორც ჩანს, მისი მთარგმნელი რამდენადმე თავისუფლად ეკიდებოდა დედანს. ქართული თარგმანი ასევე ცილდება ბერძნულ ტექსტს და საოცარი სიზუსტით მიყვება არაბულს. ეს არის ნიმუში დედანის სკურპოლოზური გააზრების და გადმოღებისა. აქ დასტურდება თითქმის ზუსტი ფრაზოლოგიური შესატყვისები, უმეტეს შემთხვევებში დაცულია სიტყვათა რიგი, ზუსტადაა გადმოსული არაბული ნაწილაკები, კავშირები, ზმნისზედები. ყოველივე ეს დადებითად არ ისახება ქართული ტექსტის კეთილხმოვანებაზე. ხშირად ამ სიზუსტეს თხრობის სილამე და ბუნებრიობა ეწირება, ზოგჯერ მასში არაბული სინტაქსური კონსტრუქციების გავლენა იგრძნობა. მაგალითად, ტიპური არაბული ძღერადობა აქვს შემდეგ ფრაზას: „და აგრეთვე სულსა ვერ შემძლებელ ხარ დადებად მას შინა საქმეთა დიდებულთა“ 63v—64v შდრ. *كذلك النفس لا تستطيع اني تضع فيا* 24r *الامور الشريفة*. არაბულში ეს არის ე. წ. ყალბი ქვემდებარის წინ წამოწევის შემთხვევა. შესაბამის ბერძნულ და მისგან მომდინარე მეორე ქართული რედაქციის ტექსტებში სულ სხვა ქონსტრუქციაა: *οτι ε ψυχη δεχματα θετα παραθεομαι*, 158⁷—„აგრეთვე არცა სულსა შინა გამოისახვის სწავლად ღმრთისამიერი“ A 1101, 334v⁸.

არაბულის კალკი უნდა იყოს: „შენდა იყოს ესე, # მამათ პატრიოსანო, და სულისა თქუენისა ტუბილისაჲ“ 62r. შდრ. ერთის მხრივ, *فلك كان هذا يابون* 23r *ولنفسك الطيبة*. მეორე მხრივ კი—*σιν ην ηνωας εθ διασθημα και ηεις ηεις ψυχης* 156 და „ესე ჭეშმარიტად შენი იყო გულისკმის-ყოფაჲ და ღირსი შენისა მაგის კეთილისა სულისაჲ“ A 1101, 243 r.

ძალზე სიმპტომატურია ქართული ფრაზების ხშირი დაწყება „ხოლო“ ფორმით, რაც არაბული *la* ნაწილაკის შესატყვისია. „ხოლო რომელსა ვიდრე მოაქამდე ცოლი არა ესუას“.. 63r — *فاما الذي حتى الان لم يتزوج*, 23r, „ხოლო მე რამეთუ მრცხუნენის მოწერად თქუენდა“... 62r— *فاما انا فاني استحي* 23r *اكتب ايك* და ა. შ.

შემთხვევითი არ უნდა იყოს არაბული პარტიტიული *من* ნაწილაკის შესაბამისი ფორმები: „არა შეუტდეს საგრძნობელთა გუამისითა რაჲმე შფოთთაგანი ამის საწუთროდსანი“ H 622, 65 r შდრ. *ولم يدخل عليه حسوس الجسد* 24 v *شئ منى مجسس العالم*. „ეყოფოდის გუამსა ყოველივე, რაჲცა იყოს მხალ-

⁵ ხელნაწერის ანდერძი დაცულია ლენინგრადულ ნაწილში. აქვეა დასახელებული გადამწერიც — ანტონ ბაღდადელი დავუდ იბნ სინა, რომელსაც ხელნაწერი გადაუწერია სინას მთისთვის იქ მოღვაწე აბბა ისაკის თხოვნით. იხ. ე. კრაჩკოვსკის დასახ. გამოცემა, გვ. 261.
⁶ B. Outtier, Les Enseignements des Pères, Un recueil géorgien traduit de l'arabe, Bedi Kartlisa, Revue de Kartvélogie, XXXI, 1973, p. 36—47.
⁷ Stig I. Rudberg, Études sur la tradition manuscrite de saint Basile, Lund, 1953.
⁸ ეს თარგმანი ეკუთვნის ეფთვიმე ათონელს.



თ ა გ ა ნ ი , გინა ცერკუთა გ ა ნ ი“ H 622, 69r — كل ما كان ... من البقول والحبوب 26v
 ტად არის ვადმოცემული, მაგრამ ზოგჯერ, როგორც ჩანს, მათი ცალკეული ნიუ-
 ანსების გაუთვალისწინებლობის შედეგად აზრობრივად რამდენადმე გაუმართავ
 ფრაზებსაც ვხვდებით, ასე მაგალითად: „ხოლო რომელსა ვიდრე მოაქამომდე
 ცოლი არა ესუას, რამეთუ ეგვეითარი ბრძოლასა შინა არს გულის-თქუმათა
 ძალისა თვისისა“ H 622, 63r — فما الذي حتى الآن لم يتزوج فانه في 23v
 „რამეთუ“-ს ნაცვლად უნდა იყოს „იგი კი ჭეშმარიტად“. فانه,
 რასაკვირველია, ითარგმნება, როგორც „რამეთუ“, მაგრამ ამ შემთხვევაში
 ს. ნაწილაკთან კავშირში იგი ზემომოტანილ თარგმანს საჭიროებს, რასაც კონ-
 ტექსტიც მოითხოვს.

არაბული ტექსტის ზოგიერთა უხერხული ფრაზა ქართულშიც ასევეა გად-
 მოსული, მაგ.: „არა ეგრე გეტყვ, ვითარმედქ განცხრომილ იყო და არცა სიტ-
 ყუთა ცუდთათა ტკბილ“ H 622, 67v. შდრ. ليس اعنى لك ان تكون 25v
 — مزوج ولا حلوة الكلام الباطل „არ ვვარაუდობ შენს მიმართ, რომ იქნები განზე
 განდგომი და არც სიტყობება ფუჭი სიტყვებისა“. ბერძნულში და სხვა ქართულ
 რედაქციაში განსხვავებული ვითარებაა: εἰς πρῶτης ἰστορίας ἐν ταῖς ἐπὶ ταῖς
 ἑξ ἑξῆς βιβλίοις 164 — „ამას თანა კეთილად მომკითხველ იყავნ შემთხვევათა
 შინა და ტკბილ თანა-ზრახვათა შინა“ A 292, 336⁹. ანდა კიდევ: „...მსგავსად
 კაცისა, რომელსა ჰნებავნ დაწერაჲ წიგნისა ახლისაჲ წერილისა ზედა ძუელსა
 ცკლ-ფიცარსა“ H 622 63v. შდრ. مثل انسان يريد ان يكتب كتاب جديد على 24r
 „მსგავსად კაცისა, რომელსაც უნდა დაეწერა ახალი
 წიგნი ძველ წიგნზე ფიცარში, რომელშიაც ცვილია“. სრულიად ადექვატური
 ფრაზებია, მხოლოდ არაბული აღწერითი ფორმის ნაცვლად „ფიცარი, რომ-
 ელშიც ცვილია“, ქართველ მთარგმნელს მოხერხებულად უხმარია „ცკლ-ფი-
 ცარი“. ბერძნული და ექვთიმეს რედაქცია ამ შემთხვევაშიც სხვაობენ მოტა-
 ნილი ტექსტებისაგან. შდრ. οὕτως ὡς ἐν κτηρῶν ἰστορίαις διαταχόν, καὶ προσαταλαξ-
 νάμεν τὰς ἐναποκαλεσθεῖσας χαρακτῆρας 158 — „რამეთუ არცა ცკლსა ზედა
 გამოსახვის წერილი ბეჭდისაჲ, რომელსა ზედა სხუაჲ ბეჭედი დაბეჭდილ არს,
 ვიდრემდის არა პირველი იგი აღიჯოცის სრულიად“ A 1101, 244 r.

არაბულ ტექსტში ხშირად დასტურდება ბერძნულისაგან განსხვავებული
 ცალკეული დეტალები. ეს დეტალები ქართულ თარგმანში ყოველთვის ასახულია,
 მაგალითად: ბერძნული ტექსტით ბასილი ბერებს ურჩევს, რომ ჭამის დროს
 ღორმუცელობა არ გამოამჟღავნონ — εἰς τὴν ἑξῆς καὶ ἰστορίας χαρακτῆρας
 εἰσὶν 166 — „ხოლო ჭამაჲ ნუმცა ნაყროვნებით არს“ A 1101, 247. ხოლო
 არაბულ და მისგან მომდინარე ქართულ ტექსტში შემოტანილია შედარება —
 ბერის ჭამა ძაღლის ჭამას არ უნდა ემსგავსებოდეს: واذا كان يأكل لا يكون 26v
 — طعامه واكله بكل 26v H 622, 69 r.

ბერძნული ტექსტის მიხედვით, ბასილი ბერთათვის განკუთვნილ საკვე-
 ბადჯასახელებს მხოლოდ მოხარშულ მცენარეულ თესლს. არაბულ ტექსტში ამას
 ემატება სამონასტრო ცხოვრებაში დამკვიდრებული მწვანელიულობაც 26 v—

⁹ ეს არის ეფრემ მცირეს რედაქციის ტექსტი.

من القول, რაც ქართულში შესაბამისადაა ასახული: „მხალთაგანი“ H 622, 69 r. ბერძნულში ნათან წინასწარმეტყველის სახელის მოხსენიების გარეშე მართლაც ტანილია მასთან დაკავშირებული ეპიზოდი. არაბულ და ქართულ ტექსტებში ამ წინასწარმეტყველის სახელი ფიგურირებს და სხვ.

ქართულში ზუსტად არის თარგმნილი ცალკეული არაბული გამოთქმები, რომელთაც ბერძნულ ტექსტში არ ეძებნებათ შესატყვისი: 24 v حس وس الجسد — „საგრძნობელი გუამისა“ H 622, 65r; 25 r بيت الطب — „სახლი სამკურნალოა“ H 622, 65 v; 25 r انزل به الدنا لم تجد — „ჰპოო იგი ვერ შერყეული სოფლისა მიერ“ H 622, 66r.

ქართული ტექსტის დაცილებები არაბულთან უმნიშვნელოა. გვხვდება მცირე შემთხვევები მატებისა, რაც აშკარად აზრის გამოკვეთისა და გაცხოველებისათვის არის გამიზნული. მოვიტანთ ორიოდ მაგალითს.

سكوت الليل وخالوته تصفى النفس

26 v

„...ყუდროება ღმრისა და ზოცაღობა მისი განსწმედს გონებასა და განანათლებს სულსა...“ H 622, 69v.

ქართულში დამატებულია „განანათლებს გონებასა“.

فاذا هو يعلم من اخر شي

25 v

„და რაჟამს ისწავლოს მან საქმე, ანუ კელი სხვსაგან...“ H 622, 67v.

„ანუ კელი“ ქართველი მთარგმნელის დამატებულია. ერთადერთი მნიშვნელოვანი განსხვავებაა უკანასკნელი აბზაცი, რომელიც მხოლოდ ქართულ ტექსტში ჩანს: „და წესი დაუდვის აღთქმისაჲ, რაჲთა არღარა მისდრკეს ზოროტთა მიმართ და ითხოვნ ღმრთისაგან შეწვენასა, რაჲთა აღუსრულოს საქმე იგი, რომელსა იწყო ყოფად. ამიერითგან შეიკრძაღე კრძალულად განგებითა შენითა კეთილითა და სიტყუთა შენითა სიმართლისაჲთა და საქმითა შენითა საღმრთოთა და რაჲთა მორჩილ იყო ყოველსა ჟამსა ქუეშე მკლავთა მათ მეცნიერებისა ღმრთისათა“ H 622, 70r.

კლების ნიმუშები თითქმის არ დასტურდება. ორიოდ შემთხვევაში ვხვდებით აზრის რამდენიმე განსხვავებულ გადმოცემას, რომელთაგან ყველაზე უფრო ხელმოსაყილია შემდეგი ადგილი:

ويتم ايضا يتحفظ امراته
وبالقيام على عبده ويشجب
الجيران وبالخصومات عند
السلطين وبالشدايد عند
الكسب و بفلاحة الارض

23v

და ზრუნავს აგრეთვე თავისი ცოლის დაცვისათვის და თავის მსახურებზე ზემდგომობისათვის და აღულებს მეზობლებს დავით ხელისუფალთა წინაშე და შეჭირებით (რაიმეს) შექმნის და მიწის დამუშავებით.

„...და ზრუნავს კუალად პურობისათვის ცოლის თვისა და სახლისა თვისა და გულსცლებას არნ დაჭირებულთათვის, რომელი-იგი შეემთხვევის მას და შეშფოთნის მიცემას და მიღებას შინა და განარისხებნ მეზობელთა და ერჩინ გელმწიფეთა წინაშე და გულსცლებას არნ დაჭირთა შინა, რომელი-იგი შეემთხვევის შეძინებისათვის და გულსა ზრახვენ ქუეყანასა შრომისათვის.“ H 622, 63r.

აღნიშნული და მათი მსგავსი განსხვავებები ცოტაა. სიახლოვე კი იმდენად დიდია თითქმის ყოველ ფრაზასა და დეტალში, რომ ქართული ტექსტის ბუნებრივი წარმომავლობა ეჭვს აღარ იწვევს. ამის ყველაზე ნათელი დადასტურება იქნება არაბული ტექსტის გაცნობა ქართული ტექსტის პარალელურად¹⁰, რის გამოც ჩვენ მიზანშეწონილად ჩავთვალეთ ამ ძნელად ხელმისაწვდომი არაბული ტექსტის გამოქვეყნება¹¹. ჩვენ თავისუფლად შეგვეძლო გვევარაუდა, რომ სწორედ ეს 885—886 წლების საბაწმინდური არაბული ნუსხა წარმოადგენდა დედანს X ს-ით დათარიღებული ქართული პალესტინური ტექსტისათვის. აქ ერთადერთ დაბრკოლებას ქმნის ქართული ტექსტის ზემომოტიანილი აბზაცი. მაგრამ ვარაუდი, ალბათ, არც აქ არის გამორიცხული. შესაძლოა იგი სხვა არაბული ხელნაწერიდან იყოს შევსებული. ანდა, თუ დავუშვებთ, რომ ქართული ტექსტი მთლიანად სხვა არაბული ნუსხიდან ითარგმნა, მაშინ ეს ნუსხა ძალიან ახლოს უნდა მდგარიყო სტრასბურგის ხელნაწერთან. მნიშვნელოვანი კი მაინც ის არის, რომ დროთა განმავლობაში იზრდება რიცხვი არაბულიდან ქართულად ნათარგმნი თხზულებებისა, რაც IX—X სს. პალესტინაში ქართველთა და არაბულენოვან ქრისტიანთა ინტენსიური ლიტერატურული კონტაქტების საბუთი ხდება.

هذا كلام مار باسيليوس القديس وتعليمه (23r)

مار باسيليوس كتب جواب صحيفة الى مار غريغوريوس يقال له عرفت شبك من صحيفتك كما يعرف الرجل شبه صديقه من ولده فاما ما زعمت بانك ما تقدر ان تشاق نفسك بان تكون معنا من قبل ان نصف لك سيرة هذا الامر الذى نحن فيه من حال الرهبانية فلك كان هذا يابونا ولنفسك الطيبة الذى قد رفضت بكل شى من امور الدنيا منجل نعيم الاخرة فاما انا فانى استحي اكتب اليك سيرتى فى هذا البرية الليل والنهار لانى تركت المدينة ومرتبتي فيها منجل الاف علل شر فاما نفسى من العادة اسو لم استطيع اتركها و لاكن شئت قوم ركبو سفينة ولم يكون لهم عادة فى ركوب البحر فاخذهم الميد فبدوا ان ياتون بالعله على السفينة بان الفثيان انما يتحول عليهم منها ثمرة يطلعون الى فوق ومرة ينزلون الى اسفل فحيثما ذهبوا حركت عليهم مرتهم وغثية انفسهم كذلك ايضا اصابنى صارت اوجاعى تلحقنى فى كل موضع وسجسسا وحزنها فاذا انا على هذا الحال فما تنفعنى البرية فقط لان الذى يطلب هذا الشى الشريف ينبغى له ان يحتدى بانار سيدنا (23v) المسيح الذى هو مبدأ خلاصنا كما قال فى الانجيل كل من اراد ان يلحقنى فيكفر نفسه وياخذ صليبه و يلحقنى¹² الذى اعنى بهذا ان يعتزل الانسان فى السكوت ويستعمل عقله فى الخلوّة بمرضاة المسيح مثل ان عبنى الانسان تتقلبا مرة الى اسفل ومرة الى وفق ولايستطيع

¹⁰ ქართული ტექსტის ყველა რედაქციას ახლო მომავალში გამოაქვეყნებს ნ. ქაჯია.

¹¹ მიღებული წესის თანახმად ტექსტს ვაქვეყნებთ შესწორებების გარეშე. იხ. ამის შესახებ ე. კრაჩკოვსკის რეცენზია P. Peeters-ის ნაშრომზე: Une version arabe de la Passion de sainte Cathérine d'Alexandrie, H. Ю. Крачковский, Избранные сочинания, I, 345. ასევე აქვს გამოქვეყნებული ე. კრაჩკოვსკის ამავე კრებულის მიხედვით ნიკოდიმოსის სახარების ზემოხსენებული ტექსტი: Новозаветный апокриф в арабской рукописи 885—886 года по P. Xp., с. 255—261.

¹² Matth. 16, 24.

ان يبصر الشئ الذى بين يديه كما يستقيم ان لم يصب بصره اليه كذلك عقل الانسان اذا
 لم يتزوج فانه في قتال شهوات كلبه واعشاق خبيثة تعريسه فاما الذى حتى الان
 وسجسه شئ اخر ان كان لم يرزق ولد فهو كما يستقيم مهم لكيما يرزق الولد وان كان له
 ولد فهو مهم كيف يعوله ويهتم ايضا يتحفظ امراته وبالقيام على عبيده ويشجب
 العجيران وبالخصومات عند السلاطين والشدايد عند الكسب وبفلاحة الارض فكل
 يوم فى الدنيا فهو يحده...¹³ هم وسجس فعلى قدر ذلك تكون لياليه وسجس
 نهاره تستعجسه اوجاعه بالاحلام والريا وعلى قدر ما يكون نهاره فعلى قدر ذلك
 تكون احلامه فى ليلة فخصلة واحدة تقطع هذا كله الفرار من العالم فالفرار من العالم
 ليس هو ان تصير جسدك خارج من العالم ولاكنه تستاصل عنك رحمة جسدك
 وتصير بلا (24r) مدينة ولا (sic) بيت وبلا اهل وبلا حب صاحب وبلا قنيان وبلا
 تعلم شئ من امور الناس وتبهي قلبك ان يقبل المشايبة التى تتعلم من كتاب روح
 القدس وتبويه القاب التى اعنت لك هى تنسا العادة السو القديمة التى تعلمت من
 امور الدنيا وتمحها عنك مثل انسان يريد ان يكتب كتاب جديد على كتاب عتيق
 فى لوح فيه قبر لا يستطيع ان لم يمحا قبلا (sic) العتيق كذلك النفس لا تستطيع
 ان تضع فيها الامور الشريفة الا ان تمحا العادة السو القديمة ومع هذا ايضا منفعة
 كثيرة وموازرة على الخير هى لنا البرية تسكن اوجاعنا وتحلها وتفرغ حتى نستاصلها
 من النفس كمثل السباع اذا كانت هاذية واخذها هين كذلك الشهوات والاعضاب
 والافزاع والاحزان التى ليس منجل الله التى هى سم النفس وشرها فان السكوت
 يسطيا ويظفيا اذا لم تكون تحرس بسجس العالم فقطعها هو بقوة المسيح هين
 فيكون الموضع مثل الموضع الذى نحن فيه خالى من خلطة الناس حتى لا يكون
 احد ممن يتردد الدنيا من برا يقطننا من طقس تعبنا وتعب العادة الذى يطلب منا ان
 يستعمل عقلك بافاكر الله الشريفة ايش فى الدنيا اطيب او اشرف او افضل من ان
 يكون انسان على الارض وطقسه يشبه طقس الملايكة ساعة ما يبدا النهار يشب الى
 الصلوة (24v) والتزمير يسبح خالقه فمن بعد ما تبسط الشمس ويضئ يضع فى
 العمل ومن الصلوة يعاقه مع العمل لا يبطل من التزمير بفسه لان الصلوة والتزمير
 مثل الملح يتبل به عمله وتفرح بذلك نفسك فالسكوت هو مبتدا تنقية النفس لا
 اللسان يجد ان يتكلم بكلام مع النفس ولا العينين يتبصر الى الامور التى ليس فيها
 منفعة ولا السمع يدخل فيه اصوات والحان تحريك الشهوات ولا كلام مزاح ولا ضحك
 الناس الذين هم بخاصة يطرودون نشاط النفس لان العقل اذا لم يتبدد ويتنزه فى ما
 يرا ولم يدخل عليه حسوس الجسد شئ من سجس العالم فانه يرتد الى نفسه ويطلع
 الى التفكير فى الله فيبجح ويضئ بتلك الزينة الشريفة حتى ينسا الانسان الطبيعة
 ويصير لا يشتهي طعام ولا يهتم بكسوة ولاكنه صار فارغ من الهموم الارضية كلها
 وانما جهاده وهمه كيف يقنتى امور الاخرة الشريفة وكيف يقوم الغفة
 والتحنين و الصدق والحلم وكل ما يولد من شرف الفضل ومن هذه الاربعة
 الاخصال التى منها يولد الفضل كله وطريق ايضا شريفة هى قراءة الكتب للذى
 يطلب ببلغ الامور الشريفة لانه فى قراءة الكتب تجد صفة الاعمال الشريفة وقصص
 الابا الطيبين كمثل صوار نفسانية تورينا مشايبة مرضاة الله بالاعمال (25r) الصالحة لكيما

13 რამდენიმე სიტყვა გადაშლილია.



کامل انسان ياخذ دوا من بيت الطب الذى يحتاج اليه وهو ناقصه فيقرأ ويلج به حتى يقنيه
فاما الذى يطلب العفة فيقرأ قصة يوسف فانه منها يتعلم العفة وتجد ان يوسف القديس
لم يضبط نفسه من الشهوات فقط الا وقد اقتنا مع ذلك الفضل والذى يريد ان
يتادب بالتحين فيقرأ قصة ايواب فانه يجده لم تزول به الدنيا فقط حتى صار مسكين
بعد الغنا وصار بلا ولد بعد كثرة الولد ومكث على حاله لم يتمسكن (sic) من هوا
الله ولا من حلم نفسه الا اصدقاءه الذين جئوا اليه بالمثل ليعزوه فبدل العزا زادوه
حزن فما اتعربس ولا... اتسجس وايضا تجعل بالك فانك تجد داود سهل كبير النفس
اما في الحية فيغضب على الخطية واما السهولة فيحتمل الناس بخاصة اعداء جبار
في الاعمال التى هي في رضا الله سهل لا يكافى الاعداء شر بدل شر كذلك ايضا
كان موسى يبحثى لله على الخطاة سهل قبل كل من كان يحزنه ويفترى عليه كمثل ما
ان المصور اذا اراد ان يصور صورة من صورته انه يردد بصره فيها كثيرا حتى ياخذ
الشبه كله في صناعته كذلك الذى يطلب رضا الله بالتمام هو يجعل باله في قصص (25v)
القديسين ويصور سيرته منها و يحتذى بها حتى يصير كمثل شبهم ثم الصلاة ايضا
من بعد القراءة فان الصلاة تضرى النفس وتجدد فيها شوق الله والصلاة الصالحة
الحقانية هي التى تجعل ذكر الله في النفس وهذه هي كلمة الله المكتوبة حيث
يقول انى واسكن فيهم فاذا كان الانسان يذكر الله فالله فيه ساكن وكذلك نصير
هياكل الله اذا كنا لا تقطع ذكر الله منا بالهموم الارضية ولا يتعربس عقلا بالاوجاع
ولاكن حبيب الله يفر الى الله ويبعد عنه كل امر يدعو الى الشر ويلزم كل
صناعة تكسب له الفضل فقبل كل شى ينبغي ان نحرس منجل العلم ولا تكون بلا
تعليم ولاكن نسال بلا شجب ونجاب بلا عظمة بطيب ولا تقطع كلمة الذى يعلم
اذا كان يعلم كلام منفعة ولا يكون يشتهى ان يورى كلمته باعتجاب يكون بقدر
قدر ارتفاع صوته بكلمته قدر سمعه يتعلم ولا يستحى ويعلم بلا محسدة فاذا هو تعلم
من اخر شى فلا يجحد ولا يكتف بان من ذلك الانسان يعلم ذلك الشى بل يصف
ذلك الانسان انه علمه ويكون صوته وسطانى لا يكون صغير قدرا لا يسمع
الانسان ولا يصد قدر ما لايسجس ويكون يفتشى كلمته ويذوقها قبل بعقله قبل
ان يخرجها ويكون حلوا في حديثه ليس اعنى لك ان يكون مزوج ولا حلوة
الكلام الباطل ولكن بسهولة عزاه يكون (26 r) حلوة كلامه ويبعد عنه المساواة
والجفا في كل امر حتى وان كان انسان خاطى محتاج ان يودبه فيكون ذلك
يرفق انضاع وسهولة فكذلك يقبل منه ذلك الخاطى الادب او يفعل بذلك الخاطى
كما فعل ناثان النبى بداد النبى حيث اخطا لم يوبخه بخطاه في وجهه ولاكنه
اخذه بغمز كمن وجه اخر حتى اخرج داود على نفسه القضية ولم يلام ناثان يستقيم
ايضا المتضع المسحوق القلب يكون عينه حزينة (sic) يبصر الى الارض وكسوته دنية
وشعره شعث وثوبه وسخ حتى يكون الذى على هذا الحال فيه هذه الصفات دايمة
ليس مثل الذين ينوحون على الموتى زمين (sic) قليل ولاكن يكون ينوح دايم باقى
يكون ثوبه مشمر بمنطقة بقدر ولا تكون المنطقة مرتفعة الى صدره كمثل النساء
ولامسترحة حتى تكون ثيابه تجر فذلك التقبح ولا يكون مسترخى المشى فان استرخا
المشى من استرخا النفس ولا يكون ايضا مسجس المشى فان ذلك ايضا يظهر تعربس
النفس يكون غانية ثوبه قدر ما يكفى للشتا والصيف ولا يطلب صباغ حسن ولا دقة ان
الذى يطلب ثياب حسنة مصبغة هو يشبه النساء الذين يتزينوا بزينة غريبة ويصنعون

ان يكون له ثوب ثانى النعال والخفاف احقر شى يجده قدر ما يكفيه للحاجة (26v) والطعام ايضا كذلك قدر ما يكتفى به خبز وما قدر ما يكتفى جسد الصحيح وكل ما كان من البقول والحبوب قدر ما يكتفى به الجسد واذا كان ياكل لا يكون طعامه واكله بقلب ولاكن يكون يورى حسن تقويم نفسه وسهولته وضبطه للشهوات ولا يبطل عقله راسا من ذكر الله ويتفكر فى تلك الاطعمة كيف تقبلها طبيعة الجسد وتجعل ذلك علة تسبحة الله يتفكر ويقول كيف دبر الله الطيب الحكيم احوال هذه الاطعمة كما ينبغي للجسد ويكون يصلى من قبل الطعام ان يجعله الله اهل لذلك الطعام الذى اعطاه فى هذه الدنيا وهيا له يناح فى الآخرة والصلوات ايضا من بعد الطعام وتشكر الله على ما اعطاك واطعمك وان يورثه خبز الآخرة يكون له ساعة واحدة لطعامه من اربعة وعشرين ساعة اليل والنهار وبقية السواعى الثلاثة وعشرين ينفقها فى استعمال العقل فى مرضات الله يكون رقاد خفيف قدر ما تكتفى الطبيعة يقطع عنه كثرة الهموم لان الذى يسلم نفسه الى غمق الرقاد حتى يصير فى الاحلام والريات ذلك يعدل انسان يموت فى كل يوم ولكن ينبغي له ان يكون يدلج فى نصف الليل لان سكوت الليل وخلوته تصفى النفس لانه لا عينين ولا اذنين يدخلوا على العقل شى من السجس ولكنه مشغول بذكر الله وبذكر خطاياها ويجعل له حد لا يرجع اليها شى اخر ويطلب من الله عونه على طلب رضاه

P. V. ГВАРАМИА

АРАБСКАЯ ВЕРСИЯ ВТОРОГО ПОСЛАНИЯ ВАСИЛИЯ КАПАДОКИЙСКОГО И ЕЕ СООТНОШЕНИЕ С ДРЕВНЕГРУЗИНСКОЙ РЕДАКЦИЕЙ

Резюме

Публикуется арабский текст второго послания Василия Каппадокийского к Григорию Назианзийскому по страсбургской рукописи 885—886 гг. Strs. ar. 4226, переписанной в монастыре св. Саввы. Указанный арабский текст по сравнению с греческим оригиналом характеризуется некоторой вольностью перевода. Древняя грузинская редакция второго послания Василия, сохранившаяся в единственной рукописи N 622 (X в.), отличается от греческого текста этого послания и других грузинских редакций, переведенных с греческого. Она увязывается с арабской версией, проявляя большое сходство в фразеологии, синтаксисе и многих смысловых деталях. Указанное обстоятельство является свидетельством арабского происхождения древне-грузинской редакции.

ლიანა ახოვაძე

არსენ იყალთოელის თარგმანების ერთი სტილისტური
თავისებურების შესახებ

კ. კეკელიძე არსენ იყალთოელის ლიტერატურულ მოღვაწეობას სამ პერიოდად ჰყოფს. პირველ პერიოდში, ე. წ. შავი მთის პერიოდში, რომელიც მოიცავს XI ს. უკანასკნელ მეხუთედს, არსენ იყალთოელმა თარგმნა რამდენიმე აგიოგრაფიულ-პომილეთიკური თხზულება; ესენია: 1. იოანე მონაზონისა და ხუცისა დამასკელისაჲ სიტყუაჲ დიდისა შაბათისათჳს; 2. ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ და ლუაწლი წმიდისა ღირსმოწამისა ქრისტესისა ევგენიასა და მშობელთა მისთაჲ; 3. წამებაჲ სამთა აღმსაარებელთაჲ გურია, სამონა და აბიბოხსი, და თხრობაჲ სასწაულსა ევფემიას ზედა ქალისა.

როგორც კ. კეკელიძე მიუთითებს, სავსებით შესაძლებელია არსენ იყალთოელს სხვა აგიოგრაფიულ-პომილეთიკური თხზულებებიც ჰქონდეს თარგმნილი, მაგრამ დღესდღეობით სხვა არაფერია ცნობილი და მათი გამოვლენა შემდგომ კვლევა-ძიებას საჭიროებს¹. სწორედ ამის გამო განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმ სტილისტური თავისებურებების წარმოჩენას, რომლებიც ახასიათებს საერთოდ თარგმანების, ამ შემთხვევაში არსენ იყალთოელის თარგმანების ენას.

როდესაც არსენის თარგმანებზე ვლაპარაკობთ, აუცილებელია ჟანრობრივი სხვაობების გათვალისწინება. თუ აგიოგრაფიულ თხზულებათა თარგმანების ენა „მარტივი და ლიტონია“, დოგმატიკონი და დიდი სჯულისკანონი, რომლებიც არსენ იყალთოელმა თარგმნა თავისი მოღვაწეობის შემდგომ პერიოდებში, ენობრივ-სტილისტური მონაცემებით მიეკუთვნებიან პეტრიწონულ სკოლას; ენა ამ თარგმანებისა მძიმეა და ხელოვნური.

ამჯერად ჩვენთვის საინტერესოა პირველი პერიოდის თარგმანები, როდესაც მთარგმნელი შედარებით თავისუფალია და ნაკლებად იზღუდება დედნისათვის დამახასიათებელი ნორმებით.

პირველ რიგში შევეხებით ერთ აგიოგრაფიულ თხზულებას, სათაურით „წამებაჲ სამთა აღმსაარებელთაჲ გურია, სამონა და აბიბოხსი“. ეს თხზულება მეტაფრასული რედაქციისაა და შესულია ერთ-ერთი უძველეს მეტაფრასულ კრებულში S—384 (XI—XII სს.).

მოვლენა, რამაც ჩვენი ინტერესი აღძრა, ახასიათებს დიალოგის აგების ფორმას.

¹ კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბილისი, 1960, გვ. 276.



არსენ იყალთოელი დიალოგს აგებს ასე: ავტორისეულ ტექსტს ვერცხვანა
 ფრაზის დასაწყისი სიტყვები, შემდეგ ჩაერთვის პერსონაჟის მოქმედების აღ-
 მნიშვნელი სიტყვა—შემასმენელი, მეორდება ფრაზის დასაწყისი და გრძელ-
 დება მსჯელობა. მაგ.: „ხოლო სამონა:—არა მოვსწყებით, — ეტყო-
 და, — არა მოვსწყებით, მძლავრო, დამბადებელისა ნებასა შედგო-
 მილინი“. S — 384, 326v.

ბერძნულ დედანში ასე იკითხება:

„Ὁ Σαμωνᾶς, οὐκ αποθανοισμεθα, εἶπεν, ἃ τῆρα γινε, τῆ τῶν Δημοσθραῖον μὲλῆσε
 ἐπῆρμενοι“.

P. G. 116, 132

პირველ რიგში საინტერესოა, რა თქმა უნდა, ის, რომ ავტორისეული
 ფრაზა ბერძნულშივეა გათიშული; გათიშული კია, მაგრამ განმეორებული არ
 არის. ასეთი სურათია არა მხოლოდ ამ შემთხვევაში, არამედ ყველგან, სადაც
 კი მსგავსი ფორმაა დადასტურებული. და მეორეც: თუნდაც ასევე რომ იყოს
 ბერძნულში, ის ფაქტი, რომ მხოლოდ არსენ იყალთოელს გადმოაქვს ასე და
 არც ერთს რომელიმე სხვას, ესეც მისი სტილისა და გემოვნების თავისებურე-
 ბა იქნებოდა. ამავე თხზულების მეორე თარგმანში, რომლის ავტორი უცნო-
 ბია, ეგევე ადგილი ასეა თარგმნილი: „მიუგო სამონა: — არა მოვკუდეთ, მ
 ძძლავრო, დამბადებელისა ჩუენისა ნებასა შედგომითა“. A—128, 113r. ეს
 ორი თარგმანი ძალიან ახლოს დგას ერთმანეთთან და უეჭველად ერთი დედ-
 ნით სარგებლობენ.

არსენისათვის ფრაზის გათიშვა და მისი ერთი ნაწილის განმეორება ჩვეუ-
 ლებრივი ხერხი ჩანს. და თუ გათიშვა ბევრგან ბერძნულსაც ახასიათებს, არ-
 სად არც ერთ შემთხვევაში არ გვხვდება ბერძნულ დედანში განმეორებული
 ფრაზა. ამის საილუსტრაციოდ მოვიტანთ ნიმუშებს არსენის თარგმანიდან და
 ამავე ძეგლის უცნობი მთარგმნელის ტექსტიდან, აგრეთვე მათი ბერძნული
 დედნის შესაბამის პასაჟებს:

„უფალო ღმერთო, — იტყოდა, — უფალო ღმერთო,
 რომელმან გული დავითისი განავრცე ჭირსა შინა“.

S—384, 328r.

„იტყოდა: — უფალო ღმერთო ძალთაო, რომელმან განავრცე გული და-
 ვითისი თავსდებად ჭირთა“ A—128, 116r.

„Κύριε ὁ Θεός, λέγων, οὐκ κερδῖαν πλατύνας τῷ Δαυῖδ ἐν ταῖς θλίψεσιν“.

P. G. 116, 137

„გუთისა მიმართ: — არა გარწმუნებ, — იტყოდა, — არა გარ-
 წმუნებ შენ ასულსა ჩემსა“ S — 384, 331v.

„პრქუა გუთსა მას: — არა მოგანდო შენ შვილი ჩემი და არცა მოგცე“.

A—128, 122v.

„Προς τὸν Γότθιον, οὐκ ἐξώ σοι τῆν ἐμὴν παιῖδα πιστεῖσω, φησι“.

P. G. 116, 149



„გუთმან იწყო და: — კ ე ლ თ ა გ ა ნ, — თქუა, — კ ე ლ თ ა გ ა ნ თქუენთა, წმიდანო, ქალსა ამას მივითუალავ“.

S—384, 331v.

„გუთმან... იწყო სიტყუად: — კელთაგან თქუენთა, წმიდანო, ქალსა ამას მივითუალავ“.

A—128, 122v.

„Ο Γρόθις εὐθὺς...: ἐκ τῶν χεῖρῶν ῥῶδων, ἄγιοι, τῆν κόνειον, εἰπε, παραλαμβάνων“.

P. G. 116, 149

„ჩ ე მ დ ა, — ჰრქუა, — ჩ ე მ დ ა, მ დედაკაცო, შვილნი არიან და ცოლიცა“.

S—384, 331v.

„და ჰრქუა: — მ დედაკაცო, შვილნიცა მისხენ და ცოლი“.

A—128, 123r.

„Ἐμοί, εἶπεν, ὦ γύναι, καὶ τέκνα εἰσὶ καὶ γυνή“.

P. G. 116, 149

„ვ ა შ ა, — ჰრქუა, — ვ ა შ ა შენ...“ S — 384, 332r.

„ჰრქუა მას: — ვაშა...“ A — 128, 123v.

„Εὐγέ σαι, φησί, γένοιτο“.

P. G. 116, 152

„ტ ყ უ ე არსო ეგე, — ეტყოდა, — ტ ყ უ ე, ედესით წარმოყვანებული“.

S—384, 332r.

„ხოლო იგი ეტყოდა, ვითარმედ: — ტყუფ არს ეგე და ედესით მომყავს“.

A—128, 124r.

„Καὶ ἐφ’ ὧν μὲθ’ ἑαυτοῦ ταύτην ἀγάγει, ὁ δὲ ἀρχιμαλωτὸν τε εἶναι καὶ τῆς Ἐξέσσης ἀχθεῖσσαν“.

P. G. 116, 152

„უ ფ ა ლ ო, იტყოდა, უ ფ ა ლ ო ღმერთო ძალთაო“.

S—384, 333r.

„იტყოდა: უფალო ძალთაო“.

A—128, 125v.

„Κύριε ὁ Θεὸς δυνάμεων, ἡ παῖς ἔλογεν“.

P. G. 116, 153.

„ამისა შემდგომად: — გ უ ლ ჰ ყ რ ო ბ ი ლ ი ყ ა ვ, — გ უ ლ ჰ ყ რ ო ბ ი ლ ი ყ ა ვ, დედაკაცო!“ S — 384, 333v.

„პრქუშ მას:—მენე იყავ, დედაკაცო!“ A—128, 126r,
„Καὶ θάρσει, γύναι, φασὶ ἀντήν ἔχειναι.“

P. G. 116, 156

„მზაკუვარო, — პრქუა, — მზაკუვარო და მკლველო, რაჲ ჰყავ ესე ასულისა მიმართ ჩემისა“. S—384, 335r.

„პრქუა: — მზაკუვარო და მკლველო“. A —128,128v.
„Δόλιε, φεσι, καὶ φονεῖ, τῆς ἐμῆς παποιήκας θυγατρὸς“.

P. G. 116, 160

არის ორიოდე შემთხვევა, როდესაც უცნობი მთარგმნელიც ჰყოფს ფრაზას, მაგრამ ეს ხდება ბერძნული ნიმუშის მიხედვით და ზუსტად ისევე, როგორც ბერძნულში, არა გვაქვს განმეორება:

„კეთილადო, — მიუგებდა, — კეთილად იქმნა ყოველი ლოცვითა შენითა“.

S—384, 334v.

„კეთილად უკუშ ყოველივე, — იტყოდა, — შენითა ლოცვითა გაგუშმარჯუა“.

A—128, 128r—v.

„Ἐν χαλοῖς, ἔλεγε, πάντα ταῖς σαῖς προσήμιον εἶχαῖς“.

P. G. 116, 160

„ამათდა მიმართ სამონა: — ნუ იყოფინ, — მიუგო, — ნუ იყოფინ ჩუენდა ჭეშმარიტისა სარწმუნოებისა დატევებაჲ“. S — 384, 326r.

„ამას ზედა სამონა: — ნუ იყოფინ ეგე, — პრქუამს, — რამათმცა დაუტევეთ ჭეშმარიტი სარწმუნოებაჲ“. A — 128, 112v.

„Πρὸς ταῦτα ὁ Σαμουῆλ, μὴ γένοιτο, ἔφη, τῆν ἀληθιῆν πίστιν ἐγκαταλείποντας“.

P. G. 116, 132

ყველაზე საინტერესოა ის ფაქტი, რომ რიგ შემთხვევებში ბერძნული დედნის მთლიან, გაუთიშავ ფრაზას არსენი მაინც თავისებურად ავებს:

„მე, — პრქუა, — მე უფროსლა მისთვის ვიდრე მოაქამდე გრძელთა მაგათ სიტყუსგებათა თქუენთა სულგრძელებით თავს ვიდებდ“. S—384, 328v.

„პრქუა მათ, ვითარმედ: — მე ამისთვის უფროსლა სულგრძელებით ვითმენდი“. A — 128, 117r.

„Ἐγὼ δὲ τούτο μᾶλλον μακροθύμως ἤνερχα μέγχι καὶ νῦν τῶν μακρῶν ἐκείνων ἀνεχόμενος λόγῳ“.

P. G. 116, 140

„მამაო, — იტყოდა, — მამაო ობოლთაო და მსაჯულო ქურივთაო“ S — 384, 331r.



„თქუა: — მამაო თბოლთაო და მოღუაწეო ქურიეთაო“. A — 128
 “Ο Πατηρ των ήφρατων και πριουατης των χρησων“.

P. G. 116, 148

თხზულების „წამებაჲ გურია, სამონა და აბიბოჲსი“ ანალიზი გვაძლევს იმის თქმის უფლებას, რომ არსენ იყალთოელს დიალოგის აგების თავისი, სხვა ავტორებისაგან განსხვავებული, პრინციპი აქვს.

მეორე ავთოგრაფიული თხზულება, რომლის თარგმანი არსენს ეკუთვნის, არის „ცხოვრებაჲ და მოქალაქობაჲ და ღუაწლი წმიდისა ღირსმოწამისა ქრისტესისა ეგვენიამსა და შობელთა მისთაჲ“. ამ თხზულებაში დიალოგების რიცხვი ძალიან მცირეა, მაგრამ აქაც არსენისეული სტილი დატულია:

„გ ა ნ კ რ თ ო მ ი ლ ხ ა რ, დედაკაცო, — კმობდა, — გ ა ნ კ რ თ ო მ ი ლ ხ ა რ და შორს არიან ჩუენგან ეგენი“. ქუთ. 5,403ra.

„თ ქ უ ე ნ თ ვ ს, — ეტყოდა, — შ უფრომსად საღმრთონო ავღუსტოსნო. თუთ თ ქ უ ე ნ თ ვ ს განიფრთხვეთ თქუენ და თქუენთვს“. ქუთ. 5,409v.

ეს თავისებურება სხვა მონაცემებთან ერთად შესაძლებელია გამოგვადგეს იმ თარგმანთა გამოსავლინებლად, რომელიც მოსალოდნელია არსენისეული იყოს.

A — 217 ხელნაწერში მოთავსებული თხზულების „ნიკოლაოს მთავარ-ეპისკოპოსის ცხოვრების“ სათაურის გასწვრივ არის ძნელად გასარჩევი მინაწერი², რომელიც მთარგმნელად არსენ იყალთოელს უნდა გულისხმობდეს. სამწუხაროდ, ეს თხზულებაც მცირე მოცულობისაა და დიალოგების რიცხვიც ერთობ მცირეა, მაგრამ რაც არის, ჩვენის აზრით, არსენისეულისას ძალიან გავს, ჩვეულებრივია ფრაზის გათიშვა, რაც სხვა მთარგმნელებს მაინცდამაინც არ ახასიათებთ:

„არამედ; — შენ ვინ ხარო, — ჰკითხვიდა, — ესევეითარად შემოსრული ჩემ ზედა“. A — 217, 24v.

გვაქვს განმეორების მაგალითებიც:
 „მ ე ც ნ ი ე რ ი ქ მ ნ ე ნ ი თ თავთა თქუენთა, — უკმობდა, — შვილნო, მ ე ც ნ ი ე რ ი ქ მ ნ ე ნ ი თ და გულისა თქუენისა და გონებისა აღძრვანი და მოგონებანი სათნოყოფილად წარუდგინენით ღმერთსა“. A — 217, 28v.

„ხოლო ზოგად შემოკრბეს რაჲ ყოველნი, მეყსეულად, ეპისკოპოსთა: მ ი თ უ ა ლ ე თ, ძმანო, საკუთარი მწყემსი უსასმენელესითა რე თქუჴს კმითა— მ ი ი თ უ ა ლ ე თ გულსმოდგინედ“. A — 217, 14v.

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე ჩვენ შესაძლებლად მიგვაჩნია ვილაპარაკოთ დიალოგის აგების არსენისეულ პრინციპზე, როგორც არსენ იყალთოელის ენის ერთ-ერთ სტილისტურ მახასიათებელზე.

² ამ მინაწერის შესახებ მიგვიითთა ხელნაწერთა ინსტიტუტის უმცროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა მ. კვაჭაძემ.

ОБ ОДНОЙ СТИЛИСТИЧЕСКОЙ ОСОБЕННОСТИ ПЕРЕВОДОВ АРСЕНИЯ ИКАЛТОЕЛИ

Резюме

В грузинских переводах некоторых агиографических произведений, выполненных с греческого Арсением Икалтоели, встречается особая форма построения диалогов: прямая речь разделяется словом — сказуемым, обозначающим действие (речь) персонажа, после чего повторяются слова, начинающие прямую речь, затем следует продолжение.

В соответствующих примерах греческого текста в большинстве случаев при передаче прямой речи глагол, обозначающий действие (речь), внесен в прямую речь, однако ни в одном случае нет повторения слов.

Поскольку такое явление не засвидетельствовано у других авторов, то его можно считать стилистической особенностью переводов Арсения Икалтоели.

ნარჩუნა გოგუაძე

მეტაფრასული კრებულების მომგებელი — აფხაზეთის
კათალიკოსები — ევდემონ ჩხეტიძე და ეპვთიმე საყვარელიძე

ქუთაისში დაცულ ქართულ ხელნაწერებს შორის ინახება რამდენიმე დიდტანიანი კრებული, რომლებიც შეიცავენ წელიწადის დღეებზე გაწყობილ საკითხავებს. მათი უმეტესობა (კერძოდ: K — 1,2,3,4,5,8,13) გადაწერილია XVI საუკუნეში. გადაწერის ინიციატორებად სამეცნიერო ლიტერატურაში მიჩნეული არიან აფხაზეთის კათალიკოსები — ევდემონ ჩხეტიძე (1543—1578) და ექვთიმე საყვარელიძე (1579—1612)¹.

ეს ცნობები მომდინარეობს ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის ხელნაწერების აღწერილობიდან, რომელიც ემყარება ხელნაწერებში დაცულ ანდერძებსა და მინაწერებს. ანდერძების ერთი ნაწილი შესრულებულია გადამწერის მიერ XVI ს-ში, ნაწილი კი დართულია გვიან, XVIII ს-ში. ამ ანდერძ-მინაწერების ურთიერთშეკერებისას გაირკვა, რომ ისინი ზოგჯერ ურთიერთსაწინააღმდეგო ცნობებს იძლევიან, კერძოდ, ხელნაწერების მომგებელის შესახებ.

ზემოთ დასახელებული ნუსხებიდან გვიან დართული ანდერძები გააჩნიათ შემდეგ ნუსხებს: K — 1,2,3,4,8². გვიანდელი ანდერძების დართვა გამოწვეულია ერთი და იმავე მიზეზით: ხსენებული კრებულები დაკარგულან და ხელახლა დაუბრუნებიათ თავიანთ ადგილზე. K—3-ის ანდერძის ავტორები არიან გიორგი და ხვარაშან ლობარტიანები³. დანარჩენი ოთხი ანდერძი ეკუთვნის გენათელ მიტროპოლიტს იოსებს (ალექსანდრეს ძეს), რომელსაც ხელნაწერები K—1,2,4,8 (და შესაძლოა ზოგი სხვაც) გელათში დაუბრუნებია. ანდერძები, რომლებიც იოსებ მიტროპოლიტს ხსენებული ნუსხებისათვის დაურთავს, ტრაფარეტულია და გვამცნობს შემდეგს:

„წმიდაა ესე და სულთა განმანათლები წიგნი, ეკლესიათა კეთილად მსმენელთა დიდად მარგებელი, მეცნიერებაჲ მოწესეთა, დედა ყოვლისა წიგნისა, სრული სეკდემბრის და ოკდომბრის საკითხავი მეტაბრასები, პირველ კსენებულსა ნეტარს ბატონს კათალიკოსს ეფთჳმეს დაეწერიინებინათ და გელათს წმიდის გიორგის საქათალიკოზო საყდრისათჳს შეეწირა. მერმე ჟამთა ვითარებისაგან გამოეხუათ და სხ^ათ წარედო[თ]. და ჩუენ ალექსანდრეს ძემან გენათელ მიტროპოლიტმან იოსებ წიგნი ესე დაკარგული ამოვიღე და ისევ გელათს ამ წმი-

¹ იხ. ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. I, 1953; კ. ე. ე. ლ. ი. ძ. ქართული ლიტერატურის ისტორია, I, 1961, გვ. 109; კ. ე. ე. ლ. ი. ძ. ეტიუდები, III, 1955, გვ. 258, 283.

² ხელნაწერები K-3 და K-13 ბოლონაკლულია.

³ იხ. დასახ. აღწერილობა, გვ. 24.

დის გიორგის ეკლესიას შევსწირეთ. და ვინცა ჩუენთს მოკსენება ბრძანოთ, ღმერთმან თქუენცა მოგიკსენოს. ამ ეკლესიას ეს წიგნი გამოახუას ანუ ^{გამოაქვეყნდა} გან წარიღოს თუნიერ ხიზნობისა, ანუ სხუათა ეკლესიათა შესწიროს და ანუ თავისთს წარიღოს თუნიერ შენდობითა ნათხრობისა ანუ მეფემან, ანუ დედოფალმან, ანუ უფლისწულმან, ანუ ქათალიკოზმან, ანუ მიტროპოლიტმან, ანუ ეფისკოპოზმან, ანუ არქიმანდრიტმან, ანუ წინამძღუარმან, ანუ მღვდელთმოდღუარმან, ანუ მღვდელმან, ანუ მთავარდიაკვანმან, ანუ დიაკვანმან, ანუ მონაზონმან, ანუ მთავარმან, ანუ ერისთავმან, ანუ დიდმან ანუ მცირემან სამღვდელმან ანუ საერომან, რომელმანცა ჯორციელმან ძემან კაცისამან ეს წიგნი ამ წმიდის გიორგის ეკლესიას გამოსწიროს ყოვლად წმიდის სამებისაგან და ყოვლად წმიდის ღვთისმშობლისაგან, ცხოველსყოფელის ჭუარისაგან, წმიდათა უსხეულოთა ძალთაგან და ყოველთა წმიდათა ღმრთისათა, რომელნი ადამისითგან ვიდრე აქამომდე იქმნენ და აწ ვიდრე მეორედ მოსლვადმდე იქმნებიან წმიდანი ღირსნი და სათნონი ღმრთისანი, აღმოსავლეთის ეკლესიისაგან და ყოველთა მართლმადიდებელთა ეფისკოპოზთაგან ამ წიგნის გამოწირველი ამ წმიდის გიორგის ეკლესიისაგან სულით, ჯორციით ცოცხალი და მკუდარი კრულ. წყევულ და შეჩუენებულ იყოს საუკუნითგან უკუნისამდე. ამინ.“ (K-4, 669r).

K-1: „წმიდაჲ ესე და სულთა განმანათლებელი სრული ფეხბერგლის და ავსტოს საკითხავი პირველ ნეტარხსენებულს კათალიკოზს ეფთუმეს დაეწერინებინათ და გელათს წმიდის გიორგის საკათალიკოზო საყდრისათს შეეწირათ. მერმე ჟამთა ვითარებისაგან გამოეხვათ და სხუათ წარეღოთ და ჩუენ, მეფის ალექსანდრეს ძემან გენათელ მიტროპოლიტმან იოსებ, დაკარგული ამოვიღეთ და ისევე გელათს ამ წმიდის გიორგის ეკლესიას შევსწირეთ...“ (582r).

K-2: „წმიდაჲ ესე და სულთა განმანათლებელი საღმრთო წერილი, სრული მარტისა საკითხავი პირველ ნეტარხსენებულს ბატონს კათალიკოზს ეფთუმეს დაეწერინებინათ და გელათს წმიდის გიორგის საკათოლიკოზო საყდრისათვის შეეწირათ...“ (401r).

K-8: „წმიდაჲ ესე წიგნი, ბრწყინვალეზა და შეუნიერებაჲ ეკლესიათაჲ, კეთილად მსმენელთა და მკითხველთა განმანათლებელი, წელიწდის დღესასწაულის მეტაფრასი და ღირაის ეფრემ ასურის სწავლაჲ, სულთა მზრდელი და საუკუნოსა ცხოვრებისა მომტყვევებელი წმიდაჲ წიგნი ესე პირველ ნეტარხსენებულს ბატონს კათალიკოზს [შემდეგ სხვა ხელით] ეფთუმეს დაეწერინებინათ და...“ (986r).

ზუსტად აეთივე ანდერძი იოსებისა ინახება ხელნაწერთა ინსტიტუტში ფრაგმენტებს შორის (A—1376-ის მეოთხე ფურცელია⁴):

„წმიდაჲ ესე და სულთა განმანათლებელი მეტაპრასი დეკემბრის სრული საკითხავი პირველ ნეტარხსენებულს კათალიკოზს ეფთვიმის დაეწერინებინათ და გელათს წმიდის გიორგის საყდრისათს შეეწირათ. მერმე ჟამთა ვითარებისაგან გამოეხვათ და სხვით წარეღოთ. და ჩუენ მეფის ალექსანდრეს ძემან გენათელ მიტროპოლიტმან იოსებ დაკარგული ამოვიღეთ და მისევე გელათს ამ წმიდის გიორგის ეკლესიას შევსწირეთ...“

აწ ვინცა ამ ეკლესიას ეს წიგნი გამოახვას ან სხუაგან წარიღოს თუნიერ ხიზნობისა...“

⁴ იხ. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, A კოლექცია, ტ. IV, 1954, გვ. 462.

ცხადია, ეს ანდერძი ახლდა დეკემბრის თვის მეტაფრასულ კრებულში „მეტაპრასი დეკემბრის სრული საკითხავი“. დასაწყისში მითითებულია, რომ ეს იყოს K-5, რომელიც სწორედ ამ მასალას შეიცავს. უმეტეს, რომ ხსენებული ფრაგმენტი გელათური წარმოშობისაა.

როგორც დავინახეთ, იოსებ მიტროპოლიტის მიერ შედგენილ ზემოთ განხილულ ხუთსავე ანდერძში ხელნაწერის მომგებელად დასახელებულია „კათალიკოზი ეფთჳმე“. მაგრამ ზოგიერთი კრებულის გადაწერის დროს შესრულებული ანდერძ-მინაწერები ეჭვმიუტანლად გვიდასტურებენ, რომ ხელნაწერის მომგებელია აფხაზეთის კათალიკოსი ეფთემონ ჩხეტის ძე.

ამ თვალსაზრისით მეტად საინტერესო სურათს იძლევა ხელნაწერი K-4, რომელშიც ერთმანეთის მომდევნოდ არის მოთავსებული ორი ანდერძი: 1) 668 r-ზე ანდერძი გადამწერისა (XVI ს.) და 2) 669r-ზე ანდერძი იოსებ მიტროპოლიტისა (XVIII ს.), რომლის ტექსტი მოცემულია ზემოთ.

ენახოთ, რა ცნობებს შეიცავს პირველი (XVI ს.) ანდერძი:

„ადიდენ ღმერთმან ორთავე შინა ცხორებათა ქრისტეს მიერ კურთხევით კურთხეული, საქრისტიანოს ზღუდე და მაკურთხეველი, ტომ-ნათესავობით ჩხეტის ძე, დიდი მამათმოვაარი, აფხაზეთისა ქათალიკოზი ეფთემონ. რამეთუ სათნო იჩინა წმიდათა ამათ და სულთა განმანათლებელთა ღუაწლთა და საკურველებათა მოწამეთა მიერ ქმნილსა, რომელთა იღუაწეს და მრავალნი ტანჯვანი დაითმინნეს ქრისტეს ღმრთისათჳს და აწ მეოხ არიან ცხორებად სულთა ჩუენთათჳს, რომელსა ფრიადი სურვილი აქუნდა ეკლესიათა და საღმრთოთა წერილთათჳს. რომლისა ბრძანებითა და ჯერჩინებითა გათავდეს წმიდაჲ ესე თჳე ოკტომბერი ყოვლითურთ სრული და უნაკლულო დიდებულსა საყდარსა გელათს საგანესა წმიდისა ღმრთისმშობლისასა ინდიკტიონსა მეფობისა ჩუენისასა მეფეთმეფისა გიორგისსა, ძისა ბაგრატ მეფეთმეფისასა, ქრონიკონსა სნ̄გ: მისსა გ: ადიდენ ღმერთმან და უბიწოდ მშობელმან მისმან პატრონი ქათალიკოზი ეფთემონ ამ სოფელს დღეგრძელობით, ხოლო მერმესა ნას დაუსრულებელსა საუკუნოჲ იყავნ საკსენებელი და კურთხევაჲ მათი. ამინ!

ამისსა უცბად მჩხრეკალსა ფრიად ცოდვილსა ინანიკისშვილს მანოელს და მშობელთა მისთა შეუენდოს ღმერთმან. ამინ! და ვინცა ბრძანოთ, თქუენცა შეგინდნეს ღმერთმან, უცბად ჩხრეკისათჳს ნუ დამწყევთ“...

ანდერძის ჩვენება, რომ ხელნაწერის მომგებელია ეფთემონ ჩხეტის ძე, საესებით ცხადია და სანდო.

ანალოგიური ჩვენებანი ეფთემონის შესახებ K-4-ში დასტურდება რამდენჯერმე:

484v: „დიდება ღმერთსა, სრულმყოფელსა ყოვლისა კეთილისასა, ნებითა ღმრთისაჲთა და ბრძანებითა და ჯერჩინებითა ყოვლისა საქრისტიანოსა დიდისა მამათმოვარისა აფხაზეთისა ქათალიკოზისა ეფთემონისითა, საუკუნო იყავნ საკსენებელი და კურთხევაჲ მისი, და აწ კუალად ოკტომბრის ნახევარი იწერების კელითა ფრიად ცოდვილისა მანოელისითა, ქორონიკონსა სნ̄გ დაიწყო წმიდაჲ ესე წიგნი“.

466v: „ქრისტე, ადიდე ორთავე ცხორებათა ყოვლისა აფხაზეთისა დიდი მამათმოვაარი პატრონი ქათალიკოზი ეფთემონ, რომლისა ბრძანებითა იწერებთან წმიდანი ესე წიგნი“.

კრებული K-4 საინტერესოა იმიტომ, რომ იქ გვხვდება რამდენიმე კრებულში ტოგრაფული წარწერა. ამ კრიბტოგრაფებშიც მოხსენიებულია მანოელი და კათალიკოზი ევდემონი:

444v: „ქრისტე, შეიწყალე აფხაზეთის კათალიკოზი ევდემოს“

448v: „მანოელს და დედა-მამათა მისთა შეუხდნეს ღმერთმან, ამინ“.

585v: „ღმერთო, შეიწყალე სული ფრიად ცოდვილისა მის მწერლისა მანოელისი, ამინ!“

ამ წარწერებიდან ცხადი ხდება, რომ ევდემონი არის მომგებელი იმ საკითხავებისა, რაც იწერება მანოელის ხელით. მაგრამ მანოელ ინანიკისშვილი K-4-ის ერთადერთი გადამწერი არ არის. იგი ჩანს ოქტომბრის თვის საკითხავების მეორე ნაწილის გადამწერად. K-4-ის ოქტომბრის თვეს აქვს თავისი რვეულებრივი პაგინაცია, ე. ი. წერის პროცესში სექტემბერი და ოქტომბერი ცალკე ერთეულებად არის ნავარაუდები. შესაძლებელია, ამ ორი თვის მასალა გადამწერისთანავე ერთად აეკინძათ (სექტემბერს რიგით მოსდევს ოქტომბერი). ყოველ შემთხვევაში XVIII ს-ში იგი ერთი ერთეულია, რაც აშკარად ჩანს ამ დროს დართული ანდერძის მიხედვით: „ს რ უ ლ ი ს ე კ დ ე მ ბ რ ი ს და ო კ დ ო მ ბ რ ი ს ს ა კ ი თ ხ ა ვ ი მ ე ტ ა პ რ ა ს ი“. K-4 ერთ მთლიან ერთეულად აღიქვა იოსებ მიტროპოლიტმა და მის მომგებელად დაასახელა კათალიკოზი ექვთიმე, ე. ი. მას მხედველობაში არ მიუღია არა მხოლოდ თვით კრებულის შიგნით მოცემული ჩვენებანი ევდემონის შესახებ, არამედ კრებულის ბოლოს დართული ანდერძიც!

გაუგებარია, რას ეყრდნობა იოსებ მიტროპოლიტი მაშინაც, როცა K-1-ის მომგებელად ექვთიმეს ასახელებს. ამ კრებულის მინაწერებშიც ევდემონი ნახსენები და არა ექვთიმე. კრებული K-1 შეიცავს ორი თვის — თებერვლისა და აგვისტოს — მეტაფრასებს. თებერვლის თვის საკითხავებთან გადამწერის ხელით შესრულებულ მინაწერებში რამდენჯერმე არის ნახსენები „კ ა თ ა ლ ი კ ო ზ ი ე ვ დ ე მ ო ნ“:

„ქრისტე, შეიწყალე აფხაზეთისა კათალიკოზი ევდემონ“.

„ქრისტე, შეიწყალე აფხაზეთისა კათალიკოზი დიდი პატრიარქი ევდემონ“. ე. ი. კრებულის ამ ნაწილის (თებერვლის თვის) მომგებელად ისევ ევდემონი იგულისხმება. თუმცა კრებული K-1 თავიდანვე ასეთი სახით არ უნდა გაფორმებულიყო — აქ თებერვლის თვეს მოსდევს აგვისტოს საკითხავები; მაგრამ XVIII ს-ში ისიც K-4-ის მსგავსად ერთი ერთეულია: „წმიდაჲ ესე და სულთა განმანათლებელი ს რ უ ლ ი ფ ე ბ ე რ ვ ლ ი ს და ა გ ვ ი ს ტ ო ს ს ა კ ი თ ხ ა ვ ი“, და მისი მომგებელი, იოსების ანდერძის მიხედვით, არის ექვთიმე. აქაც შეუსაბამობაა ხელნაწერის გადამწერის ჩვენებასთან.

მაშასადამე, იოსებ მიტროპოლიტის მიერ შედგენილი ანდერძების ჩვენებანი რიგ შემთხვევაში აშკარად ეწინააღმდეგება სინამდვილეს. ამიტომ მისი ცნობა ექვთიმე საყვარელიძის ღვაწლის შესახებ საერთოდ ეჭვის ქვეშ უნდა დადგეს. აკი ზოგიერთ შემთხვევაში იოსების ანდერძს არც ეწევა ანგარიში. მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ გვიან დართული ანდერძი K-4-ის მომგებელად კათალიკოზ ექვთიმეს ასახელებს, არსად ეს აზრი გაზიარებული და მიღებული არ არის (არც ხელნაწერების აღწერილობაში და არც სხვაგან). ყველგან სამეცნიერო ლიტერატურაში K-4-ის გადამწერის ინიციატორად დასახელებულია ევდემონ ჩხეტიძე.

ვედომონია მიჩნეულია აგრეთვე და საეკლესიო სამართლიანად K-5-ის მომგებელად. K-5-ში 493r-ზე გადაწერის ანდერძში ეკითხულობენ: „ამრავალსამიერე პატრონი კათალიკოზი ევდემონ და საუკუნო ყავ ქსენება და კურთხევამ მისი, რომელმან წიგნი ესე აღწერად ჯერ-იჩინა. ამინ!“

როგორც დავინახეთ, ევდემონის დიდი დავალი მეტაფრასული კრებულების გადანუსხვის საქმეში უეჭველია. მისი თაოსნობით გადაიწერა ოქტომბრის, დეკემბრის, თებერვლის თვეების მეტაფრასები.

სავარაუდოა, რომ გელათური კოლექციის სხვა მეტაფრასული კრებულებიც ევდემონ ჩხეტიძის დაკვეთით იქნა გადაწერილი; რაზედაც უნდა მიუთითებდეს ხელნაწერების ტექნიკური მხარე: ფურცლების ზომა, იგივე გადაწერები თუ ზედამდგომელი (მაგალითად, მანოელი და ონოფრე ჩანან: K-4-ში, K-8-ში, K-2-ში⁵).

მაშ, რატომ მიაწერეს ექვთიმე საყვარელიძეს ევდემონის ნაღვაწი?

ევდემონ ჩხეტიძის მემკვიდრედ აფხაზეთის საკათალიკოსო ტახტზე ექვთიმე საყვარელიძეა (1579—1612). ეს უკანასკნელი ისევე, როგორც ევდემონი, დაუღალავი ენთუზიასტი იყო ქართული კულტურის ძეგლების მოვლისა და აღორძინების საქმისა.

ექვთიმეს დამსახურების შესახებ დაწვრილებით გვამცნობს ერთი გელათური ნუსხის (K-10-ის) წინასიტყვაობა:

„ეჰა, დიდებამ ღმერთსა, მაღლი ღმერთსა, კურთხეულ არს ღმერთი — მამამ, ძე და წმიდამ სული. იწყებთან სახელითა ღმრთისაჲთა და წადინ ნებაჲ ბრძანებითა დიდისა აფხაზეთისა და ყოვლისა საქართველოჲსა პატრიარხისაჲ, კათალიკოზის პატრონის ეფთუმესითა განძი, თუალი, ბრწყინვალეებაჲ, შუენიერებაჲ საყდრისა, მსმენელათჲს დიდად მარგი, სიქადული და მეცნიერება მოწესეთა და აღამოსითგან დედაჲ ყოვლისა წიგნისა, წმიდამ წიგნი ესე სახელით იოსიპოსი. შენ, საშინლო და ცათა მობარარო (!) ბიჭუნტისა ღმრთისმშობელო, აცოცხლე, ამზევრძელე და შემწე, მცველ, მფარველ და მეოხ ექმენ და სასუფეველ მოუკლებელ ყვენ ორთავე შინა ცხორებათა და მუნ დაამკვდრენ წიაღთა შინა აბრაჰამ, ისააკ და იაკობის თანა. ამინ და კირიელისონ! რამეთუ ქეშმარიტად იქირვოდა საღმრთოთა წერილთა წიგნთა წმიდათა წერასა და ამკობდა პატროსანთა საყდართა კახეთით, ქართლით, იმერით, ოდიშით და გურიით; და დასდებდა დიდროანსა და პატროსანსა ყოვლითურთ შემკობილსა წიგნებსა და ჩუენ გვბოძებდა მათსა ალაღსა მათისა კონდაკითა ნაშობებსა საქონელსა მრავალსა და აურაცხელსა; და არა დასცხრებოდა საღმრთოჲსა სურვილისაგან; და ყოველსა წელიწადსა შინა ოთხ-ოთხისა, სამ-სამისა და ორ-ორისა მწერლითა გუაწერიებდა და გუაშრომებდა დიდისა პატივითა და წყალობითა და პატივსაფარველითა. მრავალმცა არიან წელნი ცხორებისა მისისანი და საუკუნომცა არს კურთხევამ და სუფევამ მათი. ამინ და კირიელისონ!“ (1r)⁶.

ექვთიმე საყვარელიძე წლების მანძილზე დაუღალავად იღწვოდა ქართული ნუსხების გადაწერისა და გამრავლების საქმისათვის. საქართველოს სხვა-

⁵ ქ. კეკელიძე, ეტიუდები, III, გვ. 258.

⁶ იხ. ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. I, გვ. 63—64.

დასხვა კუთხიდან კრებდა ხელნაწერებს, გადააწერინებდა მათ პირებს, რომ დენიშე კაცს ერთდროულად აშრომებდა: „ყოველსა წელიწადსა შინაოფისაჲს ოთხისა, სამ-სამისა და ორ-ორისა მწერლითა გუაწერინებდა და გუაშრომებდა-ო“. ჩვენთვის ცნობილ ხელნაწერთაგან მისი ინიციატივითაა გადაწესებული რამდენიმე დიდტანიანი კრებული: K-10 იოსებ ფლავიოსის „წიგნი ჰუბრიისაჲ“, შეიცავს 420 ფურცელს; K-38 — გულანი, ფ. 1084⁷, Q — 39 — მეტაფრასი, ფ. 488; Q—87 — გულანი მარტვილური, ფ. 1004⁸.

ყველა მათგანს ახლავს ანდერძ-მინაწერები ხელნაწერის შექმნის დროინდელი, რომელთა საშუალებითაც ვეცნობით XVI საუკუნის ჩვენი მწერლობის კიდევ ერთი დაუცხრომელი მოამაგის—ექვთიმე საყვარელიძის დიდ ღვაწლს. ექვთიმე საყვარელიძე ხელნაწერების გამრავლების საქმეს არა მხოლოდ კათოლიკოსობაში, არამედ უფრო ადრეც ეწეოდა. კერძოდ, ხელნაწერი Q—39 დათარიღებულია 1560—1578 წლებით, „ვინაიდან ხელნაწერის მომგებელი მოქვის მთავარეპისკოპოსი ეფთჳმე საყვარელიძე 1578—1611 წლებში უკვე კათალიკოზად მოიხსენიება“⁹. Q-39-ს ახლავს ანდერძი მომგებელისა: „...მე მოქველ მთავარეპისკოპოსმან ეფთჳმე საყვარელიძემან დავაწერინე ესე სულთა განმანათლებელი პატიოსანი მეტაპრასი...“.

არც ერთს ამ ხელნაწერთაგან იოსებ მიტროპოლიტის ანდერძი არ ახლავს!

ბუნებრივია, რომ იოსებ მიტროპოლიტისთვის ცნობილი იყო ექვთიმე საყვარელიძის, როგორც ხელნაწერთა მომგებელის ღვაწლი. მაგრამ უცნაურია, რომ არაფერი იცის ამ დარგში ევდემონის დამსახურების შესახებ. იგი ექვთიმესეულად მიიჩნევს კრებულების მთელ სერას, მაშინ, როცა თვით ეს კრებულები არავითარ ცნობას არ შეიცავენ ექვთიმე საყვარელიძის მოღვაწეობის შესახებ; პირიქით, ბევრი მათგანი არაერთგზის ასახელებს ევდემონ ჩხეტიძეს, რომელიც არც ერთხელ არ არის მოხსენებული იოსებ მიტროპოლიტის მიერ შედგენილ ანდერძებში.

Н. Д. ГОГУАДЗЕ

ЗАКАЗЧИКИ МЕТАФРАСТИЧЕСКИХ СБОРНИКОВ — КАТАЛИКОСЫ ЕВДЕМОН ЧХЕТИДЗЕ И ЕВФИМИИ САКВАРЕЛИДЗЕ

Резюме


Заказчиками некоторых кутаисских метафрастических сборников (№ 1, 2, 4, 5, 8) в научной литературе считаются католикосы — Евдемон Чхетидзе (1543—1578) и Евфимий Сакварелидзе (1579—1612).

В записях переписчиков Евдемон неоднократно назван (K—1, 4, 5) заказчиком, поэтому причастность его к переписке этих рукописей вне всякого сомнения. Евфимия заказчиком считает лишь автор поздней

⁷ იქვე, გვ. 63—64, 148.

⁸ იხ. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, Q კოლექცია, I, გვ. 46, 99.

⁹ იქვე, გვ. 101.



записи — митрополит Иосиф, деятель XVIII века. Записи эти ^{противо-}речащие данным ранним колофонам, внесены в те же списки, ^{при} чем в одном случае (в К-4) непосредственно вслед за записью одного из переписчиков рукописи — Мануила, в которой в качестве заказчика фигурирует именно Евдемон. Следует предположить, что Иосиф, зная большие заслуги Евфимия в переписке грузинских рукописей (К-10, Q-38, Q-39, Q-87), ошибочно приписывает ему инициативу в деле создания рукописей К-1, 2, 4, 8.

ცნალა კახაბრძვნილი

მისხ მელექსაზე „თქმული“

მესხი მელექსის ვინაობის შესახებ რუსთველოლოგიურ მეცნიერებაში ძირითადად სამგვარი აზრია გამოთქმული:

1. მესხი მელექსე „ვეფხისტყაოსნის“ გადამწერია. ეს თვალსაზრისი პირველად გამოთქვა სწავლულმა ბატონიშვილმა — თეიმურაზ ბაგრატიონმა 1843 წელს¹.

2. მესხი მელექსე პოემის ავტორია, ე. ი. რუსთველია. ამ თვალსაზრისის დამცველთა შორის იყვნენ ისეთი დიდი მეცნიერები, როგორც ნ. მარი² და შალვა ნუცუბიძე³ არიან. ბოლო წლებში მესხი მელექსის რუსთველობის მტკიცებას შეეცადა პ. რატიანი⁴.

3. მესხი მელექსე უნდა იყოს „ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთი გამგრძელებელი. კერძოდ, „გმირთა სიკვდილის ამბის“ ავტორი. ეს თვალსაზრისი ეკუთვნით კ. კეკელიძეს⁵, ალ. ბარამიძეს⁶ და პ. ინგოროყვას⁷. აკად. ალ. ბარამიძეს მიაჩნია, რომ მესხი მელექსე უნდა იყოს „ხვარაზმელთა ამბის“ ავტორიც, ის არის პოემის ერთ-ერთი ცნობილი ინტერპოლატორი.

მე-2 და მე-3 თვალსაზრისებს შორის საერთოა ის, რომ მესხი მელექსე მიჩნეულია შემოქმედად. მისი სიტყვები: „ვწერ ვინმე მესხი მელექსე“ — გაგებულა ავტორისეულ განცხადებად, რომ ზემონათქვამი მისი შეთხზულია, შექმნილია. დავაა მხოლოდ იმაზე, თუ რა შეთხზა მესხმა მელექსემ — თვითონ პოემა თუ მისი გაგრძელება.

მესხი მელექსე რომ რუსთველი არ შეიძლება იყოს, ამის მთავარ არგუმენტად კ. კეკელიძეს, ალ. ბარამიძესა და პ. ინგოროყვას მიაჩნიათ, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ეპილოგის პირველი სტროფი, სადაც ეს მელექსე თავის თავს ასახელებს, გულისხმობს „ვეფხისტყაოსნის“ გმირთა ცხოვრების დასასრულს — გარდაცვალებას:

¹ თეიმურაზ ბაგრატიონი, განმარტება პოემა „ვეფხისტყაოსნისა“, გ. იმედაშვილის რედაქციით, გამოკვლევითა და საძიებლით, თბ., 1960, გვ. 287.

² Н. Я. Марр, Грузинская поэма «Витязь в Барсовой шкуре» Шоты из Руставы и новая культурно-историческая проблема (ИАН. 1917, с. 415—446, 475—506).

³ შ. ნუცუბიძე, ვეფხისტყაოსნის ზოგიერთი საკითხისათვის, „ცისკარი“, № 2, 1965, გვ. 124—137; მისივე, „ვეფხისტყაოსნის“ ფრანგული თარგმანი, „ლიტერატურული საქართველო“, 12 მარტი, 1965.

⁴ პ. რატიანი, „ვინმე მესხის“ პრობლემის ირველივ (ვეფხისტყაოსანი და მისი ავტორი, 1975, გვ. 422—431).

⁵ კ. კეკელიძე, ძვ. ქართული მწერლობის ისტორია, ტ. 2, თბ., 1952, გვ. 112.

⁶ ალ. ბარამიძე, შოთა რუსთველი და მისი პოემა, თბ., 1966, გვ. 38, 41—42, 480.

⁷ პ. ინგოროყვა, რუსთველიანი, თხზულებანი, ტ. I, თბ., 1963, გვ. 38—41.

„გასრულდა მათი ამბავი, ვითა სიზმარი ღამისა,
გარდახდეს, გავლეს სოფელი, ნახეთ სიმუხთლე ჟამისა“...

ე. ი. მესხი მელექსე იცნობს პოემის ვრცელ რედაქციას, იცნობს ძირითადი ტექსტის გაგრძელებებს, რომლებიც ნამდვილად შემდეგ საუკუნეებშია შექმნილი — არა უადრეს XVI საუკუნისა. ამიტომ მას ვერ მივიჩნევთ პოემის ავტორად, მაგრამ შესაძლებელია, მისი შეთხზული იყოს „გმირთა სიკვდილის ამბავი“ და მისი წინა ნაწილიც — „ხვარაზმელთა ამბავი“⁸.

სიტყვა „ვერ“, რომლითაც მესხმა მელექსემ ესოდენ დიდი ყურადღება მიიბყრო, მეტად საეჭვოა, რომ ჩვენთვის საინტერესო ტაეპში „თხზვის“ სინონიმად იყოს ნახმარი. ხელნაწერი მემკვიდრეობის შესწავლა ცხადყოფს, რომ ძველად ქართული პოეტები თუ მწერლები, მწიგნობრები „ვერ“ ძირიდან ნაწარმოებ სიტყვას მხოლოდ იშვიათ შემთხვევებში უკავშირებდნენ მხატვრულ-შემოქმედებით პროცესს — თხზვას. ამ პროცესის აღსანიშნავად ძველ ქართულში სხვა ტერმინი იყო მიღებული — „თქმა“. ავტორები ამბობდნენ: მე ვთქვი, ჩემი ნათქვამია, თქმულია. „ვერ“ ძირიდან ნაწარმოები სიტყვებით კი უმთავრესად გადამწერები აღნიშნავდნენ თავიანთ ღვაწლს. ამავე დროს, უნდა აღინიშნოს, რომ ამ სიტყვებთან ზმნისწინი „გადა“ ძალზე იშვიათად იხმარებოდა. ე. ი. „გადავეწერო“, ამაზე ხშირად ამბობდნენ: „დავეწერე“, „დამიწერია“, „ჩემი დაწერილია“, „ვეწერ“, და სხვ. დღეს ჩვენ ვამბობთ: „ვეფხისტყაოსანი“ დაწერა შოთა რუსთველმა და გამოეხატათ აზრს, რომ „ვეფხისტყაოსანი“ შეთხზა შოთა რუსთველმა. მაგრამ ძველად ამ აზრის გამოსახატავად ამბობდნენ — „ვეფხისტყაოსანი“ თქვა შოთა რუსთველმა, ან თქმულია რუსთველისაგან. ხოლო „ვეფხისტყაოსანი“ დაწერა შოთა რუსთველმა, გაიგებოდა, როგორც „ვეფხისტყაოსანი“ გადაწერა შოთა რუსთველმა. მაგ., „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ ვკითხულობთ, რომ გრიგოლმა იერუსალიმში მიმავალ ერთ თავის მეგობარს „დაჰვედრა საბაწმიდისა წესისა და აწერა და წარმოცემად“. რასაკვირველია, მან მას საბაწმიდური წესის გადმოწერა დაავალა. მოვიყვანთ სხვა მაგალითებს ქართულ ხელნაწერთა გადამწერთა ანდერძებიდან⁹:

წერა

„ვიწყე ამა მაცუნისა და ლეილის წერა 1840-სა წელსა“ (თეიმურაზ I-ის „ლეილმაცუნეიანის“ გადამწერი. Q 573).

„ჩემდა წერად ქილილა არა იყო ჯერ ჩინებად“... („ქილილა და დამანას“ გადამწერი „ყარბი ვინმე აზნაური“ გიორგი მდივანი, 1810 წ., A 1788).

დაწერა

„...მე, ათანასე არვანდ ყოფილი, ღირს ვიქმენ დაწერად და აღსრულებად წმიდასა ამას პარაკლიტონსა“ (1092 წ., A 93).

„...რომელთამე ჩემთა კეთილთა მეგობართა ძმათა მაწვიეს ამ წიგნის

⁸ კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, თბ., 1952; გვ. 112; ალ. ბარამიძე, შოთა რუსთველი და მისი პოემა, თბ., 1966, გვ. 439—440, 480; პ. ინგოროყვა, რუსთველიანა, თხზულებანი, ტ. I, 1963, გვ. 38—41.

⁹ აქ და სხვა შემთხვევებშიც ნიმუშები მოგვყავს კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნაწერებიდან.

დაწერა“ („ჩარდავრიშინის“ გადამწერი ალექსის ძე დავით. 1780 წ. 
A 1).

დავწერე

„სამცხე-საათაბაგოს სვეტიცხოვლის დეკანოზის იოანეს დიაკონმან თევდორემ დავსწერე ესე მკედრული წიგნი“... (გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა კრებულზე ამბობს. XI ს., A 1).

„წიგნი ესე დავსწერე... მე ყოვლად უღირსმან დიაკონ-მონაზონმან სოლოლაშვილმან გერონტი“... (საგალობლების კრებულზე ამბობს, 1788 წ., A 1355).

„დავწერე ესე ლექსი მე, ესაკია ჩხეიძის ქალმა“ („ბეჟანიანზე“ ამბობს“. XIX ს. Q 775).

„უღირსმა დიაჩოქმა ზაქრომ დავწერე ეს „მიჯნურთ ბადე“ (XIX ს., S 118).

„დავსწერე ესე წიგნი გოცირიძე როსტომამა“ (ვახტანგ VI-ის სამართალზე ამბობს. XIX ს., Q 473).

„სამართლის წიგნი დავსწერე, გონებად მოსასველეია“ (ვახტანგ VI-ის სამართალზე ამბობს ქურხული მახარობელ. XIX ს., H 1081).

დამიწერია

„ეს სჯულიერი კინკლოსი მე, ზებედეს, დამიწერია (გულანი, Q 56, 1736 წ.).

„ეს ალექსიანი მე, არუთინას შვილს ოპანეზას დამიწერია“ (Q 872, 1820 წ.).

„დავითის ასულს ტასიას დამიწერია ცნება ესე, ამინ“ (სასულიერო ხასიათის თხზულებათა კრებული. 1832 წ., S 1345).

ვწერ

„გარსევანის ძე მთავარი ვსწერ ჟამთა დიაკვანესა“ (მამუკა ბარათა-შვილის „ჯიმშედიაწზე“ ამბობს, 1732 წ., S 390).

„მე, ზაქარია დიაკონი, მესამედ ვწერ პროკლეურსა ამას“... (პროკლე დიაღობოსი, კავშირნი ღვთისმეტყველებითნი, 1757 წ., S 1592).

„რაფიელ ერისთავი არაგვისა ვსწერ ამას“ (არჩილ მეფის თხზულებათა კრებულზე ამბობს. XVIII ს., A 1787).

„მე, მისი მონა თომა ვწერ, ვარ დანერგილი ხეოდა“ (საერო თხზულებათა კრებულზე ამბობს. XVIII ს., A 1787).

ვწერდი

„...ჟამსა, ოდეს ამ ვეფხისტყაოსანსა ვსწერდი მე, აღმურანთ ბაღდა-სარაშვილმა, მუშრიბი გასპარამა, მაშინ... დაიბადა ჩემი ყმაწვილი დავით“ (1671 წ. H 757).

„ამ წიგნსა ვწერდი სალხინოდ დეკანოზის და მანანა“ (საერო თხზულებათა კრებული, 1780 წ., H 958).

„მოსკოვს ვიყავ, წიგნსა ვწერდი მარგალიტსა ობოლსა მე“ (მარგალიტი, 1754 წ., H 1246, 105r. გადამწერი დეკანოზი ნიკოლოზ).



„...ესრეთ უგვანად მწირობისა ჟამს ვწერე მე, უღირსმან ბერძენმა მანდრიტმა კირილე, ქალაქსა მოსკოვს“ (ანდრია კრიტელი-იერუსალიმელი, დიდი გალობანი. 1766 წ., S 3645).

„ტიტულარნი სოვეტნიკმან, ბალინოვმან გვაროვნებით, ნიკოლაოზ ვსწერე ესე ტკბილმცნებანი ჰამოვნებით“... (სამართლის წიგნები, 1833 წ., H 2172).

„სევდის მუფარახად ვწერე, სრულ იქმნა ღვინობის თვესა“. („გულასპიანი“, 1844 წ., H 472, 64v).

დასაწერი

„მე, მცირე მონასა ღწისასა, ათანასეს ქავჯარაძესა, მიბოძა ესე პატიოსანი პარაკლიტონი დასაწერათ (Q 103, 1749 წ.).

გიორგი მთაწმიდელი თავისი ნათარგმნი ოთხთავისათვის დართულ ანდერძში ასე მიმართავს გადამწერებს: „ვინცა ვინ დასწერდეთ, ვითა აქა პოვოთ, ეგრე დასწერეთ, თუ ამისაგან ჯერ-ვიჩნდეს დაწერაჲ, ღმრთისათეს, სიტყუასა ნუ სცვალებთ, ვითა აქა სწერია, ეგრე დაწერეთ“.

ამგვარი ნიმუშები ქართულ ხელნაწერთა ანდერძებში მრავლად მოიპოვება. ამაში დასარწმუნებლად საკმარისია გადავათვალიეროთ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობათა ტომები.

ძველ ქართულ მწერლობაში არა გვაქვს შემთხვევა, რომ თხზულების შესახებ ამბობდნენ — დაწერილია ამა და ამ ავტორის მიერ. მაგალითად, გვაქვს „საკითხავი, თქმული იოანე დამასკელისა“. გამორიცხულია, რომ ამ ნაწარმოების დასახელება შეგვხვდეს ასეთი ფორმით: „საკითხავი, დაწერილი იოანე დამასკელისა“. არა, ყველა თხზულება „თქმულია“, ან „ნათქვამია“ ავტორთა მიერ. ეს ეხება როგორც სასულიერო, ასევე საერო მწერლობის ყველა დარგს და ყველა ჟანრს — მხატვრულსა თუ სამეცნიეროს, ნათარგმნსა თუ ორიგინალურს. გამოჩალისია მხოლოდ ეპისტოლარული ჟანრი. ეპისტოლე ყოველთვის არის დაწერილი, მიწერილი. დაწერილია ანდერძი, წერილი — მიწერილი, მოწერილი, დაწერილი და სხვ. არ გვხვდება ანდერძი ნათქვამი, წერილი ნათქვამი და სხვ., რადგან „თქმული“, ან „ნათქვამი“ შეიძლება იყოს მხოლოდ თხზულებად, ნაწარმოებად მისაჩნევი ქმნილებად ავტორისა.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ „თქმა“ არ შეიძლება ყოველთვის ჩაითვალოს „თხზვის“ ზუსტ სინონიმად. „თქმა“ უფრო ფართო მნიშვნელობის სიტყვაა. იგი ზოგადად ნიშნავს შექმნას. მაგალითად, „თქმულს“ თხზულის ზუსტ სინონიმად ვერ გავიგებთ ასეთ შემთხვევებში: „ჟამნი შუალამისანი, თქმული იოსებ გამომეტყველისა“. იოსებ გამომეტყველს ვერ ჩავთვლით „შუალამის ჟამნის“ შემთხზველად, რადგან იგი არ არის ამ ჟამნში შესული მასალის—ფსალმუნების, საგალობლებისა და სხვათა ავტორი. იგი არის ამ ჟამნის მხოლოდ შემდგენელი, ზოგადად — შემქმნელი. ასევე: „სამართალი ქართული, თქმული ბატონისშვილის პატრონის ვახტანგისაგან“. არც აქ შეგვიძლია ვახტანგ მეფეს ეუწოდოთ კანონთა შემთხზველი და სხვ.

„თქმის“ ფართო მნიშვნელობით არის გამოწვეული ის, რომ XVIII ს-დან მის სინონიმებად ხელნაწერებში გვხვდება როგორც „თხზული“, ასევე „ქმნი-

ლი“ „ნალღაწი“, „შრომილი“ და სხვ. (იხ. A 1411, S 1193, Q 860, Q 198, S 1715, S 1391, S 121, S 206, S 387, A 1411 და სხვ.).

„წერ“ ძირიდან ნაწარმოები სიტყვებიდან „თქმულს“ სინონიმად გვხვდება „აღწერილი“. ეს სიტყვა ორგვარი მნიშვნელობით იხმარება ძველ ქართულში. „აღწერა“ გადაწერასაც ნიშნავს და „თქმასაც“.

გადამწერთა ანდერძები:

„აღმწერი ისაგან შეცთომა მოითხოვს მოტევებასა“ (Q 172, 1831 წ.).

„მოიჯსენე, უფალო, მრჩობლთავე შინა ცხოვრებათა აღმწერელი დაბადებისა ამის გრიგოლ იეროდიაკონი“ (S 422, ბიბლია, 1841 წ.).

„...ხოლო უწინარეს ამისა აღვსწერე წიგნი ეფრემ ასურისა“ (კრებული. A 105, 1697 წ. გადამწერი ბესარიონ ორბელიშვილი).

„აღწერა“ — „თქმის“ მნიშვნელობით:

„კანონნი შეცოდებულთანი, აღწერილნი ნეტარისა მამისა ჩუენისა იოანეს მიერ კოსტანტინეპოლელისა“ (S 144).

„ქება და დიდება, შესხმა და გალობა ყოვლად წმიდისა ღისმშობელისა... აღწერილი წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა მაქსიმეს მიერ, ფილოსოფოსისა და აღმსარებელისა“ (S 1732).

ამრიგად, აღწერა თავისი მნიშვნელობით ზოგჯერ ენაცვლება „თქმას“, „აღწერილი“ „თქმულია“. მაგრამ „აღწერა“, ისევე როგორც „ნალღაწი“, „შრომილი“, არ გვხვდება ლექსებთან დაკავშირებით ნახმარი. ისინი სხვა ხასიათის თხზულებებს გულისხმობენ. არ შეგვხვდება გამოთქმა — ლექსი ნალღაწი, ლექსი შრომილი, ლექსი აღწერილი. ლექსი ნათქვამია, იშვიათად შეიძლება იყოს ქმნილი. მაგ.: „ქმნილი ჩახრუხადისაგან“ — ნათქვამია „თამარიანზე“ (A 1411. XIX ს.). ამავე ხელნაწერში „ქმნილი აბდულმესია შავთელისაგან“, — ნათქვამია „აბდულმესიანზე“.

როდესაც ავტორებად მეფეები გვევლინებიან, მაშინ „თქმულს“ ხშირად ენაცვლება „ნაბძანები“ მაგ.: „ქილილა და დამანას“ ხელნაწერებს ერთვის ზოლმე: „საბას ნათქვამი შაირი“, მაგრამ „მეფის ნაბძანები შაირები“. ეს სხვაობა განსაკუთრებით კარგად ჩანს ლექსთა კრებულებში, სადაც სხვა ავტორთა ქმნილებები ნათქვამია, მეფეთა კი ნაბძანები. (იხ. H 33, H 773, S 1203, Q 563, Q 875, S 4500).

რაკი ნაწარმოები იყო „თქმული“, „შეთხზული“, „აღწერილი“, „ნალღაწი“ და სხვ. ამ ნაწარმოებთა ავტორებს ეწოდებოდათ „მოქმელი“ „მოთხზველი“, „აღმწერელი“, „მომღვაწებელი“ და სხვ. ამათგან ყველაზე მეტად გავრცელებული იყო „მოქმელი“. პოეტებს ეწოდებოდათ როგორც მოქმელი, ასევე მელექსე, მოშაირე.

როგორც ვთქვით, არ გვხვდება გამოთქმა — „ლექსი აღწერილი“. შესაბამისად არ გვხვდება გამოთქმაც — ლექსის. აღმწერელი, მომღვაწებელი. მაგრამ ვრცელ პოეტურ ნაწარმოებზე შეიძლება იყოს ნათქვამი „აღწერილი“. და მის ავტორზეც „აღმწერელი“. ამ შემთხვევაში ეს სიტყვები გულისხმობს ნაწარმოების ამბავს. მაგალითად, შოთა რუსთველი „ვეფხისტყაოსნის“ აღმწერელად არის მოხსენიებული ქუთაისის ხელნაწერში № 1867. აღმწერელი რომ ძველად ამბის მთხრობელს, პროზაიკოსს ნიშნავდა, ეს სამეცნიერო ლი-

ტერატურაში უკვე მითითებულია¹⁰, ამიტომ შოთა რუსთველი „ვეფხისტყაოსნის“ აღმწერელი არის იმდენად, რამდენადაც ის არის მოხრობელთა პოეტური ამბისა, მაგრამ შოთა რუსთველი, როგორც ამ ამბისათვის პოეტური ფორმის ნიმუში, არის მთქმელი, გამომთქმელი.

„თქმა“ რომ ძველად სათქმელისათვის გარკვეული ფორმის — ყველა ქანრის თხზულებებისათვის სათანადო სახის მიცემას ნიშნავდა, ამაში ნათლად გვარწმუნებს რამდენიმე მაგალითი: ხელნაწერებში არჩილ მეფის „საქართველოს ზნეობანი“ გვხვდება შემდეგი დასათაურებით: „საქართველოს ზნეობანი“ — ესე აღუწერია მეფესა არჩილს და ლექსად წარმოუთქვამს, რათა ყოველნი ერისკაცი ესრეთ იქცეოდნენ“ (Q 770, H 614). ცხადია, რომ აქ „აღუწერია“ ეხება პოემაში გადმოცემულ ამბავს, ხოლო ამ ამბისათვის პოეტური ფორმის მიცემას ლექსად წარმოთქმა ეწოდება. სულხან-საბა ორბელიანის „საქრისტიანო მოძღვრება“ ხელნაწერებში ასეთი დასათაურებით გვხვდება: „საქრისტიანო მოძღვრება, პირველად სასწავლო ყრმათათვის, აღწერილი სულხან-საბა ორბელიანისაგან და მის მიერვე თქმული, რომელსა ეწოდების სამოთხის კარი“ (H 581). აქ უკვე პროზაულ თხზულებაზეა ნათქვამი, რომ ავტორმა აღწერა და შემდეგ თქვა. ე. ი. ნაწარმოებში გადმოსაცემი ამბავი შექმნა და შემდეგ მას სათანადო მხატვრული ფორმა მისცა.

ამრიგად, „აღწერა“, „აღმწერელი“ თუმცა ხშირად გვხვდება „თქმისა“ და „მთქმელის“ სინონიმებად, მაგრამ ისინი თავისი მნიშვნელობით მთლიანად ვერ ფარავენ „თქმისა“ და „მთქმელში“ ნაგულისხმებ შინაარსს. „თქმულის“ ზუსტ სინონიმად შეიძლება ჩავთვალოთ მხოლოდ „ქმნილი“. ანტონ I კათალიკოსი ამიტომ ასათაურებს ასე თავის თხზულებებს: „...ქმნილი ანუ თქმული წიგნი კათილორია-სიმეტნე“, „...ქმნილი ანუ თქმული წიგნი წყობილისიტყვაობა“ და სხვ.

ზემომოყვანილი მაგალითებიდან ნათლად ჩანს, რომ ამბის უბრალოდ გადმოცემას არ შეიძლება ვუწოდოთ „თქმა“. ამიტომ არა გვაქვს ეპისტოლე, წერილი, ანდერძი „თქმული“.

როგორც ერთხელ უკვე აღვნიშნეთ, თქმულია ნაწარმოები, რომელსაც თავისი ქანრისათვის დამახასიათებელი ფორმა აქვს მიცემული. ხოლო ფორმათა შორის რაკი პოეტური ითვლებოდა უმაღლესად და უპირველესად, ამიტომ არ შეიძლებოდა, რომ ლექსი, პოემა არ ყოფილიყო თქმული.

სიტყვა „მწერალი“ ძველ ქართულში არ იხმარებოდა ავტორის, შემოქმედის მნიშვნელობით. ეს მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც ვთქვით, „მთქმელს“ „აღმწერელს“ და სხვ. „მწერალი“ ან „მწერელი“ კი გადაამწერს ეწოდებოდა. ცნობილი გამოთქმა: „ხელი მწერლისა ღებვის, ხოლო ნაშრომი ჰგვის უკუნი-სამდე“, ვიცით, რომ გადაამწერსა და მის გადაწერილს გულისხმობს. სიტყვა „მწერლის“ მნიშვნელობა ძველ ქართულში გარკვეული აქვს მზია სურგულაძის ნაშრომში „ძველი ქართული პალეოგრაფიული ტერმინები“. „მწერლის“, როგორც „გადაამწერის“ ვარიანტებად ძველ ქართულ მწერლობაში გვხვდება აგრეთვე შემდეგი ტერმინები: დამწერი — დამწერელი, აღმწერი — აღმწერელი. „აღმწერის“ შესახებ მაგალითები ერთხელ უკვე მოვიყვანეთ,

¹⁰ ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 011—012.

ამიტომ აქ მოვიყვანთ მხოლოდ იმ მაგალითებს, სადაც რები თავის თავს „დამწერს“ უწოდებენ.

ვინმე ზებედეს 1735 წელს გადაუწერია სასულიერო შინაარსის კრებუ-
ლი — S 358. მას ორჯერ მოუხსენებია თავისი თავი ანდერძებში: 1. „ღმერთო,
შეიწყალე ცოდვილი ამისი მწერალი ზებედე“ (გვ. 85); 2. „ღმერთო, შეი-
წყალე ცოდვილი ამისი დამწერი ზებედე“ (გვ. 302). აქ საუბროდ ჩანს,
რომ „დამწერი“ „მწერლის“ ზუსტი სინონიმია. ასევე საინტერესოა ანდერძი,
რომელიც ერთვის XVII საუკუნეში გადაწერილ ბიბლიას (H 855); „ღმერთო,
შეიწყალე ამისი დამწერი, ცოდვილი მონა ქრისტესი, დედოფლის დეკანო-
ზის შვილი, ახალმოსწავლე მწერალი გაბრიელ, ამინ“. ლუკა ასათიანოვს
1857 წ. გადაუწერია კრებული. (S 3189). „იოსებ-ზილიხანიანის“ შემდეგ და-
ურთავს ანდერძი:

„ამის დამწერსა ლუკასა, ხელი მას უქოთ რომელსა, სწვადა გულს
ალი მიჯნურის, აწ მისთვის ამის მშრომელსა“.

იესე ოსეს ძეს გადაუწერია ლოცვები (A 1790). დაურთავს ანდერძი:
„დამწერელი ამისი ოსეს ძე იესე“.

აღვნიშნავთ რა იმას, რომ „წერ“ ძირიდან ნაწარმოები სიტყვები ძველ
ქართულში გადამწერთა ღვაწლის აღსანიშნავად იხმარებოდა, იმის მტკიცება
არ გვინდა, რომ ამ სიტყვას სხვა ფუნქცია არ ჰქონდა, რომ მისი ლექსიკუ-
რი მნიშვნელობა მხოლოდ გადამწერლობითი საქმიანობით განისაზღვრებოდა.
ძნია სურგულაძის ზემოდასახელებულ ნაშრომში გარკვეულია, რომ ისტორი-
ულად სიტყვა „წერამ“ სამი ძირითადი მნიშვნელობა მოგვცა, რომ იგი არ
არის მხოლოდ პალეოგრაფიული ტერმინი. საკუთრივ „წერის“ გარდა მას აქვს
კიდევ ორი ძირითადი მნიშვნელობა: 1. გაჭრა, გაკაწრვა; 2. გამოსახულების
გამოყვანა, ხატვა¹¹. აღსანიშნავია, რომ სწორედ ესენია ამ სიტყვის თავდაპირ-
ველი მნიშვნელობები.

სამივე შემთხვევაში „წერა“ ტექნიკური პროცესის აღმნიშვნელი ტერმი-
ნია. ძველ ქართულში ეს სიტყვა იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება ზემოაღ-
ნიშნული შემთხვევებისაგან განსხვავებული მნიშვნელობით. ზოგიერთ კონ-
ტექსტში იგი შეიძლება მივიჩნიოთ სიტყვების: „ამბობს“, „იტყვის“ შემცვლე-
ლად.

მაგალითად¹²:

„ამისთვის დასწერს გრიგოლი თეოლოღოს: გულისთქმანი ბოროტნი
არიან სამნი“ (სულხან-საბა ორბელიანი. III. სამოთხის კარი, A 250,22).

„ხოლო ცხორებასა შინა სწერს ბრწყინვალეს გიორგის თავდადებუ-
ლის ძედ და ძედ გიორგისად ბაგრატს (ქართლ. ცხ. ტ. IV, გვ. 292,29).

„მთავარი წმიდის იოანეს მემონასტრე ჰსწერს ისტორიასა შინა სო-
მეხთასა“ (ქართლ. ცხ. IV, 444,7).

„მოსე სწერს: იქმნა მწუხრობა...“ (თეიმურაზ II, სარკე თქმულთა,
16,2). და სხვ.

¹¹ მ. სურგულაძე, ძველი ქართული პალეოგრაფიული ტერმინები, თბ., 1978, გვ. 8—
28.

¹² „წერ“ ძირიდან ნაწარმოებ სიტყვებზე ზოგიერთი მაგალითი ამოღებული გვაქვს საქ. სსრ
მეცნიერებათა აკადემიასთან არსებული შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგე-
ნი კომისიის სალექსიკონო მასალებიდან.



ზემომყვანილ ვერცერთ წინადადებაში „წერა“ სიტყვის მაგიერ ვერცხანა სვამთ „თხზვას“. მაგ., რომ გვაქვს: „ამისთვის დასწერს გრიგოლი მხროლვე დღს“; ვერ ვიტყვით: „ამისთვის თხზავს გრიგოლი თეოლოლოს“, აქ „დასწერს“ აშკარად ნიშნავს: იტყვის, ამბობს. ასევეა სხვა შემთხვევებში.

დაუკავშირდა რა თავისი მნიშვნელობით „თქმას“ — საუბარს და არა „თხზვას“, ვფიქრობთ, აქ ჩაისახა პოტენციური შესაძლებლობა სიტყვა „წერას“ საბოლოოდ შეეძინა „თქმის“, როგორც „თხზვის“ მნიშვნელობაც. ეს მოვლენა ძველ ქართულ ენაში შეიძლება ვთქვათ, მხოლოდ ჩანასახის სახით გამოჩნდა. ძველი ქართული მწერლობის ძეგლებში უიშვიათესი შემთხვევები შეიძლება ვუწოდოთ იმ მაგალითებს, სადაც „წერა“ სიტყვა „თხზვის“, ზოგადად, „თქმის“ მნიშვნელობით უნდა გავიგოთ. მოვიყვანთ ამ მაგალითებს: ვახტანგ VI „ვეფხისტყაოსნის“ განმარტებას ასე იწყებს: „მე ვსწერ ძმის წული მეფის გიორგისა და ძე ლევანისა გამგებელი ქართლისა ვახტანგ წიგნსა ამას“. აქ ვწერ უნდა ნიშნავდეს ვქმნი. თითქოს დარღვეულია ტრადიცია. მაგრამ ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ავტორი მხოლოდ ამ განცხადების ამარა არ არის. სათაურში სინგურით საგანგებოდ მითითებულია: „თარგმანი პირველი წიგნისა ამის ვეფხისტყაოსნისა, თქმული ბატონისშვილის გამგებლის ბატონის ვახტანგისა“¹³.

ბატონიშვილ ანუკას, ვახტანგ VI-ის ასულს, 973 წლის შატბერდის ოთხთავში (A 1453) ჩაუწერია ასეთი სტროფი:

„ფრად ცოვდილმან ანუკამ და ვწერე ესე ლექსია,
ჩემთვის შენდობას ბრძანებდეთ, ვისც ვწამსთო ქრისტე მესია,
მცოდნენო, თავსა არ გისწრობთ, ხართ ჩემგან უკეთესია.
დავწერე შენდობის თხოვნა, მოცემაც დანაწესია“.

რისი თქმა სურს ბატონიშვილ ანუკას, როცა ამბობს: „დავწერე ესე ლექსია“? იმისა, რომ მან „თქვა“ ეს ლექსი, თუ იმისა, რომ ამ ხელნაწერში მან ჩაწერა ეს ლექსი, ე. ი. მან შეასრულა ეს მინაწერი. აქ ორივე ვარაუდის დაშვება შეიძლება.

არჩილ მეფე ხოსრო თურმანიძეზე ამბობს:
„როსტომიანი უთქვამსო, თურმანიძესა ხოსროსა,
სხვა წიგნი მაშინ ძვირობდა, დაუწერია მას როსა“.

აქ „უთქვამს“ და „დაუწერია“ ერთმანეთის სინონიმებად არის ნახმარი. თვითონ ხოსრო თურმანიძე ამბობს:

„ბატონმან ჩემმან მიბრძანა ქართულად სწერე ესია“.
სულხან-საბას ძმას, დიმიტრი ორბელიანს, საბას ლექსიკონზე დაუწერია:
„სიბრძნის ტრფიალთა დამზირონ, რასა სწერს სულხან-საბანი“
(Q 506.)

ვახტანგ VI კვიცილისათვის დართულ ანდერძში ამბობს:
ვახტანგ მოსკოვს ცხადად ვწერე სათანადო საუბარი“ (Q 225).
„ჭილილა და დამანასათვის“ დართულ ერთ-ერთ ლექსს იგი ასე ამთავრებს:
„ვსწერ მეფე ვახტანგ ქართველთა, თესლ-ტომად დავითიანი“.

¹³ შოთარ უსთაველი, ვეფხისტყაოსანი, 1712, გვ. ს.გ.



თეიმურაზ I.

„ეგ ლმერთმან იცის, თქვენთვის ვ წერ, საკეთოდ, არ თუ ზიანად
(„შდრ. გაზაფხ. და შემოდგ.“ 105,1).

„ზოგი და ვ წერე სახუმროდ, სალხინოდ 'საკამათენი'
(„შდრ. გაზაფხ. და შემოდგ.“, 106,1).

„მომინდა წერა ამისთვის, არ იყოს დავიწყებული“
(„მაჯამა“, 2,2).

სულხან და ბეგთაბეგ თანიაშვილები. „ამირანდარეჯანიანი“.

„ცხრა გათავდა კარი ლექსვით, აწ მეთეს ხელეყავ წერად“ (1662,1).
„აწ უყურეთ ამბის თქმანი თუ მელექსემ როგორ სწეროს“ (40,4).

ფეშანგი ფაშვიბერტყვიძე. „შაჰნავაზიანი“.

„ველყავ მიწიან ფეშანგიმ ამა წიგნისა წერას“ (1051,1).
„კახთა მეფემან თეიმურაზ იწყო ლექსებსა წერას“ (6,1).

იოსებ სააკაძე. „დიდმოურავიანი“.

„ზოგი რამ საღმთოც და ვ სწერე, სიტყვა ვთქვი წმინდათ ქებისა“
(484,2).
„მე ამის წერიოთ მეშინის, ვა თუ ხმა მესმას ვებისა“ (484,4).

„ალექსიანი“.

„ვერა ვ სწერე ქება მისი, სევდას ასე შევეკარი“ (28,4).

ვახუშტი ბატონიშვილი წერს: „ხოლო ესე მოხიდა იყო მოგვ სპარსი და იჩემებდა სარწმუნოებასა, არამედ ფარულად წერდა წიგნთა ბოროტთა“ (ქართლის ცხოვრება, IV, 99, 20—22).

ამგვარი მაგალითები, შესაძლებელია, რამდენიმე კიდეც მოიპოვება აღორძინების ხანის ქართულ წერილობით ძეგლებში, მაგრამ 5 თუ 10 მაგალითით ნეტი იქნება თუ ნაკლები „წერა“ სიტყვის ამგვარი ხმარების შემთხვევები, ეს საერთო სურათს ვერ ცვლის. მოყვანილი მაგალითებიდან მტკიცდება მხოლოდ ის, რომ სიტყვა „წერის“ „თხზვის“ მნიშვნელობით გაგების შესაძლებლობა ამ ხანიდან უკვე არსებობდა. მაგრამ მისი ხმარების არე მეტად შეზღუდული იყო. პოეტები, მწერლები აქა-იქ საუბარში შეიძლება გამოუტრეყდნენ ხოლმე ამ სიტყვას, მაგრამ იმ საგანგებო შემთხვევაში, როცა მათ თავისი ან სხვისი ავტორობა სურდათ აღენიშნათ, მას არ იყენებდნენ. როგორც უკვე აღნიშნული გვაქვს, ასეთ შემთხვევაში მათთვის ძველთაგანვე მხოლოდ ერთი ტერმინი არსებობდა: „თქმა“. ამის ნათელსაყოფად მოვიყვანთ მაგალითებს ქართული საერო პოეზიიდან:

შოთა რუსთველი:

„ვეფხისტყაოსანში“ „წერ“ სიტყვა ეპილოგის გარდა 34-ჯერ არის ნახმარი¹⁴. აქედან 29-ჯერ მიწერ-მოწერის აღსანიშნავად. პოემაში ხომ გვაქვს მიმოწერა ნესტანსა და ტარიელს, ტარიელსა და რამაზ მეფეს, ავთანდილსა და

¹⁴ „ვეფხისტყაოსნის“ სიმფონია, თბ., 1973, გვ. 149.

ფატმანს, ფატმანსა და ნესტანს შორის. აგრეთვე ავთანდილი წერს ანდროს, უტოვებს წერილს თავის ყმებს, წერილს გზავნის ფრიდონთან. ამ წერილებში „წერ“ სიტყვა სხვადასხვა ფორმით, სხვადასხვა დროში, სხვადასხვა მნიშვნით არის ნახმარი. მაგ.: „დაჯდა წერად ანდერძისად“ (788,1); „მოეწერა მზისა შუქსა“ (376,2); „აწ საყვარელსა მიუწერს“ (1292,1). „მიუწერე, შეცასთვალე“ (1094,4); „ჩემგან არ მოგეწერების“ (1298,1); „გამიკვირდა, რა ეწერა წიგნსა შენგან მონაწერსა“ (401,2) და სხვ.

ორ შემთხვევაში წარწერის მნიშვნელობით არის ნახმარი:

„ესე არაკი მართალი ჩინს ქვასა ზედა სწერია“ (854,1).

„ზედა ეწერა: აქა ძეს აბჯარი საომარიო“ (1368,1).

ერთხელ ბედისწერას ნიშნავს:

„აწ ამას იქით ვნატრიდე ჩემსა ეტლსა და წერასა“ (1210,3).

და მხოლოდ ორი შემთხვევაა, რომელიც ამ სიტყვას „წერის“ მნიშვნელობას აცილებს.

„წაგიკითხავს, სიყვარულსა მოციქულნი რაგვარ სწერენ“ (791,1).

„რომე მწადდეს, ვერ დავწერენ მე სიტყვანი ნათალნი“ (1573,4).

პირველ შემთხვევაში „სწერენ“-ს შეგვიძლია შევუვინაცვლოთ სიტყვა „ამბობენ“. ე. ი. წაგიკითხავს სიყვარულზე მოციქულნი რას ამბობენო. სწორედ ამ აზრს აგრძელებს მომდევნო ტაეპი: „ვით იტყვიან, ვით აქებენ“... ყოველ შემთხვევაში, აქ „თხზვას“ „წერის“ მაგიერ ვერ ჩავსვამთ, ე. ი. ნაცვლად ამისა: „სიყვარულზე რას წერენ“, ვერ ვიტყვი: „სიყვარულზე რას თხზავენ“. შეგვიძლია თუ არა „თხზვა“ ჩავსვათ მეორე შემთხვევაში: „ვერ დავწერენ მე სიტყვანი ნათალნი“ გავიგოთ ასე: „ვერ შევთხზენ მე სიტყვანი ნათალნი“. სიტყვების შეთხზვა არაბუნებრივი გამოთქმაა. შეთხზვა შეიძლება ლექსის, ნაწარმოების. ამიტომ აქაც სიტყვა „დავწერენ“ უნდა გავიგოთ, როგორც ვთქვი (ვისაუბრეს მნიშვნელობით) — რაც მინდოდა, იმის შეათედიც ვერა ვთქვი, ვერ გითხარითო.

ამრიგად, რუსთველი სიტყვა „წერას“, „თხზვის“ მნიშვნელობით არა ხმარობს. თხზვის—მხატვრულ-შემოქმედებითი პროცესის აღსანიშნავად მან იცის მხოლოდ ერთი სიტყვა — „თქმა“. ეს ჩანს პოემის პროლოგიდან, სადაც რუსთველი აყალიბებს თავის მხატვრულ-შემოქმედებით პრინციპებს, გვაცნობს თავის თავს, როგორც პოემის ავტორს, და გვაუწყებს იმ მიზეზებს, რამაც აღძრა პოემის დასაწერად. რუსთველი ამბობს:

„ვთქვენი ქებანი ვისნი მე, არ ავად გამორჩეული“ (4,2).

„მიბრძანეს მათად საქებრად თქმა ლექსებისა ტკბილისა“ (5,1).

„დავჯე, რუსთველმან გავლექსე, მისთვის გულლახვარსობილი, აქამდის ამბად ნათქვამი, აწ მარგალიტი წყობილი“ (7,3—4).

„ვბოვე და ლექსად გარდავთქვი, საქმე ვქმენ საუკომანები“ (9,3).

„გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის, შაირია ამად კარგი“ (12,4).

„მართ აგრევე მელექსესა ლექსთა გრძელთა თქმა და ხევა“ (13,3).

„მოშაირე არა ჰქვიან, თუ სადმე თქვას ერთი ორი“ (15,1).

„განაღა თქვას ერთი ორი, უმსგავსო და შორი შორი“ (15,3).

„ჩვენ მათიცა გვეამების, რაცა ოდენ თქვან ნათელად“ (17,3).

„მოშაირე არა ჰქვიან, ვერას იტყვის ვინცა გრძელად“ (17,4).

„მისი სახელი შეფარვით ქვემოთ მითქვამს, მიქია“ (19,4).

„ვთქვა მიჯნურობა პირველი და ტომი გვართა ზენათა,



ძნელად სათქმელი, საჭირო გამოსაგები ენათა“ (20,1—2).

„ვთქვენ ხელობანი ქვენანი, რომელნი ხორცთა ჰხვდებიან“ (21,2)

ამრიგად, პროლოგში რუსთველს 14-ჯერ შეეძლო ეხმარა სიტყვა „წერა“ „თხზვის“ მნიშვნელობით, მაგრამ არცერთხელ არ მიმართა მას. შეიძლება ეს შემთხვევითობით აიხსნას? ვფიქრობთ, პრთლოგი აშკარად გვიმტკიცებს, რომ გამორიცხულია დაეუშვათ რუსთველის მიერ „წერა“ სიტყვის „თხზვის“ მნიშვნელობით მარების შესაძლებლობა.

რუსთაველისამებრ იქცევა ალორძინების ხანის ყველა პოეტი. მათ თხზულებებში „თქმა“ ტერმინის ხმარების შემთხვევა ძალიან ბევრია. ამიტომ მაგალითებად მოვიყვანთ ამ შემთხვევათა მხოლოდ ნაწილს.

„როსტომიანი“:

„ამა წიგნსა უღვეველსა — გრძელად უთქვამს კაცსა ბრძენსა, თავი-ბოლო ნაკლები აქვს, რაც რომ უთქვამს ენას ჩვენსა“.

„ომიანიანი“:

„კედელაურმან თურქნი თქვა და როსტომ ზაულელია“.

XVI—XVII საუკუნეების უცნობი პოეტი. „იოსებ-ზილიხანიანი“.

აწ, რუსთველო, გეთხოვები, რომე მომცე ნება თქმისა“...

თეიმურაზ I

„ნაძლევი ვარ, თუ ვინმე თქვას ჩემებრ რამე განლექსული“.
(ვარდბ“. 4,3).

„ნუ მკითხავ ზღაპრად შეთხზულსა ამ უსარგებლო თქმულებსა“
(შდრ. გაზაფხ. და შემოდგ. 3,1).

„სხვაც ბევრი ვთქვი უმრავლესი ქეიშისაგან ენაშენი“
(„შდრ. გაზაფხ. და შემოდგ.“. 8,3).

„გათავდა წიგნი მაჯამა, ლექსი აქა-იქ თქმულეზი“
(„მაჯამა“).

ნოდარ ციციშვილი. „ბარამგურიანი“

„რუსთველს არ დარჩა უთქმელი, რაც ოდენ მისწვდა გონება“ (6,1).

„თეიმურაზ თქვა ამბავი იოსებ-ზილიხანისი...“

თქვა ხელმწიფური ლექსები, თვით რუსთველის მოსაწონისი“ (7,1, 3).

„ლექსთა თქმაცა ვით გაბედა ნოდარ, ანუ შაირობა“? (9,2).

„ესე ამბავი სპარსულებრ, გონება-მიუწვდომელი, ნიზამის უთქვამს განჯელსა, ბრძენთა ბრძენია რომელი“ (12,1—2).

„ნავაის ესე ამბავი ჩალათურითა ენითა უთქვამს და მისებრ მოლექსე სხვა ვინმეცა ვიზარენითა? კვლავ ჟამის უთქვამს სპარსულად მუნვე ჭკუითა ბრძენითა“

(13,1—3).

„რადგან ვსთხოვე შემოქმედსა ლექსთა თქმისა მე შეწევნა“ (14,2).

არჩილი ა. „გაბაასება“

„გაბაასების“ შესავალში მეფე ამბობს: „ამის ქორონიკონს ქვემორ ლექმდ მოგახსენებ, როდის ითქვა ა... ერთის ანბანთქებით რომ ცხრა ლექსია,



ოსეთს და დღელეთს მიიქვამს ორს თვესა და იმას ქვემოთს აწაშობს
 ვამბობა“.

- „ვექვ, ესე ჩემი ნათქვამი, კარგი რამ მოსაგონარი“ (15,1).
- „როსტომიანი უთქვამსო თურმანიძესა ხოსროსა“ (25,1).
- „ნანუჩას რუსთვლის ნათქვამში ბევრი რამ ჩაურევია“ (26,1).
- „ქაიხოსრომან შიგ ჩართვით ლექსად თქვა ომანიანი“ (28,1).
- „კარგად რამ უთქვამს, მის გამო არა ვთქვი მისი ზიანი“ (28,3).
- „ფარსადანის-ძემ ნოდარ თქვა ქება კარგა ბარამ-გურის“ (29,1).
- „ჩოლოყაშვილსა გარსევანს უთქვამს რამე-რაეზია“ (30,1).
- „კარგად თქვა, მაგრამ ვერ გვიზამს რუსთვლის თქმულთანა ჩვენობას“ (31,4).
- „ფეშანგი ფაშვი-ბერტყასძემ ახლა თქვა ფირმალიანი... მე ვათქმევინე, მაგრამ ვერა თქვა მარილიანი“ (34, 1—4).
- „ვისცა ეთქვას კარგად რამე, ნუ წაუხდენთ, თქვენცა აქეთ, კარგი კარგა მოუწონეთ, ცუდის მთქმელი მო, დაბაქეთ, ვინ ვერ მიპყვეს რუსთვლის თქმულსა, გადმობრძანდეს ასე აქეთ, მეღექსობა არ შეშვენის, დააყენეთ მოსაბაქედ!“ (36).
- „კარგადა ვთქვა ყველაკათ, არ მგონია ვნანუჩაო! (41,3).
- „მე ვარ ძირი ლექსის თქმისა, მეღექსენი ჩემზედ შენობს“ (78,1).
- „ჩახრუხაძემ პირველ არ თქვა, რად იპარავ პირველ თქმასა? (79,1).
- „შენ ასეთი სად რა გითქვამს, მე არ მეთქვას უკეთესად“ (120,1).
- „არც სულ ჯავრსა დავმორჩილდი, ლექსადა ვთქვი შვიდი კრება“ (121,4).
- „ლაზოდა სთქვი, შემოიღე ჯავახური ენა მიმიე“ (124,1).

ბ. „საქართველოს ზნეობანი“

- „აწ ეს მომინდა სათქმელად, რამდენი ზნეობა არის“ (3,1).
- „მეღექსობა, შაირის თქმა, უღარესი ამიციანა“ (37,1).

გ. „სამიჯნურონი“.

- „მიოთქვამს ქართულის ენითა, სხვა ენა არ ურევია“ (3,3).

იოსებ სააკაძე. „დიდმოურავიანი“

- „ესე არს ლექსად ნათქვამი, მნატრე ვინ თქვენის ხლებისა“ (484,1).

ვახტანგ VI

ერთ-ერთ თავის ლექსს ასეთ განმარტებას ურთავს: „ეს ლექსი ლათინურის ენიდამ ერთმა ფრანგმა მითხრა ყველის ქებად და მე ასრე ვსთქვი“ „ლექსები რამ ვთქვი საბრალო, მტერთაცა შესაწყალია“ („სალბუნად გულისა (98,1).

„ქილილა და დამანა“

„ვთქვი ენით მეტად ადვილით, რომ იყოს მოუწყინები“.
 „სპარსთ ენაში მეტად ტკბილად და კარგად უთქვამსთ. ამასაც ნახეთ— ლექსი ლექსად გარდმოვსთქვი უკლებრად... გასინჯეთ, რომ სხვის კაცისაგან ნათქვამს აშბავს მეორე ისე ველარ იტყვის“.

„ეს ქილილა და დამანა ბრძენთაგან გამოთქმულეზი,
სპარსთა ენითა სიტკბოთი დაშაქრულ დამბასულები,
ვპოე და ჩვენად გარდმოვსთქვი, ყვავილი ტურფად რგულები“,
„არ დამცალდა სხვას ლექსთა თქმა, მიხმეს ისევ კიდევ კარად“
(„კვლავ მიხმეს...“).

დავით გურამიშვილი

„დავითიანი“ ვსთქვი დავით გურამიშვილმან გვარადო“ (1,1).
„ლექსი რუსთველისებრ ნათქვამი მე სხვისა ვერ ვნახეო და“ (4,4).
„ამ ლექსთ თავი მოუყარე, რაცა მე თქვა თითო ობლად“ (9,1).
„რაც დამრჩა, ვერ ვსთქვი, მეწადა მე თქვა გრძლად, თავი მეცადა,
ვერა ვსთქვი, მოცლას უცდიდი, ნეტამცა არა მეცადა!“ (14,1—2).
„ვსთქვა უფალთ მეგვარტომობა“... (წიგნი ა. 3,1).
„თუ ვისმე ჩემი ნათქვამი შაირი ენასებიან“ (წიგნი ა. 15,1).
„ეს წიგნი, ლექსად თქმული, არის სულ იმისი“ (წიგნი, დ. 21,10).
„და რომ ეს ასე ვსთქვი გურამიშვილმან მე დავით“ (წიგნი დ. 21,
15,4).

დავით გურამიშვილი მირიან ბატონიშვილისადმი მირთმეულ არზაში
წერს: „მათი გავიგონე დიდროანს დამებში შეაქცევლად ქართლურის წიგნე-
ბის დამქირნობა და ამაღ კანდიერ ვიქმენ და მივართვი ჩემი ნათქვამი
წიგნი, რომელსა ეწოდების „დავითიანი“ (დავითიანი“, თბ., 1955, გვ. 288).

სულხან და ბეგთაბეგ თანიაშვილები. „ამირანდარეჯანიანი“.

„ამა ლექსისა სათქმელად უფალი მომცემს ხალისსა,
მსმენთა იამოს, რა ესმას ლექსის თქმა აქ ახალისა“ (I).
„ამბითა იყო ნათქვამი, აწ შევეცადე ლექსითა“ (39,1).
„არსად მე თქვა ამის მეტი ლექსი წიგნსა ჩასაწერად“ (1650).
„სულხანს ეთქვა, ჩემსა ძმასა, უკეთ თავს შესავალები“ (1661).
„რაც კარია, ყველას თავსა ამისთვის ვთქვი შესავლები“ (2330).

ფეშანგი ფაშვიბერტყიძე, „შაჰნავაზიანი“

„თქმა რუსთველს დარჩა ლექსისა, ცუდად ვიუბენ მე რასა?“ (1051,4).
„კახეთს ვეახელ მეფესა, მზეებრ ნცხინარედ ტკბილისა,
მიბრძანა მათად საქებრად ლექსთა თქმა გამოვლილისა“ (1053, 1—
2).

თეიმურაზ II

ა. თავგადასავალი

„ვსთქვი ლექსი მცირე რაიმე სევდისა მოსათმინობით“ (14,2)

ბ. გაბაასება რუსთველთან

„მე უსწავლელსავით მეძლოს, ვისზედ ვსთქვი ანბანთ-ქებანი?“ (1,1).
„თქვენი ღრმად მეტყველებანი უცხო რამ საკვირველია,
თუმცა მართალზე თქმულიყო, რა ტკბილი საკითხველია! (9,1—2).
„შენი ნათქვამი საღმრთოდ, თუ საეროდ მოიხმარების.
სჯობდა მას ზედა თქმულიყო, ვის მზე არ შეედარების“ (10, 1—2).
„ვპოვე ამბავი, ლექსად ვსთქვი, ვეკვ, იყო მოსაწონები“ (16,2).
„რაც სიბრძნით ლექსები მე თქვას, დაგიდებთ ქართველებსაო“

(20,1)

პეტრე ჩხატარაისძე. გალექსილი „ალექსანდრიანი“

„ნიბრძანეს — ლექსად გამოთქვი, მსმენნო, იყვნით შევებულნი“
(S 3619. შენ.).

ქაბუჯაშვილი გიორგი. „ხილთა გაბრჭობა“

„მაშინ ვთქვი, ოდეს მოსკოვსა ვიყავ სენთაგან ვნებული“ (S 1408:4).

განსაკუთრებით უნდა გავამახვილოთ ყურადღება მამუკა ბარათაშვილის „ჭაშნიკზე“, რომელიც, ავტორის თქმით, არის „სწავლა ლექსის თქმისა“. აქ მამუკა საუბრობს, რა თემაზე უნდა თქვას მელექსემ ლექსები, „თუ ლექსი როგორ უნდა თქვას, ვისაც უნდა“ და სხვ. „ან კარგი იგავები მოიყვანე და იმაზედა თქვი“, „ან ომსა და ფალავენების ამბავზედ თქვი“... და სხვ. ამ წიგნიდან ნათლად ჩანს, რომ მამუკა ბარათაშვილისათვის ლექსთა თხზვის გამოსახატავად მხოლოდ ერთი ტერმინი არსებობს „ლექსთა თქმა“, მან არ იცის გამოთქმა „ლექსის წერა“¹⁵.

ამრიგად, დიდი თუ პატარა პოეტისათვის ლექსის წერა, მხატვრული ნაწარმოების შექმნა, არის „თქმა“. როგორ ასხვავებდნენ ძველად ერთმანეთისაგან „წერასა“ და „თქმას“, ეს განსაკუთრებით ნათლად ჩანს მაშინ, როდესაც ეს სიტყვები ერთმანეთის გვერდით არის ნახმარი.

ექვთიმე ათონელი იოანე სინელის „კლემაქსისათვის“ დართულ წინასიტყვაობაში წერს: „მე, გლახკმან ეფთვიმე, ბრძანებითა წმიდისა მამისა ჩემისა იოანესითა ვთარგმნე ესე, ვთარცა თვით მას წმიდასა ეთქვა ბერძულად, და რომელნი სწერდეთ, ვთარცა აქა ჰპოოთ, ეგრეთ დაწერეთ“ (Q 62B).

მამუკა ბარათაშვილი „ჭაშნიკის“ ანდერძში აღნიშნავს: „მე რადგან ესენი შეგვკრიბე, თვით ამათი ხმისთანა ლექსის თქმაც შემეძლო, მაგრამ ესენი უმჯობე იყვნენ ჩემსა და ამისთვის ესენი დავსწერე და ჩემი ნათქვამიც ამათ გაახელ“.

გადამწერთა ანდერძები:

„ესე მართალი და უბიწო საქრისტიანო მოძღურება, მოკლითა სიტყვითა, მე, სულხან-საბა ორბელიანისგან თქმული, რომელსა ეწოდების „სამოთხის კარი“, დავსწერე ქრისტეს აქათ 1713 წ.“ (A 1304, 2, შენ. 2).

„ღმერთო, უშველე ნიანას, ამ ლექსის გამომთქმელსაო, იმასაც ღმერთმან უშველოს, ამისა დამწერელსაო“ (H 2560).

ზოგადად ასეთი სურათი გვაქვს ძველ ქართულში „წერა“ და „თქმა“ სიტყვების ხმარებისა. აშკარაა, რომ „წერა“ სიტყვა მხოლოდ იშვიათ შემთხვევებში იხმარებოდა „თხზვის“ შინაარსით. ალორძინების ხანის მწერლობაში ამის მაგალითები ვნახეთ. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ რაკი ამ სიტყვის სემანტიკური მნიშვნელობა გაფართოების გზაზე იდგა, ყოველ საუკუნეს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ალორძინების ხანაში ქართულ ლიტერატურაში დიდი ძვრები მოხდა და, რაც ამ ეპოქის მწერლებს ახასიათებთ, ის არ შეიძლება ტიპურად ჩავთვალოთ წინა საუკუნეებისთვისაც. რაც უფრო ადრეულ საუკუნესთან გვაქვს საქმე, მით უფრო ნაკლები შესაძლებლობაა იმისა, რომ „წერა“ სიტყვა „თხზვის“ მნიშვნელობით შეგვხვდეს. ალორძინების ხანაში

¹⁵ მამუკა ბარათაშვილი, თხზულებათა სრული კრებული, თბ., 1969, გვ. 124—



მხოლოდ ჩაისახა შესაძლებლობა ამ სიტყვის მხატვრულ-შემოქმედებით (ტყეშელაშვილი) ცესთან დაკავშირებისა.

საკითხის ისტორიის უფრო ნათლად წარმოსადგენად გვსურს დავემო-
ტოთ შემდეგით.

რამდენადაც ისახებოდა შესაძლებლობა, რომ „წერა“ სიტყვას „თხზვის“
მნიშვნელობა მიეღო, პარალელურად სიტყვა „მწერალიც“ იღებდა შემოქმედის
მნიშვნელობას. ეს მოვლენაც აღორძინების ხანაში მხოლოდ ჩანასახის სახით
გამოჩნდა. მაგალითად, ვახუშტი ბატონიშვილი წერდა:

„ამას იქით რაც იქმნას ქვეყანასა ამას საქართველოსა შინა, მატრიანეთ
მწერალთ აღწერონ“ (ქართლის ცხოვრება, თბ., 1973, გვ. 015).

აქ მწერალი, რასაკვირველია, გადამწერის მნიშვნელობით არ არის ნახმა-
რი.

გვაქვს ასეთი მინაწერი:

„ჰვამობენ მწერალნი, არ თქმულ არს ცისა ღრუბლის. არ ქონაი“
(1776 წ. S 1623. „ამირანდარეჯანიანი“. 96r).

არც აქ იგულისხმება სიტყვა „მწერალში“ გადამწერი.

სიტყვები „წერა“, „თქმა“, „მთქმელი“, „მწერალი“ იმ მნიშვნელობებს,
რომელიც მათ ძველ ქართულში ჰქონდათ, ინარჩუნებენ XIX საუკუნის 60-იან
წლებამდე. ქართველი რომანტიკოსები ჯერ ისევ ძველებურად ხმარობენ ამ
სიტყვებს. XIX საუკუნის პირველ ნახევარში ლექსთა კრებული მრავალი გვაქვს
შედგენილი და მათ შენარჩუნებული აქვთ ძველი იერი. ლექსები ისევ „თქმუ-
ლია“ ან „ნათქვამი“ ავტორთა მიერ (ამ ავტორთა შორის ქართველი რომანტი-
კოსებიც არიან). გადამწერებიც კვლავ აცხადებენ: „დავწერე“, „დამიწერია“
„ვწერ“ და სხვ. (იხ. კრებულები: H 101, H 769, H 1016, H 1103, A 1575 ა, ბ,
A 1735, S 155, S 303, S 387, S 1203, S 1511, S 1512, S 1516, S 1540, S 1635,
S 1636, S 1637 და სხვ.).

მოვიყვანოთ მხოლოდ ორ დამახასიათებელ მაგალითს.

1. ალექსანდრე ორბელიანს შეუდგენია საკუთარ თხზულებათა კრებუ-
ლი, თვითონვე გადაუწერია სხვადასხვა დროს — 1826—1866 წლებში (S
1640 ა). თავის ლექსებს იგი ამგვარ განმარტებებს ურთავს: „ეს ლექსი მაშინა
ვთქვი, როდესაც პირველად ჩემი დანიშნული ეკატერინე ვნახე“... „... ეს
ლექსიც, შინ რომ მოვედი ჩემს დანიშნულზე ვთქვი“, „მეტის შეწუხების
გამო ვთქვი ეს ლექსი“. „ესეც ხნაინს დროში ვთქვი“, „ესეც მაშინა
ვთქვი“ და სხვ.

ალექსანდრე ორბელიანს სხვა შემთხვევაში არ უჭირს სიტყვა „წერის“
ხმარება. მაგალითად, „სურამის ციხის“ განხილვაში „დართულს დართული“ (S
1641), იგი წერს: „ამგვარს საქმეებსა ძალიან კარგათ წაკითხვა უნდა და მასუკან
შეუდგეს წერას“. ერეკლე მეფეზე დაწერილ მოგონებებში წერს: „მე ამისი
ამბავები რაც გამეგონა, ცალ-ცალკის აღწერით და ვწერე, მაგრამ რაც იმისი
ამბავები დამიწერია, სწორეს და ნამდვილის გამოკვლევიით არის და-
წერილი“... და სხვა ამგვარები. მაგრამ იმ შემთხვევაში, როცა მას თხზუ-
ლებაზე თავისი ავტორობა სურს განაცხადოს, როგორც ვნახეთ, იყენებს
მხოლოდ ერთ სიტყვას: „ვთქვი“. ამ მხრივ იგი შესანიშნავ ნიმუშს გვაძლევს,
როგორ ასხვავებდნენ ჩვენი წინაპრები „წერისა“ და „თქმის“ ხმარების შემ-
თხვევებს.

2. ვინმე როსაფს XIX საუკუნის 60-იან წლებში დაუწერია სახანდარუ-

ლი ლექსები. მისთვის მიუმართავთ: „როსაფ, ივანეს ქება ს თ ქ ე ი, თუ იცი წერა კალმისა“ (A 1237).



ამრიგად, XIX საუკუნის 60-იან წლებამდე სიტყვების „წერისა“ და „თქმის“ ხმარება თითქმის იმავე წესით ხდებოდა, როგორც ძველ ქართულში. თუმცა, ის გამონაკლისი შემთხვევები, როცა „წერ“ ძირიდან ნაწარმოები სიტყვები თავისი მნიშვნელობით უკავშირდებიან „თხზვას“, ამ პერიოდში უფრო მომრავლებულია. გიორგი ავალიშვილს 1826—1828 წლებში შეუდგენია კრებული (S 303), დაურთავს ანდერძი:

„ძველ-ახალ ქართველთ მწერალთა რაც ოდენ ვჰპოვენ
თქმულე ბი,

ლექსად და ამბვად ნაშრომენი, წვლილთა ბართთა თხზულები“...

აქ სიტყვა მწერალი, რასაკვირველია, ახალი მნიშვნელობით არის ნახმარი¹⁶.

იოანე ბაზლიძეს 1816 წ. რუსულიდან ქართულად გადმოუღია „სახოგადო ისტორია“ (S 398). წინასიტყვაობაში იგი ხმარობს გამოთქმას „ლექსთა წერა“. ამგვარი შემთხვევების დასახელება კიდევ შეიძლება.

დიდი გარდატეხა ხდება XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან. ამ პერიოდიდან, შეიძლება ითქვას, ქართული ლიტერატურიდან მთლიანად იდევნება გამოთქმები: „თქმა“, „მთქმელი“, „მელექსე“. მათ ადგილს იკავებს სიტყვები: „წერა“, „მწერალი“, „პოეტი“. 1861 წლიდან ჟურნალი „ცისკრის“ ფურცლებზე რომ „მამათა“ და „შვილთა“ ბრძოლა გაიშალა, როგორც ახალი, ისე ძველი თაობის წარმომადგენლები ახალი ტერმინოლოგიით მსჯელობდნენ, სიტყვებს „წერა“, „მწერალი“ უკვე ახალი ფენქციით, ახალი შინაარსით ხმარობდნენ. ილია ჭავჭავაძე თავის წერილში „ორიოდე სიტყვა თავად რევანშლვას ძის ერისთვის კოზლოვიდგან შეშლილის თარგმანზედა“, წერდა: „კოზლოვი არასდროს არ ყოფილა თავისუფალი მწერალი“. „ჩვენში, ქართველებში, დიდი მწერლის ხმა აქვს დაგდებული ჩახრუხაძისა“... „რასა სპიროა ეხლა ან ჩვენი ლიტერატურისათვის, ან ხალხისათვის სენტიმენტალური სხოლის მწერლების გაცნობა?“... „ამას იქით, ვისაც არ უწერია ლექსი, თავად რ. ბარათაშვილისა არ იყოს, მართლა უნდა უხაროდეთ, რომ ლექსებს არა სწერენ“... „კოზლოვი, მართალია, იმისთანა მწერალია, რომ არაფერი დაეწერა, რუსეთს იმითი არაფერი არ დააკლდებოდა-რა, და რადგანაც დაუწერია, იმითიც არა მოჰმატებია-რა“... „არა პოეტს თითქმის არ დაუბადნია მბაძავნი იმოდენი, რამდენიც დაჰბადა ბაირონმა ევროპაში და ნამეტნავად რუსეთში“... და სხვ.

ამ დროიდან სიტყვები: „მთქმელი“, „მელექსე“, „თქმა“ ფოლკორშიღა გვხვდება.

როგორც აღვნიშნეთ, ძველ ქართულშივე ისახებოდა იმის შესაძლებლობა, რომ სიტყვები „წერა“, „მწერალი“ დაკავშირებოდა შემოქმედებას, მაგრამ ეს პროცესი ძალიან ნელა მიდიოდა. XIX ს. 60-იან წლებში ასეთი მთლიანი გადატრიალება, ალბათ, რუსული ენის ზეგავლენით უნდა აიხსნას.

¹⁶ აღსანიშნავია, რომ იმავე ავალიშვილს 1787 წელს მოსკოვში გადაუწერია პოეტურ თხზულებათა კრებული (S 1508) და ლექსად დაურთავს ანდერძი, რომელსაც ასე ამთავრებს: „მე, წიგნის ამის მწერალსა, ნუ მიძევთ დაიწყებასა“ (გვ. 142). აქ მას „მწერალი“ გადამწერის მნიშვნელობით აქვს ნახმარი.

ლიტერატურულ ენაში მომხდარი ცვლილება აისახა ლექსთა კრებულში შიგ. მაგალითად, A 1753 XIX ს-ის 60—70-იან წლებში შედგენილი კრებულშია ლია. მასში აღარ იხმარება სიტყვები „თქმული“ და „ნათქვამი“. ავტორთა და მათ თხზულებათა დასახელება ხდება ასეთნაირად: „თავად ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსი“, ან „ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსებიდან“ და სხვ.

1866 წელს შედგენილ საკუთარ ლექსთა კრებულში (H 855) ალექსანდრე სულხანიშვილი ლექსებს ასე ასათაურებს: „იანვრის 25-ს დაწერილი, კუბიდონის ავანტყოფობის დროს“, „დაწერილი 10-ს ფებერვალს“, „იანვრის 31-ს ღამეს დაწერილი“ და სხვ.

ამ დროიდან გადაწერის აღსანიშნავად „წერა“ სიტყვა „გადა“ ზმნისწინის გარეშე, ჩვეულებრივ, აღარ იხმარება.

ლიტერატურაში მოხდა კიდევ ერთი ცვლილება. ძველ ქართულ მწერლობაში ნაწარმოებები უმთავრესად დანიშნული იყო მსმენელთათვის. „მოქმელები“ უმთავრესად მსმენელს მიმართავდნენ, გადაწერლები კი მკითხველს. მაგალითად:

„ვიწყო და ქებად, ძლივ შეკადრებად, მსმენელთ ვაუწყო ქვეყნის მპყრობელი“ („აბდულმესიანი“)

„კვლა აქაცა ეამების, ვინცა ისმენს კაცი ვარგი.

„ვინცა ისმინოს, დაესვას ლახვარი, გულსა ხეული“

(„ფეფხისტყაოსანი“)

„ჯავღაცა ფავლენიშვილსა არვინ ათხოვებს ყურსაო (27,1)

„მის ლექსისა სასმენელად მიპყრობა ხამს კარგა ყურის“ (29,4)

„ყური მიპყართ წადიერად, ნურსად წარხვალთ, აქვე ებით“ (44,1)

„ორთავ უხამს დიდი ქება, მსმენელთ დიდსა სიბრძნეს მისცემს (209,1)

„ისმინეთ ჩემი ლექსები, ტბილადრე, ნუ დამბაქეთა“ (45,1)

(არჩილი, „გაბაასება“)

„მოუძღურდა ხორცი სუსტი, რაღა მეთქვა მსმენთვის მწირად?“

(ვახტანგ VI. „კვლავ მიხმეს...“)

„აწ დავიწყო თქმა მართლისა, მომსმენელნო, შემოკრებით“

(გურამიშვილი, „დავითიანი“)

„მიბრძანეს — ლექსად გამოთქვი, მსმენენო, იყვენით შევბულნი“

(პეტრე ჩხატარაისძე, ალექსანდრიანი, S 3619).

„მსმენთა იამოს, რა ესმას ლექსის თქმა აქ ახალისა“

(თანაშვილი, „ამირანდარეჯანიანი“)

მამუკა-ბარათაშვილი „ჭაშნიკში“ წერს: „თუ კარგს იტყვი სიტყვის სიმარჯვითა და ცოდნის ძალითა, სულიერის ცოდნითა და სამხედროს ცოდნით, მოქმელი მოიგონება და მსმენის ისწავლის“. „სხვას მრავალს დედაკაცთ ტრფიალებისათვის თათრის ზღაპრები გაულექსავს მსმენთ საზიანოდ და მოქმელთ საურიგოდ“.

ალ. ჭავჭავაძე წერს ლექსს „ისმინეთ მსმენნო“, „მისმინეთ, ჭირში ფლობილს“, — ამბობს ლექსში „ვისაც გსურთ“ და სხვ.

მოქმელისა და მსმენელის კონტაქტი ახალ ქართულში მწერლისა და მკითხველის კონტაქტით შეიცვალა.

ილია ჭავჭავაძე არაფერს წერს მსმენელისათვის. მისი ნაწარმოებები მკითხველისათვის არის დანიშნული: „მკითხველო, ხომ არ მოგეწყინა“, („კაცია-



ადამიანი?"), „იცი, მკითხველო, ეს ოთხი წელიწადი რა ოთხი წელიწადი“ („მგზავრის წერილები“). „ამ ორს გულში რა ბალღამიც სდულდა“ („კაკო ყაჩაღი“) და სხვ.

დავუბრუნდეთ მესხი მელექსის საკითხს. ვფიქრობთ, ძველ ქართულში „წერა“ სიტყვის ხმარების არეს გათვალისწინება საქმით საფუძველს გვაძლევს, რომ მესხი მელექსის განცხადებაში — „ვეწერ“ — დავინახოთ გადამწერის ანდერძი. მესხი მელექსე რომ რაიმეს ავტორად, რაიმეს შემქმნელად ჩავთვალოთ, მაშინ ამ ტაეპში უნდა გვქონდეს: „ვთქვი ვინმე მესხმა მელექსემ“.

„ვეფხისტყაოსნის“ გამგრძელებათა ავტორი რუსთველის მიმბაძველია. წარმოუდგენელია, მან რუსთველისებურად არ ეთქვა „ვთქვიო“ და თავისი, როგორც ავტორს, ღვაწლის აღსანიშნავად ეხმარა ის სიტყვა, რომლის ხმარება სხვა პოეტებთა შორისაც არ იყო მიღებული.

საინტერესოა ამ თვალსაზრისით რა ვითარება გვაქვს თვით „ვეფხისტყაოსნის“ გამგრძელებებში. როგორც აღვნიშნეთ, აკად. ალ. ბარამიძეს მიაჩნია, რომ მესხი მელექსე „გმირთა სიკვდილის ამბის“ გარდა უნდა იყოს „ხვარაზმელთა ამბის“ ავტორიც. „ხვარაზმელთა ამბავს“, როგორც ვიცით, აქვს თავისებური პროლოგ-ეპილოგი. პროლოგში ნათქვამია:

„ესე ამბავი ნარჩომი მათ ლომთა მორკმით მგონეთა,
გალექსვა აკლდა ხვარაზმთა, მეტად ვერ მოვიგონეთა,
ძნელია პოვნა, გული ჰკრთა, დავეარდი, დავიღონეთა,
კვლავე ვთქვი, ლექსი გავმართე, მოსმენით გაიგონეთა“.

აწ, გონიერო, სიტყვანი თქვენ ჩემნი შეიწყნარენით,
ძველნი ნარჩომნი ამბავნი ლექსად ვთქვენ, გაიხარენით,
სარგისს დაურჩა უთქმელად, მას ესე დავაბარენით,
ლექსი მიქენით, ამისთვის ენანი მომახმარენით“.

გამგრძელებელი ეპილოგშიც ამასვე გვაუწყებს:

„ეს ამბავი დარჩომოდა სარგისს ლექსთა შეუწყობლად,
აგრე თმოგვი თმოგველთაგან შესავლითურთ დარჩა ობლად,
მე ვნახე და მას უჩვენე¹⁷, ვინ ჩანს გმირთა რაზმის მწყობლად,
მიბრძანა, თუ: „ლექსად თქვიო, მკვერ ქართულად, დაუშრობლად“.

ამრიგად, „ხვარაზმელთა ამბის“ ავტორისათვის უბრძანებიათ „ლექსად თქმა“ და მასაც „უთქვამს“: „კვლავე ვთქვი, ლექსი გავმართე“, „ლექსად ვთქვენ, გაიხარენით“, — აცხადებს ის.

დავუკვირდეთ „ხვარაზმელთა ამბის“ ავტორის მსჯელობას. მისი სიტყვებიდან ვამოდის, რომ გასალექსი ამბის ავტორი სარგისია, მაგრამ ის არ არის ამ ამბის მთქმელი. მას ეს ამბავი დარჩენია „უთქმელად“. „უთქმელი“ ამ ამბავს ჰქვია იმიტომ, რომ სარგისს ის ვერ გაულექსავს, „ლექსთა შეუწყობლად“ დაუტოვებია. მაშასადამე, ხვარაზმელთა ამბის ავტორი „უთქმას“ უწოდებს გადმოსაცემი ამბისათვის სათანადო მხატვრული ფორმის, ამ შემთხვევაში, პოეტური სახის მიცემას. გავიხსენოთ არჩილ მეფის შესა-

¹⁷ ზოგიერთ ხელნაწერში ნაცვალად: „მე ვნახე და მას უჩვენე“, გვაქვს: „ესე სიტყვა მოახსენეს“. უპირატესობა, ალბათ, პირველს უნდა მიეცეს, რადგან იქ უფრო გვაქვს რუსთველის მიბაძვა: „ვპოვე და ლექსად გარდავთქვი“...

ხებ ნათქვამი „საქართველოს ზნეობანზე“: „ესე აღუწერია მეფესა ჩოქო ჩილს და ლექსად წარმოუთქვამს“. სარგისს აღუწერია „ხვარაზმელთა ამბავი“, მაგრამ ლექსად თვითონ ვეღარ წარმოუთქვამს. ეს მისია სწავს „მეუსრულებია. მამასადამე, გამლექსავი არის ხვარაზმელთა ამბის „მთქმელი“, ხოლო სარგისი არის ამ ამბის „აღმწერელი“.

მოყვანილი პროლოგ-ეპილოგიდან ნათლად ჩანს, რომ „ხვარაზმელთა ამბის“ ავტორმა კარგად იცის, რა არის „თქმა“, ისიც იცის, რომ რა სამუშაოც მან ჩაატარა, სწორედ „თქმაა“. ამიტომ ამბობს ორჯერ: „კვლავ ვთქვი, ლექსი გავმართე“, „ლექსად ვთქვენ, გაიხარენით“. დაუჯერებელია, რომ ბოლოს მას მოესურვებინა თავისი ვინაობის გამჟღავნება, თავისი დეაწლის საგანგებო აღნიშვნა და იქ ეთქვა არა „ვთქვი“, არამედ „ვწერ“.

ყურადღება უნდა მივაქციოთ ერთ გარემოებასაც. თავის დროზე დავით კარიჭაშვილმა მიუთითა იმ კონტრასტზე, რომელიც „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგსა და ეპილოგს შორის შეიმჩნევა. იგი წერს: „ის თავმომწონე მოლექსე, რომელიც წინასიტყვაობაში გავიცანით, აქ ვინმე მესხად გადაქცეულა“¹⁸. უნდა აღვნიშნოთ, რომ ამგვარი კონტრასტით „ვეფხისტყაოსნის“ გამგრძელებელიც უპირისპირდება მესხ მელექსეს. მასაც ემჩნევა თავმომწონეობა, საკუთარი პოეტური ღირსების შეგრძნება. შეიძლება ვთქვათ, იგი ამ მხრივაც ბაძავს რუსთველს. „ხვარაზმელთა ამბის“ გამლექსავი რუსთველისებურ სიტუაციაში იყენებს თავის თავს — აცხადებს, რომ ის ამბავი, რომელსაც ის ლექსავს, მისი შეთხზული არ არის, ის „ძველნი ნარჩომნი ამბავნია“. რუსთველი ამბობს: „ვპოვე და ლექსად გარდავთქვი“. გამგრძელებელი ამბობს: „მე ვნახე და მას უჩვენე“. ამ ამბის გალექსვა მას პატრონებმა უბრძანეს. რუსთველს უბრძანეს „თქმა ლექსებისა ტკბილისა“, მისთვისაც მაღალხარისხოვანი ლექსების შეთხზვა დაუვალეობათ: „მჭევრქართულად, დაუშრობლად“. გამგრძელებელს თავის პოეტურ ძალაში ეჭვი არ ეპარება. დარწმუნებულია, რომ დავალება ბრწყინვალედ შეასრულა. მან ლექსი „გამართა“ და ჩვენ, მსმენელებმა, მისი მოსმენით უნდა გავიხაროთ: „ლექსად ვთქვენ, გაიხარენით“. ამრიგად, იგი საკმაოდ პრეტენზიული პირი ჩანს და, საეჭვოა, რომ თავისი თავი „ვინმეთი“ მოეხსენიებინა, როგორც ამას მესხი მელექსე აკეთებს.

ამრიგად, მესხი მელექსე და „ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთი გამგრძელებელი სხვადასხვა პირები არიან. მესხ მელექსეს ვერ მივაწერთ რაიმეს ავტორობას, იგი არა ჩანს რაიმეს „მთქმელი“. მესხი მელექსე უნდა იყოს პოემის (რასაკვირველია, ვრცელი რედაქციის) მხოლოდ გადამწერი და მასზე ლექსად ანდერძის დამრთავი.



მესხი მელექსის შესახებ პირველი მეცნიერული აზრი, როგორც ვთქვით, თეიმურაზ ბატონიშვილმა გამოთქვა 1843 წელს. მას მესხი მელექსე პოემის გადამწერად მიაჩნია. ქართულ ხელნაწერთა ანდერძების გაცნობა საშუალებას გვაძლევს წარმოვიდგინოთ, თეიმურაზ ბაგრატიონზე ადრე რა აზრის იყო ქართველ მწერალ-მწიგნობართა წრე მესხი მელექსის შესახებ.

მელქისედეკ კავკასიძეს 1733 წელს მოსკოვში გადაუწერია ვახტანგ VI-ის ლექსები და პოემები (S 4500). ლექსად დაუერთავს ანდერძი:

¹⁸ შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, დ. კარიჭაშვილის წინასიტყვაობით, შენიშვნებით და ვრცელი ლექსიკონით, თბ., 1903, გვ. XV.

„ბრძანებით მეფეთ-მეფისა პატრონის ვახტანგისათა, ეს მისგან ნაბრძან-ნაკაზმი კელოვან ოსტატისათა. ბრძენ სალალობელ წოდებით სიტყვითა გვარადისათა და ვსწერ მესხი ვინმე მდივანი კელითა კავკასიისათა“¹⁹ (გვ. 291)

ანდერძის მე-4 ტაეპზე „ვეფხისტყაოსნის“ ეპილოგის გავლენა აშკარაა. „ვსწერ მესხი ვინმე“ აშკარად „ვწერ ვინმე მესხი“-ს მიბაძვით არის დაწერილი, ე. ი. მელქისედექ კავკასიძე თავისი, როგორც ხელნაწერის გადაწერის, ვინაობის გამჟღავნებისას ბაძაეს მესხ მელექსეს. ვფიქრობთ, აქ ჩანს, რომ მელქისედექ კავკასიძისათვის მესხი მელექსე გადაწერია. „ვეფხისტყაოსნის“ ეპილოგის ტაეპი, რომელშიც მესხი მელექსე თავის თავს ასახელებს, მას გადაწერის ანდერძად მიაჩნია და თავის ანდერძსაც მის მსგავსად აგებს.

კიდევ უფრო საინტერესო შემთხვევა გვაქვს „ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთ ხელნაწერში. ეს არის A 530, გადაწერილი იოსებ კეპულაძის (ქებულაძის?) მიერ 1834 წელს. „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტი ბეჭდური რედაქციისაა, ერთვის ეპილოგი, რომელშიც გადაწერს, იოსებ კეპულაძეს, მესხი მელექსეს ნაცვლად თავისი გვარი და სახელი ჩაუწერია. ე. ი. ტაეპი: „ვწერ ვინმე მესხი მელექსე“... ამ ხელნაწერში ასე იკითხება: „და ვსწერე ვინმე იოსებ კეპულაძე მელექსე მე რუსთველისა დაბისა“²⁰.

რატომ გაბედა იოსებ კეპულაძემ მესხი მელექსის მაგიერ თავისი გვარისა და სახელის ჩაწერა? ალბათ, იმიტომ, რომ მას მესხი მელექსე პოემის ისეთივე გადაწერად მიაჩნდა, როგორც თვითონ იყო. კეპულაძეს პოემის ავტორად არ სურს თავის გასაღება. მან პროლოგსა და ეპილოგში რუსთველის მაგიერ არსად მოინდომა თავისი გვარის ჩაწერა. კეპულაძემ მხოლოდ მესხ მელექსეს გაუბედა ხელის ხლება. ე. ი. მისთვისაც „ვეფხისტყაოსნის“ ეპილოგის პირველი სტროფი გადაწერის ანდერძია.

როგორ უნდა გავიგოთ ტაეპის: „ვწერ ვინმე მესხი მელექსე მე რუსთველისად ამისა“ შინაარსი, თუკი აქ გადაწერაზეა ლაპარაკი და არა თხზვაზე. დღეისათვის მიღებულია თვალსაზრისი, რომ „რუსთველისად ამისა“ ნიშნავს: რუსთველის მსგავსად, რუსთველის მიხედვით, რუსთველისამებრ²¹.

ვფიქრობთ, მესხი მელექსე აქ უნდა გვეუბნებოდეს, რომ მან ტექსტი გადაწერა რუსთველის მიხედვით, ისე, როგორც რუსთველს ჰქონდა. ე. ი. აქ დედნის ზუსტად გადაწერაზე უნდა იყოს ლაპარაკი. საერთოდ, გადაწერებს ახასიათებლად დედნის ერთგულებაზე ფიცილი. ამ თვალსაზრისით, ეს ტაეპი გადაწერის ტიპური ანდერძია.

* * *

ერთი შენიშვნის დამატებაც გვსურს. ეს შენიშვნა მესხ მელექსეს არ ეხება, მაგრამ ეხება „წერა“ სიტყვის არასათანადოდ გაგების კიდევ ერთ ფაქტს. ქართული ლიტერატურის ისტორიის I ტომში გიორგი მერჩულეს შესახებ ვკითხულობთ: „ხანძთის მონასტრის მოღვაწეს, ვინმე გიორგი მერჩულს, რო-

¹⁹ ეს ანდერძი შეორდება ხელნაწერში Q 548. მაგრამ მასში სიტყვები: „მესხი ვინმე“ ვილაცას უხეშად გადაუსწორებია სიტყვით: „მელქისედექ“.

²⁰ ამავე კეპულაძეს შეუცვლია ეპილოგის ბოლო ტაეპიც. ნაცვლად „ტარიელ მისსა რუსთველსა“... დაუწერია: „ავთანდილ მისსა რუსთველსა, მისთვის ცრემლ-შეუშრობელსა“.

²¹ ქ. კეკელიძე, ძე. ქართული მწერლობის ისტორია, ტ. II, თბ., 1952, გვ. 112. აღ. ბ. ა. მ. ი. ძე, შოთა რუსთველი და მისი პოემა, თბ., 1966, გვ. 38.

დესაც ხანძთაში წინამძღვრად ყოფილა თეოდორე, ამ უკანასკნელისა და მისი ძმის იოანეს დახმარებით დაუწერია გრიგოლის ცხოვრება²². ეს აზრი დება სასკოლო სახელმძღვანელოშიც. მასში ვკითხულობთ: „რაკი ეს ბრძენი მამები ისე დახოცილან, რომ გრიგოლის ცხოვრება არ აუწერიათ, თვითონ მერჩულეს მოუკიღია ხელი ამ საქმისათვის. გ. მერჩულეს დახმარებია ხანძთის მონასტრის მაშინდელი წინამძღვარი თეოდორე და მისი ძმა იოანე“²³.

თანამედროვე მკითხველისათვის იმის განცხადება, რომ გიორგი მერჩულეს თხზულების დაწერაში დახმარებია ორი სხვა პირი, იმას ნიშნავს, რომ ეს პირები — ხანძთის მონასტრის წინამძღვარი თეოდორე და მისი ძმა იოანე — თხზულების თანაავტორებად ჩავთვალოთ.

რა ვახდა ასეთი განცხადების საფუძველი? „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ დასასრულში ვკითხულობთ: „ხოლო ხანძთისა წინამძღურისა და იოვანე ძმისა მისისა და წიგნისა ამის აღმწერელისა გიორგი მერჩულისა — სამთავე ამათ ერთად გულისმოდგინებითა და იწერა ხანძთას შინა ნეტარისა გრიგოლის ცხოვრებაჲ ესე“.

ამ სტრიქონებში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ წიგნის აღმწერელი, ე. ი. თხზულების ავტორი გიორგი მერჩულეა, დასახელებული ორი პირი აღმწერებად არ იხსენიებიან. მათ თხზულების აღწერაში, შექმნაში არ მიუღიათ მონაწილეობა. ისინი გიორგი მერჩულეს დახმარებიან მხოლოდ თხზულების „დაწერაში“, რაც გადაწერაში დახმარებას უნდა ნიშნავდეს. ე. ი. „დაიწერა“ ზემომოყვანილ კონტექსტში „გადაიწერას“ მნიშვნელობით უნდა იყოს ნახმარი.

ვფიქრობთ, ზემოთ მოყვანილი განცხადებები, რომ გიორგი მერჩულეს თხზულების დაწერაში დახმარებია ეს ორი პირი, უნდა გასწორდეს. ხანძთის მონასტრის წინამძღვარ თეოდორესა და მის ძმას იოანეს გიორგი მერჩულეს ვრცელი თხზულების მხოლოდ გადაწერაში მიუღიათ მონაწილეობა.

Ц. В. КАХАБРИШВИЛИ

О СТИХОТВОРЦЕ — «НЕКОМ МЕСХИ»

Резюме

В руствелологии в связи с вопросом «некоего Месхи» все еще не существует единодушного мнения — одни считают его автором всей поэмы «Витязя в тигровой шкуре», другие — только переписчиком; полагают также, что ему должны принадлежать продолжения и дополнения поэмы.

В нашей статье на основании привлечения богатого рукописного наследия наглядно показано, что стихотворец «некий Месхи» являлся переписчиком пространной редакции «Витязя в тигровой шкуре». В пользу нашего заключения свидетельствуют следующие факты: 1. В

²² კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბ., 1960, გვ. 152.

²³ გრ. ბარამიძე, გ. ჭაკობია, ძველი ქართული ლიტერატურა, VIII კლასის სახელმძღვანელო, თბ., 1979, გვ. 41.



древнегрузинской литературе, как правило, для обозначения творческого процесса употреблялся термин «თქმა» (слагать), производные же слова от корня «წერა» (писать) применялись к работе переписчиков (исключение составляет эпистолярный жанр — авторы пишут письмо, завещание и т. д.).

2. Анализ пролога «Витязя в тигровой шкуре» как и пролога и эпилога продолжений поэмы исключает возможность употребления авторами этих произведений слова «წერა» (писать) в значении термина «თქმა» (слагать).

3. Колофоны рукописей эпохи «возрождения» свидетельствуют о том, что в кругу грузинских литературных деятелей «некий месхи» считался переписчиком.

Из вышесказанного следует, что строку эпилога поэмы, где упоминается стихотворец Месхи, нужно понимать так: «Я, некий стихотворец Месхи, переписал эту поэму в таком виде, как ее написал Руставели».

დავით შვანბი

პატმოსის მონასტრის ორი ძარბული დოკუმენტი

კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტმა პატმოსის წმინდა იოანე ღვთისმეტყველის მონასტრის ბიბლიოთეკიდან (საბერძნეთი) მიიღო ფოტო ორი ძარბული დოკუმენტისა¹, რომლებსაც თან ახლავს ერთ-ერთი მათგანის ალ. ხახანაშვილისეული რუსული თარგმანიც².

ერთ დოკუმენტს მარჯვენა ნახევარი დაზიანებული აქვს და ძნელად იკითხება. აღსანიშნავია, რომ ფოტოზე არ არის ასახული ამ საბუთის ბოლო ორი მინაწერი, რომელიც ჩანს რუსული თარგმანიდან.

მეორე დოკუმენტი ორი დაზიანებული ფრაგმენტის სახითაა წარმოდგენილი. ამ უკანასკნელს საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივში პირი დაექმენა, რამაც მოგვცა მისი სრული აღდგენის შესაძლებლობა.

ორივე საბუთი თეიმურაზ I-ის მიერაა გაცემული პატმოსის იოანე მახარებლის მონასტრისადმი. ორივე მათგანი წარმოადგენს მამულის წყალობის წიგნს, გაცემულს 1626 წლის ერთსა და იმავე დღეს — 26 თებერვალს.

პირველ საბუთს ერთვის ოთხი მინაწერი: I და III ანა დედოფლისაა (ნაზარალიხანის თანამეცხედრე), II მინაწერი ქიზიყის მოურავის რევაზ ენდრონიკაშვილისაა, ხოლო IV სამებელ ეპისკოპოსს ეკუთვნის (III და IV მინაწერი, როგორც აღვნიშნეთ, ქართულ ტექსტში არ არის ასახული და ალ. ხახანაშვილის რუსული თარგმანის მიხედვით აღვადგინეთ).

საბერძნეთიდან გამოგზავნილ მეორე საბუთს (იგი დაზიანებულია) ერთვის ორი მინაწერი: პირველი 1628 წლისაა და, როგორც ჩანს, საბუთის გამცემის თეიმურაზ I-ის უნდა იყოს, მეორე კი იმამყულიხანის დამტკიცებაა. არქივში დაცულ ამ საბუთის პირსაც ასევე ორი მინაწერი აქვს: ერთი მათგანი (1628 წლისა) ემთხვევა საბერძნეთიდან გამოგზავნილ ფოტოზე არსებულ მინაწერს, ხოლო მეორე ერეკლე II-ისაა და თარიღად 1749 წელი უზის.

ქრისტიანული ტრადიციის მიხედვით რომის იმპერატორს პატმოსზე გადაუსახლებია იოანე მახარებელი, რომელსაც იქ მრავალი სასწაული მოუხდენია და დაუწერია ქრისტეს სახარება.

¹ ეს ფოტოები ბერძენმა მეცენატმა, ერა ვრანუსისმა გამოუგზავნა მოსკოველ ბიზანტიანს, ბ. ფონკისს, კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტისათვის გადასაცემად.

² ეს თარგმანი დამოწმებულია მოსკოვის ლაზარევის აღმოსავლურ ენათა ინსტიტუტის დირექტორის ვ. მილერის და მდივნის პ. პროცენკოს მიერ. ამრიგად, თარგმანის დედანი, როგორც ჩანს, დაცული იყო დასახლებულ ინსტიტუტში, პირი კი — პატმოსის იოანე მახარებლის მონასტრის ბიბლიოთეკაში.

XVIII ს. ცნობილი მოგზაური ტიმოთე გაბაშვილი გვამცნობს, რომ რა-
ნე მახარებელი კუნძულ პატმოსზე გადასახლა დომენტიანე მეფემ რღმე-
ლიც მეფობდა ნერონის შემდეგ³. როგორც ჩანს, ტ. გაბაშვილი უყარა ხელი
ძველ ქართულ წერილობით წყაროებში და თარგმნილ ძეგლებში დაცულ ტრა-
დიციას⁴, რადგანაც იმპერატორი დომენტიანე რომში საერთოდ არ ყოფილა.

თეიმურაზ I-ის აღნიშნული საბუთების მიხედვით იოანე კუნძულ პატ-
მოსზე გადაუსახლებია არა დომენტიანეს, არამედ იმპერატორ ტრაიანეს, რო-
მელიც მეფობდა 98—117 წწ., როგორც ჩანს, დომენტიანეში ძველი წერილო-
ბითი წყაროები გულისხმობენ დომიციანე იმპერატორს (81—96 წწ.). თეიმუ-
რაზმა კი დომენტიანე შეცვალა ტრაიანეთი.

ორივე საბუთში ამ საკითხზე მოცემულია იდენტური კონტექსტი: „მრავ-
ალნი საკვირველნი სასწაული ჰქმენ ტრაიანე უსჯულოსა მის მეფისა ზედ და
ემშაკთ მთავარი კუნიოზ დაანთქ ზღვასა მას შინა და ქვა იქმნა“.

XVIII ს. თვალსაჩინო ქართველი მოღვაწე და მწერალი ტიმოთე გაბაშ-
ვილი, რომელმაც 1755—1759 წლებში იმოგზაურა უცხოეთში, პატმოსთან
დაკავშირებით წერს: „...და იქედან წარგვეზავნეს, პატმოდ ჭალაკად, საყო-
ფელსა ღმრთისმეტყველისა იოანესასა... და ვიხილეთ ნაწილი მრავალი და ქვა-
ბი იგი აპოკალიფსი, სადა მჯდომარე იყო ღმრთის მეტყველი იოანე და ეჩვენა
უფალი და აღწერა გამოცხადება და იწყო რა მალაღსა მას ღმრთისმეტყველე-
ბასა თქმად: „პირველად იყო სიტყვა“, და აღწერა იგინი“⁵.

დაახლოებით ასეთივე ცნობაა დაცული მეორე ქართველი მოგზაურის
რუისის მიტროპოლიტის იონა გედევანიშვილის მიმოსვლაში, რომელმაც ცოტა
მგვიანებით იმგზაურა პატმოსზე: „...დასავლეთით კეთილი ეკლესიაა და
პალატნი უცხონი, სადაცა იყო იოანე ღუთისმეტყველი და აღწერა წმინდა სა-
ხარება“⁶.

თეიმურაზ მეფის მიერ გაცემული ზემოთ აღნიშნული ორი საბუთის გარ-
და პატმოსის იოანე მახარებლის მონასტერთან საქართველოს ურთიერთობის
არავითარი სხვა წერილობითი საბუთი არ გავაჩნია. ეს რა თქმა უნდა, არ გა-
მორიცხავს ასეთი ურთიერთობის არსებობას უფრო ადრინდელ ხანაშიც.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ორივე დოკუმენტი მამულის წყალობის წიგ-
ნებია და გაცემულია ერთდროულად. პირველი საბუთის მიხედვით, თეიმურა-
ზი „პატნო ჭალაკს“ სწირავს თავისი პაპის მიერ აშენებულ იოანე მახარებლის
საყდარს, ყმა-მამულით. მეორე დოკუმენტის მიხედვით კი, თეიმურაზი იოანე
მახარებლის პატმოსის მონასტერს სწირავს სოფელ მაშნარს, ყმა-მამულით.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე ვასაგები ხდება, რატომაა დაწერილი
ორივე დოკუმენტი ერთსა და იმავე დღეს. პირველის მიხედვით, თეიმურაზი
პატმოსის იოანე მახარებლის მონასტერს სწირავს ქიზიყში აგებულ ასევე იო-
ანე მახარებლის საყდარს ყმა-მამულით, ხოლო მეორეთი კი — ყმა-მამულს.

შესაძლებელია თუ არა, რომ მხოლოდ ამ ორი შემორჩენილი წერილო-

³ ტ ი მ თ ე გა ბ ა შ ვ ი ლ ი, მიმოსვლა, ელ. მეტრეველის გამოც. თბ., 1956, გვ. 63.

⁴ წამებაა ტიმოთე ეპისკოპოსისა, ქართული აგიოგრაფიული ძეგლები, ნაწ. I, კიენის, ტ. I, ტფილისი, 1918, გვ. 105.

ხრონოგრაფი გიორგი მონაზონისა, ქართული ძეგლები, III, საისტორიო მწერლობა № 1, სიმ. ყაუხჩიშვილის გამოცემა, ტფილისი, 1920, გვ. 230—234.

⁵ ტ ი მ თ ე გა ბ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 63.

⁶ მიმოსვლა ანუ მგზავრობა, იონა რუისის მიტროპოლიტისა, თბ., 1852, გვ. 58.

ბითი საბუთის მიხედვით ვივარაუდოთ კუნძულზე ქართული მონასტრის არსებობა? როგორც ჩანს, — არა. იქ ქართული კერის არსებობა თუნდაც მხოლოდ ზეზითაა გამორიცხული, რომ არც ტიმოთე გაბაშვილი და არც იოანე გედევანიშვილი ამის შესახებ არაფერს ამბობენ. მათი მოგზაურობის მთავარი მიზანი კი სწორედ ქართველთა მოღვაწეობის ამსახველი ცნობებისა და მასალების კვლევაა.

ამასთანავე ტიმოთე გაბაშვილის მიმოსლვაში პატმოსის მონასტრთან დაკავშირებით ვკითხულობთ: „...და ვიხილეთ ჯაჭვი იგი, რომლითა დომენტთან მეფემან ტყვე ყო რა მუნ პატმოს და ჯაჭვითა შებორკილა. და სალარო ვიხილეთ მონასტრისა მდიდარი ფრიად, სავსე ქვათაგან ძვირფასთა მრავალთა და მარგალიტთა, ოქროთა და ვერცხლითა ეკლესიისა წმიდათა ჭურჭელთა სავსე და კვერთხნი ძვირფასნი და შესამოსელნი. და იყო მუნ ჯვარი მურასა მძიმე, ოქროსი, ქართველთაგან შეწირული“⁷. მაშასადამე, მონასტრის განძნეულობაში მხოლოდ ოქროს ჯვარი ყოფილა ქართული.

ახლა ძნელი სათქმელია, კერძოდ რომელი ქართველი მეფის თუ კათალიკოსის ნიერ იყო შეწირული აღნიშნული ჯვარი, მაგრამ მისი შეწირვა, თეიმურაზ V-ის შეწირულების წიგნები და XVIII ს-ში აქ ქართველ საეკლესიო მოღვაწეთა სტუმრობა აშკარად მოწმობს იმას, რომ საქართველოს ურთიერთობას კუნძულ პატმოსის იოანე მახარებლის მონასტრთან ძველი ტრადიცია ჰქონდა.

ამ ტრადიციებზე მეტყველებს ასევე XVIII ს. დამტკიცება-განახლების მინაწერები, რომლებიც ერთვის დოკუმენტებს.

როგორც აღნიშნეთ, პირველ დოკუმენტს ახლავს ოთხი მინაწერი, რომელთაგან ორი (I და III) ანა დედოფლისაა. იგი ქიზიყის მოურავს რევაზ ანდრონიკაშვილს და ბოდბელ ზაქარიას უბრძანებს დაუბრუნონ იოანე მახარებლის მონასტერს ვინმე ყამჩაშვილების მიერ წართმეული მამული „თავისი ვაჟის (იმამყული ხანის) სადღეგრძელოდ“. II მინაწერი ქიზიყის მოურავის რევაზ ენდრონიკაშვილისა და ბოდბელი ზაქარიასია, რომლებიც ანა დედოფლის ბრძანებისამებრ, უბრუნებენ იოანე მახარებლის მონასტერს კუთვნილ მამულებს. IV მინაწერი ეკუთვნის სამებელ ეპისკოპოსს, რომელსაც რევაზ მოურავთან ერთად კვლავ გაურჩევია ყამჩაშვილისა და იოანე მახარებლის საყდრის დავა.

ეს მინაწერები უთარიღოა. პირველი სამი ერთდროულია, მეოთხე რამდენადმე გვიანდელი (მაგრამ არ სცილდება რევაზის მოურავობის ხანას). 1705 წლის ერთი დოკუმენტი განსაზღვრავს ამ მინაწერების ქვედა ზღვარს. ანა დედოფლის ბეჭედი, რომელიც უზის პირველ მინაწერს, გვაძლევს პირველი სამი მინაწერის ზედა ზღვარს.

აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, მეფე იმამყულიხანს 1705 წლის 15 იანვრას რევაზ ენდრონიკაშვილისათვის უწყალობებია ქიზიყის მოურაობა⁸. ცხადია, თეიმურაზ I-ლის დოკუმენტის აღნიშნული ოთხივე მინაწერი, სადაც რევაზ ენდრონიკაშვილი ქიზიყის მოურავად იხსენიება, ვერ დაიწერებოდა 1705 წელზე ადრე. რაც შეეხება პირველი სამი მინაწერის ზედა ზღვარს: ცნობილია, რომ ანა დედოფალს ჰქონდა ორი ბეჭედი. წარმოდგენილ დოკუმენტში

⁷ ტიმოთე გაბაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 63.

⁸ ცსა. 1448. ს. 133.



დასრული ბეჭედი გვხვდება 1692—1708 წლებში, მეორე ბეჭედი კი 1716—1718 წლებში⁹. ამრიგად, ამ მინაწერში მოცემული ბეჭედი ვერ დაისმებოდა 1710 წელზე გვიან. მასასადამე, აღნიშნული სამი მინაწერი უნდა დათარიღდეს 1705—1710 წწ. IV კი რამდენადმე გვიანდელია, თუმცა, როგორც აღვნიშნეთ არ სცილდება რევაზ ენდრონიკაშვილის მოურაობის ზედა ზღვარს.

მეორე საბუთს, რომელიც შემონახულია ფრაგმენტების სახით, როგორც აღვნიშნეთ, არქივში დაეძებნა პირი¹⁰. როგორც ფრაგმენტზე, ისე პირზე არის 1628 წლის იდენტური მინაწერი მონასტრისათვის ძველი ყმების სანაცვლოდ სხვა ყმების მიცემის შესახებ (როგორც ჩანს, 1626 წელს დაწერილი ამ საბუთის წაღება საბერძნეთში გარკვეული დროით დაგვიანდა და მომხდარი ცვლილებაც მასში ამიტომ აისახა 1628 წლის მინაწერის სახით).

განსხვავებდა პირსა და ფრაგმენტს შორის მეორე მინაწერში. პატმოსზე დაცული საბუთის მიხედვით, იმამყული ხანი (1703—1724 წწ.) უბრუნებს მონასტერს სადაოდ გამხდარ ყმა-მამულს. არქივში დაცული პირის მინაწერი კი გაცილებით გვიანდელია (1749) და ერეკლე II-ის მიერ ამ დაძველებული გუჯარის გაახლებასა და ხელმეორედ დამტკიცებას წარმოადგენს.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე ნათელია, რომ ამ შემთხვევაში საბუთი დაწერილია ორ ცალად. ერთი გაუგზავნიათ პატმოსის იოანე მახარებლის მონასტერში, მეორე კი, ალბათ, ინახებოდა ქიზიყში არსებულ იოანე მახარებლის საყდარში, (სწორედ მისი პირია დაცული ცსა-ში).

პატმოსის ბიბლიოთეკაში ამჟამად დაცული საბუთიც, როგორც ჩანს, პირია და არა დედანი: მის ფრაგმენტზე შემორჩენილი გვიანდელი მინაწერი დაწერილია საბუთის ძირითადი ტექსტის ხელით, ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ როცა საბუთი ჩამოიტანეს საქართველოში გასაახლებლად, ის დაძველებული იყო, რის გამოც გადაწერეს.

რაც შეეხება დამტკიცება-განახლებას, რომელიც საბერძნეთიდან გამოგზავნილ ეკზემპლარებს ერთვის, ეს, ალბათ, პატმოსელი წინამძღვრების საშუალებით ხდებოდა, რომელთაც დრო და დრო საქართველოში ჩამოჰქონდათ ისინი გასაახლებლად. როგორც ჩანს, ორივე საბუთი საქართველოში გასაახლებლად ჩამოუტანიათ 1705—1710 წლებს შორის. ერთ-ერთი მათგანი დაუმტკიცებია დავით იმამყული ხანს, ხოლო მეორე მის დედას ანა დედოფალს.

ერეკლე II-ს, როგორც ჩანს, განუახლებია დოკუმენტის მხოლოდ საქართველოში დაცული ეკზემპლარი. პატმოსზე დაცული ცალი კი მას აღარ ჰქონია ხელთ და ვერც განუახლებია. ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ:

1. XVII—XVIII სს.-ში (და შესაძლოა უფრო ადრეც) ქართველებს ურთიერთობა ჰქონიათ პატმოსის კუნძულზე არსებულ იოანე მახარებლის მონასტერთან. ქართველი მეფეები (თეიმურაზ I, დავით იმამყული ხანი, ერეკლე II) სწირავდნენ ამ მონასტერს ყმა-მამულს.
2. საბუთების მინაწერები მოწმობენ, რომ ისინი პერიოდულად ჩამოჰქონდათ საქართველოში დასამტკიცებლად და გასაახლებლად.
3. ის ფაქტი, რომ თეიმურაზ I ყმა-მამულს სწირავს პატმოსის კუნძულზე არსებულ იოანე მახარებლის მონასტერს, მეტყველებს ამ პერიოდის საქართველოში აღნიშნული მონასტრის პოპულარობაზე.

⁹ ა. ბ ა ქ რ ა ძ ე, მასალები ქართული სფრაგისტიკისათვის, 1978, გვ. 35, № 9, 10.

¹⁰ ცსა. 1448, ს. 228.



4. პატმოსის კუნძულზე მონასტრის სანახავად ჩადიდნენ ქართველ მკვლევარები (იონა გედევანიშვილი, ტიმოთე გაბაშვილი).

5. XIX ს. ქართველოლოგ ალ. ხახანაშვილს უმოგზაურია მცირე აზიაში. მასვე რუსულად უთარგმნია განხილული დოკუმენტებიდან ერთ-ერთი. ეს ფაქტი გვაფიქრებინებს, რომ თავისი მოგზაურობის დროს ალ. ხახანაშვილი იყო პატმოსის კუნძულზეც, სადაც გადმოწერა იქ დაცული ქართული დოკუმენტი, რომელიც შემდეგ თარგმნა რუსულად და გაუგზავნა პატმოსის მონასტრის ბიბლიოთეკას.

საბაშთის ტექსტები

(პატმოსზე დაცული დოკუმენტების აღწერილობა შესრულებულია მათი ფოტოპირების მიხედვით)

I. 1626 წ. 26 თებერვალი. მონასტრისა და ყმა-მამულის წყალობის წიგნი თეიმურაზ I-ისა პატმოსის იოანე მახარებლის ეკლესიასადმი.

დედანი, კუნძულ პატმოსის წმ. იოანე ღმრთისმეტკველის ბიბლიოთეკა. ფოტო: ხელნაწერთა ინსტიტუტი RI XXXIV № 1. როგორც ჩანს, ქაღალდი, ძაფით გადაკერებული 4 კეფი; დამწერლობა: მდივანწიგნობრული, მხედრული. განკვეთილობის ნიშნები: ორი წერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ. საბუთს ზურგზე ახლავს 2 ვიანდელი მინაწერი ძირითადი ტექსტისაგან განსხვავებული ხელით და ანა დედოფლის ბეჭედი. საბუთს ჰქონია კიდევ 2 მინაწერი, რომლებიც დაცულია ხახანაშვილის რუსულ თარგმანში.

დაზიანება: 1. საბუთს მოკლევილი აქვს თავი, მაგრამ ძირითადი ტექსტის დასაწყისი არ დაზიანებულა. თავში, ძირითადი ტექსტის ზემოთ შემორჩენილია მინაწერის რამდენიმე ასოს ფრაგმენტი. 2. საბუთის პირველი 3 კეფის მარჯვენა მხარე გაშავებულია და ძნელად იკითხება. 3. ფოტოზე 54 და 55 სტრიქონებს შორის აკლია დაახლოებით 2 სტრიქონი. საბუთს უნის თარიღი: ქრონიკონი ტიდ (314=1626 წ.) თებერვლის 26.

ქ. სახელითა არსობადაუ[ბადებელ]ისა ერთიაა დას[აბამი]/2სა დაუსაზამოსა, სამარადისსა [მიუწვდომელი]სა [სამგუა]/3მოვინსა, რომლითა ცხადყო კაც[თა შო]რის სამბრწყინვალე/4სა ღმრთაებისა თუისისა დამკუიდ[რებად, არსებადაუბადებელა]/5დ. ღ(მრ)თისმეტყუელთა ქადაგეს მამა [ღ(მრ)თისა სი]-ტყუათანა/6 დაუსაბამოდ, ძე და სული [წმიდა—თანა] მოსაყდრედ/7. გიგალობს შენ ბუნება, რ[ომელი ასულდგმულა]/8ე, ერთი რა ძალი სწორსა კელმწიფე-ბასა გაქუ[ს ე]/9რითთა ნებითა და განზრ[ახუითა]. მხოლოდ მარტო[ლო-და]/10 განუყოფლო, ბრწყინვალე[ე ნათელო] მამისაო, [ძეო მხო]/11ლოდშობილო, ე(ითარ)ცა აღმოიქუ, [სავანე ყავ ჩუენ შორის] /12.

მეოხებითა და შეწვევითა ყო[ვლად წმი]დისა [ღ(მრ)თი]სმ/13შობელისა, მარადის ქალწულისა მარია[მისა, რომელ]/14მან ქერაბინთა ზედა მკდომარე სიტყუა და ყოველი /15 შემოქმედი საშოსა მისსა [დაიტია] უხრწნელად და/16 გუიხსნა ჩუენ გ(ა)ნბრწინილინი [განბრწინილებსაგან, რო]/17მელმან წინა საუკუნეთა [სიტყუა ზეშთა სიტყუა]/18სა გუოშვა. დედად ქრისტე[სად, მაყუალ შეუწველ]/19ად, ტაძრად წმიდად, საც[ნაურად საანთლედ] /20 და კუერთხად და ტაბლად [გადადგეს წინასწარმე]/21 ტყუელთა, რომლისაგან გან[კაცნა მზრდელი სოფ] /22 ლისა.

მეოხებითა და თანა[შეწვევითა პატიოსნის]/23ა ჟუარისა, ძელისა ცხოველისა [და საკუთრველთმოქმედისა, რომ]/24ელ არს განუკუთეული ზღუდე



[ჩუენი და მისსა მიმართ ყო]/²⁵ველნი მოსაგნი ვცხოვნდებით; რ[ომელისა მიმართ ერთსამწყ]²⁶სო იქმნეს ანგელოზნი და კაც[ნი; ერთეულსა ცა]²⁷ნი და ქუეყანა, რომელი მოასწა[ვა მოსე, მსახურმან ლ(მრ)თისამა]/²⁸, განპყრობითა კელთათა. გან[მარტნა ჯელი მას ზედან ლ(მერ)]/²⁹თმან ყოველთამან, მტერისა წარმწყმედელი ძალი შე]/³⁰მუსრა.

მეოხებითა და შეწევნითა [წმიდათა მთავარანგელო]/³¹ზთა მიქაილ-ღაბრი(ე)ლ და [სხვათა მათ ზეცისა ძალთ]/³²ა, მღვდმარეთა წინაშე საყდართა [ზეცისათა, ნათელთა] /³³ ლ(მრ)თისათა თუალითა მხილველ[თა და ყოველად დიდებულ] /³⁴თა ბრწყინვალეთა ლ(მერ)თმთავრობისათა [ქერაბინ-სერაბ]ინ/³⁵ნი საყდართა თ(ა)ნა წმიდათა და [აღმატებულთა, რო]/³⁶მელნი დაიბადნეს ხატად პირ[მეტყუელად სახიერების]/³⁷ა მისისა და შეამკობენ ზეცისა მოქალაქობათა.

მეოხე]/³⁸ბითა და შეწევნითა მოციქულთა [თავისა პეტრე, საუკუნეთა] /³⁹ კლიტეთ-მპყრობელისათა და [პავლე, სამცამდე აღწე]/⁴⁰ვნულისა და სხუათა მათ[თ(ა)ვთა მოციქულთა და] /⁴¹ სამეოცდაათთა მოწამეთათა, მეთ[ევჯურად გამოჩინებ]/⁴²ულთა და ყოველსა ქუეყან[ასა წარვლინებულ]/⁴³თა ქადაგებად კაცთმოყუარებასა [ქრისტესსა ლ(მრ)თი]/⁴⁴საისა ჩუენისათა; დამამტკიცებელთა [ეკლესიათა,] /⁴⁵ ვითარცა მნათობთა სოფლის[ა... მეგობართა ქრ]/⁴⁶ისტესთა.

მეოხებითა და [შეწევნითა წმიდათა მ]/⁴⁷ღვლელთმომძღუართა, [მოწამეთა, მამათა, მა]/⁴⁸მამთავართა, ქალწულთა [მეუღაბ(ნო) ეთა, (და)] /⁴⁹ რომელნი საუკუნოითგან [სათნო ეყუნეს უ]/⁵⁰ფ(ა)ლსა ჩუენსა ი(ეს)ოს ქრისტესა.

[შენ, იოვანე ქალწულ მახარებ]/⁵¹ელი და ლ(უ)თისმეტყუელი, [ძედ ქუხილისა წოდებულო] /⁵², წინამძღუარო [მართლმადიდებლობისაო და დიდისა მის ჭ] /⁵³ეშმარტისა ქრისტეს ლ(მრ)თისა [შეყუარებულო, რამეთო]/⁵⁴ (აქ გამოტოვებულია ფოტოზე 2 სტრ.).

...ოზა მამისა და სწორება [მისთა, რომელმან მ]/⁵⁵რავალნი საკუთრველნი სასწაულნი [ჰქმნა ტრაიანის უს]/⁵⁶ჯულოსა მის მეფისა ზე, [და ეშმაკთ-მთავარი კუინოზ დააშთო] /⁵⁷ ზღვასა მას შინა და ქვა იქმნა; [რომელმან მრავალნი] /⁵⁸ გუ (ე) მანი და ცემანი დაითმინენ ქრისტესთუის, [მეუფისა] /⁵⁹ შენისა: და პატნოსა მას ჰალაკისასა [შენ მიერ ნათელ]/⁶⁰ს-ილეს სულთა ვითარ [ათოთხიათისთა და წარუ] /⁶¹დგინენ ღმერთსა, დამბადებელსა შენსა; [და მათ თანა] /⁶²ვე აპოკალიფსის აღსწერე [სახარება იგი ქრის] /⁶³ტეპი: „პირველითგან იყო [სიტყუა და ლ(მერ)თი იყო სიტ] /⁶⁴ყუა იგი“.

კუალად შეწევნითა [და შუამდგომელობი]/⁶⁵თა ყოველთა წმიდათა ლ(მრ)თისათა ზეცისათა: [ვორციე] /⁶⁶ლთა და უკორცოთათა კადრეთ [დამოგახსენეთ გუჯარი] /⁶⁷ ესე თქვენ, ივანე მახარებელსა [პატნო ჰალაკისასა, ჩუენ] /⁶⁸, შენ მიერ მტერთა ზედა და წინაღმდგომთა [ძლიერმან,] /⁶⁹ იესიანდავითიან-სოლომონიან-პანკრატონიანმან, ყო] /⁷⁰ვლისა [აღმოსავლეთისა [მპყრობელ-მქონებელ] /⁷¹მან, მეფემან თეიმურაზ და თანამეცხედრემან ჩუე] /⁷²ნმან — დედოფალმან ხორაშან და პირმშო[მან ძე] /⁷³მან ჩუენმან, პატრონმან დავით. შემოგწირეთ დან] /⁷⁴უვის ბოლოს თრინჯ[ში კურთხეულის პატრონის] /⁷⁵ პაპის ჩუენისაგან აღშენებული [იოვანე მახარებლი] /⁷⁶ს საყდარი. და რაც შეწირული [ყმა და მამული და] /⁷⁷ წისქვილი არის შეწირული, [ვისივის ნაცვალს ხუ] /⁷⁸ღოს, რომელიც ქონებოდეს, უკლებლად შემოგვიწირავს.



შ[ე]⁷⁹წიროე შენ, იოვანე მახარებლო, მცი⁸⁰რე ესე შესაწირავი და
 ნაცულად-გუავენ წყალო⁸¹ბანი შენნი; ყოველნივე განსაგებელნი და შენ-
 მო⁸²სლვანი ეშმაკისა მიერონი თ(ან)ა-წარგუყვანენ; ბრ⁸³კოლათა მიმართ
 (თ(ან)ა-მბრძოლ მექმენ და მც⁸⁴ველ და მფარველ; და უყამოსა სიკვდილისა-
 გან⁸⁵ მიხსენ და წარმართე მეფობა და შარავანდელობა ჩემ⁸⁶. ხოლო დღე-
 სა მას, რაჟამ განვიდე წუ⁸⁷თსა ამას სოფელსა, დაუსჯელად წარმიძუელ და⁸⁸
 პაერის მცველთაგან განმარინე; და შემრ⁸⁹თე მწყობრთა მათ წმიდათა შენთა-
 სა საუკუნ⁹⁰ეთა-საუკუნეთასა, ა(მ)ენ.

ვინცა და რამანცა კაცმან⁹¹ცა კაცმან ესე ჩუენგან შეწირული მოშალ⁹²ოს,
 რისხვასმცა ლ(მერ)თი დაუსაბამო, მამა, ძე და⁹³ სული წმიდა და ყოველნი
 წმიდანი ლ(მრ)თისანი⁹⁴ კორციელნი და უკორციონი; და ნურათამცა⁹⁵ სინა-
 ნულითა ნუ იქმნების კსნა სულისა⁹⁶ მისისა. დამამტყიცებელნი ამისნი ლ(მერ)-
 თ(მან) აკურთ⁹⁷ხნეს და წმიდამან ლ(მრ)თისმშობელმან. დაიწერა⁹⁸ წიგნი და
 ნიშანი ესე ქ(რონი)კ(ონ)ს(ა) ტიდ, თუესა თებ⁹⁹ერვალსა ოცდაექუსა.

ხვეულად: ვამტყიცებ ნებითა ლუთ(ისა)ათა თეიმურაზ.

v. ქ. მამული დაკარგოდა იო[ა]ნეს მახარებელს. ჩვენ დედო²ფალთ დე-
 დოფალმა(ნ) ანამ ვიზი(კი)ს მოურავს რევავს და³ ბოდბელს ზაქარი[ა]ს უბ-
 ძანეთ და გ[ა]რიგეს: ყამჩაშვილებს /4 ეჭირა და გამოვართვით და ისევე იო[ა]-
 ნეს მახარებელს და წმიდნა⁵ს სამებ(ა)ს ისევე შევსწირე, ჩვენად და ჩვენის
 შვილის სად⁶ღვერძელოდ და კახის ბატონის გამოსახსნელ⁷ად და ცოდვთა
 ჩვენთა შესანდობლად⁸

დედო
 ფალი
 ანა

ქ. ჩვენ, ენდრონიკაშვილმა ვიზიკის მოურავ⁹მან რევავს, ძმისწულმან ჩვენ-
 მან ბოდბელმა¹⁰ ზაქარიამ, ჩვენის მემკვიდრის ბატონის ბრძანებით: ი¹¹ო-
 [ა]ნეს მახარებლის მამული ეჭირათ ყამჩაშვილებს. /12 გერასიმემ წინამძღვარ-
 მან იბოვა, დაიფიცა თვითანც დად¹³ვეს. ჩვენ გაურიგეთ ბატონის ბძანებით.
 ახლა ის მა¹⁴შული საყდრისათვის დაიდვა, ზვრათ. იმის წინამ¹⁵ძღვრის მეტს
 ხელი არავის აქს. იმ ყამჩაშვილს ფასი ა¹⁶ელო უწინ. ის ფასი მიეცა, უწინაც
 მაშნარეთადა¹⁷ნ გამოფიცული ყოფილა ის მამული.

ამისი მოწამე¹⁸ დამხდომი: ალავერდელი ნიკოლოზ, სამებელი ნიკო-
 ლოზ¹⁹ სა(ხ)ლხუცესი ედიშერ, ეში²⁰კალასბაში პატა, ბოქაულთუხუცესი ქაი-
 ხოსრო²¹ და ვიზიველნი მოწამე. იმ ვენახის გამოყოფელი ელიოზ ხელა²²შვი-
 ლი სიხო.

ხვეულად: რევავს.

ქ ა რ თ უ ლ ი თ ა რ გ მ ა ნ ი ა ლ . ხ ა ნ ა ნ ა შ ვ ი ლ ი ს რ უ ს უ ლ
 ტ ე ქ ს ტ შ ი დ ა ც უ ლ ი ბ ო ლ ო ო რ ი მ ი ნ ა წ ე რ ი ს ა :

ჩვენი ბრძანებით ეს განაჩენი სწორად და მართლად გარდასწვიტყეთ.
 ვინც არ დასჯერდება, არ იქნება მართალი, ხოლო ვისაც წინამძღვარი შეა-
 სახლებს, მან უნდა იფიცოს.

მაშნარის წინამძღვარმა მამა გერასიმემ იჩივლა მეფესთან, გუჯარნი მიარ-
 თვნა და მოახსენა, რომ ყანჩაშვილი საეკლესიო ქონებას ეცილებდა, ნაწილი
 მას უჭირავს ნასყიდობით, ნაწილი კი მიიტაცა.

მეფემ ჩვენ, მოურავ რევას და სამებელ ეპისკოპოსს, გვიბრძანა: ესე განაჩენი ასე გარდავსწყვიტეთ: ვინც მეფისაგან ეკლესიისათვის მამული მოშალა და გაყიდა, განასყიდი უნდა დაუბრუნოს ეკლესიას. მყიდველს კი პასუხი უნდა მისცეს მისმა გამყიდველმა. ამას გარდა, სადაო მამულზე ამბობენ, რომ მათგან სამებელმა ძალით დააფიცა. ყანჩაშვილი ამბობს, რომ მას ძალით არ დაუფიცებია. თუ ფიცის გარეშე დაუთმო წინამძღვარს, მაშინ დე მან დაიფიცოს და რომელი მოფიცარნიც წინამძღვარმა დაუსახელოს, მათ იფიცონ. თუ იფიცეს, წინამძღვარმა ხელი აიღოს მამულზე, თუ არ იფიცეს, ყანჩაშვილმა აიღოს ხელი და დაუტოვოს წინამძღვარს. მან უნდა წამოაყენოს ორნი თანამოფიცარნი.

II. 1626 წ. 26 თებერვალი. ყმა-მამულის წყალობის წიგნი თეიმურაზ I-ისა პატრონის იოანე მახარებლის ეკლესიისადმი.

I პირი. (XVIII ს-ისა) კუნძულ პატრონის წმ. იოანეს ღმრთისმეტყველის მონასტრის ბიბლიოთეკა. ფოტო. ხ. ი. ფოტოთეკა Rt XXXIV № 2. ქალაქი, დამწერლობა მხედრული, დაწერილია პირველი საბუთისაგან განსხვავებული ხელით. ახლავს ორი მინაწერი, შესრულებული ძირითადი ტექსტის ხელით, შემორჩენილია საბუთის ორი ფრაგმენტი: პირველ ფრაგმენტზე დატულია 13 სტრიქონი თითქმის მთლიანად, პირველი და ბოლო 2 სტრიქონიდან კი მხოლოდ ნაწილი. მეორე ფრაგმენტზე შემორჩენილია 7 სტრიქონი მთლიანად, 2 დასაწყისი და ბოლო 4 სტრიქონის კი მხოლოდ ნაწილი.

II. პირი (XIX ს-ისა). გადაწერილია იოსებ ქანანოვის მიერ. ცსა. ფ. 1448, ს. 228. მწვანე ქალაქი, ტექსტი სრულია. ახლავს ორი გვიანდელი მინაწერი 1628 და 1649 წლებისა. პირველი მინაწერის ბოლოს უხის ბეჭდის აღმნიშვნელი ნიშანი; მეორე მინაწერის ბოლოს 2 ბეჭდის ნიშანი. საბუთი თარიღიანია: „ქრონიკონი ტიღ (314=1626 წ.) თებერვლის (კვ=26).

[ქ. ერთსა დასაბამსა სამარადისოსა მიუწოდომელსა, სამარადისოსა დაუსაბამოსა ყოველთასა დაუცხრომელად სერაბინნი აქებენ; და ყოველნი ენა შესხმით უგალობს. ერთი ძალი და სწორი კელმწიფობა გაქუს სამებაო წმიდაო, ერთითა და განზრახვითა მხოლოდო, მარტოო და განუყოფელო. ღმერთო, შეგუზღუდენ ჩუენ ძალითა შენითა, მრავალმოწყალე ბრწყინვალეო ნათელო მამისაო, და ძეო მხოლოდშობილო, ვ(ითარცა) აღმიტქუ სახიერ, სავანე ყავ ჩ(უენ)ნ შორის.

მეოხებითა და შეწევნითა ყ(ოვლ)ად წმიდისა ღმრთისმშობ(ე)ლისა, მარადის ქალწულისა მარიამისათვის; მეოხებითა და შეწევნითა წმიდათა წინასწარმეტყუელთა, მოციქულთა, მღვდელთ მოძღვართა, მოწამეთა მამათა, მამათ-მთავართა, ქალწულთა, მეუღაბნოეთა და რომელნი საუკუნითაგან სათნო ეყუენეს უფალსა ჩუენსა იესო ქრისტესა.

შენ, იოანე ქალწულ-მახარებელო ღმრთისმეტყუელო, ძედ ქუხილისად წოდებულო, წინამძღვარო მართლმადიდებლობისაო და დიდისა მას ჰემმარიტისა ქრისტე ღმრთისაო, რ(ამეთუ) მრავალნი საკვირველნი სასწაულნი ჰქმენ ტრაიანე ურჯულოსა მის მეფისა ზედ და ემშაკთ-მთავარი კვინოზ დაანთქ ზღვასა მას შინა და ქვა იქმნა. და პატრონსა მას ჰალაქისასა შენ მიერ ნათელს-იღეს ვითარ ათოთხმეტი] ათასი შეწევნითა და შუა [მდგომლობითა ყ(ოველ)თა წმიდა]თა მღთისაათა, გორციელთა და უხორცოთათა. გკადრ[ეთ და მოგახსენეთ გუჯარი] ესე თქუენ, იოანე მახარებელსა პატრონ ქალაქისასა [ჩუენ, იესიან-დავითიან-პოლომონიან-პანკრატონიანმან მეფემან თეიმურაზ და თანამეცხედრემან ჩუენმან დედოფალმან პატრონმან ზვარაშან შემოგწირეთ მამნარი საწინამძღვრო, წმინდა სამება ყმითა, მამულითა, მითა, ბარითა, წყლითა, საწინსქვილოთა, სახნავითა, საკალოო შარას ზემოთ, ყოვლითურთ უნაკლულოდ.

ნურას კაცს ჯელი ნუ აქვს: ნურც მოურავს, ნურც ნაცვალს, ნურც ხასა, ნურც სამასპინძლო, ნურას ფერს გამოსაღებსა, ერთი ლაშქარს ნადირობას მეტი არა ვეთხოვებოდეს რა. ქევხაცა და გზირიცა თქუენი იყოს — ვინცა ვინ წინამძღვარი იყვნენ.

და ვინცა და რამანცა ძემან კაცმან ესე ჩვენგან შეწირული შესაწირავი შეგიშალოს, რისხავმცა დაუსაბამო ღმერთი მამა, ძე და სული წმინდა, ყოველნი წმიდანი ღ(მრ)თისანი: ზეცისა და ქვეყნისანი, ჯორციელნი და უხორციონი; ნესტორს და ოროგინესთან [თანამდები იყოს; და ნურთამცა სინანულითა ნუ] იქნების ვსნა სულისა მისისა [ჯოჯოხეთს. და შენ, წმიდაო] სამებაო ერთარსებაო, [რისხვევდე ამას სოფელსა და მერმესა მას საუკუნესა, და დამამტკიცებელნი] ამისნი ღმერთმან აკურთხოს.

დაიწერა [წიგნი ესე ქ(რონი)კ(ონ)სა ტიდ, თვესა თებერვალსა კვ] ვინ იცის ჟამთა ვითარებისაგან ძანაშვილის თესლს შემოგვეცილოს ვინმე მეპატრონეთაგან, ძანაშვილის სანაცვლოდ მამუკა და პაპია მოგვიცემია. და ჩუენს უკან შე(ე)ცილოს ვინმე საყდარს და ან ჩუენი წიგნი ჰქონდეს — ამ წიგნმა გააცუდოს. ქ(რონი)კ(ონ)სა ტივ. 〇¹¹.

ქ. [ესე] წიგნი ზემო წერილი პაპის ჩვენის კელმწიფის მეფის თეიმუ[რაზისა]გან და ბებიის ჩვენითა ხორაშან დედოფლისაგან მიცემული იყო მამულის შეწირულობასა წმიდათა ალაგის, პატმონ ჭალაკის იოვანე მახარებლის [მო]ნასტრისათვის... ჩუენ იესიან-დავითიან-სოლომონიან-პანკ[რატოვანმან]... და თვით კელმწიფე მეფემ იმამყულმან დაუმტკიცა... ცილობიდან გამო(ვ)ართვით და მონასტერს მივართვით... წინამძღვარმა დაიჭირა.

ც ს ა შ ი დ ა ც უ ლ ი პ ი რ ი ს გ ა ნ ს ხ ვ ა ვ ე ბ უ ლ ი მ ი ნ ა წ ე რ ი :

ქ. ვინათგან გუჯარი ესე დაძველებულ იყო, ჩუენ, მეფეთ-მეფემან ერეკლემ განვა(ა)ხლეთ და მეფეთ-მეფის თეიმურაზის შემოწირულობა კვალად დავამტკიცეთ, ივნისს ე. ქ(რონი)კ(ონ)ს ულს. 〇〇

მე, კეთილშობილმა იოსებ ქანანოვმა ამისი ასლი გუჯარი ვნახე. ღმრთის წინაშე და იქილამ უმეტნაკლებოდ სავათი გარდმოვწერე. იოსებ.

Д. А. ЖГЕНТИ

ДВА ГРУЗИНСКИХ ДОКУМЕНТА ИЗ ПАТМОССКОГО МОНАСТЫРЯ

Резюме

В Институт рукописей им. К. Кекелидзе АН Грузинской ССР из библиотеки монастыря св. Иоанна Богослова на острове Патмос поступили фотоотпечатки двух грузинских документов XVII в.

Один из этих документов уникальный, а копия другого документа хранится в центральном историческом архиве Грузии.

¹¹ ეს წრე გულისხმობს, რომ ამ მინაწერს ესვა ბეჭედი. მინაწერი თეიმურაზ I-ისა ჩანს. თუ კი აქ მართლაც თეიმურაზის ბეჭედი იქნება, მაშინ ეს იქნება ერთადერთი ცნობა, იმის მართულებელი, რომ თეიმურაზ I-ს ჰქონდა ბეჭედი. სხვა არც ერთ საბუთზე თეიმურაზ I-ის ბეჭედი არ შემოგვრჩენია.



Оба документа являются жалованными грамотами, выданными царем Восточной Грузии Теймуразом I монастырю Иоанна Богослова на Патмосе в один и тот же день — 26 февраля 1626 г.

Эти документы, на которых сохранились также поздние приписки грузинских царей, свидетельствуют о том, что Грузия в XVII—XVIII вв. (надо полагать что и раньше) имела связи с монастырем Иоанна Богослова на острове Патмос.

მთივან ბაგრატიონი-ორსინი (რომი)

ილია ტაბაგუა

ქართული ელჩობა ევროპაში

(ნიკიფორი ირბახი — XVII ს.)¹

წმ. კონგრეგაცია „პროპაგანდა ფიდეს“² საბჭოს 1626 წლის 4 მაისის დეკრეტით რომში გადაწყდა საქართველოში ხუთი თეათინელი მისიონერის გაგზავნა. მაგრამ თურქეთის ტერიტორიაზე გავლით მოგზაურობის საშიშროებასთან დაკავშირებით მისიონერთა ეს ჯგუფი ორად გაიყო და პირველად სამი მისიონერი გაიგზავნა³. ამ ჯგუფის ხელმძღვანელი დონ პიეტრო ავიტაბილე⁴ იყო.

ზემოხსენებული მისიონერები 1626 წლის ივლისში მესინაში (სიცილია) არიან. აქ, კონსტანტინოპოლისაკენ მიმავალი ხელსაყრელი გემის მოლოდინში, იმავე წლის დეკემბრამდე დაყოვნდნენ. 2 დეკემბერს ისინი მესინადან კონსტანტინოპოლისაკენ გაემგზავრნენ. 17 დეკემბერს სირაკუზაში (სიცილია) არიან, ხოლო შემდეგ კუნძულ მალტაზე გავლით კონსტანტინოპოლში ჩავიდნენ. 1627 წლის 25 მარტის წერილით დონ პიეტრო ავიტაბილემ რომს შეატყობინა თავიანთი მოგზაურობის შესახებ. იტალიელმა მისიონერებმა თურქეთზე გავლით საქართველოსკენ გზა ვერ გააგრძელეს. თურქეთში დაპატიმრებას ძლივს გადაურჩნენ და იძულებული გახდნენ კვლავ მესინაში დაბრუნებულიყვნენ.

1627 წლის 28 სექტემბერს (სხვა ცნობით, ოქტომბერში) ეს მისიონერები ისევ მესინაში არიან. ისინი აქ დარჩნენ იმავე წლის დეკემბრამდე. ამ დროს მათთვის ცნობილი გახდა, რომ მესინაში ჩავიდა საქართველოს მეფის თეიმურაზ I-ის ელჩი ნიკიფორე ირბახი, წმ. ბასილის წესის ბერი, საქართველოში ნიკოლოზ ბერად წოდებულნი.

¹ იხ. Ketevane Bagrationi-Orsini (Rome) et Ilia Tabagoua (Tbilissi), Une ambassade géorgienne en Europe (Nicéfore Irbakhi—XVII-e siècle), „Bedi Kartlisa revue de kartvélogie“, Paris, 1981, vol. XXXIX, pp. 139—152.

² წმ. კონგრეგაცია „პროპაგანდა ფიდეს“ — „რწმენის პროპაგანდა“ დაარსდა 1622 წელს კათოლიკობის გასავრცელებლად და მწვალებლობასთან საბრძოლველად.

³ B. Ferro, Missioni de Chierici Regolari Teatini..., Roma, 1704, t. I, p. 53.

⁴ D. F. Andreu C. R., Carteggio inedito di Pietro della Valle col P. Avitabile e i Missionari Teatini della Georgia, in „Regnum Dei Collectanea Teatina“, Anno VI, Julio—Decembre, № 23—24; დონ პიეტრო ავიტაბილე, ცნობები საქართველოზე (XVII ს.), შესავალი, თარგმანი და კომენტარები ბ. ვიორგაძისა, თბ., 1977.

⁵ იხ. მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, თბ., 1902; გულჩინა აკოფაშვილი, ქართველი დიპლომატი ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი — ნიკიფორე ირბახი, თბ., 1977.

თეათინელმა მისიონერებმა „გაიხარეს, როდესაც გაიგეს ამ ცნობილ⁶ სავადგურში პაპთან, ესპანეთის მეფესთან და იტალიის მთავრებთან მიმავალი ქართველი მეფის ელჩის ჩასვლის შესახებ, რომელიც სპარსეთისა და ოსმალეთის სახელმწიფოების წინააღმდეგ საბრძოლველად დახმარების სათხოვნელად იყო გაგზავნილი. ეს იყო წმ. ბასილის წესის ბერი, სახელად ნიკიფორე ირბახი. მას სხვა ამაღა არ ახლდა, გარდა ორი ბერისა და ერთი თარჯიმნისა⁷. იგი დიდებული შეხედულებისა იყო, თავმდაბალი, თავაზიანი... იგი თავს იქებდა უმაღლესი კეთილშობილობით; რომ მისი ძმა მეფის ჯარის სარდალი იყო სპარსეთის წინააღმდეგ ომში. მას სახელოვანი გამარჯვებების მაგალითები მოჰყავდა. მრავალთა შორის იხსენიებდა იმას, როდესაც ბრძოლის ველზე 90 ათასი სპარსელი დარჩა მოკლული. ამ სისხლიან ომს თავი შესწირა 20 ათასმა ქართველმა...“⁷.

თეათინელი მისიონერი, არქანჯელო ლამბერტი, რომელიც პირადად იცნობდა ნიკიფორე ირბახს, წერს: „ჩვენი პატრები ჯერ კიდევ მალტაში⁸ იყვნენ, როდესაც მესინაში ჩამოვიდა ერთი კეთილშობილი ქართველი, სახელად ნიკიფორე ირბახი, რომელიც იყო საქართველოს უბირველესი თავადების უკეთილშობილესი გვარისა. სიყრმიდანვე ღვთის კულტით იყო გატაცებული და წმინდა ბასილის სამონასტრო დაწესებულებაში ბერად აღიკვეცა. იგი გამოგზავნილი იყო მისი მეფის თეიმურაზისაგან ევროპაში, რათა დახმარება ეთხოვა, როგორც სახელმწიფოებრივი, ასევე სულიერი, სპარსეთის ჯარისაგან ბოლად განადგურებული და უბედურებაში მყოფი საქართველოსათვის. მას, როგორც თვითონ ამბობდა, ასეთი დავალება ჰქონია ესპანეთის მეფესთან და პაპთან“⁹.

იტალიელმა მისიონერებმა ნიკიფორეს დიდი პატივი სცეს. ამ მის იონერების სარეკომენდაციო წერილებთ მომარაგებული ნიკიფორე მესინადან ნეაპოლში გაემგზავრა. ნეაპოლში იგი ერთ-ერთი ზემოხსენებული მისიონერის (დონ ჯაკომო) დეას შეხვდა. ამ უკანასკნელმა უხვად დაასაჩუქრა ნიკიფორე და სთხოვა საქართველოში დაბრუნების შემდეგ მისი შვილისათვის — დონ ჯაკომოსათვის, მფარველობა გაეწია.

⁶ რად დასჭირდა ნიკიფორე ირბახს თარჯიმანი, თუ იგი, როგორც ზოგიერთი ავტორი წერს „ევროპული ენების მცოდნე“ იყო, 12 წელი რომელიც იყო და იქ კოლეჯშიც კი სწავლობდა?

არის კიდევ სხვა საკითხებიც, რომლებსაც ზოგიერთი ავტორი ნიკიფორეს სახელს უკავშირებს, ხოლო ჩვენში ეს ეჭვს იწვევს: პირველი, 1615 წლის 2 მარტს იეზუიტმა მამა ლუი გრანემემ, სამეგრელოდან კონსტანტინოპოლში მიმავალმა, გურიაზე გაიარა. გურიის მთავართან საუბარში, ერთ-ერთ კითხვაზე მას ასე უპასუხა: „ერთმა ქართველმა ბერმა, რომელმაც 12 წელი რომში გაატარა, კეთილი თესლი დათესა ამ კეთილ მიწაზე, რომელსაც ჩვენ ახლა ვერწყავთ და ნაყოფს ვაღებინებთ ღვთის კურთხევით“. ძნელი დასაჯერებელია, რომ აქ ნიკიფორე ირბახი იჯულისხმებოდეს.

მეორე, 1630 წლის ველისში დომინიკელი მისიონერი ჯოვანი და ლუკა სამეგრელოს მთავარ ლევან დადიანთან იყო. ჯოვანი და ლუკა თავის ჩანაწერებში აღნიშნავენ: „პირველ საღამოს ერთად ვივანშემეთ. აქ ესწრებოდა აგრეთვე მამა ნიკოლოზ ქართველი, რომელიც რომის ბერძნულ კოლეჯში იყო“. თუ აქ ნიკიფორე ირბახი იგულისხმება, რატომ არ მიუთითა ჯოვანი და ლუკამ, რომ იგი რომის პაპთან ელჩად იყო? ამ დროისათვის ერთი წელიც კი არ იყო გასული, რაც ნიკიფორე ირბახი რომიდან დაბრუნდა.

⁷ B. Ferro, Op. cit., p. 53.

⁸ აქ, ალბათ, შეცდომაა. მალტას ნაცვლად სიცილია უნდა იყოს, ვინაიდან, ისინი კუნძულ მალტაზე რომ ყოფილიყვნენ, მესინაში ნიკიფორე ირბახს ვერ შეხვდებოდნენ.

⁹ Archangelo Lamberti, Colchide Sacra, Napo'i, 1657, p. 52.

ნიკიფორე ირბახი ნეაპოლიდან პირდაპირ მადრიდში გაემგზავრა. რატომ გააკეთა მან ეს, გაუგებარია. მას ხომ პაპის სარეკომენდაციო წერილი წაეღო ესპანეთის მეფესთან? მადრიდში მას მეფესთან მისვლა გაუჭირდა. „ნაკლებად დაუჭერეს მის ელჩობას. კერძო, პატარა სასტუმროში ცხოვრობდა“. მას დაეხმარა დონ პლაზიდო მირტო, რომელიც ესპანეთის სამეფო კარზე დიდი პატივით სარგებლობდა. მან იტალიელი თეათინელი მისიონერებისაგან იცოდა ნიკიფორე ირბახის შესახებ და რეკომენდაცია გაუწია მას სამეფო კარის წინაშე. ამის შემდეგ, ესპანეთის „დიდმა მონარქმა იგი მიიღო, როგორც აღმოსავლეთ იბერიის მეფის წარმომადგენელი. ახლა კი იგი დიდის სადღესასწაულო ზარ-ზეიმით უნდა ამდგარიყო და წამოსულიყო თავისი სასტუმროდან, რათა მოეთავსებინათ მისი წოდებისათვის შესაფერისი სასახლეში. მოეპყრნენ დიდს ბრწყინვალეობით...“¹⁰.

1628 წლის მარტში ნიკიფორე ირბახი ისევ მადრიდშია. იმავე წლის აგვისტოში იგი უკვე რომშია.

ჩვენი სტატია მიზნად არ ისახავს ნიკიფორე ირბახის ელჩობასთან დაკავშირებული ყველა საკითხის განხილვას. ჩვენი მიზანი უფრო მოკრძალებულია: მივაწოდოთ მკითხველს ამ ელჩობის შესახებ ზოგიერთი ინფორმაცია (ზოგიერთი მომენტისა და თარიღის დაზუსტებით) და რამდენიმე, დღემდე გამოუქვეყნებელი, დოკუმენტი წმ. კონგრეგაცია „პრობაგანდა ფიდელს“ (რომი) არქივიდან.

ევროპაში ნიკიფორე ირბახის ელჩობის შესახებ პირველად ცნობა გამოქვეყნდა XVII ს. შუა წლებში (ჯ. სილოსი, ა. ლამბერტი)¹¹, ხოლო შემდეგ, XVIII ს. დასაწყისში (ბ. ფერო)¹². სწორედ ამ ავტორების ნაშრომებით ისარგებლა მ. თამარაშვილმა, როდესაც იგი ნიკიფორე ირბახის ელჩობას ეხებოდა¹³.

მეტად რთული და ძნელი იყო ნიკიფორე ირბახის მისია. ევროპის სახელმწიფოებს, რომლებსაც მეტად დაძაბული ურთიერთობა ჰქონდათ ოტომანთა იმპერიასთან, სურდათ კარგი ურთიერთობა შეენარჩუნებინათ სპარსეთთან და, ამრიგად, მათ გეგმაში არ შედიოდა აღმოსავლეთის მეორე ქვეყანასთან ურთიერთობის გართულება¹⁴.

პაპმა ურბან VIII-მ მაშინვე არ მიიღო ნიკიფორე ირბახი. მან მოისურვა პირველ რიგში გაეგო: იყო თუ არა ეს პიროვნება ნამდვილად საქართველოს მეფის ელჩი; მიეღო ზუსტი ცნობები საქართველოს შესახებ, მისი მეფის შესახებ და გაეგო, კერძოდ, თუ ეს ქრისტიანი მეფეა, რატომ ატარებს მუსლიმანურ სახელს — თეიმურაზს?

როდესაც ყველა ამ საკითხზე, ასე თუ ისე, ამომწურავი პასუხი ვასცეს (იხ. აქვე დართული საბუთები), პაპმა მიიღო საქართველოს მეფის ელჩი. ნიკიფორემ გადასცა პაპს თეიმურაზის წერილი. თეიმურაზის წერილი დათარი-

¹⁰ B. Ferro, Op. cit., p. 54.

¹¹ J. Silos C. R., Historia cleric. Regulari, vol. II, Roma-Palermo, 1652; Arch. Lamberti, Colchide Sacra, Napoli, 1657.

¹² B. Ferro, Missioni de Chierici Regulari Teatini, Roma, 1704.

¹³ მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 94; M. Tamarašvili, L'Eglise géorgienne des origines jusqu'à nos jours, Rome, 1910, p. 504.

¹⁴ K. Saliā, Histoire de la Nation Géorgienne, Paris, 1980, pp. 305—326.



ღებული იყო 1626 წლის 20 ნოემბრით¹⁵ და არა „1622 წლის 20 ნოემბრით“ (იგულისხმება თეიმურაზის ქართულად დაწერილი წერილი, რომელიც მარაშვილს არ უნახავს. ამჟამად ეს წერილი ჩვენ ხელთ გვაქვს).

ნიკიფორე ირბახი დაახლოებით ერთი წელი დარჩა რომში. მან გამოიყენა ეს დრო: ქართულს ასწავლიდა სტეფანო პაოლინის, დააარსა ქართული სტამბა წმ. კონგრეგაცია „პროპაგანდა ფიდელსთან“. 1629 წელს იქ დაიბეჭდა ქართულ-იტალიური პირველი ლექსიკონი, შედგენილი სტეფანო პაოლინისა და ნიკიფორე ქართველის მიერ¹⁷.

ახლა იმ დოკუმენტების შესახებ, რომლებსაც თან ვურთავთ ამ სტატიას. გადავწყვიტეთ აქ წარმოგვედგინა რვა დოკუმენტი, რომლებსაც მივაკვლიეთ წმ. კონგრეგაცია „პროპაგანდა ფიდელს“ არქივში. იმ დოკუმენტების მიხედვით, რომლებიც ჩვენს განკარგულებაშია, ნიკიფორე ირბახი 1627 წლის ოქტომბერსა და დეკემბრის შუა პერიოდში ნავსადგურ მესინაშია (სიცილია), 1628 წლის მარტში — მადრიდში, ხოლო იმავე წლის აგვისტოში — რომში. იგი საქართველოში დაბრუნდა 1629 წლის აგვისტოში და ანგარიში წარუდგინა მეფე თეიმურაზ I-ს.

აქ არ შეეჩერდებით თანდართული დოკუმენტების შინაარსზე, რადგან ისინი თარგმნილია ქართულად და მკითხველი მას თვითონ გაეცნობა¹⁸.

დოკუმენტი № 1

პართიველზის შესახებ¹⁹

ქართველები უძველესი დროიდან ქრისტიანები არიან. მათ ქრისტიანობა მიიღეს ახ. წ. 325 წელს²⁰. ამბობენ, რომ ისინი ქრისტიანობაში მოაქცია წმ. გიორგიმ, ზოგის აზრით — ქრისტიანმა მონა ქალმა²¹. ეს არის უფრო ზოგადად, რაც მოცემულია ფეხშიშველი კარმელიტი მორჩილი ძმა ტომაზოს წიგნში: „ხალხთა მოქცევა“, თავი XXI.

ქართველები სამოციქულო წმ. ტახტისა და პაპის მეტად ერთგულნი არიან. ამიტომ მათ ვატიკანში სხვადასხვა დროს ელჩობა გაუგზავნიათ: ერთი — პაპი პიუს II-სთან, რომელმაც იგი მანტუაში მიიღო; მეორე ასეთი ელჩობა გაგ-

¹⁵ M. Tamarati, L'Eglise géorgienne..., p. 504.

¹⁶ მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 94.

¹⁷ Dittionario Giorgiano e Italiano, composto da Stefano Paolini con l'aiuto del M. R. P. D. Niceforo Irbachi, Giorgiano. Monaco di S. Basilio, Roma, 1629.

¹⁸ გენდა ულრმესი მადლობა მოვახსენით პროფესორ დოქტორ ჟოზეფ მეცლერს (Prof. Doct. P. Josef Metzler O. M. J.), რომელმაც გულითადად ვაგვიადვილა მუშაობა წმ. კონგრეგაცია „პროპაგანდა ფიდელს“ არქივში; პროფესორ აგოსტინო პარავიჩინი ბალიანის (Prof. Agostino Paravicini Bagliani) და მონსენიორ ე.-მ. სოგეს (Monsignore J.-M. Sauget) — ვატიკანის სამოციქულო ბიბლიოთეკიდან (Biblioteca Apostolica Vaticana), რომლებიც გულწრფელად დაგვეხმარნენ თანდართული დოკუმენტების მეტად ძნელად ამოსაკითხი ადგილების გაშიფვრა-დადგენაში.

¹⁹ Archivio della Sacra Congregazione per l'Evangelizzazione dei Popoli o „de Propaganda Fide“, Scritture originali riferite nelle congregazione generali (SOCG), 1628, vol. 147, f. 284.

²⁰ ავტორი, ალბათ, გულისხმობს იბერიის მეფის ოჯახის მიერ ქრისტიანობის მიღებას.

²¹ იგულისხმება წმ. ნინო.



ზაენა სიმონ მეფემ 7104 წელს, მათი წელთაღრიცხვით — 1546 წელს²² წერა წერილი პაპი პაოლო III-ს, რასაც ჩვენ ვკითხულობთ ზემოხსენებული მორჩილი ძმა ტომასოს აქ ხსენებული წიგნის 410 გვერდზე. ამ წერილზე სიმონ მეფეს უპასუხა პაოლო III-მ, რომ მას გაუგზავნის სამოციქულო წმ. ტახტის ელჩის და გაუგზავნა ნუნციო სტეფანო კოლინცა, ნახჭევანის არქიეპისკოპოსად წოდებული.

ამ ქართველებმა, რომლებიც შორს იყვნენ სამოციქულო წმ. ტახტიდან, თითქმის ყველა შეცდომა მიიღეს ბერძნებისაგან და ზოგიერთ ცრუმორწმუნეთაგან. ეს იყო ანტიოქიის პატრიარქი, რომელმაც მათში სქიზმა შეიტანა, როგორც ამას წერს ვინჩენცო ბელუაჩინსე თავის გამოკვლევაში: წიგნი 30, თავი 93 და რაფაელ ვოლატერანო თავის XI წიგნში: „სირიული სექტა“.

მაშინ ჩვენ არ უნდა გაგვიკვირდეს ახლანდელი მეფის თეოფილეს ელჩის ბატონ ნიკიფორეს ჩამოსვლა პაპთან, თუ ეს უკანასკნელი მისგან მოითხოვს კათოლიკური სარწმუნოების აღიარებას, ვიდრე შეთავაზებული მოლაპარაკება დაიწყებოდეს.

წმ. კონგრეგაციაში არ მიუთითებენ ქართველების შეცდომებზე, მაგრამ ძალიან კარგადაა აღწერილი ამ ხალხის დიდი ერთგულება სამოციქულო ტახტისა და პაპისადმი.

დოკუმენტი № 2

უგანათლიბოშოსო, ყოვლად კატიცივიშლო ბატონო, ჩიომო ფრიად კატიცსადებო პატრონო!23

სანამ აღნიშნული სასახლის კარზე²⁴ მივიდოდა იბერიის მეფის ელჩის ტიტულით აღჭურვილი ბატონი ნიკიფორე ირბახი, ამასწინათ აქ მოვიდა და მისი უდიდებულესობის²⁵ ხარჯზე დაბინავდა. მან მოისურვა, რომ იგი წარმედგინა თქვენი ყოვლად უგანათლებულესობის წინაშე და ისურვა გამოეხატა სიყვარული, უსაზღვრო თავაზიანობა, რაც მან იმდენად სიამოვნებით შეასრულა, რამდენადაც იმედი მაქვს, რომ ეს თქვენი უგანათლებულესობისათვის ძვირფასი იქნებოდა.

ვაკეთებ ამას ხალისით, რამდენადაც ვიმედოვნებ, რომ შემიძლია ვიყო ღრმად პატივცემული თქვენი უწმინდესობისადმი ერთგული მსახური და მზად ვიქნები თქვენი ბრძანებულების მხურვალედ შესრულებისათვის... ვაკეთებ უმდაბლესი პატივისცემით.

²² აქ ორი გაუგებრობაა: მეფე სიმონ I (1558—1600) 1546 წელს ჯერ კიდევ მეფე არ იყო, ამდენად უნდა იყოს 1596 წელი (7104 წ.); პაოლო III პაპის ტახტზე იჯდა 1534—1549 წწ., ხოლო ამ დროს პაპი იყო კლემენტ VIII (1592—1605).

²³ SOCG, vol. 147, f. 283.

²⁴ გაუგებარია, თუ ეს სასახლის კარზეა ლაპარაკი.

²⁵ გაუგებარია ვიზეა ლაპარაკი.

თქვენო უწმინდესობაჲ უგანათლებულესობაჲ
და ყოვლად პატივცემულო.



თქვენდამი გულწრფელად თავდა-
დებული და დავალებული მსახური...
ანტიოქიის პატრარქი.

კარდინალი მანდინი²⁶.

დოკუმენტი № 3

ჰარისტას მიმრ ღიდად პატივისცემო და ფრიად პატივცემულო ბატონო²⁷

რომ შევასრულოთ თქვენი ყოვლად უგანათლებულესობის ბრძანება, მოკ-
ლედ შევადგინე ყოველივე ის, რაც სხვადასხვა საუბრებიდან გავიგე იბერიის
მეფის პიროვნების ირგვლივ. წმ. ბასილის წესის ბერი პატრი ნიკიფორე ირბანი
დღეს იმყოფება რომში მისი უწმინდესობის ჩვენ ბატონ ურბან VIII-სთან,
როგორც ზემოხსენებული მეფის ელჩი.

იბერიის ახლანდელი მეფე²⁸ 34 წლისაა, თითქმის დაბალი, მაგრამ მშვე-
ნიერი ჩამოსხმული ტანით. ცოლიანია, ჰყავს სამი შვილი: ორი ვაჟი და ერთი
ქალიშვილი. სახელი, რომელიც მან ნათლობისას მიიღო, იყო თეოფილე. მამის
გარდაცვალების დროს 10 წლის იყო და შემდეგ იმყოფებოდა დედამისის —
ქეთევანის მმართველობის ქვეშ.

იგი იყო ამ მდგომარეობაში, როცა ერთ-ერთმა მისმა უახლოესმა ნათესავ-
მა მისი სამთავროს ხელში ჩაგდება გადაწყვიტა. დააპატიმრა თეოფილე და
სპარსეთის შაჰს ტყვედ გაუგზავნა, რომელმაც მოინდომა მისი გამაჰმადიანება
და სახელი შეეცვალეს. არა თეოფილე, არამედ თეიმურაზი დაარქვეს. იგი ქ.
თავრიზში გაგზავნეს და ვინმე ეპისკოპოსი მოუჩინეს, რომელმაც მიატოვა ქრი-
სტიანობა და მაჰმადიანობა მიიღო. იგი განუწყვეტლივ შთააგონებდა თეიმუ-
რაზს გამაჰმადიანებულიყო. 3—4 წელი იგი სპარსეთში იყო. მას კარგად ეპ-
ყრობოდნენ.

ამასობაში მოკვდა მისი ახლო ნათესავი, რომელმაც იგი სპარსეთში ტყვედ
გაგზავნა. ხალხმა ელჩები გაუგზავნა სპარსეთის შაჰს. მას სთხოვდნენ დაებრუ-
ნებინა მათთვის თეოფილე, მათი კანონიერი მეფე. სამართლიანი მოთხოვნა
შაჰმა დათმო და თეოფილე საქართველოში გაგზავნა იმ ურჯულო ეპისკო-
პოსთან ერთად. იგი თეოფილეს მეგზურად დაუნიშნეს. თეოფილე მივიდა
სურჩიში. ამ ყალბადანდმა იუდამ განაცხადა, რომ ის არის ქრისტიანი: ასევე
ვიციოცხლებ და მოვკვდები კიდევო. დასნეულდა ეს ურჯულო ეპისკოპოსი
სწორედ ღვთის გადაწყვეტილებით. მან იგრძნო ჯოჯოხეთის ტანჯვა. მას უხი-
ლავი ცეცხლი ხელებს უწვავდა. ნახშირით შავი გახდა. იტანჯებოდა. ტან-
ჯვა რომ შეენლეზინათ, ხელებზე ცივ წყალს ასხამდნენ და თოვლს ადებდნენ.
მაგრამ ყოველივე ეს უშედეგოდ იყო... ყვიროდა, ლოგინში ტრიალებდა... თეო-
ფილე მას შთააგონებდა: დაბრუნებოდა ქრისტიანულ სარწმუნოებას, თავისი
ბოდვები მოენანიებინა და აღსარება ეთქვა, ზიარებაც მიეღო. მან უპასხა... და
ბოლოს მოკვდა კიდევო.

²⁶ ეს პიროვნება სხვა წერილებში არაა მოხსენიებული.

²⁷ SOCG, vol. 147, ff. 285—286v°.

²⁸ იგულისხმება მეფე თეიმურაზ I.

ხალხმა მმართველობა ხსენებულ თეოფილეს ჩააბარა. სამთავროში შეტე-
ქმულების მონაწილე მემბოხეები გაიქცნენ...

... წავიდა კონსტანტინოპოლში სულთანთან²⁹, რომელმაც იგი შეტად
გუთბილად მიიღო და დაჰპირდა, რომ ორ პროვინციას მისცემდა, თუ იგი მა-
ჰმადიანობას მიიღებდა. მაგრამ მან ეს წინადადება არ მიიღო. მაშინ სულთან-
მა მას შეუქმნა ცხოვრების საშუალო პირობები, როგორც კერძო პირს. ამა-
სობაში მისი მოწინააღმდეგეები, სპარსელების დახმარებით დაეპატრონენ ამ
პროვინციას...

ხალხს უნდოდა იგი მეფედ დაესვა, მაგრამ მას არ სურდა...³⁰ გაგზავნეს
ელჩობა და მოიწვიეს თეოფილე...

როდესაც თავის სამშობლოში დაბრუნდა, დიდი პატივით და სიხარულით
მიიღეს. სამი ეპისკოპოსი და მრავალი ხალხი ეკლესიაში წავიდა. შემოეხვეი-
ნენ სამეფო ტახტს. სამეფო გვირგვინს ადგამდნენ და მიესალმებოდნენ, რო-
გორც მეფეს. ერთგულების ფიცს დებდნენ. იგი შეურაცხა თავის მტერს და
აპატია შეურაცხყოფა. პატივს სცემდა მას ყოველთვის, როგორც მეორე პი-
როვნებას სამეფოში.

ამასობაში სპარსეთის შაჰმა შურის საძიებლად გაგზავნა 80 ათასიანი არ-
მია და სარდლად თავისი სიძე დანიშნა, რათა თეოფილესათვის ზარალი მიეყე-
ნებინა. თეოფილემ დაახვედრა თავისი ხალხი და ბრძოლაში ჩაება. გაიქცა
სპარსეთის ჯარი, ხოლო სარდალი, შაჰის სიძე, მოკლეს. ქართველებმა დიდი
გამარჯვება მოიპოვეს.

შაჰი განრისხდა. ბრძანა მის წინაშე გამოცხადებულიყო ქეთევანი, თეო-
ფილეს დედა, რომელიც დიდი ხანია იქ ტყვედ ჰყავდა. ამ ხნის განმავლობაში
თეოფილე კონსტანტინოპოლში წავიდა. შაჰი ქეთევანისაგან გამაჰმადიანებას
მოითხოვს, წინააღმდეგ შემთხვევაში სიკვდილით ემუქრება. ქეთევანმა უპა-
სუხა, რომ სურს ქრისტიანად მოკვდეს. ასეც მოხდა. ქეთევანმა დაიბარა წმ.
ტერეზიის წესის მორჩილი ძმა ფეხშიშველი კარმელიტი და აღსარება თქვა.
შემდეგ შაჰმა ბრძანა მისთვის ტანზე გაეხადათ და ბეჭებზე ორი მოზრდილი
მუგუზლით ხორცი ამოეწვათ. აქლემზე დააკრეს და მთელი ქალაქი შემოა-
ტარეს, შემდეგ ჩამოსვეს და ადუღებულ ქვაბში ჩასვეს, სპილენძის გავარჯა-
რებული ჭურჭელი თავზე დახურეს და ასე სული ამოხადეს³¹.

ძალიან განიცადა თეოფილემ დედის სიკვდილი, მაგრამ იგი თავს იმშვი-

²⁹ ალბათ, იგულისხმება თეიმურაზი, რომელიც 1620 წელს თურქეთში იყო. მაგრამ ამავე სა-
ბუთში, ქვემოთ, კვლავ ნათქვამია: „თეოფილე კონსტანტინოპოლში წავიდა“. ცნობილია შემდეგი:
1626 წელს გიორგი სააკაძე სამცხეში იყო და თურქეთისაგან ყიზილბაშების წინააღმდეგ დახმარებას
ითხოვდა. ამ დროს თეიმურაზი იმერეთშია. თეიმურაზსა და გიორგის შორის ჯერ კარგი ურთიერ-
ობაა. ყველაფერი ეს ხდება ბაზალეთის ბრძოლის წინ (იხ. საქართველოს ისტორიის ნარკვევები,
ტ. IV, თბ., 1973, გვ. 287—288). ხოლო შემდეგ გიორგი სააკაძე გახდა იძულებული თურქეთში
გადახვეწილიყო. იგი სულთანმა პირველად, მართლაც, კარვად მიიღო (იხ. იქვე, გვ. 291).

³⁰ ალბათ, იგულისხმება გიორგი სააკაძე.

³¹ იხ. R. Gulbenkian, L'Ambassade en Perse de Luis Pereira de Lacerda et des
Pères Portugais de l'Ordre de Saint-Augustin, Belchior dos Anjos et Guilherme de Santo
Agostinho, 1604—1605, Lisboa, 1972; Nino Salia, Documents portugais sur le mar-
tyre de la reine Ketevan de Géorgie, „Bedi Kartlisa revue de kartvelologie“, XXX, Paris,
1973; Carlos Alonso O. S. A., Misioneros Agustinos en Geirgia (Siglo XVII), Val-
ladolid, 1978; ი. ტ ა ბ ა ლ უ ა, ახალი ცნობები ქეთევან დედოფლის წამების შესახებ, ჟურნ.
„მაკნე“, 1974, № 1.



დებდა. იმით, რომ გამარჯვება მოიპოვა, ტირანს ხელიდან გაუსხლტა და ამისმა ქრისტიანობა შეინარჩუნა.

სპარსეთის შაჰი განუწყვეტლივ ომში იყო ჩაბმული ინდოეთის მხრიდან, სხვა ბარბაროსებთან და თურქეთთან. პრეტენზიას აცხადებდა ბაბილონის დაპყრობაზე. უნდოდა იბერიის მეფეს შერიგებოდა. შესთავაზა ფული, ცხენები, რათა მშვიდობა ჩამოეგდო მასთან და გაუგზავნა დედამისის ცხედარი, რომელიც მორჩილი ძმების ავგუსტინელთა ეკლესიაში ინახებოდა³².

მეფე თეიმურაზი კეთილი ბუნების ადამიანი იყო, მეტად დამყოლი და ლიბერალური მმართველობა ჰქონდა. ხშირად მარტო პურით და წყლით მარხულობდა. იძინებდა შიშველ ტახტზე. ადრე დგებოდა, რათა ყოველდღე ლოცვა ეთქვა და წირვა მოესმინა და ზოგიერთი სულიერი ვარჯიში შეესრულებინა. დიდ პატივს სცემდა უცხოელებს...

1628 წლის 26 აგვისტო“. ბატონის უმდაბლესი მსახური ღონ მიკვლე მოსკო.

ურთიერთობანი იბერიის ახლანდელ მეფესთან, სახელად თეოფილე, სხვანაირად თემურაზი და სხვა შენიშვნები...

1628 წლის 7 სექტემბერი. წმ. კონგრეგაციაში...

დოკუმენტი № 4

იბერიის მიწის მიერ გაზავნილი ბერი ნიკიფორამ მის უფინდესობას წარუდგინა შემდეგ სურვილებსაჲ

პირველი, მას სურს რომ მისმა უფინდესობამ უპასუხოს წერილზე, რომელიც მას მისწერა იბერიის მეფემ. ამ წერილში მისი უფინდესობა დაადასტურებს, რომ აღნიშნულ მეფეს ცნობს კანონიერ მეფედ და, თუ მის უფინდესობას ამაში ეჭვი ეპარება, მას შეუძლია ვინმე გაგზავნოს, რომელიც მას ნახავს და ჰეშმარიტებას დაადგენს.

მეორე, სურს რომ მისმა უფინდესობამ იწილოს, მისწეროს და გაუგზავნოს იბერიის მეფეს ცენზორის შენდობა და მიიღოს ეს მეფე რომაულ წმ. ეკლესიის წიაღში, როგორც კათოლიკე მეფე.

მესამე, რომ მისი უფინდესობა იწილებს მისწეროს ესპანეთის მეფეს და რეკომენდაცია გაუწიოს მისი კათოლიკური უდიდებულესობის წინაშე იბერიის მეფეს, რომელიც უკვე პაპის შვილად ითვლება.

მეოთხე, რომ მისი უფინდესობა ზემოხსენებული ნიკიფორეს შესახებ სარეკომენდაციო წერილებს მისწერს იმპერატორს და პოლონეთის მეფეს, იბერიაში მისი დაბრუნების დროს, და მისცემს საერთო პასპორტს. ამასთანავე, მისცემს სარეკომენდაციო წერილს ნეაპოლის მეფის ნაცვალთან, რომელსაც განკარგულება აქვს ესპანეთის მეფისაგან, დახმარება აღმოუჩინოს და გაგზავნოს ნიკიფორე, როგორც ეს მან პირველად გააკეთა.

³² ალბათ, იგულისხმება ქეთევან დედოფლის ცხედრის მხოლოდ ნაწილი, რომელიც ავგუსტინელმა მისიონერებმა 1628 წელს ჩამოუტანეს თეიმურაზ I-ს.

³³ SOCG, vol. 147, ff. 292—293v°.

მოსაზრებები ქართველი ელჩის თხოვნაზე მდივან ინგოლის³⁴ შეგნობასთან დაკავშირებით, როგორც ეს მის უწმინდესობას მოესურვება.

ქართველი ელჩის თხოვნას, როგორც ჩანს, შეიძლება უპასუხოთ საერთო ფორმებში. ამასთანავე, მეფეს, მის პატრონს არ უღიარებია კათოლიკობა მირა³⁵ ეპისკოპოსის ხელიდან, ან პატრი პიეტრო ავიტაბილესაგან და მისი მეგობრების — წმ. კონგრეგაცია „პროპაგანდა ფიდელს“ თეათინელი მისიონერებისაგან (რომლებიც ამ სამეფოში იმყოფებიან), იმ ფორმის მიხედვით, რომელსაც მისცემენ.

მის უწმინდესობას არ შეუძლია ზუსტად უპასუხოს ხსენებულ მეფეს, მაგრამ, თუ აღსარებას იტყვია და რომში გამოგზავნიდა ნამდვილად მეფის საკუთარი ხელით ხელმოწერილ ფორმას, იგი მას მიიღებს, როგორც უძვირფასეს შეიღოს რომაულ წმ. ეკლესიაში და მას მოეპყრობა ისე, როგორც დანარჩენ კათოლიკე მეფეებს და მისწერს ესპანეთის მეფეს, საფრანგეთის მეფეს და ვენეციის რესპუბლიკას, რეალურ რეკომენდაციას გაუწევს მისი უდიდებულესობის ინტერესებს ამ მეფეების წინაშე, რომლებიც მისი მეგობრობით გაიხარებდნენ. ამასთანავე, იმის მიხედვით, თუ როგორი შედეგებით წავა მოლაპარაკება, მფარველობას გაუწევენ, დაიცავენ მას, როგორც ამას გააკეთებს მისი უწმინდესობა. ასევე პიროვნებას და მის სამეფოს, როცა მისი უდიდებულესობა შეუერთდება ამ წმ. ტახტს იმ პირობებით, რომლებიც დადგენილია ფლორენციის წმ. უნივერსალური სინოდის მიერ, რომელსაც დღესასწაულობენ აღმოსავლეთის ეკლესიები ევგენიო IV-ის, მისი წინამორბედის დროიდან, რომელი სინოდიც მისცემს დაბეჭდილ დოკუმენტს ხსენებულ მეფეს, რათა ნახონ ძალა და განიხილონ პრელატებმა თავისი სამეფოს საშუალებით და საფუძვლიანად დაამტკიცონ აღნიშნული კავშირი, რომელიც არასოდეს არ დაირღვევა.

რის შემდეგაც მისი უწმინდესობა დაუმტკიცებს მის უდიდებულესობას თავის სამეფოს მისი თხოვნის შესაბამისად, ჩვეულებრივი მტკიცებით, ე. ი. რასაც სწორად მიიღებენ... და რაც კათოლიკურ პიროვნებას ეკუთვნის.

კიდევ შეიძლება წერილის დაწერა იმავე მეფესთან, რომელიც შეიცავს შინაარსს, რაც პასუხში იყო ნათქვამი და გადასცემენ ელჩს, რაც კარგი იქნება გააკეთონ წმ. კონგრეგაცია „პროპაგანდა ფიდელს“ სახელით. რასაც მოითხოვენ პირველ რიგში თეათინელი მისიონერები, ნახჭევანის კათოლიკე არქიეპისკოპოსი და ყველა კათოლიკე პატრი, ასევე მირას ეპისკოპოსი და მისი თანაშემწე ნახჭევანელი, რათა მფარველობა გაუწიონ თვითონ მეფეს და ხელი შეუწყონ.

მეორე, რომ მისცემენ ხსენებულ თეათინელებს და მირას არქიეპისკოპოსს ინსტრუქციას იმაზე, რასაც ჰქადაგებს რომაული წმ. ეკლესია და ამ პროვინციის ხალხი... საქართველოში პრელატებს და მღვდლებს კათოლიკურ სარწმუნოებაში ჩარიცხავენ.

მესამე, უნდა მისცენ სარწმუნოების აღიარების ზოგიერთი დოკუმენტი ბერძნულად იმ ფორმით რომელიც წმ. გრიგოლ XIII-მ შეადგინა, ზუსტად ისეთივე, როგორც ეთიოპიისათვის არის შედგენილი, უფრო მეტი, რომ თვითონ შეიცავდნენ სინოდის უნივერსალურ განმარტებებს.

³⁴ ფრანჩესკო ინგოლი — წმ. კონგრეგაცია „პროპაგანდა ფიდელს“ მდივანი.

³⁵ მირა — ლისის ერთ-ერთი ქალაქი. ლისია — უძველესი რაიონი მცირე აზიაში, კარიას (უძველესი ქვეყანა ეგეოსის ზღვის ნაპირზე) და პამფილიას (ერთ-ერთი მხარე ლისიასა და კილიკიას შორის) შორის.



მეოთხე, თუ შეუძლიათ მისცენ დიდი და მცირე დოქტრინები, კვლევითი ბელარმინოს მიერ ბერძნულ სალაპარაკო ენაზე დაბეჭდილი, რათა წაიღონ თავისთან ხალხის გასათვითცნობიერებლად.

მესუთე, თუ მოისურვებდნენ, რომ მეფემ აღიაროს სარწმუნოება, რომელსაც რომაული წმ. ეკლესია ატარებს და დარწმუნდნენ, რომ შემონახულია უწმინდესად და იმავე წესით, როგორც ასწავლიდნენ მეფეებს მოციქულები წმ. პეტრე და წმ. პავლე და აღიარებდნენ კანონიერი სინოდის შეკრებილი უკანასკნელ კრებაზე ტრიდენტინოში³⁶; უკვე 64 წელია, რაც ეს ცნობილია. სამფლობელოებისათვისაც და მღვდლებისათვისაც ეს იმავე გულმოდგინებით უნდა შესრულდეს, როგორც მიღებული იყო ღვთაებრივი აქტის სახით; გამოყენებული უნდა იქნეს უმაღლესი ღვთაების სახელით, რათა მეფე და სხვა ზემოაღნიშნულნი კარგად იყვნენ გათვითცნობიერებულნი და ზემოხსენებულ აღიარებას საფუძველი ჰქონდეს. შეიძლება წააწყდნენ სიძნელებს, როგორც პატრი მისიონერები, ... მათ შეუძლიათ მისწერონ რომში, სადაც ძალიან განათლებული პრელატები არიან, რომლებიც გამოასწორებენ იმ ნაკლებს, რაც აღნიშნულმა მისიონერებმა ვერ შეძლეს.

დოკუმენტი № 537

ვენეციაში არ არის არც ერთი ქართველი, მაგრამ არიან სომხები და სპარსელები, რომლებიც აქ მოდიან ვაჭრობის მიზნით. ასევე ყველასხვა პირს გამოკითხეს იმის შესახებ, თუ რა ხდება საქართველოში. ისინი ამბობენ, რომ საქართველოში არის ოთხი დამოუკიდებელი მთავარი, რომლებიც, ჩვენი იტალიის მსგავსად, ერთმანეთზე დამოკიდებული არ არიან და დაასახელეს ორი პიროვნება — მოურავი და სიმონი³⁸, მაგრამ სხვებმა არ იციან, რა ჰქვია მათ. არავის არ გაუგონია, რომელიმე მათგანს თეოფილე ერქვას. ხოლო, რაც შეეხება მათ ტიტულს, ამბობენ, რომ მათ უწოდებენ „ხანს“, რაც მათ ენაზე ნიშნავს იმას, რაც ჩვენს ენაზეა „ბატონი“, „მთავარი“ და ამის მსგავსნი.

სამი წელია, რაც არაფერი იციან, არც სხვა დროს გაუგიათ, რომ იქიდან ვინმე გაეგზავნოთ ან კათოლიკე მეფესთან ან მის უწმინდესობასთან ელჩის სახით. არავის არ დაუსახელებია ელჩი — წმ. ბასილის წესის ბერი ნიკიფორე, არც სხვა ვინმე. მეტი სხვა არაფერი ცნობები არ გააჩნიათ. მხოლოდ ფიქრობენ ვაჭრობაზე. ამბობენ, რომ ძნელია რაიმე ახალი ცნობის მიღება ხსენებულ ელჩზე. ასახელებენ ერთ სპარსელს, რომელიც ვენეციაში იმყოფება და არ სჯერა, რომ ქართველები ქრისტიანები არიან და არც კათოლიკეები; ზოგიერთებს თავიანთი მთავარი ჰყავთ, მაგრამ არ იცის, თუ რომელიმე მათგანს ელჩი გამოეგზავნოს კათოლიკე მეფეებთან.

³⁶ ტრიდენტინოს კრება მიმდინარეობდა 1545—1563 წწ. 149, f. 298.

³⁷ SOCG, vol. 147, f. 296.

³⁸ ალბათ, იველისხმება გიორგი სააკაძე და მეფე სიმონ I.

ღრმად კატივცემულო და ფრიად კატივსადებო, მაღალ თაყვანსაცემო, ბატონო
და ჩემო კატრონო

ჩვენი უწმინდესობის სურვილის შესასრულებლად, ამ საკითხებზე ლი-
ვორნოში მეტად ნიჰეირი პიროვნება გავაგზავნე, რათა ინფორმაცია შეაგ-
როვოს საქართველოს გარშემო. იგი გულმოდგინედ დაუკავშირდა ყველა სო-
მებს, ვინც კი ლივორნოში ცხოვრობს. ისინი ათნი არიან. არც ერთი სპარ-
სელი იქ არაა. მონახეს ერთი ახალგაზრდა აბრამი, რომელიც ამბობს, რომ
რომში ის ელაპარაკა წმ. ბასილის წესის ბერს ნიკიფორეს (ეს აბრამი ამბობს):
ვკითხე, სად იქნებოდა, რომელ ადგილას და რამდენ ხანს დარჩებოდა რომ-
ში. ისე წამოვედი რომიდან, რომ მეტი არ მინახავს. ძალიან ვნანობ, რომ
ვერ შევძელი მიმეწერა და დამეკამათილებინა ინტერესები წმ. კონგრეგა-
ციისა და თქვენი უწმინდესობის, რომელსაც უაღრესად პატივს ვცემ და ყო-
ველდღიურად ვევედრები უფალს თქვენს ბედნიერებაზე.

შედგენილია 1628 წლის 21 აგვისტოს.

ღრმად პატივცემულო და ყოვლად თაყვან-
საცემო.

უმდაბლესი და უმორჩილესი
ბატონი ჯულიო, პიუსს არქიეპისკო-
პოსი.

კარდინალი ლადოვიზიო

დოკუმენტი № 740

ღრმად კატივცემულო და ფრიად კატივსადებო, მაღალ თაყვანსაცემო, ბატონო
და ჩემო კატრონო

პირადად ნიკიფორე ირბახისაგან, რომელიც იბერიის ელჩის სახით ამასწი-
ნათ რომში ჩამოვიდა, აქ მივიღე მოკლე ბარათი ბატონ ჰერცოგი ვიცე-მეფი-
სათვის გადასაცემად და თქვენი ღრმად პატივცემულობის, გასული თვის 24-ით
დათარიღებული წერილი ჩემდამი.

ჩვენი ბატონის განკარგულების შესასრულებლად და თქვენთვის სასია-
მოვნოდ, აღნიშნული ბერი, რაც შეიძლება, სიყვარულით მივიღე: გავუგზავნე
[პიროვნება, რათა] რამდენჯერმე მოენახულა და გამაგრილებლებით მოემა-
რაგებინა.

ამ მოკლე წერილს, პირველსავე აუდენციის დროს, გადავცემ ვიცე-მე-
ფეს და ასეთ შემთხვევასთან დაკავშირებით წარვუდგენ ხსენებულ პატრს მის
აღმატებულებას, იმ შეთანხმების შესაბამისად, რომელიც ჩვენ უკვე მასთან
გვაქვს.

ყოველმხრივ შევეცდები გამოვხატო ჩემი მზადყოფნა და რწმენა ასეთი
ბრძანებულების მიმართ და შევაგულიანო ამავე პატრის გრძნობა და მისწრა-
ფება წმ. კონგრეგაციის წინაშე წმინდა მიზნების განხორციელების საქმეში.

³⁹ SOCG, vol. 147, f. 301.

⁴⁰ SOCG, vol. 147, f. 301.

თქვენი უგანათლებულობის წინაშე ვრჩები...
და... ფრიად პატივისცემით.
ნეაპოლიდან, 1628 წლის 19 ივლისი.
თქვენი უმადლესობის დიდად პატივცემული
და...

უმდაბლესი და... ა. ბიკი...
დილი.

კარდინალი ლოდოვიჯიო.

დოკუმენტი № 841

სამახსოვრო ბარათი მოსენიორ ჩავოლის

დაიწეროს პატარა წერილი ნეპოლის ვიცე-მეფის სახელზე და წერილი, ამავე ქალაქის მოსენიორ ნუნციოსადმი წარსადგენი, წმ. ბასილის წესის ბერის დონ ნიკიფორეს შესახებ, რომელიც იბერიის მეფის ელჩის სახით მისი უწმინდესობა პაპთან ჩამოვიდა.

თან ერთვის ინსტრუქცია, რომლითაც უნდა იხელმძღვანელონ... ნუნციო მოელაპარაკოს ვიცე-მეფეს ხსენებული ნიკიფორეს შესახებ...

თუ მას სხვა რაიმე სურს, მაშინ უნდა დაემატოს...

ასე განაწესა წმ. კონგრეგაცია „პროპაგანდა ფიდემ“.

КЕТЕВАН БАГРАТИОНИ-ОРСИНИ (РИМ)

И. М. ТАБАГУА

ГРУЗИНСКОЕ ПОСОЛЬСТВО В ЕВРОПЕ
(Никифоре Ирбахи — XVII в.)

Резюме

В результате совместной работы в архивах Ватикана, в частности, в архиве Св. Конгрегации «Пропаганда Фиде», мы обнаружили некоторые документы, которые касаются дипломатической миссии Никифоре Ирбахи — Николоза Чолокашвили, посланного с дипломатической миссией царем Теймуразом I в Европу.

В статье рассказывается о пребывании и переговорах посланника царя Теймураза в Мадриде и Риме; о результатах этой дипломатической миссии.

К статье прилагаются 8 документов, переведенных с итальянского. Все они публикуются впервые.

⁴¹ SOCG, vol. 147, f. 291.

ოლანო ცაგარეიშვილი

სტეფანოს ორბელიანის „სისიკანის სახლის ისტორიის“ წყაროთა
საკითხისათვის

XIII—XIV სს. სომეხი ისტორიკოსის სტეფანოს ორბელიანის თხზულება „სისიკანის სახლის ისტორია“ აშკარად გამოირჩევა სომხური საისტორიო მწერლობის სხვა ნიმუშთაგან მასალის მრავალფეროვნებით, გამოყენებულ წყაროთა სიუხვითა და, რაც მთავარია, ისტორიკოსის მიერ ფაქტებისა თუ მოვლენების შედარებით მართებულად ახსნითა და შეფასებით. როგორც ცნობილია, სტეფანოს ორბელიანი თითქმის ერთადერთია ძველ სომეხ ისტორიკოსთა შორის, რომელმაც სოციალური მოძრაობის ფაქტები შენიშნა სომხურ ფეოდალურ სამეფო-სამთავროებში.

„სომეხ ისტორიკოსთა შორის სტეფანოს ორბელიანი, — წერდა ივ. ჯავახიშვილი, — არაჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენს, ის სხვა დანარჩენ სომეხ ისტორიკოსთაგან, როგორც საისტორიო მასალების შერჩევით, ისევე მოთხრობის შინაარსით თვალსაჩინოდ განსხვავდება. არც ერთს მათგანს იმის მესადი ცნობებიც არა აქვს, რაც სტეფანოს ორბელიანმა სომხეთის შინაური ყოფა-ცხოვრებისა და წეს-წყობილების შესასწავლად შეაგროვა თავის თხზულებაში. საქართველოს ისტორიაში ცნობილ ორბელთა საგვარეულოს იმ შტოს ერთი ჩამომავალთაგანი, რომელიც გიორგი III-ისაგან ექსორიაქმნის შემდგომ სომხეთში შეიხიზნა და გასომხდა, სტეფანოს ორბელიანი, XIII ს. დამლევს სივნიეთის ეპისკოპოზად ყოფნის დროს, თავისი სამწყსოსა და თემის ისტორიის აღწერას შეუღდა“¹.

გრიგოლ აკანეცის, ვარდან აღმოსავლელისა და კირაკოს განძაკეცის თხზულებებთან ერთად სტეფანოს ორბელიანის „სისიკანის სახლის ისტორია“ ძირითადი პირველწყაროა მონღოლთა ბატონობის პერიოდის ამიერკავკასიის ხალხთა და, მათ შორის, ქართველთა ისტორიის შესასწავლად. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ორბელთა ძლიერი ფეოდალური სახლის შესახებ, რომელთანაც დაკავშირებულია XII—XIII სს. საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის მრავალი საყურადღებო ფაქტი თუ მოვლენა, თითქმის არაფერი გვეცოდინებოდა, რომ არ შექმნილიყო სტეფანოს ორბელიანის „სისიკანის სახლის ისტორია“

სტეფანოს ორბელიანმა საკმაოდ დიდი როლი ითამაშა ძველი სომხეთის ერთ-ერთი უძლიერესი მხარის — სივნიეთის ანუ სისიკანის პოლიტიკურ-ეკო-

¹ ივ. ჯავახიშვილი, გლეხთა მოძრაობის ისტორიის ერთი ფურცელი ძველ სომხეთში. იხ. ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, II, 1922, გვ. 249.



ნომიურსა თუ საეკლესიო-კულტურულ ცხოვრებაში. იგი სიენიეთის პოლიტი იყო და, როგორც თავისი დროისათვის უადრესად განათლებული და საკმაოდ განსწავლული მოღვაწე, კარგად ერკვეოდა არა მარტო თავისი ქვეყნის, არამედ მახლობელი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიაშიც.

სტეფანოსი ტარსაიჭ ორბელიანის ვაჟი იყო, იგი იშვილა მისმა უშვილო ბიძამ სუმბატმა, რომელმაც ტარსაიჭთან ერთად სათანადოდ იზრუნა მის სწავლა-განათლებლასა და მომავალ საქმიანობაზე. სტეფანოს სიენიელის ბიოგრაფიის აღდგენა ხერხდება როგორც მისი „სისაქანის სახლის ისტორიიდან“, ასევე ტათევში სტეფანოსის მიერ გრიგოლ განმანათლებლის სახელზე აშენებული ეკლესიის წარწერებიდან.

სტეფანოს ორბელიანის ოჯახის წევრთა და უახლოეს წინაპართა შესახებ ცნობები მისსავე თხზულებაშია დაცული: „გარდაიცვალა მშვენიერი ივანე და დაკრძალეს იგი ელიკუმთან. დარჩა მას ერთი სიკეთით სავსე პირმშო, სახელად ლიპარიტ. ცოტა ხნის შემდეგ მოკვდა მეორე ძმა, მხნე მებრძოლი ფახრადულა. ისიც მათთან დაკრძალეს. მათი ძმისწული ბირთველ წავიდა ჰულაგუს ქართან ერთად ბერქა ყაენის წინააღმდეგ საბრძოლველად ხაზართა ველზე, რომელსაც ამჟამად ყივჩაყებისას უწოდებენ, მდინარე თერგთან. მოკლეს იგი ბრძოლაში 710 წელს (1261 წ.) ამის შემდეგ გარდაიცვალა მათი ყოვლადკურთხეული დედა ასფა 712 წელს (1263 წ.), რომელიც დაკრძალეს თავის ვაჟებთან. დარჩა სუმბატს შემწედ მხოლოდ ერთი უმცროსი ძმა ტარსაიჭი, რომელიც იყო კაცი ძლიერი, მებრძოლი, ყველა საქმეში მარჯვე, კეთილმსახური და ფრიად ღვთისმოყვარე. ცოლად მან მოიყვანა ქალი ისმაიტელთაგან, სიენიელთა უფლის ასული, არუზ ხათუნი, რომელიც გაქრისტიანდა, აღივსო სარწმუნოებით და შეიქნა ღმრთის მოშიში. მისგან იშვა სამი ვაჟი: ელიკუმი, სტეფანოსი, რომელიც ეკურთხა ეპისკოპოსად და ფახრადულან. ტარსაიჭი განაგებდა ოროტნის მხარეებს. მან შეამკო ტათევის დიდი ეკლესია ჭურჭელ-სამსახურებელითა და მშვენიერი შესამოსელით და უბოძა წმინდა ეკლესიას ჯერ კიდევ დიდი ხნიდან მისგან წატაცებული სამკვიდრო მამული — პარჟისი თავისი საზღვრებით...“².

ავტობიოგრაფიული ხასიათის ცნობები განსაკუთრებით სჭარბობს სტეფანოს ორბელიანის თხზულების იმ ნაწილში, რომელშიც ისტორიკოსის თანადროული ხანაა აღწერილი. ავტორის მიზანი იყო დაეწერა სისაქანის სახლის ისტორია, რომლის ბოლო გამგებლები ორბელიანები, მისი გვარის წარმომადგენლები იყვნენ. „სისაქანის სახლის ისტორიის“ ქრონოლოგიური საზღვრები უძველესი პერიოდიდან 1300 წლით შემოისაზღვრება. თხზულება თავისებურადაა აგებული, რითაც საკმაოდ განსხვავდება სტეფანოსის წინამორბედ ისტორიკოსთა ნაწარმოებთაგან. შესავალ ნაწილში ავტორის მიერ აღნიშნულია წიგნის დაწერის მიზანი და მნიშვნელობა. შემდეგ სტეფანოს ორბელიანი იხილავს სისაქანის ტომის წარმომავლობის საკითხს და სიენიეთის ისტორიის გადმოცემამდე მის გეოგრაფიულ აღწერასაც არ ტოვებს უყურადღებოდ. „სისაქანის სახლის ისტორია“ ძირითადად 71 თავშია გადმოცემული. 72-ე თავში სიენიეთის ეპისკოპოსთა და სომეხ კათალიკოსთა სიაა დაცული უძველესი პერიოდიდან მის დრომდე. 73-ე თავს ეწოდება „სტეფანოსის მატიანის ანდერძმოსახსენებელი“, საიდანაც ვგებულობთ; რომ თხზულება შექმნილია ნორაჯანქის მო-

² შთაიძიან ნანანდინ შიასიან, არარხაქ მოხ ქანნიისი ორქელხან არქეაქისი-აიისი შინესავ, Թիֆլისი. 1910, გვ. 415—416.



ნასტერში, 1299 წელს, არღუნის ძის ყაზან ყაენის, ქართველთა მეფის დავით აღმაშენებლისა და სომეხთა მეფის ჰეთუმ ლევონის ძის გამგებლობის ბოლო, ე. ი. 74-ე თავში მოთავსებულია სივნიეთის თორმეტი სანახის სია თავიანთი მრავალრიცხოვანი სოფლებითა და საეკლესიო გადასახადების აღნიშვნით. „სისაქანის სახლის ისტორიაში“ განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სამონასტრო მშენებლობის, ვარდაპეტების (მოძღვართა) მოღვაწეობისა და სამონასტრო სკოლების საქმიანობის აღწერას. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ თხზულებაში უფრო მეტად გამოკვეთილია ტათევისა და ნორავანქის მონასტრების; მათი სამფლობელოებისა და გამგებლების ისტორია.

სისაქანის საგვარეულო სტეფანოს ორბელიანისათვის ახლობელი იყო, რადგანაც ორბელიანები უშუალო მემკვიდრენი იყვნენ ამ ცნობილი სანახარო გვარისა და თან მფლობელნი მათი ქვეყნისა. როგორც ცნობილია, სივნიეთში 1231 წლის შემდეგ სისაქანის გვარმა შეწყვიტა არსებობა და მისი ადგილი ორბელიანებმა დაიკავეს. სწორედ ამიტომ სტეფანოს ორბელიანმა საჭიროდ მიიჩნია თავისი უშუალო წინაპრების — ორბელიანების ისტორიის აღწერამდე სისაქანის გვარის წარმოშობისა და მისი ისტორიული თავგადასავლის გადმოცემა³. თხზულების ერთი ყველაზე დიდი თავი (66-ე) ეთმობა საყუთრივ ორბელთა ისტორიის აღწერას, რომელიც იქ გადმოცემული საყუთრადებო ცნობების უაღრესად დიდი მნიშვნელობის გამო დამოუკიდებლადაც კი არსებულა როგორც სომხურად, ასევე ქართულად ცალკე თხზულების სახით⁴.

„სისაქანის სახლის ისტორიაში“, საკმაოდ ნათლად მოჩანს ისტორიკოსის ფართო განათლება, სერიოზული დამოკიდებულება გამოყენებულ წყაროთა კრიტიკისადმი, მისი წყაროთმცოდნეობითი პრინციპები, რომლებიც განსაკუთრებით თავს იჩენს სტეფანოსის არათანადროული ხანის ამა თუ იმ ფაქტისა და მოვლენის გადმოცემისას. როგორც „სისაქანის სახლის ისტორიის“ ტექსტის შესწავლიდან ირკვევა, სტეფანოს ორბელიანი დიდი სიფრთხილითა და სერიოზულობით ეკიდება თავისი თხზულებისათვის საჭირო მასალის შერჩევას და ითვალისწინებს რა წინარე ხანის ისტორიის ზედმიწევნითი სახით გადმოცემის შეუძლებლობას, უმთავრესად ძირითად ფაქტებსა და მოვლენებზე ამახვილებს ყურადღებას. „სისაქანის სახლის ისტორიის“ წყაროთაგან უმრავლესობა წერილობითია, რომლებიც შეიძლება დაჯგუფდეს: 1) ბიბლიური, 2) ისტორიული და 3) ლიტერატურული. უხვად გამოუყენებია ისტორიკოსს აგრეთვე ხალხური ზეპირსიტყვაობა, ეპიგრაფიკა, გიგელ-გუჯრები, ეპისტოლეები, ანდერძ-მინაწერები. თავისი თხზულების დასაწყისშივე სტეფანოს ორბელიანი გამოთქვამდა სინანულს იმის გამო, რომ არ არსებობდა სისაქანის საგვარეულოს ისტორია იმ დროს, როცა ცნობილი იყო მამიკონიანთა, ტარონელ ბაგრატიონთა, ვასპურაკანელ მთავართა, საქართველოსა და აღბანელ გამგებელთა ისტორია⁵. სტეფანოს ორბელიანი წერდა: „ძიებისას არ დავიშურეთ ძალი, მაგრამ ვერ ვპოვეთ მათ შესახებ ვერავითარი წერილობითი მოხსენიება, ან რაიმე ქება-დიდების ძეგლი. არ დაწერილა საერთოდ არაფერი, თუ დაიღუპა მრავალი“.

³ შ ა ნ ა ს კ ა მ ხ ე ჯ ა ნ ი, ს რ ხ რ. ნ. ი. ს რ ხ კ ა ნ. 1970. გვ. 250—256.

⁴ ს ტ ე ფ ა ნ ო ს ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი ს „ცხოვრება ორბელიანთა“-ს ძველი ქართული თარგმანები. ქართულ-სომხური ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, შესავალი და საძიებლები დაურთო ე. ცაგარეიშვილმა. თბილისი. 1978 წ.

⁵ შ ა მ ა მ ა მ ა ნ ი ს ნ ა ნ ა ნ ჯ ი ნ შ ა ხ ა ნ... გვ. 17—18.

ვალი აობრებისა და ნგრევის შედეგად, არ ვიცი“⁶. აღნიშნულმა გარემოებამ აიძულა ისტორიკოსი თვითონ შესდგომოდა სისაქანის საგვარეულოს არსებული მასალების შეგროვებას ახლო თუ შორეულ ქვეყნებში, მონასტრებსა და ეკლესიებში. სტეფანოს ორბელიანმა განსაკუთრებული სიფრთხილე გამოიჩინა სისაქანის სახლის ძველი ისტორიის აღწერისას. ამ შემთხვევაში მან უფრო მართებულად მიიჩნია ძველი ბიბლიური გადმოცემებისათვის გვერდის ავლა და შეეცადა მხოლოდ რეალური ფაქტები და მოვლენები აღენუსხა⁷. საერთოდ კი თავის თხზულებაში, სხვა ადგილებში სტეფანოს ორბელიანი საკმაოდ უხვად იყენებს ხალხურ გადმოცემებს, თქმულებებს, განსაკუთრებით მონასტრების აღმოცენების შესახებ. წერის ასეთ მეთოდსაც ისტორიკოსი შემდეგ გამართლებას უძებნის „ვინაიდან ჩვენ შევეუდევით სისაქანის ქვეყნის შესახებ თქმულებების გადმოცემას, საჭიროა თქვენ გაჩვენოთ იქ მომხდარი საქმეები და სასწაულები“⁸. უნდა აღინიშნოს, რომ სტეფანოს ორბელიანი თვითონვე კარგად არჩევდა ერთმანეთისაგან ისტორიულ, ჭეშმარიტ და ლეგენდარულ ფაქტებსა და მოვლენებს. საჭიროების შემთხვევაში კი იგი ლეგენდებსაც რთავდა თავის თხზულებაში. ასე მაგალითად, ორბელთა უძველესი თავგადასავლის გადმოცემისას ისტორიკოსმა მოიშველია ლეგენდა ჩინეთიდან ქართლში ორბელთა წინაპრების ჩამოსახლების შესახებ. „ამ დროს, — წერდა იგი, — წარმოიშვა შფოთი და დიდი არეულობა ჩინეთის სამეფოში... როდესაც გარდაიცვალა ჯამბაკურ მეფე, მეფის შვილებმა დაიწყეს ერთმანეთთან ბრძოლა. ერთი მხარე გაძლიერდა, მეორე კი გაიქცა. ეს იყო კაცი მარჯვე და ლამაზი, ძლიერი და ტანადი. იგი თავისი სახლეულით, სამეფო გუნდით, საგანძურით, ჰაერში მოთამაშე ცხენებით გამოემართა და გამოვლო მრავალი ქვეყანა ისეთი საზარელი სახით, რომ წინ ვერაიენ ვერ აღუდგა. მან გამოიარა დარიალი. ისინი უზესთაისის განგებით მოვიდნენ ქართლის ქვეყანაში მცხეთის მამასახლისთან და იხილეს ისინი შეწუხებულნი და სპარსთაგან დიდი საფრთხით შელონებულნი. მაშინ გამოელაპარაკნენ მამასახლისს და უფროს კაცებს და უთხრეს: „ჩვენ ჩინელთ მეფისაგანნი ვართ, მოვწყდით ჩვენ ძმებს, მოვედით აქ და მოვენდეთ თქვენ მაგარ ქვეყანას. თქვენმა ღმერთებმა თქვენი ურვის გამო დასახმარებლად მოგვიყვანეს. აწ ჩვენი სურვილი ასეთია: ან დავდგეთ სპარსთა გამგებლობაში, ან წავიდეთ ბერძენთა თვითმპყრობელთან. ხოლო თქვენ თუ სათნოდ მიიჩნევთ, გავვიზაღეთ განსასვენებლად ადგილი, დავმკვიდრდებით აქ და გისხნით მაჭირვებელთა ხელთაგან და თუ კი არა, წავალთ ჩვენი გზით, სადაც ღმერთი ინებებს“. როდესაც ქვეყნის უხუცეს მამასახლისებმა იხილეს ასეთი მხნე და ძლიერი კაცი და მოისმინეს მათი სათნო სიტყვები, დიდად განიხარეს, მოაწყვეს ღრეობა, მაღალი დიდებითა და დიდი პატივით მიილეს ისინი და ძლიერ შეიყვარეს. აუღებელი ციხე-სიმაგრე ორბეთი, რომელიც ქართლოსის ხელთაგან იყო აშენებული, მისცეს სახლად სამკვიდრებლად და მაგარ ადგილად, უწყალობეს სამემკვიდრეოდ მრავალი სანახი, დიდი დაბები და ციხე-სიმაგრეები. მაშინ დათანხმდნენ ისინი და დამკვიდრდნენ ორბეთში და ციხის სახელის გამო შემდგომში მათ ორბელიანები ეწოდათ, ე. ი. ორბეთელნი, რადგანაც ჩვეულება არის გვართა და მთავართა სახელის შერქმევა ადგილის სახელის მიხედვით, როგორც მთიულთა — მთიულნი, მრატველთა —

⁶ *ჟათორიქს ნანანყქს შხასაქამ... გვ. 8.*

⁷ იქვე, გვ. 14.

⁸ იქვე, გვ. 79.

მრაჭველნი, ჰერეთისა — ჰერისთავნი, ჯავახეთისა — ჯავახნი, კახეთისა
კახელნი, ლიხთა — ლიხელნი და სხვა მრავალნი დღემდე. სწორედ ამ მიზეზით
ზით ამ გვარს ორბელიანები ეწოდა, რომელთაც თავდაპირველად ჩენელნი,
ე. ი. ჩინელები ერქვათ. და ვიდრე ეს ასე იყო, მათ თვითონ შემოიკრიბეს
ქართველთა სახლი, შეკრიბეს ჯარი, თავს დაესხნენ ყველა შემავიწროებელს,
ამოწყვიტეს, განდევნეს და წინ აღუდგნენ სპარსელებს. დამყარდა ამ ქვეყანა-
ში მშვიდობა, ისინი კი განაწესეს მთელი ქართლის სპარაპეტებად და ძალთ-
მთავრებად⁹. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ სტეფანოსის ცნობაჲთაგან ორბე-
ლების შესახებ უმრავლესობა მის თანადროულ ხანას შეეხება, ამიტომ უფრო
სარწმუნოცაა. არათანადროული პერიოდის ამბების გადმოცემისას კი ისტო-
რიკოსს როგორც ქართული, ასევე სომხური წყაროები გამოუყენებია, რის
შესახებაც თვითონვე აქვს თავის თხზულებაში მითითებული: „ქართველთა
ბირველი მეფის ფარნაოზის გამეფებისას ორბელიანებმა უფრო მეტი პატივი
მიიღეს მისგან და ქართველთა ქვეყანაში არაეინ იყო მათი მსგავსი მეფის გარ-
და. ხოლო ეს ყოველივე მცირედი შევიტყვე ქართველთა ისტორიიდან. გიორ-
გი მეფემ შურით აღმოხოცა ისინი ნათესავითურთ ქართველთა ქვეყნიდან.
ასევე წარხოცა მათი სახელები თავის ისტორიიდან, ყველა წიგნთაგან და ეკ-
ლესიათაგან. ამისათვის ჩვენ გამოვიკვლიეთ და ზედმიწევნით შევიტყვეთ მცი-
რედი მრავალთაგან მცოდნე კაცთაგან, შემორჩენილ ადერძ-მოსახსენებელთა-
გან ადგილ-ადგილ, თავიანთ წინაპართა გადმოცემებიდან, რომელიც აუწყეს
მამებმა შვილებს ჩვენ დრომდე. აღხოცილი იყო მათი ადრინდელი მონათხო-
ბთა ხსენება, ქართლში ორბელთა გვარის ყოველი სიმხნე და სახელოვანი სა-
ქმეები ჟანთა აღმწერლობათაგან, რომელსაც „ქართლის ცხოვრებას“ უწოდებ-
ნენ. ამიტომ ჩვენ ვერაფერი შევიტყვეთ ვითარებათა და სიტყვათა რიგის
შესახებ, რომ წესისაებრ დაგვეწერა მატთანეში, ხოლო რაც კი ვპოვეთ სომ-
ხურ წიგნში, მცირე რამ მოსახსენებელი, გამოვიყენეთ მათი დასასრულის და-
ბოლოვებად. ეს კი ჭეშმარიტად გვამცნო მხითარ ანეცის მშვენიერმა ისტო-
რიამ“¹⁰.

მართალია, „ქართლის ცხოვრება“-ში ორბელთა ისტორიის შესახებ ცნო-
ბები არ შემონახულა, მაგრამ, როგორც ტექსტების შეჯერებისას გაირკვა, ამ
კრებულის ერთ-ერთი საყურადღებო ნაშრომი — ლეონტი მროველის „ცხოვ-
რება ქართველთა მეფეთა და ბირველთაგანთა მამათა და ნათესავთა“ სტეფა-
ნოსს უეჭველად გამოუყენებია თარგამოსისა და მისი მემკვიდრეების თავგა-
დასავლის აღწერისას. სტეფანოსი ძალიან მოკლედ, სულ რამდენიმე სტრიქო-
ნით გადმოსცემს იმ ფაქტებს, რომელთა შესახებ ლეონტი მროველი უფრო
ვრცლად მსჯელობს. სტეფანოს ორბელიანი წერს: „თარგამოსის რვა ვაჟთა-
გან უხუცესი იყო ჰაიკი, მეორე — ქართლოსი, მესამე — ბარდოსი, მეოთხე —
მოვკანი, მეხუთე — ლეკოსი, მეექვსე — ჰეროსი, მეშვიდე — კავკასოსი,
მერვე — ეგროსი. თარგამოსმა თავისი სამკვიდრებელი გაუყო ვაჟებს: სომხე-
თის ქვეყანა ყველა საზღვრით მისცა ჰაიკს, ჩრდილოეთის ქვეყანა კი — ქარ-
თლოსსა და სხვა ძმებს. ხოლო ქართლოსი წავიდა არმაზის მთაზე, იქ აიშენა
სახლი და ერთი აუღებელი ციხე შესაფერის ადგილას და უწოდა მას ორბე-
თი. ქვეყანას კი ხუნანიდან სპერის ზღვამდე ეწოდა სახელად ქართლი.

⁹ *ჟათონიქსი ნანანციხე შიასაკან...* გვ. 369—372.

¹⁰ იქვე, გვ. 372—373.



მრავალ უამთა შემდგომ შვილთაგან მამათა შეცვლით დამკვიდრდა ქალთ-
ლის პირველმთავრობა სპარსთა დიდი მეფის ხოსრო ქეიქაუსის მეფობის დროს.
ქართველებს წესად ჰქონდათ თავიანთი მთავრისათვის მამასახლისი ეწოდებინათ, ვინაიდან მათ არ ჰყავდათ მეფე. ეს მამასახლისი იჯდა ქართლში, დიდ ქალაქ მცხეთაში, რომელიც ქართლოსის უფროსი ვაჟის მცხეთოსის მიერ იყო აშენებული. იმ დროს [ქართველები] შევიწროებულნი იყვნენ სპარსთა თვით-მპყრობელი მეფისაგან და ენებათ სიცოცხლე სიკვდილით შეეცვალათ. იმ დროს ქართველთა ქვეყნის მთავრად არღამოს სპარსი დაადგინეს აფრიდონის ბრძანებით, რომელიც ბატონობდა სპარსებსა, ქართველებსა და ალბანებზე. სწორედ ამ არღამოსმა განაახლა მცხეთა და შემოზღუდა ქვიტკირის ზღუდით არმაზის მთიდან მდინარე მტკვრამდე. ხოლო მისი გარდაცვალების შემდეგ ბოროტი კაცები დაეუფლნენ ქართველებს. ყველგან შფოთი და გარსწილება დამკვიდრდა¹¹. ლეონტი მროველთან კი იგივე ფაქტები ასეა გადმოცემული: „ხოლო შვილთა შორის მისთა გამოჩნდეს კაცნი რვანი, გმირნი ძლიერნი და სახელოვანნი, რომელთა სახელები ესე არს: პირველსა ერქუა ჰაოს, მეორესა ქართლოს, მესამესა ბარდოს, მეოთხესა მოვაკან, მეხუთესა ლეკ, მეექვსესა ჰეროს, მეშვიდეს კავკას, მერვესა ეგროს. ესე რვანი იყვნეს გმირნი. ხოლო ჰაოს უმეტეს გმირი იყო ყოველთასა, რამეთუ ეგვეითარი არაოდეს ყოფილ იყო არცა წყლის-რღუნის წინათ და არცა შემდგომად ტანითა, ძალითა და და სიმცნითა.

ხოლო ვერღარა იტევდა ქუეყანა არარატისა და მასისისა, განუყო თარგამოს ქუეყანა და ნათესავი თუხი რვათა ამათ გმირთა: ნახევარი ნათესავისა მისისა და ნახევარი და უმჯობესი ქუეყანისა მისისა მისცა ჰაოსს, ხოლო შუდთა ამათ მისცა ხუდარი მათი არძანგებისაებრ მათისა: წარმოიყვანნა შუდნი იგი ჩრდილოთ კერძო და განუყვნა ქუეყანანი ღირსებისაებრ მათისა. მისცა ქართლოსს და უჩინა საზღვარი: აღმოსავლით ჰერეთი და მდინარე ბერდუჯისი; დასავლით ზღუა პონტოსი; სამხრით მთა, რომელი მიჰყვების ბერდუჯის მდინარის თავსა, და მთა, რომელი მიჰყვების დასავლით კერძო, რომლისა წყალი გარდმოდის ჩრდილოთ კერძო და მიერთვის მტკუარსა, რომელ მიჰყვების მთა შორის კლარჯეთსა და ტაოს ვიდრე ზღუამდის; და ჩრდილოთ საზღვარი ლადო, მთა მცირე, რომელი გამოვლის შტოდ კავკასისაგან და მოჰკიდავს წუერი დასასრულსა ლადოსა, რომელსა აწ ჰქვან ლიხი. და ამათ საზღვართა საშუალ მისცა ყოველი ქართლოსს... ესე ქართლოს მოვიდა პირველად, ადგილსა მას, სადა შეერთჷს არავჷ მტკუარსა, და განვიდა მთასა მას. ზედა, რომელსა ეწოდების არმაზი. და პირველად შექმნა სიმაგრენი მას ზედა და აიშენა მუნ ზედა სახლი, და უწოდა მთასა მას სახელი თავისა თუხისა ქართლი. და ვიდრე აღმართებამდე მუნ ზედა კერპი არმაზისი ერქუა მთასა მას ქართლი, და მის გამო ეწოდა ყოველსა ქართლსა ქართლი, ხუნანითგან ვიდრე ზღუამდე სპერისა... მცხეთოს, რომელი უგმირე იყო ძმათა მისთა, ესე დარჩა საყოფელთა მამისა მათისა ქართლოსისათა, რომელსა აწ ჰქვან არმაზი. და მანვე აღაშენა ქალაქი შესაკრებელსა შორის მტკუარისა და არავჯასა, და უწოდა სახელი თუხი მცხეთა. და დაიპყრა ქუეყანა ტფილისითგან და არავჯთგან დასავლით ვიდრე ზღუამდე სპერისა...

ხოლო მიერთგან განძლიერდეს სპარსნი მიერ მზისა აღმოსავლითგან, ნა-

¹¹ *ჟათორიქნი ნანანეიანი შიხაკანი*, გვ. 368—369.

თესავნი ნებროთისნი. და გამოჩნდა ნათესავთა შორის ნებროთისთა კაცი ერთი/ გმირი, რომლისა სახელი აფრიდონ, „რომელმან შეკრა ჯაჭვითა ბეჭკანსაჲსი გუელთა უფალი, და დააბა მთასა ზედა, რომელი არს კაცთ შეუვალიო“.

ესევეთარი წერილ არს ცხოვრებასა სპარსთასა. აფრიდონ ეუფლა ყოველსა ქუეყანასა სპარსთასა: ხოლო რომელთამე ქუეყანათა შეგზავნა ერისთავნი, ველადნი მისნი, და რომელიმე ქუეყანა მოხარკე იყო. ამან წარმოგზავნა ერისთავი თუსი სპითა დიდითა, რომელსა სახელი ერქუა არდამ, შვილი ნებროთის ნათესავთა. მოვიდა ქართლად და შემუსრნა ყოველნი ქალაქნი და ციხენი ქართლისანი. და მოსრა ყოველი, რაოდენი ხაზარი პოვა ქართლსა შინა.

ამან არდამ ერისთავმან აღაშენა ქალაქი ზღვს-კარს, და უწოდა სახელი დარუბანდი, რომელი ითარგმანების „დავშა კარი“. და მანვე მოზღუდა მცხეთა ქალაქი ქუთაირითა. და აქამომდე არა იყო ქართლსა შინა საქმე ქუთაირისა. და ამის გამო დაისწავლეს ქუთაირი. ამანვე არდამ მოჰკიდა კირი-ზღუდე ციხესა არმაზისასა და აქათ მტკუარამდის, და წარმოზღუდა ცხური არმაზისი ვიდრე მტკუარამდე.

და ერისთავობდა არდამ მრავალთა წელთა. ხოლო ოდეს განუყო აფრიდონ ყოველი ქუეყანა სამთა ძეთა მისთა, მაშინ რომელსაცა ძესა მისცა სახლად სპარსეთი, და მასვე ზუდა წილად ქართლი, რომელსა სახელად ერქუა იარედ. ხოლო შემდგომად არდამ ერისთავისა გარდაიცვალნეს ერისთავნი. მიერთებან უცალო იქმნეს ძენი აფრიდონისნი, რამეთუ იწყეს ბრძოლად ურთიერთას. და მოკლეს ორთა ძმათა იარედ, ძმა მათი, მაშინ პოვეს უამი მარჯუე ქართლოსიანთა¹².

სტეფანოს ორბელიანის „სისაყანის სახლის ისტორიის“ 66-ე თავის („ორბელთა ისტორია“) მასალების შეწავლიდან ნათელია, რომ ისტორიკოსი თვითონვე ფლობდა ქართულ ენას, კარგად იცნობდა საქართველოს ისტორიას, ერკვეოდა მთელ რიგ საკითხებში და მარჯვედ იყენებდა „ქართლის ცხოვრების“ უხვ ცნობებს თავისი თხზულების შექმნისას. ქართული ენის ცოდინს შესახებ სტეფანოს ორბელიანი თვითონვე მიუთითებს „სისაყანის სახლის ისტორია“-ში: როდესაც ისტორიკოსს მოაქვს ქართველ დიდებულთა წერილი იოვანე ორბელიანისადმი და იოვანეს საპასუხო წერილი დიდებულებისადმი, დასძენს, რომ „თუმცა წერილები ქართულ ენაზე დაწერეს, მაგრამ ჩვენ სომხურად შევცვალებთ და განვაწყვეთო“.

სტეფანოს ორბელიანის თხზულებაში საკმაოდ დაწვრილებითაა გადმოცემული გიორგი III-ის დროს, 1177 წელს ორბელთა აჯანყების ისტორია. ამ შემთხვევაში მის მონათხრობში ტენდენციურობა იგრძნობა. ისტორიკოსი ყოველნაირად ცდილობს გაამართლოს სამეფო კარის წინააღმდეგ აჯანყებული ორბელები, რომელთა მიმართ ბევრი ბრალდებაა წამოყენებული სტეფანოს ორბელიანისათვის ცნობილ სხვა წყაროებში. „სისაყანის სახლის ისტორიის“ გარდა დემნას აჯანყების შესახებ ცნობები შემონახულია თამარ მეფის ისტორიკოსთან, ვარდან აღმოსავლელთან.

¹² ლ ე ო ნ ტ ი მ რ ო ვ ე ლ ი. ცხოვრება ქართველთა მეფეთა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა. იხ. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. I, თბ., 1955, გვ. 4—13.



ვარდან აღმოსავლელისა¹³ და სტეფანოს ორბელიანის¹⁴ ცნობებში¹⁵ წლის აჯანყების შესახებ ხშირად ემთხვევა ერთმანეთს, მაგრამ სტეფანოსის თხრობა უფრო ვრცელია. თან იგი ყველა სხვა წყაროთაგან განსხვავებით ცოტა კიდევ აზვიადებს აჯანყების დამარცხებისა და საერთოდ მისი შედეგების აღწერას. ისტორიკოსი მოგვითხრობს: „გიორგი მეფემ შეჰვიცა და აღთქმა დასდო მის წინაშე, რის გამოც გაბედა იოვანემ და მივიდა მასთან. ხოლო მეფემ დიდად განიხარა, დიდი სიყვარულით შეიწყნარა და პატივი სცა დიდი პატივითა სანამ ხელთ არ იგდო მისი ყველა ძენი და ტომ-ნათესავნი. შემდეგ კი გიორგიმ დაარღვია თავისი აღთქმა და შესაძრწუნებელი ფიცი. მან შეიპყრო იოვანე და თვალები დასთხარა, ხოლო დემნა, იოვანეს სიძეც, შეიპყრო, მასაც დასთხარა თვალები. უმცროსი ძმა იოვანესი ქავთარ, მისი ძე სუმბატ და ძისწული ინა მოაკვლევინა. ყოველი ტომ-ნათესავი მისი და ყოველი ყრმა და ქალი საერთოდ ამოხოცა და წარწყმიდა ზოგიერთნი მოშობით, ზოგნი წყალში ჩაგდებით, სხვები კი კლდეზე გადაგდებით. ასე აღმოფხვრა მათი სახელი ქართველთა სახლისაგან და ბრძანა ორბელიანთა ტომის სახსენებლის აღბოცვა მათ ისტორიათა და ეკლესიათაგან. შემდეგ კი დაავალა აღეწერათ ეს აჯანყება არა ისე, როგორც იყო, მისი ნამდვილი მიზეზი, არამედ დიდი ცილისწამებით. შემდგომ განაწესა შეჩვენებაც, რათა აღარ მოიხსენიონ მათი სახელი და მათგან არავინ დატოვონ ქართველთა ქვეყანაში. ეს ბოროტი ანდერძი მან დადვა თავის საგანძურში. ეს მოხდა 626 წელს“¹⁶.

უნდა აღვნიშნოთ, რომ სტეფანოს ორბელიანის ზემოთ მოტანილ ცნობებში ბევრი რამ გადაჭარბებულია. მართალია, ორბელიანები, როგორც შეთქმულების მოთავენი მკაცრად დასაჯეს, მაგრამ ყველანი არ ამომწყდარან და თან, გარდა ორბელიანებისა, სხვა შეთქმულნიც დაისაჯენ, რაზედაც მიუთითებს თამარ მეფის ისტორიკოსი: „ამას ესევითარსა და სრულყოფასა ყოვლისა სოფლისასა და საწუთროთა გემოთა საწაღელთასა მოიწიფა ძმისწული მისი, შვილი დავით ძმისა მისისა უხუცესისა, სახელით დემეტრე, სახე კეთილი და ყოვლითა ჯელითა მარჯუე, ნასწავლი, მსგავსი სახლიშვილობისა მათისა, გარნა რომელი ცუდ იქმს ყოველთა სიკეთეთა და სწავლულებათა, სახე-უკლებობათა და ჭბუტუებათა, იგი ექმნა მკლველ და შემმწარბებელ ჟამთა ცხოვრებისა მისისათა: უშიშობა ღმრთისა და გარდამავლობით მოქმედება სჯულისა ქრისტეს მცნებათასა, ვითარ თანაშთამამავლობა და გუერთა უბედურობა ამის სამეფოსა კაცთა. ვინათგან დავითცა, მამამან მისმან, ლალატსა და განდგომილებასა შინა მამისა მის დემეტრესსა ამოსწყუტნა ამის სამეფოსა დიდებულნი რომელნიმე ექსორია-ქმნითა, რომელნიმე სიკუდილითა და რომელნიმე განპატიყებითა აქაცა მსგავსად მისა შევიდა ეშმაკი გულსა და გონებასა მისსა და მის მიერ შერისხდა ღმერთი ორბელთა და ყოველთა ტომთა და მიმდგომთა მათთა: სამცხეთართა, ჰერეთთა, კახეთთა და სადაცა ნათესავი და ნატამალი მსმენარი მათდა იყო. იქმნა განდგომა-ბრძოლანი, კლვანი, სისხლნი და რბევანი. და არა მიმშუებელმან ღმერთმან, მოქმედმან სამართალთამან, რომელმან დავითის ზე აბესალომს არა მისცა უფლება, რომლისათჳს ითქმის წმიდასა შინა სახარებასა: „უკუეთუ ჰქუას მშობელსა შვილმან“ „კობან“ — ნიჭი, ჩემგან

¹³ ლ. არაგან ჩუბინჩიკოვი ლათინურად დასტავი, 1878. გვ. 149—168.

¹⁴ ლათინურად ნანანჩიკი შიხან. . გვ. 388—391.

¹⁵ იქვე... გვ. 388—389.



სარგებელ ყოფად სიკუდილითა მოაკუდინა. ამისთვისცა მისცა გიორგისვე ძლევა, მძლეთა მძლესა. და შემყრელმან ლაშქართამან ტვილისით ქალაქი მართა სომხითის მთასა ყაფობასა შინა, იოტნა, გააქცივნა, შეიხუეწნა ციხესა ლორისასა, და მოუხუნა ყოველნი სიმაგრენი და ციხენი. ვინაცა წამოუვიდა დემეტრეს სარგის მკარგრძელი, შევილითა და ძმისწულითა მისითა, ძმა და საყუარელი ორბელთა. ესე შეიყუარა და შეიტკბო მეფემან, და მისცა მისანდობლობა ვუარისშვილობისა მისისა. და მომრბეველმან ტაშირისა და ლორის კართამან დაიბანაყა აგარათა. და გაგზავნა ლაშქარნი; რომელნი დარჩომილ იყვნეს ერთგულად მისად და სხუა თემისა და თემის: მესხნი, თორელნი, ქართლელნი, სომხთარნი და თვთ გაზრდილი მისი მეჯინბეთ-უხუცესი ჭიანჭერი, და მივიდეს ქუეყანასა ჰერეთისასა. და მუნით მივიდეს ჰერეთის ერისთავი და ყოველნი ჰერნი სრულითა ლეკითა და კავკასითა. და შეიქმნეს ომნი ფიცხელნი და კუეთარ-კუეთებანი, რამეთუ იყვნესცა გამოციდილნი და ლომნი ჭბუქნი. ამას შინა სძლო მსჯავრისა და სიმართლისა მქონებელმან, და გააქცივნეს ჰერნი, დიდებულნი აზნაურნი და ლეკნი. შეიპყრნეს და გრიგოლ ასათის ძე ფიცხლა დაიკარგა ომსა შინა, თვთ კრმლის დაკოდილობითა და გამოკლვითა ცხენისათა. შეიპყრეს ივანე ვარდანის ძე, რომელი ითქმოდა პირველითგანვე მიხრებლად მიხრებლისად, და თანა შოთაცა, ძე ართავაჩოსძისა. ესენი ვითარცა შინათგამცემელნი განზრახ განგებითა კელთ იპყრნეს, წამოსრულთა მოასხეს წინაშე მეფისა, მარჯუება-აღმატებულისა. და გაიხარეს სიხარულითა დიდითა ფრიად, ვინათგან ხედიდა მარჯუებისა მომცემსა ღმერთსა. მაშინ მეფე აგარას მყოფი აღვიდა და მოადგა ლორესა. მუნიდალმან წარსრულ იყვნეს სპარსეთს ქართლის ერისთავი სუმბატის ძე ლიბარიტ, მეჯინბეთუხუცესი ქავთარ ივანეს ძე, რომელნი-ესე გიორგისაგანვე იყვნეს ჯელისუფალნი, და ანანია დვინელი; ზოგნი შაპარმენისა, ზოგნი ელდაგუზის ძეთასა. დაღაცათუ უშუელეს და მოპყვეს, ეგრეთვე უქმადვე უკუნ აქცია მართლმსაჯულობამან ქრისტესმან. ამას შინა დაულონოვდეს ლორეს შინა მდგომნი. დემეტრე, გარდამომბმელი საბლისა, გარდამოკდა ციხისაგან და მომართა თავისავე ბიძასა და ამირსპასალარი და სხუანი, რომელნი დარჩეს ციხესა შინა, გამოასხეს მსგავსად სუისა და ეტლისა მათისა. აიღო ლორე და დაიშპირა თავისა თვისისათვის ხოლო მას ეამსა თვთ მორკმული და ზემამალებული წარმოვიდა ურჩითა და მტერთა მისთა [ზედა] და შემსგავსებული საქმეთა მათთა მიაგო მისაგებელი. თვთ მოვიდა ნაჭარმაგვეს, იშუებდა და იხარებდა შემრისხველი მტერთა მისთა¹⁶.

სტეფანოს ორბელიანის „სისაქანის სახლის ისტორიის“ ტექსტის შესწავლამ და მისმა შეჯერებამ წინარე ხანის ისტორიკოსების ნაშრომებთან ცხადყო, რომ იგი შესანიშნავად იცნობდა სომხურ წერილობით წყაროებს (აგათანგელოზი, ელიშე, ლაზარ ფარპეცი მესრობ მამტოცი, მოვსეს ხორენაცი, ლევონდი, სამველ კამრჯაძორეცი, უხტანესი, ჰოვჰანეს დრასხანაქერტეცი) და საჭიროების შემთხვევაში მარჯვედ იყენებდა მათ. ამის მაგალითები უხუდა გვხვდება თხზულებაში¹⁷. მაგრამ ამასთანავე ისიც გასათვალისწინებელია, რომ

¹⁶ ისტორიანი და აზმანი შარავეან დედთანი. იხ. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტომი II, თბილისი, 1959, გვ. 18—20.

¹⁷ იხ. *Պատմիկն Նարանգին Սխախան...* გვ. 24—25, 38, 39, 63, 88, 89, 100, 106, 505.

ნანა ჯანაშვილი

თეიმურაზ II-ის წერილი ნურსალ-ბეგისადმი

1775 წელს დაღესტნის არქეოგრაფიულ ექსპედიციაში მუშაობისას¹ ხუნძახში ადგილობრივი მასწავლებლის ზაირბეგ ალიხანოვის კერძო კოლექციაში სხვა მასალასთან ერთად ჩვენ მივაგენით თეიმურაზ II-ის (მეფობდა ქართლში 1744—1762 წლებში) არაბულენოვან წერილს, რომლის ადრესატია დაღესტნელი მსხვილი ფეოდალი მუჰამედ ნუცალ-ხანი, იგივე ნურსალ-ბეგი. წერილი ერთ ფურცელზეა ნაწერი; დაწერილია ნასხით; სტრიქონთა რაოდენობა 13-ია. წერილი ბოლონაკლულია. დოკუმენტის დანარჩენი არქეოგრაფიული მონაცემების შესახებ სამწუხაროდ ვერაფერს ვამბობთ, რადგან ჩვენ ხელთ გვაქვს მხოლოდ მისი ფოტოკოპი. ხოლო დედანი წერილისა, ალიხანოვის ოჯახის ცნობით (ჩვენ კვლავ ვიყავით ხუნძახში 1977 წელს და კვლავ მივაკითხეთ ალიხანოვს), სხვა მასალასთან ერთად მათ გადაუციათ სსრკ მეცნიერებათა აკადემიის დაღესტნის ფილიალის ისტორიის, ენისა და ლიტერატურის ხელნაწერთა განყოფილებისათვის.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, წერილი ბოლონაკლულია. მაგრამ არსებულ ტექსტის მიხედვით მისი დაწერის მიზანი მაინც ჩანს: კვლავ დიდზე დიდი სურვილი ქართველთა მხრიდან კეთილმეზობლური ურთიერთობისა და მშვიდობიანობის დამყარებისა და აგრერიგად აუცილებელი პირადი კონტაქტები. დოკუმენტიდან ჩანს მნიშვნელოვანი ფაქტიც, რომ აპირებენ თავდასხმას ქართლსა თუ კახეთზე (ეინ აპირებს, არა ჩანს) და რომ ეს ამბავი მუჰამედ ნუცალ-ხანს შეუტყობინებია თეიმურაზისათვის.

დოკუმენტი შედგენილი უნდა იყოს 1744—1762 წლებში, თეიმურაზის მეფობის პერიოდში. წერილის შესავალში თეიმურაზი „მბრძანებელთა მბრძანებლად“ მოხსენიებული. წერილიდან ჩანს ისიც, რომ ერეკლე ამ დროს მეფეა: „ჩემი შვილი ერეკლე-ხანი კმაყოფილია შენით...“ და ა. შ. როგორც ცნობილია, იმავე 1744 წელს ერეკლე კახეთში გამეფდა. თეიმურაზსა და ნურსალ-ბეგის მიმოწერის მომენტში, როგორც დოკუმენტიდან ჩანს, დროებით სიმშვიდე იყო ჩამოვარდნილი. ჩვენთვის ძნელია იმის თქმა, წერილი დაწერილია 1754—1755 წწ-მდე — ნურსალ-ბეგის ქართლ-კახეთზე თავდასხმებამდე — თუ შემდეგ. (თვით ნურსალ-ბეგი მოკლა ფათალი-ხანმა 1773 წელს². მოგვყავს არაბული ტექსტი.

¹ ექსპედიციას ხელმძღვანელობდა აწ განსვენებული ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი ვახტანგ გამრეკელი.

² История Дагестана, т. I, М., 1967, с. 376.



السلام عليكم ورحمة الله و بركاته من جناب والى الولاية العظام طهمورت خان الى
 تيمجة الولاية العظام و امير الامراء الداغستان اعنى به حبيبنا و صديقنا و وثيقنا و قرّة
 عينى محمد نوسل سلمه الله تعالى و احسن احواله و بعد فالمراد اّبه قد وصل الينا
 مكتوبك التى ارسلت بصحابة محمّد و نور محمّد بن⁴ قاضى⁵ قضاتكم و حنيف فى
 خصوص جمعية اهل الداغستان و سائر⁶ الاحوال و لما اشتمل بصحّة مزاجك الشريفك
 sic فرحت فرحا عظيما و فى جيئهم⁷ التى كتبت اّبهم يريدوا ان يجيئوا لينيها
 ولايتنا متى يجيئوا ان شاء الله تستمعون فخبارتنا بهم فانتهم تنظرون و بعد دفعهم و
 تمججهم⁸ ان شاء الله نرسل من المعتمدين اليك فتجئى عندنا حتّى وقع الملاقات
 بيننا و بينكم لاّبه رضى⁹ منك و لدى ايركلى خان رضانا كثيرا بارك الله بك و باجدادك
 حتى كنت و بن¹⁰ كبير لانه كنت متقدما و متقدما فى الاحتلال معه و انت ايضا بمنزلة
 و لدى ولا يزال هذا الاتفاق و الاتحاد الى يوم القيام يا و لدى و هذا لولاية ايضا
 يتعلق¹¹ بك و لا مغايرة لينا الله رضى منك و من اتباعك و فى خصوص جيئى التى
 كتبت اّبه تفرح و هو ثابت لانه ..

თ ა რ გ მ ა ნ ი

სალამი თქვენდა და წყალობა ღვთისა და კურთხევა მისი!

დიდებულ გამგებელთა გამგებლის ბატონის თეიმურაზ-ხანისაგან დიდებულ ვალიათა ძეს, დაღესტნის მბრძანებელთა მბრძანებელს, მე ვგულისხმობ მასში ჩვენს საყვარელსა და გულწრფელ მეგობარს, ჩვენს სანდო (ყაცს) და ორთავ თვალის ჩინს მუჰამად ნუსალს. უფალი, მაღალიმც არს, გაუმარჯვებს მას და მშვენიერს გახდის მის ყოფას!

და შემდეგ. [ამ წერილის] მიზანია [შემდეგი]. ჭეშმარიტად, მოგვივიდა შენი წერილი, რომელიც გამოატანე მუჰამადს, ნურ მუჰამადს — ძეს შენი მთავარი ყადისა და ჰანოქს(?) დაღესტნის ხალხის თავშეყრისა და სხვა ამებების შესახებ. როდესაც გავიგე შენი კეთილშობილი ბუნების კარგადყოფნა, დიდად გავიხარე. იმათი წამოსვლის შესახებ რომ იწერები, რომ მათ სურთ წამოვიდნენ, რათა დაარბიონ ჩვენი მხარე, როდის მოდიან, თუ უფალი ისურვებს, გაიგეთ და შეგვატყობინე ეს. თქვენ კი დაიცადეთ და მათი განდევნისა და უკუქცევის(?) შემდეგ, თუ უფალმა ინება, ჩვენ გამოვიგზავნით [ვინმე] სანდოთაგანს და შენ ჩამოდი ჩვენთან, რათა მოხდეს მოლაპარაკება ჩვენსა და თქვენს შორის, რადგანაც ჩემი შვილი ერეკლე-ხანი კმაცოფილია შენით დიდად, ღმერთიმც გაკურთხებს შენ და შენს წინაპრებს, შენ ჩემი უფროსი შვილიც კი ხდები, და რადგანაც შენ ბირობა გაქვს დადებული და შეკავშირებული ხარ მასთან მეგობრობით და თანაც ჩემი ვაჟის ღირსებისა ხარ — არ შეწყდება ეს კავშირი და ერთობა [ჩვენს შორის] განკითხვის დღემდე. ო, შვილო

³ სატყვა - طهمورت-ს ქვემოდან აქვს გვიანდელი მინაწერი, რუსულზე დამყარებული ხუნძური ანბანით შესრულებული: Гъерак/лил эмен, რაც იწინაგ: „ერეკლეს მამა“; ⁴ ტექსტში: ابن; ტექსტში: ⁵ اقصى; ⁶ ტექსტში: سائر; ⁷ ტექსტში: جيئهم; ⁸ ტექსტში: محججهم, რომელიც შევცვალეთ محججهم-ით, რადგანაც კონტექსტის მიხედვით ამოსაკითხი სიტყვა უნდა ყოფილიყო დافع-ის სინონიმი; ⁹ ტექსტში: رضا; ¹⁰ ტექსტში: ابن; ¹¹ უნდა იყოს: تتعلق.

باسم عليكم محمد الله وبركاته من جناب والي الولاية العظام لجهور خراسان
(Isperhanu d. 1110)

الى يتيمة الولاية العظام وامير الامراء الداغستان اعني به جينا وصدقا
ووثيقنا وقره عيني محمد نوسل سلمه الله تعالى واحسن اجره وبعده

ان قد وصل الينا مكنونك التي امرت بصحابة محمد ونور محمد ابن افضي قضاتكم
وحضرت في خصوص جمع اهل الداغستان وسائر الاحوال ولما اسلم اليكم

مراجك الشريفك فرحت فرحا عظيما وفي حقيقته التي كتبت انهم يريدون
لنفسه او لا ينافي بحسن ان شاء الله تعالى فمما يقننا بهم فانه ينظرون

وبعد وضعهم وتحميهم ان شاء الله تعالى من المعتمدين اليك فبحسب عندنا
حتى وقع الملامات بيننا وبينكم لانه ضمانك وولاي امير خراسان رضانا

كثير ابارك الله بك وباجدادك حتى انت واولادك لانه كنت متفقا
في الاستلال بعدوات ايضا بمنزلة وولاي ولا يزال هذا الاتفاق والاتحاد
الذي يقيم يا وولاي وهذا الولاية ايضا تعلق بك ولا مغايرة بيننا الله

في يومك واولادك وفي عمو حقيقته التي كتبت ان تفرح وهو ان شاء الله

ჩემო, ეს იმ ვილაიეთისათვისაცაა სასიკეთო, რომელიც შენს მფლობელობაშია და არა სხვისთვის, რომელიც გარს გვერტყმის; ალაჰიმც კმაყოფილნი შენ და შენი მიმდევრებით. ჩემი წამოსვლის თაობაზე, რაზედაც შენ იწერები, რომ გიხარია, ეს ნამდვილია, რადგანაც...

ჩემს მოვალეობად მიმაჩნია აღვნიშნო, რომ დაღესტნური წარმოშობის არაბულენოვანი დოკუმენტებით დაინტერესებას პროფესორ ილია აბულაძეს უნდა ვუმაღლოდე. 1958 წელს მის მიერ ახლად შექმნილ ხელნაწერთა ინსტიტუტში საქმე და გასაკეთებელი ბევრი აღმოჩნდა. პირველ რიგში საჭირო გახდა ფონდებში არსებული ზოგი გაურჩეველი მასალის მოწესრიგება და კატალოგიზაცია. მოსავლელი აღმოჩნდა დაღესტნური არაბულენოვანი დოკუმენტებიც. ინსტიტუტში მოსვლისთანავე ბ. ნაბილიამ დამავალა ამ საქმისათვის მომეკიდა ხელი და სისტემაში მომეყვანა აღნიშნული დოკუმენტები. შემდგომ ამ მასალაზე მუშაობა ჩემს ერთ-ერთ ძირითად საქმიანობად იქცა.

Н. Г. КАНЧАВЕЛИ

ПИСЬМО ТЕЙМУРАЗА II МАГОМЕДУ НУЦАЛ-ХАНУ
(НУРСАЛ-БЕКУ)

Резюме

Публикуется арабское письмо грузинского царя Теймураза II одному из дагестанских правителей Магомеду Нуцал-хану (из личной коллекции З. Алиханова в Хунзахе). Текст документа дефектный, не имеет конца. Однако из письма явствует главное — стремление жить в добрососедских отношениях.

ადონიზ ხოზარია (ბროსი)

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობასთან დაკავშირებული
რამდენიმე დოკუმენტი

1783 წელს ქართველი ხალხის ცხოვრებაში დიდმნიშვნელოვან მოვლენას ჰქონდა ადგილი. გეორგიევსკში გაფორმდა რუსეთსა და ქართლ-კახეთის სამეფოს შორის მფარველობითი ხელშეკრულება — „ტრაქტატი“. ამით ხორცი შეესხა რუსეთთან პოლიტიკური კავშირის განმტკიცებისაკენ საქართველოს პროგრესულ სახელმწიფო მოღვაწეთა მრავალსაუკუნოვან სწრაფვას. მფარველობითი ხელშეკრულების დადებით გაირღვა აგრესიული ძალების — ირანისა და ოსმალეთის მიერ საქართველოს გარშემო შექმნილი მტრული გარემოცვა. რუსეთმა კი ამიერკავკასიაში ფეხის მოკიდებით განიმტკიცა პოზიციები ახლო აღმოსავლეთში.

„ტრაქტატმა“ დიდი როლი შეასრულა არა მარტო ქართველი ხალხის, არამედ მთელი ამიერკავკასიის ცხოვრებაში. მან შეუწყო ხელი სომეხი და აზერბაიჯანელი ხალხების ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის გაღვივებას ირანელი და თურქი დამპყრობლების წინააღმდეგ. საქართველო ამიერკავკასიაში ერთადერთი ქვეყანა იყო, რომელმაც შეძლო პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური თვითმყოფობის შენარჩუნება და, მიუხედავად მეტად მძიმე საგარეო ვითარებისა, მაინც გვევლინებოდა მეზობელ ხალხთა დასაყრდენ ძალად აგრესორების წინააღმდეგ მიმართულ მათ განმათავისუფლებელ მოძრაობაში. ამის გამოხატულებას წარმოადგენდა ერეკლე II-ის პოლიტიკური მოღვაწეობა, მისი ურთიერთობა ერევნისა და აზერბაიჯანის სახანოებთან. „ტრაქტატის“ დადებით ერეკლე II ფიქრობდა მტკიცე საფუძველი შეექმნა თავისი პოლიტიკური კურსისათვის ამიერკავკასიაში, რამდენადაც ამიერიდან იგი რუსეთის პოლიტიკურ ავტორიტეტსა და ძალასაც ეყრდნობოდა. „ტრაქტატის“ დადება ხდება პირობა რუსეთ-საქართველოს პოლიტიკური კავშირის შემდგომი განმტკიცებისა — ამიერკავკასიაში მათი ერთობლივი მოქმედებისა. ამან, ბუნებრივია, გამოიწვია მწვავე რეაქცია ირანისა და ოსმალეთის და მათი მომხრე ამიერკავკასიელი ხანებისა თუ ფაშების მხრივ, რამაც გაართულა საქართველოს გარეპოლიტიკური მდგომარეობა და გაამწვავა შინაგანი წინააღმდეგობანი. ობიექტური პირობები და ცარიზმის სუბიექტური მისწრაფებანი ართულებდნენ „ტრაქტატი“ გათვალისწინებულ ვალდებულებათა ბოლომდე განხორციელებას. მიუხედავად ამისა, საქართველოს პოლიტიკური მესვეურნი, დროებითი ხასიათის იძულებით გადახვევებს თუ არ მივიღებთ მხედველობაში, მტკიცედ იდგნენ რუსეთთან კავშირის პოზიციაზე. ქართველი პროგრესიული საზოგადოება რუსეთთან ურთიერთობის გაღრმავებისაკენ და მჭიდრო კავში-

რისაკენ მიისწრაფოდა, რაც ასახა კიდევ მრავალრიცხოვან დოკუმენტებში, ამ დოკუმენტების მნიშვნელოვანი ნაწილი, ისევე როგორც თვით „ტრაქტატი“ გამოქვეყნებულია¹, მაგრამ ბევრი რამ ჯერ კიდევ გამოსავლინებელი და გამოსაცემია.

ქვემოთ ვაქვეყნებთ სამ დოკუმენტს, რომელნიც რუსეთ-საქართველოს შორის მფარველობითი „ტრაქტატი“ დადებას და რუსეთთან საქართველოს შემდგომ პოლიტიკურ დაახლოებას ასახვენ.

პირველი მათგანი არის გაიოზ რექტორის მიერ 1783 წ. 20 აგვისტოს თბილისში, სიონის ტაძარში, წარმოთქმული სიტყვის ტექსტი, რომელიც კარგად ასახავს ქართველი მოწინავე საზოგადოების დამოკიდებულებას ამ მნიშვნელოვანი პოლიტიკური აქტისადმი. ტექსტი დატულია ლენინგრადში, სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილების ქართულ ხელნაწერთა (იოანე ბატონიშვილისეულ) ფონდში (№ 219) და წარმოადგენს ქალაქის 4 ფურცელზე შავად ნაწერ პირს².

მეორე დოკუმენტი არის გიორგი XII-ის ე. წ. „სათხოვარი მუხლები“, რომელთა საფუძველზე 1800 წელს ქართლ-კახეთის მეფე ითხოვდა რუსეთის იმპერატორის ქვეშევრდომობაში შესვლას.

დოკუმენტი დატულია სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილების ხელნაწერთა ფონდის (ყოფილი სააზიო მუზეუმის ფონდის) ქართულ ხელნაწერთა კოლექციაში (შიფრი H 65). ეს ფონდი თეიმურაზ ბაგრატიონის, მარი ბროსეს და სხვა მოღვაწეთა არქივების საფუძველზეა შექმნილი.

„სათხოვარი მუხლების“ ჩვენამდე მოღწეული ეს ვარიანტი წარმოადგენს ქალაქის 4 ფურცელზე ნაწერ პირს.

დღემდე სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილი არ იყო გიორგი XII-ის „სათხოვარი მუხლების“ ვრცელი ქართული ვარიანტი — შესატყვისი კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის აქტების I ტომში დაბეჭდილი თარგმანისა³. ცნობილი იყო მხოლოდ 1799 წ. 7 სექტემბრით დათარიღებული გიორგი XII-ის რწმუნება, მიცემული რუსეთის სამეფო კარზე წარუზავნილი ელჩებისადმი — გ. ჭავჭავაძის, გ. ავალიშვილისა და ე. ფალავანდიშვილისათვის, საქართველოს რუსეთის ქვეშევრდომობაში შესვლის მოთხოვნის შესახებ, სადაც აღნიშნული იყო ამ აქტის ძირითადი პირობები⁴. ეს პირობები ასახა ქართველი ელჩების მიერ 1800 წ. 24 ივნისს საჯარეო საქმეთა კოლეგიაში წარ-

¹ Акты, собранные Кавказскою Археографическою комиссиею, том I, Тифлис, 1866; Грамоты и другие исторические документы, относящиеся до Грузии, Том II, вып. I, Грузинские тексты с 1768 по 1801 год, под ред. А. А. Цагарели, СПб, 1898; Тоже, Том II, вып. II (с 1769 по 1801 год), СПб, 1902 (русские тексты и переводы с грузинского).

ი. ცინცაძე, 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატი, თბ., 1960; ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, საერო კანონმდებლობის ძეგლები (X—XIX სს.), ი. დოლიძის გამოც., თბ., 1965; გიორგიევსკის ტრაქტატი (ქართ. და რუსულ ენებზე). ტექსტი გამოსცეს და შენიშვნები დაურთეს გ. პაიჭაძემ და რ. მიმინოშვილმა, კრებულში: „ქართული სამეფო სამთავროების საჯარეო პოლიტიკის ისტორიიდან“, ტ. I, თბ., 1970.

² „სიტყვის“ ტექსტი გამოქვეყნებულია შ. ხანთაძის მიერ. იხ. ქურნ. „დროშა“, 1959 წ., № 5.

³ АКАК, т. I, с. 179—181.

⁴ Грамоты и другие исторические документы..., т. II, вып. I, СПб, 1898, с. 187—188.

დგენილ ნოტაში, რომლის მხოლოდ რუსული თარგმანია გამოქვეყნებული.⁵ ამ დოკუმენტში მოტანილი „სათხოვარი მუხლების“ პირველი ორი მთლიანად ემთხვევა ვრცელ ვარიანტს, ხოლო მე-3 და მე-4 მუხლები გამოგვეყენებენ შესაბამისი მუხლების არსს.

ამდენად „სათხოვარი მუხლების“ ქართული ტექსტი და ისიც სრული ვარიანტი პირველად ქვეყნდება. მისი შემოტანა მეცნიერულ ბრუნვაში რამდენიმე თვალსაზრისით არის საყურადღებო:

ჯერ ერთი, „აქტებში“ მოთავსებულ ტექსტს მოეძებნა ქართული შესატყვისი, რომელიც, ჩანს, ქართველ ელჩებს ჰქონდათ ხელთ. ქართული ტექსტის და რუსული თარგმანის შედარება მოწმობს, რომ თარგმანი მთლიანად მისდევს ქართულ ტექსტს, მხოლოდ ორ შემთხვევაში შევნიშნეთ სხვაობა, რომელიც, უეჭველია, მთარგმნელის მიერ დაშვებულ უზუსტობას წარმოადგენს. ასეთი უზუსტობა გვხვდება მაგალითად მე-4 მუხლში, სადაც ლაპარაკია საქართველოში 6 ათასიანი რუსის ლაშქრის განლაგების შესახებ „დასაცველად მეზობელთა მოტახტალეთაგან (sic) წინააღმდეგობით“. რუსულ თარგმანში „მოტახტალეთაგან“ გაგებულია, როგორც „от бродяг“. ჩვენი აზრით კი აქ მეზობელ სამფლობელოთა „ტახტებზე“ მსხდომნი, ანუ იგივე „მეტახტენი“ იგულისხმებიან.

გარდა ამისა, მე-9 მუხლში ქართულ ტექსტში ნათქვამია, რომ „მეფე ითხოვს, ვ(ითარმე)დ სახე მოსატრეღი თეთრისა გადღდეს ანუ დაშთეს (პირველ)ისამებრ“. რუსულ თარგმანში კი ლაპარაკია „моретный двор“-ის გადიდებაზე, რაც, ვფიქრობთ, აგრეთვე მთარგმნელის მიერ დაშვებული გადახვევაა.

მოტანილი ადგილები ეჭვს არ ტოვებენ, რომ „სათხოვარი მუხლების“ სართული ტექსტი იყო ძირითადი, პირველადი დოკუმენტი, ხოლო რუსული ტექსტი მხოლოდ თარგმანია.

ქართულ ტექსტს უზის თარიღად 1800 წლის 17 ნოემბერი. „აქტებში“ აბეჭდილი ქართველი ელჩების 1800 წ. 23 ნოემბრის ნოტიდან ირკვევა, რომ მპერატორმა „სათხოვარი მუხლები“ განიხილა 19 ნოემბერს. ჩანს რომ „სათხოვარი მუხლები“ ვრცელი სახით ელჩებს ჩამოუყალიბებიათ უშუალოდ იმპერატორის მიერ ამ დოკუმენტის განხილვის წინ.

ქართველი ელჩების მიერ ადრე, 1800 წ. 24 ივნისს, წარდგენილი ნოტიდან ჩანს, რომ აქ მოცემულ 4 მუხლში ჩამოყალიბებულ ძირითად მოთხოვნებთან ერთად მათ ჰქონდათ სხვა „მითითებანიც“, რომელნიც იმ დროისათვის არ განუცხადებიათ და აპირებდნენ მათ დამატებით ჩამოყალიბებას ძირითად მოთხოვნებზე თანხმობის მიღების შემდეგ, რაც გააკეთეს კიდევ მოთხოვნათა ვრცელ ვარიანტში.

მესამე დოკუმენტი წარმოადგენს თავისებურ „დეკლარაციას“, დაწერილს საქართველოს სამეფო სახლის, მთელი ქართველი ხალხის სახელით ევროპის ქვეყნების სახელმწიფოთა მესვეურებისადმი. იგი დატულია იმავე ფონდში, როგორც წინა დოკუმენტი (მიფრი H 66).

დოკუმენტში ზოგადად მოთხრობილია ერეკლე II-ის გამეფებისა და საქართველოს რუსეთთან კავშირის ისტორია „ტრაქტატის“ დადებიდან სა-

⁵ Грамоты и другие исторические документы..., т. II, вып. II, СПб, 1902, с. 292—294. შტრ.: П. Г. Бутков, Материалы для новой истории Кавказа (с 1722 по 1803 год), ч. II, СПб., 1869, с. 460—463.



ქართველოს რუსეთის ქვეშევრდომობაში შესვლის შესახებ გიორგი XII-ის მიერ „სათხოვარი მუხლები“ წარდგენამდე. ამას მოსდევს თვით „სათხოვარი მუხლები“ ტექსტი, თითქმის იმავე სახით, როგორც ისინი წინა დოკუმენტშია მოცემული, ზოგიერთი რედაქციული ხასიათის სხვაობით და ჩამატებებით.

დოკუმენტი დათარიღებული არ არის, მაგრამ ირკვევა, რომ დაწერილია იმპერატორ პავლე I-ის სიკვდილის შემდეგ, ე. ი. უკვე ალექსანდრეს დროს, შესაძლოა ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების შემდეგაც და სწორედ ამ ფაქტთან დაკავშირებით. იგი გამოხატავს საქართველოს სამეფო კართან დაახლოებული წრეების თვალსაზრისს რუსეთთან საქართველოს შეერთების პირობების შესახებ. ეს პირობები კი გიორგი XII-ის „სათხოვარი მუხლები“, რასაც დოკუმენტის შემდგენლები საქვეყნოდ აცხადებენ კიდევ.

როგორც ჩანს, ამ დოკუმენტს ოფიციალური დანიშნულება და სათანადო მსვლელობა არც მიუღია და იგი მხოლოდ რუსეთთან საქართველოს შეერთების საკითხისადმი გარკვეული წრეების დამოკიდებულების მაჩვენებლად თუ გამოდგება. ამასთან, ამ დოკუმენტით აშკარა ხდება, რომ გიორგი XII-ის „სათხოვარი მუხლების“ ვრცელი ვარიანტი ქართველი საზოგადოების ამ წრეებისათვის ცნობილი და მისაღები იყო.

ყურადღებას იქცევს ის ადგილები, რომელნიც რედაქციულად განასხვავებენ ერთმანეთისაგან „სათხოვარი მუხლების“ ორ ზემოთ აღნიშნულ ვარიანტს, უფრო სწორად, ჩამატებული არიან მეორე დოკუმენტში. მაგალითად, თუ პირველ დოკუმენტში ზოგადად არის ლაპარაკი საქართველოს სამეფო სახლის წევრთათვის რუსეთში სოფლებისა და ჯამაგირის მიცემის შესახებ, მეორეში მითითებულია ის თანხაც, რომელსაც მეფე ითხოვდა „ჯამაგირის“ სახით. კერძოდ, ეს თანხა შეადგენდა 30 ათას მანეთს. აქვე მოცემულია დასაბუთება რუსეთში სოფლებისა და ჯამაგირის მოთხოვნისა, იმით, რომ ადრე ქართველ მეფეებს, როგორც ირანის ვასალებს, ეძლეოდათ ჯამაგირი და სამფლობელო ადგილები (ერევნისა და აგანჯის სახანოები), რის კომპენსაციაც უნდა მომხდარიყო საქართველოს ირანის ქვეშევრდომობიდან გამოსვლისა და რუსეთის მფლობელობაში შესვლისას.

„სათხოვარი მუხლების“ ორივე ვარიანტი ითვალისწინებს მეფობისა და სამეფო ტახტის მემკვიდრეობის შენარჩუნებას, თუმცა ქვეყანაში რუსული კანონები უნდა შემოღებულიყო და რუსეთის ხელისუფლების განკარგულებაში გადადიოდა ქვეყნის მთელი შემოსავალი. მეფეს რჩებოდა მხოლოდ აღმასრულებელი უფლებები. გათვალისწინებული იყო საკუთარი ქართული ჯარის ყოლაც, რომელსაც საქიროების შემთხვევაში უნდა ემოქმედა აქ მყოფ რუსეთის ჯართან ერთად.

„სათხოვარი მუხლების“ არსს საგანგებოდ შეეხო მ. დუმბაძე და აღნიშნა, რომ „ქართველი მეფისა და ელჩების მთავარი მიზანი იყო რუსეთის დახმარებით საგარეო მტრების მოგერიება, ქვეყანაში მშვიდობიანობის დამყარება და ადგილობრივი მეფის ხელისუფლების შენარჩუნება“⁶. მაგრამ რუსეთის ოფიციალურ წრეებში, ჩანს, გიორგი XII-ის ასეთ მოთხოვნას განიხილავდნენ, როგორც „სტრუვის მეფობის შენარჩუნებისა რუსული ფულითა და იარა-

⁶ იხ. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, საქართველო XII საუკუნის დასაწყისიდან XIX საუკუნის 30-იან წლებამდე, ტომის რედაქტორი მ. დუმბაძე, თბ., 1983, გვ. 811.

ლით⁷, რაც გამოთქვა კიდევ ისტორიკოსმა დუბრიენმა⁷. ეს მხოლოდ ნაწილია ლობრივ იყო მართალი, რადგან რუსეთის ხელისუფლების განკარგულებაში გადადიოდა ქვეყნის შემოსავალი, რომელსაც სახელმწიფო სუვერენიტეტთან ერთად თმობდა მეფე რუსეთის იმპერატორის სასარგებლოდ.

ფაქტია, რომ „სათხოვარი მუხლებით“ გათვალისწინებულ პირობებში მეფობის შენარჩუნება სიმბოლურ ხასიათს თუ ატარებდა და ცარიზმის მისწრაფებათა გათვალისწინებით არარეალური ჩანდა. საქმეს ართულებდა ისიც, რომ საქართველოს სამეფო სახლშიც კი არ არსებობდა ერთსულოვნება მემკვიდრის საკითხში. ერეკლე II-ის ქვრივი დედოფალი დარეჯანი და გიორგი XII-ის ძმები დაობდნენ იმის თაობაზე, რომ ერეკლეს მიერ შემოღებული, თუმცა შემდეგ მის მიერვე უარყოფილი, წესით, მემკვიდრეობა უნდა გადასულიყო გვარში უფროს წევრზე, ე. ი. გიორგი XII-ის შემდეგ იულონ ბატონიშვილზე. გიორგი XII-მ კი თავის მემკვიდრედ პავლე I-ს თავისი შვილი დავითი დაამტკიცებინა. ამავე დროს ალექსანდრე ბატონიშვილი აქტიურ პოლიტიკურ საქმიანობასაც ეწეოდა რუსეთის საწინააღმდეგოდ. აღსანიშნავია, რომ ტახტის პრეტენდენტები ცდილობდნენ ქართველი თავადების და მოსახლეობის მიმხრობას თავის მხარეზე და საამისოდ პრაქტიკულადაც საქმობდნენ. ყოველივე ამან, და საერთოდ ქვეყანაში შექმნილმა კრიზისულმა ვითარებამ, განაპირობა ის, რომ ცარიზმმა ესოდენ ადვილად გადადგა ნაბიჯი ქართლ-კახეთის სამეფოს გასაუქმებლად.

1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტი ქართლ-კახეთის რუსეთთან შეერთების შესახებ ქართული სახელმწიფოებრიობის გაუქმებას ნიშნავდა, მაგრამ ამავე დროს საქართველოს რუსეთთან შეერთება წარმოადგენდა ქვეყანაში შექმნილი კრიზისიდან გამოსავალს და ქმნიდა პირობებს საქართველოს განვითარებისათვის რუს ხალხთან და რუსეთის იმპერიაში შემაჯავალ სხვა ხალხებთან ერთად საზოგადოებრივი პროგრესის გზით.

* * *

ზემოხსენებული დოკუმენტების ტექსტები შემორჩენილია შავი პირების სახით. ამის გამო მათში ბევრი ენობრივი და სტილისტური ხარვეზია, რომელთა გამართვა შეძლებისდაგვარად ეცადეთ⁸.

ქარაგმები გახსნილია ტექსტშივე ნახმარი ვარიანტების გათვალისწინებით. მთავრული საზედაო ასოები დაბეჭდილია ჩვეულებრივი შრიფტით.

I. სიტყვა

შეერთებისათვის და მფარველობისა სამეფოსა საქართულმოსა რუსეთის იმპერიისა თანა, წელსა 1783 აგვისტოს 20, და თანამდებობითისა მადლობისა ესოდენისათვის მოწყალებისა ღ(ვთ)ისა, თქმული სამეუფოსა ქალაქსა ტფილისს ეკლესიასა შ(ინ)ა კათოლიკესა ყ(ოვლ)ად წმიდისა ღ(ვთ)ისმშობლის მი-

⁷ იხ. იქვე.

⁸ ტექსტების დედნებთან შეჯერებისა და საყურადღებო შენიშვნებისათვის მადლობას მოვასყენებ ნ. გოგუაძეს.

ცვალებისას არხიმანდრიტისა და თელავის სემინარიის რექტორის გიორგი მკერდის მიერ. ||

და აკურთხენ ღ(მერთმან) დრო ესე, და განამტკიცენ მაღალმან მარჯუშნა ეკატერინა დიდისა მფარველობასა ზ(ედ)ა საქართველოსასა, და განაგრძენ ღ(მერთმან) დღენი კეთილმსახურისა მეფისა ჩ(ვე)ნისა ირაკლი მეორისა, აღსარებასა შ(ინ)ა უმაღლესისა კელმწიფებისა ყოვლისა რუსეთის საიმპერატორისა ტახტისასა.

მოდრკა ღ(მერთი) უმდაბლესსა თხოვასა ზ(ედ)ა პირველთა კეთილმსახურთა მეფეთა ჩ(ვე)ნთასა და მიიღო იგი აწინდელმა ბედნიერებით მმეფობამან კეთილმსახურმან კელმწიფემან ჩვენმან მეფემან ირაკლი, ვ(ითარც)ა დაუწეხული მამათა მიერი საუწყე.

რამე შევესწიროთ შენდა, ქველისმოქმედო ღ(მერთო) ჩ(ვე)ნო! ვ(ითარც)ხად ვპყოთ სიდიდე ესოდენისა ქველის მოქმედებისა, რ(ომე)ლიცა მოჰფინე მამულსა ჩ(ვე)ნსა! || გარნა შემძლებელ ვართ თქმად, ვ(ითარმე)დ ღ(ვთ)ისა მიერი ქველისმოქმედება ესე, არა ეგოდენ საკუთარი ამის მეფისათჳს, რაოდენცა სამფლობელოთა მისათჳს; და თუმცა გონიერება თქვენი, პატიოსანო მსმენელნო! სრულებით ჰგრძნობს სიდიდესა ამის ღ(ვთ)ისა მიერისა მოწყალებისასა, ვ(ითარც)ა დამტკიცებს მხიარულებითი ესე შეკრებულება თქვენი, გარნა მიხედეთ დასასრულებითთა მიზეზთა მისთა.

კაცი ოდეს აღიძრჳს კელყოფად საქმისა რაჲსამე, მყისვე გამოხატავს თჳს შორის ვ(ითარ)თამე სასარგებლოთა დასასრულთა, რ(ომ)ლისათჳსცა გულსმოდგინე არს სრულყოფად მისა, სიტყუსამებრ საღმრთოსა წერილისა, ვ(ითარმე)დ კაცი საქმისა მ(ი)მართ კეთილისა განმტკიცებულ, და შემდგომად სრულყოფისა საქმისა მის, ჰგრძნობს თჳსა შორის გამოუთქმელსა სიხარულსა, შემეცნებისამებრ ბრძნისა სოლომონისა: „და ვიხილე, რ(ამეთუ) არს კეთილი, რ(ომე)ლ იხაროს კაცმან ქმნულითა თჳსთა ზ(ედ)ა, რ(ომე)ლნიცა იქმნებიან შემდგომად მისა“¹⁹, რ(ომე)ლისა მართლისამებრ ჰაზრისა, რათა პატივსცეთ ბედნიერებითსა ამას საქმესა კეთილმსახურისა მეფისა ჩ(ვე)ნისასა და პატივ ვჰსცეთ, ვ(ითარც)ა ქველის || მოქმედებასა ღ(ვთ)ისა ყოვლისა მპყრობელისასა, რ(ომე)ლ(მან)ცა უპყრა კელი მარჯუშნე ცხებულსა თჳსსა იმპერატორცა ეკატერინა ალექსი(ე)ვნასა, მპყრობელსა სრულიად რუსეთისასა, და წინაძღომითა თჳსითა დაუვაკნა მთანი იგი შეუვალნი კავკასიისანი, და პორტირისა მისისა საგრილითა დაჰფარა მამული ჩ(ვე)ნი და სკიპტრისა მისისა შარავანდედითა განამტკიცა სკიპტრა კეთილმსახურისა მეფისა ჩ(ვე)ნისა. ჰოი ნიჰსა ყ(ოველ)ად მდიდარსა და ქველისმოქმედებასა მაღლისასა და ულევენელსა ამას ბედნიერობითსა შემთხუშვასა შ(ინ)ა, ვის ჩ(ვე)ნგანისა არს გული მყარი, რ(ომე)ლიცა არა ჰგრძნობდეს თჳს შორის გამოუთქმელსა სიხარულსა და დღესასწაულობით არა მიუთხრობდეს მილოცვითსა ჳმასა განსვენებისა თჳსისასა.

და ვინათგან ყ(ოველ)ი მოცემა კეთილი და ყოველი ნიჰი სრული ზეგარდმო არს, ამისთჳს თანამდებ ვართ, რათა მაღლისადმი მსხვერპლად სიმართლისად შევესწიროთ მაღლობად მჭურვალითა გულითა, ვ(ითარც)ა დასასრულებითი მიზეზი შეკრებულებისა ამის ჩ(ვე)ნისა. || ესევე(ითარ)ისა ამის მაღლობისა დასაბამად ვპყოთ ვედრებაჲ საყდრისადმი ღ(ვთ)ისა ყოვლისა მპყრობელისა

¹⁹ ამაზე მიწერილია: „ისაია, 45“.



განგრძობისათვის დღითადა კეთილშესახურისა მეფისა ჩ(ვე)ნისა, ვ(ითხოვ) მამისა მოღვაწისა, რ(ომე)ლ(მა)ნცა ძლიერებისა თვისისა სისხლი წარმოა-
ლიერნა ოფლითა სიმცნისა შრომისათა უვნებელად დაცვისათვის სამფლობე-
ლოსა თვისისა და მარადღე მიურთლებელად ჰსცვდა ერსა თვისსა გარემოს მყო-
ფთა მძვნეარეთა მტერთაგან, რ(ომე)ლნიცა ნიადაგ ჰლამოდენ განბძარვასა
მისსა, და შ(ემდგომა)დ ესევ(ითა)რისა შრომისა და ესევითარისა დღევა-გვე-
მულებისა ნაეი სამეფოსა, თვისისა სიბრძნისა საჭიოთა მიაყენა ნავთსაყუდელსა
უღელვოსა, და მკეცთა მათ მძვნეარეთა, რ(ომე)ლთაცა აღეშკმოთ პირნი და
ბრჭალნი შთანთქმად და განბძარვად, ერთსა მას განუმზადა მახული იგი
მკუშთირი და მეორესა ბურთი ცეცხლისა სოფელსა შ(ინ)ა დიდებულისა და
საკურველისა რუსეთის ძალისა, რ(ომე)ლნიცა საშინელითა ქუხილითა თვისითა
დაჯაბნა, ვ(ითარ)ცა კურთღელნი ლომად მგონებელნი თავთა თვსთანი. || და
შენ, სამღვდლო პირო და მიზეზო ამის (bis) ყოვლისა კეთილობისაო, რ(ომე)-
ლ(მა)ნცა სამეფო შენი შემოზღუდე უძლეველითა და სოფელსა შ(ინ)ა საკ-
ურველითა რუსეთის ძალითა და პორჭირითა რუსეთის საიმპერატოროს ტახ-
ტისათა, წარგრაგენ სკიბტრა მეფობისა შენისა, რ(ომ)ლითაცა დაამტკიცე საუ-
კუნო მშუდობა და მყუდროება ერისა შენისა. და ამით სრუჰყავ თანამდებობი-
თი იგი შეკრულება შენი, რ(ომ)ლისთვისცა დაგადგინა შენ ლ(მერთმან) თავად
ერისა თვისისა, ამისთვის მადლობადცა მისა უმეტეს ყოველთასა თავი შენი ათა-
ნამდებე და ერისა ამის შენისა მსხვერპლად ქებისად შეწირული მადლობა
მიაართვი ყ(ოვლ)ად მალალსა, რათა შენმეერისა ამის განზრახულისა სიმტკიცე
უკუნისამდე ეგოს როსისისა იმპერიისა ერთობასა შ(ინ)ა და აღსარებასა უმაღ-
ლესისა კელმწიფებისა როსისისა იმპერატოროთასა, ამინ.

2. [სათხოვარი მუხლები]

- ა. მათს უმაღლესობას მეფესა საქართველოსა, კახეთისა და სხვათა გიორგი ირაკლისასა, კელმწიფესა ჩვენსა, დიდ შემძლეოთა და სამღუდლოთა და ერსა მისსა, სურსთ ერთგვის და მარადის მიიღონ ქვეშემვრდომობა ყოვლისა რუსეთის იმპერიისა, შემკრველთა წმიდად აღსრულებად ყ(ოვლ)ისა მის, რააცა აღსრულების რუსეთისა ქვეშემვრდომთაგან, არა უარყოფელთა არა ვითართამე ჰსჯულთა და ბრძანებათა, რაოდენსაცა ძალნი სამეფოსა მისისანი უბრძანებენ და აღიარებენცა ყ(ოვლ)ისა რუსეთისა იმპერატორსა თვსად გვარეულის კელმწიფედ და თვთ მპყრობელად.
- ბ. ყ(ოვლ)ად ქვეშემვრდომებრივ ითხოვს მიღებასა თანა მისისა სამეფოსასა იყოს იგი დატევებულ და შემდგომად მისა მემკვიდრენიცა მის მისნი მეფედ ტახტსა ზედა ხარისხითა მეფობისათა, რომელმანცა ნებითა თვისითა დასდვა თავი და სამეფო თვისი ქვეშემვრდომად ყ(ოვლ)ისა რუსეთის იმპერიისა და აქენდესთ მეფეთა მათ სამეფოსა შ(ინ)ა თვისსა პ(ირვე)ლი მმართველობა სჯულითა მით, რომელიცა მიეცემიან უმაღლესის კარიდამ და თავით თვისით არა შემოიღებენ არა ვითართამე სჯულის დებათა, თვნიერ უსაკუთრესისა ბრძანებისა.
- გ. ნამდვილ უმეტესისა სჯულის დებისა და ქვეშემვრდომობისადმი თანამვრდომობისა მათი უმაღლესობა მეფე ითხოვს საზილებელად ერთგულებისა თვისისა ყ(ოვლ)ად უმოწყალოსობით ებოდოს მას ჯამაგირი და რუსეთსა შ(ინ)ა სოფლები და ოდესცა უხვითა ბოძებითა კმაქმნილი წინაუდებს



სამეფოსა თვისა ყო[ვ]ელსა შემოსავლსა ნებასა ქვეშე მათგანდგებულებისასა, ვ(ითარცა) ინებებს, მუნვე მუნებურისა ახლისა ჩაბრუნება კეთებლად (sic) მ[ო]იხმარების და ამასთან მისაქციელად მუნებურისა მუშაკთა უფროსისა სიყვარულისა და თანამვრობებისა თვისისა კელმწიფისა იმპერატორისადმი მიეცეს რაოდენიცა წელი ინებოს სიმსუბუქე გამოსაღებათა.

- დ. შ(ემდგომად) ყ(ოვლ)ისა რუსეთისაგან ქვეშემვრდომად მიღებისა მეფისა და სამეფოსა მისისა, პირველს დროზედ საჭირო არის მუნ ყოლა ექვსი ათასთა მკედრობისა კაცთა, რ(ომე)ლთაცა დაიპყრან ყ(ოველ)ნი ადგილნი იგი, რ(ომე)ლნიცა იქმნებიან გამორჩეული ჯარის მის მთავრისა მიერ, საჭიროათა შესაბამითა არტილერიითა და სხვათა საჭურველითა დასაცველად მეზობელთა მოტახტალეთაგან წინააღმდეგთა.
- ე. ყ(ოველ)ნი დღეს საქართველოსა შ(ინ)ა მდებარენი ციხენი და სიმაგრენი უნდა იყვნენ დაპყრობილ რუსეთის მკედრობისა და კომენდატთა მათთა მიერ. და უკეთუ ინებებს იმპერატორი ჩვენი, მაშინ რ(ომე)ლნიმე ხარისხნი ქართველთა გვარეულთა აზნაურთაგანნი შეაერთოს მათდამი რაოდენისამე კაცის რიცხვითა.
- ვ. წარგზავნენ ერნი მცოდნენი ქორტიჭიკაციისა და თუ სადამე ითხოვდეს საჭიროება გაკეთებასა ახლად ვითარისამე ციხისა ანუ სიმაგრისასა, ყ(ოვლ)ად უმოწყალესობით ებრძანოს გაკეთება მათი, და მუშაკნი ერნი იშოვებიან ქართველნი და სხვანიცა შერიგებითა მიცემითა განწესებულისა ფასისა მუნებურისა მთავრისა მიერ.
- ზ. მიეცეს უმაღლესი ბრძანება დამრიგებელისა სახითა, პირველს დროს ვ(ითარცა) აზნაურნი, ესრეთვე მდაბალნი, რათა შევიდენ მაღალ მონარხულისა სამხედროსა სამსახურსა შინა, მაგალითისამებრ იმპერიასა შინა დაწესებულისა, რ(ომ)ლთაცა დასაცველად გუშავად მსახურონ სამეფოსა თვისსა ჩვეულებრივისა ჯამაგირითა და ტანსაცმელითა. ხ(ოლო) განსამხნობელად მათდა პ(ირვე)ლგზის გამოუცხადონ, ვ(ითარმე)დ სამოსელი იქმნების მამულთა.
- გ. საქართველოსა შ(ინ)ა მდებარე სხვა და სხვა მადნები ვეცხლისა, ოქროსა და სხვათა ილუკროთა, რ(ომე)ლნიცა არიან დაფარულ მიზეზითა სხვისა სარწმუნოებისა და უსიამოვნოთა მეზობელთათა, გამოსაჩინად მათდა ინებოს წარგზავნა ერთა მცოდნეთა კელოვნების ამის და მუშაკნი გამოცდილნი ამისადმი სამეფოსა შინა იშოვებიან კმად, რ(ომე)ლთაცა განწესოთ სამუშაკოთ ჯამაგირი თვეობით ანუ წლით.
- თ. მეფე ითხოვს, ვ(ითარმე)დ მუნებური სახე მსაქმრელი თეთრისა გადიდდეს, ანუ დაშთეს (პ(ირვე)ლისამებრ. გაკეთდეს ახლანდელის სახით ოქროსი, ვეცხლისა და სპილენძისა თეთრი გამოსახვითა ნიშანთათა პ(ირვე)ლს პირზედ ვენძილი (რთული) იმპერატორისა რუსულისა ზედაწერილითა, და მეორესა — ღერბი საქართველოსა მეფისა ქართულისავე წერილითა, სამეფოსა მის შინავე გამოსულისა და მეზობელთა ადგილიდან მოტანილის ილუკტროებიდამ.
- ი. განსარინებლად და წინასწარვე გასაფრთხილებლად მოყვინებისა პ(ირვე)ლს დროს, ვ(იღრ)ე დაწესდებოდეს ყოველივე და მოყვინებოდეს სრულსა მდგომარეობასა შ(ინ)ა საჭირო პრავიანტი მუნ მყოფის ზემოსენებულის მკედრობისათვის ისყიდებოდეს მუნებურსა ბაზარსა შ(ინ)ა ხმარებულისა ფასით, ანუ აქავე გარდიკვეთოს ფასი მისი სრულ შემძლებელთა თანა.

- ია. დროსა მშვიდობითის ზავის დამტკიცებით შემოსვლისა მეფე ირაკლიანსა მურაზისასა საფარველსა ქვეშე ყ(ოვლ)ისა რუსეთის იმპერიისასა უკეთუ ვინმე დღეს მეზობელთაგანი იკადრებს დაცემასა მათ სა[ზ]ღვრებთა ზ(ედ)ა ვითარითაჲ მიზეზითა, ამისთვის მიცემულ ჰქონდეს ბრძანება სამკედროთა მთავართა ერთად ქართველითურთ შეებრძვნენ || ესრეთსა მძლავრსა შესრულებადმდე საქმისა ამის ლ(ე)თისა სათნოაჲსა, რ(ომ)ლისა შესრულებისა შემდგომადცა არა დააყოვნებს მეფე განცხადებასა წვრილად ყ(ოვლ)ისა მის, თუ რ(ომე)ლს ადგილებამდის განვრცელებულ იყვნენ ძველადვე საზღვარნი საქართველოჲსა სამეფოსანი.
- იბ. მეზობელნი ჩვენნი აღრიბეჟანის ხანნი, ესე იგი განჯისა და ერევნისა ძველისა დროთვე იყვნენ მარადის თანამვრდომობასა და მორჩილებასა ქართველთა მეფეთასა, რ(ომე)ლთა მიერცა იცეებოდენ სხვათა და სხვათა მტერთა მათთაგან, რ(ომე)ლიცა დღედმდე გრძელდებინ. ნიშნად მათისა თანამვრდომობისა მეფეთა საქართველოჲსათა გზავნიდიან წლითი წლად ხარკსა ანუ მოსართმევსა მეფეთა მიმართ და პირისპირ მტერთა არა ძვირად შეჰურვიდიან, ვ(ითარმე)დ სცნობენ დღეს რა იგინი სრულსა და შეურყვევლსა მფარველობასა დიდისა იმპერიისასა, სარგებელთა და კეთილდღეობათა თჳს თჳსთა, ამჟობინებენ იყვნენ თანამვრდომად საქართველოჲსა სამეფოსა, რ(ომე)ლთაცა დაწესება დაეტეოს მეფისა მისდამი იმპერატორის კარიდამ დანიშნულის გვამის მისვლადმდე, რ(ომე)ლიცა რჩევინამებრ მეფისა თანა ძალსაჲსა ქმნა მათისა დაწესებისა, არამედ მისვლად და დამტკიცებადმე ყ(ოვლ)ისა ზემო დანიშნულისა ნება აქვნიდეს მეფესა მას ჟამსა საჭიროებისასა ხანთა მათ მწედ ექმნეს ჯართა ქართლისათა პირისპირ მეზობელთა თანა სწორთა მათთა ზედა.
- იგ. არა თუ ოდენ მეზობელნი, არამედ სხვანიცა მახლობელნი საქართველოჲსადმი ხანნი სპარსეთისანი სცნობენ რა ესევეითარსა კელმწიფისა მოწყალებასა, შეუწყუხებლობასა თავისა თჳსისა და ერთა თჳსთასა არა დააყოვნებენ შუამავლობითა ქართველთათა.
- იდ. საქართველოსა შ(ინ)ა რუსეთის მკედრობისა მთავრისა მიერ მიემცნოს ოსმანთა ახალციხისა ფაშასა, რათა დასცხრეს იგი შეშვებად ლეკთა ათამანის პორტის სამფლობელოჲსა ძლით საზღვართა შ(ინ)ა ქართველთასა და არცა იყოლიოს თჳსთანა ლეკი იგი.
- იე. ყ(ოველ)ნი ქვეშევრდომნი საქართველოსა მეფისანი, ვ(ითარცა) აზნაურნი, სამღვდელონი, ვაჰარნი და სხვანიცა კელოსანი ერნი, დაიწესნენ და მიღებულ იქმნენ თანასწორითა პატივითა, ვ(ითარცა) რუსეთის ქვეშევრდომნი. ||
- ივ. რადგანც არ არის აღწერად ჩ(ვე)ნ შორის ჩვეულებად ერთა სრულებად, ამისთვის ჩ(ვე)ნ არ ძალგვიძს მოხსენება, თუ რაოდენნი სულნი არიან თუთოეულსა სახლსა შინა თავადნი, აზნაურნი, სამღვდელონი, ვაჰარნი და გლეხნი სრულისა სამეფოსანი. აქედამ წარგზავნილი დიდ შემძლე შემწეობითა მეფისათა შეიძლებს წვრილად ყ(ოვლ)ისა აღწერასა და მთართმევს კელმწიფესა იმპერატორსა. უკუეთუ რადმე ბრძანებითა მეფისა ჩ(ვე)ნისათა ჩ(ვე)ნ მიერ მორთმეულთა მუხლებთა ამათ შინა ნაკულეევანებისა აღსარულებლად, მაშინ იგინი მისვლისავე მუნ უმადლესის კარიდამ წარგზავნილის ძალითა ბრძანებისათა ყოვლისავე თჳნიერ უარისა და ტყეებისა მოხდების დაწესება და ჩ(ვე)ნ, მიზეზითა მოშორებისა სამეფო-

სა ჩვენისათა, ყ(ოველ)თა ნივთთა მცირედ მნიშვნელთათვის მოგონება არ
ძალგვიძს.

ჩყ წელსა
ნოემბრის იჟ დღეს
ს.: პეტერბურს.

3. [დამლარავია]

უუდიდებულესსა და უთვითმპყრობელესსა კეისარსა რომისასა და სხვათა
მრავალთა ადგილთა და მფლობელსა და მბრძანებელსა, დიდებულთა და უმაღ-
ლესთა მეფეთა ყ(ოველ)ისა ევროპიისათა, უყოველთადევისსა უწმინდესსა და
უნეტარესსა პაპსა

უმოწყალესთ კელმწიფეთ

უმდბლესი მოხსენება და არზი საქართველოს მეფის ძეთაგან, დედო-
ფალთაგან და ყოველთა სამღვდელთა და ერთა, თავ[ა]დთა, აზნაურთა და
მდაბიოთა ხალ[ხ]თაგან ვედრებით.

წარსრულთა წინაპართა ჩვენთა დროებში სპარსეთს მპყრობელნი მეფენი
ვინადგან ქრისტიანობის მიზეზით იყვნენ მტერ და ძვირის მყოფელ ჩვენდა და
ამის გამო ყოველთვის გვეკონდა ურთიერთის ბრძოლაი, ხან ისინი ძლეულან
ჩვენგან და ხან ჩვენ მადგან და მაგრამ, რ(ომე)ლნიც მეფენი საქართველოსნი
მისრულან მისდა და შეერთებიან, ნიჭი ურიცხვი და თავისი მოტახტეობა ისევ
მიუციათ და მტრისაგანაც დაუფარავთ. ვითარცა ახალსა დროსა მოგახსენებთ,
ოდეს ავშარმა ნადირმან დაიპყრა სპარსეთი ს(რულია)დ და სხვანი სახელმწი-
ფონი, თეიმურაზ ირაკლივიჩს, მეფესა კახეთისასა, უბოძა ქართლი და კახეთი
და მეფეთაც აკურთხებინა და თჳსსა საფარველსა ქვეშე მიიღო¹⁰ და შემდგომად
გარდაცვალებისა მეფისა თეიმურაზისა, სჯულიერი მემკვიდრე მეფე ირაკლი
თეიმურაზიჩ აღვიდა სატახტოსა თჳსსა და ვიდრე ხან მრავალ მართებდა სა-
ქართველოსა სხვათა სპარსთა მოადგილეთა თანა შეერთებისა გამო. და მრავალნი
ხარაბანი და დაქცეულნი დაბნები აღშენდებოდა ამისთჳს უფრო მე-
ტად, ვინადგან დიდი სულთანიც მოწყალე იყო მეფისა ჩვენისა. ჟამსა ამასა
შინა მყუდროებით ცხოვრებისა ჩვენისასა მოგვებოძნეს წერილნი და ელჩნი
მისისა დიდებულებისა დ(ვ)თისადმი განსვენებულისა იმპერატორის ეკატერინ-
ა ალექსივნასაგან პირისპირ თხოვნა მეფისადმი ჩვენისა, რათა მეფე ირაკლი
შემოვიდეს საფარველსა ქვეშე რუსეთისასა და მან აღუთქვა დრამატიით და
სხვითა წერილებით, რომელნიც რომე ნაწილნი საქართველოსანი იყვნენ სხვი-
სა მონებჳსა შინა, ანუ თავისუფალი, ყოველსავე დაიპყრობდენ შეწვენითა
მხედრობათა თჳსთასა და უკმოსცემდენ უკანვე მეფესა ჩვენსა. თუმცა ესე
განსჭვრიტა მეფემან და ერმან ჩვენმან სხვა სახედ, მაგრამ იძულებულნი იძ-
ლივნენ. და შემოვიდა საფარველსა მათისა იმპერატორებისასა და რაიცა დაი-
ფურძნა (sic) მას ჟამს ტრაკტ[ატ]სსა შინა წე(რი)ლსა (?) ორისავე მხრიდამ, ესე
ყოველივე თქვენცა გექნებათ მოხსენებული. რა ესე სცნა თურქთა სულთან-
მან, არა ფრიადსა იტესა შინა შევიდა და უბრძანა ფაშასა ახალციხისასა სუ-

¹⁰ დედანში ჩამატებული და შემდეგ გადახზულია: „და მას აქეთ თითქმის უზრუნველობა იპო-
ვბოდა საქართველოსა შინა, ვიდრე...“



ლეიშან ათაბეგსა მოწოდება დაღისტნელთა ლაშქართა და სხვათა თათართა, რომელიცა მოაწიეს ჩვენსხელა ომარხან და სხვანი მხედრობანი. წარტყვევნისა მტაცებელთა მათ მადანსა ჩვენსა მყოფნი ბერძენნი და მოსრნეს სხვანიცა ნაწილი ზემო ქართლშია თავადთა აბაშიძეთა — ვახანი, რომელ თავადნიცა იგი ტყვე იქმნენ და სხვანიცა, ვიდრე ორსავე ადგილსა შინა მოსწყდეს და ტყვე იქმნენ სულნი ვიდრე ხუთი ათას ხუთასამდე და ერთიცა არა გამოხსნილ იქმნენ ტყვეთა მათთაგანი შეწვევითა დიდებულებისა მისისათა თეთრით ანუ სიტყვით და შემდგომსა ქაში უკუნ იქცნენ მხედრობანი რუსისანი და მოვიდნენ მამულად თვსად. შემდგომად ხნისა რაოდენისამე, ოდეს დაიპყრა სპარსეთი აღამათხან ყაჯარმან, იგიცა მეცადინეობდა ვ(ი)თარცა პირველ იყვნენ შეფენი საქართველოსანი სპარსთა მონებასა შინა. მაგრამ მეფემან ირაკლი არა ჯერ იჩინა მისი თავისა დადება, რადგან თავისი სასობა აქვმნდა რუსეთისა იმპერატოროთა თანა. ამისი მსმენელი აღამათხან აღიძრა მხედრობითა თვისითა და მოვიდა ყარაბაღად და წარმოუვლინა მეფესა ირაკლის თეიმურაზის ძესა, რათა გაუერთდეს მას. და ესე ყოველი თხოველი მისს დიდებულებას იმპერატორს ეკატერინას აღუქსოვნას მოახსენა მეფემან ირაკლი და ლინის მთავარს ლუდოვიჩსაც აცნობა და კელმწიფისაგან ჯარისა შეწევნა ითხოვა ესრეთ: თუ შემწე მექმნებით, მტერი ჰა ახლოაო, და თუ არა, დასტური მომეციო, გავრიგდო, ვინადგან ფიცითა ვართ ერთი მეორესთან შეკრულიო. მაგრამ მან მთავარმან ლინისამან კელმწიფის შეწევნა და ჯარის მოხმარება აღუთქვა და სპარსთა შეერთება დაუშალა. ამისი მსმენელი მეფე მიენდო ყ(ოვლა)დ მოწყალის კელმწიფის ნებას. მოვიდა აღამათხან, იძლია მეფე და აღიღეს ქალაქი და წარტყვევნეს და მოკლეს ვიდრე ოცი ათას სულამდე და მეფისა და სხვათა ურიცხვი ნიეთეული წარიღეს, ეკლესიანი დაწვეს, დააქციეს და სრულიად ქალაქი აღაოხრეს, მაგრამ მაშინაცა ერთი ტყვე არ დახსნილა ამ კელმწიფეთაგან. შემდგომად ხნისა რაოდენისა გასვლისა და უკან ქვევისა მათისა ერთი ნაწილი ჯარისა გამოგზავნა—ზუბოვი დარტბანდსა შინა და იყვნენ ერთ წელ ჩვენად ურგებად. და ამა ქამსა შინა კ(ვალა)დ(ვ)ე უქმობრუნდა უკან აღამათხან და კელმწიფეცა ეკატერინა გარდაიცვალა. რუსეთის მხედრობაც უქმოიქცა და აღამათხანმა დაიპყრა ყარაბაღი, შუშის ციხეც აიღო და ვიყავით თითქმის განწირულ, რომელ ყ(ოვლა)დ ძლიერმან ლ(მერ)თმან გვიხსნა ესოდენ ქრისტიანენი, ვითარცა ივლიანეს კელისაგან და მოკლეს აღამათხან, და ვიყავით ჩვენ მყუდროებით. ქამსა ამასცა გარდაიცვალა მეფე ირაკლი და დასჯდა სჯულიერი მემკვიდრე გიორგი ირაკლივიჩ მეფედ და მოხსენდა მათსა დიდებულებას ლ(ვ)ითისადმი განსვენებულს პავლეს პეტრეს ძესა და მან კელმწიფემან პავლე წარმოსცა სამეფო ნიშნები და ღრამატა მოწყალეებისა და მხედრობა და მემკვიდრე[ობა]ც მისი დავით გიორგივიჩს დაუმტაცია. რომელ ესე ყოველივე მიიღო მეფემან ჩვენმან და ამა ქამსა შინა კ(ვალა)დ მოიწიენეს ელჩნი მეფისა თანა სპარსეთით ბაბახანისანი და ითხოვდა ქვეშევრდომობასა მეფისასა და აღუთქვიდა დიდსა მოწყალობასა და ქალაქთა და დაბნებთა ბოძებასა. რა განიხილა ესე მეფემან გიორგი ვითარ აქეთ რუსნი მეცადინეობენ და იქით სპარსნი საქართველოს მეფის ქვეშე შევრდომასა, მაშინ თავისი სასოება მიანდო ლ(მერ)თსა და რუსეთისა კელმწიფე პავლე ელჩისა წინაშე აღიარა თვსად მფარველად და თვსად კელმწიფედ, დასწრებითა რუსეთისა მხედართმთავართათა და იგი ესევეითარისა ხატითა უკუნ აქცია. რადგან ეს განიხილა მეფემან ჩემმან უზაკველისა გულითა, მოინდომა მანცა რუსებთა თანა შეერთება და მოართვა წერილნი და წარმოავლინა თვისი ყმა თა-



ვადი კახეთისა ქავეკავამე გარსევან და ორნი მასთან დანიშნულნი სხვათაგანს
 ვადნი ავალოვი გიორგი და ფალავანდოვი ელიაზარ მის დიდებულებთან
 ლესთან და სთხოვა ესრეთ თოთხმეტი პუნქტი საუკუნოდ ამასახით შესვლია
 რუსეთთა თანა.

1. [სურს საქართველოს მეფესა გიორგი ირაკლივიჩს ქვეშევრდომა რუ-
 თის კელმწიფისა საქართველოსა საფარველსა ქვეშე ერთგვის და მარა-
 დის]¹¹. ვინაგდგან სპარსთა მეფესა ყავს ოთხი ვალი, ესე იგი მეფე: 1 არა-
 ბისტანისა, 2 ლორისტანისა, 3 ქურთისტანისა, 4 საქართველოსი, რომელ ესენი
 არიან საფარველსა ქვეშე სპარსთასა, მე მსურს სახითა ამით მიღება, რო-
 მელ, რაიცა აღესრულების რუსეთსა შინა არაუარყოფელთა სჯულთა და
 ბრძანებათა, რაოდენიცა ძალუთ ქართველთა მეფეთა და ერთა აღსრულე-
 ბად და ჩვენად გვარეულს კელმწიფედცა აღიარებსა, მემკვიდრითი მემკვიდ-
 რედ.

2. ითხოვს მეფე ქვეშემოვრდომობით, ვინადგან სპარსთაგან გამოვალ და
 თქვენდა მოვალ ნებითა ჩემითა, მე ვიყო დატ[ე]ვებულ ვითარცა ვარ მეფე
 ქართლისა, კახეთისა და სხვათა და აგრეთვე მოსაყდრენი ჩემნი მემკვიდრითი
 მემკვიდრეთ მეფედ ქართლისა და კახეთისა და მართებდენ ივინი ვითარსაც
 სჯულსა და კანონსა მისცემთ მანდედგან, რამეთუ სპარსნიცა ესევეთარისა ზა-
 ტითა გვიბრძანებდენ მოქცევასა.

3. მათი უმაღლესობა მეფე ითხოვს სამხილებლად სპარსთა ერთგულობი-
 სათვის მისისა დიდებულებისა ყ(ოვლა)დ უმოწყალებესობით ებოძოს რუსეთში
 ოცდა ათი ათასი სული ყმა და ოცი ათასი თუმანი ჯამაგირი თეთრი. ამისთვის,
 ვინადგან სპარსთა მეფისაგან გვქონდა ერევანი და განჯა თითო სახანო მო-
 ცემული და აგრეთვე ჯამაგირი, რომელ მისისა სამუქაფოდ გვებოძოს, რომელ
 არა საკიცხვარ ვიქმნეთ ჩვენთა მტერთა მეზობელთაგან.

4. საქართველოს ერის გამოსაღებს წინაუდებს მათსა დიდებულებასა,
 ვინადგან სპარსთა მეფენიცა ეგრეთ ყოფდენ და თვსთვს აღიებდენ და თუ ამ სა-
 ქართველოს შემოსავალით ისევ ქართველთ ჯარის დაწყობას ინებებს || კელ-
 მწიფე, უფრო დიდი მოწყალება იქმნება.

5. ვინადგან ქართველთა ერნი მტრის გამო არიან შეწუხებულნი, მუნე-
 ბურს ერს მიეცეს სიმსუბუქე ხარჯის გამოსაღებათა.

6. რადგან ჩვენდა კელმწიფედ აღვიარეთ იმპერატორი, საჭიროა პირველ
 ჟამ ყოფნა რუსეთის მხედრობისა ექვსი ათასისა კაცისა, რომელ მტერისა
 შემოსავალნი ადგილნი დაპყრობილ იყვნენ მადგან.

7. უეჭველობისა და უფრო ერთგულების დასამტკიცებლად საქართვე-
 ლოს სამეფოს და სხვათა ციხეებთა შინა იდგეს მხედრობა რუსისაცა და ქარ-
 თველისაცა, რაოდენიც რომ ჯერარს.

8. წარმოიგზავნენ მცოდნენი ქორთეკაციისანი (sic) და, სადაც ამკობი-
 ნონ, კვალად სხვა ახალი ციხე, ვითარისა სახითა ენებოსთ, გააკეთონ და მუ-
 შაკთ ფასი მიეცეს სახელმწიფოდამ, ვითარცა ჯერარს.

9. მიეცეს ბრძანება ესრეთ, რომელთაც აზნაურთა და გლეხთა მოინდო-
 ნონ ჯარში შემოსვლა და თვსთა ქართველთა პოლკთა გაკეთება, მაშინ მიეცეთ
 მათ ჯეროვანი ჯამაგირი და ტანისამოსი იყოს ისევ მამულისავე.

10. საქართველოში მდებარენი მადნები სხვადასხვა გვარნი: ვერცხლისა,

¹¹ ეს სიტყვები დედანში გადაშლილია.



ოქროსი, სპილენძისა, რკინისა და სხვათა ილეკროთა, რომელნიცა მიზნით არიან დაფარულნი, ინებოს კელმწიფემან ერთა მცოდნეთა ნებისათა წარგზავნა და ამუშაონ თვისითა ფასითა და იქილამ რაც ენებებოდეს კელმწიფეს, ებოდოს წილი საქართველოს მეფესაცა. უკუეთუ არა და თვით მოიხმაროს კელმწიფემან.

11. მეფე ითხოვს, ვითარმედ მუნებური თეთრი ანუ გადიდდეს და ანუ პირველისამებრ ეგოს. ოქრო-ვერცხლი თუ სპილენძი ერთსა უკვე (sic) პირსა ზედა დაკრან სიქა ვენძილი (რთული) იმპერატორისა რუსულისა ზედაწერილით, ხოლო მეორესა პირსა ზედა ქართველ მეფისა ღერბი ისევ ქართულის წერილით, ესე თეთრი, რომელიც საქართველოსა შინა მოიქრას უცხოთ მოტანილისა თუ თავეთი ილეკტროსი.

12. რაც რომე მუნ მყოფთ მხედართ პრავიანტი და ფურაჟი მოუნდესთ, როგორც მუნ ფასობდეს, ის ფასი მიეცეს ხალხთა და ესე იყიდონ. ||

13. უკეთუ დღეს ვინმე სპარსნი ანუ თურქნი, გინა სხვა მტერნი იკადრებენ კიდე ლაშქრითა მოსვლასა და არ ძალ გვედვას იმა ჯარითა მათი ომი, ნება ჰქონდეს ლინის მთავარსა, რომე სხვა ჯარი მოგვანხმაროს და აქ მყოფთაცა მხედართ მთავართ ჰქონდეთ ბრძანება, რომელ ჩვენცა ჩვენისა ჯარით ერთად შეკრებულნი მინდობითა ღ(ვ)თისათა წინა აღუდგეთ ჩვენზედა მომსგრელთა მტერთა.

14. საქართველოდამ რუსეთის მხედრობის მთავრისაგან მიეცეს მცნება ოსმანთა ახალციხის ფაშასა, რათა აღარ უტეოს ლეკნი თუსთა მამულთა და არც რაფრით კელი მოუმართოს, ვინადგან არა დასცხრებიან იგინი მუნიდგან ბოროტებასა.

15. მეზობელნი ჩვენნი აღრიბეჯანის ხანნი — ესე იგი ვანჯისა, ერევნისა, ესენი იყვნენ ძველადგან დროთვე თანავრდომობასა და მორჩილებასა ქართველთ მეფეთასა და იცებოდნენ სხვათა და სხვათა მტერთა მათთაგან და გზავნიდნენ მეფისა თანა წლითი წლად ხარკსა და ანუ მოსართმევთა მეფეთა მიერ და ახლა ვინადგან არიან იგინი მფარველობასა ბაბა-ხანისასა, უკეთუ დაინახონ მათ ჩვენზედა კელმწიფისა ეს გვარი მოწყალება და მათ მოინდომონ მოსვლა ისევ ჩვენდავე, აქენდეს მეფესა ნება, რათა შემწე ექმნას მათზე მომსვლელთა მტერთა ზედა, რათა იგინი პირველისამებრ დაშთენ ჩვენ კერძო და მათთაც მიიღონ კელმწიფის საფარველი.

16. ოდეს სცნობენ ჩვენნი გარეგანნი მეზობელნი ხანნი თუ სხვანი მთავარნი სპარსეთისანი ესევეითარსა მოწყალებასა კელმწიფისასა საქართველოს მეფესა და ერთა ზედა, შეუწუხებლობასა თავისი თვისისასა, არა დააყოვნებენ შუამდგომლობასა მეფისასა თქვენდამი და უკეთუ მწადნოე გამოჩნდეს ვინმე, შუამდგომლობითა ჩვენითა მიიღეთ.

ყოველნი ქვეშევრდომნი საქართველოსა მეფისანი: მეფენი, მეფის ძენი, თავადნი, სამღვდელონნი, აზნაურნი და ვაჭარნი — ესე ყოველნი თავისა შესაბამითა პატივითა¹² პატივცემულ იყვენენ აქაცა და რუსეთსაც შინა.

¹² დედანში ამაზე მიწერილია: „შემოსვლად საფარველსა ქვეშე თქვენისა დიდებულებისა მაშინ...“

НЕСКОЛЬКО ДОКУМЕНТОВ, СВЯЗАННЫХ С РУССКО- ГРУЗИНСКИМИ ВЗАИМООТНОШЕНИЯМИ

Резюме

Публикуются три документа, связанных с русско-грузинскими взаимоотношениями в конце XVIII в. Один из них является текстом торжественной речи, произнесенной ректором Телавской семинарии, архимандритом Гайозом 20 августа 1783 г. в Сионском кафедральном соборе в связи с заключением между Россией и Картлийско-Кахетинским царством дружественного трактата. Второй и третий документы представляют собой тексты «просительных пунктов» Георгия XII, содержащих условия вступления Картлийско-Кахетского царства в подданство России.

Публикуемые документы наглядно свидетельствуют о тенденции политических кругов Картлийско-Кахетинского царства к сближению с Россией, что в конечном итоге привело к присоединению Грузии к России.

რ ე ს ე ნ გ ი ე ბ ი

ციალა ჟურნალი

ორი საუბრადღებო გამოკვლევა არსენ იყალთოელის ღვაწლის
შესახებ კანონიკურ მწერლობაში

რეცენზია ეხება ე. გაბიაშვილის ორ ნაშრომს, რომელთაგან ერთი „დიდი სჯულისკანონის“ გამოცემას ერთვის შესავალი წერილის სახით¹, ხოლო მეორე წარმოადგენს მონოგრაფიას რუის-ურბნისის კრების „ძეგლისწერაზე“².

სამეცნიერო ლიტერატურაში გარკვეულია, რომ „დიდი სჯულისკანონი“ არის თარგმანი IX საუკუნის მიწურულს (883 წ.) ჩამოყალიბებული ბერძნული 14-ტიტლოვანი ნომოკანონისა, რომელიც საუკუნეების მანძილზე მთელი მართლმადიდებლური სამყაროსათვის ძირითადი კანონიკური კოდექსი იყო. რუის-ურბნისის კრების „ძეგლისწერა“ კი დავით აღმაშენებლის ეპოქაში, რუის-ურბნისის საკლესიო კრებაზე, შემუშავებულ კანონთა კრებულის სახელწოდებაა.

ე. გაბიაშვილის ხსენებულ ნაშრომებს აერთიანებს ის, რომ „დიდი სჯულისკანონი“ და რუის-ურბნისის „ძეგლისწერა“, რომელთაც ეს ნაშრომები ეხება, ორივე სამართლის ძეგლია, ორივეს შექმნა არსენ იყალთოელის სახელს უკავშირდება (პირველი ე. გაბიაშვილმა არსენ იყალთოელის თარგმანად მიიჩნია, მეორე კი მის ორიგინალურ თხზულებად) და, რაც მთავარია, და რაც ე. გაბიაშვილის მნიშვნელოვანი მიგნებაა, „ძეგლისწერა“ არის „დიდი სჯულისკანონის“ გათვალისწინებით და გავლენით შექმნილი ძეგლი.

„დიდი სჯულისკანონი“ და რუის-ურბნისის კრების „ძეგლისწერა“ კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის თანამშრომლებმა ე. გაბიაშვილმა, ე. გიუნაშვილმა, მ. დოლაქიძემ და გ. ნინუამ 8 უძველესი ხელნაწერის (XII—XIV სს.) მიხედვით გამოსცეს. წიგნის რედაქტორი და ვრცელი შესავალი წერილის ავტორი, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, არის ე. გაბიაშვილი.

თუ მანამდე „ძეგლისწერა“ რამდენჯერმე იყო გამოცემული, „დიდმა სჯულისკანონმა“ ამ გამოცემით დღის სინათლე პირველად იხილა. ახდა წინა თაობის მეცნიერთა (ვ. ბენეშევიჩი, ივ. ჯავახიშვილი, კ. კეკელიძე, ილ. აბულაძე) უდიდესი სურვილი. აღსანიშნავია, რომ გამომცემლებმა ამ წიგნის სათანადო მეცნიერულ დონეზე მომზადებისათვის არ დაიშურეს ცოდნა, დრო და ენერ-

¹ დიდი სჯულისკანონი, გამოსაცემად მოამზადეს ე. გაბიაშვილმა, ე. გიუნაშვილმა, მ. დოლაქიძემ, გ. ნინუამ, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბ., 1976 წ.

² ე. გაბიაშვილი, რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერა, ფილოლოგიურ-ტექსტოლოგიური გამოკვლევა, გამომც. „მეცნიერება“, თბ., 1978.

გია და შედეგად მივიღეთ XI—XII სს. სამართლის ძეგლების ისეთი პუბლიკაცია, რომელიც ტექსტის გამოცემის მაღალ სტანდარტებს უზამს. „დიდი სჯულისკანონი“ (ასე ეწოდება „დიდი სჯულისკანონისა“ და „ძველსჯულისის“ „ძეგლისწერის“ ამ ერთობლივ გამოცემას) ხელნაწერთა ინსტიტუტის გამოცემათა შორის საუკეთესო წიგნად შეიძლება ჩაითვალოს. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ „დიდი სჯულისკანონის“ გამოცემის მაღალი მეცნიერული დონე, პირველ რიგში, სწორედ ე. გაბიაშვილის მიერ ჩატარებულმა ღრმა ფილოლოგიურ-ტექსტოლოგიურმა ანალიზმა უზრუნველყო.

ე. გაბიაშვილის შესავალ წერილს რუსული რეზიუმითურთ წიგნის ასამდე გვერდი უჭირავს და შემდეგი თავებისაგან შედგება: 1. ზოგადი ცნობები 14-ტიტლოვანი ნომოკანონის შესახებ, 2. ქართული კანონიკური მწერლობა XI ს. ბოლომდე, 3. „დიდი სჯულისკანონის“ თარგმნის დრო და მთარგმნელის ვინაობა, 4. „დიდი სჯულისკანონის“ შედგენილობა, 5. „დიდი სჯულისკანონის“ შემადგენელ ნაწილთა ფილოლოგიური ანალიზი, 6. „შეისწავენი“, „სხოლონი“ და სხვადასხვა შენიშვნები, 7. „დიდი სჯულისკანონი“ და რუის-ურბნისის კრების „ძეგლისწერა“.

წიგნის შესავალში ცალკეა განხილული ტექსტის გამოცემასთან დაკავშირებული ტექნიკური საკითხები (გვ. 81—83) და ცალკეა მოცემული ხელნაწერთა მოკლე აღწერილობაც (გვ. 83—91).

შესავალ წერილში, როგორც მისი ცალკეული თავების სათაურებიდანაც ჩანს, ძირითადად „დიდი სჯულისკანონის“ ფილოლოგიურ-ტექსტოლოგიური საკითხებია განხილული, მეორე თხზულებას — რუის-ურბნისის კრების „ძეგლისწერას“ იმის გამო, რომ მისი კვლევა ცალკე ჰქონდა განზრახული, ავტორი აქ მოკლედ, გამოკვლევის მხოლოდ ბოლო მე-7 თავში ეხება.

„ძეგლისწერისადმი“ მიძღვნილ ნაშრომს, რომელიც 1978 წ. გამოაქვეყნა „ძეგლისწერის“ ახალ პუბლიკაციასთან ერთად, ე. გაბიაშვილმა ფილოლოგიურ-ტექსტოლოგიური გამოკვლევა უწოდა, მაგრამ მასში ფილოლოგიურ-ტექსტოლოგიურ საკითხებთან ერთად ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი, ლიტერატურული და იურიდიული საკითხებიც ისე სრულად და ზედმიწევნითაა განხილული, რომ ამ წიგნს თამამად შეიძლება მონოგრაფია ეწოდოს.

„დიდი სჯულისკანონის“ შესავალ წერილში ამ ძეგლის ფილოლოგიურ-ტექსტოლოგიურ ანალიზს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, პირველი ექვსი თავი აქვს დათმობილი.

პირველი თავი ეძღვნება ზოგად მიმოხილვას იმ კანონიკური კრებულები-სას, რომელთაც პირდაპირი კავშირი ჰქონდათ 14-ტიტლოვანი ნომოკანონის 883 წლის რედაქციის ფორმირებასთან. მოტანილია საყურადღებო ცნობები იმის შესახებ, თუ ქრისტიანობის ადრეული პერიოდიდან მოკიდებული IX ს. მიწურულამდე რა სახის კანონთა კოდექსები არსებობდა და როგორ ყალიბდებოდა მართლმადიდებლური ეკლესიის კანონთა ეს კრებულები.

მეორე თავში განხილულია საკითხი, თუ კანონიკური მწერლობის რატორადიციები უძღოდა ამ ძეგლის თარგმნას საქართველოში. ე. გაბიაშვილის ვარაუდით, რომელიც ქართულ საისტორიო წყაროებში შემონახულ ზოგადი ხასიათის ცნობებს ემყარება („გრიგოლ ხანცთელის ცხოვრებაში“ დაცული ცნობა ჯავახეთის საეკლესიო კრების შესახებ, ცნობა ღრტილის კრების შესახებ და სხვ.), ქართულ ენაზე X საუკუნემდეც უნდა არსებულებოდა როგორც ორიგინალური, ისე განსაკუთრებით ბერძნულიდან ნათარგმნი მნიშვნელოვანი

კანონიკური ძეგლები, რომელთაც „ქართული კანონიკური მწერლობის ჩამოყალიბებაში თავიანთი წვლილი უნდა შეეტანათ“ (გვ. 12).

ირკვევა, რომ ჩვენამდე მოღწეულ თარგმნილ კანონიკურ ძეგლთაგან უძველესია „მცირე სჯულისკანონი“, რომელიც ექვთიმე მთაწმიდელმა შეადგინა X საუკუნეში მის მიერ ბერძნულიდან ნათარგმნი სხვადასხვა კანონიკური სტატიის საფუძველზე. რაც შეეხება ორიგინალური კანონიკური მწერლობის ძეგლებს, XII ს. დამდგამდე მათ საერთოდ ვერ ვხვდებით. როგორც გაბიძაშვილი წერს: „ამ მხრივ ბედნიერ გამონაკლსად რუის-ურბნისის 1105 წლის საეკლესიო კრების „ძეგლისწერა“ უნდა ჩაითვალოს (გვ. 13). ნაშრომში აქვე ჩამოთვლილია კანონიკური ხასიათის სტატიები, რომლებიც ექვთიმე და გიორგი მთაწმიდელებს აქვთ ნათარგმნი.

„დიდი სჯულისკანონის“ გადმოთარგმნის დროისა და მთარგმნელის ვინაობის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა (ვ. ბენეშევიჩი, ივ. ჯავახიშვილი, კ. კეკელიძე). ეს საკითხები განხილულია ნაშრომის მე-3 თავში. ე. გაბიძაშვილი მთარგმნელის ვინაობის საკითხში კ. კეკელიძის თვალსაზრისს იზიარებს და ძეგლს არსენ იყალთოელის თარგმანად მიიჩნევს, სავსებით მართებულად უტყბადებს რა ნდობას ქუთ.-25 ხელნაწერზე დართულ გრიგოლ ჩახრეხაისძის ანდერძს.

ძეგლის გადმოთარგმნის დროის შესახებ კი ე. გაბიძაშვილი ყველა მკვლევარისაგან განსხვავებულ თვალსაზრისს გვთავაზობს. იმ მნიშვნელოვანი ფაქტის აღმოჩენის საფუძველზე, რომ „ძეგლისწერას“ „დიდი სჯულისკანონის“ ქართული თარგმანით სარგებლობის კვალი ატყვია, იგი სავსებით დამაჯერებლად ამტკიცებს, რომ „დიდი სჯულისკანონი“ თარგმნილია XI ს. მიწურულში, ან XII ს. პირველ წლებში, რუის-ურბნისის კრების მოწვევამდე, ე. ი. 1105 წლამდე.

სავსებით მისაღებია გამოკვლევაში მოცემული ვარაუდი იმის თაობაზეც, რომ „დიდი სჯულისკანონის“ ქართულად თარგმნა რუის-ურბნისის კრების მოწვევასთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული და რომ არსენ იყალთოელს იგი დავით აღმაშენებლის დაკვეთით უნდა ეთარგმნა.

ე. გაბიძაშვილი კ. კეკელიძის ადრე გამოთქმულ მოსაზრებას უჭერს მხარს, როდესაც დაასკვნის, რომ „დიდი სჯულისკანონის“ წინამდებარე თარგმანი წარმოადგენს 14-ტიტლოვანი ნომოკანონის ერთადერთ ქართულ თარგმანს, რომ არც მანამდე და არც შემდეგ კანონიკური მწერლობის ეს ძეგლი არავის უთარგმნია“ (გვ. 19).

„დიდი სჯულისკანონის“ ტექსტი სამი ნაწილისაგან შედგება: შესავალი, სისტემატური ნაწილი და კანონთა ტექსტები, ანუ ძირითადი ნაწილი. ძეგლის შედგენილობის საკითხი განხილულია ნაშრომის მე-4 თავში: გამოვლენილია და ძირითადად ახსნილიც ის განსხვავებები, რაც ტექსტის შედგენილობის თვალსაზრისით არსებობს, ერთი მხრივ, „დიდი სჯულისკანონის“ ნუსხებს შორის, და მეორე მხრივ, ამ ნუსხებსა და ბერძნულ წყაროს შორის.

მე-5 თავში მოცემულია „დიდი სჯულისკანონის“ შემადგენელი ნაწილების ფილოლოგიური ანალიზი ცალ-ცალკე.

„დიდი სჯულისკანონის“ ხელნაწერების შესწავლისა და მათი ბერძნულ წყაროსთან შეჯერების საფუძველზე ნაშრომში გამოყოფილია ტექსტზე მუშაობის სამისაფეხური: ABCDF ხელნაწერებში დაცულია თავდაპირველი თარგმა-

ნი, E ხელნაწერი შევსებულია შემდეგში სამოქალაქო კანონების ახალი თარგმანით, რომელთა გადმოღებაც თავის დროზე არსენ იყალთოელს მიზანშეწონილად არ მიუჩნევია, G ხელნაწერი კი იმეორებს რა ძირითადად E ხელნაწერს, ბერძნულ წყაროსთან თავიდან შეჯერების კვალსაც ავლენს.

ნაშრომის ამ ნაწილის (მე-4—5 თავები) განხილვისას განსაკუთრებით კარგად ჩანს ე. გაბიძაშვილის განსწავლულობა ძველ ქართულსა და ძველ ბერძნულ ენებში, ისტორიისა და სამართლის ისტორიის საკითხებში და, რაც მთავარია, ჩანს ხელნაწერებზე მუშაობის დიდი გამოცდილება. მკვლევარი ტექსტის ყოველ მონაკვეთს, ყოველ დეტალს ცალ-ცალკე ჩხრეკს, სწავლობს, აწამებს სხვა ხელნაწერებსა და წყაროსთან, რადგან იცის, რომ ესაა ტექსტზე მუშაობის აუცილებელი პირობა, უამისოდ გამოსაცემი ტექსტი შერყვნისა და დამახინჯებისთვისაა განწირული.

ასე მაგ.: ამ გზით გარკვეულია, რომ 1. სტატიები „განწესებანი... პავლესნი“ და „განწესებანი... ბეტრე და პავლესნი“, რომლებითაც იწყება „დიდი სჯულისკანონის“ A და G ხელნაწერები, არსენ იყალთოელს არ უთარგმნია (წინააღმდეგ ბენეშევიჩის ვარაუდისა), მათი თარგმანი ეკუთვნის G ხელნაწერის რედაქტორს და ეს თარგმანი უძველეს A ხელნაწერში მოგვიანებით, XVII საუკუნეშია შეტანილი.

2. სტატია, „შეკრებაჲ კანონთა საეკლესიოთაჲ, განყოფილი ათოთხმეტ ნაწილად“, რომლითაც იწყება „დიდი სჯულისკანონის“ ქართული თარგმანის ტექსტი უძველეს ხელნაწერებში, სინამდვილეში წარმოადგენს იოანე სქოლასტიკოსის 50-ტიტლოვანი კანონიკური კრებულის შესავალს, რომელიც გარკვეული მოსაზრებით 14-ტიტლოვანი ნომოკანონის მრავალ ბერძნულ ხელნაწერს ახლავს. გაბიძაშვილის ახსნით, ქართველმა მთარგმნელმა 14-ტიტლოვანი კანონიკური კრებულის ამ წინასიტყვაობაში აღნიშნული ს. ს. ს. (50 ტიტლოსი) გადამწერის უნებლიე შეცდომად მიიჩნია და ამიტომაც შეასწორა „ათოთხმეტ ნაწილად“ (გვ. 39).

3. „დიდი სჯულისკანონის“ სისტემატურ ნაწილში გამოვლენილია რედაქციული სხვაობა ABCDF ხელნაწერებსა და EG ხელნაწერებს შორის, რაც მდგომარეობს იმაში, რომ ABCDF ხელნაწერებში სამოქალაქო სამართლის კანონები ბერძნულ წყაროსთან შედარებით შეკუმშული სახითაა წარმოდგენილი, EG ხელნაწერებში კი ეს კანონები იმ სისრულით გვხვდება, როგორაც 14-ტიტლოვანი ნომოკანონის ბერძნულ ხელნაწერებშია. გ. ნინუას გამოკვლევის გათვალისწინებით („დიდი სჯულისკანონის“ სისტემატური ნაწილი, მრავალთავი, III, გვ. 15—17), რომელიც ამ ორი რედაქციის ენობრივ ანალიზს ეხება, ე. გაბიძაშვილს გარკვეული აქვს, რომ ABCDF ხელნაწერებში დაცულია თავდაპირველი თარგმანი, EG-ში კი გაცილებით გვიანდელი.

ტიქსტთან დაკავშირებით ამგვარი დაკვირვებები სარეცენზიო ნაშრომში სხვაც ბევრია. თუ ქართული ტექსტის რაიმე თავისებურებას ბერძნულ გამოცემებში ახსნა არ ეძებნება, მკვლევარი ბერძნული ხელნაწერების განსხვავებულ წყაობებს მიმართავს ხოლმე და იქ ეძებს ქართული თარგმანის თავისებურების სათავეს.

ასე მაგ.: 1. ნეოკესარიის კრების კანონთა რიცხვი „დიდი სჯულისკანონის“ შესავალში 14-ია დასახელებული, ძირითად ტექსტში კი ჩამოთვლილია 15. ამ შეუსაბამობის მიზეზისათვის ე. გაბიძაშვილს ბერძნული 14-ტიტლოვანი



ნომოკანონის პირველი (VII ს.), და ბოლო (883 წ.) რედაქციების შედგენის პირებით მიუკვლევი.

2. როგორც „დიდ სჯულისკანონში“, ისე „ძეგლისწერაშიც“ წიგნის მკითხველის ასაკი განსაზღვრულია 8 წლით, რაც გადამწერის შეცდომაა. „ძეგლისწერის“ კანონების კვლევის დროს ეს ფაქტი მცდარი დასკვნების გამოტანის საფუძველი გახდა (ივ. ჯავახიშვილი, ვ. აბაშიძე). ე. გაბიაშვილის მიერ ამ ორი ძეგლის ტექსტოლოგიურმა ანალიზმა და შედარებამ ბერძნულ ხელნაწერებთან ეს შეცდომაც გაასწორა. იხ. აგრეთვე ლანგარის კრების ეპისტოლეში ჩართული კანონთა რაოდენობის დასახელებაში განსხვავების მისეული ახსნა (გვ. 66) და სხვ.

ასე გამოწვლილვით აქვს შესწავლილი ე. გაბიაშვილს მთელი „დიდი სჯულისკანონის“ ტექსტი თავიდან ბოლომდე. საგანგებო აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ ტექსტის ამ მეთოდით შესწავლა თვითონ ბერძნული წყაროს 14-ტიტლოვანი ნომოკანონის კვლევისთვისაც შედეგების მომცემი აღმოჩნდა (ასე მაგ. ქართულმა თარგმანმა გარკვეული მასალა მოგვცა 14-ტიტლოვანი ნომოკანონის უძველესი რედაქციის შედგენილობის დასადგენად).

ნაშრომის ბოლო მე-6 თავი ეხება სხვადასხვა სახის მინაწერებს, რომლებიც ხელნაწერების კიდებზეა დაცული „შეისწავნის“ „სხოლიონისა“ და სხვა შენიშვნების სახით, ეს შენიშვნები „დიდი სჯულისკანონის“ გამოცემაში სავსებით მართებულად სქოლიოებშია მოთავსებული. როგორც ირკვევა, მათი დიდი ნაწილი ბერძნული ანალოგიური შენიშვნების თარგმანს წარმოადგენს, სხვები კი ქართველი მთარგმნელის კუთვნილებაა. ერთნიც და მეორენიც ცალკეული კანონების ტექსტის ძველად გასაგები ადგილების, ანდა უცნობი ლექსიკური ერთეულების ახსნა-განმარტებას შეიცავენ.

რაც შეეხება ე. გაბიაშვილის მეორე ნაშრომს — მონოგრაფიას „რუის-ურბნისის კრების „ძეგლისწერის“ შესახებ, საგანგებოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს ნაშრომი ახალი საკითხების სიმრავლითა თუ საკითხების ახლებური დასმითა და გადაწყვეტით გამოირჩევა. აქ ბევრი მეცნიერული სიახლეა, ბევრი ახალი დებულება და ვარაუდია, ამავე დროს თითოეული მათგანის დასაბუთებისათვის უხვადაა მოხმობილი საინტერესო და უმეტესად დამაჯერებელი არგუმენტები. ასე რომ რეცენზირების დროს სურვილი გიჩნდება, ავტორის მიერ დასმულ ყველა საკითხზე შეჩერდე, ყველა მათგანზე გაამახვილო ყურადღება. აქვე ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ ავტორისეული არგუმენტაცია მეტწილად ემყარება მის მიერ „ძეგლისწერის“ ცალკეული ადგილების ახლებურ წაკითხვებს, რაც განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს.

წიგნში საკითხები შემდეგი თანმიმდევრობითაა განხილული: 1. რუის-ურბნისის კრების მოწვევის მიზეზები და მიზნები, 2. რუის-ურბნისის კრების მოწვევის თარიღისათვის, 3. კრების ორგანიზაციული მხარე, 4. „ძეგლისწერის“ ავტორის ვინაობისათვის და თხზულების წყაროები, 5. „ძეგლისწერის“ შედგენილობა და მასთან დაკავშირებული საკითხები.

რუის-ურბნისის საეკლესიო კრების მოწვევის მიზეზებსა და მიზნებს რომ იკვლევს, ე. გაბიაშვილი საგანგებოდ ამახვილებს ყურადღებას საქართველოს სახელმწიფოსა და ეკლესიის იმდროინდელ მძიმე მდგომარეობაზე. „კრების მოწვევის მიზეზები — წერს იგი — მრავალზე უმრავლესი იყო. მათგან მთავარი და არსებითი შეიძლება ასე განვსაზღვროთ: მოშლილი საეკლესიო ცხოვრების აღდგენა და ისეთ ღონეზე აყვანა, რომ ეს ორგანიზაცია ქვეყნის იდეუ-

რი დასაყრდენი ძალა გამხდარიყო. ამავე დროს კრებას უნდა მოეგვარებინა რიგი კონკრეტული საკითხებისა: მორწმუნეთა თვალში უნდა აღედგინებინა გაექლიერებინა ეკლესიის ავტორიტეტი, აღმოეფხვრა დროის უკუღმართობის მიზეზით ეკლესიაში მოხვედრილი შემთხვევითი პირების მიერ გავრცელებული მავნე და სარწმუნოების საწინააღმდეგო ჩვევები, აელაგმა თავგასული ფეოდალები, აღეკვეთა მათი საეკლესიო საქმეებში ჩარევის ცდები და მათ მიერ საეკლესიო ქონებისა და მიწების დატაცება“ (გვ. 10).

ძალზე საინტერესოა ამ თავში ავტორისეული დაკვირვება დავით აღმაშენებლის მიერ მწიგნობართუხუცეს-ჰყონდიდლის ინსტიტუტის შექმნის ფაქტზე. როგორც ცნობილია, და ე. გაბიაშვილიც წერს, ამ გზით „დავითმა სახელმწიფოს ინტერესების სამსახურში ეკლესიის ჩაყენებისა და მისი საერო ხელისუფლების სრულ მორჩილებაში მოქცევის მნიშვნელოვანი საკითხი გადაჭრა“ (გვ. 10). პირველმა ე. გაბიაშვილმა მიაქცია ყურადღება იმ ფაქტს, რომ მწიგნობართუხუცესი, როგორც სასულიერო პირი, პირველად რუის-ურბნისის კრების „ძეგლისწერის“ სინოდოკონშია მოხსენიებული („გიორგი მონაზონისა და მწიგნობართუხუცესისა მრავალმცა არიან წელნი“). ე. გაბიაშვილის აზრით, მწიგნობართუხუცესისა და ჰყონდიდლის თანამდებობათა შეერთების საკითხი სწორედ რუის-ურბნისის კრებაზე უნდა გადაწყვეტილიყო.

წინააღმდეგ ტრადიციით მიღებული თარიღისა, ე. გაბიაშვილი სათანადო არგუმენტების საფუძველზე ასაბუთებს, რომ რუის-ურბნისის კრება უნდა მოეწვიათ არა 1103, არამედ 1105 წელს. (გვ. 14—19).

კრების თარიღის განსაზღვრისას ე. გაბიაშვილმა ყურადღება გაამახვილა ფაქტზე, რაც თავის დროზე სხვა მკვლევართ მხედველობიდან გამოჩნდა, რომ „ძეგლისწერის“ სათაურშიც და სინოდოკონშიც დავითი მოხსენიებულია „რანთა და კახთა მეფედ“. ბაგრატ III-ისა და გიორგი I-ის მაგალითებზე მან ისიც უჩვენა, რომ ქართველ მეფეთა ტიტულატურა ამ პერიოდისათვის რეალური მდგომარეობის ამსახველი იყო და, მაშასადამე, საქართველოს აღმოსავლეთი ნაწილის შემომტკიცებამდე (რაც 1104 წ. მოხდა), დავითს რანთა და კახთა მპყრობელად ვერ მოიხსენიებდნენ.

მესამე თავში, რუის-ურბნისის კრების ორგანიზაციის საკითხების განხილვისას, მკვლევარი იძლევა მრავალი არგუმენტით შემაგრებულ საყურადღებო დაკვირვებას იმის თაობაზე, რომ რუის-ურბნისის კრება მოწვეული იყო მსოფლიო საეკლესიო კრებათა „სტანდარტების“ გათვალისწინებით, რაც გარკვეულად განაპირობებდა ამ კრების მაღალ ავტორიტეტს.

განსაკუთრებული ადგილი უკავია ნაშრომში „ძეგლისწერის“ ავტორის ვინაობისა და თხზულების წყაროების დადგენის საკითხების განხილვას. იმისათვის, რომ „ძეგლისწერის“ ავტორად არსენ იყალთოელი მიეჩნიათ, მთავარ დაბრკოლებას ქმნიდა ის, რომ „ძეგლისწერის“ სინოდოკონში იგი გარდაცვლილთა შორისაა მოხსენიებული. ე. გაბიაშვილმა არსენ იყალთოელის შესახებ წერილობით წყაროებში დატული ცნობებისა და „ძეგლისწერის“ ნუსხათა ტექსტობრივი მონაცემების ანალიზის საფუძველზე ცხადყო, რომ ეს ცნობა გვიანდელი ჩანამატია და არ შეესაბამება სინამდვილეს (გვ. 36—38).

მთავარი არგუმენტი, რომელიც თვითონ ტექსტის გრამატიკულ ანალიზს ემყარება და რომელიც ძველი ქართული ენის ნორმების კარგად მცოდნე სპეციალისტის გამჭირაბ თვალს შეეძლო შეენიშნა, არის ის, რომ წინადადება „ბერთა ჩუენთა საბა სულაჲს ძისა და ანტონ ტბელისა და ეფრემ მცირაჲსაჲ

და არსენი მონაზონისა იყალთოელისაჲ საუკუნო იყავნ ხსენებაჲ“ თავდაპირველად „ეფრემ მცირაჲსაჲ-ზე უნდა ყოფილიყო დამთავრებული, „არსენი მონაზონისა იყალთოელისაჲ“ რომ თავიდანვე არსებულებიყო ტექსტში, მაშინ „ეფრემ მცირაჲსაჲ“-ს ნაცვლად გვექნებოდა „ეფრემ მცირაჲსა“ — ბოლო მ-ს გარეშე.

ტრადიციული შეხედულება არსენ ბერისა და არსენ იყალთოელის იგივეობის შესახებ თავის დროზე კ. კეკელიძემ უარყო და ისინი ორ სხვადასხვა პიროვნებად გამოაცხადა. ამავე დროს „ძეგლისწერა“ არსენ ბერის თხზულებად მიიჩნია. ტრადიციული შეხედულების აღდგენა სცადეს ჯერ ივ. ლოლაშვილმა (1966 წ.), ხოლო შემდეგ ე. გაბიაშვილმა (1968 წ.). საკითხის კვლევაში თუ რაიმე ხარვეზი არსებობდა, წინამდებარე ნაშრომში ე. გაბიაშვილმა ახალი არგუმენტაციით გაასწორა და ამ ორი პიროვნების (არსენ ბერისა და არსენ იყალთოელის) იდენტურობა სავსებით დამაჯერებლად ცხადყო (იხ. გვ. 43—72).

ე. გაბიაშვილის აზრით, „ძეგლისწერის“ ავტორის ვინაობის დადგენისათვის სხვა ფაქტების გათვალისწინებასთან ერთად ამ ძეგლის წყაროდ გამოყენებულ თხზულებათა მონაცემებს შეუძლიათ საინტერესო შედეგი მოგვცენ. მან სპეციალურად გამოყო „ძეგლისწერის“ წყაროთაგან არსენ იყალთოელისავე თარგმნილი თხზულებები, რათა მათი მთარგმნელის „ძეგლისწერის“ ავტორად დასახელების შესაძლებლობა უფრო ხელშეისახები გაეხადა.

მკვლევარს უზარმაზარი სამუშაო აქვს ჩატარებული. მას შეუდარებია „ძეგლისწერისათვის“ არსენის მიერ თარგმნილი ოთხი ძეგლი: პირველ რიგში, „დიდი სჯულისკანონი“, შემდეგ გიორგი ამარტოლის ხრონოგრაფი, მიქაელ ფსელოსის „პირმშობასათჳს“ და დოგმატიკონის ერთ-ერთი სტატია „შეჩუენებანი იაკობიტთა და ყოველთა ერთბუნებანიანთანი, რომელთა თანა არიან სომეხნიცა“. შეჯერების შედეგად ამ ძეგლების ქართულ თარგმანსა და „ძეგლისწერაში“ ე. გაბიაშვილის მიერ გამოვლენილია იმდენი საერთო ტექსტობრივ-აზრობრივი, იდეური თუ ლექსიკურ-ფრაზეოლოგიური ხასიათისა, რომ მათი მთარგმნელისა (ძირითადად კი „დიდი სჯულის კანონისა“) და „ძეგლისწერის“ ავტორის იდენტიფიკაცია ეჭვს აღარ იწვევს.

„ძეგლისწერაში“ იგრძნობა ეფრემ მცირის თხზულების „უწყებაჲ მიზეზსა ქართველთა მოქცევისასა“-ს გამოყენების კვალიც. ე. გაბიაშვილის მტკიცებით, არსენ იყალთოელისა და ეფრემ მცირის მჭიდრო ლიტერატურული კონტაქტის გამო ეს ფაქტიც არ შეიძლება ერთ-ერთ არგუმენტად არ გამოდგეს არსენ იყალთოელის „ძეგლისწერის“ ავტორად აღიარებისათვის.

„ძეგლისწერისა“ და ანდრია კრიტელის „დიდი კანონის“ ქართული თარგმანის შედარებისას საპირისპირო სურათია გამოვლენილი: კრიტელის თხზულების ანდერძის ზოგიერთი ადგილი „ძეგლისწერის“ შესაბამისი ადგილის ანარეკლს წარმოადგენს. გარდა ამისა, როგორც მკვლევარი აღნიშნავს, შემთხვევითი არც ის უნდა იყოს, რომ ამ ანდერძებში ერთნაირადაა დასახელებული „მონაზონი არსენი“ (იხევე, როგორც ანასტასი სინელის „წინამძღვრის“ ქართული თარგმანის ანდერძში: „მდაბალი მონაზონი არსენი“).

აღსანიშნავია აქვე ე. გაბიაშვილის კიდევ ერთი დაკვირვება: არსენ იყალთოელი თავის თავს იყალთოელად არ იხსენიებს (იხსენიებენ ეფრემ მცირე, გრიგოლ ჩახრეხაძე და შემდეგი დროის მოღვაწეები), მაგრამ ეს ფაქტი არ შეიძლება მისი ავტორობის საწინააღმდეგოდ გამოიყენოთ. მკვლევარს დამა-



ჯერბელი ანალოგია მოჰყავს გიორგი მთაწმინდელის სახით, რომელიც თავის-
თავს ხუცესმონაზონს უწოდებს და არასოდეს მოუხსენებია თავი „მთაწმინდე-
ლად“ ან „ათონელად“ (მასაც ამგვარად სხვები, ძირითადად შემდეგი თაობის
მოღვაწეები, იხსენიებენ).

რაც შეეხება არსენ ბერს, რომელსაც მკვლევართა ერთი ნაწილი „ძეგლის-
წერის“ გარდა კიდევ ხუთი თხზულების ავტორად და მთარგმნელად ასახელებს
(მათ შორის, „ნინოს ცხოვრების“ მეტაფრასული რედაქციის ავტორადაც),
ე. გაბიაშვილი კვლავ დიდძალი და ამავე დროს საფუძვლიანი არგუმენტების
მოხმობით ასაბუთებს, რომ არსენ ბერი — ასეთი პიროვნება, თუ მასში არსენ
იყალთოელს არ ვიგულისხმებთ, საერთოდ არ არსებულა (გვ. 61).

ე. გაბიაშვილი საგანგებოდ მიმოიხილავს დავით აღმაშენებლის 1123 და
1125 წლების ანდერძებს, რომლებშიც სწორედ „არსენ ბერი“ და „ბერი არ-
სენი“ იხსენიება და სავსებით დამაჯერებლად ამტკიცებს, რომ აქ „ბერი“ არ-
სენის ზედწოდება კი არ არის, არამედ უბრალოდ სქემოსნის მისამართით ნახ-
მარი ჩვეულებრივი ზოგადი მნიშვნელობის სიტყვაა“ (გვ. 62). საინტერესო
არგუმენტები აქვს მოხმობილი მას იქვე იმის დასასაბუთებლადაც, რომ დავით
აღმაშენებლის ამ ანდერძებში მოხსენებულ „არსენ ბერში“ ან „ბერი არსენ-
ში“ სწორედ არსენ იყალთოელი უნდა ვიგულისხმოთ (გვ. 63—66).

„ძეგლისწერის“ ავტორის ვინაობის დასადგენად ე. გაბიაშვილი გადამ-
წყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს ამავე ძეგლში კრებაზე დამსწრე პირთა შორის
დასახელებულ არსენი მონაზონი კალიბოსელის პიროვნების გარკვევას, რომე-
ლიც მკვლევართა მიერ სრულიად უცნობ პირად იყო მიჩნეული.

ე. გაბიაშვილი კვლავ მისთვის ჩვეული საბუთიანობით აყენებს ვარაუდს,
რომ არსენ კალიბოსელშიც არსენ იყალთოელი უნდა იგულისხმებოდეს.

ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერებში დადასტურებული ფაქტები იმის თაო-
ბაზე, რომ ეფრემ მცირესა და არსენ იყალთოელს ახლო ურთიერთობა ჰქო-
ნდათ კალიბოსის წინამძღვართან, ბასილთან (მისი დავალებით თარგმნიდნენ
გარკვეულ თხზულებებს), ე. გაბიაშვილს აფიქრებინებს, რომ არსენ იყალ-
თოელი შავ მთაზე მოღვაწეობის დროს ძირითადად კალიბოსის მონასტრის
მკვიდრი უნდა ყოფილიყო (გვ. 70).

„ძეგლისწერის“ სინოდოკონში მოხსენებული არსენ კალიბოსელი რომ
„ძეგლისწერის“ ავტორია (და მაშასადამე, იგივე არსენ იყალთოელი), მკვლე-
ვარი ამ ფაქტს თვითონ სინოდოკონის ტექსტის ანალიზით ცხადყოფს (1. არ-
სენ კალიბოსელის ხსენებისათვის ადგილი ტექსტში ერთობ თავმდაბლურადაა
შერჩეული — სულ ბოლოს, 2. სინოდოკონში დასახელებული ყველა პირი მა-
ღალფარდოვანი ეპითეტებითა და ტიტულებითაა შემკული, არსენ კალიბოსე-
ლი კი ყოველგვარი ეპითეტის გარეშე, 3. არსენ კალიბოსელი „სჯულიერ მოღ-
ვაწედ“ იხსენიება, რაც მის „მესჯულებას“, ე. ი. კანონიკურ სამართალში
განსწავლულობას უნდა გულისხმობდეს).

„ძეგლისწერის“ შედგენილობისა და მასთან დაკავშირებული საკითხები-
სადმი მიძღვნილ თავს მონოგრაფიაში წიგნის ნახევარზე მეტი უჭირავს (გვ.
73—171). ე. გაბიაშვილი იზიარებს ივ. ჯავახიშვილის თვალსაზრისს და „ძეგ-
ლისწერას“ ოთხი ნაწილისაგან შედგენილ ნაწარმოებად მიიჩნევს: შესავალი,
კანონები, დავით აღმაშენებლის შესხმა და სინოდოკონი.

„ძეგლისწერის“ შესავალში, სადაც ხაზგასმულია იურიდიული ნორმების
აუცილებლობა საზოგადოების გაჯანსაღებისათვის, ე. გაბიაშვილი გამოყოფს

კიდევ რამდენიმე საკითხს, რომლებიც, მისი აზრით, განხილული აქვს ლეგის ავტორს. ესენია: 1. დავით მეფის ღმერთთან თანასწორობის იდეა-იზოთეიზმი (გაბიძაშვილის აზრით „ძეგლისწერა“ პირველი ნაწარმოებია, სადაც ეს იდეაა გატარებული), 2. საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების საკითხისადმი თავისებური დამოკიდებულება (ნინოს ტყუელქმნილად გამოცხადება), 3. სხვადასხვაგვარ მწვალებლობათა გავლენისაგან ქართული ეკლესიის სიწმიდის იდეა, 4. საეკლესიო კრებათა და წმ. მამების ეპისტოლეთა კანონების სია „ძეგლისწერაში“ და მასთან დაკავშირებული თავისებურებები.

„ძეგლისწერის“ ძირითადი ნაწილის — კანონების ანალიზს ნაშრომში დიდი ადგილი აქვს დამოძილი (გვ. 87—159). რაკი ხელნაწერებში კანონთა რაოდენობა აღნიშნული არ არის, სხვადასხვა მკვლევარი სხვადასხვა პრინციპის გამოყენებით მათ განსხვავებულად ყოფდა (15, 16, 17 და სხვ.). ე. გაბიძაშვილმა შინაარსის მიხედვით, რაც ყველაზე უფრო მიზანშეწონილია, 19 კანონი გამოყო.

„ჩვენს ძირითად მიზანს — წერს იგი — „ძეგლისწერის“ ტექსტოლოგიურ-ფილოლოგიური საკითხების შესწავლა შეადგენს, მაგრამ ძეგლის სპეციფიკა მოთხოვს შეძლებისდაგვარად მის იურიდიულ მხარესაც შევეხოთ, განვიხილოთ მისი თვითოეული კანონის შინაარსი და ისტორიული საფუძველი“ (გვ. 94).

მართლაც, ე. გაბიძაშვილი 19-სავე კანონს ცალ-ცალკე განიხილავს, განმარტავს თითოეულ მათგანს, ეხება იმ საფუძველებს, რაც შეიძლება ამა თუ იმ კანონს ჰქონდეს როგორც ქართულ, ისე მსოფლიო ეკლესიის ისტორიაში, რაც მთავარია, ნაჩვენები აქვს „დიდი სჯულისკანონის“ რა მასალას ემყარება თითოეული ეს კანონი.

საინტერესო და საყურადღებო დაკვირვებები ნაშრომის ამ ნაწილშიც უხვადაა. დავასახელებთ ზოგიერთს: 1. აღსანიშნავია ე. გაბიძაშვილის მსჯელობა მონასტერში „მოძღვრის“ ინსტიტუტის არსებობასთან დაკავშირებით. „ძეგლისწერის“ მიხედვით (და ამას სხვა ისტორიული წყაროებიც უპერენ მხარს), მოძღვრის ძირითად მოვალეობას მონასტერში სწავლა-განათლებისა და სულიერი აღზრდის საქმეების ხელმძღვანელობა შეადგენდა. ოღონდ „ძეგლისწერაში“, როგორც ავტორი აღნიშნავს საყურადღებო ისაა, რომ ეს მოვალეობა ამა თუ იმ პირს საეკლესიო კანონმდებლობით ჰქონია დაკავებული. 2. საგანგებო კანონი ეხება ზაჩეცართა ანუ სომხების მართლმადიდებლებად მონათვლის წესს. ე. გაბიძაშვილი ვრცელი ისტორიული ექსკურსით არკვევს, თუ რატომაა ეს წესი „ძეგლისწერაში“ უფრო გამკაცრებული, ვიდრე „დიდი სჯულისკანონში“ და სხვა.

საყურადღებოა ნაშრომში აღნიშვნა იმისა, რომ „ძეგლისწერაში“ დავითის „შესხმა“ იმავე ფუნქციას ასრულებს, რასაც ბიზანტიის იმპერატორების მიმართ მსოფლიო კრებათა ეპისტოლეები. ავტორი აქვე საგანგებოდ ამახვილებს ყურადღებას „შესხმიდან“ სინოდისკონის ტექსტზე გადასვლის ორიგინალურ ფორმაზე და ძირითადად ხსნის ვინაობას იმ პიროვნებებისას, რომლებიც სინოდისკონში არიან დასახელებულნი.

დასასრულ, სარეცენზიო ნაშრომების მიმართ გვაქვს ორიოდ არაარსებითი შენიშვნა:

1. წიგნში, რომელსაც „დიდისჯულისკანონი“ ეწოდება, „დიდი სჯულისკანონის“ ტექსტთან ერთად გამოიტა „ძეგლისწერის“ ტექსტიც, რა თქმა უნდა,



ეს უკანასკნელიც ისეთსავე მაღალ მეცნიერულ დონეზეა მომზადებული, როგორც „დიდი სჯულისკანონი“. მაგრამ, ალბათ, იმის გამო, რომ გამოცემები პირველი რიგის საქმედ „დიდი სჯულისკანონის“ გამოსაცემად მზადებას მიიჩნევდნენ და ამავე დროს მათი ყურადღება მთლიანად ტექსტის გამართვისა და მისთვის სწორი და კარგად შედგენილი სამენციერო აპარატის დართვისაკენ იყო მიმართული, გაუთვალისწინებელი დარჩა ტექნიკური, მაგრამ ამავე დროს მეტად მნიშვნელოვანი მომენტი, სახელდობრ, იმის აღნიშვნა, რომ ამ წიგნში გამოცემულია ორი დამოუკიდებელი ძეგლი, (თანაც მეორე ორიგინალური). არსად, არც წიგნის სათაურში, არც ანოტაციასა და წინასიტყვაობაში ეს ფაქტი აღნიშნული არ არის, წიგნის ნახვისას ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს „ძეგლისწერა“ „დიდი სჯულისკანონის“ ნაწილია, მისი ერთ-ერთი (ბოლო) თავია.

2. მეორე შენიშვნაც ისევ „ძეგლისწერის“ ტექსტს ეხება, მხოლოდ ახლა უკვე ამ ძეგლისადმი მიძღვნილ მონოგრაფიაში. ჩვენი აზრით 1978 წ. გამოცემაში „ძეგლისწერა“ დამატების სახით არ უნდა იყოს დაბეჭდილი, პირიქით, უფრო სწორი იქნებოდა, თუ ამ გამოცემაში მას ლექსიკონსა და საძიებლებსაც დაეურთავდით, მით უფრო, რომ აქ ტექსტთან ერთად ნუსხათა ვარიანტული ჩვენებებიც არის გადმოტანილი. უხერხული გამოდის ისიც, როდესაც მონოგრაფიაში „ძეგლისწერიდან“ ადგილების დამოწმებისას „დიდი სჯულისკანონის“ გამოცემას ეუთითებთ.

3. ე. გაბიძაშვილმა შინაარსის მიხედვით „ძეგლისწერაში“ 19 კანონი გამოყო, კანონების გამოყოფის ეს პრინციპი საცესებით მართებულია. ამ პრინციპის მიხედვითვე ხომ არ იქნებოდა უფრო მიზანშეწონილი მის მიერ გამოყოფილი მე-8 და მე-9 კანონების ერთ კანონად გაერთიანება? ამ ორ კანონს სწორედ შინაარსი აერთიანებს: აქ განსაზღვრულია პირველი და მეორე გვირგვინის კურთხევის დროს ქორწინებაში მყოფ პირთა და გვირგვინის მაკურთხეველების უფლება-მოვალეობანი. აღსანიშნავია, რომ მე-8 და მე-9 კანონებს შორის სინტაქსურადაც უფრო მჭიდრო კავშირი შეინიშნება, ვიდრე დანარჩენ კანონებს შორისაა.

ამგვარად ე. გაბიძაშვილის დასახელებული ნაშრომები, რომლებიც ავტორის ხანგრძლივი და სერიოზული მუშაობის ნაყოფია, შესრულებულია მაღალ მეცნიერულ დონეზე. მათ უკვე დაიკავეს დამსახურებული ადგილი ქართულ ფილოლოგიურ მეცნიერებაში. ამაზე მეტყველებს ის გამოხმაურებები და რეცენზიები, რომლებიც გამოქვეყნდა „დიდი სჯულისკანონის“ გამოცემასა და „ძეგლისწერისადმი“ მიძღვნილ მონოგრაფიაზე.

ე. გაბიძაშვილის აღნიშნულ ნაშრომებში წარმოდგენილი მნიშვნელოვანი მეცნიერული შედეგები შეიძლება შემდეგნაირად ჩამოვყალიბოთ:

1. „დიდი სჯულისკანონისა“ და „ძეგლისწერის“ მეცნიერულ-კრიტიკული გამოცემა, რაც ძირითადად ე. გაბიძაშვილის ფილოლოგიურ-ტექსტოლოგიურ კვლევას ემყარება, სრულიად საიმედო წყაროა XI—XII სს-ის საქართველოს ისტორიის ცალკეული საკითხების გაშუქებისათვის, ქართული სამართლის ისტორიის შესწავლისათვის, აგრეთვე იმ ეპოქის ქართულის ენობრივი ნორმების დადგენისათვის.

2. ავტორის მიზანი, ეჩვენებინა XI—XII სს. დიდი ქართველი მოღვაწის არსენ იყალთოელის როლი ქართული ფილოლოგიური აზრის განვითარებაში, შედეგანი აღმოჩნდა: „დიდი სჯულისკანონისა“ და „ძეგლისწერის“ ერთად

შესწავლამ წარმოაჩინა ქართული კულტურის ეს დიდი მოამაგე ძველი ქართული მწერლობის კიდევ ერთ — სამართლის დარგში. მის სახელს დაუკავშირდა ამ ორი უნიკალური ძეგლის არსებობა ქართულ ენაზე.

3. არსენი მონაზონის, არსენი ბერისა და არსენი კალიპოსელის იდენტიფიკაციამ არსენ იყალთოელთან ამ ეპოქის ისტორიისა და ლიტერატურის საკითხებში სინათლე და სიცხადე შეიტანა. ამ იდენტიფიკაციის საფუძველზე არსენ იყალთოელი კიდევ ხუთი თხზულების ავტორი და მთარგმნელი აღმოჩნდა.

4. იმ ფაქტის მიგნებამ, რომ „ძეგლისწერა“ „დიდი სჯულისკანონის“ გათვალისწინებითა და გავლენით შექმნილი თხზულებაა, ე. გაბიძაშვილს საყურადღებო დასკვნების გამოტანის შესაძლებლობა მისცა: ჯერ ერთი, სავსებით მართებულად დათარიღდა „დიდი სჯულისკანონის“ ქართული თარგმანი, შემდეგ გაირკვა, რომ ეს ძეგლი არსენ იყალთოელს დავით აღმაშენებლის დაკვეთით, სპეციალურად რუის-ურბნისის კრების სამზადისთან დაკავშირებით უთარგმნია, რითაც დავით აღმაშენებელი და მისი ეპოქა კიდევ ერთი, ახალი მხრიდან წარმოჩნდა.

5. განსაკუთრებით საყურადღებოა ნაშრომში „ძეგლისწერის“ კანონების შინაარსისა და ისტორიული საფუძვლის განხილვა, რაც ამ კანონების ფილოლოგიურ-ტექსტოლოგიურ კვლევასთან ერთად არის მოცემული, ფასეულია ის შესწორებებიც, რომლებიც მკვლევარმა „ძეგლისწერის“ კანონების მანამდე არსებულ ინტერპრეტაციაში შეიტანა. კიდევ უფრო საყურადღებო და ფასეული კი ის არის, რომ ე. გაბიძაშვილის მიერ „ძეგლისწერის“ კანონების ამგვარი შესწავლა ქმნის კანონიკური ძეგლების შემდეგი კვლევის კარგ პერსპექტივას.

მანანა ფოლაძე

ახალი ნაშრომი ილარიონ ქართველის ცხოვრების შესახებ

ქურნალ „ბედი ქართლისას“ მორიგ (XXXIX) ნომერში გამოქვეყნდა ფრანგი მეცნიერის ქ-ნ ბერნადეტ მარტენ-ჰისარის წერილი „ქართველი მონაზვნის ილარიონის მოგზაურობა IX ს-ში“¹. წერილს ახლავს ილარიონ ქართველის ცხოვრების ფრანგული თარგმანი, შესრულებული კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის მიერ გამოცემული მრავალტომეულის „ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლების“ II ტომიდან.

ქ-ნი მარტენისათვის ეს პირველი ნაშრომია ქართველოლოგიის დარგში და უნდა ითქვას, რომ მან დიდი წარმატებით გაართვა თავი როგორც თხზულების თარგმნას, ასევე ძეგლთან დაკავშირებულ პრობლემატიკას. უფრო მეტიც, მკვლევარმა ახალი პრიზმა მოუძებნა ძეგლს და შეეცადა ამ პრიზმიდან გაეაზრებინა ძეგლის ძირითადი მიზანდასახულება.

მკვლევარს ეჭვიმუთანადად მიაჩნია დებულება, რომ ილარიონ ქართველის ცხოვრება ქართული ორიგინალური თხზულებაა. იგი მიზნად ისახავს აჩვენოს, რომ თხზულების ვრცელი ვერსია აგებულია აგიოგრაფიული თხზულებისათვის ნიშანდობლივი მკაცრი კონსტრუქციის მიხედვით. ამ კონსტრუქციის მიგნებამ საშუალება მისცა ავტორს ახლებურად გაეაზრებინა თხზულება, ის სულისკვეთება, რომელმაც განაპირობა მისი შექმნა.

ქართველი მკითხველისათვის ამ წერილის გაცნობის მიზნით შევეცდებით შედარებით ვრცლად გადმოვცეთ მისი შინაარსი.

წერილის დასაწყისში მოკლედ არის გადმოცემული ილარიონ ქართველის ბიოგრაფია მისი ცხოვრების ოთხი რედაქციის (ვრცელი და მოკლე ვერსიები, მეტაფრასი და სვინაქსარული ცხოვრება) მიხედვით.

შემდგომ ავტორი ქრონოლოგიური თანმიმდევრობით ვრცლად მიმოიხილავს ილარიონ ქართველის ცხოვრების შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოქვეყნებულ შრომებს, უჩვენებს არსებულ გამოცემებს, იძლევა მათ შეფასებას და გამოჰყოფს ძირითად საკითხებს, რომელთაც აზრთა სხვადასხვაობა გამოუწვევიათ და რომელთაგან ზოგიერთნი ჯერ კიდევ ჰიპოთეზის დონეზე რჩებიან. ეს საკითხებია: ძეგლის წარმომავლობა, რედაქციათა დათარიღება და ურთიერთმიმართება, ბიოგრაფიული თარიღების დადგენა, ექვთიმე ათონელის როლი თხზულების თარგმნასა თუ გადაწერაში და სხვა.

¹ La pérégrination du moine géorgien Hilarion au IX^e siècle. Traduction française de la version longue de la Vie d'Hilarion. Bedi Kartlisa, N XXXIX, p. 101—138. ეს ნაშრომი წაკითხული იყო ქართული ხელოვნებისადმი მიძღვნილ მესამე საერთაშორისო სიმპოზიუმზე იტალიაში (ბარი და ლესი, 1980 წ. 14—18 აგვისტო).

ავტორს ჯერ კიდევ საკამათოდ მიაჩნია საკითხი, თუ რომელი რედაქციის პირველადი (ვრცელი თუ მოკლე). მისი მართებული შენიშვნით, ამ საკითხს გადაწყვეტს ათონის 991 წლის ხელნაწერის (ბლეიკით № 79) შესწავლა². ასევე საკამათოდ მიიჩნეეს იგი ბიოგრაფიული თარიღების საკითხს³.

ლიტერატურის მიმოხილვის შემდეგ მკვლევარი გადადის თხზულების ანალიზზე. ამოსავალი თემა მისთვის არის იმ ფაქტის აღიარება, რომ ილარიონ ქართველის ცხოვრების ვრცელი რედაქცია წარმოადგენს ნამდვილ ქართულ ორიგინალურ თხზულებას, და შინაარსობრივი ქარგა, რომელსაც ის მისდევს თხზულების ანალიზის დროს, აღებულია სწორედ ვრცელი რედაქციიდან.

მკვლევრის განსაკუთრებულ ყურადღებას თხზულებაში იპყრობს ილარიონის კულტის დაფუძნება კონსტანტინოპოლში ბასილ I მაკედონელის მიერ, რაც მისი აზრით, „შეესაბამება ქართულ და ბიზანტიურ სამყაროთა ურთიერთმიმართების ხასიათს“, დანახულს აგიოგრაფის თვალთ.

ასევე მნიშვნელოვანი და ანგარიშგასაწევეია მისთვის ის ფაქტი, რომ თხზულების ავტორი სრულ ინდიფერენტულობას ამჟღავნებს ისტორიული გარემოსადმი. როგორც იგი აღნიშნავს, ილარიონი მოგზაურობს სრულიად ირეალურ სამყაროში. თხზულებაში არ არის ასახული მაჰმადიანური სამყაროს მნიშვნელოვანი მოვლენები⁴. ტექსტიდან არ ჩანს, რომ წმინდანმა ცხოვრების დიდი ნაწილი გაატარა იმ ქვეყანაში, სადაც ბატონობდა ისლამი: საბაწმიდის ლავრა, სადაც მან დაყო რამდენიმე ხანი, ამ დროს იმუშებდა არაბების მიერ მიყენებულ ქრილობებს. ტექსტში არ არის ასახული არც ხალიფა ალ-მუთავეაქლის (847—861 წწ.) დამპყრობლური პოლიტიკა. არც ბუღა თურქის ლაშქრობაა ნახსენები. როგორც მკვლევარი აღნიშნავს, ასეთი სიჩუმე მით უფრო საკვირველია, რომ საბაწმიდაში ქრისტიანული პოლემიკა ისლამის წინააღმდეგ ჯერ კიდევ ცოცხლობს. ცნობილია, რომ VIII ს. ბოლოდან ქართულ სამყაროში ჩნდება ისლამის მოწამეებისადმი მიძღვნილი აგიოგრაფიის ახალი ფორმა (აბო თბილელის, არჩილ მეფის, კონსტანტი-კახას, გობრონის წამებები), ხოლო ჩვენი თხზულება ისლამის ფაქტისადმი სრულ გულგრილობას ამჟღავნებს. სიტყვები: „მაჰმადიანი“, „არაბი“, „ისლამი“ ტექსტში არ გვხვდება. არაბულ-მაჰმადიანური სამყარო ილარიონ ქართველის ცხოვრების ვრცელი რედაქციის ავტორისათვის არ არსებობს⁵.

ასეთივე ვითარებაა ტექსტში ქრისტიანული სამყაროს ასახვის მხრივაც⁶. ტექსტში არ ჩანს ეგნატე კონსტანტინოპოლის პატრიარქის დამხობასა და ფოტის აღზევებასთან დაკავშირებული ამბების გამოძახილი, არც რომისა და კონსტანტინოპოლის წინააღმდეგობა ფოტის საკითხში და სხვ. ზუსტ ცნობებს ავტორი გვაწვდის მხოლოდ ხატომებრძოლების დასრულების შესახებ მიხეილისა და თეოდორას მეფობის ხანაში, ბასილ მაკედონელის გამეფებისა და ეგნატეს პატრიარქობის შესახებ.

მკვლევარი ფიქრობს, რომ ეს შემთხვევითი მოვლენა კი არ არის აგიოგრაფისათვის, არამედ მისი შეგნებული დამოკიდებულება მასალისადმი. მისი აზრით, მთავარი ის არის, რომ ეს ტექსტი არსებობს, და მისი ავტორი ბიზან-

² La pérégrination du moine..., p. 103.

³ იქვე, გვ. 105.

⁴ იქვე, გვ. 106.

⁵ იქვე, გვ. 106.

⁶ იქვე.

ტიის იმპერატორის კანცელარიის განათლებული მოხელეა. „თუ მისი თხოვნა მოვლენების მიღმა წარმოებს, — წერს მკვლევარი, — უნდა მიეყვებინათ და გამოვიკვლიოთ ის, რასაც შეიცავს იგი, მისი ხარვეზების აღნუსხვის ნაცვლად“⁷. მკვლევარის აზრით, ხაზი უნდა გაესვას არსებით ფაქტს — იმ მნიშვნელობას, რომელსაც X—XII სს. ქართველები ანიჭებდნენ ილარიონ ქართველსა და მის ცხოვრებას: ეს ერთადერთი ქართველი წმინდანია, რომლის ცხოვრება გადაწერა ექვთიმე ათონელმა; მრავალრიცხოვანი ხელნაწერები მოწმობენ ტექსტის გავრცელებას, რომელიც ცნობილი იყო ვრცელი თუ მოკლე, მეტაფრასული თუ ლიტურგიაში გამოსაყენებელი სახით; წმინდანი-სადმი საგალობლებია მიძღვნილი; [იკონოგრაფიაშიც არ ყოფილა იგი უცნობი; 1200 წ. მისი ნაწილების არსებობა კონსტანტინოპოლის მახლობლად დამოწმებულია ანტონი ნოვგოროდელის მიერ].

არსებითი მომენტების ხაზგასმის შემდეგ მკვლევარი გადადის თხზულების ანალიზზე. მისი აზრით, ის, რაც პირველ ყოვლისა იზიდავს ყურადღებას ავტოგრაფიულ თხზულებაში, არის ილარიონ ქართველის კულტის დაფუძნება კონსტანტინოპოლში ბასილ I მაკედონელის მიერ, რაც ცხოვრების ბოლო ნაწილშია აღწერილი. ეს ნაწილი ერთადერთია ნაწარმოებში, რომელსაც საგანგებო სათაური და ქვესათაური აქვს.

მკვლევარს სავსებით დასაშვებად მიაჩნია ასეთი ფაქტი ბასილ I მაკედონელის მხრივ. ცნობილია ბასილ I-ის განსაკუთრებული ზრუნვა მონასტრების მშენებლობასა და მონაზვნებზე. ასევე კარგად არის ცნობილი ბიზანტიელების სწრაფვა სატახტო ქალაქში წმინდანთა ნაწილების გამრავლებისაკენ. ქართული მონასტრისა და ილარიონის კულტის დაფუძნება სიმართლეს ჰგავს.

აღნიშნული ეპიზოდის დეტალური გაანალიზებით მკვლევარი დაასკვნის, რომ ილარიონის კულტის დაწესება ქართული მონასტრის წიაღში სიმბოლურად ნიშნავს მის შეწყნარება-აღიარებას, როგორც უცხოელისას, ზოლო ქართველი მონაზვნები ერთადერთნი არიან, ვისაც ერგო შეწყნარების ეს ხვედრი. ისინი შეწყნარებულ არიან, როგორც რჩეულნი უცხოელთა შორის.

მკვლევარმა ყურადღება მიაქცია შემდეგ ფაქტს: იერუსალიმში მოგზაურობა უდრავს ქართული სამყაროს ძველი ტრადიციაა, მაგრამ IX ს-ში ბიზანტიის იმპერიაში საბოლოო გადახვეწა რელიგიური მიზნით სრულ სიახლეს წარმოადგენს⁸. ილარიონი პირველი ცნობილი ბერია, რომელიც ბიზანტიის იმპერიაში სახლდება. ქართული კოლონიის გაზრდა ოლიმპზე, ივირონისა და ბაჩკოვოს დაარსება უფრო გვიანდელ ხანას განეკუთვნება. ამდენად, — აღნიშნავს მკვლევარი, — ილარიონი წარმოგვიდგება არა როგორც ქართული ტრადიციის განმსახიერებელი, არამედ როგორც წინამორბედი ახალი ტრადიციისა. ბიზანტიურ სამყაროში წასული ილარიონი ქართული სამყაროს მიმართ ნოვატორია. ილარიონის წყალობით იმპერატორი ცნობს ქართველების განსაკუთრებულ მნიშვნელობას, რომლის გარკვევის არავითარი საშუალება ისტორიულ სინამდვილეში არ არსებობს. ილარიონის ცხოვრება აქ ისევ სხლტება მოვლენათა და დროის სფეროდან.

მკვლევარს კვლევის საგანგებო ობიექტად გაუხდია ილარიონის მოგზაუ-

⁷ იქვე, გვ. 108.

⁸ იქვე, გვ. 111.



რობის ხასიათი და მისი გაანალიზებით მთელი ტექსტის მანძილზე იგი წარმოადგენს იმ ქარგას, რომელზედაც აგებულია თხზულების მთლიანობა. „ილარიონის ცხოვრების ვრცელი ვერსია, — აღნიშნავს მკვლევარი, — მის მთლიანობაში წარმოადგენს მკაცრ კონსტრუქციას, რომელიც აქამდე ყურადღებიდან აყო გამოორჩენილი“⁹.

აი, როგორ აქვს წარმოდგენილი ავტორს თხზულების კონსტრუქცია: სამი დრო ქმნის ილარიონის ცხოვრების ტექსტს. პირველი პერიოდი (აღმოსავლური) მიმდინარეობს საქართველოსა და პალესტინაში; მეორე პერიოდი (დასავლური) მიმდინარეობს რომაულ-ბიზანტიურ იმპერიაში; მესამის (მისი სიკვდილის შემდგომი) თვალთახედვის არეა კონსტანტინოპოლი.

— აღმოსავლურ პერიოდში ილარიონი ცხოვრობს გარეჯაში. გაურბის რა დიდებას, იგი მიდის სალოცავად პალესტინაში. ღვთისმშობლის ჩარევით ბრუნდება საქართველოში, სადაც დიდებას მოიხვეჭს მონასტერთა დაფუძნებით.

— დასავლურ პერიოდში ილარიონი ცხოვრობს ოლიმპზე. გაურბის რა დიდებას, მიდის კონსტანტინოპოლისა და რომის მოსახლავად. უზენაესის მოთითებით იგი ბრუნდება და მკვიდრდება თესალონიკეში, სადაც ყველასათვის ცნობილი ხდება.

— კონსტანტინოპოლის პერიოდში წმინდანის სახელმოხვეჭილობა თესალონიკეში იწვევს მისი ნეშტის გადასვენებას კონსტანტინოპოლში. წმინდანი გამოეცხადება იმპერატორ ბასილს და სთხოვს წაყვანას უდაბნოში, ე. ი. რომანაში, სადაც უკვე ჩამოყალიბებულია მისი კულტი.

ამ პერიოდთაგან თითოეული შემდეგნაირად არის აგებული: დიდებისაგან წასვლა ანუ მოგზაურობა და დაბრუნება დიდებასთან. ასევეა აგებული ტექსტი მის მთლიანობაში: ილარიონის მიერ აღმოსავლეთში შექმნილ დიდებას მიჰყავს იგი დასავლეთში, სადაც იგი საბოლოო საზეიმო განდიდებას იღებს. ასეთია გეგმა, რომელიც დაუსახავს ცხოვრების ავტორს: იგი შესავალშივე გვამცნობს სურვილს, წარმოგვიდგინოს „ახალი ესე და ყოვლად ბრწყინვალე მნათობი“ ილარიონი, რომელიც ამჟამად იმყოფება „შესაკრებელსა მას შინა დიდსა პირმშოთასა... სადა-იგი... წინაჲსწარცა განაჩინნა პატივსა მის ღმერთ-ყოფისასა მიღებად“.

წერილიდან ცხადი ხდება, რომ ასეთი კონსტრუქცია არ არის შემთხვევითი. ამაში ადვილად დავრწმუნდებით, თუ თვალს გავადევნებთ ბიბლიურ ციტატებს და დამოწმება-მითითებებს, წმინდანის მიერ ჩადენილი სასწაულების ტიპსა და მის გამოთქმებს:

— აღმოსავლურ პერიოდში ბიბლიური ტექსტები (სახარებისა და ფსალმუნების გარდა, რომლებიც ტექსტის ყველა ნაწილშია დამოწმებული) მოტანილია ძველი აღთქმიდან, უმთავრესად გამოსლვთაა წიგნიდან. ილარიონი სასწაულის ძალით სჯის ავაზაკებს, რომლებიც თავს ესხმიან მას. გარეჯის ძმებთან ნათქვამი გამომწვიდობების სიტყვებში წინამძღვრისადმი მორჩილების მოვალეობაა გამოხატული.

— დასავლურ პერიოდში ციტატები მოტანილია „საქმე მოციქულთა“-დან და მოციქულთა ეპისტოლეებიდან. თავისი სასწაულებით ილარიონი ხსნას მოუვლენს იმათ, ვისაც არ შეუძლია სწორად სიარული, კოჭლთ და პურო-

⁹ იქვე, გვ. 112.

ბილთ. თავის მოწაფეებს თესალონიკეში ის სიკვდილის წინ მოაგონებს ძმური სიყვარულის აუცილებლობას.



— კონსტანტინოპოლის პერიოდში მოცემულია მითითება-დამოწმებები აპოკალიფსზე.

მკვლევრის თანახმად, ტექსტის განვითარება ისეთივეა, როგორც ბიბლიისა. ძველ აღთქმაში ღვთის მიერ რჩეული ერი განასახიერებს სამოციქულო ეკლესიას, ღვთის მუტუფების დადგომის წინაპირობას: შემთხვევითი არ არის ილარიონის შედარება მოსესთან, შემდეგ პეტრე და პავლე მოციქულებთან. ვრცელი ვერსიის ავტორი უარს ამბობს კონკრეტული სამყაროს აღწერაზე, რათა შემოგვთავაზოს ბიზანტიის იმპერიის ხსნის იდეა, რისთვისაც მოწოდებულნი არიან ქართველი ბერები. აღმოსავლურ პერიოდში ავტორი სამაგზის გადმოგვცემს მოსეს ცხოვრების ანალოგიას. ილარიონი გარბის საქართველოდან და თავისი ძმებისაგან (ძვ. აღთქმაში ეგვიპტე და ებრაელი ერი), სადაც მას „ემუქრება“ ღიღება (ძველ აღთქმაში ფარაონი). პალესტინის უდაბნოებში (ძვ. აღთქმაში მადიანი და ქორები) ის ღმერთს ჭვრეტს. ილარიონი ძმებს აძლევს სამონასტრო წესსა და ტიპიკონს (ძვ. აღთქმაში მოსეს კანონი). ამრიგად, მოსეს მსგავსად ილარიონ ქართველი გვევლინება „წინამძღოლად და კანონმდებლად“¹⁰.

ამ თვალსაზრისით ქართველები, განსაკუთრებით ბერები გვევლინებიან როგორც ახალი ისრაელი, ღვთის მიერ გამოჩენილი ერი. დიდი მისიისათვის ღვთის მიერ წინასწარ გამოჩენვის ეს თემა გადმოცემულია ავტორის მიერ შესავლის დასაწყისშივე („რომელნი-იგი წინამსწარ იცნნა და წინამსწარცა განაჩინნა პატრესა მას ღმერთ-ყოფისასა მიღებად“).

ამ რჩეულ ერს ქართველი ბერებისა, რომელთაგან ილარიონმა ქრისტიანული თემი ჩამოაყალიბა ოლიმპზე, განსაკუთრებული მისია აქვს, მისია, რომელიც გადის საქართველოს ფარგლებს გარეთ და რომელიც განხორციელდა მისი მოღვაწეობის დასავლურ პერიოდში. ბიზანტიის იმპერიაში წასვლის მომენტიდან ილარიონის ცხოვრება პირველი სამოციქულო თემის სხვადასხვა ასპექტს ასახავს. როგორც ქრისტიანებს ესხმოდა თავს ებრაული კანონიერება, ასევე ილარიონის გარშემო თავმოყრილი ქართველების პატარა ჯგუფი ოლიმპის ბერძენი წინამძღვრის წინააღმდეგობასა და მუქარას ზღვდება. მოგვიანებით ილარიონი ტოვებს ამ წმინდა მთას და მიდის კონსტანტინოპოლში მოციქულთა ქადაგებ: საფუძვლის, პატიოსანი ჯვრის თაყვანისსაცემად. შემდეგ კი ღმერთისა და მოციქულთა წინამძღოლობით მიემართება რომისაკენ. პეტრე და პავლე მოციქულებისადმი მოწიწებით გამსჭვალული ილარიონი ახლა უკვე აღარ არის წინამძღოლი და კანონმდებელი, ტექსტი მას უწოდებს „მოციქულსა და მწყემსს“. მისი მოღველია პავლე მოციქული. პავლე მოციქულის მსგავსად მას შეუძლია საკვების მოპოვება საკუთარი შრომით. პავლეს მსგავსად ამ ქვეყნითურზე ზრუნვის გარეშე ის მიისწრაფის ღმერთისაკენ. მოციქულის სიტყვებით არის შთაგონებული ილარიონის საუბარი უკეთესი ცხოვრების შესახებ, განსაკუთრებით თესალონიკეში [თესალონიკის, ბიზანტიის იმპერიის მეორე ქალაქის, არჩევა ილარიონის სამყოფელოდ შეიძლება ახსნილ იქნეს იმით, თუ რა ადგილი ეკავა მას პავლეს მოგზაურობასა და ქადაგებებში. პავლე ორ ეპისტოლეში თესალონიკელთა მიმართ გამოხატავს

¹⁰ იქვე, გვ. 115.

განსაკუთრებულ სიყვარულს ამ თემისადმი]. როგორც „სასწაულომოქმედი“ იმ
ემსგავსება პეტრე მოციქულს. ღმერთის მიერ ილარიონისათვის განსაზღვრულ
ლი საბოლოო მიზანი პეტრესა და პავლეს მსგავსად არის მისწრაფება იმპერიის
იმპერიის სატახტო ქალაქისადმი, მაგრამ ეს ქალაქი არის არა რომი, როგორც
ეს ოდესღაც იყო, არამედ კონსტანტინოპოლი.

ილარიონის მოგზაურობა ბიზანტიის იმპერიაში არ არის ასკეტის მოგზაუ-
რობა, იგი წინასწარმეტყველურია. ის გვამცნობს „მოსვლას“ ახალ რომაულ
იმპერიაში. ეს „მოსვლა“, განსახიერებული მისი იმპერატორით და ახალი მო-
ციქულებით — ქართველი ბერებით, რომელნიც წარმოშობით პრივილეგირე-
ბული ქვეყნიდან, ქართლიდან არიან, განხორციელდება იმპერიის სატახტო ქა-
ლაქში. მათი მონასტერი კონსტანტინოპოლის მახლობლად, რომანად სახელ-
დებულ ადგილას მოციქულებისადმი მიძღვნილი.

ამრიგად, ილარიონის ცხოვრების კონსტანტინოპოლური პერიოდი ახ-
ლებურად შექმდება. მისი სიცოცხლე შთავგონებულია ქრისტეს მაგალითით,
რომელმაც დასტოვა პირველყოფილი დიდება, გამოვიდა ადამიანებში, გახდა
მწირი და გლახაკი იმ მიზნით, რომ წაეყვანა ისინი მამის დიდებისაკენ. ტექს-
ტის სტრუქტურაში (დიდება, მოგზაურობა, დაბრუნება დიდებაში) გადმოტა-
ნილი და განმეორებულია ქრისტეს ცხოვრების წესი. თესალონიკეში, უკანას-
კნელ წუთებში ილარიონი ამქადავებს ქრისტესთან მიახლოების ტენდენციას
თავისი ფერისცვალებით, გამოსამშვიდობებელი საუბრის შინაარსით, უკანასკნე-
ლი „საიდუმლო სერობით“. როგორც ქრისტე ბრუნდება თავისი მამის დიდ-
ებაში, ილარიონიც განდიდებული იქნება და ამ განდიდებას ადგილი ექნება
მხოლოდ კონსტანტინოპოლში.

ამრიგად, როგორც მკვლევარი მიუთითებს, ავტორი თავსდება ბიზანტიის
იმპერიის პოლიტიკური და რელიგიური იდეოლოგიის შიგნით, იმპერიისა, რო-
მელიც ევსევი კესარიელისაგან მოყოლებული განსაზღვრულია, როგორც ქრის-
ტიანული რომაული იმპერია, როგორც ღვთის სასუფეველის მიწიერი განსახიე-
რება. მაგრამ იგი გამოდის მისი ფარგლებიდან და მას აპირობებს: ილარიონი
უარს ამბობს იმპერატორის სასახლეში დარჩენაზე (სიკვდილის შემდეგ), ვი-
ნიდან ხსნის ადგილი არის არა სატახტო ქალაქი ბერძნული იმპერიისა, არა-
მედ ქართველთა სამონასტრო უდაბნო კონსტანტინოპოლის გარეთ. ბასილი
იმპერატორს შეგნებული აქვს ეს და იგი აშენებინებს თავისთვის სენაკს ქარ-
თულ მონასტერში. ხატთმებრძოლობის აღდგენა, ბასილის ცოდვებზე და
იმპერიის უღმრთოებაზე მინიშნება მოგვგონებს, რომ ბიზანტიის სამყარო
არ არის ყოველთვის თავისი მოწოდების ერთგული, ის უნდა დაისაჯოს, ხსნა
და მუდმივი სიმტკიცე პოვოს ქართველ ბერთა სიახლოვეს. ქართულ ენას რო-
მანას ქართველთა მონასტერში სწავლობს არა გამეფებული იმპერატორი ბა-
სილ I მაკედონელი, არამედ მომავალი იმპერატორები — ლეონ და ალექსან-
დრე.

მკვლევარს თხზულება შესწავლილი აქვს არა მარტო ავთოგრაფიული კონ-
ატრუქციის თვალსაზრისით, მას ხელშესახებად აქვს აგრეთვე გამოკვეთილი
თხზულებაში ბიზანტიის იმპერიაში ქართველთა დამკვიდრების გარდუვალო-
ბის იდეა.

მკვლევრის დაკვირვებით, ილარიონის ცხოვრება წარმოადგენს ორბლა-

ნიან საკითხავს¹¹. პირველი — სიტყვასიტყვითი, ასახავს ქართველი მონაზვნისა და ბიზანტიის იმპერატორის ურთიერთობას. მეორე ასპექტი საკითხავს მკითხველს შთააგონებს ბიზანტიის იმპერიაში ქართველი ბერების მისიას. ამ იმპერიას განგებით მინიჭებული აქვს ღირებულება, მაგრამ ამისი გამოხატვა მას მხოლოდ ქართული ქრისტიანული თემის მეშვეობით შეუძლია, თემისა, რომელიც წარმოდგენილია თავისი საუკეთესო ელემენტებით, ბერებით, ვინაიდან იმპერატორიცა და იმპერიაც ცოდვილნი არიან. ქართველი ერი, იმთავითვე არჩეული ღმრთის მიერ, თავის ენაში ქეშმარიტი რწმენის საუფჯევს ინახავს და მისი აუცილებელი მოწოდებაა ეს საუფჯენი შესთავაზოს ბიზანტიურ სამყაროს. იმპერიაში ქართველ ბერთა დამკვიდრება გარდუვალია, ის ნაწილია ღვთის განგებისა.

ილარიონის ცხოვრების ვრცელ რედაქციაში ჩანს აშკარა უპირატესობა, მიკუთვნებული ოლიმპისათვის. არავითარი დამოკიდებულება არ ჩანს ათონისადმი, რაც მკვლევარს აფიქრებინებს, რომ თხზულება შეიძლება დათარიღდეს X ს. შუა წლებით ან მისი II ნახევრით.

ქართველი ბერების ყოფნა ოლიმპზე, კონსტანტინოპოლში, შესაძლებელია, ტრაპიზონშიც მკვლევარს სავსებით რეალურად მიაჩნია. ივირონის და არსების დროისათვის ქართველებს უნდა ჰქონოდათ მონასტერი ტრაპიზონში და მეორე მონასტერი კონსტანტინოპოლში (რომანას გარდა): ბასილ II-ის ქრიზობული 980 წლისა ივირონს აძლევს სამ მონასტერს კონსტანტინოპოლისა და ტრაპიზონის წმ. ფოკას მონასტრების სანაცვლოდ¹². ამ ეპოქაში სარწმუნოა, რომ კონსტანტინოპოლელი ქართველი, კანცელარის მოხელე, კულტურის მოღვაწე და მონაზონი წერს ასეთ ტექსტს. მკვლევარი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ილარიონის ცხოვრების ვრცელი რედაქცია, ქართული ორიგინალური თხზულება გამოხატავს ერთგვარ შემფოთებასა და მოუსვენრობას, რომელსაც ქართველთა წრეში წარმოშობს ბიზანტიის იმპერიისა და ბერძენული ორთოდოქსიის ტრიუმფალურობა. საქართველო-ბიზანტიის იმპერიის ურთიერთობათა ისტორიაში ილარიონ ქართველის ცხოვრება, მკვლევრის აზრით, შესაბამისი უნდა ყოფილიყო შიშითა და იმედებით აღსავსე დასაწყისი ეტაპისათვის. ცოტა მოგვიანებით კი, იოანეს, ექვთიმეს და გიორგი ათონელების ცხოვრებები ათონზე ქართული ბერმონაზვნობის ტრიუმფსა და მის სიძნელებებს გამოხატავენ.

ილარიონ ქართველი — ბიზანტიაში ქართველთა ექსპანსიის წინასწარმეტყველი. იქნებ, ეს არის მიზეზი, რის გამოც ქართველები მოწიწებით ეპყრობიან, დიდ პატივს მიაგებენ და თაყვანს სცემენ მას? — ასე ასრულებს მკვლევარი წერილს.

ქ-ნი მარტენის წერილს დიდი მნიშვნელობა აქვს ძეგლის კვლევისათვის, ვინაიდან იდეოლოგიის თვალსაზრისით იგი დღემდე შესწავლილი არ ყოფილა.

მკვლევარმა გამოკვეთა ილარიონ ქართველის სახე, როგორც ბიზანტიაში ქართველთა ექსპანსიის წინასწარმეტყველისა: მან მოგვცა თხზულების ანალიზი კონსტრუქციის თვალსაზრისით. თხზულების სულისკვეთების შესწავლისა და ანალიზის შედეგად საბოლოოდ აშკარა გახდა თხზულების ორიგინალურობა.

¹¹ იქვე, გვ. 118.

¹² იქვე, გვ. 119.

მკვლევარი ჩაწვდა აგიოგრაფის ნაზრევის ფესვებს, მის სულსკვეთებს, რომელიც გამოხატავდა მისი თანამედროვე ქართველობის მისწრაფებას — დამკვიდრებელიყო მისთვის უცხო ბიზანტიურ სამყაროში.

ქართული ეროვნული თვითშეგნება, პირისპირ დარჩენილი ახალ ბიზანტიურ სამყაროსთან, ეძიებდა გამოხატვას. ილარიონ ქართველის კულტის დაფუძნება სრულიად განსაკუთრებულ პირობებში მიმდინარეობდა: თვით იმპერატორი ბასილ I მაკედონელი აშენებს ქართულ მონასტერს ილარიონ ქართველის ულუმბოელი ქართველი მოწაფეებისათვის; ცნობილი წმინდანი ექვთიმე დაყუდებული ბასილის ცოდვების გაქარწყლების საშუალებას ხედავს ქართველი ბერების შეწყნარება-აღიარებაში; მომავალი იმპერატორები — ლეონ და ალექსანდრე ილარიონის მოწაფეებისაგან სწავლობენ ქართულ ენას. ყოველივე ეს კი საუკეთესო საკვები და მასალა იყო მომწიფებული ქართული ეროვნული თვითშეგნებისათვის, რომელიც „შიშითა და იმედებით აღსავსე“ პერიოდში ბიზანტიურ სამყაროში დამკვიდრებასა და განმტკიცებას ლამობდა.

როგორც აქვეა აღნიშნული, მათ მიეძღვნება სპეციალური გამოკვლევა, მკვლევარი შეაჯამებს მრავალწლიანი მუშაობის შედეგებს.

ის დიდი ინტერესი, რასაც მეცნიერება „ეზრა IV-ის“ („ეზრას აპოკალიპსის“) უძველესი თარგმანებისადმი იჩენს, განპირობებულია იმით, რომ ძველი აღთქმის ეს არაკანონიკური წიგნი ორიგინალის ენაზე არ არსებობს. მკვლევართა უმეტესობის აზრით, იგი ებრაულ ენაზე უნდა შექმნილიყო. მკვლევართა მეორე ნაწილი ორიგინალის ენად ბერძნულს მიიჩნევს. მ. სტოუნცი ამ აზრს იზიარებს², თუმცა არ გამოირიცხავს ძველი, ებრაული მასალებით სარგებლობის შესაძლებლობას. სარეცენზიო ნაშრომის შესავალში ვკითხულობთ: „ეს (ბერძნული ვერსია — ლ. ხ.) იყო ქრისტიანული, მაგრამ შეიძლება ვიფიქროთ, რომ მისთვის ხელმისაწვდომი ზოგიერთი წყარო შეიცავდა ანტიკურ, ებრაულ მასალას“³.

წიგნის მოკლე რედაქცია, რომელიც 12 თავისაგან შედგება და პირველად მიჩნეული, დღემდე ცნობილია სირიულ, ეთიოპურ, არაბულ, სომხურ და ქართულ ენებზე. ამგვარ პირობებში, წიგნის უძველეს თარგმანებს სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებათ როგორც თავისთავად, ისე დაკარგული ორიგინალის აღდგენისათვის, ამიტომ თითოეული მათგანის შესასწავლად გარკვეული სამუშაოა ჩატარებული.

როგორც სპეციალურ ლიტერატურაშია გარკვეული, წიგნის არაბული თარგმანები ახლო ნათესაობას ამჟღავნებენ სირიულთან, საერთო არქეტიპი ივარაუდება ქართული და ეთიოპური თარგმანებისათვის, ცალკე დგას სომხური ვერსია⁴. სირიული, არაბული და ეთიოპური ვერსიებისაგან სომხურ თარგმანს სტოუნცი მიჯნავს, ხოლო ქართულ-სომხურ ვერსიათა დამოკიდებულების საკითხი მის ნაშრომებში გადასინჯვას მოითხოვს.

ძველის ძველი ქართული თარგმანი შემონახულია ოშკისა (978 წ.) და იერუსალიმის (XI ს.) ბიბლიებში. ძველი ქართული თარგმანის მნიშვნელობას აძლიერებს ამ ნუსხების სიძველე სხვაენოვან ვერსიებთან შედარებით. ტექსტის არქაულობაზე მეტყველებს ის გარემოებაც, რომ ძველი ქართული თარგმანი თავისუფალია ინტერპოლაციებისაგან, რაც უხვად გვხვდება სომხურ თარგმანში. „ეზრა IV-ის“ ძველი ქართული თარგმანის მეცნიერული შესწავლის დასაწყისი უკავშირდება რ. ბლეიკის სახელს. მანვე გამოაქვეყნა ლათინური თარგმანებითურთ წიგნის იერუსალიმური და ათონური ნუსხები⁴. ბლეიკმა ნათელყო, რომ ტექსტის ენა ბერძნობებს არ გვიჩვენებს და ქართული თარგმანის წყაროდ სრულიად გამოირიცხა ბერძნული. მიუხედავად იმისა, რომ მან გაიმეორა 1902 წ. ნ. მარის მიერ ყოველგვარი მტკიცების გარეშე გამოთქმული ვარაუდი ძველის სომხურიდან მომდინარეობის შესახებ, მანვე მიუთითა, რომ ჩვენამდე მოღწეულ სომხურ ტექსტს საერთო არაფერი აქვს ქართულ თარგმანთან და ძველი ქართული თარგმანის წყაროს ძიება სულ სხვა

² ყოველ შემთხვევაში, დღემდე მოღწეულ თარგმანებს ბერძნულიდან თარგმნილად მიიჩნევენ: The Apocryphal Literature in the Armenian Tradition, The Israel Academy of Sciences and Humanities, v. IV, No. 4, Jerusalem, 1969, p. 63.

³ იქვე p. ix.

⁴ R. Blake, The Georgian Version of Fourth Esdras from the Jerusalem Manuscript, Harvard Theological Review, XIX, 1926. მისივე, The Georgian Text of Fourth Esdras from the Athos MS, Harvard Theological Review, XXII, 1, 1929.



მიმართულებით წარმართა. კერძოდ, ბლეიკის გამოკვლევებმა ნათელყოფილია ლის ძველი ქართული თარგმანის სიახლოვე ეთიოპურ ვერსიასთან. მკვლევარის აზრით, მათ საერთო წინაპარი უნდა ჰყოლოდათ, რაც შესაძლოა დაკარგული კოპტური ვერსიაც იყოს.

1970 წ. ც. ქურციკიძის მიერ გამოცემულ იქნა „ძველი აღთქმის აპოკრიფების ქართული ვერსიები“ ყველა არსებული ხელნაწერის მიხედვით, მათ შორის „ეზრას“ აპოკალიპსის“ მეცნიერულ-კრიტიკული ტექსტიც. 1973 წ. ცალკე წიგნად გამოქვეყნდა მისივე ნაშრომი ძველი აღთქმის აპოკრიფების ქართული ვერსიების შესახებ, სადაც გარკვეული ადგილი აქვს დათმობილი „ეზრა IV-ის“ ძველი ქართული რედაქციების კვლევასაც. მკვლევარი დეტალურად უდარებს ერთმანეთს წიგნის ძველ ქართულ და ძველ სომხურ თარგმანებს, რომელთაც „საერთო აღმოაჩნდათ მხოლოდ ის, რომ ორივენი მოკლე რედაქციისანი არიან“⁷. ც. ქურციკიძის გამოკვლევების შემდეგ ნათელი გახდა იმ რამდენიმე მაგალითის ბუნებრიობა ქართული ენისათვის, რაც ბლეიკმა არმენიზმებად მიიჩნია⁸.

ძეგლის მეცნიერულ-კრიტიკული გამოცემის არსებობამ და ქართულ-სომხური ვერსიების დეტალურმა შედარებამ საბოლოოდ ცხადყო, რომ ესაა 2 სრულიად განსხვავებული ტრადიციის მქონე თარგმანი, რომლებიც, ბლეიკის სიტყვებით, ისე სხვაობს ერთმანეთისაგან, როგორც „ცა და დედამიწა“.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ ძალზე ხელოვნურად გვეჩვენება მ. სტოუნის მიერ გამოთქმული ვარაუდი „შესაძლებელია, რომ ეს მეორე (ქართული ვერსიის მსგავსი — ლ. ხ.) სომხური ვერსია მაინც აღმოჩნდეს რომელიმე ხელნაწერში მსოფლიოს რომელიმე კუთხეში“⁹. ამ ლოგიკით საკითხის ნებისმიერი მიმართულებით შეცვლა შეიძლება. მას შემდეგ, რაც მკვლევარის მიერ განხორციელდა ძეგლის მეცნიერული გამოცემა, სადაც ყველა ცნობილი ხელნაწერია გათვალისწინებული, მოსალოდნელი იყო ამ ალბათობის გამორიცხვა. ამისათვის ხელი უნდა შეეწყო „ეზრა IV-ის“ ქართულ ვერსიებზე რ. ბლეიკის შემდეგ წარმოებულ კვლევასაც, რომელმაც ერთი მხრივ, უარყო ქართულ ვერსიაში სომხურის გავლენის რაიმე კვალის არსებობა (მათ შორის ბლეიკის მიერ არმენიზმებად მიჩნეული მაგალითები) და მეორე მხრივ, დაადასტურა რ. ბლეიკის მიერ ქართულ-ეთიოპური თარგმანების ერთგვარობის მტკიცება.

სარეცენზიო ნაშრომში კი სპეციალური ქვეთავი მიეძღვნა „სომხურის სხვა თარგმანებს“ — კერძოდ, 1. Oskan-ის ბიბლიაში შესულს, რომელიც გვიანდელი თარგმანია და მომდინარეობს ლათინურიდან და 2. დაკარგულ სომხურ

⁶ ოქსისა და იერუსალიმის ბიბლიებში ძველი მოიხსენიება, როგორც „ეზრა სუთიელი“ და „ეზრა სუთიელი, რომელი იყო ბაბილონის“. რ. ბლეიკმა ნათელყო, რომ მხოლოდ კოპტურ და ქართულ თარგმანებში ეწოდება ძეგლს ეზრა „სუთიელი“ (იხ. აგრ. ეთიოპური Sutaël), განსხვავებით ყველა სხვა ვერსიაში დადასტურებული „ეზრა სალათიელისაგან“. შემდგომში ყურადღები იქნა გამახვილებული იმ გარემოებაზეც, რომ ძველი ქართული რედაქციები არ იცნობენ ეზრას წიგნების I, II, III და ა. შ. დაყოფას. ამ მხრივ ისინი უნდა ასახედნენ უფრო არქაულ ეთარებას, რასაც სირიული და ერთ-ერთი არაბული თარგმანიც ეხმაურება. იხ. ც. ქურციკიძე, ძველი აღთქმის აპოკრიფების ქართული ვერსიები, წიგნი 2, თბ., 1973, გვ. 279.

⁷ იხ. ც. ქურციკიძე, დას. ნაშრ. გვ. 286.

⁸ იქვე, გვ. 288—289.

⁹ The Apocryphal Literature..., p. 64.



ვერსიას, რომელიც თითქოს ძველ ქართულ თარგმანს შემოუნახავს¹⁰. სტოუნს კატეგორიული ფორმით აქვს მოწოდებული რ. ბლეიკის მოსაზრებები სკენელის შესახებ: „ის (რ. ბლეიკი) იმ აზრის იყო, რომ ქართული თარგმნილია არა ბერძნულიდან, არამედ სომხურიდან. მას მოაქვს დამოწმებები ქართული თარგმანის თავისებურებებიდან ამ აზრის დასამტკიცებლად“¹¹. ქართულ თარგმანში დადასტურებული ეს „თავისებურებები“ სომხურიდან მომდინარე არ აღმოჩნდა¹². რაც შეეხება სტოუნის განცხადებას იმის შესახებ, თითქოს ბლეიკი ძველ ქართულ ვერსიას სომხურიდან თარგმნილად მიიჩნევდა, აქაც ვერ დავეთანხმებით მკვლევარს, რადგან, მართალია, ბლეიკი არ გამოორიქხავდა ამ შესაძლებლობას, რაც ერთგვარი „ინერცია“ იყო მის გამოკვლევებში, მაგრამ ეს მოსაზრება ფაქტიურად მანვე უარყო ქართული თარგმანის ეთიოპურ ვერსიასთან „დაწყვილებით“. ხოლო სომხურ-ეთიოპური ვერსიების გამიჯვნას სტოუნიც იზიარებს.

„ეზრა IV-ის“ არსებული ვერსიებისათვის ადგილის სწორად მიჩენა, მათი ზუსტი შეფასება, გარდა კერძო ინტერესისა, აუცილებელია დაკარგული ორიგინალის რეკონსტრუქციისათვისაც. ვფიქრობთ, ამ მხრივ დაზუსტებას მოითხოვს სარეცენზიო ნაშრომის შესავალშივე გამოთქმული მოსაზრება: „სომხური ტექსტი განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს, რადგან იგი ნათელს ხდის ბერძნული ტექსტის განვითარების ადრეულ საფეხურს“¹³.

როდესაც სომხური ვერსიის განსაკუთრებულობას ვალიარებთ, ამ შემთხვევაში 1. უნდა მითითებულ იქნას მისი უპირატესობები სხვაენოვან ვერსიებთან შედარებით, 2. გათვალისწინებულ იქნას, რომ სხვაენოვანი თარგმანები ზოგ შემთხვევაში შემონახულია უფრო ძველი ხელნაწერებით, მაგ. ქართული. 3. გათვალისწინებულ უნდა იქნას სომხური ვერსიისათვის დამახასიათებელი ინტერპოლაციებიც, რომლებიც რ. ბლეიკის სიტყვით, გაფრთხილება უნდა იყოს ყველასათვის სომხური ვერსიის მნიშვნელობის შეფასებისას.

„სომხური ძირითადად ზუსტი თარგმანია ბერძნული ვერსიისა“... ვკითხულობთ წიგნის შესავალში. მკვლევართა მიერ ეს მოსაზრება დიდი ხანია ეჭვის ქვეშა დაყენებული. ჯერ კიდევ მარკვარტი თვლიდა, რომ სომხური თარგმანი გაკეთებულია არა მთლიანი თხზულების, არამედ მისი ექსცერპტების მიხედვით. რ. ბლეიკის აზრით, ძველი სომხური თარგმანი შეიძლება სანდო ორიგინალიდან იყოს გაკეთებული, მაგრამ არაზუსტად, მთარგმნელის უზომო ფანტაზიით. უფრო ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ სომხური ვერსიის თავისებურებათა გათვალისწინებით, თვით სტოუნიც უშვებდა იმის შესაძლებლობას, რომ „ეზრა IV-ის“ არსებული სომხური ტექსტი გაკეთებულია მთარგმნელის ტენდენციებისა და მოსაზრებების შესაბამისად¹⁴.

აპოკრიფული ლიტერატურის ამ შესანიშნავი ძეგლის კვლევა კვლავ გრძელდება. ის დიდი შრომაა, რაც ამ საქმეში მ. სტოუნს მიუძღვის, ვფიქრობთ, შესაფერისად აისახება ამავე ავტორის „ეზრა IV-ის“ სომხური ვერსიის კომენტარებისადმი მიძღვნილ სპეციალურ ნაშრომში.

¹⁰ იქვე, გვ. 40—41.

¹¹ იქვე, გვ. 41.

¹² ახ. ც. ქ უ რ ც ი კ ი ძ ე, დას. ნაშრ. გვ. 288—289.

¹³ p. ix.

¹⁴ Some Features of the Armenia n Version of IV Ezra, Le Muséon, LXXIX, 3—4, Louvain, 1966, p. 400.

ინფორმაცია

თაილა ებანოიძე

ჰილის სახელობის სამონასტრო ხელნაწერთა ბიბლიოთეკა

ჰილის სახელობის სამონასტრო ხელნაწერთა ბიბლიოთეკა დაარსდა 1964 წელს აშშ-ში, კერძოდ, მინესოტას შტატის ქალაქ კოლეჯვილში. ბიბლიოთეკა ამ სახელს ატარებს კოლეჯვილის მკვიდრთა — ჰილების ოჯახის პატივსაცემად. აქ თავმოყრილია მიკროფილმების ძალზე მნიშვნელოვანი კოლექცია: ბიბლიოთეკაში ინახება 50 000-ზე მეტი მიკროფილმი ავსტრიის, ესპანეთის, მალტისა და ინგლისის 150 ბიბლიოთეკიდან, აგრეთვე მიკროფილმები ეთიოპიიდან, გერმანიიდან, პორტუგალიიდან და მსოფლიოს სხვა ქვეყნებიდან. ეს მასალა მოიცავს შუა საუკუნეების ისეთ დარგებს, როგორცაა მედიცინა, მათემატიკა, ასტრონომია, მუსიკა, სამართლისმეტყველება, ღვთისმეტყველება, ფილოსოფია, ხელოვნება, პალეოგრაფია და სხვ.

ბიბლიოთეკა ემსახურება მეცნიერთა ფართო წრეს, ყველას, ვინც კი დაინტერესებულია შუა საუკუნეების მწერლობით, მეცნიერებითა და ხელოვნებით. აქ ყველა პირობაა შექმნილი თანამედროვე მეცნიერული კვლევა-ძიებისათვის. ბიბლიოთეკას ეკონომიურ დახმარებას უწევს წმ. იოანეს სააბატო, უნივერსიტეტი და სხვა კულტურულ-სამეცნიერო დაწესებულებები და საზოგადოებები.

1966 წელს სამონასტრო ხელნაწერთა მიკროფილმების ბიბლიოთეკის პირველ დირექტორად დაინიშნა დოქტორი პლანტი, რომელმაც წარმატებით განაგრძო ეს საპატიო წამოწყება.

თავისი მუშაობა ბიბლიოთეკის კოლექტივმა ავსტრიის ხელნაწერების მიკროფილმირებით დაიწყო. 1973 წლისათვის ეთიოპიის პატრიარქის თხოვნით დამზადდა ეთიოპიის ხელნაწერების მიკროფილმები; პარალელურად დგებოდა კატალოგებიც. უკვე გამოსულია კატალოგების პირველი ოთხი ტომი, მომზადებულია გამოსაცემად V და VI ტომები, დაწყებულია მუშაობა VII ტომზე.

ამავე წელს შეუდგნენ ხელნაწერების მიკროფილმირებას ესპანეთშიც. 1977 წელს, როდესაც ალექსანდრე ოლივარმა მონაუარტის ხელნაწერების ახალი კატალოგი გამოსცა, მან თითოეული ხელნაწერის აღწერილობას დაურთო ის ნომერი, რომლითაც ინახება ამ ხელნაწერის მიკროფილმი ჰილის სახელობის სამონასტრო ხელნაწერთა ბიბლიოთეკაში.

ბიბლიოთეკის კოლექტივმა იმუშავა მალტაშიც. აქ გადაღებულ იქნა ლავალეტას, რაბატის და გოცოს სხვადასხვა არქივების ხელნაწერები.

ავსტრიაში გადაიღეს 14 ათასზე მეტი ხელნაწერი ვენის ნაციონალურ ბიბლიოთეკასა და ექვს სხვა ბიბლიოთეკაში. ამჟამად, ვენის უნივერსიტეტის პროფესორი ოტო მაზალი ამზადებს ამ ხელნაწერთა აღწერილობას.

გერმანიაში დამზადდა კელნის, ესენის, ზიგბურგის, კობლენცის, ტირის საცავეებში დაცული ხელნაწერების მიკროფილმები. ახლა მიმდინარეობს პორტუგალიის ხელნაწერების მიკროფილმირება.

ადგილობრივი საინფორმაციო მომსახურება ბიბლიოთეკაში მალაღონეზეა. იგი ღებულობს წერილობით შეკითხვებსაც. ბიბლიოთეკის საშუალებით შეიძლება მიკროფილმებისა და ამონაბეჭდების შექმნა. ხელნაწერთა პირების გადაღება და მათი გამოქვეყნება შესაძლებელია მხოლოდ ბიბლიოთეკის ნებართვით. არ მიიღება შეკვეთები ხელნაწერთა ცალკეული ნაკვეთების (ნაწილების) მიკროფილმებზე.

ბიბლიოთეკაში მიკროფილმებზე მუშაობის გარკვეული წესი არსებობს: მომხმარებელი ვალდებულია ბიბლიოთეკა გამოუგზავნოს მისი მასალით სარგებლობის შედეგად დაწერილი გამოკვლევის ამონაბეჭდის ორი ეგზემპლარი. საინტერესოა, რომ ბიბლიოთეკაში მუშაობის მსურველთ თან უნდა ჰქონდეთ მათი სამუშაო გეგმის მეცნიერული ღირებულების შესახებ კვალიფიცირებულ პირთა ორი რეკომენდაცია.

იმ პირთ, რომელთაც სურთ მიიღონ პერიოდული გამოცემები და სხვა სახის საფოსტო გზავნილები, შეუძლიათ გახდნენ ჰილის სახელობის სამონასტრო ხელნაწერთა ბიბლიოთეკის წევრები, ყოველწლიური საწევრო გადასახადი კატეგორიების მიხედვით შეადგენს 7,50 დოლარიდან 1000 დოლარამდე.

ბიბლიოთეკას აქვს საკუთარი ბეჭდვითი ორგანო, რომელსაც ეწოდება Progress Report. ჩვენ ხელთა გვაქვს ამ ჟურნალის VII და VIII ნომრები, გამოგზავნილი პროფ. ვახტანგ ჯობაძის მიერ. ბიბლიოთეკა აქვეყნებს იმ ლექციებს, რომელთაც მეცნიერები კითხულობენ ბიბლიოთეკაში მოპოვებული მასალის გამოყენებით. უკვე გამოცემულია ამ ლექციათა გარკვეული ნაწილი. მათ შორისაა კურტ ვაიცმანის წიგნი: „სინას მთის წმ. ეკატერინეს მონასტრის ილუსტრირებული ხელნაწერები“, რომელიც კ. კეკელიძის სახელობის ბიბლიოთეკას გამოუგზავნა თვით ავტორმა.



ანგარიშები

ვალერი სილოგავა

სამხრეთ საქართველოს წარწერების შესავალი ხელნაწერთა
ინსტიტუტის ეპიგრაფიკული ექსპედიციის მიერ

ისტორიული სამხრეთ საქართველოს იმ ნაწილში, რომელიც ამჟამად საქართველოს სსრ შემადგენლობაშია, 1977—1980 წლებში მუშაობდა კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ეპიგრაფიკული ექსპედიცია. ტერიტორია, სადაც ექსპედიცია მუშაობდა, შეადგენს საქართველოს ისტორიული პროვინციების — ჯავახეთის, სამცხის და მეცხეთის ნაწილს და თანამედროვე ადმინისტრაციული დაყოფით მოიცავს ბოგდანოვკის, ახალქალაქის, ასპინძის, ახალციხის და ადიგენის რაიონებს. 1977 წელს ექსპედიცია მუშაობდა ახალქალაქის რ-ნში, 1978 წ. — ასპინძის რ-ნში, 1979 წ. — ბოგდანოვკის, ხოლო 1980 წ. — ახალციხის და ადიგენის რაიონებში. ამით ხელნაწერთა ინსტიტუტის ეპიგრაფიკულმა ექსპედიციამ დაასრულა წინასწარი შესწავლა სამხრეთ საქართველოს ტერიტორიაზე შემორჩენილი ქართული ეპიგრაფიკული ძეგლებისა. ექსპედიციის მიერ მოპოვებული მასალა — წარწერათა აღწერილობები, გადმოწერილი ტექსტები, მათი ფოტონეგატივები და ფოტოსურათები, გრაფიკული მონახაზები, — დაცულია ხელნაწერთა ინსტიტუტში, ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების ფოტოპირებისა და ფოტონეგატივების ფონდში. ეს ფონდი ინსტიტუტში 1975 წელს ჩამოყალიბდა და მისი შევსება ძირითადად წარმოებს ინსტიტუტის ექსპედიციების მიერ მოპოვებული მასალებით.

წინამდებარე წერილში ჩვენ საუბარი გვექნება იმ ძირითად შედეგებზე, რომელიც ექსპედიციამ მოიპოვა 1978—1980 წლებში, ე. ი. ასპინძის, ბოგდანოვკის, ახალციხის და ადიგენის რაიონებში მუშაობის დროს. 1977 წლის, ე. ი. ახალქალაქის რ-ნში მუშაობის ანგარიში გამოქვეყნებულია¹ და მას ჩვენ არ შევხებით. ოღონდ, ამ თემაზე საუბრის დასრულების მიზნით, აქვე აღვნიშნავთ შემდეგს: 1980 წელს ექსპედიციამ ახალქალაქის რ-ნში, კუმურდოს ტაძარზე შეისწავლა სამი წარწერიანი ფილა, რომლებიც ამ წელს აღმოჩნდა ტაძარში ჩატარებული გაწმენდითი სამუშაობის დროს. ამ სამუშაოებს აწარმოებდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალგაზრდა მეცნიერთა და სტუდენტთა ჯგუფი (ხელმძღვანელი — ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი, დოც. პ. მარგველაშვილი).

¹ იხ. „მრავალთავი“, VII, 1980, გვ. 167—182, სურ. 1—15. ექსპედიციის შემადგენლობა იხ. იქვე, გვ. 167, შენ. სქ.-ში.

ეს წარწერიანი ფილები აღმოჩნდა კუმურდოს ტაძრის დასაველეთის ნაშალ ქვებში. ორი მათგანი, როგორც ჩანს, ერთი წარწერის ფრაგმენტს წარმოადგენს, ხოლო მესამე — დამოუკიდებელი წარწერის ტექსტის შემცველია. პირველი წარწერის ტექსტი, როგორც ჩანს, ამოკვეთილი იყო 2 სტრიქონად, თანაბარი ზომის მრგვლოვანი ასომთავრული ასოებით (სიმაღლე — 5 სმ.), ერთიმეორის გვერდით ჩასმულ ქვის რამდენიმე ფილაზე. ამათგან, როგორც აღინიშნა, ამჟამად სახეზეა ორი ფილა (ზომები: 1. 45×29×21 სმ; 2. 48×31×21 სმ.), რომლებიც ერთმანეთს გვერდი-გვერდ ედგმის და ტექსტი ერთგან გაბმულ სახეს იღებს (სურ. 1,2):



სურ. 1

[...] იაღჯე || [—] ურფ [...]



სურ. 2

[...]ჯუნიღე || [—] სსუტუნი [...]

წარწერის მეორე სტრიქონის შემორჩენილ ნაწილში 'საუბარია „სრული ფასის აღებაზე“ [„ავ(ი)ღ(ე)თ [ფ] (ასი სრ(უ)ლი“], რაც კუმურდოს ტაძრის სხვა წარწერების ანალოგიით მიგვანიშნებს იმაზე, რომ აქაც სააღაპე დადგენილების განმსაზღვრელ წარწერასთან უნდა გვეკონდექსაქმე. წარწერის პირველ სტრიქონში ტრაფარეტული „სახელითა ღმრთისაჲთა“² ს შემდეგ, თითქოს „[მ]ე ეფ[რემ]“ უნდა წავიკითხოთ. კუმურდოს აქამდე ცნობილ წარწერებში, მართლაც, გვხვდება ე ფ რ ე მ ე ბ ი ს კ ო ბ ო ს ი, რომელიც გა ბ რ ი ე ლ კ უ მ უ რ დ ო ე ლ ე ბ ი ს კ ო ბ ო ს ს ყველიერის პარაკევეს, — მთავარნგელოზთა დღესასწაულის დღეს, აღაპს უწესებს². საინტერესოა, რომ ამ წარწერაშიც ეფრემ ებისკოპოსი 'საგანგებოდ აღნიშნავს აღაპის დაწესებისათვის „სრული ფასის აღების“ შესახებ. აღსანიშნავია, რომ იგივე ფორმულა — „ფასი სრული ავიღეთ“, გვხვდება კუმურდოს ტაძრის კიდევ ერთ წარწერაში, რომელიც წარმოადგენს გა ბ რ ი ე ლ კ უ მ უ რ დ ო ე ლ ი ს დადგენილებას მ ო ლ ო ზ ო ნ ი ს ა თ ვ ი ს ბზობის პარაკევეს აღაპის დაწესების შესახებ³.

² ვ. ცისკარიშვილი, ჭავჭავთის ეპიგრაფიკა როგორც საისტორიო წყარო, თბ., 1959, გვ. 16.

³ კუმურდოს ტაძრის ამ უკანასკნელი წარწერის ტექსტის არსებულ გამოცემებში (M. Brosset, II rapp., გვ. 170, № 9; СМОНПРК, XXV, გვ. 87, № 9; МАК, XII, გვ. 39; ვ. ცისკარიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 17—18) ქარაგმების არასწორად გახსნის, სასვენი ნიშნების

აღნიშნულის გათვალისწინებით ახლადმიკვლეული წარწერის ტექსტი შეიძლება შემდეგი სახით შევავსოთ და ნაწილობრივ აღვადგინოთ: [† ს(ა)ხ(ე)ლ(ო)თ]ა ღ(მრთისა)მთა || [მ]ე, ეფ[რემ ებისკოპოსმას] დაუდგა ალაპად < ამას და ამას > დღე < ესა და ეს > |...|... ავ(ი)ღ(ე)თ || [ფ](ა)სი სრ(უ)ლი, [რომლითა შევჯერდით].

რაც შეეხება მესამე წარწერიან ფილას, როგორც აღინიშნა, მასზე დამოუკიდებელი წარწერაა, რომელიც შემორჩენილია ძალზე დაზიანებული ტექსტის რვა სტრიქონის სახით. ეს ის წარწერიანი ფილაა, რომელიც თავდაპირველად მოთავსებული იყო ტაძრის სამხრეთი შესასვლელის ზედა მარცხენა კუთხეში, როგორც ეს ე. თაყაიშვილის მიერ გამოცემულ ფოტოზეა წარმოდგენილი⁴. შემდეგ ეს ფილა საკმაო ხანს დაკარგული იყო და 1980 წელს კვლავ აღმოჩნდა, ოღონდ იგი უკვე უფრო მეტად დაზიანებულია. მასზე ამჟამად წარწერის მხოლოდ რვა სტრიქონია წარმოდგენილი (თავდაპირველი 10 სტრიქონის ნაცვლად — გადაჭრილია პირველი 2 სტრიქონის ადგილი) და ისიც გვერდებჩამოთლილი და შიგადაშიგ ატყეცილი სახით. აღსანიშნავია, რომ სამივე ახლად აღმოჩენილი ფრაგმენტი, როგორც ჩანს, ტაძრის მშენებლობის პირველ ეტაპებს განეკუთვნება და ისინი X—XI სს. თარიღდებიან.

ოთხი წლის განმავლობაში მუშაობის შედეგად ექსპედიციის მიერ სამხრეთ საქართველოში შეკრებილ და შესწავლილ იქნა 300-მდე ქართული წარწერა. ეს წარწერები ქრონოლოგიურად ნაწილდება VII—VIII სს.—დან XVII—XVIII სს. ჩათვლით. წარწერების უდიდესი ნაწილი ლაპიდარულია, ე. ი. ქვაზე, ან რაიმე სხვა მაგარ საწერ მასალაზე შესრულებული ამოკვეთით, ან გამოქანდაკებით, ე. ი. რელიეფურად. რაც შეეხება ფრესკულ, ე. ი. ეკლესიების კედლების შელესილობაზე საღებავით შესრულებულ წარწერებს, მათი მნიშვნელოვანი რაოდენობა შემონახულია მესხეთის ძეგლებზე (ზარზმა, საფარა, ქულე) და ისინიც შედარებით მოგვიანო ხანისაა (XIV და მომდევნო საუკუნეების). ჯავახეთსა და სამცხეში ასეთი წარწერები ძალზე იშვიათია და ამიტომ მით უფრო აღსანიშნავია, რომ ერთი ფრესკული წარწერა X—XI სს.სა მოგვეპოვება ს. ფიის ერთ-ერთ ეკლესიაში (ასპინძის რ-ნი) (იხ. ქვემოთ).


ექსპედიციის მიერ მოპოვებული მთელი მასალა — ლაპიდარული და ფრესკული წარწერები შეიძლება სამ რიგად დავაჯგუფოთ: 1. ადრეც ცნობილი წარწერები, 2. წარწერათა ტექსტები, რომლებიც ადრეც იყო ცნობილი, მაგრამ ჩვენი შესწავლის შემდეგ დაზუსტდა და შესწორდა, 3. უცნობი წარწერები, რომელთა ტექსტებიც პირველად ექსპედიციის მიერ იქნა შესწავლილი (შეიძლება რომელიმე მათგანი სხვა მკვლევარების მიერაც იყო ჩვენს დროში შესწავლილი, მაგრამ სამეცნიერო ლიტერატურაში და ჩვენთვის ხელმისაწვდომი მასალების მიხედვით, ისინი უცნობია). ექსპედიციის მიერ მოპოვებული მრავალრიცხოვანი ძეგლებიდან წინამდებარე ანგარიშში ჩვენ შევეცდებით თითოეული ჯგუფიდან წარმოვადგინოთ რამდენიმე დამახასიათებელი და შედარებით მნიშვნელოვანი ნიმუშები. გარდა დასახელებულისა არსებობს კიდევ საკმაოდ მნიშვნელოვანი ჯგუფი წარწერებისა, რომლებიც ჩვენთვის ცნობილია ადრინდელი პუბლიკაციებით, ხოლო დღეს კი ისინი აღარ არსებო-

განსხვავებულად დასმისა და სიტყვა „მოლოზონის“ საზოგადო სახელად მიჩნევის შედეგად ტექსტი არ არის სწორად წარმოდგენილი — არ ჩანს, თუ ვის გაუჩინა ვაბრიელ ებისკოპოსმა ალაპი ბზობის პარასკევს.

⁴ MAK, XII, M., 1909, ტაბ. VIII, სურ. 15.

ბენ. მაგალითისათვის 'საკმარისია დავასახელოთ 985 წლის წარწერა ხერთვისის ეკლესიაზე⁵, XII ს. წარწერა ახალქალაქის ციხის ეკლესიიდან ^{გვერდები 111-112} ¹⁹⁵³ ამირსპასალარ გამრეკელისა და მისთა ძეთა მოხსენიებით⁶, 1354—1356 წწ. დათარიღებული წარწერა ხერთვისის ციხის შესასვლელზე⁷ და სხვ. სამწუხაროდ, ამათ და აგრეთვე, ალბათ, ჩვენთვის უცნობმა სხვა წარწერებმა სამხრეთ საქართველოდან, ჩვენამდე ვერ მოაღწიეს.

ქართულ ეპიგრაფიკულ ძეგლებს შორის ერთ-ერთი უძველესია ერთსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა ხვილიშას ტაძარზე, რომელიც პალეოგრაფიული ნიშნებით IX—X სს. ადრინდელია და შეიძლება ტაძრის აგების დროს, ანუ VII—VIII სს. განეკუთვნებოდეს. წარწერა ამოკვეთილია კარნიზის ფილის ფრაგმენტზე, რომელიც ამჟამად თავის თავდაპირველ ადგილას არ ზის და ჩასმულია ტაძრის სამხრეთი კედლის ქვების წყობაში. წარწერის ტექსტი ასეთია (სურ. 3):



სურ. 3

ქ ლ ი შ ა ს ტ ა ძ რ ზ ე

ქ(რისტ)ე, თოდოძე შ(ეიწყალ)ე.

ჩვენ შესაძლებლად მიგვაჩინა წარწერის ტექსტში საკუთარი სახელი სხვაგვარადაც წაიკითხოთ. ცნობილია, რომ უძველეს ქართულ წერილობით ძეგლებში, რომელთაც ხვილიშას წარწერა უთუოდ განეკუთვნება, და მათ შორის წარწერებში, განკვეთილობის ნიშნები, ანუ სიტყვების ერთმანეთისაგან გამოყოფი წერტილები არ გვხვდება. ჩვენი დაკვირვებით, ზოგჯერ უძველეს ქართულ წარწერებში სიტყვების ცალ-ცალკე დაჯგუფების და მათი ურთიერთგამიჯვნის ფუნქციას ასრულებს ქარაგმის ხაზი, რომელიც ხშირად დასმულია და ქარაგმებული სიტყვის მთელ სიგრძეზე⁸. ხვილიშას ტაძრის წარწერის ამ მო-

⁵ ვახუშტი, საქართველოს ისტორია, ნაწ. I, ტფ., 1885, დ. ბაქრაძის შენიშვნა, გვ. 146.

⁶ MAK, XII, M., 1909, გვ. 24, სურ. 10. როგორც ვხედავთ, ამ წარწერის ფოტოსურათიც შემოგვრჩა, მაგრამ, სამწუხაროდ, იგი ბევრს ვერაფერს გვშეველის ტექსტის გამართვაში.

⁷ იქვე, გვ. 22.

⁸ შლრ. ვ. სილოგაევა, სომხეთის ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების გამოცემის შესახებ, „მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია“, 2, 1980, გვ. 156—157, შენ. 45. ამ მხრივ განსაკუთრებით თვალსაჩინოა ანტონის ორი წარწერა 945 წლისა ატენის სიონზე (თ. ბარნაველი, ატენის სიონის წარწერები, თბ., 1957, გვ. 37) და ნოშას წარწერა ზედა თმოგვის ეკლესიაზე (რ. გვერდწითელი, ზედა თმოგვის ეკლესიის წარწერები, სსშ, ტ. XIV, 1947, გვ. 246, სურ. 7; შლრ. ტექსტისათვის — „მრავალთაი“, VII, 1980, გვ. 173).

კლე ტექსტში ქარაგმის ნიშანი გვაქვს სამ ადგილას—პირველი სიტყვის „შე“⁹ ს, ბოლო სიტყვის „შე“¹⁰ და ბოლოდან მეორე სიტყვის თავზე. ამ უკანასკნელს ადგილას იგი დასმულია სამი ასოს — „მტი“¹¹ ს მთელ სიგრძეზე, ისე რომ ასოთა ამ კომპლექსს აშკარად ცალკე ადგილი აქვს მიჩენილი წარწერის მთელ ტექსტში. მართლაც, თუ ჩვენ ვიგულისხმებთ, რომ აქ ცალკე, დამოუკიდებელი სიტყვაა ამოკვეთილი, მაშინ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ხვილიშას ტაძრის წარწერის ტექსტი შედგება არა 4, არამედ 5 სიტყვისაგან და იგი შეიძლება ასეც წავიკითხოთ: „ქ(რისტე), თოდო მ(ო)ტი შეიწყალე“. ასეთ შემთხვევაში „მ(ო)ტი“, ანუ „მცირე“ თოდოს ეპითეტად უნდა მივიჩნიოთ და მაშინ მივიღებთ, რომ წარწერა თოდო იოტის, ანუ თოდო მცირეს შეწყალებას შეიცავს. აქ უჩვეულოა თვითონ ეპითეტი „მოტი“, რომელიც ასეთ კონტექსტში სხვაგან არსად გვხვდება, მაგრამ ამავე დროს, „მტი“-ს თავზე დასმულ ქარაგმის ნიშანსაც თითქოს სხვა ახანა არ ეძებნება.


ნასოფლარ ფიას ეკლესიები და მათი ლაპიდარული წარწერები, განსაკუთრებით 995 წლის წარწერა ქვის სვეტზე, რომელიც ეკლესიის საკურთხევლის ქვას უნდა წარმოადგენდეს, სამეცნიერო ლიტერატურაში საკმაოდ ცნობილი ძეგლებია¹². ამჯერად კი ჩვენ გვინდა შევჩერდეთ ზედა ეკლესიის საკურთხეველში შემონახული მაცხოვრის გამოსახულების ფრესკულ წარწერაზე. ეკლესიის მხატვრობა ძალზე დაზიანებულია — ჩამოშლილია მთლიანად შელესილობითურთ გარდა მაცხოვრის გამოსახულებისა საკურთხევლის კონქში. აქ წარმოდგენილია მაცხოვარი მთელი ტანით, ტახტზე მჯდომარე, ფართოდ გაშლილი ფეხებით, მაკურთხებელი მარჯვენით და გაშლილი წიგნით, რომელსაც მარცხენა ხელით მარცხენა ფეხისავე მუხლზე იმაგრებს (სურ. 4). შედარებით კარგად არის შემონახული გაშლილი კოდექსის გამოსახულება, რომლის ორივე გადაშლილ გვერდებზე, თეთრი საღებავით, ამჟამად გაშავებულ (ჭვარტლისაგან?) ფონზე მოთავსებულია ასომთავრული წარწერა — მარცხნივ 5 და მარჯვნივ 4 სტრიქონად. წარწერის ტექსტი, რომელიც იოვანე 8,12-ის ტექსტს შეიცავს, იხ. გვ. 269 (სურ. 5).

ყურადღებას იქცევს ამ წარწერის ტანდაბალი, მსხვილი ასოები, რომლებიც არქაულ იერს ატარებენ: უყულო დონი, ანის შეკრული და არა ფართოდ გადაშლილი პირი, დაბალყელა და მსხვილმუცლიანი ლასი, მანის გადმოცემა შემკვრელი ხაზის მარჯვნივ გადასვლის გარეშე საშუალებას გვაძლევს, დასახელებული პალეოგრაფიული ნიშნებით, წარწერა X ს-ის ბოლოთი და XI ს-ით დავათარილოთ. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევა შინის გადმოცემა შეკრული თავით. მართალია, იმ დროისათვის, რა დროითაც ეს წარწერა თარი-


⁹ მ. ბროსის წაკითხვით წარწერის ტექსტი ასეთია: „ქრისტე თოდომი შეიწყალე“ (Rapp., II, p. 177), ხოლო ე. თაყაიშვილის მიხედვით: „ქრისტე თოდორეა წმიდაი შეიწყალე“ (MAK, XII, M., 1909, გვ. 15).

¹⁰ ლიტერატურა მათ შესახებ და ხელახალი პუბლიკაცია დასახელებული წარწერისა იხ. ვ. ც. ის. კ. ა. ი. შ. ვ. ი. ლ. ი., ჯავახეთის ეპიგრაფიკა, გვ. 25—26. საგულისხმოა, რომ ეს წარწერა ზუსტი და სრული სახით ჯერ კიდევ 1882 წ. გამოუქვეყნებია ივ. გვარამაძეს (გაზ. „დროება“, 1882, VII, 22). მასვე გადმოუწერია სამხრეთ საქართველოს 30-ზე მეტი ეკლესიის 80-მდე ქართული ლაპიდარული წარწერა. მისი ეს გამოუქვეყნებელი მასალა — „აღწერა თითო-ორი ეკლესია-მონასტრებისა“ და „მგზავრობა“, დათარიღებული 1906 და 1909 წ., დაცულია ხელნაწერთა ინსტიტუტში (H 2786, H 2787). ამ მასალის ერთი ნაწილი (საფარის, ზარზმის, ვალეს, ბეთის და სხვ. ეკლესიების წარწერები) მის მიერ გამოქვეყნებულია გაზ. „დროებაში“ (1879. IV. 25, 26; VIII. 24; 1882. VIII. 13, 14).

ლდება, შინის ასეთი სახით გადმოცემა დამახასიათებელი არ არის და იგეგმება მხოლოდ ადრეულ (VI—VII სს.) დაწერილობის გადმონაშთად შეიძლება მივიჩნიოთ¹¹. წარმოდგენილი წარწერა ჩვენთვის მნიშვნელოვანია არა იმდენად თავისი ტექსტით, ან პალეოგრაფიული თავისებურებებით, არამედ როგორც დღეისათვის ცნობილი ყველაზე ადრინდელი ნიმუში ფრესკული, ე. ი. საღე-



სურ. 4



სურ. 5

მე ვარ ნათელი ს(ო)-
ფლისაჲ, || რ(ომე)ლი შე-
მომიღგეს მე, | არა | [ვი-
ლოდის ბნელსა].

¹¹ საინტერესოა აღინიშნოს, რომ ფის ამ წარწერის თარიღიანი თანადროული ძეგლებიდან შინი ასევე შეკრული თავით გვხვდება ერთგან ქორეთის ეკლესიის 1000 წლით დათარიღებულ ლაპიდარულ წარწერაში (ქართული წარწერების კორპუსი. დასავლეთ საქართველოს წარწერები, ნაკვ. I (IX—XIII სს.), შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ვ. სილოგავამ, თბ., 1980, № 11).




სურ. 7





აგარის ტაძრის ეს რელიეფი და მისი წარწერა X ს-ით თარიღდება. იგი X ს-ის იმ რელიეფების ჯგუფში თავსდება (ოპიზა, ბრეძა, ახაშენი, ოშკანი, სუბანი, ქოროლო, ფეთობანი, კვაისა-ჯვარი), რომლებზედაც წარმოდგენილია კტიტორების გამოსახულება ეკლესიის მოდელით ხელში და ასეთი კომპოზიცია დამახასიათებელი ჩანს სწორედ აღნიშნული დროის ქართული მონუმენტური სკულპტურისათვის.

გარდა ამისა, აგარის მონასტრის მთავარ ტაძარზე გამოუცემელი წარწერებიც იქნა შესწავლილი და აღრიცხული. ერთი მათგანი (სურ. 9) მოთავსებულია ეკლესიის აღმოსავლეთ ფასადში, ქვემოდან ქვეების მე-10 რიგში ჩასმულ ფილაზე. მისი ტექსტი ფილის ზედაპირის გამოფიტვის შედეგად ძალზე დაზიანებულია, მაგრამ ზოგიერთი რამის წაკითხვა მაინც მოხერხდა:



სურ. 9

სტჷრ-აჷ-აჷ
 ბჷ [-]რჷ [- - - - -]
 რჷზზზჷ [- - -] ს

სამებ(ა)ო წ(მიდა)ო, აღიღე [...].

მეორეა, ასევე ძალზე ნაკლები წარწერა, რომელიც ტაძრის სამხრეთ კედელში ჩასმულ ქვის ფილაზეა ამოკვეთილი მსხვილი, ტანდაბალი ასომთავრული ასოებით. ეს წარწერიანი ფილა, როგორც ჩანს, აქ მოხვდა მისი ხელმეორედ გამოყენების დროს — ტექსტი გადაჰრილია მარცხენა მხარეს, მაშინ როდესაც მარჯვნივ ფილაზე საკმაოდ დიდი ნაწილია დარჩენილი. შემორჩენილი ტექსტი ასე იკითხება (სურ. 10):

[ს-ქ]ო-სი
ო-ძო-სი
ბ-ძ-სი
ბ-ძ-სი

[ს(ა)ხ]ელი [თა] |
დ(მრ)თ(ისა)ი(თა) ესე
|| [ქვაჲ მე] დავს(უ)ი
| [...] ტრამა.



სურ. 10

როგორც ვხედავთ, წარწერაში საუბარი ყოფილა ქვის დასმის შესახებ. სამწუხაროდ, ქვიშაქვის ფილის ზედაპირის გამოქარვის შედეგად, წარწერის ტექსტის დაზიანების გამო, ქვის შემწირველის სახელის სრულად წაკითხვა არ მოხერხდა.

ავარის მონასტრის მთავარი ეკლესიის ზემოგანხილული წარწერები X ს-ითა და XI ს-ის დასაწყისით თარიღდება. ამაზე ცოტა გვიანდელი ხანისაა და XI—XII სს. მიჯნას განეკუთვნება ის ცნობილი წარწერა, რომელიც მოთავსებულია მონასტრის სატრაპეზოს შესასვლელის ტიმპანზე. წარწერა პირველ რიგში საინტერესოა ჯაყელთა საგვარეულოს წარმომადგენელთა — ბეშქენისა და მურვანის მოხსენიებით, რომლებიც, როგორც ჩანს, შეიძლება გავაიგივოთ კორიდეთის ოთხთავის მინაწერ საბუთებში დასახელებულ ბეშქენსა და მურვანთან¹⁷. წარწერა ამოკვეთილია ღვინისფერ ქვის ბლოკზე, რომელიც, რო-

ქსქოძე იაძე ბაძე
ქაძე ქსქოძე იაძე
ბაძე ქსქოძე იაძე
ქსქოძე იაძე ბაძე
ქსქოძე იაძე ბაძე
ქსქოძე იაძე ბაძე
ქსქოძე იაძე ბაძე
ქსქოძე იაძე ბაძე

სწრა სქაძე ბაძე ქსქოძე იაძე
ქსქოძე იაძე ბაძე

სურ. 11

¹⁷ Н. Я. Марр, Грузинские приписки греческого Евангелия из Коридии, ИИАН, 1911, № 4, გვ. 211—240, ტაბ. I—VIII, სურ. 1—6.



გორც აღინიშნა, წარმოადგენს სატრაპეზოს შესასვლელის (იგი ჩრდობრძობის მხრიდან აქვს ნაგებობას) ტიპიანს. წარწერის პირველი რვა სტრიქონი ამოკვეთილია ფილის ცენტრში ზედაპირის დადაბლებით შექმნილ ოთხკუთხა ჩარჩოში, ხოლო ორი ბოლო სტრიქონი — ჩარჩოს ქვემოთ და მის გარეთ¹⁸. წარწერის ტექსტი ასეთია (სურ. 11):

† ს(ა)ხ(ე)ლ(ი)თა ღ(მრთისა)მთა და მ(ეო)ხ(ე)ბ(ი)თა წ(მიდ)ისა ი(ოვა)ნენ(ა)თ(ლი)სმცე|მლ(ი)ს(ამ)თა ე(რისთავთ)-ე(რისთავ)თა ბეშქენ | და მ(უ)რვ(ა)ნის მლოცველმ(ან), მე, ეფრემ გ(ელ-ჰყ(ა)ვ შენებ(ა)დ | ტრ(ა)პ(ე)ზსა ამ(ა)ს. და ვ(ამი)კუთეს აღაპი || ს(აუ)კ(უ)ნ(ო)მ ს(ამე)ბობ(ა)მ; და ვინცა შემიცვ(ა)ლოს, | კრ(უ)ლ-შცა არს ღ(მრთ)ისა პირითა.

როგორც ვხედავთ, ბეშქენ და მურვან ერისთავთ-ერისთავთა მლოცველს ეფრემს აგარის მონასტრისათვის აუშენებია სატრაპეზო (ანუ „ტრაპეზი“, როგორც წარწერაშია), რისთვისაც მისთვის დაუწესებია საუკუნო აღაპი სამებობა დღეს, ე. ი. ბრწყინვალე შვიდეულის სამშაბათს¹⁹.

სამხრეთ საქართველოს ეპიგრაფიკის ერთ-ერთ საყურადღებო თავისებურებას შეადგენს ის, რომ აქ ჩვენ მოგვეპოვება შედარებით მოგვიანო ხანის — XIV, XV და XVI სს. მტკიცედ დათარიღებული წარწერები, რომლებიც მნიშვნელოვანია არა მარტო მათი ცნობებით, არამედ ქართული დამწერლობის განვითარების თვალსაზრისითაც და უთარიღო ეპიგრაფიკული ძეგლების პალეოგრაფიული ნიშნებით დასათარიღებლად. აქ ჩვენ შევჩერდებით ზოგიერთ მათგანზე; ისინი ადრეც გამოქვეყნებულა: კერძოდ, ასეთია თ მო გ ვ ი ს ციხის (1350 წ.), ვ ა რ ძ ი ს სატრაპეზოს (1391—1444 წწ.), პ ა ტ ა რ ა ს მ ა დ ის ეკლესიის (1467 წ.) და ვ ა ლ ე ს ტაძრის (1561—1564 წწ.) წარწერები.

თ მო გ ვ ი ს ციხის წარწერა შედარებით ახალმოკვლეული ეპიგრაფიკული ძეგლია და სამეცნიერო წრეებისათვის იგი ცნობილი გახდა 1953 წლის ზაფხულიდან²⁰. მუქი ნაცრისფერი ქვის ფილა (ზომა: 77×43×17 სმ), რომელზედაც ასომთავრული წარწერა ამოკვეთილია 5 სტრიქონად (სტრიქონებს შორის გავლებულია პარალელური, განივი ხაზები; მანძილი მათ შორის 7,5—8 სმ, ხოლო ასოების სიმაღლე 6—6,5 სმ შეადგენს), ამჟამად დატულია ვარძიის მუზეუმ-ნაკრძალის ქვის ძეგლების საცავში, სამონასტრო კომპლექსის ერთ-ერთ გამოქვაბულში. წარწერის ტექსტი ასეთია (სურ. 12):

[†] [შ]ეწ[ე]ვნითა და ძლ(ი)ერ(ე)ბ(ი)თა ვარძი(ი)სა დ|[(მრ)თ(ი)]სმშ(ო)-ბლ(ი)ს(ა)მთა ქ(რონი)კ(ონ)ს ლმ დავ(ი)წყე | [ზ]ლუდე ესე მე, მეფეთ-მეფი[ს] | დ(ავი)თ(ი)ს ვ(არძ)იელმ(ან) ს(ა)წოლის მწიგნ(ო)ბ(არძ)მ(ა)[ნ], | თმოგ(უ)ს, მ(უ)რვ(ა)ნ კუხ(ი)სმ(ე)მ(ან); თ(ევე)ორ(ე) დ(ად)გა.

¹⁸ ზომები: ტიპანის ფილისა — 148×79×32 სმ; ოთხკუთხა დადაბლებისა ფილის ცენტრში წარწერის ტექსტით — 43×47 სმ; ბოლო ორი სტრიქონის ფართობისა — 98×16 სმ; ასოების სიმაღლე — 3—7—10 სმ.


¹⁹ იგი მოძრავი დღესასწაულია და დამოკიდებულია აღდგომაზე. აღრიწველ გამოცემებში (ე. ბ ე რ ი ძ ე, აგარის მონასტრის ტრაპეზი, სპამ, VIII: 1—2, 1947, გვ. 97—104; მ ის ი ვ ე, ძველი ქართული ხუროთმოძღვრება, თბ., 1974, გვ. 166) წარწერის ტექსტში ამ აღდილას წაკითხულია „სამობამ“. სხვა კითხვასხეობებზე, რომლებიც ძირითადად ორთოგრაფიულია, არ შევჩერდებით. წარწერის ტექსტის პირველი ნაწილი სიტყვებამდე „და გამიკუთეს“ იხ.: კ. მ ე ლ ი თ ა უ რ ი, ნ. შ ო შ ი ა შ ე ი ლ ი, შ. ხ ა ნ თ ა ძ ე, გ. ჯ ა მ ბ უ რ ი ა, ვარძია, თბ., 1955, გვ. 34.

²⁰ კ. მ ე ლ ი თ ა უ რ ი, ნ. შ ო შ ი ა შ ე ი ლ ი, შ. ხ ა ნ თ ა ძ ე, გ. ჯ ა მ ბ უ რ ი ა, ვარძია, გვ. 37, სურ. 14 — აქ მურვანის გვარი წაიკთხეულია, როგორც „კითხაას ძე“; ე. ც ი ს-კ ა რ ი შ ე ი ლ ი, ჭავჭავთის ეპიგრაფიკა, გვ. 106—107.




როგორც ტექსტიდან ჩანს, თმოგვის ციხის ერთ-ერთი ზღუდე აუგებდა ვით მეფეთ-მეფის (1346—1360) ვარძიელ საწოლის მწიგნობარს მურვან კუხისძეს „ქრონიკონს ლმ“, ანუ 1350 (1312+38) წელს.

შემდეგი წარწერა — პატრონ ივანესი, რომელიც მკვლევართა საერთო აზრით, ივანე ათაბაგია ჯაყელთა ფეოდალური საგვარეულოდან, მოთავსებულია უკვე თვათონ ვარძიის სამონასტრო კომპლექსში და ამოკვეთილია ან-



სურ. 12

დეზიტის დიდი ზომის ქვის ფილაზე (ზომა — 173×60 სმ), რომელიც ჩასმულია მთავარი ტაძრის სამხრეთით მიშენებული სტოას შესასვლელის ზემოთ და მის ტიმპანს წარმოადგენს. მთავარი ჯიშის ქვაზე ხუთ სტრიქონად შესრულებული წარწერა შედარებით კარგად არის დაცული და მისი ტექსტი ასეთია (სურ. 13):



სურ. 13

ჩ ყ(ოვლა)დ წ(მიდა)ო ვ(არმ(იი)სა ღ(მრთი)სმშობელო, აღიდე ორთ(ა)ვე შინა ს(უ)ფ(ე)ვ(ა)თა დიდისა ამის ტრ(ა)პ(ე)ზისა აღმშ(ე)ნ(ე)ბ(ე)ლი პ(ა)ტრ(ო)ნი ივანე; ას(უ)ფ(ე)ვე და ც(ო)დვ(ა)ნი მ(ა)თნი შე(ეუ)ნ(ლო)ს ღ(მერთმა)ნ, ა(მე)ნ²¹.

²¹ ტექსტი მცირე ორთოგრაფიული განსხვავებით პირველად გამოცემულია გზამკვლევი „გარდა“, თბ., 1953, გვ. 80, სურ. 49.

† სახ(ე)ლ(ი)თა ღ(მრ)თისა(ი)თა ა(ლ)ეშ(ე)ნა ესე წ(მიდა)ჲ ეკლ(ე)ს(ია)ჲ
 [იო] | ვ(ა)ნე* მ(ა)წყ(უ)რ(ე)ლ ებ(ი)სკ(ო)ბ(ო)სი)სა ცულ|კუესისა ზეღბ(ა)ხაჲ
 კ(რისტ)ე, გაუს(უ)ნე სულსა მშ(ო)ბ(ე)ლთა მი(ი)სთასა.

* წარწერაში: „[- -] ვნც“ თუ „[- -] ვნც“.

ამ წარწერების ტექსტი წინა გამომცემლებთან გამოქვეყნებულია უმნიშვნელო განსხვავებით²⁵. ძირითადი განსხვავება მეორე წარწერის სიტყვა „ცულკუესისა“-ს წაკითხვაშია. ე. თაყაიშვილს ეს სიტყვა გამოტოვებული აქვს — დღიურში გადაშლილია და გაურკვეველად ჩანდა²⁶. ვ. ბერიძე აქ კითხულობს საკუთარ სახელს „კახაბერისა“. წარწერის ტექსტში ამ ადგილას გარკვევით იკითხება „ცულკუესისა“. თუ რას ნიშნავს იგი — ჩვენთვის გაუგებარია. როგორც ჩანს, იგი იოვანე მაწყვერელის ეპითეტი თუ ზედწოდება უნდა იყოს, შესაძლებელია დაკავშირებული მისი ცხოვრების საერო პერიოდთან, როდესაც მას უფრო ამ სახელით იცნობდნენ. შეიძლება ეს სიტყვა წავიკითხოთ, აგრეთვე, როგორც „ცოლკუესისა“.



სურ. 14

ვალეს ტაძრის მეორედ აღმაშენებლის დედის იმედის წარწერა, ამოკვეთილი სამ სვეტად (12, 16 და 17 სტრიქონებად; სულ 45 სტრიქონი) ტაძრის სამხრეთის ბოძის სამხრეთის და აღმოსავლეთის გვერდებზე, ერთ-ერთი ყველაზე ვრცელი ქართული ეპიგრაფიკული ძეგლია. წარწერის თარიღი 1561—1564 წწ. პირველად ე. თაყაიშვილმა განსაზღვრა მასში დასახელებული მრავალრიცხოვანი ისტორიული პირების მოღვაწეობის დროის ურთიერთშეჯერების საფუძველზე²⁷ და იგი ამჟამადაც საყოველთაოდ მიღებულია. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს ამ ვრცელი წარწერის როგორც ნაწყვეტების, ისე მთლიანი ტექსტის რამდენიმე გამოცემა ქართულ, რუსულ და ფრანგულ ენებზე ასომთავრული შრიფტით და მხედრული ტრანსლიტერაციით²⁸, ჩვენ

²⁵ Е. Такайшвили, АЭРЗ, I, с. 110—111; ვ. ბერიძე, სამცხის ხუროთმოძღვრება, გვ. 177.

²⁶ ივ. გვარამაძეს ტექსტის ეს ადგილი გადმოწერილი აქვს ასე: „პელითა კესისა“ (Н 2786, გვ. 4).

²⁷ Е. Такайшвили, Надписи церкви в Вале, ИКОИМАО, вып. II, Тифлис, 1907, с. 75—76.

²⁸ იხ.: 1) М. Brosset, Rapp. II, pp. 129—130; 2) ვინმე მესხი (ივ. გვარამაძე), მზახვრის ბიჯი, „ღროება“, 12. VIII. 1881; 3) МАК, IV, с. 72; 4) ე. თაყაიშვილი, სამი ისტორიული ქრონიკა, ტფ., 1890, გვ. 139; 5) მისივე, Источники грузинских летописей, СМОМПК, XXVIII, 1900, с. 209; 6) მისივე, Надписи церкви в Вале, с. 73—75; 7) რ. შვეფისაშვილი, ვალეს ტაძარი და მისი აღმშენებლობის ორი ძირითადი პერიოდი, ჟბ, 3, 1950, გვ. 30.



კიდევ ერთხელ გამოვაქვეყნებთ მას სრული გრაფიკული მონახაზის (სურ. 15, 16, 17) და ტექსტის ერთი ნაწილის ფოტოს (სურ. 18) თანხლებით. მისი ტექსტი, რომ ეს წარწერა XVI ს-ის შუა ხანების ერთ-ერთი მტკიცედ დათარიღებული წერილობითი ძეგლია და მას გარკვეული მნიშვნელობა აქვს ამ დროის ეპიგრაფიკული ძეგლების პალეოგრაფიის შესასწავლად და უთარილო წარწერების დასათარიღებლად. დედისიმედის წარწერის ტექსტი ასეთია:

5
 10
 15
 20
 25
 30
 35
 40
 45
 50
 55
 60
 65
 70
 75
 80
 85
 90
 95
 100

15
 20
 25
 30
 35
 40
 45
 50
 55
 60
 65
 70
 75
 80
 85
 90
 95
 100

წ ნებ(ო)თა | ღ(მრ)თ(ო)ს(ა)თა მე, | ღ(მრ)თივ გ(უი)რგ(უი)ნ(ო)ს(ა)ნს,
 იესი(ა)ნ — ღ(ა)ვ(ო)თ(ა)ნ — |ს(ო)ლ(ო)მ(ონი)ან — ბ(ა)გ(რა)ტ(ო)ნ(ი)ანსა,
 ქართველთ მ(ე)ფ(ე)თ-მ(ე)ფის კ(ო)ს | ტ(ა)ნ ე | ს(ო)ლ(ო)ს შ(ე)ილ(ო)ს შ(ე)ი-
 ლმ(ა)ნ, | მ(ე)ფის ბ(ა)გ(რ)ა ტ(ო)ს ას|ულმ(ა)ნ, ათ(ა)ბ(ა)გ|-ამი(რ)სპ(ა)ს(ა)-
 ღ(ა)რ(ო)ს ს(ა)ხლის რმ(ა)ლმ(ა)ნ || ღ ე ღ (ო) ს ი მ (ე) ღ მ (ა) ნ, მ(ე)ორ(ე)დ
 | აღვ(ა)შ(ე)ნე წ(მიდა)დ ესე | ეკლ(ე)სია შ(ე)ნ, ც(ა)თა | მობად(ა)ვისა ვ(ა)ლ-
 ს ა | ღ(მრ)თისმშ(ო)ბ(ე)ლისა, რ(ათ)ა | მცვ(ე)ლ მფ(ა)რგ(ე)ლ გუ(ე)ქმ(ა)ნა აქა
 და მ(ე)რმესა მ(ა)ს ს(აუ)კ(უ)ნ(ე)სა მე და | თ(ა)ნამეცხ(ე)დრესა ჩ(ე)მსა | ათ(ა)-
 ბ(ა)გსა ქ(ა)ი ხ(ო)ს რ(ო)ს.

და | ძენი ჩ(უე)ნნი: ყ(ვ)ა რ ყ(ვ)ა რ ე, | მ შ ე კ (ა) ბ უ კ, მ (ა) ნ (უ) ჩ (ა) რ,

გო: ხო: გო:

30 ყო: ხო: გო:

ხო: ხო: გო:

ყო: ხო: გო:

ხო: ხო: გო:

35 ყო: ხო: გო:

ხო: ხო: გო:

ყო: ხო: გო:

ხო: ხო: გო:

ყო: ხო: გო:

40 ყო: ხო: გო:

ხო: ხო: გო:


ყო: ხო: გო:

ხო: ხო: გო:

45 ყო: ხო: გო:



როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ექსპედიციის მიერ შესწავლილი სამხრეთ-საქართველოს ეპიგრაფიკული ძეგლების მნიშვნელოვან ჯგუფს ჰქმნის წარწერები, რომლებიც ადრე არ გამოქვეყნებულა და სამეცნიერო ლიტერატურაში უცნობია. ასეთი წარწერების საერთო რაოდენობა რამდენიმე ათეულს აღ-



სურ. 19

წევს. მათი ნაწილი ჩვენ ზემოთაც მოვიხმეთ; აქ კიდევ აღვნიშნავთ ზოგიერთი მათგანის შესახებ და მოვიყვანთ მათ ქრონოლოგიური თანმიმდევრობით. მათი შერჩევისას ყურადღება ჰქონდა მიქცეული, აგრეთვე, იმას, რომ წარმოდგენილი ყოფილიყო სამივე სახის ძველი ქართული დამწერლობის — ასომთავრულის, ნუსხახუცურის და მხედრულის, უცნობი ნიმუშები.

X—XI სს. საინტერესო უცნობი წარწერებია წარმოდგენილი ზარზმის ტაძრის ეზოში დაცულ სხვადასხვა არქიტექტურულ დეტალებსა და ქვაჯვარებზე. ერთ-ერთი მათგანია კუთხოვანი ასომთავრულით შესრულებული წარწერა ისაკისა და მისი შვილებისა ამოკვეთილი ქვის ფილაზე, რომელიც მისი ფორმისა, აგრეთვე მასზე წარმოდგენილი არქიტექტურული მოტივის — წარბის, მიხედვით ნაგებობის სარკმლის ზედანს წარმოადგენდა. წარწერის ტექსტი ასეთია (სურ. 20):



სურ. 20


სხვადასხვა დროის ათამდე ეპიგრაფიკული ძეგლია დაცული ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში. ეს ძეგლები აქ მოტანილია სხვადასხვა არქიტექტურული ნაგებობებიდან და ისინი ჩართულია, როგორც მუზეუმის მუდმივ საგამოფენო ექსპოზიციაში, ისე გამოფენილია ეზოში, ღია ცის ქვეშ. მათ შორისაა ღვინისფერი ქვის თხელ ფილაზე ამოკვეთილი XIII—XIV სს. წარწერის ფრაგმენტები (სურ. 21):

[ქაღუთიუჩა]
 ჰაჟიოჰიოღაქ
 ოქიჟიჟიჟიჟი
 უსსუუსს
 [-] ისსსსს
 [-] [ქ-] [ს-] [ქ-] [ს-] [ქ-] [ს-]

[წ(მიდა)ო გ(იორგ)ი მთ(ა)-
 ვარ] | მოწ(ა)მეო, მეო[ხ] ეყ(ა)ვ
 მნ(ა)თე ყო[ფ] | ილსა ი(ოვან)-
 ეს, ა(მე)ნ.

[--]ლსა შ(ეუნდვე)ნ ღ(მერ-
 თმა)ნ.

[--]ო [-]ს[ა] შ(ეუნდვე)ნ
 ღ(მერთმა)[ნ].



სურ. 21

ვალეს ტაძრის შიგნით, ჩრდილოეთის ბოძის სხვადასხვა მხარეს ამოკვეთილია XVI ს-ის შუა ხანების წარწერები, რომელთაგან მხედრული წარწერის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში აქამდე მხოლოდ ცნობა მოიპოვებოდა³⁰. ეს წარწერა შესრულებულია 19 სტრიქონად; იგი ამოკვეთილია ერთ სვეტად ბოძის სამხრეთით ჩასმულ სამ სხვადასხვა ფილაზე. წარწერა კარგა ხანს ბათქაშით ყოფილა დაფარული, რომლის გადაწმენდის შემდეგ იგი მთლიანი სახით გამოჩენილა. ასოთა კვეთის ღარები ამოწითლებულია სინგურით. მისი ტექსტი ასეთია (სურ. 22):

³⁰ რ. მეფისაშვილი, ვალეს ტაძარი, გვ. 29.

- ქმი: უო
 ვლად.: სპ
 ალობლო
 დედაო.: მ
 5 კსნელი
 საო.: მი.: უ
 ღირსი: მო
 ნა.: მსა.: უმ
 ნი ყვარაჲ
 10 ვარე ცოდვ
 ათა.: მიერ.: უ
 ბათის.: ბი
 მიდობა.: რათ
 ა.: მერმისა.: მს
 15 ზოგასა რათა მიოხ
 მიჰო.: მის ზნისა თა
 ნა.: ვა.: ჟო.: ღთისჟო
 ბლო მიხ მიჰავ და
 მცვილ მიჰავ.

Handwritten text in a vertical column, likely a list or index, with some words written in a larger, more decorative script.

სურ. 22

ქმი, ყოველად ს(ა)გალობელი | დედაო მკსნელი|საო, მე, უღირსი მო-
 ნა ესე შექნი ვვარყვარე, ცოდვ|ათა მიერ შე(ენდო)|ბ(ა)თათა(უ)ის გე|ვედ(რ)-
 ებ(ი), რათ|ა მერმესა მას | შობასა, რათა მეოხ | მეყო ძის შე(ენისა თა|ნა;
 ვ(ალის)ა წ(მიდა)ო ღ(მრ)თისმშო|ბელი, მე(ო)ხ მეყავ და|მცველ მეყავ.

მისი თანადროული მეორე წარწერა, ოღონდ შესრულებული ასომთავრუ-
 ლი დამწერლობით, ამოკვეთილი იმავე ბოძის დასავლეთ მხარეს, მოთავსებუ-
 ლია ქვემოდან პირველი წყობის გვერდიგვერდ ჩასმულ სამ ფილაზე. აქაც
 წარწერის ტექსტი, დედისიმედის წარწერის მსგავსად, ჩამოწერილია სამ
 სვეტად (5,6 და 6 სტრიქონებად). როგორც ჩანს, მისი ამოკვეთა დაუწყიათ
 ბოძის სამხრეთის მხარეს ჩასმულ ქვის ქვედა ფილაზე. აქ ამოკვეთილია კიდევ
 ასომთავრულით წარწერის დასაწყისი სიტყვები 2 სტრიქონად („წ ღმერთო|
 და“), მაგრამ შემდეგ რატომღაც შეჩერებულან და მთელი წარწერა, როგორც
 აღინიშნა, ამოკვეთილია ბოძის დასავლეთით ჩასმულ ქვის ფილებზე. მისი
 ტექსტი ასეთია (სურ. 23):

ქ: იმდ : წ: ყუ	ყუჟჟ	გუჟჟჟჟ
ჩ: სლყურე	უ: ჟო: მსცაჟმ	ჩ: რუ ჯ
ზმ: ჯლზ	სლ: ჟ	ბ: ტლ:
ისლ: იუს:	მრლს	ბი: ჟჟ
ჟყმჟჟ უმ	ყუნს	ჟუჟჟჟი

სურ. 23



ქ.: ი-ტ-ა.: ბ-ც-ყ	ყ-რ-ქ	ბ-ზ-ც-კ
ნ.: ს-ტ-რ-ე	რ-ქ-ი	ა-ბ-ს.: გ-დ-ე
ზ-ა.: ზ-ს-ზ	ა-ი-ო-ბ	ზ-რ-ე-ღ
ს-ტ-ს.: ი-რ-ს	ს-ტ-ბ	ტ-ს.: ბ-ტ
ბ-ყ-ა-კ-ღ-ნ-ბ-ა	ა-ნ-ს-ს	ბ-ი-ო-ღ-ს-ი
	ყ-რ-ს	ბ-ი-ზ-ბ-ა-ღ-ნ-ტ-ს-ს.

ქ ღ(მერ)თო და შე|ნ, საშინე|ლო ვალ|ისა ღ(მრთ)ის|მშობელო, |შე-
მეწ|იე მე, |უღირ(ს)|სა მონას(ა) | შენს(ა) მზეჭაბ|უკს, ცხო|ვნები|თ და |
ღღვერ|ძელობით.

როგორც ვხედავთ, ორივე წარწერაში ცალ-ცალკე მოხსენიებულია ქაი-
ხოსრო ათაბაგისა და დედისიმედის უფროსი ვაჟები—ყვარყვარე და მზეჭაბუ-
კი. როგორც ცნობილია, ორივე მათგანი მნიშვნელოვან როლს თამაშობდა
სამცხე-საათაბაგოს ისტორიაში; როგორც ქრ. შარაშიძემ გააკვირა, ყვარყვარე
ცხოვრობდა 1546/ 1547—1581 წლებში, ხოლო მზეჭაბუკი — 1549—1572 წწ.
1574 წლიდან ყვარყვარე ათაბაგა³¹. წარწერაში იგი ამ ტიტულით არ იხსენიე-
ბა. ვიცი, რომ დედისიმედის ვრცელი წარწერა შესრულებულია 1561—1564
წლებში; ეს წარწერები კი მის შემდეგ შესრულებულად უნდა მივიჩნიოთ.
მაშასადამე, ვალეს ტაძრის ჩრდილოეთი ბოძის წარწერები ყვარყვარესა და
მზეჭაბუკისა XVI ს. 60-იანი წლებით, უფრო კონკრეტულად 1561—1572 წწ.
თარიღდება.

ხელნაწერთა ინსტიტუტის ექსპედიციის მიერ სამხრეთ საქართველოში
შოპოვებული და შესწავლილი სხვა წარწერების შესახებაც შეიძლება
გვემსჯელო, მაგრამ ექსპედიციის მუშაობის და მის მიერ შეკრებილი მასალის
საერთო სურათის გადმოსაცემად, ვფიქრობთ, ესეც საკმარისია. როგორც
აღინიშნა, მთელი მოპოვებული მასალა ამჟამად დაცულია ხელნაწერთა ინს-
ტიტუტის ეპიგრაფიკული ძეგლების ფოტოპირებისა და ფოტონეგატივების
ფონდში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ისტორიის, კულტუ-
რისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამეცნიერო სა-
წარმოო სამმართველოს პასპორტიზაციის განყოფილებიდან (ხელმძღვანელი
ვლადიმერ ვარდოსანიძე) ხელნაწერთა ინსტიტუტის ეპიგრაფიკულ ექსპედი-
ციას 1980 წელს გადმოეცა განყოფილების თანამშრომელთა (ვახტანგ
ჯიშკარიანი, ვლადიმერ თოთიბაძე) მიერ სამხრეთ საქართველოში მოწყობი-
ლი ექსპედიციების დროს პირველად მიკვლეული და აქამდე გამოუცემელი
ქართული წარწერების ფოტოსურათები. ეს წარწერებია:

1. ა ხ ა ლ ც ი ხ ი ს რ ა ი ო ნ ი ს ს. წ ყ რ უ თ შ ი, ძველ სამლოცველო ნიშში
ჩასმულია ქვის სწორკუთხა ფილა, რომელიც, მის ქვედა კიდეზე მოთავსებუ-
ლი ფოსოს მიხედვით, როგორც ჩანს, ეკლესიის სარკმლის ზედანს წარმოად-
გენდა. ფილაზე გამოსახულია მრავალფიგურიანი რელიეფური კომპოზიცია.
შუაშია ოთხკუთხა, კვადრატულ ჩარჩოში მოთავსებული ტოლმკლავიანი ჯვა-
რი; ჯვრის მკლავები შეესებულება ნუშის ფორმის გეომეტრიული მოტივით.
ჯვრის ჩარჩოს გარეთ, მის ორივე მხარეს წარმოდგენილია ადამიანთა თითო
ფიგურა. ისინი გამოსახულია პირდაპირ, მთელი ტანით, სხეულის სიგანეზე
გაშლილი მაღლა აღმართული ხელებით ადორაციის პოზაში. მარცხენა გამო-

³¹ ქრ. შარაშიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 140—142.



სახულება ტანით უფრო მომცროა. მისი წელის დონეზე, ტანის ორივე მხარეს, ქვის ფილაზე ამოკვეთილია ნუსხური წარწერა: **რუ || სჯუ** „წ(მიდა)ი ს(ა)ბა“, მაგრამ ეს წარწერა ამ გამოსახულებას არ უნდა მიემართებოდეს, და როგორც ჩანს, ადამიანთა წარმოდგენილი ფიგურები კტიტორებს გამოსახავენ. მომცრო, მარცხენა ფიგურის ქვემოთ წარმოდგენილია მხედარი წმ. გიორგი, რომელიც ცხენის ფეხებთან განრთხმულ დიოკლეტიანეს გმირავს. ამ გამოსახულებას ახლავს მის ორივე მხარეს ამოკვეთილი ნუსხური წარწერა: **რუ || ურ** (ე. ი. „წ(მიდა)ი გ(იორგ)ი“), რომლის გაგრძელება, შესრულებული ასომთავრულით, ლამაზი, ტანდაბალი და მსხვილი ასოებით, ამოკვეთილია ფილის შუა ადგილას, ჯვრის გამოსახულების ჩარჩოს ქვემოთ: **ნიშნის** (ე. ი. — დიდებით)სა“. დიდებითი — ნასოფლარია ახალციხის რ-წმ). მარჯვენა ფიგურის ქვემოთ. წარმოდგენილია ვერძის რელიეფური გამოსახულება. მთელი კომპოზიცია შესრულებულია მაღალსტატურად, იგი XI ს-ის რელიეფურგამოსახულებიანი მსგავსი ფილების ჯგუფში თავსდება. ამ თარიღს წარწერების პალეოგრაფიული ნიშნებიც ეთანხმება.

2. ახალციხის რაიონში, ნასოფლარ ჯაყის მანში დგას ამჟამად სანახევროდ დანგრეული ეკლესია, რომელსაც ჩრდილოეთით მიშენებული აქვს სამრეკლო. ეკლესიის აღმოსავლეთ ფასადის სარკმლის თაღოვან საპირეს ზემოდან შემოუყვება ორმაგი ჩარჩო, რომელიც გრეხილი, შეწყვილებული ლილვის სახითაა გადმოცემული. ჩარჩო, ისევე როგორც საპირე, ქვემოთკენ გახსნილია და ორივე მხარეს დაყრდნობილია კვადრატულ სადგარებზე. მარცხენა სადგარზე, ორ სტრიქონად ამოკვეთილია ასომთავრული წარწერა, რომლის ზოლო ასო, ქვის კუთხის ჩამოტეხის გამო, ნაკლულია. მთელი ეს კომპოზიცია მსგავსია ეხვევის ტაძრის აღმოსავლეთ ფასადზე, სარკმლის გარშემო წარმოდგენილი კომპოზიციისა, რომელსაც ასევე სადგარზე ამოკვეთილი კტიტორის წარწერა მოუპოვება (ე. ბერიძე, ეხვევის ტაძარი „დედა ღვთისა“, „ქართული ხელოვნება“, 1, 1941, გვ. 44; წარწერის ტექსტისათვის იხ. „ქართული წარწერების კორპუსი“, წიგნი II, თბ., 1980, № 70). ჯაყისმანის ტაძრის სარკმლის საპირეს წარწერის ტექსტი, რომელიც XI საუკუნისაა, ასეთია: **ქრისტიანე** (ე. ი. — „ქ(რისტ)ე, შეიწყალე მე[...]).

3. ჯაყისმანის ტაძრისათვის მიშენებული სამრეკლოს ქვედა სართულის სვეტზე ამოკვეთილია ამჟამად ძალზე დაზიანებული ასომთავრული წარწერა; მისი ტექსტი საკმაოდ ვრცელია და, როგორც ჩანს, ათამდე სტრიქონს შეიცავდა. სამწუხაროდ, ტექსტის დიდი ნაწილი გადაშლილ-გადარეცხილია. შემორჩენილი ფრაგმენტებიდან რაიმე მწყობრი აზრის გამოტანა არ მოხერხდა; მოღწეული ნაწყვეტების პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით წარწერა XIV—XV სს. უნდა იყოს.

4. იმავე ჯაყისმანიდან უახლოეს სოფელ წინუბანში აღრვევ გადაუტანიათ ქვის ფილა, რომელიც ამჟამად ჩასმულია ახალი ეკლესიის კედელში. ზემოდან მომრგვალებულ ფილას გარშემო შემოუყვება გრეხილი ლილვით შექმნილი მსხვილი ჩარჩო. ფილის შუა ნაწილი და მთელი სიგრძე შევსებულია ჯვრის რელიეფური გამოსახულებით, რომელიც გადმოცემულია ხვეული გეომეტრიული ორნამენტით შედგენილი წნულის სახით. ჯვარი დგას, ასევე, წნული გეომეტრიული ორნამენტით გადმოცემულ სადგარზე, ხოლო მის ზედა მკლავზე, თავზე ჩამოცემულია ქუდი. ჯვრის მკლავებს შორის მოზრდილი ასოებით ამოკვეთილით ორი წარწერა. ერთი, შესრულებული მხედრული დამწერ-



ლობით მოთავსებულია განივი მკლავების ზემოთ, ვერტიკალური მკლავის ორივე მხარეს:—წ-ი||ს-ი გ-ტ (ე. ი...: „წ(მიდა)ი ს(იონ)ი გ-ტ“^{მრგვლოვანი} კტიტორული წარწერა ეფროსინესი, შესრულებულია ასომთავრული დამწერლობით მხედრული ი-ს შერევით; ამ წარწერაში ზოგიერთი ააო — ლ, ო ნუსხურია; ტექსტი ა-მეტია; პალეოგრაფიული ნიშნებით, როგორც ჩანს, იგი XIV—XV სს.-საა. წარწერის ტექსტი ასეთია:

ⲒⲚⲒⲠ ⲛⲘⲚⲘ
 ⲘⲘⲘⲘⲒ ⲒⲘⲘⲘⲘ
 ⲕⲏⲏⲏⲏ ⲏⲏⲏⲏ
 Ⲛⲏ ⲒⲘⲏⲚ
 ⲏⲏ

ესე ს|ამრე|კლო|ნი* || ა(ღ)შ(ე)ნა | ეფრ|ოსინ|ე-
 მან**, | ღ(მერთ)ო [შ(ე)იწყალ]ე].

წრწ: „სამრეკალონი“. ** „ეფაროსინემან“.

წარწერაში დასახელებული ეფროსინე, თითქოს შეიძლება გავაიგივოთ ქვემო ოშორის, ასევე, XIV—XV სს-ით დათარიღებულ წარწერაში დასახელებულ დეოფალ-ყოფილ ეფროსინესთან (ქვემო ოშორის წარწერის ტექსტი იხ. MAK, XII, M., 1909, c. 8—9), რომელსაც, როგორც ორივე წარწერიდან ჩანს, ფართო საქველმოქმედო და სააღმშენებლო სამუშაოები ჩაუტარებია.

5. ა დ ი გ ე ნ ი ს რაიონის სოფელ კ ე ხ ო ვ ა ნ ი ს მიდამოებში, სოფლის ჩრდილოეთით მდებარე ადგილას, რომლის სახელია ა მ ხ ე, ტყეში, ნანგრევებს შორის დგას დიდი ზომის ოთხკუთხად, პარალელებიბედის ფორმაზე გათლილი მაგარი ჯიშის ქვის სვეტი. იგი ამჟამად გადატეხილია ორად. მის ზედა ნაწილში ამოღრმავებულია ფოსო, როგორც ჩანს, ჯვრის ჩასადგმელად. სვეტის ერთ მხარეს მოთავსებულია ცხრა სტრიქონად შესრულებული ასომთავრული, რელიეფური წარწერა. სვეტი მემორიალური დანიშნულებისაა — წარწერა შეიცავს სახელების ჩამოთვლას შეწყალების ფორმულით. ტექსტი მიმართულია წმ. იოვანესადმი, რაც მიუთითებს, რომ ჯვარი, რომლის სადგარსაც ეს სვეტი წარმოადგენს, წმ. იოვანეს სახელზე იყო აღმართული. წარწერა პალეოგრაფიული ნიშნებით X—XI სს.-აა. მისი ტექსტი ასეთია:

ⲒⲰⲎ
 ⲒⲏⲏⲚ
 Ⲙⲏⲕⲏ
 ⲚⲘⲏⲒⲒ
 ⲕⲏⲚⲏⲒ
 ⲕⲏⲕⲏ
 Ⲓⲏⲏⲏ(?)
 Ⲓⲕⲕⲏⲏ
 Ⲙⲏⲏⲏ

წ(მიდა)ო | ი(ო)ვ(ა)ნე, | შ(ე)იწყ(ა)ლ(ე) | ს(აუ)მ(ა)რგ, | ბ(ა)-
 ს(ი)ლი, | ქ(ო)ბ(უ)ლ, | პ(ავ)ლ(ს)?, | გ(ა)ბრ(ი)ელ, | ასვ(ა)თ.

როგორც ვხედავთ, ეს წარწერები, რომელთა ქრონოლოგიური ფარგლები X—XV სს. მოიცავს, ავსებენ სამხრეთ საქართველოს წარწერების ხელნაწერთა ინსტიტუტის ეპიგრაფიკული ექსპედიციის მიერ მოპოვებულ კოლექციას.

ИЗУЧЕНИЕ НАДПИСЕЙ ЮЖНОЙ ГРУЗИИ
ЭПИГРАФИЧЕСКОЙ ЭКСПЕДИЦИЕЙ ИНСТИТУТА РУКОПИСЕЙ

Резюме

В 1977—1980 гг. эпиграфическая экспедиция Института рукописей им. К. С. Кекелидзе Академии наук ГССР работала в трех исторических провинциях Южной Грузии — в Джавахети, Самцхе и Месхети, которые входят в состав Советской Грузии. Эти исторические провинции по современному административно-территориальному делению составляют районы: Богдановский, Ахалкалакский, Аспиндзский, Ахалцихский и Адигенский.

В названных районах, в течение четырех лет, экспедицией были изучены около 300 лапидарных и фресковых грузинских надписей, часть из них — впервые. Эти надписи, являющиеся замечательными памятниками древнегрузинской письменности и важным историческим источником для изучения культурно-исторических вопросов, хронологически распределяются с VII—VIII по XVII—XVIII вв.

В настоящем обзорном отчете представлена публикация некоторых как неизвестных ранее надписей, так же и одной части из тех, тексты которых были уточнены при новом изучении.

Собранный материал — фотокопии и прориси, описания и тексты надписей, — хранятся в Институте рукописей, в фонде фотокопий и фотонегативов грузинских эпиграфических памятников.

ალენე მებრეპელი

საფრანგეთში სამეცნიერო მივლინების შესახებ

1980 წლის 12 ნოემბრიდან 27 დეკემბრამდე საფრანგეთის ნაციონალური სამეცნიერო ცენტრის მიწვევით ვმუშაობდი Collège de France-ის „ბიზანტიის ისტორიისა და ცივილიზაციის ლაბორატორიაში“. ამ ლაბორატორიის მეცნიერებთან საქმიანი კავშირი გაიბა 1972 წელს, როდესაც პირველად ჩავედი პარიზში და „ტექსტების ძიებისა და ისტორიის ინსტიტუტში“, სადაც მაშინ ვმუშაობდი, შემთხვევით გავიცანი Collège de France-ის, მეცნიერები: დენიზ პაპახრისანთუ და ჟაკ ლეფორი, რომლებიც მუშაობდნენ ათონის ბერძნულ სამონასტრო აქტებზე და მთხოვეს გამეშიფრა და მეთარგმნა მათთვის ამ აქტების ქართული მინაწერები. ამ დროიდან მოყოლებული ჩავები მათ სამუშაოში და ვცდილობდი, რომ ათონის აქტების პუბლიკაციებში და სამონასტრო ისტორიაში სრულად სოფილიყო წარმოდგენილი ქართული მასალა და ქართველთა მონასტრის როლი.

ჩვენი ურთიერთობა უფრო ინტენსიური გახდა იმის შემდეგ, რაც Collège de France-ის ეს ლაბორატორია, ზემოთ დასახელებული მეცნიერების მონაწილეობით შეუდგა ათონის ქართველთა მონასტრის ბერძნული აქტების გამოსაცემად მომზადებას. მაგრამ, სანამ უშუალოდ ამ გამოცემაზე შევიჩრუებოდი, მინდა ათონის ბერძნული აქტების გამოცემის მნიშვნელობასა და ისტორიაზე მოვახსენოთ ორი სიტყვით.

ათონის მონასტრის ბერძნულ აქტებს დიდი მნიშვნელობა აქვს ბიზანტიის ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ისტორიისათვის. ეს აქტები ითვლება დიდმნიშვნელოვან ისტორიულ პირველწყაროებად.

ინტერესი ათონისადმი X საუკუნიდან დაწყებული ბოლო დრომდე არ შენელებულა არც მეცნიერთა და არც მოგზაურთა და სიძველეთა მოყვარულთა წრეში. XVIII ს. I ნახევრიდან შემოგვრჩა ათონზე მოგზაურობის შესანიშნავი აღწერები ვასილი ბარსკისა და ტიმოთე გაბაშვილის. XIX ს. მეორე ნახევარში პორფირი უსპენსკიმ რამდენჯერმე იმოგზაურა ათონზე, გაეცნო იქაურ არქივებს, რის საფუძველზეც დაწერა ათონის სამონასტრო ისტორია, სადაც ქართველთა მონასტრის ისტორიის ცენტრალური ადგილი უკავია. მანვე მოამზადა ბერძნული სამონასტრო აქტების აღწერილობა და ფოტოტიპირი ალბომი, რომლის გამოუქვეყნებელი ეგზემპლარი ამჟამად დაცულია საკავშირო აკადემიის ფუნდამენტალურ ბიბლიოთეკაში, ხოლო მისი პირი — ხელნაწერთა ინსტიტუტში. ერთი ნაწილი ამ მასალისა გამოაქვეყნა ს. ყაუხჩი-შვილმა „გეოგრაფიის“ VIII ტომში. ევროპელ მეცნიერთაგან აქტების მეცნიერული შესწავლა, მათი გადაღება გამოცემის მიზნით დაიწყო ცნობილმა ფრანგმა ბიზანტინისტმა გაბრიელ მილემ.

1918—20 წლებში მიღებულ რამდენჯერმე იმოგზაურა ათონზე. გადაიღო სა-
 მონასტრო ბერძნული აქტები, 1937 წელს გამოქვეყნდა გ. მილეს მასალების
 მიხედვით ათონის ლავრის აქტების I ტომი, რომელიც მოიცავს 897—1178 წლებში
 ბის აქტებს. მეორე მსოფლიო ომმა შეაჩერა ეს წამოწყება. გარდაიცვალნენ I
 ტომის გამომცემლები. 1953 წელს კი გარდაიცვალა გაბრიელ მილუც. ამის შემ-
 დევ ამ სერიის განახლებას შეუდგა ცნობილი ფრანგი ბიზანტინისტი პოლ
 ლემერლი¹. ამისათვის Collège de France-ში ჩამოყალიბდა „ბიზანტიის ისტო-
 რიისა და ცივილიზაციის შემსწავლელი ლაბორატორია“, სადაც თავი მოიყა-
 რეს პ. უსპენსკისა და გაბრიელ მილეს არქივების დიდმა ნაწილმა, ფრანც დოლ-
 გერის მოპოვებულმა ფოტომასალამ და სხვათა მასალებმა. შეიქმნა ამ ლაბო-
 რატორიაში „ათონის არქივი“, რომლის დამაარსებელად ითვლება გაბრიელ
 მილუც, ხოლო გამომცემლად პოლ ლემერლი. ლაბორატორია, მიუხედავად იმისა,
 რომ მას ძალიან მცირე ფართობი უკავია, შესანიშნავად არის აღჭურვილი ყო-
 ველმხრივ. ლაბორატორიაში მუშაობენ საფრანგეთის საუკეთესო ბიზანტინისტე-
 ბი (სულ 35 მეცნიერი), დიდი უმრავლესობა ლაბორატორიის ბიზანტინისტე-
 ბისა პ. ლემერლის მოწაფეები არიან. აფინანსებს ლაბორატორიას საფრანგეთის
 ნაციონალური სამეცნიერო ძიებათა ცენტრი (G. N. R. S.). ლაბორატორიის
 არქივი ყოველწლიურად მდიდრდება თანამშრომლების მიერ ათონზე მოპოვე-
 ბული ახალი მასალებით. 1953 წლიდან ლაბორატორიამ გამოსცა 8 მონასტრის
 ბერძნული აქტები. ზოგი ტომი რამდენიმე ნაკვეთად არის წარმოდგენილი,
 მაგ., ლავრის ტომი, რიგით V, მოიცავს 4 ნაკვეთს. ლაბორატორია დღეისათვის
 ამზადებს რამდენიმე მონასტრის აქტებს: როსიკონის, დოხიარისა და ივირონის.
 ივირონის ბერძნული აქტების არქივზე მუშაობენ პოლ ლემერლის ხელმძღვა-
 ნელობით სამი მეცნიერი: დენიზ პაპახრისანთუ, ნ. იკონომიდისი და ჟაკ ლე-
 ფორი.

ივირონის მონასტრის ბერძნული აქტები სიმრავლით, სიძველით და მნიშვე-
 ნელობით გამოირჩევიან სხვებისაგან. აქტებში დიდი რაოდენობითაა წრიზო-
 კულეები (ბიზანტიის იმპერატორთა და დიდგვაროვანთა ოქრობეჭდიანი დო-
 კუმენტები) და პრაქტიკონები (მამულების აღრიცხვისა და საგადასახადო სიე-
 ბი). დღიდან დაარსებისა XIII ს. ჩათვლით ქართველთა მონასტერი ითვლე-
 ბოდა ერთ-ერთ ღონიერ მონასტრად, რომელიც ფლობდა მამულებს ათონზე,
 ქალკედონის დაბლობში, სოფლებს თესალონიკეში, მაკედონიაში, კუნძულებ-
 ზე, საქართველოში. XI ს. ბოლოსათვის ქართველთა მონასტერი ჩამოყალიბ-
 და, როგორც ერთ-ერთი მდიდარი საფეოდალო, მოიჯარე გლეხებით, დაქირავე-
 ბული მუშა ხელით. ამავე დროს მონასტერი იყო ძლიერი კულტურული ცენ-
 ტრი, რაზედაც მეტყველებს, პირველ რიგში, ამ მონასტრის მდიდარი ბიბლიო-
 თეკა, სადაც 1300-მდე ბერძნული ხელნაწერია, რამდენიმე ასეული ბერძნული
 დოკუმენტი და 86 ქართული ხელნაწერი. ივირონის მონასტრის მნიშვნელობი-
 სა და პოპულარობის ზრდას ხელს უწყობდა ისიც, რომ ივირონის პირველი
 მამები დიდი ავტორიტეტით სარგებლობდნენ როგორც ათონზე, ასევე კონს-

¹ დაწერილებით ამის შესახებ იხ. პ. ლემერლის წინასიტყვაობა ლავრის აქტების I ტომში:
 Archives de l'Athos, V, Actes de Lavra, première partie, des origines à 1204. Edition dip-
 lomatique par Paul Lemerle... Paris, 1970, p. 3—6.



ტანტიზაციის იმპერატორთა კარზე. ყველა ამის გამო ივირონის ბერძნულ აქტებს დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც თვით მონასტრის, ასევე მთლიანად ათონის სამონასტრო კოლონიზაციის ისტორიისა და საერთოდ ბიზანტიის სოციალ-ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული ისტორიის შესწავლისათვის.

ათონის სამონასტრო ისტორიისადმი მეცნიერთა წრეში ინტერესი, როგორც უკვე აღინიშნა, ყოველთვის დიდი იყო. გარკვეული ნაწილი ათონის ბერძნული აქტებისა გამოცემულია, არსებობს პირველადი აღწერილობები ათონის მონასტრების ბერძნული ხელნაწერების უმდიდრესი კოლექციებისაც, მაგრამ ნამდვილი მეცნიერული შესწავლა ბერ-მონაზონთა ამ დამოუკიდებელი რესპუბლიკისა, რომელმაც 12 საუკუნის მანძილზე შეინარჩუნა თავისი სახე და დამოუკიდებლობა და დღეს აღიქმება როგორც ანაქრონიზმი და შორეული წარსულის ცოცხალი მუზეუმი, დაიწყო იმის შემდეგ, რაც პოლ ლემერლი ჩაუდგა სათავეში „ბიზანტიის იატორიისა და ცივილიზაციის შემსწავლელ ლაბორატორიას“, სადაც გაერთიანდნენ საფრანგეთის საუკეთესო ბიზანტინისტები და სადაც ძირითადი საკვლეო თემა არის ათონი.

აქ მომუშავე მეცნიერები არიან ბიზანტიის ისტორიის, ბერძნული პალეოგრაფიისა და დიპლომატიკის სპეციალისტები (სხვათა შორის ბევრია მათ შორის ბერძენი), მაგრამ ამავე დროს თითოეული მათგანი რომელიღაც ასპექტით სწავლობს ათონს. შესწავლის შედეგები თავს იყრის „ათონის არქივში“, რომელიც საფუძვლად უდევს ამ ლაბორატორიის მიერ ათონის მონასტრების ბერძნული აქტების პუბლიკაციებს.

სამკაცრიან ჯგუფში, რომელიც უკვე წლების მანძილზე მუშაობს ივირონის მონასტრის ბერძნულ აქტებზე, ჩავერთე მეც. ახლავე უნდა შევნიშნოთ, რომ პირველ ხანებში ძალიან გამიჭირდა მათი მუშაობის დაძაბულ რიტმს ავყოლოდი, მაგრამ მალე მივხვდი, რომ მათი მეცნიერული წარმატების მთავარი საწინდარი სწორედ სამეცნიერო საქმის ორგანიზაციასა და მუშაობის რიტმულობაშია საძებარი. ფრანგი მეცნიერები ისე არაფერს არ უფრთხილდებიან, როგორც დროს, ყოველ წუთს, ყოველ წამს. მუშაობის სწორი ორგანიზაცია და შრომის პროცესში რიტმულობა კი ის ფაქტორებია, რომლებიც დროს ზოგვენ. ეს ერთი შეხედვით თითქოს ანბანური ჭეშმარიტებაა, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენ ამათ ვერ ვაღწევთ, ვინაიდან დროის დაგეგმვის რეალური შესაძლებლობა არ გავვაჩნია.

ჩემი მონაწილეობა ივირონის ჯგუფთან თავიდანვე დაიწყო იმით, რომ მე მათ ვეხმარებოდი აქტების ქართული წარწერების ამოშიფრვაში და თარგმანში. შემდგომ ეს მუშაობა თანდათან გადაიზარდა ნამდვილ თანამშრომლობაში, ვინაიდან მუშაობის პროცესში ფრანგებისათვის აშკარა გახდა, რომ ვერც ივირონის აქტების გამოცემა და ვერც ამ მონასტრის რამდენიმე საუკუნოვანი ისტორიის დაწერა ქართული წყაროების გარეშე და ქართველოლოგის მონაწილეობის გარეშე ვერ მოხერხდებოდა, ვინაიდან კვლევის პროცესში წამოიჭრა საკითხები, რომელთა გადასაჭრელად მათ ხელში არსებული მარტო ბერძნული მასალები არ კმაროდა. ორი წლის წინ მე თბილისში მივიღე იმ ბერძნული აქტების ფოტოები, რომელთაც ჰქონდათ ქართული მინაწერები. ამ მასალის დიდი ნაწილი თბილისშივე გაიშიფრა და მომზადდა. ამ საქმეში მეხმარებოდა ხელნაწერთა ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი ვალერი სილოგავა.



ამ მასალების გარდა საფრანგეთში წავიღე ივირონის ისტორიისათვის მნიშვნელოვანი პირველწყაროები ქართულ ენაზე: ათონის ქართველთა მონასტრის ალაპები და ათონის ქართული ხელნაწერების ანდერძ-მინაწერები. აგრეთვე ზოგიერთი ნაშრომი ათონზე.

ათონის ქართველთა მონასტრის ბერძნული აქტები სხვადასხვა ხასიათის და დანიშნულებისაა. ზოგი დავის წიგნია, სადაც წარმოდგენილია მონასტრებს შორის მიწის ირგვლივ გამართული დავა და მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება. ზოგი სასაზღვრო წიგნია, სადაც წარმოდგენილია შეთანხმება ორ მოდავე მონასტერს შორის მამულების საზღვრების შესახებ. დიდი უმრავლესობა დოკუმენტებისა წარმოადგენს კეისრების ოქროსბეჭდიან ბრძანებებს (ხრიზობულებს), მსხვილი ფეოდალებისა და მონასტრების ბოძების წიგნებს. ცალკე დგას კიდევ ერთი სახეობა დოკუმენტებისა — პრაქტიკონები, რომლებიც სამონასტრო მამულების აღწერას, სამონასტრო სოფლების კომლების სიას, მათი ქონების აღწერას და ბოლოს მათზე შეწერილი გადასახადების სიებს შეიცავენ. ყველა ეს დოკუმენტი ერთად ქმნის სრულ სურათს ქართველთა მონასტრის ქონებრივი მდგომარეობისა 4—5 საუკუნის მანძილზე, მათი ეკონომიური ურთიერთობის სურათს როგორც ათონის სხვა მონასტრებთან, ასევე ბიზანტიის კეისრებთან და სახელმწიფო აპარატთან, საქართველოს საერო და სასულიერო ხელისუფლებასთან. ძალიან კარგად ჩანს დოკუმენტებში ათონის ადმინისტრაციული სისტემა, სამონასტრო სამართლის სისტემა და წესები. ამავე დროს კარგად ჩანს სხვადასხვა სახის დაქვემდებარება ამ მონასტრებს შორის და სხვადასხვა ეროვნებათა შორისაც, ვინაიდან ათონზე მონასტრები ჰქონდათ, გარდა ბერძნებისა, რუსებს, ბულგარელებს, ხარვატებს, ლათინებს და სხვათა. ამ დოკუმენტებში შესანიშნავად ჩანს, თუ როგორ გადაიქცა თავიდანვე ასკეტების სამყოფელი პატარ-პატარა მონასტრები, სადაც ბერებისათვის აკრძალული იყო რაიმე საკუთრების ქონება, მსხვილ ფეოდალურ ერთეულებად, დიდძალი მამულებით, განვითარებული მეურნეობით და დაქირავებული მუშახელით.

ფეოდალიზმის გენეზისი, მისი სოციალ-ეკონომიური სტრუქტურა ერთი ყველაზე აქტუალური საკვლევო თემაა ფრანგი ისტორიკოსებისა და ბიზანტინისტების სამეცნიერო თემატიკაში. ამ თვალსაზრისით ათონის სამონასტრო ბერძნული აქტები მეტად მდიდარი მასალის შემცველია. 1980 წელს ივირონის აქტებზე მომუშავე პროფ. ჟაკ ლეფორმა გამოაქვეყნა მოზრდილი წერილი შემდეგი სათაურით: „დიდი მიწათმფლობელობა X—XIII საუკუნეებში. ივირონის მონასტრის ქონებრივი მდგომარეობა“. ეს წერილი შესულია კრებულში, რომელიც ეძღვნება ხმელთაშუაზღვის ქვეყნებში ფეოდალიზმის შესწავლას. ჟაკ ლეფორის წერილი მთლიანად აგებულია ათონის ქართველთა მონასტრის ბერძნული აქტების მასალაზე და შესანიშნავად წარმოაჩენს ათონის ქართველთა მონასტრის დიდ საფეოდალოს სოციალურ და ეკონომიურ სტრუქტურას.

მიუხედავად დიდძალი მასალისა, რომელიც აქტების სახით ფრანგი კოლეგების განკარგულებაშია, ათონის ქართველთა მონასტრის ქართული ალაპები, რომელიც მე თან ჩავიტანე, მათთვის აღმოჩენა იყო. ვინაიდან ალაპები ავსებენ აქტების მასალას და რივ შემთხვევაში ფასდაუდებელ ცნობებს გვაწვდიან მონასტრის საამშენებლო და სამეურნეო ცხოვრებაზე. აშკარა გახდა, რომ ქართული მონასტრის ისტორია ალაპების ცნობების გამოყენების გარეშე

ვერ დაიწერებოდა. ამიტომ მომიხდა თითქმის მთლიანად ამ ტექსტის ფრანგულად.

ჩვენი ერთობლივი მუშაობის მანძილზე ისიც გახდა აშკარა, რომ ჯერ კიდევ ძალიან ბევრი რამ იყო გასაკეთებელი, მრავალი საკითხი გადასაწყვეტი. ამიტომ გავანაწილეთ სამუშაო იმ ვარაუდით, რომ პირველ რიგში, მომზადებულიყო ივერონის აქტების I ტომი, რომელიც მოიცავს აქტებს 982 წლიდან 1050 წლამდე. ტომი გამოსაცემად უნდა მომზადდეს და გადაეცეს 1984 წლის დამდეგს. ამასთანავე უნდა დასრულდეს წინასიტყვაობა-გამოკვლევა, რომლის ერთი თავის დაწერა მე დამევალა. ეს თავია: „ქართველთა მონასტრის როლი ქართული კულტურის ისტორიაში“. წიგნის ეს ნაწილი უნდა გამოადრეს 1983 წლის ივნისისათვის. მაგრამ მუშაობა ამით არ დამთავრდება, ვინაიდან ივერონის აქტები უნდა გამოიცეს 4 ტომად. II ტომი მოიცავს აქტებს 1050 წლიდან 1204 წლამდე. III ტომი — XV საუკუნემდე. IV ტომი კი იქნება დოკუმენტების ფოტოტიპური ალბომი.

ქართული ეროვნული თვითშეგნების ამაღლებისათვის და ქართული მწერლობისა და კულტურის განვითარებისათვის ათონის სკოლამ X—XII საუკუნეებში გააკეთა იმდენი, რამდენიც არც ერთ სხვა ადგილობრივ თუ საზღვარგარეთის კულტურის კერას არ გაუკეთებდა. ათონმა იდეოლოგიური საფუძველი მოამზადა XII—XIII საუკუნეებში ქართველთა კონსოლოდაციისათვის და პოლიტიკური კურსის ჩამოყალიბებისათვის, რომლის შედეგადაც საქართველო წინა აზიის ერთ-ერთი უძლიერეს სახელმწიფოდ იქნა აღიარებული.

ამდენად, ათონის ბერძნული აქტების გამოცემა თავისი გამოკვლევებით ასეთ მაღალ დონეზე, იმ ქართული მასალის გათვალისწინებით, რომელიც სისრულით წარმოაჩენს ამ შესანიშნავი კულტურული კერის მნიშვნელობას როგორც საქართველოსათვის, ასევე ბიზანტიისათვის, უთუოდ დიდი საქმეა. აქვე მინდა შევნიშნო, რომ ათონის მონასტრების ბერძნულ აქტებს, განურჩევლად იმისა, თუ რომელი ეროვნების წარმომადგენლებს ეკუთვნოდა მონასტერი, აქვეყნებენ მხოლოდ ლაბორატორიის მეცნიერები. ივერონის მონასტრის აქტების გამოცემაში გარეშე პირის მონაწილეობა პირველი შემთხვევაა. ეს, რა თქმა უნდა, გამოწვეულია არა ქართველი მეცნიერის რაიმე ღირსებით, არამედ ივერონის აქტების სპეციფიკით და ქართული მასალის სიმდიდრით, რომელსაც გვერდი ვერ აუარეს ფრანგმა ბიზანტინისტებმა და აგრეთვე იმით, რომ ათონის აქტების ამ გამოცემის რედაქციამ, განსხვავებით წინა გამოცემებისაგან, საჭიროდ სცნო, რომ გამოცემაში ასახულიყო აქტების ყველა ქართული მინაწერი ტრანსკრიპციითა და ფრანგული თარგმანით. ეს კურსი განხორციელდა უკვე წინა ტომებში სადაც თითო-ორიოლა ქართული მინაწერი აღმოჩნდა. ბუნებრივია, ყველაზე დიდი რაოდენობა ქართული მინაწერებისა აღმოჩნდა ივერონის მონასტრის აქტებში. მაგრამ, სამწუხაროდ, ვერ ხერხდება მინაწერების ქართული შრიფტით დაბეჭდვა. ქართული მინაწერები ქვეყნდება მხოლოდ ტრანსკრიპციითა და თარგმანით. ეს იმით არის გამოწვეული, რომ აღმოსავლურ ენებზე ტექსტების აწყობა საფრანგეთში ძალიან რთულია და, ალბათ, შეუძლებელიც. ამისათვის ფრანგები მიმართავენ პეტერსის ორიენტალისტურ გამოცემლობას ლუვენში, მაგრამ ეს იქამდე ძვირი ჯდება, რომ ავტორები ხშირად უარს ამბობენ ამაზე. ასეთივე ვითარება შეიქმნა ბერძნული აქტების ქართულ მინაწერებთან დაკავშირებით.

რას წარმოადგენენ ივერონის ბერძნული აქტების ქართული მინაწერები? მინაწერები სხვადასხვა დროისაა, ზოგი ბერძნული აქტის შედგენის თანადრო-



ულია, უმრავლესობა კი უფრო გვიანდელი. ამ მინაწერებში გადმოცემულია ბერძნული დოკუმენტის შინაარსი და დანიშნულება. ხშირად საამისოდ ყენებულა ბერძნული ან ქართული დიპლომატიკური ტერმინები. ქართულ მინაწერებში გადმოცემულია აგრეთვე შემდგენლის ან ძმობის დამოკიდებულება თუ შეფასება ამა თუ იმ ბერძნული აქტისა.

ქართული მინაწერები ერთ მიზანს ემსახურებოდნენ: ადვილად გასაგები და ხელმისაწვდომი გაეხადათ ბერძნული დოკუმენტი ქართველი მომხმარებლისათვის. ეს იმიტომაც იყო საჭირო, რომ ამ დოკუმენტებით მტკიცდებოდა ქართული მონასტრის უფლებრივი და ქონებრივი მდგომარეობა. ამ დოკუმენტების საფუძველზე წყდებოდა საადგილმამულო და საგადასახლო დავა მონასტრებს შორის.

ვინაიდან ქართული მინაწერები დოკუმენტების აღრიცხვასაც ემსახურებოდნენ, ამიტომ ისინი ჩვეულებრივ მონასტრის მწერლის (ნოტარიუსი) ან მონასტრის წინამძღვრის ხელითაა შესრულებული. ამიტომაც, რომ ქართულ მინაწერებში ხშირად ერთი და იგივე ხელი მეორდება, რაც გვეხმარება ამ მინაწერების დათარიღებაში.

ხშირია შემთხვევები, როდესაც ბერძნულ აქტებს აქვთ არა ერთი, არამედ რამდენიმე მინაწერი მსგავსი შინაარსისა, ოღონდ სხვადასხვა დროს შესრულებული. ერთი მათგანი ძველია, ჩვეულებრივ გადასული ტექსტით, ძნელად ამოსაყიფი, მეორე — შედარებით უფრო გვიანდელია და იმეორებს ამ თავდაპირველ მინაწერს ან ზუსტად გადმოცემს მის შინაარსს. ეს ახალი მინაწერები წარმოადგენენ ძველი მინაწერების განახლებას (გავრცელებული წესია ქართულ დიპლომატიკაში).

მასიურად ძველი მინაწერების განახლება მომხდარა XIV საუკუნეში საეკლესიო გასაგები მიზეზის გამო. XIV ს. ძალიან მძიმე პერიოდი იყო ივირონის ქართველი ბერებისათვის. ქართველებს თანდათან ხელიდან ეცლებოდათ მონასტერი, ამიტომ ხშირად სჭირდებოდათ თავისი უფლებების დაცვა სასამართლოებში და საამისოდ ბერძნული აქტების მომარჯვება. ამით უნდა იყოს გამოწვეული ის, რომ ამ დოკუმენტების ძველი სარეგისტრაციო წარწერები ხელახლა იქნა განახლებული ამ საუკუნეში.

რა ვითარებაა დღეს ათონის ქართული მონასტრის ისტორიის ქართული პირველწყაროების შესწავლის თვალსაზრისით?

ათონის ქართველთა მონასტრისათვის არსებობს დიდად მნიშვნელოვანი პირველწყაროები ქართულ ენაზეც, ეს წყაროები დღეისათვის სათანადოდ არც შესწავლილია და არც გამოცემული. აღარ ვლაპარაკობთ იმაზე, რომ ქართველი მეცნიერების მიერ ჯერ არ დაწერილა ათონის ქართველთა მონასტრის არც სოციალ-ეკონომიკური და არც კულტურული ისტორია. ისეთი ბრწყინვალე ძეგლიც კი, როგორც არის ამ მონასტრის სააღაპე წიგნი, არ არის სათანადოდ გამოცემული და მით უმეტეს შეფასებული. ჯერ კიდევ მრავალი პრობლემა გადაუწყვეტელი და საკამათო: მონასტრის პირველი წინამძღვრების გენეალოგია, მონასტრის წინამძღვართა რიგი, თორნიკე ერისთავის როლი ათონის მონასტრის მშენებლობაში, სამონასტრო კომპლექსის სხვადასხვა ნაგებობათა აშენების დრო, ქართველ-ბერძენი ბერების ურთიერთობის საკითხი. მონასტრის ეთნიკური შემადგენლობა. ქართველი წინამძღვრების მონაწილეობა ბიზანტიის პოლიტიკურ ცხოვრებაში. მონასტრის ისტორია XIV საუკუნიდან XX საუკუნემდე და მთელი რიგი სხვა საკითხები.

არ არის შესწავლილი და დაწერილი განმაზოგადებელი ნაშრომი ათონის ლიტერატურული სკოლის მნიშვნელობაზე ქართული მწერლობისა და მწერლობის ისტორიის ისტორიისათვის. მეორე მხრივ, ქართველთა მონასტრის ბერძნული აქტები ისეა შესწავლილი და ისეთ დონეზე ქვეყნდება, რომ თხოულობს ყველა შემოჩამოთვლილ საკითხის ასეთსავე მაღალ დონეზე დამუშავებას. ეს საქმე რა თქმა უნდა, ერთი და ორი კაცის გასაკეთებელი არ არის. მაგრამ თუ ჩვენ თვითონ არ გავაკეთებთ ჩვენი საქმე, შეიძლება ამ ფრანგულ გამოცემაში ივირონის ისტორია არ აისახოს სათანადო სისრულით და ჩვენთვის სასურველი შეფასებით. ყველა დონე უნდა ვიხმაროთ იმისათვის, რომ ათონის ქართველთა მონასტრის ისტორია და მნიშვნელობა სათანადოდ იქნას წარმოჩენილი ფრანგული გამოცემის ვრცელ წინასიტყვაობაში. დიდ სამსახურს გავვიწვევს ამ საქმეში ათონიდან ახლახან ჩამოტანილი ქართულ ხელნაწერთა მიკროფილმები.

ამრიგად, ფრანგი მეცნიერები ამზადებენ ათონის ქართველთა მონასტრის ისტორიის მასალების პირველ სოლიდურ პუბლიკაციას, რომელიც დაიბეჭდება დიდად ავტორიტეტულ სერიაში და ამ გზით ხელმისაწვდომი გახდება ყველასათვის საერთაშორისო მაშტაბით.

პარიზში ჩემი მივლინება კიდევ რამდენიმე თვალსაზრისით აღმოჩნდა საინტერესო. გავიცანი ფრანგ ქართველოლოგთა ახალი თაობის რამდენიმე წარმომადგენელი და ამასთანავე მეცნიერები, რომლებსაც ჯერ არ დაუწყიათ ქართული ენის შესწავლა, მაგრამ ამის დიდი სურვილი აქვთ, ვინაიდან სჯერათ, რომ ბიზანტიანობაში და ორიენტალისტობაში დღეს ქართული ენისა და ქართული წყაროების გარეშე მუშაობა არ შეიძლება, ამიტომ ისინი ეძებენ კონტაქტებს ქართველ მეცნიერებთან, ვგებს ქართული ენის შესწავლისა და საქართველოში ჩამოსვლის საშუალებებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ორიენტალისტობამ და სლავისტიკამ ამ უკანასკნელი 2 ათეული წლის მანძილზე ახალი ძალა შეიმატა და დიდად წავიდა წინ როგორც ევროპაში, ასევე შეერთებულ შტატებში. ევროპაში რუსული ენის მკოდნე მეცნიერებს დღეს ხშირად შეხვდებით. ადრე ეს იშვიათობა იყო. საინტერესოა, რომ ჰოლანდიის რამდენიმე ქალაქის სკოლებში მეორე ენად რუსული ისწავლება. დიდად გაიზარდა როლი ამ დისციპლინებისა ჰუმანიტარულ მეცნიერებაში. ამის ერთ-ერთი დადასტურებაა ისიც, რომ დიდი ტრადიციის მქონე სამეცნიერო ორიენტალისტური ჟურნალის *Patrologia Orientalis*-ის რედაქციამ განიზრახა განაახლოს ნახევარი საუკუნის მანძილზე შეწყვეტილი ქართული უძველესი ორიგინალური და თარგმნითი ძეგლების პუბლიკაცია ჟურნალის ფურცლებზე. ამ ჟურნალში ადრე იბეჭდებოდა ნ. მარის და ფრანგი ქართველოლოგების და არმენოლოგების პირველი თაობის — ბრიერისა და შარლ მერსიეს შრომები. ჟურნალის რედაქტორმა პროფ. გრაფენმა შემოგვთავაზა ჟურნალში აპოკრიფული ლიტერატურის ძველი ქართული თარგმანების გამოქვეყნება. ინსტიტუტის თანამშრომლების მიერ რამდენიმე ტექსტი გამოზადებულია. ალბათ, შემოდგომისათვის გავუგზავნით რედაქციას.

უფრო მნიშვნელოვანია მეორე წინადადება, რომელიც მივიღებ ბელგიის ორიენტალისტებისაგან. ეს ეხება გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა ქართული თარგმანების გამოცემას ბელგიაში საერთაშორისო პროგრამით.

გრიგოლ ნაზიანზელი (კაბადუკიელი მამა) IV ს. შესანიშნავი მოაზროვნე, ორატორი და პოეტი, რომელიც ბასილი დიდთან და გრიგოლ ნოსელთან

ერთად შეეცადა ელინისტური სიბრძნე გამოეყენებინა ქრისტიანული დოქტრინის-
მეტყველების ჩამოყალიბებისათვის.

თავისი ნააზრვის ფილოსოფიური სიღრმითა და პოეტური სიფაქიზით გრიგოლმა დიდი პოპულარობა მოიპოვა თანამედროვეთა შორის, მან დიდი გავლენა მოახდინა მომდევნო საუკუნეების ფილოსოფიური აზრის განვითარებაზეც.

გრიგოლ ნაზიანზელი ავტორია 45 სიტყვის (ქადაგების), მრავალი პოეტური პოემისა და წერილების. მთელი ეს მასალა ავსებს ერთმანეთს და წარმოაჩენს გრიგოლ დოქტრინარულ მრავალ ასპექტით როგორც მოაზროვნესა და პიროვნებას.

ამ რთულსა და საინტერესო მოაზროვნეს გამოუჩნდა მრავალი კომენტატორი. მისი თხზულებები ითარგმნა მრავალ ენაზე, სხვათა შორის ქართულზედაც.

გრიგოლის რამდენიმე სიტყვის ქართული თარგმანები შემოგვინახეს უძველესმა მრავალთავემმა. ეს თარგმანები შესრულებულია VIII საუკუნემდე. მაგრამ გრიგოლის სიტყვების ინტენსიური თარგმნა დაიწყო X საუკუნის ბოლოს ათონის ქართველთა მონასტერში.

გრიგოლის სიტყვათა პირველი კრებული ეფთვიმე ათონელმა თარგმნა. მისი საქმე განაგრძო და დაავიკრგვინა ეფრემ მცირემ, XI საუკუნის შესანიშნავმა ფილოლოგმა და ფილოსოფოსმა. უფრო გვიან (XII—XV სს.) გრიგოლის თხზულებებიდან სენტენციები და ბრძნული გამონათქვამები შევიდა ქართულ სასწავლო წიგნებში.

ქართულ თარგმანებს, რომლებმაც ჩვენამდე ხუთი რედაქციით მოაღწიეს, დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ ქართული ფილოსოფიური აზროვნების ჩამოყალიბება-განვითარებისათვის, ქართული ფილოსოფიური და საღვთისმეტყველო ტერმინოლოგიის ჩამოყალიბებისათვის. გრიგოლ ნაზიანზელის ფილოსოფიური პოეზიის ქართულ ენაზე თარგმნამ დიდად გამდიდრა ქართული პოეტური სიტყვა. ქართულ ადრეულ თარგმანებს გარკვეული მნიშვნელობა აქვთ ბერძნული ტექსტების შესწავლა-დადგენისათვისაც.

1976 წელს გრიგოლ ნაზიანზელისადმი მიძღვნილ პირველ სიმპოზიუმზე შემუშავდა და დამტკიცდა ამ ავტორის შრომების შესწავლისა და გამოცემის საერთაშორისო პროგრამა. ეს პროგრამა გამოქვეყნდა რამდენიმე სამეცნიერო ჟურნალში (ბელგიაში, საფრანგეთში, დასავლეთ გერმანიაში).

ევროპის სამეცნიერო წრეებში დიდი ხანი მწიფდებოდა იდეა ამ რთული, საინტერესო და დიდად პოპულარული ავტორის თხზულებების გამოცემისა. ამ საუკუნის ოციან წლებიდან ამ მიმართულებით დიდი მუშაობა წამოიწყეს პოლონელმა ბიზანტინისტებმა და „როგორც ჩანს, ბევრიც გააკეთეს, მაგრამ მეორე მსოფლიო ომმა შეწყვიტა ეს კეთილად დაწყებული საქმე. რაც გაკეთდა, ისიც უკვალოდ დაიკარგა.

გრიგოლ ნაზიანზელის შრომების კრიტიკული გამოცემა თავისი სირთულის გამო მხოლოდ დიდ სამეცნიერო კოლექტივებს შეუძლიათ განახორციელონ. ამან განაპირობა გამოცემის საერთაშორისო პროგრამის დამუშავება. პროგრამა გულისხმობს გრიგოლ ნაზიანზელის შრომების პუბლიკაციას როგორც ბერძნულ ენაზე, ასევე თარგმანების პუბლიკაციას აღმოსავლურ ენებზე (სირიულზე, ქრისტიანულ-არაბულზე, კობტურზე, სომხურსა და ქართულზე). გამოცემებს აღმოსავლურ ენებზე ამზადებენ ლუვენის ორიენტალისტურ-



რი უნივერსიტეტის მეცნიერები შესანიშნავი ორიენტალისტისა და ქართველოლოგის აკადემიკოს შერარ გარიტის ხელმძღვანელობით. გამოცემის ქართული თარგმანები, რომელთა გამოცემა შემოგვთავაზებს ჩვენ, ქართველ ფილოლოგებს. ერთ-ერთი პირობა ჩვენი მონაწილეობისა ამ საერთაშორისო ღონისძიებაში გახლავთ ის, რომ საორგანიზაციო კომიტეტმა თავისი თანხებით უნდა უზრუნველყოს ხელნაწერთა ინსტიტუტი ამ თემასთან დაკავშირებული ძველი და ახალი სამეცნიერო ლიტერატურით და საჭირო ხელნაწერების მიკროფირებით. ამ საერთაშორისო სერიას აფინანსებს ბელგიის სამეცნიერო ცენტრი და მეცნიერების განვითარების ხელშემწყობი დასავლეთ გერმანიის საზოგადოება (Gärres Gesellschaft).

პროგრამის მიხედვით გრიგოლის თხზულებათა კრიტიკული გამოცემა ორ ეტაპად არის წარმოდგენილი. პირველი ეტაპი გულისხმობს გრიგოლის თხზულებათა ხელნაწერების თავმოყრას (ბერძნულში მათი რიცხვი 1000 აღემატება, ქართულში — 100-მდე), მათ აღწერას, კლასიფიკაციას და მათი შესწავლის პირველადი შედეგების გამოქვეყნებას.

მეორე ეტაპი გულისხმობს კრიტიკულად დადგენილი ტექსტების პუბლიკაციას. გრიგოლის თხზულებების აღმოსავლური თარგმანები დაიბეჭდება ცნობილ ორიენტალისტურ ჟურნალში C.S.C.O. ამ ჟურნალში იბეჭდება ტექსტები გამოკვლევებითურთ ქრისტიანული აღმოსავლეთის ენებზე. შესაბამისად ჟურნალში რამდენიმე სერიაა წარმოდგენილი: სირიული, ქრისტიანულ-არაბული, კოპტური, სომხური და ქართული (ანუ იბერიული).

კარგა ხანია, იბერიულ სერიაში ძველი ქართული ტექსტები გამოკვლევითურთ აღარ იბეჭდება. უკანასკნელად 1976 წელს ამ სერიით დაიბეჭდა პროფ. ვ. ჯობაძის წიგნი: „მასალები ანტიოქიის შემოგარენში არსებული ქართული მონასტრების ისტორიისათვის“. თუ ჩვენთან მოხერხდა გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა ქართული თარგმანების კრიტიკული ტექსტების გამოსაცემად მომზადება, მაშინ C.S.C.O.-ის იბერიული სერია კვლავ გამოცოცხლდება და აღდგება.

ქველი ქართული წერილობითი ძეგლებისადმი ინტერესი დღეს მეტად დიდია. ამის დასადასტურებლად მოვიყვან ერთ ცნობას. ახლახანს მივიღეთ ცნობილი ამერიკელი ბიზანტინისტი ი. მეიენდორფის წერილი. წერილში მეიენდორფი მადლობას უხდის ავტორებს მიღებული წიგნისათვის („ძველი ქართული მწერლობის ძეგლების“ სერიით გამოცემულ „უძველესი იადგარისთვის“) და დასძენს: «Вновь удивляюсь необычайному богатству, кроющемуся в древних грузинских памятниках! Придется всем нам — византинистам братья за изучение грузинского языка!»

იმისათვის, რომ ქართველი მეცნიერების მონაწილეობა გრიგოლ ნაზიანზელის შრომათა პუბლიკაციის საერთაშორისო სერიაში უფლებამოსილი ყოფილიყო, საორგანიზაციო კომიტეტის სახელით პროფ. Mossay-მ გამოგზავნა წერილი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის აკადემიკოს ევგენი ხარაძის სახელზე.

ამავე დროს მოვიდა მოწვევა გრიგოლ ნაზიანზელისადმი მიძღვნილ II საერთაშორისო სიმპოზიუმზე ბელგიაში, სადაც გრიგოლ ნაზიანზელის ქართული თარგმანების გამოცემის პრინციპების დადგენა ცალკე საკითხად იყო წეტიანილი.

და ბოლოს მინდა აღვნიშნო კიდევ ერთი სასიამოვნო ფაქტი დავამთავრო ჩემი ინფორმაცია: ვინაიდან მე ხანგრძლივად მომიხდა საფრანგეთში ყოფნა, შესაძლებლობა მომეცა კარგად გავცნობოდი ახალ სამეცნიერო ლიტერატურას ქართველოლოგიის, ორიენტალისტიკისა და ბიზანტინისტიკის დარგებში და შემერჩია ჩვენთვის საჭირო წიგნები. ეს ლიტერატურა ჩვეული ხალისითა და მზადყოფნით ნ. სალიას წიგნადი ფონდისათვის გამოგვიწერეს და გამოგვიგზავნეს ნინო და კალე სალიებმა. ამ უკანაქსნელი სამი თვის მანძილზე ინსტიტუტმა მიიღო 400-ზე მეტი მეტად მნიშვნელოვანი წიგნი. ერთ ამდენს კიდევ მოველით. ამრიგად, ნ. სალიას სახელობის წიგნადმა ფონდმა კვლავ მიიღო ახალი შევსება.

ნიკოლოზ (ლავა) ჯანაშია

ნიკოლოზ (ლავა) ჯანაშია თავისი ერის შეიღთაგან იყო ღირსეული ღირსეულთა შორის. მისი უდროოდ გარდაცვალება (1982 წ. 7 სექტემბერს) შემოქმედებით გაფურჩქვნის უამს, ქართული საზოგადოებრიობის, ისტორიული მეცნიერების უმძიმესი, აუნაზღაურებელი დანაკლისია. ნ. ჯანაშია იყო ფართო ღიაპაზონის ღრმად ერუდირებული მკვლევარი, ისტორიკოსი-წყაროთმცოდნე. მან თავისი პროფესიული მომზადებისა და განსაკუთრებული მეცნიერული აღღოს წყალობით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართულ ისტორიულ მეცნიერებასა და ფილოლოგიაში.

ნ. ჯანაშია დაიბადა 1931 წლის 18 ნოემბერს, თბილისში, გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსისა და საზოგადო მოღვაწის აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას ოჯახში.

ჰერ კიდევ თბილისის უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე სწავლის დროს (1949—1954 წწ.) ნ. ჯანაშია გამოირჩეოდა თავისი ნიჭითა და მუყაითობით. იგი იყო ივ. ჯავახიშვილის სახელობის სტიპენდიატი. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, 1954 წ. ჩაირიცხა ასპირანტურაში საქართველოს ძველი ისტორიის სპეციალობით, ხოლო 1957 წლიდან, ასპირანტურის დამთავრებისთანავე, დაიწყო მუშაობა ამავე ინსტიტუტის ძველი ისტორიის განყოფილებაში, ჰერ უმცროს, ხოლო შემდგომ უფროს მეცნიერ თანამშრომლად.

ღრმა მომზადებამ და მაღალმა კულტურამ განაპირობა ნ. ჯანაშიას თვალსაჩინო წარმატებანი მეცნიერების ასპარეზზე. პროფ. ი. აბულაძის ხელმძღვანელობით იგი საფუძვლიანად დაეუფლა ძველ სომხურ ენას, რამაც მას შესაძლებლობა მისცა ორიგინალში შეესწავლა ადრეფეოდალური ხანის მდიდარი სომხური ლიტერატურა, რომელშიც უხვადაა საქართველოს შესახებ საყურადღებო ცნობები. ნ. ჯანაშიას მუშაობა გულისხმობდა ძველ სომხურ საისტორიო თხზულებებში დაცულ ამ ცნობების გამოვლენას, სომხური ტექსტების შესწავლას, თარგმანსა და კომენტირებას. ამასთანავე, ქართული ორიგინალური და სომხური მასალების საფუძველზე, სხვა პარალელური მასალის მო-



შველიებით, იგი საწვლობდა IV—V სს. და ნაწილობრივ უფრო ადრეულ ხანის საქართველოს ისტორიის პრობლემებს.

ამ მუშაობის შედეგებიდან აღსანიშნავია 1962 წ. გამოქვეყნებული მისი მონოგრაფია: „ლაზარე ფარპეცის ცნობები საქართველოს შესახებ“ (თარგმანი და გამოკვლევა), რომელიც წარმოადგენდა ნ. ჭანაშიას საკანდიდატო დისერტაციას. ნაშრომში ნაჩვენებია დასახელებული სომეხი ისტორიკოსის ცნობების მნიშვნელობა საქართველოს IV—V სს. ისტორიისათვის. ამასთან აქ ფართოდაა განხილული საქართველოს ისტორიის საკითხები ყველა სხვა არსებული მასალების მოშველიებით, ამიერკავკასიისა და წინა აზიის ამ დროის ისტორიის ფონზე. ავტორის დასკვნებმა ამ პერიოდის საქართველოს პოლიტიკური ვითარების, მეზობელ ქვეყნებთან მისი ურთიერთობის, ქართული სახელმწიფო წყობის ზოგ საკითხზე დიდად შეუწყო ხელი საქართველოს ისტორიის ამ მეტად საინტერესო და შედარებით ნაკლებად შესწავლილი პერიოდის მეცნიერული კონცეფციის შემუშავებას.

ნ. ჭანაშია „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ რვატომეულის ერთ-ერთი ავტორია. მეორე ტომში მას ეკუთვნის ნარკვევი აღმოსავლეთ საქართველოს IV—V სს. ისტორიის შესახებ, სადაც ძირითადად გაშუქებულია ქართლში ქრისტიანობის გავრცელებისა და ვახტანგ გორგასალის მეფობის ისტორია. ეს ნარკვევიც ხასიათდება საკითხების ჩაღრმავებული კვლევითა და ახლებური მიდგომით.

უკანასკნელი ათი წლის მანძილზე ნ. ჭანაშია მისთვის ჩვეული გულმოდგინებითა და გატაცებით საგანგებოდ სწავლობდა ქართული მწერლობის ჩვენამდე მოღწეულ უძველეს და ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ძეგლს — „მუშაბენიკის წამებას“. თავისი მუშაობის შედეგები ავტორმა გამოაქვეყნა მთელ რიგ წერილებსა და ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი ხასიათის მონოგრაფიაში (1980 წ.). ნ. ჭანაშიას ძირითადი მიზანი იყო გაერკვია ამ ძეგლის არსებულ რედაქციათა ურთიერთმიმართება, დაედგინა მათ შორის უძველესი. ამასთან ნ. ჭანაშია აკეთებს არაერთ მნიშვნელოვან დასკვნას ტექსტის თაობაზე და აყენებს მთელ რიგ ახალ დებულებებს მისი, როგორც საისტორიო, ისე ლიტერატურული ძეგლის ხასიათისა და ლირსებების შესახებ. აღნიშნული მონოგრაფია ქართული ისტორიული და ფილოლოგიური მეცნიერების მნიშვნელოვანი შენაძენია. ნაშრომი წარდგენილი იყო, როგორც სადოქტორო დისერტაცია, რომლის დაცვა უახლოეს დროს უნდა შემდგარიყო.

ნ. ჭანაშიას ცხოველი ურთიერთობა ჰქონდა სომეხ კოლეგებთან, თარგმანა კიდევ ზოგი მათგანის ნაშრომი საქართველოს შესახებ.

ნაყოფიერ სამეცნიერო მუშაობასთან ერთად ნ. ჭანაშია წლების მანძილზე ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც კითხულობდა სომხეთისა და აზერბაიჯანის ისტორიის ზოგად კურსს და სპეცკურსებს.

თვალსაჩინო იყო ნ. ჭანაშია, როგორც სამეცნიერო საქმიანობის ორგანიზატორისა და ხელმძღვანელის როლი. უკანასკნელი 12 წლის მანძილზე კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის დირექტორის მოადგილის თანამდებობაზე მუშაობის დროს იგი საქმისადმი უდიდესი პასუხისმგებლობით, ღრმა ცოდნით, მეცნიერული პრინციპულობითა და ტაქტით ასრულებდა თავის მოვალეობას. იგი იყო ხელნაწერთა ინსტიტუტის პერიოდული ორგანოს „მრავალთავის“ და ილ. აბულაძის შრომების ცალკეული ტომების რედაქტორი.



ნ. ჯანაშიას დიდი დამსახურება მიუძღვის ხელნაწერთა ინსტიტუტის ნ. სალიას კაბინეტისა და წიგნად ფონდის შექმნის საქმეში. მან პირადად წაშრობა ტანა პარიზიდან ამ ფონდის პირველი ორი წყება (ორი ათასზე მეტი წიგნი).

ნ. ჯანაშია სარგებლობდა დიდი ავტორიტეტით კოლეგებსა და თანამშრომელთა შორის, რაც განპირობებული იყო მისი პირადი თვისებებით, იგი გამოირჩეოდა მომთხოვნელობით არა მარტო სხვების, არამედ, პირველ რიგში თავისივე თავის მიმართ.

ნ. ჯანაშიას სამეცნიერო, პედაგოგიური და საზოგადოებრივი საქმიანობა შერწყმული იყო ერთმანეთთან. იგი იყო საქართველოს საისტორიო საზოგადოების სწავლული მდივანი, კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის, გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის, გ. ლეონიძის სახელობის ლიტერატურული მუზეუმის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მთავარი საარქივო სამმართველოს, კულტურის ძეგლთა დაცვის სამმართველოს სამეცნიერო საბჭოების წევრი, გამომცემლობის, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტთან არსებული სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს წევრი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული საქართველოს ისტორიის წყაროების კომისიის წევრი და მთავარი სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარის მოადგილე. ხელმძღვანელობდა ამ კომისიის სომხური წყაროების სერიას. წლების მანძილზე ნ. ჯანაშია იყო უშურნალ „ცისკრის“ რედკოლეგიის წევრი.

1958—62 წწ. ნ. ჯანაშია იყო საქართველოს ალკვ ცენტრალური კომიტეტთან არსებული სტუდენტთა კომისიის თავმჯდომარე, 1960—62 წწ. — საქართველოს ალკვ ცენტრალური კომიტეტის წევრი, 1974—80 წწ. სამაგზის იყო არჩეული საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის წევრად, იყო ორჯონიკიძის სახ. რაიკომის წევრი.

ნ. ჯანაშია იყო დიდბუნებოვანი ადამიანი, დიდი პატრიოტი და ჭეშმარიტი მოქალაქე, გულმხურვალიედ ეხმაურებოდა ყველა მნიშვნელოვან მოვლენას ჩვენი ქვეყნის, ჩვენი ხალხის ცხოვრებაში. მისი კეთილშობილი, ნათელი სახე დაუფიწყარი იქნება ქართველი საზოგადოებისათვის!

სარჩევნი—ОГЛАВЛЕНИЕ

ელენე მეტრეველი, ილია აბულაძე	3
E. П. Метревели, Илья Абуладзе	
მაია რაფავა, „რაზე მუშაობთ, რას აქვეყნებთ?“ (ილ. აბულაძის მიმოწერიდან საბ- კოთა და უცხოელ მეცნიერებთან)	16
М. А. Равава, Из переписки И. В. Абуладзе с советскими и зарубежными уче- ными	
ალექსანდრე ბარამიძე, სამშვილდის წარწერის დარეგანი	21
A. Г. Барамидзе, Дареджан из Самшвилдской надписи	26
ბერნარ უტიე, ე. კეკელიძე და ქართული ლექციონარის საკითხები	27
Бернар Утье, К. Кекелидзе и вопросы грузинского лекционария	
Jean Pièrre Mahé, Sur le mythe de la chute dans la vie apokriphe d'Adam (version géorgienne)	34
Жан Пьер Маэ, Миф о прогрешении в апокрифическом житии Адама	41
თამილა მგალობლიშვილი, მრავალთავის ერთი საკითხავის წყარო	42
T. G. Mgლობლიшвили, Об источнике одной гомилии из Многоглава	49
უჩა ცინდელიანი, ერთი რედაქციული თავისებურების გამო „მეფეთა წიგნებში“ (მოკლე რედაქცია)	50
У. Е. Цинделиани, По поводу одной редакционной особенности Книг Царств (сокращенная редакция)	74
ზურაბ სარჯველაძე, ვენაში დაცული „ქებაჲ-ქებათაჲს“ ტექსტისათვის	75
З. А. Сарджвеладзе, Венский вариант грузинского текста «Песни песней»	87
ბაქარ გიგინეიშვილი, ერთი სემანტიკური უნივერსალის შესახებ	88
Б. К. Гигинейшвили, Об одной семантической универсалии	96
ელენე დოჩანაშვილი, ძვნად სიტყვის მნიშვნელობისათვის	98
E. И. Дочанашвили, К определению значения слова gwínad	103
მაია რაფავა, ძველი ქართული წერილობითი ცნობები ერთი სასვენი ნიშნის შესახებ	104
М. А. Равава, Древнегрузинские письменные сведения об одном знаке препина- ния	108
მაია მამაცაშვილი, რამდენიმე ტერმინის დადგენისათვის „გრიგოლ ხანძთელის ცხოვ- რების“ ტექსტში	109
М. Г. Мамцашвили, О значении некоторых терминов в тексте «Жития Гри- гория Хандзтели»	113
ლალი ჭლამაია, მეორე გალობის საკითხი X საუკუნის ქართულ ჰიმნოგრაფიულ კა- ნონში	114



Л. К. Джганаია, Вопрос второй оды в грузинском гимнографическом каноне X века 122

ლელა ხაჩიძე, იანე მინჩხის უცნობი სვალთბელი 122

Л. А. Хачидзе, Неизвестное песнопение Иоанна Минчхи 128

გულნარა ნინუა, ფსევდომაკარის თხზულებათა ქართული თარგმანების კრებულის შედგენილობა 129

Г. А. Нинуа, Состав сборника грузинских переводов произведений Псевдо-Макария 138

ბინო ქაჯაია, ბასილი კაპადოციელის მეორე ეპისტოლის ქართული თარგმანები 139

Н. Я. Каджаия, Грузинские переводы второго послания Василия Каппадокийского 145

რუსუღან გვარამია, ბასილი კაპადოციელის მეორე ეპისტოლას არაბული ვერსია და მისი მიმართება აღრეულ ქართულ რედაქციასთან 146

Р. В. Гварамия, Арабская версия второго послания Василия Каппадокийского и ее соотношение с древнегрузинской редакцией 153

ლიანა ახოზაძე, არსენ ივალთოელის თარგმანების ერთი სტილისტური თავისებულების შესახებ 154

Л. Т. Ахобадзе, Об одной стилистической особенности переводов Арсения Икалтоელი 159

ნარგიზა გოგუაძე, მეტაფრასული კრებულების მომგებელი — აფხაზეთის კათალიკოსები — ევდემონ ჩხეტაძე და ექვთიმე საყვარელიძე 160

Н. Д. Гогоадзе, Заказчики метафрастических сборников — каталикосы Евдемон Чхетидзе и Евфимий Сакварелидзе 165

ცილა ქახაბრიშვილი, მესხ მელექსეზე „თქმული“ 167

Ц. В. Кахабришвили, О стихотворце — «Неком Месхи» 187

დავით ქლენტი, პატმოსის მონასტრის ორი ქართული დოკუმენტი 189

Д. А. Жгенти, Два грузинских документа из Патмосского монастыря 197

ქეთევან ბაგრატიონი-ორსინი, ილია ტაბაღუა, ქართული ელჩობა ევროპაში (ნიკიფორე ირბახი — XVII ს.) 199

К. Багратиони-Орсини, И. М. Табагуа, Грузинское посольство в Европе (Никифоре Ирбахи — XVII в.) 210

ელენე ცაგარეიშვილი, სტეფანოს ორბელიანის „სისიციანის სახლის ისტორიის“ წყაროთა საკითხისათვის 211

Е. В. Цагарейшвили, Источники «Истории Сисаканского дома» Стефаноса Орбелиани 220

ბანაყანჩაველი, თეიმურაზ II-ის წერილი ნურსალ-ბეგისადმი 221

Н. Г. Канчавели, Письмо Теймураза II Магомеду Нуцал-хану (Нурсал-беку) 223

ედემერ სოშტარია (ბროსე), რუსეთ-საქართველოს ურთიერთობასთან დაკავშირებული რამდენიმე დოკუმენტი 225

Э. В. Хоштария (Броссе), Несколько документов, связанных с русско-грузинскими взаимоотношениями 238

რეცენზიები
Рецензии



ც ი ა ლ ა ქ უ რ ც ი კ ი ძ ე, ო რ ი სა ყ უ რ ა დ ლ ე ბ ო გ ა მ ო კ ე ლ ე ვ ა ა რ ს ე ნ ი ყ ა ლ თ ო ე ლ ს ღ ვ ა წ ლ ს
შესახებ კანონიკურ მწერლობაში 239

Ц. И. Курцикидзе, Два важных исследования о сочинениях Арсения Икал-
тоели в области грузинской канонической литературы 250

მ ა ნ ა ნ ა დ ო ლ ა ქ ი ძ ე, ა ხ ა ლ ი ნ ა შ რ ო მ ი ი ლ ა რ ი ო ნ ქ ა რ თ ე ლ ს ც ხ ო ე რ ე ბ ს შ ე ს ა ხ ე ბ
М. Ш. Долакидзе, Новая работа о Житии Иллариона Грузина 258

ლ ე ლ ა ხ ა ჩ ი ძ ე, მ. ს ტ ო უ ნ ს „ე ზ რ ა I V - ის ს ო მ ზ ო რ ი ვ ე რ ს ი ა“
Л. А. Хачидзе, О работе М. Стоуна «Армянская версия IV книги Эздры» 258

ინფორმაცია

თ ა მ ი ლ ა ე ბ ა ნ ო ი ძ ე, ჰ ი ლ ს სა ხ ე ლ ო ბ ის სა მ ო ნ ა ს ტ რ ო ხ ე ლ ნ ა წ ე რ თ ა ბ ი ბ ლ ი ო თ ე კ ა 262

Т. Ш. Эбаноидзе, Библиотека монастырских рукописей имени Хиля

ანგარიშები
Отчеты

ვ ა ლ ე რ ი ს ი ლ ო გ ა ვ ა, სა მ ხ რ ე თ სა ქ ა რ თ ე ლ ს წ ა რ წ ე რ ე ბ ის შ ე ს წ ა ე ლ ა ხ ე ლ ნ ა წ ე რ თ ა ინ ს -
ტიტუტის ეპიგრაფიკული ექსპედიციის მიერ 264

В. И. Силюгава, Изучение надписей Южной Грузии эпитафической экспеди-
цией Института рукописей 288

ე ლ ე ნ ე მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი, სა ფ რ ა ნ გ ე თ შ ი სა მ ე ც ნ ი ე რ ო მ ი ე ლ ი ნ ე ბ ს შ ე ს ა ხ ე ბ 290

Е. П. Метревели, О научной командировке во Францию 300

ნიკოლოზ (ლაშა) ჯანაშია

Николоз (Лаша) Джанашиа

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

სბ 1985

გამომცემლობის რედაქტორები დ. ნ ა თ ი შ ვ ი ლ ი,
ელ. ბ ა თ ი ა შ ვ ი ლ ი
ტექნორედაქტორი ნ. ო კ უ ჯ ა ვ ა
კორექტორი ნ. მ ა ჩ ა ი ძ ე

გადაეცა წარმოებას 15.2.1982; ხელმოწერილია დასაბეჭდად 15.4.83;
ქაღალდის ზომა 70×108/1₁₆; ქაღალდი № 1; ნაბეჭდი თაბახი 26.6;
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 19.5;

უფე 00808;

ტირაჟი 1500;

შეკვეთა № 616;

ფასი 2 მან. 30 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

МРАВАЛТАВИ

Историко-филологические разыскания, X

(на грузинском языке)

ТБИЛИСИ

1983

რეცენზენტები ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატები:
გ. კიკნაძე და მ. ქავთარია

უახლოეს ხანში გამოცემულმა „მაცნიერება“ გამოსცემს შემდეგ
წიგნებს:

1. ავტორთა კოლექტივი. ქართული ლიტერატურის ურთიერ-
თობანი სსრ კავშირის ხალხთა ლიტერატორებთან.
2. ც. ყიფშიძე. კოტე მაყაშვილი.
3. მ. კაკაბაძე. ქართული რომანტიზმის ეროვნული საფუძვლები.
4. ნ. მახათაძე. მეგობრობის ფურცლები.
5. არეოპაგიტული კრებული (გამოსაცემად მოამზადა ივ. ლოლა-
შვილმა).
6. დ. ინწკირველი. დანტე ქართულ ლიტერატურაში.

